# თ[...]ლ[...]ები®

საქ[...]ო ბეჭედია ბაჯაღლო [...]ა თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

ყოველკვირეული

№13 (639) * 25–31 მარტი * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge



გვ. 42

რატომ მალავდა საგულდაგულოდ ორსულობას ნუცა შანშიაშვილი და რის მერე დაიწყო ლოცვა ნიუ-იორკში მცხოვრებმა მამაომ მის დედობაზე

გვ. 35

როგორ გახდა გიორგი ყიფშიძე ვერელი ძველი ბიჭი და რატომ არის მის თავს სულ ცვალებადი მოღრუბლულობა



გვ. 16

ორმა ქართველმა საკუთარი იახტით, სრულიად მარტომ, ატლანტის ოკეანე ოცდაოთხ დღეში გადალახა



გვ. 54

როგორ გამოჰყავს მიშა სააკაშვილის ხმას უხერხული სიტუაციებიდან ქართლოს ნატროშვილი და რა საერთო თვისებები აქვთ ნიკა კაკაბაძესა და პრემიერ-მინისტრს

ISSN 1987-569X



რაში „გამოიჭირეს“ „თბილისის მოდის კვირეულზე“ ვერა ქობალია

გვ. 14

გვ. 18

რატომ არ მეგობრობს პრემიერის ოჯახთან ზურა აბაშიძის მეუღლე



საიდან ვერ გამოდის ნინო თოლორდავა და როდის არის ის ზედმეტად თვითკრიტიკული

გვ. 51

გვ. 47

ვის როლს ასრულებს ჟორჟ დევდარიანი „სტალინგრადში“ და როგორ იხსენებს ის ფრანგული კინოს ლეგენდასთან – ჟანა მოროსთან მუშაობას



გვ. 50

რატომ არის მარინა ხორავა „დედა ტერეზა“ და როგორ კეთდება ზვიად ციკოლიას საათები შვეიცარიაში უმაღლეს დონეზე

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# ს ა რ ჩ ე ვ ი




ეკუთვნით თუ არა სომხურსა და აზერბაიჯანულს რეგიონული ენების სტატუსი საქართველოში და ვინ ცდილობს მეგრულისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭებას ........ 6

რატომ იღებს ქართველი მომხმარებელი სესხს ისეთი პირობებით, როდესაც უკან ორმაგის დაბრუნება უწევს და როგორ ახერხებენ ქართული ბანკები კლიენტების ჯიბეებიდან ფულის მოხერხებულად ამოცანცვლას ..... 8





რომელი ქვეყნების პოლიტიკური ბელადები არიან დასვენებული მავზოლეუმებში ........................................ 12

რა როლი ითამაშა ადოლფ ჰიტლერის მმართველობამ გერმანელი მილიარდერების, კვანდტების ოჯახის ცხოვრებაში ................................................ 13

ადვოკატი გირჩევთ ................................................ 15

ორმა ქართველმა საკუთარი იახტით, სრულიად მარტომ, ატლანტის ოკეანე ოცდაოთხ დღეში გადალახა ..................... 16

რისი ტყვეა ზოგიერთი ქალი და რას სწირავს ის მსხვერპლად საკუთარ თავმოყვარეობას ........................................ 20

როგორ იპოვა უკრაინაში ძმა და შვილი მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში მცხოვრებმა ოჯახმა ..................................... 21

რა აკავშირებს ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობასთან მიხეილ მამიაშვილს და როგორ დაუნათესავდა ის ბონდარჩუკების ოჯახს ............................ 22

რომელ ისტორიულ შენობაში იყო განთავსებული სასულიერო სემინარია, სადაც იოსებ სტალინი სწავლობდა და რომელმა ჰოლივუდელმა კინორეჟისორმა დაამთავრა თბილისის ნერსესიანის სემინარია ............................ 23





რა უნდა შესწიროს ადამიანმა ღმერთს საკუთარი ცხონებისთვის და როდის აქვს სინანულს ყველაზე დიდი ძალა .................. 24

რატომ გაატარა მთელი ბავშვობა რესტორანში „არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა და რის გამო ჰქონდა მას ზიზღის გრძნობა გერმანელების მიმართ ................................................ 26

ექიმის რჩევები ................................................ 29

რა კავშირშია ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ლაშა და გურამ შარაძეების მკვლელობასთან.....30





რა არის სიკვდილისწინა გამოცდილება და რატომ ხვდებიან ადამიანები საიქიოში ექსტრემალურ სიტუაციებში ................................................ 32





ვისთან დაწვებოდა „ცისფერობის" შემთხვევაში ბენ აფლეკი და რომელი ოსკაროსანი ფილმის სცენარი გაყიდა მან მეთ დეიმონთან ერთად 600 დოლარად ... 34

როგორ გახდა გიორგი ყიფშიძე ვერელი ძველი ბიჭი და რატომ არის მის თავს სულ ცვალებადი მოღრუბლულობა ..................... 35

ინტიმური საუბრები ................................................ 36

რა ფობია შეიძლება დაემართოს ორსულ ქალს და რატომ ეწყებათ დეპრესია მშობიარობის შემდეგ ................................ 38

რატომ შეიცვალა იოსებ სტალინმა დაბადების თარიღი და სინამდვილეში როდის იყო ის დაბადებული .................. 52

კოსმეტოლოგის რჩევები .................... 55

მტკვარში აღმოჩენილი ქალის გვამის საქმის გამოძიებამ მაღალჩინოსანთა დანაშაულებრივი ჯგუფი გაშიფრა ................................................ 56

როგორ გაძარცვა თაღლითმა ქალმა საყვარელი და ვინ გააბა ის მახეში..... 58

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს......59

ვეტერინარის რჩევები..........64

ფლორის სამყაროში......64





როგორ შეავსო საბჭოთა ხელისუფლებამ ოქროს მარაგი ეკლესიიდან გატანილი წმიდა ხატებითა და ბარძიმებით ..................... 65

მე – დაქირავებული მკვლელი .............. 66

ყველა კაცი ერთნაირია .......................... 70

მკვდარი ვერსია ......................................... 74

შეკითხვა ასტროლოგს ............................ 80

მთვარის რომელ ფაზაში იზრდება იღბლიანობა ................................................ 80

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ....... 81





ვის არ ჰქონდა ბაგრატიონთა სამეფო ტახტზე ასვლის უფლება და როგორ იბრძოდა 30 წლის განმავლობაში რუსეთის წინააღმდეგ ვახტანგ ბაგრატიონი – იმერეთის დე-იურე მეფე .............................. 82



**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები"**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






**განყოფილებები**

პოლიტიკა: **ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი**
საზოგადოება და კულტურა: **გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე**
რელიგია: **ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე**
კრიმინალი და სამართალი: **ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე**

დაიჯესტი: **ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი**
მედიცინა: **ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე**
სპორტი: **ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე**
სტილისტ-რედაქტორი: **თამრიკო ზამთარაძე**
სტილისტი: **ნანა წერეთელი**
კორექტორი: **ხატია ჟღენტი**
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: **თამუნა ახობაძე**
ოპერატორი: **მაია კარანაძე**
ფოტოკორესპონდენტები: **ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე**

მხატვრები: **ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე**
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: **გუგა ახობაძე**
ოფისმენეჯერი: **ინგა კერვალიშვილი**
იურისტი: **ქეთი უტიაშვილი**
მთავარი ეკონომისტი: **ნანა ბირჩაძე**
კომერციული მენეჯერი: **მარინა მჟავანაძე**
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
სარეკლამო დარგში: **სოფი ლორია**
სარეკლამო სამსახური: **სოფი ლორია, მაია ფირცხალავა**
მარკეტინგის მენეჯერი: **ლევან მენთეშაშვილი**

ტელ: **239-25-52;**
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
**593 38-75-61;**
**239-23-53**

დამფუძნებელი:
**შპს „თბილისელები პლუსი"**
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში"

**ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge**
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# „უდიპლომო სასიძო“

## კაცი, რომელიც იცინის

მართალია, **თვითონ საერთოდაც უდიპლომოა** (არაერთგზის ნადეპუტატარსა და აჭარის ჯანდაცვის მინისტრის სავარძელმოვლილ კობა ხაბაზს ვგულისხმობ), მაგრამ, **ეს ხელს არ უშლის, რომ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს იურიდიული განათლების არქონა დაუწუნოს** (დაუწუნოს, რადგან, საქართველოს კანონშემოქმედებითობასთან წილნაყარი და მერე რა, რომ უდიპლომო ბ-ნი ხაბაზი ფრანგულ დიპლომებს არ ცნობს!).



თუმცა, **საკუთარ უდიპლომობას პატრიოტული მოტივებით ხსნის** (მოვიხმობ ციტატას მისი განმარტებიდან): **„ხუთებზე ვსწავლობდი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელიც მაშინ „გეპეიდ” იწოდებოდა, მაგრამ, პოლიტიკური მოსაზრებების გამო, პრინციპულად არ ავიღე დიპლომი, რადგან მასზე საბჭოთა სიმბოლიკა იყო გამოსახული.“**

ამ ლოგიკით, **არც ატესტატი არ უნდა აეღო** (საბჭოთა ატესტატსაც საბჭოთა სიმბოლიკა ამშვენებდა), მაგრამ, როგორც ჩანს, **იმხანად ბ-ნი ხაბაზის პატრიოტიზმი ბოლომდე არ იყო ჩამწიფებული**. მეორე მხრივ, **მან 2-წლიანი სამხედრო-სავალდებულო სამსახური საბჭოთა ჯარში მოიხადა**. და მერე რა, რომ **საბჭოთა სიმბოლიკიანი სამხედრო ფორმა არ გაუპროტესტებია,** რაც მთავარია, **მისმა პატრიოტულმა გულმა დიპლომზე გამოსახული საბჭოთა სიმბოლიკა ვერ აიტანა.**



ასეა თუ ისე, **უდილომო** ბ-ნი **ხაბაზი არა მხოლოდ თეა წულუკიანს, ამნისტიის კანონსაც იწუნებს („**ახალმა ხელისუფლებამ ყველა ის ადამიანი, რომელიც ჯაშუშობაში იყო ბრალდებული, გაათავისუფლა და ამათ გადასაფარად გაუშვეს დანარჩენებიც“).

სხვათა შორის, **უდიპლომო ნახელისუფლარმა ისიც გაგვიმხილა, „ეკა ბესელიას სერიოზულ სახეს რომ ვუყურებ, მეცინებაო.“** იმის მიუხედავადაც, რომ **სიცილი დიდხანს სიცოცხლის გარანტიაა** (რის საშუალებასაც ბ-ნი ხაბაზი ასე უხვად აძლევს თანამოქალაქეებს), **თუ ის არაადეკვატურია, ექიმის ჩარევა ჰაერივით აუცილებელია**.

# მოჟღურტულენი

## ერთი არშინით

მართალია, **დღეს კოაბიტაციის ჰანგებზე ჟღურტულებენ**, თუმცა, 2012 წლის **პირველ ოქტომბრამდე მიზანს ნებისმიერი საშუალება ამართლებდა**, მათ შორის **ისეთიც კი, რამაც ქართული საბანკო სექტორი ლამის გააკოტრა**. კერძოდ, **არჩევნებამდე ნაციონალურმა ხელისუფლებამ**, სწორედაც რომ, **ოპონენტების, განა ზეწოლის, პირისაგან მიწისა აღგვის მიზნით, შემოიღო კანონი**, რის მიხედვითაც **ბანკის კრედიტორს სახელმწიფოს წინაშე დავალიანების წარმოქმნისას ჯერ სახელმწიფოს ვალი უნდა გაესტუმრებინა, შემდეგ კი – ბანკის**. ამის შემდეგ „ქართუ ბანკის“ კრედიტორებს სახელმწიფო ჯარიმები დააწერეს (უმეტესად ფორმალური), რამაც, ბუნებრივია, ბანკი დააზარალა.

მოგვიანებით **კანონი თავად ნაციონალებმა გააუქმეს** (დასავლური ინსტიტუტების ზეწოლით), **არჩევნების შემდეგ კი ქართულმა ბანკებმაც დაგმეს ამგვარი ვანდალური კანონი** (ოღონდ, ბუნებრივია, „ქართუს“ გარდა კრედიტორები არავისთვის წაურთმევიათ). **რაკი ხანი გამოხდა, პროკურატურა „ქართუს“ გაკოტრების სქემითაც დაინტერესდა**. სულ **საქმეს 19 ბრალდებული ჰყავს** (ის **ბიზნესმენები, რომელთაგანაც ზოგმა ნებით იხეირა, ზოგსაც აიძულეს „ქართუს“ გაკოტრება** (მათ შორის არიან, **ცეზარ ჩოჩელი, ლაურა ღაჭავა და მისი ვაჟი – დავით კოდუა**).

მეორე მხრივ, ზემოხსენებულ **19 ბიზნესმენს შორის ისეთებიც არიან, რომლებსაც აიძულეს „ქართუს“ გაკოტრების საქმეში მონაწილეობა,** თუმცა, **საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პროკურატურა ერთი არშინით ჭრის მსხვერპლსაც** და მათაც**, ვინც „ქართუს“ გაკოტრებით იხეირა.**

რთული ასახსნელია **პროკურატურის მოტივები**, თუმცა **იქ, ზემოთ, ანუ პარლამენტში ამ საქმის მთავარ შემოქმედებთან კოაბიტირებდე**, ქვემოთ, **მათ მსხვერპლზე კი სამართლის მსახვრალ ხელს ცდიდე, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია.**

# ამაოდ არჩავლილი

## და კენჭაობას აყოლილები

**ბევრი ვინერვიულეთ თუ ცოტა, პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღო,** რის მიხედვითაც, **პრეზიდენტს, ყოველ შემთხვევაში, ოქტომბერში გასამართ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, იმპერატორის ფუნქციები აღარ ექნება**, მათ შორის, **ის პარლამენტს ველარ დაითხოვს**. ამ **გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა როგორც უმრავლესობამ, ისე უმცირესობამ** (როგორც ჩანს, **ამაოდ არ ჩაუვლია განხილვის დღეს რიჩარდ ნორლანდის „შემთხვევით“ ვიზიტს საქართველოს პარლამენტში),** ოღონდ, **თავდაპირველად, სარეიტინგო კენჭისყრა ჩატარდა** (რაც ნაციონალებს იმის სადემონსტრაციოდ სჭირდებოდათ, რომ მათი რიგები მონოლითურია და 53-ვე დეპუტატს, ჩვეულებისამებრ, ერთი აზრი აქვს), **რასაც უკვე ჩვეულებრივი კენჭისყრა მოჰყვა, რის შედეგადაც გადაწყვეტილება 135 დეპუტატის თანხმობით** პირველი მოსმენით **დამტკიცდა**. თუმცა, **უცნობია, რატომ არ ესწრებოდა სხდომას 12 ნაციონალი დეპუტატი** (ანუ, ტყუილად ვაჭმევთ პურს?!).



**პარლამენტის თავმჯდომარემ სარეიტინგო კენჭისყრაზე თანხმობის გადაწყვეტილება ბოლო წუთს მიიღო,** თუმცა, **თუ ეს გარდაუვალი იყო, ჯობდა, თავიდანვე დათანხმებულიყვნენ**. ერთი სიტყვით, **უმრავლესობა უმცირესობის პოლიტიკურ თამაშს აჰყვა**, ოღონდ, **განმარტა, რომ ასე ქვეყნის საკეთილდღეოდ მოიქცა**.

ქვეყნის **საკეთილდღეოდ თუ საზიანოდ,** ამას, ბუნებრივია, **დრო გამოაჩენს**, მაგრამ, **თუ** კვლავ აშშ-ის ელჩის, ბ-ნი **ნორლანდის პოსტფაქტუმ კომენტარით ვიმსჯელებთ** (ვულოცავთ საქართველოს ლიდერებსო), **დასავლელი პარტნიორები ნეტარებენ**, ხოლო, თუ ამის პარალელურად **IRI-ის კვლევის შედეგებს გავიხსენებთ** (გამოკითხულთა 31 პროცენტი ყველა ნაციონალის გასამართლებას ითხოვს, 50 პროცენტი კი ნაწილზეც თანახმაა), ეჭვი მაქვს, რომ **საზოგადოების უმეტეს ნაწილს საპირისპირო განცდები დაეუფლა.**

ხოლო, თუ ამ ყოველივეს დავამატებთ, რომ საკითხის განხილვისას **უმცირესოელები უმრავლესობას ნაციონალების ზეწოლაში სდებდნენ ბრალს**, იქვე, **დარბაზში კი ორი უმრავლესოელი დეპუტატი იჯდა** (კობა დავითაშვილი და ვალერი გელაშვილი), **რომლებიც სიკვდილის პირას მიიყვანა ცემით შესაბამისმა სამსახურებმა ნაციონალური ხელისუფლების ხელდასმით**, კოაბიტაციის წმიდათაწმიდა მიზნით – **უმცირესობისთვის უმრავლესობის ცემის უფლება კანონით ხომ არ მიგვენიჭებინა,** როგორც ქართული დემოკრატიის აყვავილების უცილობელი პირობა?!



აქვე დავძენ, რომ **ინტენსიური კოაბიტაციიდან კოპულაციამდე ერთი ნაბიჯია**, იქნებ – ნაკლებიც?!

# უნებლიეთ დამთხვეულები

## ანუ, აგური შემთხვევით არავის ეცემა თავში

**21 მარტის პარლამენტის სხდომას,** თუ მთლად მთელი საქართველო არა, **სრულიად პოლიტიკური ძალები დიდი გულისფანცქალით ელოდნენ.** ან კი **როგორ არ დაელოდებოდნენ, როდესაც ის უნდა გარკვეულიყო, რამდენმა „ნაციონალმა“ უგანა საკუთარ დედაპარტიას**. შესაბამისად, **ისეთი ვითარება შეიქმნა, როდესაც, არათუ დედა – შვილს, უმცირესობა უმცირესობას ვერ შეაშველებდა ხელს.**



თითქოს **საკუთარი გაჭირვება არ ეყოფოდათ, იმ დღეს ქართველ კანონმდებლებს სამუშაო ადგილზე თვით აშშ-ის ელჩი ბ-ნი ნორლანდი ეწვია.**

თავდაპირველად მან **საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი მოინახულა**, შემდგომ – **თვით უმცირესობა-უმრავლესობაც**. რაკი **შეხვედრები დახურული იყო, ჩვენ ვერ შევიტყვეთ, რაზე ისაუბრეს ჩვენებურმა კანონშემოქმედებმა აშშ-ელ დიპლომატთან**, თუმცა, ის კი გაგვიმხილეს, რომ საუბარი საკონსტიტუციო ცვლილებებსაც შეეხო.

თავის მხრივ, ბ-ნმა **ნორლანდმა დასძინა**, რომ მისი პარლამენტში **მისვლა საკონსტიტუციო ცვლილებების პირველი მოსმენით განხილვის დღეს უნებლიე დამთხვევაა**, თუმცა, **თუ ბულგაკოვს დავუჯერებთ, აგური შემთხვევით არავის ეცემა თავში,** მით უფრო, **სულზე უტკბესი და უპირველესი სტრატეგიული პარტნიორის ელჩი – კლიენტი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს!**

# სევდიანი ვარაუდი

ისე მოხდა, რომ **„ნატოსა“ თუ ევროკავშირის სამიტებს იმედებით შეფრთიანებულები ველით** (ადრე თუ გვიან, ჩვენი კოჭიც დაჯდება, თუ მთლად ალჩუზე ვერა, „ნატოს“ წევრობის კანდიდატობას მაინც გამოვკრავთ ხელ-ფეხს, ზედაც – ევროკავშირისას). შესაბამისად,



**არც ვილნიუსის სამიტია გამონაკლისი**. მაგრამ, **ფანტაზიებში ფრთების გაშლაც ვერ მოვასწარით, როდესაც საქართველოში ევროკავშირის ელჩმა გვირჩია, საოცრებებს ნუ ელითო** (უგრძნია კაცს, რომ ციდანაც კი ციური მანანის ცვენას კი ველით).

თუმცა, ბ-ნმა **დიმიტროვმა წყალი მთლად ბოლომდეც არ გადაგვიწურა** და **შეგვაგულიანა: „ეს არის კარგი შემთხვევა იმისთვის, რომ გაკეთდეს შეფასებები, თუ რას მიაღწია საქართველომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში.“**

### რჩევები – კონა ათ შაურად

რაც მთავარია, **ვილნიუსში ხელი არაფერს მოეწერება** (იმასაც კი, **აუზში წყალსაც კი ჩაგისხამთ, თუ თავ კონტროლს ევროპულად გაუწევთ**), თუმცა, **გული აქაც გაგვიმაგრეს: ხელმოწერების მაგიდა არ არსებობსო.**

იმის გათვალისწინებით, რომ **რჩევა-მოწოდება არაერთი მიგვიღია** (რაც **იმედს გვისახავს, რომ რაოდენობა ოდესმე ხარისხშიც გადავა**), პროცესი კი **ადგილიდან არ იძვრის** (საუკეთესო პროგნოზით, **20-25 წელიწადში თუ „გვემუქრება“ ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა**), სევდიანად უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კვლავ ის შემთხვევაა, **როცა კონა რჩევა – ათი შაურია.**

# კოაბიტაციიდან – კოპულაციისკენ

## მიუტევებელი დანაშაული – ფეხმძიმობა

**„დაიმახსოვრე** – საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა; **იმოქმედე** – მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად; **გადაარჩინე** – ერის გენოფონდი,“ – **ასეთი შინაარსის ფურცლები დახვდათ გასულ კვირას ხალხის რჩეულებს სხდომათა დარბაზში**. შეგონება დროულია, რადგან, **გაეროს მონაცემებით, ოციოდ წელიწადში გავნახევრდებით,** ხოლო **ქართველი დემოგრაფების პროგნოზი კიდევ უფრო სავალალოა**. სავალალო, რადგან, ისინი ფაქტობრივი მოსახლეობით მსჯელობენ, გაერო კი – ოფიციალურით. **ფაქტობრივად კი ოფიციალურ მონაცემზე 700 000-ით ნაკლებნი ვართ.**



ჰოდა, **სანამ საქართველოს პარლამენტში ეს გულისმომკვლელი ტექსტი ვრცელდებოდა,** თელავის რაიონულმა **სასამართლომ არ დააკმაყოფილა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლებული სპეციალისტის, ელენე ბერძენიშვილის სარჩელი**. მოსარჩელე სამსახურში აღდგენასა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნით. **ელენე ბერძენიშვილის სასამართლო პროცესი კი იმითაა საინტერესო, რომ ის მალე დედა გახდება**. მოსამართლე განმარტავს, რომ ბერძენიშვილი რეორგანიზაციის გამო გათავისუფლდა, **ორსულობის შესახებ კი ხელმძღვანელებისთვის წინასწარ უნდა შეეტყობინებინა** (იქნებ, **სხვა დეტალებიც უნდა დაეზუსტებინა**?!).

**მოქმედი „შრომის კოდექსით“** (რომლის მთავარი სულისჩამდგმელი აწ აგრარული სექტორის გურუდ და გადამრჩენელ-წამებულად შერაცხული კახა ბენდუქიძეა), **დაფეხმძიმება სამსახურის დაკარგვის ტოლფასია,** შესაბამისად, უპრიანი იქნება, **თუკი ამ გაქანებული კოაბიტაციის პროცესში** (რაც, ჩემი მოკრძალებული აზრით, საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვისას პოლიტიკურ ორგიას უფრო დაემსგავა), **ხალხის რჩეულები კოპულაციის ხელშეწყობაზეც იფიქრებდნენ, თორემ, შემოვრჩით და ესაა დედამიწას ისტორიულ ექსპონატებად!**

# საპროცესო შეთანხმების საბიუჯეტო ხიბლი

## შენ რომ ჩემთვის ფული არ მოგიტანიაო?!

მართალია, საპროცესო შეთანხმების გადამკიდე, **ძალოვანი უწყების წარმომადგენელსა და დაკავებულს შორის ურთიერთობა „ნაციონალურ“ წარსულში** დაახლოებით **„რწყილისა და ჭიანჭველას“ სცენარით ვითარდებოდა** (შენ რომ ჩემთვის ფული არ მოგიტანიაო?!), მაგრამ, **საზოგადოებისთვის უცნობი იყო, მაინც რა ოდენობის თანხა შესდიოდა ქვეყნის ბიუჯეტს საპროცესო გარიგებების შედეგად**.



მაგრამ, რაკი **არ არსებობს, დაფარული არ გაცხადდეს,** ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა მოიპოვა ინფორმაცია, რის მიხედვითაც, **გაირკვა, რომ 2009-2012 წლებში საპროცესო შეთანხმებების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხულმა თანხამ 140 მილიონ 40 ათასამდე ლარი შეადგინა**. წლების მიხედვით კი შემდეგნაირი დინამიკაა: **2009 წელს – 8 მილიონი ლარი, 2010-ში – 42 მილიონი, 2011 წელს – 51 მილიონი, დანარჩენი 39 მილიონი** კი **2012 წელზე მოდის.**



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენლების განმარტებით, **ბრალდებულთა მიერ საპროცესო შეთანხმებით გადახდილი თანხა, დოკუმენტაციის თანახმად, ბიუჯეტში შესულზე მეტია.**

იმის გათვალისწინებით, რომ **140 მილიონი სოლიდური თანხაა** (თან, სრულიად **უშრომელი, ოღონდ დამნაშავე იპოვო**), აშკარაა, რომ **ჩვენი ძალოვანი უწყებების მოქმედების ლოგიკა ხუტა უფროსისეულია – „ჩაიდინეთ დანაშაული**, მშვენიერო მარგალიტა (არამშვენიერიც წავა)“, **თორემ, ჩამოგვეშალა ბიუჯეტი!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან
ზარი ფასიანია


**გასულ კვირას ახალქალაქის საკრებულომ საქართველოს პარლამენტს მიმართა თხოვნით, რატიფიკაცია გაუკეთოს რეგიონული ენების ქარტიას, რომელსაც საქართველო ჯერ კიდევ 1999 წელს მიუერთდა. თავისთავად, ამ ფაქტში გასაკვირი არაფერია, იმ მარტივი მიზეზით, რომ, რასაც 1999 წელს მიუერთდი, იმის რატიფიკაცია, ადრე თუ გვიან, მაინც მოგიწევდა. რაკი საკრებულო ახალქალაქისაა, ხოლო იქ კომპაქტურადაა ჩასახლებული სომხურენოვანი მოსახლეობა, ბუნებრივია, ამან ქართველ საზოგადოებას გაუჩინა ეჭვი, რომ სომხურ ენას რეგიონულის პრეტენზია აქვს (ისევე, როგორც, მაგალითად, ქვემო ქართლში აზერბაიჯანულს ექნება). თუმცა საქმე ისე მარტივადაც არ არის, როგორც ეს შესაძლოა, ერთი შეხედვით ჩანდეს. არ არის, რადგან რეგიონული ენის სტატუსი ამა თუ იმ ენას, სწორედაც რომ, ქართულმა სახელმწიფომ უნდა მიანიჭოს, თანაც, ისე, რომ ამით საფრთხე არ შეუქმნას სახელმწიფო ენის გავრცელებასა და ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციას. თემაზე მამუკა არეშიძე გვესაუბრება.**

# ეკუთვნით თუ არა სომხურსა და აზერბაიჯანულს რეგიონული ენების სტატუსი საქართველოში და ვინ ცდილობს მეგრულისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭებას

**– გასაგებია, რომ ოდესმე აქტუალური გახდებოდა 1999 წელს მიღებული ქარტიის რატიფიცირება, მაგრამ რატომ გახდა, მაინცდამაინც, ახლა. რა პრობლემა შეიძლება, შექმნას ან მოგვიგვაროს ამ საკითხის წამოწევამ?**

– ამ თემას შემდეგნაირად უნდა შევხედოთ: მართალია, ამ დოკუმენტს მოეწერა ხელი 1999 წელს, მაგრამ მაშინ მახსოვს, მიხეილ სააკაშვილი ამბობდა, ეს იმიტომ ხდება, რომ ევროპარლამენტში უფრო სწრაფად გავწევრიანდეთო. საქმე ის არის, რომ მაშინ სხვა დოკუმენტიც მივიღეთ, მაგალითად, მესხების დაბრუნების შესახებ და ყველაფერს თავისი ვადა აქვს. ამდენად, ეს პროცესი არ შეიძლება, უსასრულოდ იჭიმებოდეს. თუმცა ევროპის რამდენიმე ქვეყანამ ენათა ქარტიას ხელი არ მოაწერა.

**– რატომ არ მოახდინა საქართველოს პარლამენტმა მაშინ ან შემდეგ ამ ქარტიის რატიფიცირება. მეთოთხმეტე წელია უკვე?**

– იმიტომ რომ საკითხს არავინ სწავლობს სწორად. საკითხი უნდა შეისწავლო და მოამზადო რეკომენდაციები, ამისთვის არსებობს საქართველოში ანალიტიკური სამსახურები. პოლიტოლოგები თუ სხვა შესაბამისი ჯგუფები ასეთ დავალებას არ იღებდნენ ხელისუფლებებისგან. სააკაშვილის და შევარდნაძის დროს არ არსებობდა ასეთი კონტაქტები სპეციალისტების ჯგუფებსა და ხელისუფლებას შორის. ის არასამთავრობო ორგანიზაციებიც კი, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერები იყვნენ, ამ ტიპის დავალებას არ იღებდნენ. ასე რომ, ქვეყანაში, რომელშიც უსაფრთხოების სისტემები არ არის საზოგადოების მსჯელობის საგანი, უპირველესად, სპეციალისტებს ვგულისხმობ, ყოველთვის მოულოდნელი ხდება ნებისმიერი მოთხოვნა თუ პრობლემა, რომელიც ქვეყნის წინაშე დგება.



**რეგიონული ენები არის სკანდინავიის ქვეყნებში, მაგრამ ისინი სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე ქვეყნებია**

ობიექტურობისთვის უნდა გითხრათ, რომ ეს საკითხი პირველად არ დაუყენებიათ. მეტიც, სამეგრელოში არსებობს ჯგუფი, რომელიც ამაზეა ორიენტირებული, ვგულისხმობ იური კვირკველიას ჯგუფს. არიან სხვებიც ქვემო ქართლში. ეს ჯგუფები ამ საკითხს ყოველთვის აყენებდნენ.

**– მაგრამ ამან აჟიოტაჟი ახლა გამოიწვია, რატომ?**

– აჟიოტაჟი ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიწვია იმან, რომ რეგიონული ენის სტატუსის საკითხი დააყენა „რესპუბლიკური პარტიის" რეგიონულმა წარმომადგენელმა საკრებულოში. თუმცა ადრეც იგზავნებოდა ამ შინაარსის წერილები საქართველოს პარლამენტში და მათ საკრებულოს წევრებიც აწერდნენ ხელს. სხვათა შორის, ამჟამად ეს მოთხოვნა აბსოლუტურად მოულოდნელი აღმოჩნდა „რესპუბლიკური პარტიის" ხელმძღვანელებისთვის. გეტყვით მეტსაც, მოულოდნელი გახდა პარტიის ხელმძღვანელისთვის ადგილზე, ახალქალაქში. ჩემი მეგობარია და ვიცი. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ამ ადამიანს ან დაავალეს ამ გადაწყვეტილების მიღება, ან თავად გამოიჩინა პოლიტიკური ინიციატივა თავის გამოჩენის მიზნით. მთავარი მაინც ის არის, თუ რა წერია ამ დოკუმენტში. კერძოდ, ის, რომ რეგიონულ ენებს უნდა მიეცეთ განსაკუთრებული სტატუსი.

**– და რა არის ეს რეგიონული ენა, განმარტა ვინმემ?**

– საქმეც ეს არის: იქ არ არის მითითებული, თუ რომელ ენებს უნდა მიეცეთ რეგიონულის სტატუსი. სომხური საერთოდაც არ არის ნახსენები, ამიტომ უნდა მივუთითოთ, რომელ რეგიონულ ენებს უნდა მიეცეთ ეს სტატუსი და რა არის ეს რეგიონული ენა.

**– არ არის განმარტებული ქარტიაში, რას ნიშნავს რეგიონული ენა?**

– ქარტია ზოგადი შინაარსისაა და იქ ასეთი რამ განმარტებული არ არის. ამას მოჰყვება ცალკე დოკუმენტი, რომელიც განმარტავს. ესეც ზოგადია, იმიტომ რომ ყველა ქვეყანა თავად ადგენს რეგიონულ ენებს. პირადად ჩემთვის რეგიონული ენა არის ენა, რომელზეც ლაპარაკობს კონკრეტული ადამიანების ჯგუფი და რომელიც სხვაგან არ არის სახელმწიფო ენა. ამ შემთხვევაში, მეგრულსა და სვანურს ბევრად მეტი უპირატესობა აქვს, თუ ენებად ჩავთვლით, ვიდრე სომხურსა და აზერბაიჯანულს. საქმე ის არის, რომ სვანური და მეგრული არ მიიჩნევა ცალკე ენებად, ეს არის ქართული ენის ნაწილი. ჩემი აზრით, ქართული ენა წარმოიშვა მეგრულიდან და სვანურიდან. ამდენად, ეს არის ქართული ენის აკვანი, დვრიტა. მოკლედ, ასეა თუ ისე, განსასაზღვრია, რა არის რეგიონული ენა, განეკუთვნება თუ არა სომხური და აზერბაიჯანული ამ რეგიონულ ენებს.

**– რუსული და ბერძნულიც შეიძლება, მივაკუთვნოთ ასეთივე წარმატებით, იმიტომ რომ ამ ენებზე მოლაპარაკე და კომპაქტურად მცხოვრები მოსახლეობაც გვყავს.**

– რასაკვირველია, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ რუსულად და ბერძნულად სხვაგან არსად ლაპარაკობენ. ჩემთვის, მაგალითად, დუხობორები უნიკალური ეთნოსია, თავისთავად კულტურული ძეგლია, იმიტომ რომ დუხობორების რაოდენობა პოსტსაბჭოთა სივრცეში ძალიან ცოტაა. ეს სულ სხვა თემაა, თუმცა მათი ენა რუსულია.

მეორე მხრივ, ამ ქარტიაში გამოკვეთილადაა ნათქვამი, რომ რეგიონული ენის მოვლა-შენარჩუნება და პატრონობა არ უნდა ხდებოდეს სახელმწიფო ენის ხარჯზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თეზისია, რადგან ნიშნავს, რომ სახელმწიფო ენა არ უნდა იყოს შეზღუდული ამა თუ იმ რეგიონში. თუ ახალქალაქში სახელმწიფო ენა იქნება ჩინოვნიკების ენაც და, თუ მიმოწერა იქნება ქართულ ენაზე არა მხოლოდ ცენტრთან, არამედ ერთმანეთთან, მაშინ შესაძლებელია, ამაზე ვიფიქროთ, მაგრამ, რადგან დღეს ჯავახეთში ქართულის შესწავლა და გამოყენება რთულ მდგომარეობაშია, არანაირი საფუძველი არ არის, რომ ამ ინიციატივას ავყვეთ.

მე არ ვამცირებ ამით სომხურ ენას, მაგრამ მოვიყვან მაგალითს, სხვათა შორის, ჩემს გასალანძღავს: აზერბაიჯანსაც აქვს ხელი მოწერილი ამ ქარტიისთვის, მაგრამ არ აქვს რატიფიცირებული. თუ აზერბაიჯანში ვინმე იტყვის, რომ ისტორიულ საინგილოში რეგიონული ენა უნდა იყოს დომინანტი, ეს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არ იქნება სწორი. მე ვფიქრობ, რომ იქ აზერბაიჯანული ენა უნდა იყოს დომინანტი, იმიტომ რომ ის სახელმწიფო ენაა, ქართულ ენას კი უნდა ჰქონდეს კულტურული ავტონომია. უნდა გითხრათ, რომ ყველა ინგილომ არაჩვეულებრივად იცის აზერბაიჯანული ენა.

**– აბა, სხვანაირად ვერ იცხოვრებს აზერბაიჯანში.**

– მაშინ, როდესაც ჩვენ ჩვენთან მსგავსი ვითარება არ შეგვიქმნია. ამიტომაც ვამბობ, საკითხი ზედმიწევნით უნდა შევისწავლოთ, უნდა განვსაზღვროთ არა მხოლოდ უსაფრთხოების საკითხები, არამედ საქმის განვითარების ლოგიკა და მივცეთ რეკომენდაციები ხელისუფლებას. ამას არავინ აკეთებს და ყველანი, მათ შორის, ჟურნალისტებიც, პანიკაში ცვივდებიან.

**– მე ნამდვილად არ ვვარდები პანიკაში.**

– ცივი გონებით, მშვიდად უნდა მივუდგეთ საკითხს და ეს პრობლემა მოიხსნება.

**– 1999 მოწვევის პარლამენტისთვის შემუშავებული იყო კანონპროექტი, რომელიც ამბობდა, რომ, მაგალითად, ჯავახეთში საქმის წარმოების ენა იქნებოდა სომხური და ქართული, ქვემო ქართლში – ქართული და აზერბაიჯანული, სულ მცირე, 5 ენა გამოგვდიოდა და იკარგებოდა კომუნიკაციის საშუალება რეგიონებს შორის. იმ ქვეყნებში, სადაც რატიფიცირებულია რეგიონული ენების ქარტია, იქ როგორ არის მოგვარებული ეს საკითხი?**

– მაგალითად, რეგიონული ენები არის სკანდინავიის ქვეყნებში, მაგრამ ისინი სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე ქვეყნებია. მაგალითად, ფინეთის სამხრეთ ნაწილში არის შვედური ანკლავი, ფაქტობრივად, ავტონომიის დონეზეა და, ამ ქარტიიდან გამომდინარე, შვედური არის სახელმწიფო ენის თანაბარი. ვიმეორებ, ფინეთი სახელმწიფოებრივი ტრადიციის ქვეყანაა და ვითომ ეს პრობლემა მოგვარებული აქვს, მაგრამ ეს ზედაპირულად. დღეს უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდისთვის ფინეთის ამ ნაწილში შვედური უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამიტომ, ქარტიის მიღებიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტი ახალგაზრდა მიიჩნევს, რომ მხოლოდ შვედურის ცოდნა საკმარისია, თუმცა ფინურია სახელმწიფო ენა, რომ წავიდეს შვედეთში და უკან აღარ ბრუნდება. ვიღაცამ შეიძლება, თქვას, ძალიანაც კარგი, წავიდნენ სომხები სომხეთში, აზერბაიჯანელები – აზერბაიჯანში და ასე შემდეგ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ფინეთი ჩამოყალიბებული სახელმწიფოა, პრობლემა იქმნება. გამოდის, რომ ფინეთში მოდის თაობა, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, რაც არასდროს მომხდარა ფინეთის ისტორიაში. არა მხოლოდ განაპირა რაიონი, ჰელსინკიც კი ყოველთვის ორენოვანი იყო, მაგრამ ახლა ასე აღარ არის: ფინელებმა ფინური იციან, შვედებმა – შვედური, რაც არის სახელმ-

# ნერვული სისტემის მოშლილობისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების მკურნალობა უნიკალური მეთოდებითა და უსწრაფესი შედეგებით




**თუ თქვენს ჯანმრთელობაში ეჭვი გეპარებათ და სასწრაფოდ გჭირდებათ საიმედო მკურნალის ხელი, დაუყოვნებლივ მიაკითხეთ ექიმ თინათინ მაჩაიძეს, რომელიც განუმეორებელი და შეუდარებელი კომპლექსური მეთოდებით მკურნალობს. აქვე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ იმ დაავადებებს, რომლებსაც ქალბატონი თინათინი უკვე ათეული წლებია, მის მიერვე დასმული დიაგნოზის შემდეგ, წარმატებით მკურნალობს. ესენია: ნერვული სისტემის მოშლილობა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა: ნევროზები, შიშები, აკვიატებული აზრები, თავის ტკივილი, უძილობა, მოთენთილობა, გაბრუება, ენერგიის ნაკლებობა, დეპრესია, ღამის უნებლიე შარდვა (ენურეზი), ოსტეოქონდროზი, მარილები, რადიკულიტი, ნერვის ანთება, კუჭ-ნაწლავისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებები, ალერგიები და რაც ყველაზე მთავარია, თინა ექიმი წმენდს დაბინძურებულ აურას და ასუფთავებს ბიოველს. ასევე, გეტყვით, რომ თინა ექიმის მკურნალობის უტყუარმა მეთოდმა პაციენტის ფოტოსურათზეც გაჭრა, მის დაუსწრებლად, რაც სასწაულის ტოლფასია.**

**რადგან თინათინ მაჩაიძეს საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარს, მის მადლიერ პაციენტებს მოვუსმინოთ:**

**თეონა კალანდარიშვილი** ***(40 წლის):*** ნევროზის უმძიმესი ფორმით ვიყავი დაავადებული. მაწუხებდა შიშები, ჰაერის უკმარისობა, შინაგანი კანკალი, სხეულის სიმძიმე, თავის ტკივილი, გაბრუება, მუდმივად ცუდის მოლოდინში ვიყავი. ხალხმრავლობას ვერ ვიტანდი. ამ სატანჯველისგან ქალბატონი თინათინის წყალობით გავთავისუფლდი. გულით ვლოცავ ამ მართლაცდა ღვთისნიერ მკურნალს და ულრმეს მადლობას ვუხდი!

**ილია კაკაურიძე** ***(54 წლის):*** ქალბატონ თინათინთან ნაღვლის ბუშტის ანთებამ და კუჭ-ნაწლავის პრობლემებმა მიმიყვანა. მასთან მისვლა ჩემმა მეგობარმა მირჩია. ისე აქებდა და ისეთი მადლიერებით იხსენებდა მას, რომ რწმენა გამიჩნდა. მაგრამ, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ, სრულიად ჯანმრთელი ვარ!

**ვახტანგ თარგამაძე** ***(44 წლის):*** ჩემი დაავადება რადიკულიტი და ნერვის ანთება იყო. ამ დაავადებამ ახალგაზრდა კაცი თითქმის ავადმყოფად მაქცია. განკურნების იმედი დავკარგე. სხვადასხვა სახის მეთოდები მირჩიეს, მაგრამ შედეგი ვერაფერმა გამოიღო. ქალბატონ თინათინთან მეუღლემ მიმიყვანა. მართალი გითხრათ, განკურნების იმედი არ მქონდა, მაგრამ რამდენიმე სეანსის შემდეგ, უკვე შვება ვიგრძენი და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდი. მადლობა ჩემს გადამრჩენელ ქალბატონს!

**მარიამ გიორგაძე** ***(51 წლის):*** საშინელი ალერგია მქონდა ბოლო წლებში. გაზაფხულის დადგომასთან ერთად ალერგიის შეტევა მიძლიერდებოდა, რასაც მაღალი წნევაც დაემატა. ქალბატონ თინათინთან მკურნალობის შემდეგ მთლიანად აღმიდგა ჯანმრთელობა.

**ზაურ ნემსაძე** ***(63 წლის):*** ქალბატონ თინასთან ჩემმა შვილებმა მიმიყვანეს. საშინელ მდგომარეობაში ვიყავი: მაწუხებდა გულის არითმია, სისხლძარღვების შევიწროება, შაქრიანი დიაბეტი. არ მქონდა სიცოცხლის ხალისი. სამი სეანსის შემდეგ შვება ვიგრძენი. სულ 15 სეანსი დამჭირდა. გთხოვთ, ყველამ იწამოთ და დაიჯეროთ სასწაულის, რომელსაც ქალბატონი თინათინი უშურველად გასცემს.

**მაია თვალჭრელიძე** ***(35 წლის):*** თინა ექიმთან თქვენი ჟურნალის მეშვეობით მოვხვდი. ამიტომ, თქვენს მკითხველს მინდა ვუამბო ჩემი ისტორია: ორი შვილის დედა ვარ, ბედნიერი ოჯახი მქონდა, მაგრამ ჩემმა მეუღლემ სხვასთან წასვლა არჩია, რამაც საშინელ დეპრესიაში ჩამაგდო. თავის მოკვლაც ვცადე. ამქვეყნად თინა ექიმმა დამაბრუნა. სიცოცხლის ხალისიც მაქვს და რწმენაც გამიჩნდა. მე და თინა ექიმი დავმეგობრდით და ახლა ჩემი ვაჟი დამყავს მასთან ნაღვლის ბუშტის პრობლემების გამო. ულრმესი მადლობა თინა ექიმს და თქვენს ჟურნალს!

**თამუნა ახობაძე**

**მისამართი: წერეთლის გამზირი, №71-ის მოპირდაპირედ. გზის მეორე მხარეს. „ბანკ რესპუბლიკის" კორპუსი, მე-2 სადარბაზო, I სართული.**
**ტელეფონები: 599-58-69-47, 555-12-78-30, 555-96-44-21, 235-18-68 (ოფისი).**

---

წიფოს რღვევის საფუძველი. ჩვენ ასეთი სახელმწიფოებრივი ტრადიცია და კულტურა არ გვაქვს. ამდენად, ჩვენთან ძალიან რთული იქნება ასეთი ენობრივი ეკლექტიკის შექმნა. ეს კიდევ უფრო დააცილებს ქვეყნის რეგიონებს ერთმანეთისგან.

**– ცალსახაა, რომ ჩვენ ვერ შევქმნით პირობებს სხვა სახლმწიფოების მოქალაქეების აღზრდისთვის. ექსპერტთა ჯგუფში, რომელიც დაადგენს რეგიონული ენის რაობას, უნდა იყვნენ უმცირესობების წარმომადგენლები?**

– არსებობს თბილისური სომხური ინტელიგენციის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, მოქართულე და ძალიან დიდი ლიტერატორი გივი შაჰნაზარი. თუ ასეთი კომისია შეიქმნება, ასეთი ადამიანები უნდა იყვნენ იქ. საქმე ის არის, რომ გივი შაჰნაზარისნაირი სომხური ბარე ორმა თბილისელმა სომეხმა არ იცის. გასაგებია, რომ სომხების ნაწილი იტყვის, ისე გავაკეთოთ, როგორც ხელისუფლება იტყვის, ნაწილი თავს დადებს, ასე არ გავაკეთოთო. ამიტომ მიდგომა უნდა იყოს სახელმწიფოებრივი: რა უფრო მომგებიანია სახელმწიფოსთვის, ამის კულტურაც არ გვაქვს, მაგრამ აქეთკენ სვლა უნდა დავიწყოთ. ყაყანისა და ისტერიკის გარეშე უნდა ვიმსჯელოთ. საჭიროა, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი სპეციალისტებისგან, ხაზს ვუსვამ – სპეციალისტებისგან. ხაზს გავუსვამ!

**– დაგვრჩა სპეციალისტები?**

– თითო-ოროლა კიდევ არის, იმდენი დილეტანტი გვყავს საქართველოში, რომ უკვე დავილალეთ.

**– ოსური?**

– ჯერ ერთი, ოსებს ავტონომია აქვთ და კანონის მიხედვით, ოსურ ენას თავისი სტატუსი ჰქონდა, რაც 1989 წელს მიენიჭა. გარდა ამისა, ოსებს აქვთ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი რუსეთის ფედერაციაში, ამიტომ რეგიონულ ენად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ ჩვენ უნდა შევუწყოთ ხელი ისეთი ენის შენარჩუნებას, როგორიც არის ასირიული, იმიტომ რომ სახელმწიფოებრივი სტატუსი არსად არ აქვთ, ასევე, ქურთული, უდური. 120 უდელია დარჩენილი საქართველოში და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათი ენა შენარჩუნდეს. სხვათა შორის, ჩვენი სასიქადულო მსახიობი გურამ საღარაძე ნახევრად უდელი იყო. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, ეს მცირე ენები შევინარჩუნოთ, მაგრამ ეს არ ეხება იმ ენებს, რომლებსაც აქვთ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები.

**სომხების ნაწილი იტყვის, ისე გავაკეთოთ, როგორც ხელისუფლება იტყვის, ნაწილი თავს დადებს, ასე არ გავაკეთოთო. ამიტომ მიდგომა უნდა იყოს სახელმწიფოებრივი: რა უფრო მომგებიანია სახელმწიფოსთვის**

**– ერთია, რომ ქარტიაში არ წერია, რა კრიტერიუმით უნდა მივიჩნიოთ რეგიონულად ესა თუ ის ენა, მაგრამ ევროპელების რეკომენდაცია როგორია? რას ითხოვენ ჩვენგან? იმას ვგულისხმობ, თუ არის ზეწოლა კონკრეტული მიმართულებით?**

– არის, მაგრამ ეს უფრო საზოგადოებრივი ზეწოლაა. პოლიტიკასთან ასოცირებული არასამთავრობო სექტორი, ევროპის ძლიერი არასამთავრობო ინსტიტუტები ცდილობენ ზეწოლას.

**– რა კუთხით?**

– რომ რეგიონული ენა არის ის, თუ მასზე საუბრობს ხალხი, რომელიც უმრავლესობაშია ამა თუ იმ რეგიონში. ეს აბსურდია. არადა, ამას მე მეუბნება ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ უელსელები არ ლაპარაკობდნენ კელტურ ენაზე, შოტლანდიელებს კი მუდმივად უქმნის პრობლემებს ენასთან მიმართებაში. მაგალითად, ამას მეუბნება ბელგიელი, რომელსაც ფლანდრიულისთვის ვერ მიუხედავს ან ჰოლანდიელი: ყოველი მესამე ჰოლანდიელი ლაპარაკობს გერმანულად, მაშინ მისცენ გერმანულს რეგიონული ენის სტატუსი?! ფლანდრიულისა და ფრანგულის გამო ბელგია ლამის შუაზე გაიყოს. ამის გამო მუდმივი კონფლიქტია და რომ არა სამეფო დინასტია, ბელგია კარგა ხნის წინათ გაიყოფოდა. ან რომელმა ესპანელმა უნდა გაბედოს და რამე გვითხრას, როდესაც კატალონიურის პრობლემაც აქვთ და ბასკურისაც?! ასევე, ამ ლოგიკით, უამრავი რეგიონული ენაა საფრანგეთში.

**– ანუ მაგრად უნდა დავდგეთ?**

– დიახ, ოღონდ მაგრად დგომა ნიშნავს პროფესიონალურად დგომას, უნდა გვქონდეს მყარი არგუმენტები, უნდა ვიცოდეთ სხვა ქვეყნების ისტორია, მაგალითად, რატომ არ აქვს რატიფიცირებული ეს ქარტია გერმანიას?! უნდა ვიკამათოთ და ავუხსნათ ყველას, რა ხდება: სპეციალისტები არ გვყავს თუ ინგლისური არ ვიცით?!

საერთაშორისო ორგანიზაციებს აქვს თვისება, ურთიერთგამომრიცხავი რაღაცეები ჩაწერონ საერთაშორისო დოკუმენტებში. მაგალითად, გაგახსენებთ გაეროს შესაბამის მუხლებს ერთა თვითგამორკვევისა და საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ. ასევეა ეს ქარტიაც: ერთი მხრივ, რეგიონული ენაც უნდა იყოს და, მეორე მხრივ, ამით არ უნდა შეიზღუდოს სახელმწიფო ენა. ისეთ სუსტ სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა, ეს გამოიწვევს ბაქანალიას, ამ დროს კი, ქართველი პოლიტიკოსები რით არიან დაკავებული? ერთმანეთზე ჩივილით, იმის ნაცვლად, რომ საქმე აკეთონ.

**ნინო ხაჩიძე**

**რიგ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო, ჩვენი თანამოქალაქეების ნაწილმა თავისი საცხოვრებელი უკვე დაკარგა, ნაწილი კი დაკარგვის მოლოდინშია. სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად იუსტიციის სამინისტროში სპეციალური ჯგუფი შეიქმნა, რომელიც იპოთეკური სესხების გამო შექმნილ საკითხებზე მუშაობს, აღსრულების ეროვნულ ბიუროში კი სპეციალური საინფორმაციო გადაცემები მზადდება, რომელთა საშუალებითაც მოქალაქეებს განუმარტავენ, თუ რა რისკებს შეიცავს იპოთეკური ხელშეკრულებები. ერთი მხრივ, ფაქტია, რომ ბანკები თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, განსაკუთრებით, კერძო მევახშეები საკმაოდ დაუნდობლად ექცევიან იპოთეკარებს, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ზოგჯერ არც იპოთეკური სესხის ამღები მოქალაქეა ფრთიანი ანგელოზი (იმ მარტივი მიზეზით, რომ იპოთეკური სესხის აღება მისთვის არავის დაუვალდებულებია). პრობლემის წარმოშობის მიზეზებსა და გადაწყვეტის გზებზე აფბას პრეზიდენტ ნოდარ ჭიჭინაძესთან ვისაუბრებთ.**

# რატომ იღებს ქართველი მომხმარებელი სესხს ისეთი პირობებით, როდესაც უკან ორმაგის დაბრუნება უწევს და როგორ ახერხებენ ქართული ბანკები კლიენტების ჯიბეებიდან ფულის მოხერხებულად ამოცანცვლას

**– რა ვითარებაა იპოთეკური სესხების ბაზარზე დღეის მდგომარეობით?**

– გავეცანი ინფორმაციას, რომ ეკონომიკური სამინისტრო აპირებდა, გამოექვეყნებინა ზუსტი სტატისტიკა, თუ რა წილი მიუძღვის ამ პროცესში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ბანკებს, კერძო მევახშეებს. ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს, თუმცა არსებობს სტატისტიკა, რამდენ ოჯახს ემუქრება გამოსახლება; 500 ოჯახი დგას გამოსახლების საფრთხის წინაშე და ამას გარდა, არიან ადამიანები, რომლებიც დღეს არ გამოუსახლებიათ, მაგრამ ყველა წინაპირობაა საიმისოდ, რომ მათაც შეექმნებათ იგივე პრობლემა უახლოეს მომავალში. მთავრობის ახალი გუნდის დაპირებაც იყო და დღესაც აცხადებენ, რომ მზად არიან ეს პრობლემა მოაგვარონ, თუმცა პრემიერ-მინისტრმა გასულ კვირას განაცხადა, რომ ძალიან რთულია ამ საკითხის მოგვარება და ასე მარტივად მისი გადაწყვეტა შეუძლებელია.

**– მეც ჩავდებ იპოთეკაში სახლს, ვეღარ გადავიხდი და შემდეგ სახელმწიფოს იმედზე ვიქნები?**

– არ უნდა შეიქმნას იმის პრეცედენტი, რომ, მაგალითად, მოდი, ჩავდებ ბინას, თუ არ გამიმართლა, სახელმწიფო გვერდში დამიდგება. ვფიქრობ, ის პოლიტიკა, რასაც ახალი მთავრობა ატარებს, ერთი მხრივ, წარსულში მომხდარი პრობლემის გადაჭრისკენ უნდა იყოს მიმართული და, მეორე მხრივ, იმის პრევენცია, რომ მომავალში აღარ განმეორდეს. პრობლემა კი არ უნდა ჩაქრეს, არამედ საერთოდ უნდა გავანადგუროთ. ვგულისხმობ იმას, რომ სახელმწიფოს მხრიდან უნდა გაძლიერდეს რეგულაცია ამ სექტორზე და ის არგუმენტი, რომ არავის დაუვალდებულებია კონკრეტული ადამიანი ბინის ჩადებაზე, არ უნდა იყოს თავის გასამართლებელი.



მსოფლიოს უდიდესი და გამოცდილი ფინანსისტები აღიარებენ, რომ მთავარი პრინციპია, არ აიღო შემოსავალზე მეტი სესხი

**– მშრალად რომ შევხედოთ საკითხს, დასჭირდა ადამიანს თანხა, არაფერი აქვს ბინის გარდა, დატვირთა იპოთეკით და მიიღო თანხა. თვითონ საბანკო ხელშეკრულებაში როგორაა, ამარტივებს ბანკის მიერ მევალისთვის ბინის ჩამორთმევას?**

– მსოფლიოში სესხების გაცემის მთავარი პრინციპია უზრუნველყოფა, ვიცით და ვნახეთ, რა მოუტანა მსოფლიო ეკონომიკას არაუზრუნველყოფილმა სესხებმა. მთავარი პრობლემა, რასაც მე ვხედავ, გნებავთ, ბანკებთან, გნებავთ, მიკროსაფინანსოებთან მიმართებაში არის ის, რომ კლიენტის მიმართ, რომელსაც სესხის გადახდის პრობლემა ექმნება, შემდგომი ღონისძიებები არის საკმაოდ მკაცრი: ვგულისხმობ ჯარიმებს ვადაგადაცილებაზე, სხვადასხვა სანქციებს, რომელიც, ფაქტობრივად, ჩაქოლვას ჰგავს. ჩაიმუხლა ადამიანმა და იმის ნაცვლად, წამოვეშველოთ, რომ გადახდისუნარიანი გახდეს, რაც ხელს უნდა აძლევდეს საფინანსო ორგანიზაციას, არსებული ჯარიმებით, მას მიწასთან ასწორებენ. ვერ ვიტყვი, რომ ამაში არის ბანკების ინტერესი, რადგან არის შემთხვევები, როდესაც ბანკი ცდილობს რაღაც გამოსავლის მოძებნას კლიენტთან ერთად, თუმცა ზოგადად კლიენტის ჩაქოლვის პრობლემა არსებობს.

**– როგორც ვიცი, მევახშეები უფრო მკაცრადაც ექცევიან, ვიდრე საფინანსო ორგანიზაციები?**

– ვიცი რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კერძო მევახშეებს ძალიან იაფად დაუსაკუთრებიათ უძრავი ქონება. მეორე მხრივ, ბუნებრივია, არავის დაუვალდებულებია მსესხებელი, ჩაედო თავისი უძრავი ქონება, მაგრამ, ვფიქრობ, სახელმწიფო ამ კუთხით უნდა ჩაერიოს. შესაძლოა, ამან ულტრამემარჯვენეების პროტესტი გამოიწვიოს, მაგრამ ყველა სფეროში აბსოლუტურად მემარჯვენე პოზიციის დაჭერა გაუმართლებელია.

**– თან ისეთ საზოგადოებაში, რომელიც არ არის მიჩვეული საბაზრო ურთიერთობებს.**

– არის განვითარებული ქვეყნების მსოფლიო პრაქტიკა, რის მიხედვითაც რეგულირდება ისეთი სფეროები, სადაც არასწორმა ქმედებებმა შეიძლება, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მოსახლეობას ან საზოგადოებას. იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა კომისია, რომელსაც მოსახლეობის ცოდნის ამაღლებაც ევალება ამ მიმართულებით, რაც, საბოლოოდ, მიგვიყვანს იქამდე, რომ ასეთი პრობლემები აღარ შეიქმნება და ჯერჯერობით ამ პროცესებში სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს.

**– გვაქვს სტატისტიკა, რა რაოდენობის ქონება გადავიდა საფინანსო ორგანიზაციების ხელში?**

– ახლაც მოვიძიე და ეროვნული ბანკის საიტზეც არ იყო უახლესი სტატისტიკა, ბანკებმა რა ოდენობის ქონება დაისაკუთრეს, რა ღირებულების უზრუნველყოფილი ქონება გადავიდა მათ ხელში. 2011 წლის შემდეგ ახალი მონაცემები არ არსებობს, თუმცა იყო საბანკო ასოციაციის პრეზიდენტის განცხადება, რომ 751 ერთეული უძრავი ქონება გადასული ბანკების ხელში.

**– არ არსებობს თუ არ აქვეყნებენ?**

– რა თქმა უნდა, არსებობს, იმიტომ რომ საბანკო სისტემაში ყველანაირი ინფორმაცია აღირიცხება. ველოდებით, რომ ეკონომიკის სამინისტრო გამოაქვეყნებს ამ სტატისტიკას.

**– უცხოეთში როგორ არის მოგვარებული იპოთეკური სესხების გაცემის პრობლემა?**

– ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც იყო იპოთეკური კრიზისის კერა, როგორც ჩვენს შემთხვევაში, სახელმწიფომ ჩარევაზე ფიქრი მას შემდეგ დაიწყო, რაც პრობლემა დადგა და მოსახდენი მოხდა. მაშინ, როდესაც წინა პერიოდში მაქსიმალურად მიუშვეს პროცესები თავის ნებაზე, რეგულირება მინიმუმამდე დაიყვანეს და ეს არ არის მხოლოდ ბოლო წლების ტენდენცია. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში ფინანსური სექტორის რეგულირების შერბილება და მივიღეთ ის შედეგი, რაც მივიღეთ.

**– მგლებმა კრავები შეჭამეს?**

– შემდეგ ახალი პრეზიდენტის პირობებში დაიწყო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, გაიცა მრავალმილიარდიანი და ტრილიონიანი კრედიტები ბანკებისთვის, რომ გადაერჩინათ ისინი. როგორც წესი, აქცენტი აქაც საბანკო სექტორზე გაკეთდა, თუმცა რამდენიმე ბანკი მაინც გაკოტრდა, მაგრამ საბანკო სექტორი მეტ-ნაკლებად გადარჩა, ოღონდ განსხვავებით საქართველოსგან, სადაც მთავარი აქცენტები ბანკების მხარესაა გადატანილი. ამერიკის მთავრობამ ბანკებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში აუკრძალა ჩადებული უზრუნველყოფის რეალიზაციის უფლება. კრიზისის გამო ცუდ დღეში ჩავარდა როგორც ბანკი, ისე მსესხებელი და მთავრობამ აიძულა ბანკები, არ მოეხდინა ამ ქონების რეალიზაცია, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე. ჩვენთანაც დაეხმარნენ ბანკებს საფინანსო კრიზისისა და ომის დროს, თუმცა ეს მოხდა სხვადასხვა სექტორის როგორც ფინანსური, ისე მორალური ზიანის ხარჯზე და დაიწყო ის პროცესი, რამაც მოგვიყვანა ამ რეალობამდე.

**– ჩვენთან იპოთეკური სესხი ყველაზე დაბალია, თუმცა მსოფლიოს ფონზე მაინც მაღალია.**

– იპოთეკური კრედიტი სხვა სესხებთან შედარებით ყველა ქვეყანაში იაფია, რადგან საბანკო რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს: ამ მხრივ, ქართული რეალობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. თავი რომ დავანებოთ მევახშეებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, სადაც წარმოუდგენლად მაღალი საპროცენტო განაკვეთებია. ორმაგის დაბრუნება გიწევს წლის ბოლოს და ჩემთვის გაუგებარია, რა მოტივით უნდა აიღო კერძო მევახშეებისგან სესხი, როდესაც ერთი წლის თავზე ორმაგი და მეტი თანხა უნდა დააბრუნო?! ბანკებშიც კი საშუალოდ, საუკეთესო შემთხვევაში, 11 პროცენტია.

**– ეს ზუსტად 11-ია?**

– ნომინალურად 11-ია, თუმცა ეფექტური განაკვეთი უფრო მაღალია, დამტკიცების, სესხის მომსახურების საკომისიოს გათვალისწინებით. ქართული იპოთეკური კრედიტი გაცილებით ძვირია, თუნდაც, საშუალო ევროპულ არათუ იპოთეკურ, არამედ სამომხმარებლო და ბიზნესსესხებზე. ჩვენს ორგანიზაციას არაერთხელ უაქტიურია იმის გამო, რომ საქართველოში ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთია. მათ შორის, იპოთეკაზე. პირდაპირი შედარება არამართებულია, მაგრამ, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეს მაქსიმუმ 3-4 პროცენტად შეუძლია იპოთეკური სესხის აღება, ჩვენთან 10 პროცენტიდან იწყება, უკეთეს შემთხვევაში და, საშუალოდ, 12-13 პროცენტად თუ მოხერხდა იპოთეკური სესხის აღება, დიდ წარმატებად მიიჩნევა. როდესაც მეზობელ თურქეთში 12 პროცენტი რომ უხსენოს ბანკმა, აღარასდროს გაეკარება კლიენტი, ჩვენთან კი ითვლება, რომ ეს დაბალი განაკვეთია.

**– ვთქვათ, სახელმწიფო მიეხმარა მსესხებლებს, რომ გადაუვადოს სესხის გადახდის ვადა, მაგრამ, თუ მსესხებელს ფული არ აქვს, გადავადების შემდეგ საიდან ექნება?**

– პირადად მე არ ვეთანხმები, რომ საფინანსო

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ნინო ქურციკიძე** *(56 წლის, დიასახლისი).*

**დიაგნოზი**: კისრის მალთაშუა დისკოზი. 16 წელია, ეს დაავადება მაწუხებს. პირდაპირ გეტყვით, სული გამიმწარა. გამუდმებით მტკიოდა კისერი, ღამით ბალიშზე ვერ ვისვენებდი. ტკივილი გადადიოდა კეფაზე, ზურგის ზედა ნაწილში, ცალ მხარში, მკვლავში, თითებამდე ჩამოდიოდა და ორი თითი მუდმივად დაბუჟებული მქონდა. სად არ ვიყავი, რით არ ვიმკურნალე, მაგრამ... ახლა კი დღე და ღამე მანანა ექიმის ლოცვაში ვარ. კიდევ კარგი, მოვედი... ორ-სამ დღეში ჩემი ტკივილების ნახევარი მომეხსნა, ერთ კვირაში მთლიანად გაქრა. ასევე, შემცირდა დაბუჟება. კისერს თავისუფლად ვამოძრავებ, ვსაქმიანობ, დამირეგულირდა მაღალი წნევა. თითქოს მხედველობაც გამიუმჯობესდა. ასეთ შედეგს ნამდვილად არ ველოდი...

**გოგა მჭედლიძე**, *(ეკონომისტი. თბილისი).*

**დიაგნოზი**: დისკოგენური ლუმბო-იშიალგია (L4-L5-L1). დიდი ხანია, წელის ტკივილი მაწუხებდა. დიდად არ ვაქცევდი ყურადღებას. ერთი თვის წინ სიმძიმე ავწიე და ვიგრძენი, როგორ გაწყდა წელში რაღაც და ველარ გავიმართე. მეორე დღეს ტკივილი ფეხში გადავიდა და ველარ დავდექი; ექიმი სახლში მომიყვანეს. გამაყუჩებელი ნემსები დამინიშნა და მირჩია კომპიუტერული გამოკვლევა გამეკეთებინა. გამოკვლევამ ორი დისკის გამოვარდნა აჩვენა და ოპერაცია მირჩიეს. შემეშინდა... ახლობელმა ამ კლინიკაში მომასწავლა. საოცრად თბილი და ყურადღებიანი ატმოსფერო დამხვდა. მკურნალობა ძალიან შედეგიანი აღმოჩნდა – სამ დღეში მომეხსნა ტკივილები და დღეს (მე-9 დღე) ჩვეულებრივ დავდივარ. უღრმესი მადლობა პროფესიონალიზმისთვის მანანა ექიმსა და მის ვაჟს – სოსო ექიმს. თქვენ გაგიმარჯოთ!



**მარიამ ღონღაძე** *(75 წლის. თერჯოლა).*

**დიაგნოზი**: ორმხრივი გონართროზი.

– არ ვიცი, შვილო, როგორ დავლოცო ეს კეთილი ადამიანები. ღმერთი უშველით! რა დღეები გადავიტანე... ვერ დავდიოდი, ხელჯოხითაც კი ნაბიჯს ველარ ვდგამდი, მუხლები მტკიოდა, ღამით ძილი არ მქონდა. გამუდმებულმა ტკივილმა გული და ნერვები გამიფუჭა, გათენება აღარ მიხაროდა, მთელი წელია, ჟურნალებიდან ამონაჭრებს ვინახავდი და მანანა ექიმის სურათი ჯიბით დამქონდა. ბოლოს, შვილებმა აქ ჩამომიყვანეს და სასწაული მოხდა: ძალიან მალე, რამდენიმე დღეში, ხელჯოხი გადავაგდე, ღამითაც მშვენივრად მძინავს, თავისუფლად ვტრიალდები ლოგინში, ჩემს თავს ვუვლი... სხვისი ხელის შემყურე აღარ ვარ, შვილო. ვიცი, რომ 20 წლის ვერ გავხდები, მაგრამ, ის შედეგი, რაც მივიღე და, თან, ასე მალე, სასწაულს უდრის ჩემთვის. ღმერთო, დალოცე და გაახარე ჩემი მანანა ექიმი მის ოჯახთან ერთად!!!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედა-შვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**ნონა ვადაჭკორია** *(დიასახლისი, 28 წლის. თბილისი).* მრავალი წელია, შეკრულობა მაწუხებს, თითქმის ბავშვობიდან. ბოლოს კი დამეწყო ქვემოთ ტკივილი, სისხლდენა. ტკივილი თანდათან მიმატებდა, ცხოვრების ჩვეულ რიტმს მირღვევდა. ამ კლინიკაში მომასწავლეს. პროქტოლოგმა გამსინჯა და ნაპრალი დამიდგინა.

მანანა ექიმმა მალამოები გამატანა და ძალიან სწრაფი შედეგი მივიღე. პირველივე კურსზე ყველა ტკივილი მომეხსნა, კუჭ-ნაწლავიც საათივით ამიმუშავდა. მადლობის სათქმელად მოვედი.

**ზურა ღვინჯილია** *(44 წლის, მძღოლი. სენაკი).* ერთი წელი იქნება, ჩამოსვლა მინდოდა და ვერ მოვახერხე. ბოლოს მითხრეს, რომ ქირურგის დანა არ ამცდებოდა და ოპერაციის შიშმა მაიძულა, ჩამოვსულიყავი. ამ გადასახედიდან ვფიქრობ, აქამდეც უნდა ჩამოვსულიყავი. არ ვიცი, რატომ ვიტანჯავდი თავს. მაწუხებდა დისბაქტერიოზი, ბუასილის დიდი კვანძები, ტკივილი, ქავილი, სისხლდენა... ველარ ვჯდებოდი, სისხლდენამ ანემია დამმართა, ჰემოგლობინი 56-ზე დამივარდა, თვალები მიჭრელდებოდა და საჭესთან ველარ ვჯდებოდი, მეშინოდა.

ორი კურსი დამჭირდა, დღეს მკურნალობის ვამთავრებ და ძალიან, ძალიან კმაყოფილი მივდივარ, კარგი შედეგი მაქვს. აღარაფერი მაწუხებს – აღარც სისხლდენა, აღარც ტკივილი, აღარც წვა და ქავილი; დისბაქტერიოზზეც საუცხოო შედეგი მაქვს, ჰემოგლობინმა 72-მდე ამიწია. უღრმესი მადლობა. ქალბატონ მანანას, ბატონ სოსოს და მთელ კოლექტივს!

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*

**თამუნა ნიჟარაძე**

სექტორის ხარჯზე მოხდეს ამ ადამიანების დაკმაყოფილება და აქ ვაწყდებით დიდ პრობლემას: ერთი მხრივ, მოსაგვარებელია პრობლემა, რომ მოსახლეობა არ გამოასახლონ და, მეორე მხრივ, არ დაზარალდეს გამსესხებელი. ეს ორი ინტერესი, ფაქტობრივად, არ ემთხვევა ერთმანეთს. ფაქტია, აქ უნდა ჩაერიოს მესამე მხარე, რომელიც რაღაც დოზით თავის თავზე აიღებს ამ ვალდებულებას; შეიძლება, გარანტორად დაუდგეს მსესხებელს. ძალიან რთული მექანიზმია და პრემიერ-მინისტრიც კი აცხადებს, რომ პრობლემა უფრო რთული და მასშტაბური აღმოჩნდა.

**– შეიძლება, ამან გაართულოს მომავალში იპოთეკური სესხების გაცემა?**

– სესხის გაცემა უკვე გამკაცრებულია მას შემდეგ, რაც ბანკებმა 2008 წელს მწარე გამოცდილება მიიღეს. მანამდე კლიენტებს დასდევდნენ და, უხეშად რომ ვთქვათ, „ტენიდნენ“ კრედიტებს.

**– ახლაც გააქტიურდნენ, მესიჯებს მესიჯებზე აგზავნიან და იმეილს იმეილზე.**

– უფრო საკრედიტო ბარათების გაცემაზე არიან ორიენტირებული და ერთი შეხედვით, მიმზიდველ პირობებს სთავაზობენ კლიენტებს. ეს გამოიწვია იმან, რომ ფეხზე წამოდგა საბანკო სექტორი, მეტ-ნაკლები გაჯანსაღება შეინიშნება და ბანკებმა ამ პროცესებს აუწყვეს ფეხი. ბანკის ინტერესია, რაც შეიძლება, მეტი გაასესხოს და დაიბრუნოს ეს თანხა, თუ თანხად ვერა, იპოთეკის შემთხვევაში მიიღოს უზრუნველყოფა. პირადად მე, მომხრე ვარ, რომ ნებისმიერ საფინანსო ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს მყარად გარანტირებული უფლება იმისა, რომ სესხის ვერდაბრუნებისას უზრუნველყოფა უაპელაციოდ გახდეს მისი. მე ვფიქრობ, ამ ეტაპიდან მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს, რომ სესხის გაცემის მომენტში სწორად შეფასდეს მსესხებლის გადახდისუნარიანობა, ყველა პირობა უნდა მიეწოდოს მსესხებელს და შემდეგ მსესხებელი გადაწყვეტს, ღირს თუ არა სესხის აღება. როდესაც მსესხებელი 100 პროცენტით ინფორმირებული იქნება და მაინც აიღებს სესხს, უნდა მოხდეს გამოსახლებაც, იმიტომ რომ უკვე შენზეა დამოკიდებული, განაჩენი შენ გამოუტანე საკუთარ თავს.

**– თუმცა ჩვენთან ხშირია, როდესაც ადამიანები უბინაოდ რჩებიან იმის გამო, რომ ოპერაციისთვის სჭირდებოდათ ფული.**

– ყველას ჯანმრთელობას ვუსურვებ და არასდროს ჩავარდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ ჯანმრთელობის პრობლემის გამო მოუწიოს სესხის აღება. ეს საბანკო სფეროს პრობლემა არ არის, ეს სხვა სფეროს პრობლემაა.

**– თქვენც მიუთითეთ ინფორმაციის ნაკლებობაზე, რა უნდა იცოდეს პირმა, სანამ იპოთეკურ სესხს აიღებს და თავის უძრავ ქონებას ბანკის ვალით დატვირთავს?**

– უპირველესად, უნდა იცოდე საკუთარი შესაძლებლობები. მსოფლიოს უდიდესი და გამოცდილი ფინანსისტები აღიარებენ, რომ მთავარი პრინციპია, არ აიღო შემოსავალზე მეტი სესხი. თუ 1 000-ლარიანი ხელფასი გაქვს, 2 000-ლარიანი სესხის აღება გამართლებულია, მაგრამ, როდესაც სესხის უზრუნველყოფაში დებ ბინას, იღებ კრედიტს და ხარ უმუშევარი, დაბრუნება გაგიჭირდება და ადრე თუ გვიან, დღის წესრიგში დადგება შენი უძრავი ქონების რეალიზაციის საკითხი. ანუ, ჯერ ერთი, საკუთარი შესაძლებლობები უნდა შეფასდეს კარგად და, მეორე მხრივ, ბანკის მიერ შემოთავაზებული პირობები უნდა გაანალიზდეს, რასაც, მინიმუმ, კარგი იურისტი სჭირდება, იმდენად ჩახლართული პირობებია ხელშეკრულებაში. გავეცანი ერთ-ერთი ბანკის ხელშეკრულებას, რომელშიც თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული ჯარიმები იყო. როდესაც საბანკო სექტორის და ეკონომიკის განვითარებაზე გვაქვს პრეტენზია, ჩემი აზრით, მსგავსი პუნქტები ხელშეკრულებაში არ უნდა იდებოდეს. მაგალითად, მქონდა ერთ-ერთი ბანკის განვადების ბარათი და მიხაროდა, რომ 20 პროცენტად ვიღებდი სამომხმარებლო სესხს, მაგრამ იმდენი პირობა იყო ჩადებული, რომ, როდესაც დავითვალე, რეალური განაკვეთი 40 პროცენტზე მაღალი იყო. თუ ეს სიტუაცია გამოსწორდება, მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები ამას.

**– დასავლეთშიც ასე მარჯვედ აცლიან ბანკები კლიენტებს ჯიბეებიდან ფულს?**

– იქ ვახსენე კიდეც, რომ საპროცენტო განაკვეთი დაბალია და იმდენად გამჭვირვალეა საბანკო სექტორი, რომ ზედმეტს არავინ აპატიებს ბანკებს. გამჭვირვალობის ხარისხი და ფინანსური ეთიკის დონე გაცილებით მაღალია დასავლეთის ქვეყნებში და საქართველოც ნელ-ნელა წავა ამ მიმართულებით.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0 9 0 2 2 0 0 2 0 0

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია



**აფხაზეთის რესურსია ის მუქთა ფული, რასაც რუსეთისგან იღებს. არსებობს ეგრეთ წოდებული „ნავთობის წყევლა“, როდესაც ქვეყანას აქვს ნავთობი, მოიპოვებს და მეტი არაფერი სჭირდება**

**მას შემდეგ, რაც რუსული მავთულხლართები გაივლო, აფხაზეთის შესახებ მხოლოდ რუსული მედიის გავლით თუ შევიტყობთ. უფრო მეტიც, აფხაზი საზოგადოების წარმომადგენლები უშუალო კონტაქტს ერიდებიან (აქტივობით გამოკვეთილად პრორუსი აფხაზები გამოირჩევიან). თუმცა მაინც შევიტყვეთ, რომ ენგურს გაღმა სოციალური ფონი დამძიმდა, რამაც პოლიტიკური დაძაბულობაც გაამძაფრა. თითქოს დე-ფაქტო პრეზიდენტის ძალაუფლებას წყალი შეუდგა და ამის ერთ-ერთ მიზეზად კრემლის მიერ ანქვაბის უფრო მართვადი ფიგურით ჩანაცვლება სახელდება. ჩანაცვლების მოტივი კი საქართველოსთან ტერიტორიული მთლიანობით ვაჭრობისთვის ნიადაგის მომზადებაა. აფხაზურ პოლიტიკურ კულუარებში მიმდინარე პროცესების შესახებ აზრს ებრაელ პოლიტოლოგ აბრაამ შმულევიჩს დავეკითხეთ.**

# რატომ ნიშნავს ეკონომიკური განვითარება აფხაზეთისთვის დამოუკიდებლობის დაკარგვას და რატომ ეწინააღმდეგება ანქვაბი აფხაზეთის რკინიგზის გახსნას

**– რა პროცესები მიმდინარეობს აფხაზეთში, თითქოს უკმაყოფილებაა მოსახლეობის მხრიდან, მხოლოდ ეკონომიკურია თუ პოლიტიკურიც ურევია?**

– აფხაზეთში გარდამავალი სიტუაციაა, უკმაყოფილება გამოიხატა მიტინგების სერიით, იმით დაიწყო, რომ ელექტროენერგიის ტარიფი ორჯერ გაიზარდა და ამან მისცა ბიძგი გამოსვლებს. შემდეგ პოლიტიკური მოთხოვნებიც გაჩნდა: კარდინალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს მოითხოვენ. ფაქტობრივად, მთელი აფხაზური ოპოზიცია გაერთიანდა და ეს მოხდა პირველად. ტრადიციული ოპოზიციური პარტიებიდან ყველაზე თვალსაჩინოა „ერა“, რომელსაც სათავეში უდგას ბუთბა, ის სპეცწარმომადგენლადაა დანიშნული ლათინურ ამერიკაში, თუმცა ამ ფაქტს არ ახმაურებენ. ერთი სიტყვით, ყველა ოპოზიციური ძალა ერთი ფრონტით გამოდის და მათ აქვთ პოლიტიკური და ეკონომიკური მოთხოვნები. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ აფხაზეთში უძრაობაა და იქ უმუშევრობა 70 პროცენტს შეადგენს. აფხაზეთის ეკონომიკა არ ვითარდება, არანაირი საინვესტიციო პროექტები არ ხორციელდება, არ იქმნება სამუშაო ადგილები. უამრავ ადამიანს ველაპარაკე მოსკოვში, რომლებიც საინვესტიციო კომპანიებში მუშაობენ და ისინი ამბობენ, რომ აფხაზ ჩინოვნიკებთან საუბარი გამორიცხულია, იმიტომ რომ მათ არ სჭირდებათ არანაირი ინვესტიცია.

**– რით ხსნით ამას? შეიძლება, რომ ნორმალურ საზოგადოებას ინვესტიცია და მოდერნიზაცია არ სჭირდებოდეს?**

– რატომაც, არა?! ბევრ ქვეყანას არ სჭირდება მოდერნიზაცია და ინვესტიციები, მაგალითად, ასეთი იყო საბჭოთა კავშირი და ასეთია რუსეთი, საიდანაც ფული გარბის. უამრავი ქვეყანაა, რომლებიც აუცილებელი არ არის, ავტორიტარული იყოს, მაგრამ არ უნდა განვითარება.

**– რუსეთს აქვს რესურსები და შეუძლია, იარსებოს ამ რესურსით, აფხაზეთს კი რა რესურსი აქვს?**

– აფხაზეთის რესურსია ის მუქთა ფული, რასაც რუსეთისგან იღებს. არსებობს ეგრეთ წოდებული „ნავთობის წყევლა“, როდესაც ქვეყანას აქვს ნავთობი, მოიპოვებს ამ ნავთობს და მეტი არაფერი სჭირდება. უმეტესი ქვეყნები, რომლესაც ეს სიმდიდრე აღმოაჩნდათ, მათ შორის, რუსეთი და ნიგერია, ეკონომიკურ უძრაობაშია. აფხაზეთში ნავთობის როლს რუსეთის კაპიტალი ასრულებს.

**– დიდია თანხა, რომელიც რუსეთიდან მოდის აფხაზეთში? თითქოს უფრო მეტს აძლევენ ცხინვალის რეგიონსო?**

– აფხაზეთში ბევრი ფული მიდის რუსეთიდან, შესაძლოა, „იუჟნაია ოსეტიაშიც“ ბევრი ფული მიდის, მაგრამ იქ უფრო მეტის მოპარვაა შესაძლებელი. აფხაზეთში არსებობს ორგანიზებული ადგილობრივი ხელისუფლება, „იუჟნაია ოსეტიაში“ კი რუსი სამხედროები და მათი ოჯახის წევრები უფრო მეტნი არიან, ვიდრე ოსები და იქ ჩადებულ ფულს არავინ აკონტროლებს. ლაპარაკი იყო 60 მილიარდი რუბლის რუსული ინვესტიციების ჩადებაზე აფხაზეთის ეკონომიკაში. ეს დიდი ფულია, თუ აფხაზეთის სიდიდესა და მოსახლეობის რაოდენობას გავითვალისწინებთ. ეს ფული აფხაზურ ეკონომიკაზე მოქმედებს, როგორც „ნავთობის წყევლა“ და იქაურ ჩინოვნიკებს აღარ სჭირდებათ არანაირი ინვესტიცია და მოდერნიზაცია. ანქვაბმა მკაცრი სახელისუფლო ვერტიკალი ააგო და არც ერთი გადაწყვეტილება არ მიიღება მის გარეშე. ფაქტობრივად, ავტორიტარული სისტემაა. აფხაზი საზოგადოება საკმაოდ მცირერიცხოვანია და პატრიარქალური ტრადიციები არბილებს ამ ავტორიტარიზმს. დღეს აფხაზეთი საკმაოდ ავტორიტარული ქვეყანაა, სადაც ყველაფერი ერთ ადამიანზეა დამოკიდებული, რაც ბევრს არ მოსწონს.

**– ცხოვრების დონე გაუმჯობესდა 2008 წლის აღიარების შემდეგ თუ გაუარესდა?**

– აფხაზეთში არანაირი სოციოლოგია და სტატისტიკა არ არსებობს, ისევე, როგორც რუსეთში. რუსეთში სოციოლოგიური მონაცემები უფრო გასაიდუმლოებულია, ვიდრე სამხედრო ინფორმაცია. ჩემი შთაბეჭდილებით, სიტუაცია უარესდება, 70-პროცენტიანი უმუშევრობა თავისთავად მეტყველებს ბევრ რამეზე. არანაირი აფხაზური ეკონომიკა არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით საკურორტო სფეროს, რომელიც ძალიან დაბალ დონეზეა.

**– მათ ხომ აქვს საშუალება, რომ ივაჭრონ რუსეთთან სოფლის მეურნეობის პროდუქტით?**

– მანდარინებით?!

**– ღვინითაც. აფხაზურ ღვინოს, ქართულისგან განსხვავებით, უშვებენ რუსულ ბაზარზე.**

– აფხაზეთში არ არის მეღვინეობის მსხვილი კომპანიები, თან აფხაზური ღვინო იაფფასიანი ღვინის მომხმარებლისთვის გამოდგება, მაგრამ ეს არ არის მსოფლიო დონის ღვინო. ამიტომ რამე განსაკუთრებულ ფულს ღვინით ვერ გააკეთებ. ასე რომ, სავაჭრო დიდი არაფერია.

**– პუტინი შეხვდა ანქვაბს: ეს ანქვაბის მხარდასაჭერად გაკეთდა თუ რა აჩვენა ამით პუტინმა აფხაზებს?**

– ეს შეხვედრა სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ანქვაბისთვის, იმიტომ რომ მისთვის მნიშვნელოვანია ფულის მიღება მოსკოვისგან. მეტიც, ეს მისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. ფულის დეფიციტზე მიუთითებს ელექტროენერგიაზე ტარიფის აწევაც.

**– ეს ძალიან საინტერესო გადაწყვეტილებაა, რადგან აფხაზეთი, ფაქტობრივად, მუქთად იღებს ელექტროენერგიას ენგურიდან.**

– მე ეს არ ვიცოდი, მაგრამ, რომ არ გაეზარდა ელექტროენერგიის ტარიფი, აბა, სხვაგან საიდან უნდა მოეტანა ფული ანქვაბს?! ამას გარდა, თუ არ მიიღებს ფულს მოსკოვიდან, მას უბრალოდ ჩამოაგდებენ. აფხაზეთში საკმაოდ ძლიერია შინაგანი თავისუფლების მუხტი. გარდა ამისა, უკმაყოფილების სხვა წყაროებიც არის. გაგახსენებთ მკვლელობათა სერიას, თავდასხმებს ანქვაბზე.

**– მაგრამ ეს ხომ შეწყდა უკვე?**

– ეს შეწყდა, მაგრამ იმ ადამიანებს ჰყავთ მომხრეები, ნათესავები. აფხაზეთში დღემდე არსებობს სისხლის აღების ტრადიცია. ამდენად, საკმაოდ ბევრ ადამიანს აქვს აფხაზეთში ანქვაბის ჯინი და ამას არანაირი კავშირი არ აქვს ეკონომიკურ პრობლემებთან. ამას ემატება მძიმე ეკონომიკური ვითარებაც და საკმაოდ რთული სიტუაცია იქმნება. აფხაზეთში ჭორები ძლიერი იარაღია, აფხაზი საზოგადოება კომპაქტურია, ყველა ერთმანეთის ნაცნობი და ნათესავია, ერთი დაძახებაა საჭირო და ხალხი ადვილად მობილიზდება და გავა ქუჩაში. ანუ რაღაც აფეთქების მოწყობა სწრაფადაა შესაძლებელი. ანქვაბი არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია წესრიგის დამყარება, მაგრამ ეს კრედიტი მუდმივი არ არის და მას სჭირდება, რაღაც კიდევ მისცეს ხალხს. ჯერჯერობით მხოლოდ მიაქვს, ანქვაბი ძლიერადაა მიბმული მოსკოვზე და აქვს ორი გზა: ან დაიწყოს მმართველობის მასშტაბური რეფორმა, რომ აფხაზეთი რუსული ინვესტიციებისთვის მაინც გაიხსნას და შემოვლითი დასავლური ინვესტიციებისთვისაც, მაგრამ ეს სახიფათო გზაა, რადგან შესაძლოა, ასეთ პირობებში ანქვაბმა ვერ შეინარჩუნოს ძალაუფლება და, მეორე, პარადოქსული სიტუაციაა, მაგრამ, თუ აფხაზეთი მომხიბვლელი გახდება ინვესტიციებისთვის, ეს დარტყმის ქვეშ დააყენებს მის დამოუკიდებლობას, იმიტომ რომ რუსეთი უბრალოდ გადაყლაპავს აფხაზეთს. დღეს რუსეთს აფხაზეთი დიდად არაფერში სჭირდება, მაგრამ, თუ შესაძლებელი გახდება ფულის გაკეთება, გადაყლაპავს.

**– გასაგებია, რომ თბილისი სიფრთხილით უყურებს აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის გახსნას, მაგრამ რატომ ეწინააღმდეგება ამას აფხაზეთი?**

– ანქვაბი უარზეა, არადა, თითქოს რკინიგზის გახსნა სჭირდება აფხაზეთს, რადგან ფული შეუვა, მაგრამ, იმავდროულად, იმ რკინიგზით საქართველოდან და სომხეთიდან უკვე ქართული და სომხური ხილი და ბოსტნეული გავა რუსეთში, რაც კონკურენციას გაუწევს აფხაზურ მანდარინებს.

**– ქართული მანდარინები ისედაც დაიძრა რუსეთისკენ და ჩვენ სხვაგანაც გვაქვს საერთო საზღვარი, აფხაზეთის გარდა?**

– მაგრამ ეს ზრდის ქართული პროდუქციის ფასს, თან აფხაზეთის რკინიგზით სომხური ხილიც გადაიზიდება. ამას გარდა, რკინიგზის გახსნა ნიშნავს, რომ აფხაზეთში მივა რუსეთის რკინიგზა. მართალია, რუსეთის რკინიგზა დღეს დე-ფაქტო ფლობს აფხაზეთის რკინიგზას, მაგრამ იური-

დიულად ვერა და ამიტომ ეს რკინიგზა მხოლოდ რკინების გროვაა, მაგრამ, თუ ეს იქნება რკინიგზა, რომელიც მოიტანს შემოსავალს, აფხაზებს მას არავინ მისცემს. აფხაზებს პირდაპირი ტექსტით ეუბნებიან, რომ ომი მოვიდა რკინიგზით. გახსოვთ, რა იყო ომის ფორმალური მიზეზი.

**– მახსოვს: აფხაზეთის მონაკვეთზე იძარცვებოდა რკინიგზა და ამიტომ პოლიციური და სამთავრობო ჯარები შევიდნენ რკინიგზის დასაცავად.**

– აფხაზეთის რკინიგზას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა და, თუ ის ფულს მოიტანს, დაიბრუნებს სტრატეგიულ მნიშვნელობას. ამას გარდა, აფხაზეთის რკინიგზა სტრატეგიულია რუსეთისთვის: ის უკვე პირდაპირ დაუკავშირდება სომხეთს და, რაც მთავარია, ირანს, რუსეთის შეიარაღებული ძალებისთვის ეს გზა შეიძენს სტრატეგიულ მნიშვნელობას. თუ საქართველო მოხვდება რუსულ ორბიტაზე, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო სასიკვდილო ნახტომში ჩაეჭიდება აფხაზეთის რკინიგზას. იგივე ეხება სოხუმის სამხედრო გზის გახსნას. რომელიც აფხაზეთს ყარაჩაი-ჩერქეზეთთან დააკავშირებს. აფხაზები კონსერვატიული ხალხია, მათ არ უყვართ ცვლილებები. თუ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის წლებში მათ ჰყავდათ გამოკვეთილი მოღვაწეები და მოაზროვნეები, დღეს იქ უკვე აღარ მიდის პოლიტიკური ანალიზი, არანაირი კვლევები არ ტარდება და მხოლოდ თავიანთი კონსერვატიზმის იმედად არიან. დღეს აფხაზეთი დათვივითაა მიმწყვდეული კუთხეში და ნაკლებადაა დაკავშირებული გარე სამყაროსთან. როგორც კი გაიხსნება გარე სამყაროსთვის, აფხაზეთის დამოუკიდებლობას უკვე რუსეთისგან შეექმნება საფრთხე. რუსული ბიზნესი უბრალოდ იყიდის აფხაზეთს. მეორე, თუ აფხაზეთში გამოჩნდება რუსული არმია, ჩვენ გვახსოვს, რა მოხდა ბალტიისპირეთში, სამხედროების ოჯახები იქ დასახლდნენ და ეს დაარღვევს აფხაზეთში არსებულ ისედაც მყიფე დემოგრაფიულ ბალანსს. ამდენად, ისინი ორ ცეცხლშუა არიან. ერთი მხრივ, მათ სჭირდებათ რაღაც ეკონომიკური გარღვევა და, მეორე მხრივ, ეს ეკონომიკური განვითარება საშიშია მათი დამოუკიდებლობისთვის. ამის თავიდან ასაცილებლად დინამიკური პროცესია საჭირო, რაღაც კრეატივი და იმპულსი, რაც ომის დაწყებამდე იყო იქ, მაგრამ მათ არ აქვთ მკაფიო ხედვა იმისა, თუ რა უნდათ. ანქვაბმა საოცარი რამ თქვა ამას წინათ: აფხაზეთს არ სჭირდება განვითარების სტრატეგიული გეგმა, ჩვენ გვაქვს ერთი წლის ბიუჯეტი და ეს საკმარისიაო.

**– რუსეთი კმაყოფილია ანქვაბით?**

– ანქვაბზე ზეწოლაა აფხაზი საზოგადოების მხრიდან. ხაჯიმბამ მითხრა ამას წინათ, ჩვენ წინააღმდეგი ვართ ძალოვანი დაპირისპირების, მაგრამ შეიძლება, ხალხი ვერ გავაჩეროთ, თუ არ წავა რეფორმებზეო. საკითხი დგას შემდეგნაირად: რა დოზით ურევია ამაში რუსული ხელი? მოსკოვი, რადგან დაიწვა წინა არჩევნებზე, ცდილობს აშკარად არ ჩაერიოს აფხაზურ საქმეებში. რამდენიმე თვის წინათ მეუბნებოდნენ რუსული მედიის წარმომადგენლები, რომ რუსული ადმინისტრაციის განმარტებით, ანქვაბი არ არის წმიდა ძროხა და მისი შეცვლა სავსებით შესაძლებელია. ბევრი სტატია იბეჭდება რუსულ პრესაში, რომლებშიც აკრიტიკებენ ანქვაბს. ახლახან რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა თქვეს, რომ რუსეთიდან აფხაზეთის განვითარებაზე წასული ფულის დიდი ნაწილი არამიზნობრივად იხარჯებაო. ეს მნიშვნელოვანი განცხადებაა, მოსკოვი, როგორც ჩანს, არ არის კმაყოფილი.

**– რას ელოდნენ და რა არ გააკეთა ანქვაბმა?**

– მან რამდენიმე რამ გააკეთა, რაც რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა: შეაჩერა რკინიგზის გახსნა, სოხუმის სამხედრო გზის გახსნა, ის წინააღმდეგია, შეუშვას რუსული კაპიტალი. ანქვაბი არ არის მარიონეტი. როდესაც „იუჟნაია ოსეტიაში“ არჩევნები ტარდებოდა, ადგილობრივები წუხდნენ, რატომ უჭერს მოსკოვი მხარს ისეთ არაპოპულარულ კანდიდატებს, რომლებიც ოს საზოგადოებას არ მოსწონსო. პროხანოვმა თავის ერთ-ერთ სტატიაში ასეთი რამ თქვა: მოსკოვს უნდა, „იუჟნაია ოსეტიას“ ხელისუფლებაში მოიყვანოს სუსტი პოლიტიკოსი, რომელიც, თუ „იუჟნაია ოსეტიას“ ჩაბარება დასჭირდება, წინააღმდეგობას არ გაუწევსო. ვფიქრობ, ასეთივე გეგმები აქვს მოსკოვს აფხაზეთშიც.

**– ანქვაბზე ამბობენ, რკინისააო.**

– ცნობილია, რომ ის არ ექცევა ზეწოლის ქვეშ. გასულ კვირას მიხაილ ხუბუტიამ თქვა, რომ მოსკოვს აქვს წინადადებების პაკეტი აფხაზეთთან და „იუჟნაია ოსეტიასთან“ მიმართებაში. ამაზე ილაპარაკებენ, როდესაც სააკაშვილის საკითხი გადაწყდება. ამის შემდეგ დაიწყება დრამატული სვლები საქართველოს მიმართულებით. მათ შორის, ეს სვლები მოიცავს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, საქართველოსა და აფხაზეთის ევრაზიულ კავშირში შესვლას, ამისთვის კი მოსკოვს ანქვაბზე მართვადი ადამიანი დასჭირდება. თან, მოსკოვს ელის ოლიმპიადა, ამიტომ ფრთხილობს: არ უნდა ძლიერი ზეწოლა აფხაზეთზე, რომ დესტაბილიზაცია არ მოხდეს, თუმცა, მეორე მხრივ, იქნება კრიტიკული სტატიები რუსულ მედიაში. თუ აფხაზებს ექნათ იგივე „დრაივი“, რაც 90-იან წლებში ჰქონდათ, მათზე ზეწოლა გაჭირდება.

**– ჩვენც მივეცით იმ 90-იანებში აფხაზებს იმის საშუალება, რომ ეს „დრაივი“ გასჩენოდათ, თუ ისევ სულელურად არ მოვიქცევით, „დრაივის“ საფუძველი არ იარსებებს.**

– მე არ ვიცი, რა მოხდება, ჯერჯერობით ქართული პოლიტიკის განსაკუთრებული წარმატებები არ ჩანს, ვნახოთ.

**ნინო ხაჩიძე**

ELL STUDY ABROAD

**Study Abroad Fair**
**Top Universities and Summer Schools**

საგანმანათლებლო სააგენტო ELL 7 აპრილს 11 საათიდან 18 საათამდე გიწვევთ სასტუმრო Radisson Blu Iveria საკონფერენციო დარბაზში გამოფენაზე – სწავლა საზღვარგარეთ ტოპ უნივერსიტეტებსა და საზაფხულო სკოლებში (დიდი ბრიტანეთი, აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი ... )

მონაწილე უნივერსიტეტების სია:

დიდი ბრიტანეთი: University of Exeter, Newcastle University, City University of London, Glasgow Caledonian University, Manchester University, St. George University London, Queen's University Belfast, University of East Anglia...
აშშ: Marshall University, The university of South Florida, Colorado state University, Oregon State University...
ავსტრალია: Griffith University

მონაწილე საზაფხულო სკოლების სია:

Stafford House Study Holidays- London, Cambridge, Canterbury, Edinburgh, York, Los Angeles, New York, San Diego...
Ardmore – Oxford and Cambridge Universities, Brighton, Reading, Windsor, Manchester, New York, Boston, Los Angeles...
Kings Colleges – London, Oxford, Bournemouth, Boston, Los Angeles...
Malvern House -London, Cyprus, Dublin...

გამოფენაზე თქვენ მიიღებთ ინფორმაციას უნივერსიტეტებისა და საზაფხულო სკოლების წარმომადგენლებისაგან შემდეგ პროგრამებზე:

- საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამები და სასტიპენდიო პროგრამები;
- ინგლისური ენის მოსამზადებელი პროგრამები;
- საზაფხულო სკოლების პროგრამები დიდი ბრიტანეთი, აშშ (General English, Academic, Art , Sport)
- საზაფხულო სკოლების პროგრამები ( გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, ესპანეთი... )

INTO the global education partners; Marshall University; USF University of South Florida; Kings Colleges; Newcastle University; City University London; OSU Oregon State University; University of Exeter; Griffith University; Queen's University Belfast; Colorado State University; Stafford House Study Holidays; Ardmore; St George's University of London; malvernhouse London; UEA University of East Anglia; International Foundation Partner Manchester 1824 The University of Manchester; GCU Glasgow Caledonian University

თბილისი, ვაჟა ფშაველას 30ა, მესამე სართული, ოფისი 12, ბათუმი, გორგილაძის 91; ტელ : 2 39 92 46 2 39 10 63; 5 99 50 40 12;
Email: nmakatsaria@ell.ge nargizamakatsaria@yahoo.com info@ell.ge www.ell.ge www.facebook.com/ELLstudyabroad

# რომელი ქვეყნების პოლიტიკური ბელადები არიან დასვენებული მავზოლეუმებში

*ვენესუელის ლიდერის, უგო ჩავესის გარდაცვალების შემდეგ, გავრცელდა ცნობა, რომ ბელადის მუმიფიცირება და მავზოლეუმში დასვენება იყო გადაწყვეტილი, თუმცა, მოგვიანებით ეს ვერსია ვენესუელის ახალმა მთავრობამ უარყო და ჯერჯერობით უცნობია, რა ბედი ელის ჩავესის სხეულს. მანამდე კი, შევეცდებით, გავიხსენოთ ის პოლიტიკური ლიდერები, რომელთა მუმიფიცირებულ სხეულებს მავზოლეუმებში მიუჩინეს ბინა.*

### ვლადიმირ ლენინი

ვლადიმირ ულიანოვი, რომელიც მსოფლიო ისტორიაში „ლენინის" ფსევდონიმით შევიდა, 1917 წლის ნოემბრიდან სათავეში ედგა საბჭოთა რუსეთს. მისი გარდაცვალების შემდეგ, 1924 წლის 17 იანვარს, გადაწყდა, ბელადის სხეული დროებით შეენარჩუნებინათ, რათა ყველა მსურველს მოეხერხებინა მასთან დამშვიდობება. კრემლის კედლებთან აშენდა მავზოლეუმი და ლენინის მუმიფიცირებული სხეული იქ დაასვენეს. ულიანოვის ოჯახის წევრების პროტესტის მიუხედავად, ლენინის მუმია დღემდე მავზოლეუმშია და ნებისმიერ მსურველს შეუძლია გამომშვიდობება პროლეტარიატის „მამასთან". ცნობისთვის, მავზოლეუმის დახურვისა და ლენინის დაკრძალვის საკითხი მოსკოვის მერიამ არაერთხელ განიხილა, თუმცა, უშედეგოდ.



### მუსტაფა ქემალ ათათურქი

თანამედროვე თურქეთის შემქმნელი, მუსტაფა ქემალ ათათურქი, ქვეყანას ოსმალეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ ჩაუდგა სათავეში. მის მიერ შექმნილი იდეოლოგია, რომელიც ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის იდეაზეა აგებული, თურქეთის კონსტიტუციაშია გაწერილი. ათათურქი 1938 წელს გარდაიცვალა სტამბულში და მისი ბალზამირებული სხეული თავდაპირველად ანკარის ეთნოგრაფიულ მუზეუმში განათავსეს. 1953 წელს ათათურქის სხეული ანიტკაბირის მავზოლეუმში გადაიტანეს, რომლის მშენებლობა 1944 წლიდან მიმდინარეობდა. ათათურქის სხეულის ნახვის საშუალება მხოლოდ თურქეთის არმიის მთავარსარდალსა და სხეულის მდგომარეობაზე პასუხისმგებელ სპეციალისტებს აქვთ.

### გიორგი დიმიტროვი

სოციალისტური ბულგარეთის პირველი ლიდერი, გიორგი დიმიტროვი, კომინტერნის გავლენიანი მუშაკი იყო. 1933 წელს ნაცისტებმა ის რაიხსტაგისთვის ცეცხლის წაკიდებაში დაადანაშაულეს, თუმცა, დიმიტროვმა თავის გამართლება მოახერხა. დიმიტროვი 1949 წელს ციროზით გარდაიცვალა. 40 წლის განმავლობაში დიმიტროვის მუმიფიცირებული სხეული სოფიის ცენტრში მდებარე მავზოლეუმში იყო დასვენებული. 1990 წელს, დიმიტროვის შთამომავალთა თხოვნით, ბელადის სხეული მიწას მიაბარეს, ხოლო მავზოლეუმი 1999 წელს დაანგრიეს.

### ჰორლოოგიინ ჩოიბალსანი

ჩოიბალსანი მონღოლეთის არმიის მთავარსარდალი იყო 1920-იანი წლებიდან – სიკვდილამდე, 1952 წლამდე. 1939 წლიდან იგი ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი და რეპრესიების შემოქმედი გახლდათ, რასაც 25 ათასამდე ადამიანი შეეწირა. ჩოიბალსანის გარდაცვალების შემდეგ მისი მუმიფიცირებული სხეული სუხე-ბატორის მავზოლეუმში დაასვენეს. 2005 წელს ჩოიბალსანის მუმიას კრემაცია გაუკეთეს ბუდისტური ადათწესების დაცვით, ხოლო მავზოლეუმი დაანგრიეს და მის ადგილზე ჩინგიზ-ყაენის უზარმაზარი ქანდაკება დადგეს.

### იოსებ სტალინი

ბოლშევიკების ლიდერი, იოსებ სტალინი 30 წლის განმავლობაში მართავდა საბჭოთა კავშირს. მისი როლი მეოცე საუკუნის მსოფლიო ისტორიაში დღემდე იწვევს უამრავ კითხვას. სტალინი 1953 წელს გარდაიცვალა და მისი ბალზამირებული სხეული ლენინის მავზოლეუმში განათავსეს. თუმცა, ხრუშჩოვის დროს დაწყებულმა სტალინის კულტის მსხვრევამ, საბჭოთა მთავრობა აიძულა, სტალინის მუმია მავზოლეუმიდან გამოეტანათ და 1961 წელს კრემლის კედელში დაეკრძალათ.




### კლემენტ გოტვალდი

კომუნისტური ჩეხოსლოვაკიის პირველი ლიდერი, კლემენტ გოტვალდი, 1946-1953 წლებში იმყოფებოდა ქვეყნის სათავეში. იგი იდეოლოგიით სტალინისტი და კოლექტივიზაციის მომხრე იყო. გოტვალდი 1953 წელს გარდაიცვალა. მის სხეულს არასწორად ჩაუტარდა ბალზამირება, რის გამოც სხეულმა ლპობა დაიწყო. 1962 წელს გოტვალდის მუმია კრემირებულ იქნა, ხოლო მავზოლეუმი დაანგრიეს.

### ხო ში მინი

ვიეტნამის ჩრდილოეთ მხარეში კომუნისტური სახელმწიფოს ავტორი ხო ში მინი 1969 წლამდე უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე მსახურობდა. ვიეტნამელი ბელადი 1969 წელს გარდაიცვალა და, ანდერძის თანახმად, მისი ნეშტისთვის კრემაცია უნდა გაეკეთებინათ. თუმცა, ვიეტნამის მთავრობის თხოვნით, საბჭოთა სპეციალისტებმა ხო ში მინის სხეულს ბალზამირება გაუკეთეს და მავზოლეუმში, ჰანოის ცენტრში დაასვენეს, სადაც ის დღემდეა განთავსებული, საინტერესოა, რომ ამერიკა-ვიეტნამის ომის დროს ხო ში მინის მუმიფიცირებულ ცხედარს ვიეტნამელები მალავდნენ.

### მაო ძედუნი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ლიდერი და „კულტურული რევოლუციის" შემოქმედი, მაო ძედუნი, კომუნისტების გამარჯვების შემდეგ ჩინეთის ფაქტობრივი მმართველი იყო. მაო 1976 წელს გარდაიცვალა და მას შემდეგ მისი მუმიფიცირებული სხეული მავზოლეუმშია განთავსებული პეკინში, აკრძალული ქალაქის მახლობლად, ტიანანმენის მოედანზე. მაო ძედუნის მუმიფიცირებაზე ჩინელი სპეციალისტები მუშაობდნენ.

### ანტონიო აგოშტინიო ნეტუ

1975 წელს, ანგოლის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მისმა ლიდერმა, ანტონიო აგოშტინიო ნეტუმ, საბჭოთა კავშირის მოდელის გათვალისწინებით, სოციალისტური ქვეყნის მშენებლობა დაიწყო. ოთხი წლის შემდეგ ნეტუ მოსკოვში კიბოსგან გარდაიცვალა. ნეტუს სხეულს საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით გაუკეთეს ბალზამირება და მავზოლეუმში იყო განთავსებული, როგორც ნაციონალური საგანძური. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ანგოლამ დაკარგა მხარდაჭერა და სოციალისტური რესპუბლიკის მშენებლობაც შეჩერდა. 1992 წელს ნეტუს ნეშტი მიწას მიაბარეს, ხოლო მავზოლეუმი დაანგრიეს.

### ლინდონ ფორბს ბერნჰემი

ბერნჰემი პატარა, სამხრეთამერიკული რესპუბლიკის – გაიანას ლიდერი იყო 1966 წლიდან 1985 წლამდე, ანუ, სიკვდილამდე. თავდაპირველად ის ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, შემდგომში კი პრეზიდენტი გახლდათ. გარდაცვალების შემდეგ ბერნჰემის სხეული საბჭოთა სპეციალისტებმა მუმიად აქციეს და გაიანას მთავრობა ბელადის მავზოლეუმში დასვენებას აპირებდა, თუმცა შეერთებულმა შტატებმა ისინი ეკონომიკური დახმარების შეწყვეტით შეაშინა და გაიანას მთავრობა იძულებული გახდა, მავზოლეუმის იდეა გადაეფიქრებინა, ხოლო ბერნჰემის მუმია ჰერმეტულ კაფსულაში დაკრძალეს.

### კიმ ირ სენი

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დიდი ბელადი და სამუდამო პრეზიდენტი, კიმ ირ სენი, ჩრდილოეთ კორეის მმართველი ოჯახის დინასტიის დამაარსებელია. ის იყო სახელმწიფო იდეოლოგიის – ჩუჩხეს ავტორი. 1994 წელს, გარდაცვალების შემდეგ, კიმ ირ სენის სხეული მუმიფიცირებულ იქნა და კიმსუსანის მემორიალურ მზის სასახლეში – მინის სარკოფაგში იქნა დასვენებული. იქვეა გამოფენილი ბელადის პირადი ავტომობილი და მატარებელი.

### კიმ ჩენ ირი

კიმ ირ სენის ვაჟი, ასევე სამუდამო პრეზიდენტი და ჩრდილოეთ კორეის ოთხგზის გმირი, კიმ ჩენ ირი, სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას 1994 წლიდან მართავდა. კიმ ჩენ ირი 2011 წელს გარდაიცვალა და, მამის მსგავსად, მის სხეულსაც გაუკეთეს მუმიფიცირება, რის შემდეგაც ის კიმსუსანის მემორიალში დაასვენეს მინის სარკოფაგით. უცხოელი ტურისტებისთვის მავზოლეუმში შესვლა შეზღუდვით ხდება; დაწესებულია დრესკოდი, რომლის თანახმად, ჭრელ ტანსაცმელში ჩაცმული მნახველები არ დაიშვებიან ბელადების ცხედრებთან. ასევე, აკრძალულია ხმამაღალი საუბარი და ბელადების ფოტოგრაფირება.

**უშანგი რუხაძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
**შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს**
**ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში**
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რა როლი ითამაშა ადოლფ ჰიტლერის მმართველობამ გერმანელი მილიარდერების, კვანდტების ოჯახის ცხოვრებაში

მილიონობით ადამიანი წლების განმავლობაში უხელფასოდ მუშაობდა ნაცისტური გერმანიის ქარხნებში. დღეს ამ ქარხნების უმეტესობა მათ მფლობელთა შთამომავლების ხელშია. მაგალითად, ნაცისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრის, იოზეფ გებელსის პირველი მეუღლის შთამომავლები კომპანია BMW-ს აქციათა საკონტროლო პაკეტს ფლობენ. საუბარია კვანდტების საგვარეულოზე, გავლენიან და გერმანიაში უმდიდრეს ოჯახზე.

კვანდტების ოჯახის სამრეწველო იმპერიის ისტორია 1883 წელს დაიწყო, როცა ემილ კვანდტმა მამინაცვლისგან მეძკვიდრეობით ტექსტილის ქარხანა მიიღო. მეოცე საუკუნის დადგომამდე რამდენიმე ხნით ადრე კომპანიის მართვა ემილმა თავის უფროს შვილს, გიუნტერს გადასცა. მისი მმართველობის პერიოდში კვანდტების მანუფაქტურაში პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელი ჯარისკაცებისთვის ფორმა იკერებოდა. პირველი მსოფლიო ომი გერმანელებისთვის ცუდად დასრულდა. თუმცა გიუნტერს გერმანულმა რევოლუციამ მხოლოდ დადებითი მოუტანა, ის მილიონერი გახდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, გიუნტერს ორი ვაჟი – ჰერბერტი და ჰელმუტი დარჩა. 1921 წელს კი ის მეორედ დაქორწინდა მაგდა რიტშელდზე, რომელმაც მესამე ვაჟი, ჰაროლდი გაუჩინა. ვეიმარის რესპუბლიკის დაარსების შემდეგ გიუნტერ კვანდტმა ფულის დაბანდება აკუმულატორების ქარხანაში დაიწყო, ექვსი წლის შემდეგ კი ავტომობილების მწარმოებელი ბერლინურ-კარლსრუეს ქარხანა შეიძინა და კონცერნების – „დაიმლერისა" და BMW-ს აქციების პაკეტის მფლობელი გახდა. 1927 წელს გიუნტერ კვანდტს უფროსი ვაჟი, ჰელმუტი ბრმანაწლავის ოპერაციის შედეგად გარდაეცვალა. ორი წლის შემდეგ კი, 1929 წელს მაგდა რიტშელდმა განქორწინებაზე შეიტანა საბუთები და 1931 წელს ის რაიხსტაგის წევრს, ნაციონალ-სოციალისტური შრომის პარტიის გავლენიან ფიგურას, იოზეფ გებელსს გაჰყვა ცოლად. ცნობისთვის, გებელსის ხელისმომკიდე ქორწილში ადოლფ ჰიტლერი იყო. საინტერესოა, რომ გიუნტერ კვანდტს არ შეუწყვეტია ურთიერთობა ყოფილ ცოლთან და იოზეფ გებელსსაც კი დაუახლოვდა. მოგვიანებით კი, მისი ვაჟი ჰაროლდი გებელსის ოჯახში გადავიდა



საცხოვრებლად. ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გიუნტერ კვანდტი ნაციონალ-სოციალისტური შრომის პარტიის წევრი გახდა და გებელსის დახმარებით მსხვილ სახელმწიფო კონტრაქტებზე დაიწყო მუშაობა. 1937 წელს ადოლფ ჰიტლერმა გაუნტერ კვანდტს „ვეირვირტშაფტსფიურერის" წოდება მიაკუთვნა. ეს წოდება მსხვილი სამხედრო სამრეწველოების ხელმძღვანელებს ენიჭებოდათ.

კვანდტების მრეწველობა მესამე რაიხს ფართო დახმარებას უწევდა – ისინი აწარმოებდნენ ელემენტებს წყალქვეშა ნავებისთვის, „ფაუ-2-ის" ტიპის ბალისტიკურ რაკეტებს, მაუზერის პისტოლეტებს, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საბრძოლო მასალას და რაკეტებს. კვანდტის საწარმოებში ებრაელები მუშაობდნენ და ბოლო მონაცემებით, ამ ქარხნებში 50 ათასამდე ებრაელმა პატიმარმა იმუშავა. კვანდტი იმ დროის უმდიდრესი გერმანელი იყო. 1939 წელს მისი ვაჟი ჰაროლდი ვერმახტში გაწევრიანდა და ლიუფტვაფეს მფრინავად მსახურობდა, სანამ 1944 წელს, ტყვედ არ ჩავარდა.



1945 წლის გაზაფხულზე ლიბიის პორტ ბენგაზის ციხეში მყოფმა ჰაროლდ კვანდტმა დედისგან წერილი მიიღო, სადაც ეწერა: „ძვირფასო ჰაროლდ, 6 დღეა, მამასთან და 6 შვილთან ერთად, ფიურერის ბუნკერში ვიმყოფებით. დაგვრჩა ერთადერთი გამოსავალი, რომ ჩვენი ნაციონალ-სოციალისტური ცხოვრება გმირულად დავასრულოთ. ჰაროლდ, ჩემო შვილო, მუდამ იყავი ერთგული შენი ქვეყნისა და იდეისა", წერილს იოზეფ გებელსის ხელით ჰქონდა მიწერილი: „შენ ხარ ერთადერთი, ვინც ოჯახის ტრადიციას გააგრძელებს". წერილის გაგზავნიდან რამდენიმე დღეში იოზეფ გებელსმა და მაგდა რიტშელდმა თავიანთი ექვსი შვილი ციანიდის კალიუმით მოწამლეს და თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე. 1947 წელს ლიუფტვაფეს ლეიტენანტი ჰაროლდ კვანდტი პატიმრობიდან გათავისუფლდა, მანამდე კი ნიურნბერგის პროცესზე მამამისი, გიუნტერ კვანდტი გაამართლეს. ჰერბერტ კვანდტი კი, რომელიც წლების განმავლობაში საწარმოებს ედგა სათავეში, სადაც ებრაელებს ამუშავებდნენ, მათ შორის აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრებსაც, სულაც დაუსჯელი დარჩა. 1948 წელს გიუნტერ კვანდტი კვლავ სათავეში ჩაუდგა თავის სამრეწველო იმპერიას, რომელზეც ომის შემდგომ წლებში დიდი მოთხოვნა იყო.

1954 წელს ქაიროში მოგზაურობის დროს გარდაიცვალა გიუნტერ კვანდტი და მისი ქონება თანაბრად გადანაწილდა ჰერბერტსა და ჰაროლდს შორის. ათი წლის შემდეგ ძმებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს წილები „დაიმლერში". ჰერბერტ კვანდტმა დიდი თანხების სანაცვლოდ გაკოტრებისგან იხსნა კონცერნი BMW, რის შემდეგაც კომპანიის აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა. 1967 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა ჰაროლდ კვანდტი და მისი აქტივები მთლიანად ქვრივის, ინგე კვანდტის ხელში აღმოჩნდა. ინგესა და ჰერბერტს შორის ურთიერთობა ჰაროლდის გარდაცვალების შემდეგ გართულდა და 1970 წელს დაიწყო სასამართლო გარჩევა ქონების გადანაწილებასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, ჰერბერტ კვანდტს კომპანია „დაიმლერის" აქციათა 14 პროცენტი შეხვდა. ეს აქციები მან 1974 წელს ქუვეითის მთავრობას ერთი მილიარდი გერმანული მარკის სანაცვლოდ მიჰყიდა. 1978 წელს ინგე კვანდტი გულის შეტევით გარდაიცვალა, ხოლო მისმა მეორე ქმარმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ინგეს ხუთი შვილი დარჩა, რომელთაც კვანდტების ქონება შეხვდათ. ჰერბერტ კვანდტი უფროსი – გიუნტერ კვანდტის შვილი, 1982 წელს გარდაიცვალა, მას სამი ქორწინებიდან ექვსი შვილი დარჩა, რომელთაც მამამ დიდძალი ქონება დაუტოვა.

ამჟამად კვანდტების ოჯახის აქტივები 15 მილიარდ დოლარად არის შეფასებული და ოჯახის თითოეული წევრის ანგარიშზე 1,2 მილიარდი დოლარი ირიცხება. ჰაროლდ კვანდტის ოთხი ქალიშვილის აქტივები საინვესტიციო ფონდშია გაერთიანებული, რომელთაც ყოველწლიურად მოაქვს დივიდენდები. უმცროსი და – პატრიცია ჰალეტრმანი 2005 წელს 38 წლის ასაკში გარდაიცვალა და ორი მემკვიდრე დატოვა, მისი სახლი ნიუ-იორკში 2008 წელს აუქციონზე 37,5 მილიონ დოლარად გაიყიდა. პატრიციას უფროსი დები ნაკლებად ასაჯაროებენ თავიანთ ცხოვრებას: კოლინ-ბეტინ როზენბლუტ-მო ჰამბურგში სამოდელო სააგენტოსა და საიუველირო მაღაზიას ფლობს. 24 წლის ასაკში მან იუდაიზმი ირწმუნა და ებრაელად მოინათლა. მისი მეუღლის მშობლები საკონცენტრაციო ბანაკში იყვნენ მეორე მსოფლიო ომის დროს. კიდევ ერთი და – კატრინა გელერ-ჰერი ჰამბურგში საცხენოსნო სპორტის ცენტრს ფლობს და ასევე, ოლიმპიურ ჩემპიონებს უწევს ფინანსურ დახმარებას.

BMW-ს აქტივების ძირითად მფლობელად ჰერბერტის ქვრივი, იოჰანა კვანდტი ითვლება. ბიზნესის წარმოებაში კი მას შვილები – სტეფან კვანდტი და სიუზანა კლატენი ეხმარებიან. იმ ფაქტს, რომ კვანდტების ქარხნებში მონური შრომა გამოიყენებოდა, იოჰანა კვანდტი „სამწუხარო სიმართლეს" უწოდებს. დოკუმენტურ ფილმში „კვანდტების დუმილი" ნაჩვენებია, რომ ოჯახი ყოველწლიურად 4 მილიონამდე ევროს რიცხავს პოლიტიკური პარტიების დახმარების ფონდში. საგულისხმოა, რომ კვანდტების ოჯახს არც ერთხელ არ განუხორციელებია ქველმოქმედება ნაციზმის მსხვერპლთა დახმარების ფონდში.

„ფორბსის" 2012 წლის, ჯერჯერობით ბოლო მილიარდერთა რეიტინგის თანახმად, იოჰანა კვანდტის კაპიტალი 10 მილიარდ დოლარად არის შეფასებული და მას მსოფლიო მილიარდერების რეიტინგში 88-ე ადგილი უკავია. მისი შვილების კაპიტალი კი უდრის: სიუზანა კლატენი – 13 მილიარდი დოლარი და 59-ე ადგილი რეიტინგში; სტეფან კვანდტი – 11,2 მილიარდი დოლარი და 76-ე ადგილი რეიტინგში. მილიარდიანი ქონების მიუხედავად, ჰაროლდ კვანდტის შთამომავლები „ფორბსის" რეიტინგში არ ფიგურირებენ.

**უშანგი რუხაძე**

## შესწორება

ჟურნალ „თბილისელების" 11-ე ნომერში, 17-ე გვერდზე, სტატიაში „რატომ გახდა „ნატახტარის ლიმონათი" 10-თვიანი მუშაობის შედეგად მომხმარებლისთვის გაცილებით მიმზიდველი და კომფორტული," გაიპარა უზუსტობა. კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის დირექტორი არის თორნიკე ნიკოლაიშვილი.

რედაქცია ბოდიშს უხდის კომპანია „ნატახტარს" ამ უზუსტობისთვის.

**ფუფალასი არ იყოს, ღმერთო ჩემო, რა ბოროტია ეს ხალხი! რამდენი ჭორი, ნეგატიური განწყობა და თავდასხმა მოიგერია ამ პატარა, გამოუცდელმა გოგომ, მაგრამ, ეს გოგო, არც მეტი, არც ნაკლები, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრი, ქალბატონი ვერა ქობალიაა. რთული სათქმელია, მისი გამოჩენისთანავე სრულიად ერმა აღშფოთებით რომ დავიწყეთ მისი კრიტიკა, იყო თუ არა ბუნებრივი რეაქცია, თუმცა როგორც თავად ამბობს მასაც იგივე რეაქცია ექნებოდა მანამ, სანამ არ დარწმუნდებოდა მინისტრის პროფესიონალიზმში. თავის დროზე ხელები მეც მექავებოდა, რომ რამე კრიტიკული დამეწერა (თუნდაც ბოროტული), მაგრამ დღეს სულ სხვანაირი ვერა გავიცანი.**

# რაში „გამოიჭირეს“ „თბილისის მოდის კვირეულზე“ ექსმინისტრი ვერა ქობალია

**– ვმალე, ვმალე ვერ დავმალე რა არის?**

– ფეხმძიმობა *(იცინის).* ზოგადად დიდხანს არავის ვეუბნებოდი ფეხმძიმობის ამბავს, მათ შორის ჩემი ოჯახის წევრებსაც კი და ვცდილობდი არც საზოგადოებაში გამოვჩენილიყავი, თუმცა „თბილისის მოდის კვირეულზე“ მაინც გამომიჭირე, მართალია ვერ მაღიარებინე, მაგრამ მაინც *(იცინის).* სხვათა შორის ჩემთვისაც რთული იყო, როცა ხალხი მეკითხებოდა და მე ტყუილის თქმა მიწევდა.

**– ჩემი მოტყუებაც ხომ სცადე, მაგრამ მე მაინც დავწერე და პირველად ჩვენი ჟურნალის გარეკანზე დაიბეჭდა ფეხმძიმე ვერა ქობალია. როგორ მიდის ფეხმძიმობის პროცესი? განვითარების რა ეტაპზე ვართ?**

– განვითარების ბოლო ეტაპზე ვართ და ერთ თვეზე ნაკლები დამრჩა დედობამდე. პირველ ხანებში რაღაცეები მჭირდა, მაგრამ ეხლა გაცილებით კომფორტულად ვგრძნობ თავს. ვვარჯიშობ, დავდივარ ცურვაზე და ვცდილობ აქტიური ჯანსაღი წესის დაცვას, მაგრამ ერთადერთი, რასაც ვერ შეველიე ესაა ყავა.

**– ბავშვის სქესი და სახელი უკვე ვიცით?**

– სქესი ვიცი. კულულებიანი გოგონა შემეძინება, მაგრამ სახელი ჯერ არ შეგვირჩევია. მე და ჩემს მეუღლეს მიგვაჩნია, რომ უმჯობესია სახელი დაბადების მერე შევურჩიოთ. ბებიების და წინაპრების სახელებს ნამდვილად არ გამოვიყენებთ, რომ ჩემს ან დათოს მშობლებს არ ეწყინოთ, ამიტომ სავარაუდოდ ინტერნაციონალურ სახელს შევარჩევთ, რომელიც ადვილად წარმოსათქმელი იქნება უცხოელისთვის.

**– ასეთი სახელები მოდაში შემოვიდა. ჩემმა თანამშრომელმაც ამ პრინციპით დაარქვა შვილს მაქსიმე.**

– ლამაზი სახელია... გლობალიზაციაა, ძალიან მარტივია უცხოეთში გამგზავრება, სწავლა, ცხოვრება და სხვა ერის ხალხთან ურთიერთობა, ამიტომ კარგია თუ სახელი დისკომფორტს არ შეუქმნის.



როგორც აღმოჩნდა, მანამდეც შევხვედრივართ, მაგრამ, აღარ მახსოვდა

**– რამდენიმე თვით უკან დავბრუნდეთ და მომიყევი თავიდან როგორ შედგა მეუღლესთან თქვენი ტანდემი?**

– წელიწადზე მეტია მე და ჩემი მეუღლე ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ როგორც აღმოჩნდა იქამდეც შევხვედრილვართ, მაგრამ აღარ მახსოვდა, ზოგჯერ ასეც ხდება, რომ რაღაც მომენტში შეიძლება ვერ შეამჩნიო და მერე გადაიკვეთოს თქვენი გზები. ჩვენს შემთხვევაშიც ასე მოხდა მოგვიანებით – როგორც ამბობენ: სადაც არის ბედი შენი იქ მიგიყვანს ფეხი შენიო; კვლავ შევხვდით მეგობართან და აი იქ უკვე კარგად დავამახსოვრდა ერთმანეთი *(იცინის).* თუმცა უფრო მოგვიანებით დავახლოვდით და უკვე ოფიციალურ ჭრილში გადავიდა ჩვენი ურთიერთობა.

**– მაშინ გკითხე, გავიგე შენი მეუღლე რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენია-მეთქი და იქნებ ახლა გაგვარკვიო ვინ არის და რას წარმოადგენს?**

– ამაზე მეც ბევრი ვიცინე და სახლში რომ მივედი ვეკითხებოდი, რამეს ხომ არ მიმალავ, მართლა ხომ არ გაქვს მოსკოვში ბიზნესები-მეთქი?! ჩემი მეუღლე დავით კურცხალია ჩვეულებრივი ბიზნესმენია, არაფრით განსაკუთრებული და არავითარი რამე განსაკუთრებული დიდი ბიზნესი. სარეკლამო კომპანია აქვს, რომელსაც ხელმძღვანელობს და კარგად გამოსდის ეს საქმე.

**– რჩევებს ხომ არ აძლევ ხოლმე?**

– დათოს ნამდვილად არ სჭირდება რჩევების მიცემა. ძალიან კარგად იცის თავისი საქმე და ჩემამდეც გადასარევად ართმევდა თავს. ზოგადად არ ვერევი მის საქმიანობაში და ვთვლი, რომ სახლში სამსახურის საქმეებზე ლაპარაკში დრო არ უნდა დავკარგოთ. ისედაც მთელი დღე გასულია და არა მგონია რომელიმე მამაკაცს მოეწონოს სახლშიც სამსახურის საკითხებით დაკავდეს.

**– სამზარეულოსთან მეგობრობ?**

– ვერ გეტყვი, რომ კონფლიქტში ვარ. ყოველ შემთხვევაში ვცდილობ და ზოგჯერ წარმატებასაც ვაღწევ. ქართული კერძების გარდა ექსპერიმენტულ კერძებსაც ვაკეთებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველთვის გამომდის. ხანდახან ყველაფერი კარაქი და პურით მთავრდება *(იცინის).*

**– მე გასწავლი ტაილანდური ბრინჯის გაკეთებას აზიური სპეციებით და ბრინჯი-ფართი მოვაწყოთ.**

– სიამოვნებით. ვგიჟდები ასეთ რაღაცეებზე და შეიძლება მოგვიანებით მზარეულის კურსებიც გავიარო.

**– ახლა გიყურებ და ვფიქრობ, ნუთუ შენ ის ვერა ქობალია ხარ, ვისაც ტელევიზორში ხშირად ვუყურებდი ხოლმე?! იმდენად თავისუფალი, უშუალო და კომუნიკაბელური ხარ მე დამავიწყდა, რომ ეკონომიკის ყოფილ მინისტრთან ვზივარ და ძალიან ფამილარული საუბარი გამომდის. ისე თავის დროზე რომ ასეთი კონტაქტური ყოფილიყავი ჟურნალისტებთან, ალბათ არც ის ფოტოები გამომზეურდებოდა, არც ამდენ რისხვას მიიღებდი და არც ამდენი ჭორი აგორდებოდა შენზე.**

– სხვათა შორის უნდა დაგეთანხმო და ვაღიარო, რომ ეს მართლაც კარგი იქნებოდა, თუმცა მაშინ სხვანაირად ვფიქრობდი და შესაბამისად ვიქცეოდი. ამ გადმოსახედიდან მინდა ყველა ახალბედა პოლიტიკოსს ვურჩიო, რომ უფრო გახსნილები იყვნენ ჟურნალისტებთან, თორემ ბევრი საშინელი დღე გამოვიარე და მიკვირდა რატომ იყო ასეთი აგრესია ჩემს მიმართ.

**– პირველად რომ გნახე „თბილისის მოდის კვირეულზე“ მოვიხიბლე, მეორედ „ნანუკას შოუში“ ბოდიში რომ მომიხადე არასწორი ინფორმაციის მოცემისთვის მეამა. ეს მართლა კარგი ჟესტი იყო შენი მხრიდან და ამით ყველაზე ენამწარე ჟურნალისტსაც კი დაატკბობდი თავის დროზე და ახლა საერთოდ მგონია, რომ ჩემი მეგობარი ხარ და დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს.**

– მიხარია თუ ეს მართლა ასეა, მაგრამ ადრეც იგივე ვიყავი, რაც ახლა ვარ. უბრალოდ მაშინ ვთვლიდი, რომ მე ჩემი საქმით უნდა დამემტკიცებინა ვიყავი თუ არა ამ თანამდებობის ღირსი და არ უნდა ავყოლოდი იმ ჟურნალისტებს, რომლებიც ნეგატიურ ჭრილში განიხილავდნენ ჩემს პიროვნებას თუ კანდიდატურას.

**– როგორ რეაგირებდი და იგერიებდი მაშინდელ შეტევას თუნდაც იმ ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ?**

– ახლაც გავიმეორებ, რომ მე იმ ფოტოებში დღესაც ვერ ვხედავ ვერანაირ სკანდალს. ყველა ჩვენგანს ჰქონია ასეთი რამე, მით უმეტეს, როცა უცხოეთში ხარ და გართობის ასეთი სტილი აბსოლუტურად ჩვეულებრივი მომენტია. მეგობრებთან ერთად რომ გაერთო და იცეკვო მგონია ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ აქ თვით ფოტოებისადმი მიდგომამ გამაღიზიანა, რთული იყო იმ შეფასებების მოსმენა, რასაც ხალხი ამბობდა და წერდა სოციალურ ქსელებში. გამოუცდელი ვიყავი ასეთ საკითხებში თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი მსგავს სიტუაციაში და რაღაცნაირად გავუძელი და გადავიტანე, თუმცა ესეც ერთი მხრივ საინტერესოა, რადგან ამ დროს ადამიანი რაღაცეებს სწავლობ ანუ რაც არ გკლავს გაძლიერებს.

**– რადგან ამ თემას შევეხეთ, ალბათ სირაქლემის პოზიციაში უნდა ვიყოთ, რომ გვერდი ავუაროთ მაშინდელ კითხვებს, რომლებიც საზოგადოებაში მუსირებდა. მაშინდელ ჩემს სტატიაშიც დავწერე, რომ ამ კითხვებზე არაქართული სიწიწმატით გამცა პასუხი-მეთქი და რადგან ვხედავ, რომ ნებისმიერ უხრხულ კითხვას ადეკვატურად აღიქვამ თავს უფლებას მივცემ იმ დროის უსიამოვნო გამონათქვამებს შევეხოთ: ამბობდნენ, რომ რა უნდა მეპურე ქალს მინისტრადო, ახლა რას უპასუხებდი ამაზე?**

– პირველ ხანებში მართლა გამიძნელდა ასეთი ფორმულირებების მოსმენა საკუთარ თავზე, მაგრამ მერე დავფიქრდი და ვთქვი, რომ ხალხის ადგილას ალბათ მეც იგივეს ვიტყოდი, მეც იგივენაირად შევაფასებდი ვიღაც ვერა ქობალიას, რომელიც უცებ არსაიდან ჩამოვიდა და მეუბნება: გამარჯობა, მე, ვერა ქობალია, რომელიც პურის ბიზნესით ვიყავი დაკავებული, ვხდები ეკონომიკის მინისტრი და აბა მომისმინეთ... აი, ეს აბა მომისმინეთ, მე ვარჩიე მეთქვა, აბა დაინახეთ და შემაფასეთ და ამიტომ 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობდი იმისთვის, რომ საზოგადოებას დაენახა ვინ იყო ვერა ქობალია და არა ის, რომ გამოვსულიყავი და საკუთარ თავზე ან მიღწეულ წარმატებებზე მესაუბრა. წეღან უკვე ვთქვი, რომ ძალიან გამიჭირდა-მეთქი, იმიტომ რომ, ახალი ჩამოსული ვიყავი, ბევრს არ ვიცნობდი საქართველოში, არ მყავდა მეგობრები, რომლებსაც გავუზიარებდი და ვეტყოდი რასაც განვიცდიდი იმ მომენტში.

**– დრო რომ დააბრუნო დათანხმდებოდი მინისტრობას და იგივე გზას გაივლიდი?**

– არც ერთი წუთით არ დავფიქრდებოდი. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მე რაღაც მომენტში დავფიქრდი და ისე მივიღე გადაწყვეტილება ახლა საერთოდ არ დავფიქრდებოდი, რადგან მაშინაც და ახლაც სრულიად დარწმუნებული ვარ საკუთარ ძალებში, მგონი ეს გამოჩნდა კიდეც. ჩემი მინისტრობის პერიოდში ბევრი რამ შეძლო სამინისტრომ თუმცა ბევრიც შეუსრულებელი დარჩა. მაგალითად როცა პრეზიდენტი იყო ჩამოსული კანადაში და ქართულ სათვისტომოს ხვდებოდა რატომღაც აღმოჩნდა ისე, რომ ყველაზე

(გაგრძელება 78-ე გვერდზე)

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს იძულებით დადებული გარიგება და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ხელშეკრულების იძულებით გაფორმებას?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (კერძოდ, ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისგან.

**კითხვა: მაინტერესებს, რაში შეიძლება გამოიხატოს გარიგების იძულებითი ხასიათი და ჩაითვალოს გარიგება იძულებით დადებულად?**

**პასუხი:** გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც, თავისი ხასიათით, შეუძლია, გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან



ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. კონკრეტულად კი იძულების ხასიათის შეფასებისას, მხედველობაში მიიღება პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი. აღსანიშნავია, რომ იძულება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია მაშინაც, როცა ის მიმართულია გარიგების ერთ-ერთი მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ.

**კითხვა: შეიძლება თუ არა იძულებით დადებულად ჩაითვალოს გარიგება, რომელიც კანონით დადგენილი წესით, კერძოდ კი, სანოტარო წესითაა დადებული?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ იძულებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საშუალება და მიზანი ერთმანეთს არ შეესაბამება. შესაბამისად, თუ გარიგების დადებისას საშუალება და მიზანი შეუსაბამოა, ეს გარემოება გარიგების ბათილობის საფუძველს წარმოადგენს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა ვადაში შემიძლია, მოვითხოვო იძულებით დადებული გარიგების მოშლა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ როგორ და რა შემთხვევებში შეიძლება იურიდიულ პირს დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და ვინ ისჯება კონკრეტულად იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ იურიდიულ პირზე ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ნორმები. იურიდიული პირი ნიშნავს სამეწარმეო (კომერციული) ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს. იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისთვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით), ან/და მის სასარგებლოდ, პასუხისმგებელი პირის მიერ. პასუხისმგებელი პირი კი არის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, ან/და იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ორგანოს წევრი.

**კითხვა: მაინტერესებს და გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორ გადაწყდება იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი, თუ ვერ დადგინდა, კონკრეტულად ვინ გამოიყენა, ვინ ისარგებლა იურიდიული პირის სახელით ისე, რომ დადგა იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი. ვის დაეკისრება ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დანაშაული ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით), ან/და მის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, დადგენილია თუ არა დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი. უფრო მეტიც, იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, თუ პასუხისმგებელი პირის მიერ ზედამხედველობისა და კონტროლის არაჯეროვნად განხორციელების გამო, შესაძლებელი გახდა იურიდიული პირის დაქვემდებარებაში მყოფი ფიზიკური პირის მიერ დანაშაულის ჩადენა იურიდიული პირის სასარგებლოდ.



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჩიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ ითვლება თუ არა პოლიტიკური პარტია იურიდიულ პირად და შესაძლებელია თუ არა, პოლიტიკურ პარტიას, დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ პარტია არის არასამეწარმეო იურიდიული პირი. მასზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის დებულებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონს. შესაბამისად, შესაძლებელია, პოლიტიკურ პარტიას, როგორც არაკომერციულ იურიდიულ პირს, დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით.

**კითხვა: მაინტერესებს, არის თუ არა შესაძლებელი, სამართლებრივად საერთოდ აიკრძალოს პოლიტიკური პარტიის საქმიანობა და თუ შესაძლებელია, რა შემთხვევაში?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ პარტიის საქმიანობის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, აკრძალოს პარტია, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა; ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან, რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, სად ხდება პოლიტიკური პარტიის ოფიციალურად დარეგისტრირება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ პარტიის რეგისტრაცია ხდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

**შემთხვევით გავიგე, რუსეთში მოღვაწე ორ ქართველ ბიზნესმენს საკუთარი თხუთმეტმეტრიანი იახტით ატლანტის ოკეანე სრულიად მარტოებს, დახმარების გარეშე გადაულახავთ. თემამ, რასაკვირველია, დამაინტერესა, მაგრამ, შოთა აფხაზავასა და ზაქარია აბრამიშვილის თავზეხელაღებულობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 7-8-ბალიან ოკეანურ შტორმებს ისინი სასწაულებრივად გადაურჩნენ, რაშიც დიდი როლი ითამაშა მათმა საზრიანობამ და იღბალმა. კანარის კუნძულებიდან ბარბადოსში ჩასულებმა მთელი ხმით იყვირეს – მიწაა! და იქვე დაიწყეს ფიქრი მომავალ მოგზაურობაზე.**

# ორმა ქართველმა საკუთარი იახტით, სრულიად მარტომ, ატლანტის ოკეანე ოცდაოთხ დღეში გადალახა

**შოთა აფხაზავა**: მე და ჩემს უახლოეს მეგობარს, თანაკლასელს, ზაქარია აბრამიშვილს, საერთო იახტა გვყავს, რომლითაც ხშირად ვმოგზაურობთ. ზაქრო წარმოშობით აფხაზეთიდანაა, გაგრიდან და ამიტომ იახტას „გაგრა“ დაარქვა. ამ იახტით ვიყავით შავ ზღვაში, გადავცურეთ მთელი ხმელთაშუა ზღვა. ყოველ წელს მის დაბადების დღეს ამ იახტაზე აღვნიშნავთ. წელს ეს ვერ მოხერხდა და გადავწყვიტეთ, საახალწლოდ ამ იახტით ოკეანე გადაგვეცურა.

**– იდეამ არ შეგაშინათ?**

– მამაკაცმა ხომ უნდა გადალახოს ერთი ოკეანე?! ყველას თავისი არჩევანი, თავისი ოკეანე აქვს და ეს გამოწვევა მივიღე. ვიცოდი, რომ ის მარტოც წავიდოდა და ორივემ ვიცოდით, რომ მარტოს ამ მოგზაურობაში არ გავუშვებდი ***(იცინის).*** 19 დეკემბერს ჩავედი კანარის კუნძულებზე, გრან კანარიაში, სადაც იახტა ზაქარიას უკვე ჩაყვანილი ჰყავდა. ორი დღე დაგვჭირდა იახტის საჭირო ნივთებით, პროდუქტებითა და წყლით დასატვირთად და მოსამზადებლად. გრან კანარია ტრანსატლანტიკური მოგზაურობისთვის სტარტის ასაღებად საუკეთესო ადგილია, საიდანაც ოკეანის გადაცურვის სამი გზა არსებობს: ერთი – ყველაზე მოკლე, მაგრამ, ყველაზე სუსტი ქარებითა და დინებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩასვლას ყველაზე დიდხანს ამ გზით ანდომებენ გემები; მეორე – საშუალო და მესამე – ყველაზე გრძელი, მაგრამ, ძლიერი ქარებითა და დინებით, შტორმებით სავსე გზა, რომელი გზითაც ოკეანის გადალახვა ყველაზე სწრაფად შეიძლება. ეკვატორისკენ, აფრიკის სიახლოვეს უნდა ჩახვიდე და შემდეგ ძლიერი ქარის დახმარებითა და ძალიან სწრაფი სვლით წინ იარო.



**ერთი მომენტი ცუდმა აზრმაც გამიელვა, ხომ არ წაგვეყვანა ეს ფრანგი გოგონები-მეთქი. მაგრამ ზაქარიამ მითხრა, შენ ცოლთან ერთად, თუნდაც ერთ ოთახში სამი კვირა ოდესმე გაგიტარებიაო?!**

**– და თქვენ, როგორც ნამდვილმა ქართველებმა და კავკასიელებმა, რა თქმა უნდა, ყველაზე რთული და სწრაფი გზა აირჩიეთ.**

– ***(იცინის)*** დიახ. მამაკაცური გამოწვევა და ერთგვარი აზარტიც იყო. გამოვთვალეთ ყველაფერი, რა რამდენი დაგვჭირდებოდა...

**– რამდენზე გქონდათ დათვლილი?**

– ჩვენ გვეგონა, რომ მოგზაურობას სამი კვირა დასჭირდებოდა, მაგრამ, მოვანდომეთ ზუსტად 24 დღე. ატლანტის ოკეანე იმით განსხვავდება წყნარი ოკეანისგან, რომ, მიუხედავად წყნარის სიდიდისა, გადაცურვა უფრო იოლია, რადგან, სავსეა კუნძულებით, სადაც შეჩერება შეიძლება. ატლანტის ოკეანეში კი კუნძული არ არსებობს და, სწრაფი გზით სიარულის ერთ-ერთი სირთულე ისიც იყო, რომ, როგორც კი მოშორდები ნაპირს, დამთავრდა – ძლიერი დინების გამო, უკან დაბრუნების შანსი აღარ არსებობს. ამ სამზადისით მივიპყარით მთელი სანაპიროს ყურადღება. ჩვენთან მოვიდა ორი ფრანგი გოგონა, რომლებმაც გვთხოვეს ამ მოგზაურობაში თან წაყვანა. სიმართლე გითხრათ, ერთ მომენტში ცუდმა აზრმაც გამიელვა – ხომ არ წაგვეყვანა-მეთქი ***(იცინის).*** მაგრამ ზაქარიამ მითხრა: შენს ცოლთან ერთად, თუნდაც ერთ ოთახში სამი კვირა ოდესმე გაგიტარებიაო?! ის კი არა, ერთ ქალაქშიც კი ვერ გაჩერდები ცოლთან ერთად ამდენ ხანსო – ხშირად მიწევს მივლინებებში სიარული და ამიტომ ***(იცინის).*** მივხვდი, რომ მართალი იყო, რადგან ერთ კვირაში, შესაძლოა, ის ფრანგები იახტიდან გადაგვეყარა. უცხო ადამიანების ასეთ დაძაბულ გარემოში წაყვანა, როდესაც არ იცი, როგორ მოიქცევიან, სიგიჟე იქნებოდა.

**– პირველი სირთულე როდის შეგხვდათ?**

– დავიძარით და მალევე გავჩერდით იახტის ძირის წყალმცენარეებისგან გასასუფთავებლად. ჩვეულებრივ, მათი მოშორება რთული არ არის, მაგრამ, რაღაც უცნაური წყალმცენარეები მიიწება გრან კანარიაში, რომელთა მოშორებას ორი დღე დასჭირდა. პორტიდან დაძვრასთან ერთად, დაიწყო ქარი და, სანამ მიზნამდე – კარიბის კუნძულებამდე მივიდოდით, დასვენება გვქონდა, თუ ხუთბალიან შტორმზე მეტი არ იყო. 7-8-ბალიან შტორმზე ნაკლები, ამ ოცდაოთხი დღის განმავლობაში, არც ერთ დღეს არ ყოფილა.

**– საკვებთან დაკავშირებით რა ხდებოდა?**

– მარაგი საკმარისი გვქონდა – სამი ტიპის საკვები წავიღეთ: ცოცხალი პროდუქტი, ის პროდუქტი, რომელიც გაყინვას ექვემდებარება და, მესამე – ის საკვები, რომელიც წყლის დასხმით გადაიქცევა ხორცად, ბოსტნეულად, ბურღულეულად. ეს ის საკვებია, რომელსაც კოსმონავტები და სხვა მსგავსი პროფესიის ადამიანები მოიხმარენ. მივირთმევდით ზღვის პროდუქტებსაც. ჩვენს გემბანზე ხშირად ვპოულობდით მფრინავ თევზებს, რომლებიც წყლის მტაცებლებს გაურბოდნენ. ქარის დახმარებით ისინი დაახლოებით ასი მეტრით გადაადგილდებიან. ვერ გავარკვიეთ, შეიძლებოდა თუ არა მათი ჭამა. ისე, დელიკატეს თევზებს მივირთმევდით – ბადით ვიჭერდით, მაგრამ, ძალიან მალე მოგვბეზრდა. საშინელი სინესტე იყო გემზე, პროდუქტებს თუ ყოველდღე არ გადავაწყობდით და გავამშრალებდით, ძალიან მალე ფუჭდებოდა. თუმცა, ამას ერთი პლუსი აქვს: მოშორდები თუ არა ნაპირს 3-5 მილით, ყველანაირი მიკრობი კვდება, არ არსებობს კოღო და სხვა რაიმე წვრილი მფრინავი, რომელსაც ბაქტერიის მოტანა შეუძლია. პირდაპირ გრძნობ, როგორ იწევს იმუნიტეტი ზემოთ.

**– ექსტრემალურ შემთხვევებში დახმარების გამოძახება თუ შეიძლება, არის რამე დაზღვევა?**

– შეიძლება, დახმარება გამოიძახო, მაგრამ, რეალურად, გაცნობიერებული უნდა გქონდეს, რომ ოკეანეში ორი ადამიანის გამო ხომალდსა და ვერტმფრენებს არავინ გამოუშვებს. ფაქტობრივად, განწირული ხარ, თუ იმ მომენტში არ გაგიმართლებს და სიახლოვეს რაიმე გემი არ გამოჩნდება. არადა, მთელი მოგზაურობის განმავლობაში ჩვენი ხედვის არეში მხოლოდ ერთი უზარმაზარი ტანკერი შემოვიდა. გავედით თუ არა, სატელიტური ტელეფონი დაგვიზიანდა და ნაპირთან ყველანაირი კავშირი გაწყდა, მხოლოდ სპეციალური მოწყობილობით ვაგებინებდით ჩვენს ადგილსამყოფელს, ანუ, ახლობლებს ელექტრონული ფოსტით მისდიოდათ ინფორმაცია, რომ ცოცხლები ვართ. ოცდაოთხი დღის განმავლობაში ოთხი სერიოზული შემთხვევა მოგვივიდა. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, მათგან სამი – ერთი და იმავე მიზეზით იყო გამოწვეული. მარტივად რომ აგიხსნათ, ბოძი, რომელიც 27-ამპერიან ძაბვას ატარებდა, გარშემო ქმნიდა სერიოზულ მაგნიტურ ველს, ჩემს მეგობარს კი მის სიახლოვეს დაუმაგრებია „ჯიპიეს“ ანტენა. პრობლემების მიზეზი მხოლოდ მაშინ აღმოვაჩინე, როდესაც მეორე ნაპირს მივუახლოვდით. რას წარმოვიდგენდი, თუ „ჯიპიესს“ ჩემი მეგობარი ბოძთან ერთად ერთგვარ რკინის ქსელში მოაქცევდა, როცა ის ოდნავი შეფერხების შემთხვევაშიც კი არასწორად მუშაობს. ხომ წარმოგიდგენიათ რას უზამდა მას ეს ელექტრონული მუხტი! სამჯერ, სრულიად მოულოდნელად, იახტის ავტოპილოტი გაითიშა და გემმა დაიწყო ქარის საპირისპირო მიმართულებით ტრიალი. პირველივე დატრიალების დროს მივხვდით, რა დაუცველები და პატარები ვართ ამხელა გიგანტთან – ოკეანესთან, რამდენად მძლავრი და გიგანტურია ის, როგორ განსხვავდება ზღვის ტალღები ოკეანის ტალღებისგან. წარმოიდგინეთ, სტაბილური ქარის დროს იახტა ვარდებოდა 600-700 მეტრი სიგანისა და 4-5-სართულიანი სახლის სიმაღლის ტალღის ძირში. ამ ტალღებს შორის რომ ვექცეოდით, ბნელდებოდა, არადა, მზე საოცრად კაშკაშებდა და ისე ირეკლავდა მას ოკეანე, როგორც სარკე. ჩემი აიპადით ვხედავდი კოსმოსში ხელოვნურ თანამგზავრებს და ერთ მომენტში მივხვდი, რომ ჩვენ თავზე საერთაშორისო კოსმოსური სადგური იყო, რომელიც იმ წუთას უფრო ახლოს იყო ჩვენგან, ვიდრე ნაპირი. ნაპირამდე სამი ათასი კილომეტრი გვაშორებდა, კოსმოსამდე კი – ორი ათასი. შტორმული ქარების გამო რეკორდული სისწრაფით მივიწევდით წინ. დროზე ადრე მივიდოდით ნაპირთან, რომ არა ის შემთხვევები, რომლებიც გადაგვხდა. ოკეანეში სამი რაღაცისთვის იბრძვი: გადარჩენისთვის, წყლისთვის და ელექტროენერგიისთვის. ელექტროენერგია აუცილებელია ბევრი რამისთვის, მათ შორის – ავტოპილოტისთვის. ასეთი დატრიალების დროს, შესაძლოა, ქარი იალქანს მეორე მხრიდან მოხვდეს და, დიდი ჰიდრავლიკური დატვირთვის გამო, სერიოზული ავარია მოხდეს. სწორედ ასეთი რამ დაგვემართა რამდენჯერმე და ამ მდგომარეობიდან გამოსვლას სხვადასხვაგვარად ვახერხებდით, მერე კი იახტას ვარემონტებდით იმ მინიმალური იარაღებით, რომელიც გვქონდა. „ნაპილნიკისა“ და „ნაჟოვკის“ დახმარებით უამრავი რამ შევაკეთეთ. „ნაპილნიკს“ ეწერა „მეიდ ინ გონდურას“. იმდენი რამისგან გვიხსნა და იმდენჯერ დაგვჭირდა ეს რკინის სახეხი, რომ ტერმინიც კი გაჩნდა იახტაზე – „იდიომ განდურასიც“. „ნაპილნიკით“, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, სხვადასხვა დეტალს ვჩარხავდი. ამ ავარიებში შევხვდით „გაგრაზე“ ახალ წელს, რომელიც გადასარევად აღვნიშნეთ: გვქონდა პატარა ნაძვის ხე, შამპანური და ყველაფერი, რაც ახალ წელს უკავშირდება.

**– ბოლო შემთხვევამ იალქნის გარეშე დაგტოვათ?**

– ეს ნამდვილი კოშმარი იყო. მანამდე გვქონდა მესამე შემთხვევა – ავტოპილოტის ჭანჭიკი გატყდა და, შუაღამისას, საშინელ ქარში, იძულებული გავხდით, საჭე ხელით გვემართა. ოთხსაათიანი მუშაობის შემდეგ ავტოპილოტი შევაკეთეთ. მეორე დღეს ვცადე ხელით მართვა, რომ გამეგო, ავტოპილოტის გარეშე რა სირთულესთან მოგვიწევდა ჭიდილი. ხუთი-ათი წუთი გადასარევად ვგრძნობდი თავს, მაგრამ, ოც წუთში ენერგიისგან მთლიანად დავიცალე. ამდენი მოწყობილობის, ქარის, იალქნების კონტროლისგან გეწყება თავის ტკივილი, გიჩნდება გულის რევის შეგრძნება, ერთი წამითაც ვერ უშვებ ვერც ერთ ხელს საჭეს. ჩვენი იახტა ითხოვს, რომ, ხელით მართვის შემთხვევაში მინიმუმ ოთხი ადამიანია საჭირო კარგ ამინდში, რომელიც ყოველ ორ საათში შეიცვლებიან. ასე რომ, ავტოპილოტის გარეშე ნაპირამდე მისვლა შეუძლებელი იქნებოდა.

ბოლო შემთხვევა 5 იანვარს მოხდა, რომელმაც ჩვენი იახტა კინაღამ ფსკერისკენ წაიღო. 8-ბალიანი, საშინლად ძლიერი ქარი იყო, როცა ზაქარიას ვუთხარი, იალქანი ჩამოვწიოთ-მეთქი. ხელთათმანები გავიკეთე და უცებ იახტამ საშინელი სისწრაფით შემობრუნება დაიწყო. ზაქარია დაეცა. საჭისკენ დავიწყე სვლა და, ბოლო, რაც მოწყობილობაზე დავინახე, იყო ის, რომ საათში 70 მილი ქარის სიჩქარით მივდიოდით. ხელი მოვკიდე თუ არა საჭეს, ქარი იალქნის მეორე მხრიდან მოხვდა და იალქნების ანძა მოტყდა. გაწყდა ყველა ტროსი, რომელიც იალქნებთან და ძელთან იყო დაკავშირებული. დავკარგეთ ბევრი რამ, მათ შორის – ტენტი, არადა ტენტის გარეშე მზეში ისე ხარ, როგორც ტაფაზე. ამის შემდეგ დღისით გემბანზე მხოლოდ გამორბენით ვახერხებდით გამოსვლას. ერთ დღეს დიდხანს მოგვიწია გემბანზე ყოფნა, ყველანაირი დამცავი საცხი წავისვით, პლედებში გავეხვიეთ, მაგრამ, საშინელი დამწვრობა მივიღეთ. როცა ანძა ეცემა, მთავარია, ტროსების ქვეშ არ აღმოჩნდე, რადგან ისინი, როგორც „რეზაკი," შუაზე ჭრის ყველაფერს. ანძა რომ ჩამოვარდა, ერთმანეთს შევხედეთ – ორივე ჯანმრთელად ვიყავით, ხოლო რკინის მკვლელი ზუსტად ჩვენ შორის იყო მოქცეული. საშინელი შტორმია, ანძა მოტყდა, იალქნები ცალ მხარეს კიდია, რის გამოც იახტა გადაიხარა და თან, საშინლად ვირყეოდით. ამ დროს, უძლიერეს ქარში, ვგრძნობ დამწვარი პლასტმასის საშინელ სუნს. გავოგნდი, ასეთ ქარში ასე რა იწვის, რომ სუნი არ მიაქვს-მეთქი და უცებ დავინახე, რომ ამ რწევის გამო ცენტრალური „ვანტა" შუაზე ჭრის გემბანს და, შესაბამისად – მთელ იახტას. სასწრაფოდ დავიწყეთ ჩამოვარდნილი ანძის მთლიანად მოძრობა. ამასობაში ქარმა მზის ელემენტები დალეწა, გემბანი მოფენილია შუშის ნამსხვრევებით, მთლიანად დასერილი გვაქვს ხელები და ფეხები და, თან, „ვანტების" გადაჭრას ვცდილობთ...

**– რომ გცოდნოდათ, რა მოხდებოდა მაინც წახვიდოდით ამ რისკზე?**

– წასვლამდე სხვა შეგრძნებები მქონდა: ვიცოდი, რომ მარტო არ უნდა გამეშვა; რომ აუცილებლად უნდა წავსულიყავი. ვგრძნობდი, რომ ძალიან გაგვიჭირდებოდა, მაგრამ, ვიცოდი ისიც, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. ასეთი ინტუიცია მქონდა და, რატომღაც, არ შემშინებია. სულ ცოტა ხანში ჩვენი იახტა გარემონტდება და უკვე ჩრდილოეთიდან წამოვალთ – იმ ნაპირიდან აქეთ.



**სამჯერ სრულიად მოულოდნელად იახტის ავტოპილოტი გაითიშა და გემმა დაიწყო ქარის საპირისპირო მიმართულებით დატრიალება**

**– როგორ გამოხვედით ამ მდგომარეობიდან?**

– ამ საშინელ რყევაში როგორღაც შევძელით ამ რამდენიმე „ვანტის" ჩახსნა და ანძა თავისი იალქნებით ფსკერისკენ წავიდა. ეს იყო, ალბათ, ამ მოგზაურობაში ყველაზე დრამატული და მძიმე სანახაობა. იახტამ საშინელი რყევა შეწყვიტა და სამი წუთი ვუყურებდით, როგორ ეცემოდა მზე წყალს – თითქოს ოკეანეს ცეცხლი ეკიდა და, ამ ნარინჯისფერ სილამაზეში როგორ მიდიოდა ჩვენი „სახლის" ნაწილი ოკეანის ფსკერისკენ. ზაქარია ამ მომენტმა საშინელ დეპრესიაში ჩააგდო. როგორღაც შევაგროვეთ ყველა ტროსი და ლაინები და ყველა ის დეტალი, რომელთა გადარჩენაც მოვახერხეთ და დავიწყეთ გამოსავალზე ფიქრი. ძრავა მუშაობდა, ავტოპილოტი მუშაობდა, მაგრამ, დიზელის მარაგით, რომელიც გვქონდა, მხოლოდ 700-800 კილომეტრის გავლას მოვახერხებდით, როცა ნაპირამდე 2 000-მდე კილომეტრი მაინც იყო დარჩენილი. აღარ გვქონდა რადარი, ამრეკლი, გაბარიტული ცეცხლი, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერც ჩვენ ვხედავდით ვინმეს და ვერც სხვა დაგვინახავდა ჩვენ. ზარალი დავითვალეთ, გავაცნობიერეთ, რა გვქონდა, რა არა და, მივხვდით, რომ იალქნის გარეშე, მხოლოდ ძრავის მუშაობით, ნაპირამდე ვერ გავიდოდით. მეორე დილით დავიწყეთ „სპეცოპერაცია" სახელწოდებით – „ახალი მაჩტა და იალქნები." დიდხნიანი „ჰონდურასობის" შემდეგ, სახელდახელოდ გამოვძერწეთ საჭირო დეტალები, უკუღმა დავაყენეთ სათადარიგო, ავარიული იალქნები, რომელიც სახელდახელო, „ჰენდ მეიდ ანძას" მივამაგრეთ და განვაგრძეთ ცურვა. დავაწესეთ მკაცრი მორიგეობა და ნაპირამდე ახალი ავარიების გარეშე მივაღწიეთ, მიუხედავად საშინელი შტორმებისა.

**– ნაპირი რომ დაინახეთ, რა შეგრძნება იყო?**

– ხმამაღლა და გულწრფელად ვიყვირეთ: „მიწაა!" ***(იცინის).*** თურმე, თვითონ გეყვირება, იმხელა ემოციაა. მივაღწიეთ კუნძულ ბარბადოსამდე, სადაც ნამდვილი ფურორი მოვახდინეთ, რადგან, მიხვდნენ, რომ საშინლად ნაავარიევი იახტით ოკეანის გადაცურვა მოვახერხეთ. 18 იანვარს ჩავედით სამხრეთ ამერიკაში. ბარბადოსთან ქარი ჩადგა და ის ბოლო სანერვიულოც მოგვეხსნა, რომელიც, შეიძლებოდა, შეგვქმნოდა. კარიბის კუნძულებთან ასეთ, ფაქტობრივად, უიალქნო გემს, ერთმხრიანი დინება პირდაპირ ცნობილ კარიბის ეკლიან რიფებში შეაგდებდა, სადაც გემების ნამდვილი სასაფლაოა და იქ შეთრეული გემებიდან ეკიპაჟის ორი პროცენტი ძლივს ახერხებს გადარჩენას. მშვიდი ქარის წყალობით, ძრავის მუშაობით, ამ რიფებს შემოვუარეთ და შევედით კარიბის ზღვის მშვიდ პორტში. ჩვენი მოგზაურობა ოცდამეოთხე დღეს მშვიდობიანად დასრულდა.

**სალომე გველესიანი**

# როგორ შეუცვალა ცხოვრება უკეთესობისკენ გია სურამელაშვილს პირადმა პარაფსიქოლოგმა

***ამბობს, რომ ადამიანების დახმარების სურვილი მასში გენეტიკურად არის კოდირებული. ხევისბერების შთამომავალს – ნანა მამაგულაშვილს, განსაკუთრებული უნარი აქვს – ჩაწვდეს უცხო ადამიანის პრობლემას და მისი გადაჭრის საშუალებაც იპოვოს.***

**– ქალბატონო ნანა, გია სურამელაშვილი ყველგან ამბობს, თქვენ რომ არა, სცენაზე აღარასოდეს ავიდოდა.**

**ნანა მამაგულაშვილი**: როცა მას შევხვდი, საკმაოდ მძიმე სულიერი მდგომარეობა და უამრავი პრობლემა ჰქონდა. ბევრი აღარ უკლდა იქამდე, რომ მთლიანად დაენგრია საკუთარი პიროვნება. ადამიანს, სამწუხაროდ, თვითგანადგურებისკენ აქვს მიდრეკილება. როცა მისი შინაგანი ენერგიების ბალანსი ირღვევა, იწყება დეპრესია, ხდება უკონტაქტო, აგრესიული და საკუთარ თავში იკეტება. შესაბამისად, უარესდება მისი ფიზიკური მდგომარეობაც. ვცდილობ, ადამიანები ასეთი რთული სიტუაციებიდან გამოვიყვანო, რათა არ მოახდინონ ენერგეტიკული ველის დეფორმაცია, რომლის აღდგენა გაცილებით რთულია.

**– გია სურამელაშვილმა თქვა, რომ თქვენ მის მომავალს ხედავთ.**

– მე იმდენად კარგად ვიცნობ გიას ხასიათს, მის შინაგან სამყაროს, რომ აღარ მიჭირს იმის განჭვრეტა, რას მოიმოქმედებს მომავალში, თუმცა ხედვებიც მაქვს. მახსოვს, როგორ ვუთხარი: „გია, შენ ახვალ სცენაზე და იმღერებ". რა თქმა უნდა, არ დამიჯერა, მაგრამ, ძალიან მალე დაუბრუნდა სცენას. მე როცა ეს ვთქვი, მართლა ვხედავდი მას სცენაზე, თაყვანისმცემლებით გარემოცულს. ისეთი შემთხვევაც იყო, როცა ლამის დაგეგმილი კონცერტი ჩაშალა. დამირეკეს და სასწრაფოდ მიმიყვანეს. დამინახა თუ არა, დამშვიდდა.

**– ასეთს რას უკეთებთ?**

– იცით, რაშია საქმე? ჩვენ ნეგატიურად დამუხტულ გარემოში ვცხოვრობთ, სადაც ბევრი ცუდი მოვლენა ხდება. ერთხელ რაღაცაში არ გაუმართლებს ადამიანს და ის უკვე იწყებს იმაზე ფიქრს, რომ მისი ცხოვრება უარესი და უარესი გახდება. ანუ, თვითონვე უწყობს ხელს ნეგატიური ენერგიის დაგროვებას. ასეთ ადამიანებთან ვაკეთებ მედიტაციებს, ვესაუბრები მათ დიდხანს, ხშირად ვხვდები და ვაბალანსებ მათ შინაგან ენერგიას, ვუწმენდ აურას და ცხოვრება ნელ-ნელა ეცვლება უკეთესობისკენ, სიხარული უბრუნდება და წარმატებას ისე იზიდავს, როგორც მაგნიტი.



**– ძირითადად, რა პრობლემებით მოდიან თქვენთან?**

– ფინანსური და პირადი პრობლემებით. უმრავლესობა პირველივე ვიზიტზე გრძნობს შველას. თუ კარგად მისმენს და მომყვება, პირველივე სეანსზე გამომყავს კრიტიკული მდგომარეობიდან. ჩემი ტელეფონი სულ ჩართულია, რომ დილის ნებისმიერ მონაკვეთში შესაძლებელი იყოს დაკავშირება. მე არავის ვეუბნები უარს დახმარებაზე.

***გია სურამელაშვილის პირადი ბიოკორექტორი და პარაფსიქოლოგი თქვენს სამსახურშია: 577-75-54-18.***

**ალბათ, ყალბად ნათქვამად არ ჩამეთვლება, რომ, დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ქართულ საზოგადოებაში განსაკუთრებული სიმპათიით სარგებლობენ. მათ შორის სამგორის რაიონის მაჟორიტარი ზურაბ აბაშიძეც მოიაზრება. ზურა და მისი ამჟამინდელი მეუღლე, მშვენიერი თეონა ბენაშვილი, 2011 წელს, გაცნობიდან ძალიან მცირე ხანში დაქორწინდნენ და მაისის ბოლოს პატარასაც ელოდებიან. როგორც აღმოჩნდა, თეონა და ზურა ძალიან ჰგვანან ერთმანეთს ხასიათით. პოლიტიკოსის მეორე ნახევარი მშვიდი და სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა.**

# რატომ არ მეგობრობს პრემიერის ოჯახთან ზურა აბაშიძის მეუღლე

**– თეონა, როცა დაგიკავშირდით და ჩვენი ჟურნალისათვის ინტერვიუ გთხოვეთ, თავიდან ცოტა შორს დაიჭირეთ თავი – უარზე იყავით. რა არის ამის მიზეზი, მაინცდამაინც არ გიყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა?**

– ეგეც არის, მაგრამ, უფრო მეტად, ერთი უსიამოვნო შემთხვევის შემდეგ არ მიყვარს პრესაში გამოჩენა – მცირე ხნის წინ ერთ-ერთ ჟურნალს ჩვეულებრივი ინტერვიუ მივეცი – აპოლიტიკური, სამოსსა და კოსმეტიკაზე მეკითხებოდნენ. მერე სადღაც დაიდო ინტერნეტში და ისეთი სულელური კომენტარები წავიკითხე, გული მეტკინა და განვიცადე. წერდნენ, რაში ხარჯავ ფულსო და კიდევ ნეგატიური რაღაცეები. არ მესმის, რამ გააბოროტა ეს ხალხი ასე, მით უმეტეს, ზედმეტად გამოჩენაც არ მიყვარს და ჩემზე ბევრი არაფერი იციან. საერთოდ, ინტერვიუებზე დიდად არ ვგიჟდები და არც ლაპარაკი მეხერხება.

**– პარლამენტი ქუთაისშია, მეუღლე – სულ გაქცევა-გამოქცევის რეჟიმში. რთული არ არის ასე? თანაც, მალე პატარას ელოდებით.**



**მარტო ზურა არ გამიცნია ჩემი შვილისთვის, ბავშვებთან ერთად გავაცანი**

– ძალიან რთულია, საშინელი და ხშირად ვწუწუნებ ხოლმე, მაგრამ, მეტი რა გზაა? მალე ასე აღარ იქნება – თბილისში გადმოიტანენ პარლამენტს. ძირითადად, პარასკევი, შაბათი და კვირა გვაქვს ერთმანეთთან ურთიერთობისთვის. არ გვაქვს დროის საკითხში ფუფუნება, თუმცა, ზოგჯერ სამუშაო კვირის დღეებშიც ახერხებს გვიან ჩამოსვლას. მაგრამ, მარტო ქუთაისი ხომ არ არის, ხშირად უწევს დელეგაციასთან ერთად უცხოეთში წასვლა, რა თქმა უნდა, უჩემოდ. ამიტომ, როცა სახლშია, ოჯახური იდილია გვაქვს: ზურას შვილები მოდიან ჩვენთან, ჩემი შვილიც, ერთად ვართ ხოლმე და დროს კარგად ვატარებთ – ტოლები არიან და კარგად გაუგეს ერთმანეთს.

**– ახლა რა დოზით ხართ ჩართული პოლიტიკაში?**

– მეტ-ნაკლებად, ზურას გაცნობამდე საერთოდ ძალიან აპოლიტიკური ადამიანი ვიყავი. ახლა, ელემენტარულად, რა ხდებოდა ჩემს ქვეყანაში, ვიცოდი, თორემ, პოლიტიკოსებს არ ვიცნობდი და არც იმის აზრზე ვიყავი, ზურა ვინ იყო. მიტინგებზეც არასოდეს მივლია ***(იცინის).*** ჩემს ცხოვრებაში პირველად აქციაზე ვიყავი ციხის ამბებთან დაკავშირებით – სოლიდარობა გამოვუცხადე პატიმრებს. საერთოდ, არც ახლა მაინტერესებს პოლიტიკა. არც ყურადღების ცენტრში ყოფნა მიყვარს, უბრალოდ, როცა საჭიროა, ამას ვერ გავექცევი. პოპულარული რომ ვიყო, ამისთვის ნამდვილად არაფერს ვაკეთებ, მაგრამ, რომ გითხრა, მთლად ჩრდილში ვარ-მეთქი, არა. მოკლედ, პოპულისტი არ ვარ ***(იცინის).***

**– რა ხასიათზე დადგება ზურაბ აბაშიძე, ერთ დღეს მისმა ცოლმა პოლიტიკაში წასვლა რომ მოინდომოს?**

– ეგ გამორიცხულია და, არა მგონია, ასეთი დღე დადგეს. სასაცილოდ მეჩვენება ეგ კითხვა. ის კი არა, სახლში პოლიტიკაზეც არ ვსაუბრობთ, ისედაც ცოტა დრო გვაქვს და ერთი-ორი კითხვით შემოვიფარგლები ხოლმე, დებატებს არ ვმართავთ ნამდვილად. სამაგიეროდ, მუდმივად ვუყურებ მის საჯარო გამოსვლებს. უფრო მომწონს, როცა მშვიდად და გაწონასწორებულად გამოდის; როცა დებატების ფორმატია, ძალიან ვღელავ, თუმცა, ვცდილობ, არ შევიმჩნიო. მერე აზრსაც მეკითხება ხოლმე და მეც რჩევებს ვაძლევ. თუმცა წყობიდან გამოსული ზურა თითქმის არ მახსოვს. ეთერი რომ მთავრდება, ვურეკავ და მეკითხება ხოლმე აზრს, ან, როცა სახლში მოდის, მაშინ განვიხილავთ.

**– ანუ, კონფლიქტი არ გაქვთ რაღაც თემებზე?**

– არის ხოლმე პატარ-პატარა კამათი, თუმცა, კონფლიქტი საერთოდ არ გვაქვს, სკანდალები და ჩხუბი არ გვქონია ***(იცინის).*** გაბუტულებიც დიდხანს არ ვართ ხოლმე – არ დგას ისე საკითხი, რომ ველოდოთ, რომელი გადმოდგამს ნაბიჯს. გაბუტულ მდგომარეობაში დიდხანს ხმის გაუცემლად ყოფნა არ შემიძლია, ამიტომ, თავისთავად, ბუნებრივად ხდება შერიგება.

**– ორსულობის პერიოდში ქალებს ხშირად ეცვლებათ ხასიათი – ჭირვეულები ხდებიან, მგრძნობიარეები. თქვენ როგორ ხართ ამ მხრივ?**

– განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვ. ბავშვს მაისის ბოლოს ველოდები, ჯერჯერობით კი მივდივარ ასე მშვიდად. ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ ცოტა რაღაცეები მოვითხოვო, ვიჭირვეულო, ეს დრო მაქსიმალურად გამოვიყენო ***(იცინის).***

**– პროფესიით პედიატრი ხართ. რატომ არ მუშაობთ ამ სფეროში?**

– სამედიცინო უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, იმ პერიოდში რაღაც პირადი პრობლემები მქონდა – დედა გარდამეცვალა. არ მინდა, მიჭირს ამ თემაზე საუბარი. რეზიდენტურაში უნდა გამეგრძელებინა სწავლა და ველარ გავაგრძელე. სასწრაფოდ რამე სიახლე მჭირდებოდა, რომ იმაზე გადავრთულიყავი და უცებ გამოჩნდა სამსახური „მაგთიში", რომელიც ძალიან დამეხმარა ამ ტრაგედიის გადატანაში. უკვე ხუთი წელია, იქ ვმუშაობ, თუმცა, სამომავლოდ აუცილებლად მინდა, სწავლაც გავაგრძელო და ჩემი პროფესიითაც ვიმუშაო.

**– როგორი ადამიანია ზურაბ აბაშიძე?**

– მშვიდია და ძალიან თბილი, რასაც ძალიან ვაფასებ. ისეც არ არის, რომ სულ სიმშვიდე იყოს – ეს ძალიან მოსაბეზრებელია, მით უმეტეს, ზურას ბავშვები ჩვენთან ატარებენ შაბათ-კვირას და ნამდვილად ვერ იქნება სიწყნარე, მხიარული ოჯახი ვართ ***(იცინის).*** სკანდალისა და წივილ-კივილის ხმა არ გამოდის ჩვენი სახლიდან. თუ ზურა დაღლილია, გაღიზიანებული და ქუთაისიდან ახალი ჩამოსულია, ვცდილობ, ხელი შევუწყო ყველანაირად.

**– როგორ გაიცანით თქვენ და ზურამ ერთმანეთი?**

– ერთმანეთი საერთო მეგობრების წრეში გავიცანით 2011 წლის ზაფხულში. წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყო, სახელი და გვარიც არ მქონდა გაგებული. იმდენად არ მაინტერესებდა პოლიტიკა, ტელევიზორსაც არ ვუყურებდი. საღამოს გვიან მოვდიოდი სამსახურიდან და იმ დროსაც ბავშვს ვუთმობდი. გავიცანით და მორჩა – ბევრ საინტერესო თემაზე ვისაუბრეთ და ძალიან დადებითად განვეწყვეთ ერთმანეთის მიმართ, თუმცა, გრძნობა რასაც ჰქვია, იმ დღეს ნამდვილად არ წამოსულა. უბრალოდ, როგორც ახალგაცნობილს, ყურადღება მივაქციე. მერე აგვისტო დაემთხვა და მეც დასასვენებლად წავედი, ზურასაც ბავშვები ჰყავდა წაყვანილი. სატელეფონო კონტაქტი გვქონდა, მაგრამ, სერიოზული არაფერი. დამირეკა და მითხრა, სადმე ხომ არ გავიდეთო – თავიდანვე ძალიან აქტიურობდა, თუმცა მე ცოტა დისტანციას ვიჭერდი – მეორეჯერ ნაბიჯის გადადგმა ყოველთვის რთულია, უარი ვუთხარი, არა, არ მცალია-მეთქი. მერე ორი თვე საერთოდ აღარ დაურეკავს – ეტყობა, ფიქრისთვის დრო მომცა ***(იცინის).*** სექტემბრის შუა რიცხვებიდან კი ძალიან სწრაფად განვითარდა ჩვენი ურთიერთობა და რამდენიმე თვეში დავქორწინდით. ეს ზურას ძალიან დიდი დამსახურებაა, ძალიან მალე მაგრძნობინა, რომ ჩემ გვერდით ძლიერი, თბილი და ყურადღებიანი მამაკაცი იდგა. საერთოდ, უცებ არ ვიღებ გადაწყვეტილებებს, დიდხანს მჭირდება ფიქრი, მაგრამ, ზურა იმდენად დარწმუნებული იყო, შეძლო, მეც დავერწმუნებინე. ყველაფერი ზომიერად განვითარდა – გიჟივით საჩუქრების მოყრა არ ყოფილა, მაგრამ, ძალიან კარგი იყო. ორ თვეში იმდენად კარგად გავიცანი, რომ გადავდგი ეს ნაბიჯი. სხვათა შორის, ზურასთვის, არასდროს შემიხედავს როგორც პოლიტიკოსისთვის.

**– ხელი როგორ გთხოვათ?**

– ერთ საღამოს ერთად ვისხედით და მითხრა, მიყვარხარო. ცოტა მოულოდნელი იყო, ასე მალე რომ გამომიტყდა სიყვარულში. მაშინვე არ დავთანხმებულვარ, ერთ კვირაში ვუთხარი პასუხი. მერე მამაჩემის გასაცნობადაც ავიდა. ძალიან ვღელავდი...

**– ბავშვმა როგორ მიიღო თქვენი მეორე ქორწინება?**

– მარტო ზურა არ გამიცვნია ჩემი შვილისთვის, ბავშვებთან ერთად გავაცანი. სანამ დავქორწინდებოდით, მანამდე ერთად ვსეირნობდით. ბავშვები დაახლოებით ერთი ასაკის არიან. ჩემს შვილს კარგი ურთიერთობა აქვს ზურასთან, ერთი სული აქვს ხოლმე, შაბათ-კვირა როდის მოვა, ძალიან დადებითად არის განწყობილი.

**– უცხოეთში თუ ახერხებთ ერთად სიარულს?**

– იშვიათად. პარიზში გვქონდა თაფლობის თვე, სადაც სიამოვნებით ვიცხოვრებდი, ოღონდ, სამუდამოდ არა. შეყვარებულების ქალაქია, ლამაზი და მყუდრო. შოპინგზე გადარეული არ ვარ, რომ მაშინვე ვტაკებოდი მაღაზიებს, სხვა რაღაცეებიც ვნახე. ამას წინათ ერთად ვიყავით დუბაიში და სულ ბავშვების ჭკუაზე დავდიოდით. ზურა რომ მიდის უცხოეთში, საჩუქრები ჩამოაქვს ხშირად, სუნამოები. არასდროს დამიწუნებია მისთვის საჩუქარი – ემთხვევა ჩვენი გემოვნება.

**– თქვენი აზრით, ზურას ჩაცმის რომელი სტილი უფრო უხდება?**

– მე მიყვარს, როცა ჯინსი და მაისური აცვია. კვირაში ხუთი დღე შარვალ-კოსტიუმშია გამოწყობილი და მობეზრებული აქვს საშინლად, სპორტული სამოსი ძალიან უხდება.

**– პოლიტიკოსების მეუღლეებთან თუ მეგობრობთ?**

– დიდად არა, ასაკობრივი სხვაობაც დიდია, ჩემი ტოლი არავინ არის. მხოლოდ ქმრებთან ერთად თუ ვხვდებით, ისე – არა. პრემიერის ოჯახთან არანაირი შეხება არ გვაქვს.

**ქეთი დიდებულიძე**

**ერთი შეხედვით, მომღერალი ეკა კვალიაშვილი საკმაოდ ცივი ბუნების ადამიანი ჩანს, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის. მის გვერდით არ მოიწყენ, საკმაოდ გულახდილი რესპონდენტია და, არ მალავს, რომ მისი პირდაპირობა ბევრს არ მოსწონდა. თუ რატომ იბლოკებოდა ის მთელი ცხრა წლის განმავლობაში, რის გამო მიატოვა უცხოეთში კარიერა და რა სამომავლო გეგმები აქვს სამშობლოში, ამაზე თავად ეკა გვესაუბრება.**

# ვის არ აპატიებს ცხრა წლის დეპრესიას ეკა კვალიაშვილი და რის გამო მოუწია მას სამშობლოს დატოვება გარკვეული დროით

**ეკა კვალიაშვილი**: მიმაჩნია, რომ ძალიან იღბლიანი ვარ, რადგან, ის პერიოდები, რაც მე გამოვიარე, იღბლიანი რომ არ ვყოფილიყავი, ვერ „გავქაჩავდი" ***(იცინის).*** ბუნებით ძლიერი ვარ და ღმერთის წყალობით, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ვაღწევ იმას, რასაც ჩავიფიქრებ. ცხოვრებისგან საკმაოზე მეტი დარტყმა მივიღე, მაგრამ დღეს ბედნიერი ვარ. არ ვემორჩილები წარუმატებლობას და დაღმავალ პერიოდებს, ვიბრძვი. ღმერთის წყალობით, დღემდე ასე მოვედი.

**– ხშირად ამბობ, რომ ეკა კვალიაშვილს „ბლოკავდნენ" და არ აძლევდნენ იმის საშუალებას, თავისი სათქმელი სიმღერით ეთქვა.**

– დიახ, ასეა. მთელი ცხრა წელი არსად ვჩანდი, „დაბლოკილი" ვიყავი, ახლა კი სამ პროექტზე ერთდროულად ვმუშაობ და სულ მალე იხილავს ეს პროექტები დღის სინათლეს. ამის მერე, ვინმე მეტყვის, რომ ვიღაც-ვიღაცეების გამო არ „ვიბლოკებოდი"? ის, უმოძრაობის პერიოდი დასრულდა და მომავალში, მე ბევრი გეგმა მაქვს.

**– საკმაოდ პირდაპირი ხარ და ბევრს ეს არ მოსწონდა. შენ როგორ მიგაჩნია?**

– დიახ, პირდაპირი ვარ და ამას არც ვმალავ. არ მესმის, პირდაპირობა ცუდია? ჩემთვის მიუღებელია არაჯანსაღი, ამბიციური ადამიანები და თუ შემეხებიან, პირდაპირ ვეტყვი, რაც სათქმელი მაქვს, ზურგს უკან ჭორაობას არ დავიწყებ. მე, საქმეს არავის ვურჩევ, უბრალოდ, ჩემი მართალი პირდაპირობით ვაღიზიანებ ვიღაც-ვიღაცეებს. მე, ჩემს საქმეს ვაკეთებ, არავის საქმეში არ ვყოფ ცხვირს, არავისი მშურს და არც ბოღმა ადამიანი ვარ.

**გინდა ოკუპანტი ქვეყანა დაუძახეთ და გინდაც მოღალატე, რუსეთში წავედი, სცენაზე დავდექი და რუსი ხალხის მხრიდან სიყვარულის, სითბოსა და ოვაციის გარდა, არაფერი მიგრძნია**

**– სულ რამდენიმე თვეა, რაც საქართველოში დაბრუნდი. საერთოდ, რატომ გადაწყვიტე უცხოეთში ცხოვრება და მართალია, რომ საკმაოდ გავლენიანი პირის თხოვნით დაბრუნდი?**

– მე ვერ ვძლებ საქართველოდან შორს ვერსად. მირჩევნია, ჩემს ქვეყანაში ვაკეთო ჩემი საქმე – დროებით, კი ბატონო. უცხოეთში ბევრი მეგობარიც მყავს და არც ცუდად ვგრძნობ თავს, მაგრამ, ექვსი თვის მერე, ველარ ვჩერდები და აქეთ მოვრბივარ. მართლა დედოფალივით ვცხოვრობდი მოსკოვში, ლონდონშიც არაჩვეულებრივად მიმიღეს და სამუშაოც მაღალანაზღაურებადი მქონდა, მაგრამ მაინც დავბრუნდი. ეს, ვიღაცის თხოვნის გამო კი არა, ჩემი სურვილით მოხდა. მივხვდი, ახლა აღარავინ შემიშლის ხელს ვიმღერო და ვიმუშაო იმ ხალხისთვის, ვისაც ჩემი სიმღერა უყვარს და ენატრება. რომ მეკითხებით, რატომ წახვედიო, წარმოიდგინეთ, არც კონცერტებზე მიწვევდნენ, არც რაიმე შემოთავაზება მქონდა. ჩემი ორგანიზატორობითაც არ ჩამატარებინეს კონცერტი, სრულ კრიზისში ჩავვარდი. მე შემოქმედი ვარ და არა ბიზნესმენი, ფული საიდან უნდა მეშოვა? არ დამავიწყდება, ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი, მე შიმშილისა და დეპრესიისთვის გამწირეს-მეთქი. სოციალურ ქსელში, მეორე დღესვე, ვიღაც ბოღმას ისე გაუხარდა, მიაწერა: „მოგშივდააა..." საინტერესოა, რატომ უხარიათ ჩემი შიმშილი, მათ ნაშრომს ვჭამ? მე სიმღერით ვშოულობ ფულს და თუ არ მამღერე, რა უნდა ვქნა? დამიჯერეთ, ისეთ დღეში აღმოვჩნდი, რომ სრული კრიზისი დამიდგა. კერძო მიწვევები კი მქონდა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო. ელემენტარულად, ვერც კომუნალურებს ვიხდიდი და საკვების ყიდვის პრობლემაც მქონდა, თავის მოვლაზე რომ აღარაფერი ვთქვა. მაშინ ნუკა არ იყო გათხოვილი და მასაც უამრავი რამ სჭირდებოდა. კი არ მთხოვდა, მაგრამ მე ხომ ვხვდებოდი? ნერვიულობისგან დეპრესიაში ჩავვარდი. ვის როგორც უნდა ისე გამიგოს, ხმამაღლა ვამბობ, მე იმ ცხრა წელს ვერ ვაპატიებ და მივუტევებ ვერავის. რა ჯანდაბა უნდოდათ ჩემგან, დღესაც ვერ ვხვდები. ახლა, გინდა ოკუპანტი ქვეყანა დაუძახეთ და გინდაც მოღალატე, რუსეთში წავედი, სცენაზე დავდექი და რუსი ხალხის მხრიდან სიყვარულის, სითბოსა და ოვაციის გარდა, არაფერი მიგრძნია. მაგიჟებდა, რომ ამბობდნენ, ოკუპანტებს უმღერის და მოღალატეაო. თავად, როგორ მექცეოდნენ თუ ხვდებიან, ნეტა?


ახლა რომ გავაქტიურდები, ისევ ავაჭორავებ მოცლილებს

**– მერე, როგორი იყო შენი „მოღალატური" ცხოვრება დიდ რუსეთში?**

– არაჩვეულებრივი, მე ვღალატობდი ჩემს ქვეყანას რუსეთში იმით, რომ იქ ვამეცადინებდი ბავშვებს. კარგი შემოსავალიც მქონდა და ამოვისუნთქე. ტაგანკაზე ვცხოვრობდი, კარგი ბინა მქონდა, დღეში 5-6 მოსწავლე მყავდა და დედოფალივით ვიყავი. დროდადრო კონცერტებზეც გამოვდიოდი, გადაცემებშიც მიწვევდნენ. ერთ-ერთ ჩემს სოლო კონცერტზე, შემამჩნიეს ლონდონიდან ჩამოსულმა პროდიუსერებმა. შემომთავაზეს იქ წასვლა და ერთ-ერთი მუსიკალური შოუს მონაწილეების ვოკალში მომზადება. როგორც გავიგე, იქაური ვოკალის პედაგოგები საკმაოდ დიდ თანხას ითხოვდნენ და ამიტომ, ჩემთან ერჩივნათ მოლაპარაკება. რასაკვირველია, მე მაწყობდა და დავთანხმდი. არაჩვეულებრივი სტუდია გამომიყვეს და არაჩვეულებრივი სამუშაო პირობები შემიქმნეს. თუმცა, კონტრაქტზე არ მოვაწერე ხელი.

**– რატომ არ მოაწერე კონტრაქტს ხელი?**

– კონტრაქტისთვის რომ ხელი მომეწერა, დიდი ხნით მომიწევდა ლონდონში დარჩენა, მე კი როგორც გითხარით, დიდხანს ვერ ვჩერდები სხვა ქვეყანაში. სიმართლე გითხრათ, ის პერიოდი დაემთხვა, როცა ახალი ძალა მოდიოდა ქართულ პოლიტიკაში და ვიფიქრე, ჩემს სამშობლოში ჩავალ, ჩავერთვები საკონცერტო პროგრამაში და ასე ვიტყვი ჩემს პოლიტიკურ სათქმელს-მეთქი. სულ ვამბობ, მე მართალი პოლიტიკოსი ვიქნებოდი, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა. ახლა, სამ საავტორო ახალ პროექტს ვამზადებ, მოლაპარაკებები მიდის და აქვე გეტყვით, რომ არავინ მეხმარება, მაგრამ არც ხელს მიშლის. ასე რომ, ჩემი „დაბლოკვის" პერიოდი დასრულდა და ახლა, აქტიური პერიოდი მიდგას.

**– ეკა, პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

– სად მცალია პირადი ცხოვრებისთვის? მაგრამ, თუ ისეთი მამაკაცი გამოჩნდა, როგორიც მე მინდა, მოვიცლი ***(იცინის).*** სიმართლე თუ გინდათ, მარტოობას მივეჩვიე, თუმცა მარტო არ ვარ, მეგობრები არ მტოვებენ. მე მყავს შვილი, ნუკა, რომელიც ყველაზე დიდი მესაიდუმლე, გულშემატკივარი და დაქალია ჩემთვის, ვისი აზრიც მაინტერესებს, ვისაც ვენდობი და რჩევებსაც ვეკითხები. ვხუმრობ ხოლმე, მე ჩემთვის შვილის სახით ყველაზე დიდი მეგობარი გავაჩინე-მეთქი ***(იცინის)***. გიჟი დედა კი ვარ, მაგრამ ჩემს დარდს, არასდროს ვახვევ შვილს თავზე. ნუკაც ჩემსავით პირდაპირია და არ უყვარს ჭორაობა. ადრე, აქტიურად ჭორაობდნენ ჩემს პირად ცხოვრებაზე, ახლა მივავიწყდი. აი, ახლა რომ გავაქტიურდები, ისევ ავაჭორავებ მოცლილებს ***(იცინის).*** ბევრჯერ უთქვამთ, ცივი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებო, მაგრამ ვინც მიცნობს, ასე არ ფიქრობს.

**ნონა დათეშიძე**

„ოქსფორდის აკადემია"

აცხადებს მიღებას სხვადასხვა სერტიფიცირებულ პროგრამებზე:

**ზოგადი ინგლისური** – გრამატიკა, საუბარი, მოსმენა, წერისა და კითხვის უნარების გაუმჯობესება;

**სასაუბრო ინგლისური** – ერთთვიანი პროგრამა უცხოელ სპეციალისტთან ერთად;

**ბუღალტერია** – თეორია და პრაქტიკა; ORIS & SuperFin.

**ორგანიზაციული მენეჯმენტი** – სრული კურსი, სადაც ისწავლება: ზოგადი მენეჯმენტი; HR მენეჯმენტი და PR მენეჯმენტი, პროექტების მართვა, სტრატეგიული დაგეგმვა, პრეზენტაციის უნარები და სხვა.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: ტელ. 2 30-59-30
ან გვეწვიეთ: მის. კოსტავას №20 (ფილარმონიასთან).
www.oxfordacademy.ge
Facebook.com/OxfordAcademy.ge

# რისი ტყვეა ზოგიერთი ქალი და რას სწირავს ის მსხვერპლად საკუთარ თავმოყვარეობას

**კაცი ცოლს იმიტომაც ღალატობს, რომ დარწმუნებულია, მაპატიებსო. ხშირად ღალატი მართლაც დაუსჯელი რჩება. სკანდალი გაივლის და, ცრემლების, ისტერიკის, ოჯახური გარჩევების შემდეგ „უძღები შვილი“ კვლავ „მშობლიურ ბუდეს“ უბრუნდება. მეორე ცხოვრება ისე გრძელდება, თითქოს არაფერი მომხდარა. ცოლი ცდილობს, დაივიწყოს მიყენებული შეურაცხყოფა; ქმარი კი, კმაყოფილი იმით, რომ ამჯერად „გაუვიდა“ და რეაბილიტირებულია, რაღაც პერიოდის შემდეგ ისევ იწყებს გარე-გარე თვალების ცეცებას. დაუსჯელობის სინდრომი დანაშაულის გამეორების ალტერნატივას აჩენს. ადამიანის ფსიქიკა მარტივად არის მოწყობილი და, მით უფრო, თუკი რამის კეთების მოთხოვნილება აქვს, უკან არ იხევს. ამას ხელს სინანულის არქონაც უწყობს. საბოლოოდ კი იკვრება უწყვეტი ჯაჭვი: ქმარი სულ ღალატობს, ცოლიც – სულ პატიობს, ოღონდ, მერე უკვე აღარ ლაპარაკობენ ამაზე. რის ფასად უჯდება ქალს ღალატზე ერთგვარი იმუნიტეტის გამომუშავება და, საერთოდ, შესაძლებელია კი ეს?!**



**ნანი** *(37 წლის):* ზოგჯერ ისე მძულს საკუთარი თავი, სიტყვებით ვერ გადმოვცემ. როგორ უნდა სცე პატივი ადამიანს, რომელსაც საკუთარი პიროვნება არაფრად უღირს და რომელმაც დაივიწყა, რომ ქალია და თავმოყვარეობა უნდა ჰქონდეს?! ვიცი, რომ ძალიან ბევრის სათქმელს ვამბობ. სასტიკია ცხოვრება, განსაკუთრებით – ქალების მიმართ. რომ ამბობენ, ემანსიპაცია, ქალთა უფლებებიო – ბლეფია ეს ყველაფერი. ქალები ისევ ისე ვიჩაგრებით და, შეიძლება, უფრო უარესადაც კი. არ ვლაპარაკობ ზოგიერთ გამონაკლისზე, რომლებსაც კაციც და ქვეყანაც საკუთარ თავზე აქვთ მორგებული. ცხოვრებას თავიდან რომ ვიწყებდე, იქნებ, არასდროს გავთხოვილიყავი. სტერეოტიპი – რომ ოჯახი ყველა ქალისთვის აუცილებელია – მოძველდა.

**– არ არის აუცილებელი? ოჯახი, მგონი, ყველა ადამიანს სჭირდება.**

– თეორიულად ასეა, რეალურად – ქალს რაც სჭირდება, იმას ოჯახით ვერ იღებს, მამაკაცს კი უნდა, რომ მოსამსახურე ჰყავდეს ცოლის სახით და ჰყავთ კიდეც უმრავლესობას. იტყვით, ეგ ისევ ქალების ბრალიაო, მაგრამ, არ არის ასე მარტივად საქმე. არც ერთ ქალს არ უნდა, ქმარი მის თავმოყვარეობაზე ფეხებს იწმენდდეს.

**– ღალატს გულისხმობთ?**

– რა თქმა უნდა. ეს ხომ პირდაპირ თავმოყვარეობას ურტყამს. გინდა თუ არ გინდა, ისე მწარდები, რომ სიცოცხლის აზრს კარგავ. ხშირად მსმენია: „რა მოხდა ასეთი – ვიღაცასთან წავიდა, „გაიგულავა“ ბიჭმა! მთავარი ის არის, რომ ისევ შენთან ბრუნდება, ანუ, შენ უყვარხარ... მე თუ მკითხავთ, ამ დროს სიყვარულზე საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი. როცა ადამიანი გიყვარს, მის დამცირებასა და შეურაცხყოფაზე არ ფიქრობ.

**– მამაკაცებს ასე არ მიაჩნიათ.**

– არ მიაჩნიათ იმიტომ, რომ ასე აწყობთ. სინამდვილეში, ძალიან კარგად ხვდებიან, რაც არის ღალატი. მაშინ, რატომ არ უნდათ, ცოლმა სხვისკენ გაიხედოს? სულ ტყუილად ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ქალის ღალატი და კაცის ღალატი სხვადასხვა რამეა. ზუსტად ერთი და იგივეა. განსხვავება იმაშია, რომ ქალები ღალატზე ისე ვერ ვრეაგირებთ, როგორც საჭიროა.

**– ამას აქვს კონკრეტული მიზეზი, მაგალითად – საყვარელი ადამიანის დაკარგვის შიში...**

– სხვათა შორის, ბევრს მიაჩნია, რომ საყვარელი ადამიანის დაკარგვის შიშია ის, რაც საკუთარ თავზე გადაბიჯებისკენ უბიძგებს ქალს, მაგრამ, რეალობა სხვაა. ბუნებრივია, არც იმ კონკრეტული ადამიანის დაკარგვა გინდა, მაგრამ, კიდევ უამრავი ფაქტორი მოქმედებს. ურთულესი მექანიზმი მუშაობს. თანაც, შეუცნობლად და შეუმჩნევლად.

**– ფიქრობთ, რომ საზოგადოებრივი აზრის გავლენა ისევ მოქმედებს?**

– ნაკლებად. მაგას უკვე აღარ აქვს გავლენა, მხოლოდ პერიფერიებში. თბილისში, მით უმეტეს, აღარ აქცევენ ყურადღებას, ვინ რას იტყვის. მაგრამ, ეს საზოგადოებრივი აზრი „მუშაობს“ მარტოდ დარჩენილ ქალზე – მისთვის რაღაც-რაღაცეები იკრძალება. ჩვენ უკვე აღარ ვამბობთ, „რას იტყვის ხალხი“, მაგრამ, შეუცნობლად მაინც ვრჩებით ამ ფრაზის გავლენის ქვეშ. კიდევ, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია შვილები, მით უმეტეს, თუ კაცი მამად კარგია.

**– ეს რას ნიშნავს?**

– მამაკაცების რამდენიმე კატეგორია არსებობს. მართალია, საბოლოოდ მაინც ყველა კაცი ერთნაირად იქცევა, მაგრამ, გამონაკლისებიც არიან, ისეთები, როგორიც ჩემი ქმარია. ძალიან უყვარს შვილები და გიჟდება მათთვის. არაჩვეულებრივი მამაა – ყურადღებიანი, მზრუნველი, თბილი. ბავშვებსაც ძალიან უყვართ. როგორ ავუხსნა მათ, რომ მე ნაძირალასავით მომექცა? საშინელებაა, ამაზე უცხო ადამიანთან რომ მიწევს საუბარი. თუმცა, იმასაც ვხვდები, რომ შინაური ამას ვერ გაიგებს, თან, მრცხვენია კიდეც. გარედან იდეალური წყვილის შთაბეჭდილებას ვტოვებთ. არავინ დამიჯერებს, რომ ზოგჯერ ჩემი ქმრის დახრჩობა მინდა – ამას სერიოზულად ვამბობ. რთულია, აკონტროლო საკუთარი ფიქრები. გინდა თუ არ გინდა, წარმოიდგენ, როგორ ეფერება სხვა ქალს, როგორ ეფიცება მას სიყვარულს, როგორ უნაწილებს იმ სითბოს, რომელსაც ჩვენ – მე და ბავშვებს გვპარავს. მერე ფიქრობ იმაზე, რომ ძალიან სულელი ხარ, რადგან, ვიღაც უზნეო ქალს საშუალებას აძლევ, დაგცინოს.

**გარედან იდეალური წყვილის შთაბეჭდილებას ვტოვებთ. არავინ დამიჯერებს, რომ ზოგჯერ ჩემი ქმრის დახრჩობა მინდა**

**– პრობლემა ხომ მაინც ქმარშია და არა სხვა ქალში?**

– გეთანხმებით, მაგრამ, არც ის „სხვა ქალია“ თამაშგარე მდგომარეობაში. ცოლებს საყვარლები მტრებად აღიქვამენ. რაღაც უცნაური რამ ხდება ხოლმე – ისე გამოდის, რომ ჩვენ ვართმევთ მათ ძალიან ძვირფასს, ჩვენ ვიჭრებით მათ ცხოვრებაში და არა პირიქით. ამაზე მეტი შეურაცხყოფა რაღა გინდა? სამწუხაროდ, მაინც გიწევს ამ ყველაფრის მოთმენა. ისეთი დამთრგუნველი და გამანადგურებელია, ვერ წარმოიდგენთ. რამდენჯერ გამჩენია სურვილი, დამეფხრიწა ჩემი მოღალატე ქმრის ტანსაცმელი, დამეკაწრა მისთვის სახე... მართლა ძალიან გულახდილი ვარ თქვენთან. მინდოდა, გამემწარებინა და ისე სტკენოდა, როგორც მე მტკიოდა. ახლაც მტკივა და, ალბათ, ყოველთვის მეტკინება, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს ვაკეთებ მძიმე სიტუაციის განსამუხტავად. ხომ წარმოგიდგენიათ, ის კი არა, მე ვცდილობ ამას და, ალბათ, მიხვდებით, რის ფასად მიჯდება. ისე „ვყლაპავ“ ქმრის ტყუილებს, წარბსაც არ ვიხრი. ხშირად აგვიანებს სამსახურიდან და ისეთ „დამაჯერებელ“ მიზეზს ამბობს, ისღა დაგრჩენია, დაიჯერო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. სად წავიდა ის სიყვარული, რომელიც ერთმანეთის მიმართ გვქონდა? რა ემართებათ ადამიანებს ქორწინებაში, რატომ იცვლებიან უარესობისკენ?!

**– იქნებ, შეყვარებულობის პერიოდში თამაშობენ და რეალურად ისეთები არიან, როგორებიც მერე ჩანან?**

– მე პირიქით მგონია. სიყვარულის თამაში არ შეიძლება, უფრო სწორად, ჭეშმარიტად შეყვარებული ადამიანები ვერ თამაშობენ. აი, მერე კი უკვე ყველაფერი თამაშია. მე ხომ ვთამაშობ ახლა, როცა თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს არაფერი ხდება, თითქოს, ჩემს ოჯახში ყველაფერი წესრიგშია? სინამდვილეში კი, ორივე – მეც და ჩემი ქმარიც, ძალიან დაძაბულები ვართ. ეს არ არის ნორმალური ცხოვრება.

**– საყვარელი ჰყავს და ჩვეულებრივად ერთად განაგრძობთ ცხოვრებას?**

– ვცდილობ ჩვეულებრივად გაგრძელებას. კარგად რომ არ გამომდის, ფაქტია, მაგრამ, ის უფრო მძიმე იქნება ჩემთვის, თუ ჩემი ქმარი ჩვენთან არ იცხოვრებს. ბავშვებმა დილით მამასთან ერთად უნდა ისაუზმონ და საღამოც მასთან ერთად გაატარონ. ძალიან არიან დამოკიდებულნი მამაზე და ძალიან უყვართ. არ შემიძლია, მათ მამასთან ყოფნის სიამოვნება და ბედნიერება მოვაკლო. ძალიან მინდა, სწორად გამიგოთ.

**– მგონი, სწორად მესმის: ქალი მაინც ოჯახისა და შვილების ტყვეა.**

– პრინციპში, ასეა, თუ ქალს პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, საკუთარი მოვალეობები კი – გაცნობიერებული. რა თქმა უნდა, არიან გამონაკლისები, მე ვიტყოდი – ეგოისტები, რომლებიც ყველაფერზე მაღლა საკუთარ თავსა და საკუთარ სურვილებს აყენებენ. ასეთ ქალებს პირადულში პრობლემები ნაკლები აქვთ და კაცებიც უფრთხილდებიან, მიუხედავად იმისა, რომ სადღეგრძელოებს ჩემნაირი ქალებისას სვამენ. ხომ ვერ მეტყვით, რომ ასე არ არის; ქართველი კაცი დიდი ხანია, რაინდი აღ-

# როგორ იპოვა უკრაინაში ძმა და შვილი მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში მცხოვრებმა ოჯახმა

***47 წლის სვეტლანა გარეგინის ასული ოგანიანი და 74 წლის ამალია ოგანიანი ეძებდნენ 46 წლის სეირან გარეგინის ძე ოგანიანს.***

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ძმას, 46 წლის სეირან გარეგინის ძე ოგანიანს. ის 2001 წლიდან ცხოვრობს უკრაინაში. უკვე თორმეტი წელია, რაც ის სამუშაოდ უკრაინაში წავიდა. სამწუხაროდ, მასთან მხოლოდ ტელეფონით გვქონდა კავშირი, ისიც ერთხელ – ახალი ჩასული რომ იყო, მაშინ დაგვირეკა. ყველაფერი ვცადეთ, რომ მას დავკავშირებოდით, მაგრამ, უშედეგოდ. ძველ მისამართზე ჩვენ მას ვერ ვუკავშირდებით და თქვენი დიდი იმედი გვაქვს – იქნებ, თქვენ მაინც დაგვეხმაროთ სეირანის პოვნაში.

**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია რუბრიკა „დაკარგულების" მკითხველს „თბილისელების" ერთ-ერთ წინა ნომერში გავაცანით. საბედნიეროდ, 12 წლის წინ უკრაინაში სამუშაოდ წასული სეირან ოგანიანი ნაპოვნია. ჩვენი დღევანდელი რუბრიკის რესპონდენტი სვეტლანა ოგანიანი ახლო მომავალში აპირებს ძმასთან დაკავშირებას.

**– სვეტა, თქვენი ძმა 12 წელია, არ გინახავთ. რა რეაქცია გქონდათ, როდესაც გაიგეთ, რომ სეირანი ნაპოვნია?**

– ჩემი ძმა 12 წლის წინ სამუშაოდ გაემგზავრა უკრაინაში. მას შემდეგ ჩვენ ის არ გვინახავს. დედაჩემი, ამალია, ამ ბოლო დროს ავადმყოფობს. ის საკმაოდ მძიმედაა. მისთვის სეირანის პოვნა უდიდესი სიხარული იყო. მადლობა მინდა გადაგიხადოთ თქვენ და ყველა იმ ადამიანს, ვინც დაგვეხმარა. დღესდღეობით, მე ბედნიერი ვარ, რომ მაქვს ჩემი ძმის ამჟამინდელი საცხოვრებლის მისამართი და იმ სოფლის ადმინისტრაციის ტელეფონი და ფაქსი, სადაც ის ცხოვრობს. იმედია, ჩვენ მას უახლოეს მომავალში მივაწვდენთ ხმას. ძმის მოძებნა ძალიან მინდოდა, მაგრამ, არ ვიცოდი, ეს რა გზებით მომეხერხებინა. დედაჩემის მეგობრებმა – მერიკო გამსახურდიამ და მაია ლაპარტყავამ იაქტიურეს და თქვენთან დაკავშირება გვირჩიეს. როგორც თქვენგან გავიგეთ, ჩემი ძმის პოვნაში ძალიან დაგეხმარათ ქალბატონი ტატიანა მიშინა, რომელმაც იმ სოფლის ფოსტის მისამართი, ტელეფონი და ფაქსიც გადმოგვცა, იმ შემთხვევისთვის, თუკი ძმას წერილით ვერ დავუკავშირდებით. დედის ავადმყოფობის გამო, მე ამ დრომდე ვერ მივაღწიე ფოსტამდე, მაგრამ, რამდენიმე დღეში აუცილებლად გავუგზავნი სეირანს წერილს შეტყობინებით.



**– დედათქვენს რა რეაქცია ჰქონდა, როდესაც უთხარით, რომ მისი შვილი ნაპოვნია და ის უკრაინაში, ახტირკის რაიონის სოფელ ლეტუჩიში ცხოვრობს?**

– დედა უკვე საკმაოდ ხნიერია. მისთვის ეს დიდი სასწაულია. მას, როგორც ყველა დედას, სიგიჟემდე უყვარს თავისი შვილი და, ბუნებრივია, ის განიცდიდა მასთან დაუკავშირებლობას. სიხარულისგან დედაჩემმა იტირა კიდეც. მას ერთი სული აქვს, როდის დაუკავშირდება თავის შვილს. სეირანმა სულ ერთადერთხელ დაგვირეკა უკრაინიდან. მაშინ მან გვითხრა, რომ იქ ფეხსაცმელებს კერავს და, როგორც კი საშუალება ექნება, კვლავ დაგვიკავშირდება. მაგრამ, მას შემდეგ მასთან კავშირი გაწყდა. მადლობა ღმერთს, რომ ეს ყველაფერი გამოსწორდა. ამჟამად ოჯახის ყველა წევრს უამრავი კითხვა გვიტრიალებს თავში, მაგალითად, შექმნა თუ არა ჩემმა ძმამ ოჯახი, ვისთან ერთად ცხოვრობს ის უკრაინაში, აპირებს თუ არა საქართველოში ჩამოსვლას და ასე შემდეგ. ყველა ამ კითხვაზე პასუხს მასთან დაკავშირებისთანავე გავიგებთ.

**– თქვენ მაინც რას ფიქრობთ, რა მიზეზით არ გიკავშირდებოდათ ძმა ამდენი წლის განმავლობაში?**

– ნამდვილად არ ვიცი, რა იყო მისი ამგვარი საქციელის მიზეზი, მაგრამ, უფრო მატერიალური მდგომარეობა მგონია. დარწმუნებული ვარ, მას სურდა, ოჯახს მატერიალურად დახმარებოდა და, შეიძლება, იმის გამო, რომ ამას ვერ ასრულებდა, დუმდა კიდეც ამდენი წლის განმავლობაში.

**– აქამდე თუ ეძებდით ძმას, თუ, ეს თქვენი პირველი ცდა იყო, გეპოვათ დედმამიშვილი?**

– ნამდვილად ვეძებდით, მაგრამ, ჩვენ მიერ ჩაწერილ სეირანის ბოლო ცნობილ მისამართზე მას ვერ ვუკავშირდებოდით – იქ გვპასუხობდნენ, რომ სეირანი აქ არავინ ცხოვრობს, სხვა ხერხით მოძებნის გზა კი არ ვიცოდით. თქვენ ჩვენი პირველი ცდა იყავით ძმის მოძებნის საკითხთან დაკავშირებით. მისი პოვნა ჩვენთვის მართლაც ბევრს ნიშნავს – როგორც გითხარით, დედაჩვენი მძიმედ ავადმყოფობს და მას არ ასვენებდა შვილის დარდი. დარწმუნებული ვარ, როგორც კი ჩვენ მას დავუკავშირდებით და დედის ამბავს გავაგებინებთ, ის ახლო მომავალში ჩამოვა კიდეც საქართველოში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამის დიდი სურვილი გვაქვს.

***თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

## ქალები ღალატზე ისე ვერ ვრეაგირებთ, როგორც საჭიროა

არ არის. არც გმირია და არც „მაჩო", სადღაც ამ ყველაფრის შუაში „გაიჩხირა" და თვითონვე ველარ პოულობს გამოსავალს. ელემენტარული პატივისცემა რომ ჰქონდეთ საკუთარი მეუღლეების მიმართ (სიყვარულზე აღარ ვლაპარაკობ), მიხვდებიან, როგორ უღირსად იქცევიან. იცით, რამდენჯერ ვცადე ჩემი ქმრის ყურადღება მიმეპყრო და ის მუხტი დამებრუნებინა, რომელიც ურთიერთობის პირველ ეტაპზე გვქონდა?! თუმცა, ესეც საკუთარ თავმოყვარეობაზე გადაბიჯება იყო. მშურს იმ ქალების, რომლებსაც შეუძლიათ, შეეგუონ იმას, რაც არის და ემოციები გააციონ. მე ამას ვერასდროს ვახერხებდი. არ ვამბობ, რომ იმათ არ სტკივათ და არ აწუხებთ ქმრის ორგულობა, მაგრამ, ჩემსავით სიღრმისეულად არ განიცდიან. მე იქამდე მივედი, რომ ქმარს უკან დევნა დავუწყე. არ იყო ეს ადვილად გასაკეთებელი და ადვილად გადასაწყვეტი. ეჭვი ისეთი კოშმარია, მთლიანად განგრევს. ან უნდა „დაიკიდო", რაც მე, პრაქტიკულად, არ გამომდის, ან – ურთიერთობა უნდა დაამთავრო – რაც, ასევე, არ შემიძლია და ასე ვცხოვრობ საკუთარ თავთან კონფლიქტში. ვეჭვიანობ, ვუთვალთვალებ და გულზე ვსკდები – ეს ცხოვრებაა?! აღარც მახსოვს, ბოლოს მშვიდად როდის მეძინა. როცა პირველად „გავარჩიეთ" საქმე მისი ღალატის გამო, მითხრა: შენ მიმიყვანე ამ ზომამდე. მუდმივად დამდევდი და მაკონტროლებდი, ერთ ნაბიჯზეც არ მენდობოდი, ისეთი გრძნობა გამიჩინე, რომ აგენტის, მაძებარი ძაღლის გვერდით მეძინა. ამან ჩემს მამაკაცურ თავმოყვარეობაზე იმოქმედა და გიღალატე. ახლა შეგიძლია, ისევ მაკონტროლო, ამის სრული საფუძველი გაქვსო... ეს წარმოუდგენლად მიუღებელი ლოგიკაა, რომელმაც მე კიდევ უფრო გამამწარა. შეეძლო, ერთხელ მაინც ეთქვა, რომ ტყუილად ვნერვიულობდი და განვიცდიდი; რომ მის ცხოვრებაში არ არსებობდა სხვა ქალი – შეყვარებული ქალის მოტყუებას რა უნდა?! მით უმეტეს, თუკი იმაში ცდილობენ შენს დარწმუნებას, რისი დაჯერებაც ისედაც გინდა. ამ „ახსნა-განმარტების" შემდეგ თავმოყვარე ქალი ყველაფერს დაამთავრებდა. მე ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ ამაზე უარეს დღეში აღმოვჩნდები, თუკი ქმარს გავეყრები.

**– მატერიალურად გაგიჭირდებათ?**

– მატერიალური გაჭირვება არ არის ტრაგედია. მე მეშინია, რომ ჩვენ შორის დამაკავშირებელი ძაფი საბოლოოდ გაწყდება. როგორ ვთქვა უკეთ, არ ვიცი: ჩვენ ახლა მაინც ოჯახი ვართ – შვილებს მამა ჰყავთ და ისინი ბედნიერები არიან...

**– თქვენი უბედურების ხარჯზე?**

– შეიძლება, მაგრამ, იქნებ, ამ მძიმე პერიოდმა გადაიაროს – დასასრული ხომ ყველაფერს აქვს! ბოლოს და ბოლოს, დაუდგება პერიოდი ჩემს ქმარს, როცა ფასეულობებს დაალაგებს და მიხვდება, რომ ჩვენ ვართ მის ცხოვრებაში მთავარი. მარტო იმის მეშინია, ვინმემ ჭკუა არ გამოაცალოს და ამდენი წვალება წყალში არ ჩამიყაროს.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**გათხოვილი ვარ. მე და ჩემს მეუღლეს ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. არც მე ვარ ეჭვიანი, არც ის; უფრო სწორად, არ იყო ეჭვიანი, იმიტომ, რომ მე ამის არანაირ საფუძველს არ ვაძლევდი. მიმაჩნია, რომ გათხოვილი ქალი არ უნდა კეკლუცობდეს. ახლახან ახალ ბინაში გადმოვედით. ნივთები რომ გადმოგვქონდა, ჩვენი კარის მეზობელი ძალიან დაგვეხმარა. ის და ჩემი ქმარი დამეგობრდნენსავით, მეც ჩვეულებრივად ვეკონტაქტებოდი. მაგრამ, ახლა უკვე დარწმუნებული ვარ, რომ მეფლირტავება. ერთხელ თავისი მანქანიც სადღაც წამიყვანა – ისეთი სიტუაცია იყო, რომ უარი ვერ ვუთხარი. რა მოხდა-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ, გზაში აშკარად ცდილობდა ჩემს შებმას. ძალიან გავბრაზდი და ვუთხარი, რომ ეს უზნეობაა. მას მერე გამარჯობასაც აღარ ვეუბნები, მაგრამ, ისეთი თავხედია, უტიფრად მოდის ჩვენთან სტუმრად და ჩემს ქმართან ერთად ლუდსაც კი სვამს. თან, ისე მიყურებს, ვწითლდები. ეს რომ ჩემმა ქმარმა შენიშნოს, ვერ დავაჯერებ, რომ საბაბი მე არ მიმიცია. რა ვქნა, ვუთხრა ჩემს ქმარს? რამე უბედურება რომ მოხდეს? რომ მიუვარდეს და იჩხუბონ?!**

**გამოხმაურება:** ჯობია, ისევ თქვენს თამამ თაყვანისმცემელს დაელაპარაკოთ და უთხრათ, რომ, თუ ასე მოქცევას გააგრძელებს, ყველაფერს ქმარს ეტყვით. გააკეთეთ ეს კატეგორიული ტონით და მკაცრად. ეს აუცილებელია. მაგრამ, თუ ის თავხედობას განაგრძობს, ალბათ, მოგიწევთ, ქმარი ჩააყენოთ საქმის კურსში.

ფსიქოლოგი
**მაგდა რობაქიძე**

# რა აკავშირებს ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობასთან მიხეილ მამიაშვილს და როგორ დაუნათესავდა ის ბონდარჩუკების ოჯახს

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია ბოლო პერიოდში მსოფლიოს მასმედიის ყურადღების ცენტრში მოექცა – საუბარია სპორტის ამ სახეობის ოლიმპიური პროგრამიდან ამოღებაზე, რაც უკვე ოფიციალურად გახდა ცნობილი და ამჟამად მოჭიდავეები და მწვრთნელები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომის მოლოდინში არიან. გარდა ამისა, თანამდებობიდან გადააყენეს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი რაფაელ მარტინეტი, რომლის სავარაუდო შემცვლელებად ოლიმპიური ჩემპიონები მიხეილ მამიაშვილი და ალექსანდრ კარელინი სახელდებიან. მიხეილ მამიაშვილი რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი და რუსეთში ოდიოზური ფიგურაა, რომელსაც კავშირები აქვს როგორც პოლიტიკურ ელიტასთან, ისე კრიმინალურ ავტორიტეტებთან.

სწორედ ჭიდაობის საშუალებით გაიცნო და დაუმეგობრდა მიხეილ მამიაშვილი რუსული მაფიის ქართველ „ნათლიმამას" – ოთარ კვანტრიშვილს. მამიაშვილი კვანტრიშვილთან დაახლოებული პირი იყო და, მეგობრის კავშირების წყალობით, დიდი გავლენა ჰქონდა. არაოფიციალური ვერსიით, კვანტრიშვილის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ყოფილი მოჭიდავეები იყვნენ და მათ მამიაშვილი ავარჯიშებდა. კვანტრიშვილის გახმაურებული მკვლელობის მომენტში ის მეგობრის გვერდით იყო და, როდესაც დაქირავებულმა მკვლელმა გასროლა მოახდინა, მამიაშვილი გადაეფარა კვანტრიშვილს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ შეძლო. ერთ-ერთი ვერსიით, ქილერი მამიაშვილის ლიკვიდაციასაც აპირებდა, მაგრამ, გადაიფიქრა. კვანტრიშვილის მკვლელობა დღემდე ერთ-ერთი ყველაზე იდუმალ საქმედ ითვლება რუსეთში და აქამდე უცნობია, თუ ვინ შეუკვეთა ქართველი მაფიოზის მკვლელობა. საქმეში უამრავი კრიმინალური ავტორიტეტი ფიგურირებდა, მათ შორის იყო კვანტრიშვილის უშუალო კონკურენტი, კრიმინალური ავტორიტეტი სერგეი ტიმოფეევი, მეტსახელად „სილვესტერი", რომელიც კვანტრიშვილის მკვლელობიდან რამდენიმე ხანში ასევე დაქირავებულმა მკვლელმა გამოასალმა სიცოცხლეს. სხვათა შორის, სწორედ კრიმინალურ ავტორიტეტებთან ნაცნობობის გამო, მამიაშვილს რამდენჯერმე შეექმნა პრობლემა უცხოური ვიზის მიღებაში: ფინეთმა მას თავის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა, ხოლო შეერთებული შტატების ვიზის მიღება, მან მხოლოდ სახელმწიფო ჩინოვნიკების ჩარევის შედეგად მოახერხა.

კვანტრიშვილის ლიკვიდაციის შემდეგ მიხეილ მამიაშვილი მოსკოვში მოქმედი ქართველი „კანონიერი ქურდების" მფარველად იყო ცნობილი. იგი უმეტესობასთან მეგობრობდა და მათთან საერთო ბიზნესინტერესი ჰქონდა. 90-იან წლებში აქტიურად ლაპარაკობდნენ მამიაშვილის კავშირზე ჩეჩენ „ბოევიკებთან". გავრცელებული ვერსიის თანახმად, მას შემდეგ, რაც მამიაშვილი სათავეში ჩაუდგა რუსეთის არმიის სპორტულ კლუბ „ცეესკას,“ მას ურთიერთობა დაეძაბა ჩეჩენ კრიმინალურ ავტორიტეტებთან – შაჰრუდ დადახანოვთან და რუსლამბეკ ჰუსეინოვთან, რადგან, მამიაშვილამდე ისინი აკონტროლებდნენ „ცეესკას" და ცნობილები იყვნენ, როგორც ჯოხარ დუდაევის თანამებრძოლები და შამილ ბასაევის დამფინანსებლები. სწორედ ფინანსური ინტერესების გამო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს მამიაშვილი და ჩეჩნები,



2000 წელს კი მამიაშვილის ფიზიკური ლიკვიდაციაც იყო დაგეგმილი, თუმცა, ეს არ მოხდა და აღნიშნული ფაქტის გამო საქმეც კი არ აღძრულა. მამიაშვილისა და ჩეჩნების საქმე დღემდე ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ და ბოლომდე გამოუძიებელ საქმედ არის რუსეთში ცნობილი.

მიხეილ მამიაშვილის სახელი 1990-იან წლებში მოსკოვში მოქმედ „სოლნცევოს" ორგანიზებულ-დანაშაულებრივ ჯგუფთან ასოცირდება. ამ დაჯგუფების წევრები ყოფილი მოჭიდავეები და მამიაშვილთან დაახლოებული სპორტსმენები იყვნენ. „სოლნცევოს" დაჯგუფებას რამდენიმე კომერციული სტრუქტურა ჰქონდა შექმნილი ფულის „გათეთრების" მიზნით, ერთ-ერთი ასეთი გახლდათ „რამბის", რომლის აბრევიატურა შემდეგნაირად იშიფრებოდა: რაბინოვიჩი, არევაძე, მამიაშვილი, ბერკოვიჩი, სლუშაევი. „რამბის" კვანტრიშვილთან ასოცირებული კომპანია იყო, რომელიც ოფიციალურად აწყობდა შოუკეტჩებს, ტურნირებს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სინამდვილეში კი ფულის „გათეთრებით" იყო დაკავებული. მამიაშვილი ამ სტრუქტურაში უსაფრთხოებაზე იყო პასუხისმგებელი. გოჩა არევაძე, რომელიც ფირმის ერთ-ერთი „დამფუძნებელი" იყო, მჭიდროდ იყო დაკავშირებული „ტაგანკის", „სოლნცევოსა" და სხვა კრიმინალურ დაჯგუფებებთან; ანდრეი სლუშაევი კი, მეტსახელად „სპილო," ფირმის კიდევ ერთ-ერთი „დამფუძნებელი", სულაც, ედუარდ შევარდნაძის დაცვის წევრი იყო შევარდნაძის პირველი საპრეზიდენტო კამპანიის პერიოდში, 1995 წელს, სადაც არევაძის რეკომენდაციით მუშაობდა. გოჩა არევაძის მამა ედუარდ შევარდნაძის პირადი მეგობარი გახლდათ.

მიხეილ მამიაშვილის სახელი კიდევ ერთ გახმაურებულ საქმესთან არის დაკავშირებული: იგი ჯამბულათ თედეევის მფარველად არის ცნობილი, ხოლო თედეევი ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის" საპრეზიდენტი არჩევნებში ალა ჯიოევას კანდიდატურას უჭერდა მხარს. საარჩევნო კამპანიის პერიოდში მამიაშვილს გააქტიურებული ჰქონდა თავისი კავშირები რუსეთისა და საქართველოს ზედა ეშელონებში და ის იყო ჯიოევას კამპანიის დაფინანსების ერთ-ერთი წყარო. ჯამბულათ თედეევი ცხინვალის რეგიონში თავის ძმასთან, იბრაგიმთან ერთად, ერთი პერიოდი სრულიად აკონტროლებდა მთელ კრიმინალს – კონტრაბანდას, რეკეტს, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობას, ალკოჰოლის ბიზნესს, თუმცა, შემდგომ ძმები ედუარდ კოკოითის დაჯგუფებას დაუპირისპირდნენ და მათ დაჯგუფებას ცხინვალის რეგიონის დატოვება მოუხდა. ალა ჯიოევას დახმარებით, თედეევები თავისი გავლენის აღდგენას ცდილობდნენ რეგიონში, თუმცა, მათ სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდათ ანატოლი ბიბილოვის სახით, რომელსაც კრემლიდან დიმიტრი მედვედევი და ვლადიმირ პუტინი ლობირებდნენ. საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ მამიაშვილის მიერ ლობირებული ძმები თედეევების პროექტი – „ალა ჯიოევა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად“ – ჩავარდა, მიუხედავად იმისა, რომ მასზე რამდენიმე ათეული მილიონი რუბლი იყო დახარჯული.

მიხეილ მამიაშვილი მოსკოვში ცხოვრობს. მისი მეუღლეა მარგარიტა მამიაშვილი. მათ სამი ქალიშვილი და 2012 წელს დაბადებული ვაჟიშვილი ჰყავთ. ცნობილია, რომ მიხეილ მამიაშვილის მძახალია რუსი კინორეჟისორი და მსახიობი ფიოდორ ბონდარჩუკი – მიხეილის ქალიშვილი, 22 წლის ტატა მამიაშვილი და ფიოდორის ვაჟი, 20 წლის სერგეი ბონდარჩუკი 2012 წლის გაზაფხულზე დაქორწინდნენ. წყვილს ქორწილი „რუბლიოვკაზე" გადაუხადეს, სადაც 700-მდე სტუმარი იყო მიწვეული, მათ შორის – ცნობილი სახეები რუსული შოუ-ბიზნესიდან და სპორტის სამყაროდან. მიხეილ მამიაშვილი და ფიოდორ ბონდარჩუკი უკვე ბაბუები არიან.

**უშანგი რუხაძე**

*თბილისში უამრავი ისტორიული შენობაა, რომელთაც ამჟამად შეცვლილი აქვთ პროფილი, თუმცა, შენობის იერი თითქმის შენარჩუნებულია და უამრავ ისტორიულ მოგონებასთან ასოცირდება. შენობების უმეტესობა დაფიქსირებულია ძველ ფოტოებზე, რომელთა დახმარებით შევეცდებით, მცირე ექსკურსი მოვაწყოთ ძველი თბილისის ისტორიულ ნაწილში.*

# რომელ ისტორიულ შენობაში იყო განთავსებული სასულიერო სემინარია, სადაც იოსებ სტალინი სწავლობდა და რომელმა ჰოლივუდელმა კინორეჟისორმა დაამთავრა თბილისის ნერსესიანის სემინარია

## მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარია

თავისუფლების მოედანზე, პუშკინის სკვერის



მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარია, იგივე „პალას ოტელი" (1910-იანი წლები)

მოპირდაპირე მხარეს მდგარ ამჟამინდელ ხელოვნების მუზეუმის შენობას დიდი ისტორია აქვს: მის ადგილას სამი საუკუნის წინათ 80-ოთახიანი ქარვასლა მდგარა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ეს ადგილი ვინმე თურქესტანიშვილს ეკუთვნოდა, რაც სასტუმროს აშენების სურვილით შეპყრობილ იაკობ ზუბალაშვილს მიჰყიდა. 1830-იან წლებში იტალიელი არქიტექტორების – ბერნარდაცების პროექტით აგებული სასტუმრო „პალასი" გარეთუბანში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კერძო შენობა იყო. 1837 წელს ამ შენობაში გამართულა მეჯლისი ტფილისში სტუმრად მყოფ იმპერატორ ნიკოლოზ პირველის პატივსაცემად. 1838 წელს შენობა საეკლესიო უწყებამ შეიძინა და აქ განთავსდა მართლმადიდებლური სასულიერო სემინარია, რომელმაც 1911 წლამდე იარსება. სწორედ ამ სემინარიაში სწავლობდა იოსებ სტალინი. სემინარიის კიდევ ერთი ცნობილი მოსწავლე იყო გიორგი გურჯიევი. სასულიერო სემინარიის ვაკეში გადატანის შემდეგ, 1917 წელს, შენობაში კვლავ სასტუმრო გაიხსნა, რომელსაც ჯერ „ცარსკიე ნომერა" ეწოდა, 1918 წლიდან კი – „სასახლის სასტუმრო". პირველი რესპუბლიკის პერიოდში ეს სახელწოდება ქართული ასოებით ეწერა შენობის მთავარ ფასადს, რომელიც პუშკინის სკვერს უყურებდა. გასაბჭოების შემდგომ შენობამ დროებით შეინარჩუნა პროფილი და სასტუმრო „პალას ოტელის" სახელით იყო ცნობილი. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმრო თბილისში საკუთარი რესტორნით, სადალაქოთი და დეკორატიული ბაღით. 1930-იან წლებში სასტუმრო დაიხურა და შენობაში ერთი პერიოდი საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი ფუნქციონირებდა. 1952 წლიდან შენობა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა.



ხედი ხელოვნების მუზეუმის შენობაზე პუშკინის სკვერიდან (1930-იანი წლები)



პეტრე ამირანაშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმი (თანამედროვე ხედი)



რუბენ მამულიანი

## ნერსესიანის სემინარია

თბილისის ერთ-ერთ უძველეს სასწავლო დაწესებულებად სომეხი პატრიარქის – ნერსეს მეხუთე აშტარაკეცის მიერ დაარსებული სკოლა ითვლება, რომელიც თავდაპირველად ვანქის ტერიტორიაზე მდებარეობდა. 1822 წელს აგებული შენობის არქიტექტორი სამხედრო ინჟინერი ლაზარევი იყო. 1824 წელს გახსნილი სკოლა პირველი საერთო საგანმანათლებლო საშუალო სკოლა იყო თბილისში. 1837 წელს სკოლა სასულიერო სემინარიად გადაკეთდა და სახელწოდებად, დამაარსებლის პატივსაცემად, „ნერსესიანის სემინარია" ეწოდა. მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდში ნერსესიანის სემინარია ამიერკავკასიაში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ და პრესტიჟულ სასწავლებლად იყო ცნობილი და დიდი პოპულარობით სარგებლობდა თბილისის სომეხ მოსახლეებს შორის. ამ სასწავლებლის ეზოში იყო გახსნილი ერთ-ერთი პირველი სტამბა თბილისში. წლების განმავლობაში სემინარიის ძველი შენობა აღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს და 1909 წელს სვანეთის უბანში დაიწყო სემინარიის ახალი კორპუსის მშენებლობა. მშენებლობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთი მეცენატმა ალექსანდრე მანთაშევმა შეიძინა, მის მიერვე დაფინანსდა ყველა სამშენებლო სამუშაო. პროექტის ავტორები თბილისელი არქიტექტორები – ზურაბიანი და ნეპრინცევი იყვნენ. სემინარიის მშენებლობა 250 ათასი რუბლი დაჯდა და ოფიციალურად სასწავლებელი 1911 წელს გაიხსნა. 1924 წელს თბილისში ნერსესიანის სემინარიის დაარსების 100 წლისთავი



ნერსესიანის სასულიერო სემინარია (1920-იანი წლები)

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**დღეს, ალბათ, ყველაზე მეტად უფლისადმი, ერთმანეთისადმი გულწრფელი სიყვარული გვაკლია. ასევე, სათანადოდ არ გაგვაჩნია სინანულის გრძნობა, რომელიც ამ სიყვარულს კიდევ უფრო მეტად დაგვანახვებს და საკუთარ თავს ხშირად არ დავაყენებთ სხვებზე მაღლა. აღდგომის მარხვა კი სწორედ ის დროა, როცა შეგვიძლია, ასეთ რამეებზე დავფიქრდეთ, გავიაზროთ და სულის ცხონებისკენ ნაბიჯები გადავდგათ.**

# რა უნდა შესწიროს ადამიანმა ღმერთს საკუთარი ცხონებისთვის და როდის აქვს სინანულს ყველაზე დიდი ძალა



**ბევრი მართლმადიდებელი ქრისტიანი მოჩვენებით მოდის ეკლესიაში. სინანულში ვარდება, დამწუხრებულ სახეს იღებს, როდესაც მიდის მოძღვართან ან ეკლესიაში, მაგრამ, რომ შეხედავ, ისეთი ადამიანია, მარხვა კი არ მოგინდება, საერთოდ გაიქცევი მისგან**

**მამა გიორგი (თევდორაშვილი)** ***ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი***: ის, რითაც ადამიანს მიეცემა სულის ცხონების საშუალება, არის ყველაზე დიდი მისალოცი. ჩვენ არ ვიცით, რა მოგველის მომავალში, დავასრულებთ თუ არა აღდგომის მარხვას, რომელიც ცოტა ხნის წინ დაიწყო. ამიტომ, ვისაც ჯერ არ დაუწყია მისი შენახვა, დაიწყოს დღესვე, რათა სულის ცხონების საშუალება მოგვეცეს. სულის ცხონების ყველაზე დიდი საშუალება, ეს არის წმიდა დიდმარხვის შენახვა. ადამიანების დიდი ნაწილი, ასე თუ ისე, მთელი წლის განმავლობაში ვზარმაცობთ, არ დავდივართ ეკლესიაში ან იშვიათად დავდივართ. წელიწადში 365 დღეა, 47 დღე კი მთელი წლის თითქმის მეათედია. ასე რომ, თუ შენ მთელი წლის განმავლობაში არ დადიხარ ეკლესიაში, არ მარხულობ, იქნება, ეს 47 დღე მაინც შესწირო ღმერთს შენი ცხონებისთვის. რუსები დიდმარხვას უწოდებენ „ველიკი პოსტ". ეს ნიშნავს იმას, რომ განსაკუთრებულ მდგომარეობაში უნდა ჩავიყენოთ თავი და დავიმარხოთ, დავიცვათ ყველა ის სწავლება, ქადაგება, რაც დადგენილია ეკლესიის მამების მიერ და გადმოცემულია პატროლოგიების საშუალებით. დღეს ძალიან ბევრი მართლმადიდებელი ქრისტიანი მოჩვენებით მოდის ეკლესიაში; სინანულში ვარდება, დამწუხრებულ სახეს იღებს, როდესაც მიდის მოძღვართან, მაგრამ, რომ შეხედავ, ისეთი ადამიანია, მარხვა კი არ მოგინდება, საერთოდ გაიქცევი მისგან. არავინ არავის აძალებს მარხვის შენახვას, განსაკუთრებით მათ, ვინც მოჩვენებით აპირებს მარხულობას. სახარებაში წერია: ნუ მიჰბაძავთ ორგულებს, რომლებიც მოჩვენებითად მარხულობენ. ჩვენი შინაგანი მდგომარეობა უნდა იყოს შემდეგი სიტყვებით: „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას და შემიწყალე მე". არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი წინაპარი ადამი და მისი ნეკნისგან შექმნილი ევა ღმერთმა ექსორიაჰყო სამოთხიდან. ამისთვის კი სამი მიზეზი არსებობდა.

**– როგორია ეს მიზეზები?**

– პირველი, ეს არის ადამზე გარეშე ძალების ზეგავლენა. მოგეხსენებათ, რომ დაცემა ხდება ჯერ ზეციურ სასუფეველში, საღვთო წიაღში და შემდეგ გრძელდება სამოთხეში. ზეცაში დაცემა კი ასე ხდება: ერთ-ერთი ანგელოზი, რომლის სახელი იყო „სათანაილი" – მანათობელი ანგელოზი, აღარ ემორჩილება ღმერთს, მოინდომა ღმერთობა ღმერთის გარეშე, წარმოიდგინა... თვითდაჯერებულობაში ვარდება, აქედან გამომდინარე კი – ამპარტავნებაში. ღმერთი სამოთხეში იმიტომ კი არ ქმნის ადამიანებს, რომ დაცემული ანგელოზების ადგილი შეავსოს, არამედ, მას ქმნის სიყვარულით და აძლევს ერთადერთ მცნებას: ყველაფერი მიიღე, რაც შენ გარშემო არის, ერთადერთის გარდა – ეს არის ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა.

**– ღმერთმა ხომ წინასწარ იცის, რომ ადამიანი შეცდება, დაეცემა. მაშინ, რატომ აძლევს მას ამ მცნებას?**

– ღმერთი არის აბსოლუტური სული, თავისუფლება, სიყვარული... მას არ უნდა, რომ მის მიერ შექმნილი ადამიანი იყოს ბიორობოტი, გაიზარდოს ისე, როგორც წიწილა ინკუბატორში. მას სურს, რომ ადამიანმა თავისი მოწოდების სიმაღლე კეთილი ნების გონივრული გამოყენებით დაამტკიცოს. ამიტომაც მისცა იმის საშუალება, რომ მასთან ყოფილიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანი დაეცა, ეშმაკმა ზემოქმედება მოახდინა ევაზე, ევამ – ადამზე და ადამიანმა დააშავა, მან იხმია აკრძალული ნაყოფი. მაგრამ, ღმერთი არ არის უსამართლო, მას მაშინვე არ გამოუძევებია ადამიანი სამოთხიდან. მწუხრზე ღმერთმა დაუძახა ადამს: ადამ, სად ხარ? ანუ, რა მდგომარეობაში ხარო. ღმერთმა იცის, რა მდგომარეობაშია, მაგრამ, უნდა, რომ მის ხატებასა და მსგავსებაში გაალვიძოს სინანულის განცდა. ადამიანს რომ ეთქვა: აქ ვარ, დაცემული, შემცდარი, გაოგნებულიო, ღმერთი მაშინვე მიუტევებდა. მაგრამ, ადამი ყვედრის უფალს: შენ რომ დედაკაცი მომეცი, მან შემაცდინა და მომცა აკრძალული ხილიო, ანუ გარკვეული ნაყოფი – არ არის ნახსენები არც ვაშლი და არც სხვა ხილი. ამ შემთხვევაში იმავე უგუნურებას სჩადის ევა, რადგან, როდესაც მას ეკითხებიან: „რატომ ჩაიდინე ეს?" ის გველს აბრალებს. ევას მაინც რომ მოენანიებინა თავისი დანაშაული, ღმერთი კაცთმოყვარეობით მიუტევებდა ორივეს. იგივე ხდება მათი შვილის – კაენის შემთხვევაში, როდესაც ის მოკლავს ძმას – აბელს. როდესაც ღმერთი ეკითხებოდა კაენს: „სად არის შენი ძმა?" ის თავხედურად პასუხობს: „მე არ ვარ ჩემი ძმის მცველი, რომ ვიცოდე, სად არის." მას რომ ეღიარებინა, შურის გამო როგორ მოკლა ძმა, მასაც შეუნდობდა უფალი. მაგრამ, ამ შემთხვევაში დაირღვა ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მცნება: გიყვარდეს მოყვასი შენი და გიყვარდეს უფალი შენი. აქედან დაიწყო ჩვენი ისტორია თავდაყირა, ადამიანი დაეცა საბოლოოდ. მაგრამ, ღმერთი კაცთმოყვარეა, ანუგეშა ადამიანი და აღუთქვა სამოთხეშივე ხსნა, რომ დედაკაცის თესლი, ანუ ღვთისმშობელი, მოავლინებდა მესიას. უფალი ამბობს: „გამოიძიეთ ღმერთი და ცხონდეს სული თქვენი".

> **სინანული უნდა იყოს გულწრფელი. თუკი შენ ისე გარდაიცვლები, რომ ვერ მოასწრებ მოყვასისთვის შენდობის თქმას, ვერ ცხონდები**

**– როგორ უნდა გამოიძიოს ადამიანმა ღმერთი?**

– ანუ, ბრმად კი არ უნდა მიიღოთ ღმერთი, უნდა გამოიძიოთ თქვენი რწმენა, მართლმადიდებლობა, სიღრმეში ჩადით და მოიპოვებთ სულის ცხონებას. სირღმეში რომ ჩავიდეთ, მაშინ, უნდა გავიგოთ, როგორ დავბრუნდეთ სამოთხეში. ბასილი დიდი ბრძანებს შესანიშნავად: „ადამიანი დაეცა მარხვის დარღვევით. დაიცავით მარხვა და დაბრუნდებით სამოთხეში." მარხვის დაცვა – ეს არის სამოთხეში დაბრუნების ერთადერთი საშუალება, მაგრამ, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. დღეს ყველას შეუძლია მარხვის შენახვა, თუნდაც გაჭირვების გამო, მაგრამ, ეს უნდა მოხდეს გააზრებულად, სინანულით, მთელი თავისი დანიშნულებით. იმიტომაც ჰქვია „დიდი მარხვა," რომ მას შეუძლია ადამიანის ეკლესიაში დაბრუნება, ცხონება და, რაც მთავარია, არ უნდა იყოთ ფარისევლები და ორგულები. მარხვაში კი ყველაზე მთავარია, რომ თქვენში დაცხრეს მრისხანება, განკითხვა; გაეცით მოწყალება, სიყვარული აღდგეს თქვენში. სულითა და გულით ილოცეთ, წაიკითხეთ წმიდა წერილი: ძველი და ახალი აღთქმა; და, კიდევ – სინანული, რომელიც უნდა იყოს გულწრფელი. თუკი შენ ისე გარდაიცვლები, რომ ვერ მოასწრებ მოყვასისთვის შენდობის თქმას, ვერ ცხონდები. რამდენად არის ჩვენ შორის სიყვარული, ამის შესახებ, მინდა, ერთი იგავი მოგიყვეთ: ერთ კუნძულზე ცხოვრობდა ყველა გრძნობა და ყველა ჩვევა. ერთ დღესაც, ამ კუნძულმა დაიწყო ჩაძირვა და ყველამ დატოვა ის, სიყვარულის გარდა. სიყვარული იძირებოდა მასთან ერთად. ამ დროს გამოიარა განცხრომამ. განცხრომა – ეს ისეთი რამ არის, რაც ყველას გვიყვარს, მარხვა კი კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ ადამიანში განცხრომა არ იყოს. სიყვარული სთხოვს განცხრომას, რომ აიყვანოს ნავზე, მაგრამ, ის პასუხობს: ჩემს ნავზე იმდენი სიმდიდრე, კომფორტია, შენი ადგილი არ არის აქო. მეორე მდგომარეობა არის პატივმოყვარეობა, რომელიც, ასევე, გამოივლის და უარს ეტყვის სიყვარულს დახმარებაზე: არ შემიძლია, დაგეხმარო, რადგან, ძალიან სველი ხარ. ანუ, ამპარტავან ადამიანს არ სჭირდება სიყვარული, მარხვა, მოძღვარი. მესამეა მწუხარება – მასაც ევედრება სიყვარული დახმარებას. მაგრამ, მწუხარება პასუხობს: იმდენად დამწუხრებული ვარ, არ მაქვს შენი ადგილიო. როდესაც ადამიანს ვეუბნები: ვიცი, რომ მწუხარებაში ხართ, ვიცი, რომ ქმარი ციხეში გყავთ, შვილი გარდაგეცვალათ, მაგრამ, იქნებ, სიყვარული გქონდეთ, ილოცოთ. ისინი ამბობენ: ძალიან დაკავებული ვარ, 24 საათი საფლავზე დავდივარ, მწუხარე ვარ, არ მცალია ლოცვისთვის, მარხვისთვის, ჩაკეტილი ვარ ჩემს მწუხარებაშიო. ასეთი ადამიანები უზომო მწუხარებასა და ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. მეოთხე მდგომარეობა – ეს არის ბედნიერება. სიყვარული მასაც ეხვეწება, აიყვანოს ნავზე, მაგრამ, ის პასუხობს: იმდენად ბედნიერი ვარ, შენ არ მჭირდები, არ მაქვს ადგილიო. ასეთი ადამიანი ბევრია, რომლებსაც, სამწუხაროდ, საკუთარი თავი ბედნიერი ჰგონიათ, არაფერი სჭირდებათ – არც სიყვარული, არც მარხვა; მათთვის ეს სარწმუნოება არის მასებისთვის. ყოველგვარი იმედი დაკარგა სიყვარულმა. ამ დროს გამოიარა ჭარმაგმა მოხუცმა, დაუძახა და აიყვანა ნავზე. სიყვარულმა ჰკითხა ცოდნას: ვინ იყო ეს ადამიანიო. ცოდნამ კი უპასუხა: ეს იყო დრო, რომელმაც იცის შენი ფასიო. ჩვენი სიყვარული უფლისადმი, მოყვასისადმი, ყოველთვის დროში უნდა გამოიცადოს, მას ვერ დააკლებს ვერაფერს ვერც მწუხარება, ვერც პატივმოყვარეობა, ვერც განცხრომა და ყველა ის უკეთური თვისება, რაც ჩვენში არსებობს.

**ნათია უტიაშვილი**

# ეკლესიაში გონებით დგომისათვის

იყო მონასტერი შუენიერი, სახელსა ზედა იოანე ნათლისმცემლისასა შეკრებილნი ძმათა სავსება. წინამძღუარმან ერთი ძმათაგანი შაბათს, მწუხრზე მორჩილად წარგზავნა სხუასა ადგილსა და იწყეს ძმათა ყოველთა ლოცვა ეკლესიასა შინა და მღვდელმან რა აკმია, ერთსა ბერსა, მუნ მყოფსა, არა უკმია. გარნა რომელიცა ძმა წარვლენილ იყო მორჩილებად, მისსა ადგილსა უკმია. და ოდეს სრულ იქმნა მწუხრის ლოცუა, მოახსენა წინამძღუარსა ბერმან მან:

– უფალო წინამძღუარო, ამას მწუხრსა რიგის მღუდელმან მე არა მაკმია!

ხოლო წინამძღუარმან მოუწოდა მღუდელსა მას: ნუ უკუე გულსა ძვირი აქვნდეს რაიმე, რომელი დააბრკოლებს საღმრთოსა მსხვერპლის შეწირვასაო და ჰრქუა:

– შვილო, რაისათვის არა უკმიე ბერსა ამას?

მიუგო მღვდელმან:

– შემინდევ, პატიოსანო მამაო, რამეთუ არა ვიხილე ეგე ეკლესიასა შინა.

მაშინ სიტყუა უგო ბერმან:

– ვითარ არა ვიყავ ეკლესიად, რომელ მე არა მიკმიე და მორჩილებად წარგზავნილსა ძმისა ადგილს უკმიე?!

მიუგო მღვდელმან წინამძღუარსა:

– გრწმენინ ჩემი, ღმერთშემოსილო მამაო, მე არა უწყი, თუ ძმა იგი მორჩილებად წარგიგზავნიეს, გარნა ესე უწყი, რომელ იგი ძმა ეკლესიასა შინა ვიხილე, თვისსა ადგილსა მდგომარედ და უკმიე; ხოლო ესე ბერი არა მიხილავს მუნ და მისთვის არა უკმიე.

მაშინ ღუთისა მიერ გამოეცხადა ღირსსა მას წინამძღუარსა და ჰრქუა ბერსა მას:

– შვილო, თუმცა შენ ეკლესიასა შინა ჰსდეგ, გარნა გონება შენი სხუასა საქმესა შეექცეოდა და ღმერთმან ესრეთ შეგირაცხა, ვითარცა არა მუნ მყოფი; ხოლო ძმა იგი, მორჩილებად წარგზავნილი, გონებითა ეკლესიასა შინა იყო და ღმერთმან ესრეთ შეიწყნარა, ვითარცა მუნ მლოცველი!

და ოდეს მოვიდა ძმა იგი, ჰრქუა მას წინამძღუარმან:

– გამოგვიცხადე, ძმაო, თუ რასა იტყოდი სლვასა შენსა, ანუ სადა იყავ გონებითა?

ხოლო მან ჰრქუა:

– ღუთივსულიერო მამაო, პირითა მარადის ამას ვიტყოდი: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღუთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი!“ და გონებითა ჩემითა ეკლესიასა შინა ვიყავ თქუენთანა მლოცველად.

მაშინ ბერმანცა მან შეინანა და აღიარა, მეტყველმან:

„შემინდვე, წმიდაო მამაო, რამეთუ ეკლესიასა შინა ვსდეგ ხორცითა, გარნა გონებითა გარეშე საქმესა ვიწურთიდი.“

***„მანანაი“, თბილისი, 1882, გვერდი 93-95.***

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: სნეულების გამო არ მაქვს ეკლესიაში სიარულის ფიზიკური უნარი. შეიძლება თუ არა, სახლში წაკითხულმა ლოცვებმა შეცვალოს წირვა-ლოცვაზე დასწრება და მართლმადიდებლური წეს-ჩვეულებები?**

**პასუხი:** საეკლესიო ლოცვებს ვერანაირი სხვა ლოცვები ვერ შეცვლის. მაგრამ, რადგან ფიზიკური უძლურების გამო ვერ მიდიხართ ტაძარში, ილოცეთ სახლში და ეცადეთ წელიწადში რამდენჯერმე თქვენს ბინაში მოახერხოთ მოძღვრის მიყვანა, რათა უთხრათ აღსარება და ეზიაროთ.

**კითხვა: ჩემი შვილი ქორწინების გარეშე დაიბადა. როგორც მითხრეს, ეს დიდი ცოდვაა. ძალიან ვნერვიულობ, ხომ არ ავნებს ეს ჩემს შვილს? როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ეკლესია ყოველთვის ცდილობს, ქალი მრუშობის ცოდვას აარიდოს, მაგრამ, როდესაც ღვთის უდიდესი სასწაული – ბავშვის ჩასახვა ხდება, ეკლესია თანადგომას უცხადებს ჯერ მომავალ დედას, რათა აარიდოს ის უდიდეს ცოდვას – აბორტს, ხოლო ბავშვის დაბადების შემთხვევაში ეხმარება მარტოხელა დედას. ღვთისთვის არ არსებობს განსხვავება ქორწინებით და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს შორის, ამიტომ მშვიდად იყავით და ქრისტიანული რწმენით გაზარდეთ თქვენი შვილი.

**კითხვა: აქვს თუ არა მოძღვარს უფლება, საჯაროდ გაამხილოს მორწმუნის მიერ მისთვის აღსარებაზე განდობილი ცოდვები?**

**პასუხი:** მოძღვარს არავითარ შემთხვევაში არ აქვს აღსარებაში ნათქვამი ცოდვების გამხელის უფლება. ამით ის დაარღვევს მართლმადიდებლური ეკლესიის საიდუმლოს წესს და კანონს. დათესავს უნდობლობას სინანულის წმიდა საიდუმლოს მიმართ. მოძღვარს შეუძლია, ქადაგებისას ან თუნდაც პირად საუბარში მორწმუნესთან განიხილოს ესა თუ ის ცოდვა ზოგადად, ეს კი შესაძლებელია.



# მამათა შეგონებანი

**გაბრიელ ეპისკოპოსი:** სინდისი უხილავი მსაჯულია, რომელიც ყოველი კაცის გულში ზის და მას ან აქებს, ან აძაგებს რომელიმე საქციელის გამო. ვისაც სურს, უფრო ცხადად წარმოიდგინოს, რა არის სინდისი, უნდა გაიხსენოს, რა გამოუთქმელ სიტკბოებას და სიხარულს გრძნობდა რომელიმე კეთილი საქმის აღსრულების შემდეგ და როგორი სირცხვილის გრძნობა წვავდა შემდგომად ბოროტი საქმის ჩადენისა.

**ათანასე ალექსანდრიელი:** გამოცხადების ღმერთი – სიტყუაა... რამეთუ სიტყვამ ყოველგან განვრცობილმა, ღვთისმგმობელობით აღივსო ყოველივე ზენა და ქვენა სამყაროში, სიღრმესა თუ სივრცეში, ზენა სამყაროში – სულიერ ქმნილებათა შორის, ქვენა სამყაროში – თავისი ხორციელქმნითა და განკაცებით, სიღრმეში – ჯოჯოხეთად შთასვლით და მუნმყოფთა აღმოყვანით, სივრცეში კი – ამქვეყნად მოსვლითა და თავისი საზოგადო მხსნელი მსახურების აღსრულებით. მამა ყოველივეს ქმნის სიტყვით სულის მიერ, რამეთუ, სადაც არის სიტყვა, იქაა სულიც და ქმნადსაც სიტყვით სულისგან აქვს მიღებული არსებობის ძალა ძის მიერ.

**ალექსი ბერი:** დასაბამიდან იყო სიყვარული და ესე იყო ღმერთი, რომელმან წარმოშვა სიცოცხლე წმიდა და უბიწო. დიახ, „სიყვარული“ არსებით სპეტაკია, ყოვლად წმიდაა (იხილე შედარებით ჩვილთადმი სიყვარული) სატრფოა, ადამიანის თვისებათა შორის უალმატებულესი მშვენიერება. მაგრამ ადამიანთა თავისუფლებაზეა დამოკიდებული მისი მიმდინარეობა. პირველიდანვე ამ თავისუფლების ავ-კარგის გამოუცდელმა ადამიანმა გახრწნა სიყვარულის წმიდა, უბიწო სიცოცხლე და შეუერთა პირუტყვულს. აქედან იწყება გადმოდინება. გახრწნილ სიყვარულსა და საპირუტყვო მდინარის შეერთებით რწყავს მსოფლიოს თითოეული ადამიანის ნებლობისდაგვარ.

**წმიდა სილუანი:** ზეციური შეიცნობა სულიწმიდით, მიწიერი კი – გონებით, მაგრამ, ვისაც უნდა შეიცნოს ღმერთი თავისი გონებით მეცნიერებისაგან, იგი ხიბლშია, იმიტომ, რომ ღმერთი შეიცნობა მხოლოდ სულიწმიდით. თუ შენ გონებით ხედავ ეშმაკებს, ჰყავ მორჩილება და ეცადე, არ დაინახო; სწრაფად მიდი მოძღვართან ან ბერთან, რომელიც შენ გხელმძღვანელობს. ყველაფერი მოუყევი სულიერ მამას და მაშინ უფალი შეგიწყალებს. გაგათავისუფლებს ხიბლისგან, ხოლო თუ გაიფიქრებ, რომ სულიერ ცხოვრებაში შენ მეტი იცი მოძღვარზე და არ ეტყვი მას აღსარებაზე, რაც შენში ხდება, მაშინ აუცილებლად დაშვებულ იქნება შენზე ხიბლი გამოსაფხიზლებლად.

**ალექსანდრე შმემანი:** მწუხარე ნათელი: მწუხარება დევნული, გაფლანგულ ცხოვრების გამო; ღვთისმყოფობისა და მისი მიტევების ნათელი, ღვთისადმი ხელახლა შობილი სიყვარულის ბედნიერება და მამისეულ ხიბლში დაბრუნების სიმშვიდე. ასეთია დიდმარხვის ღვთისმსახურების განწყობილება, ასეთია მისი პირველი შეხება ჩემს სულთან.

# რატომ გაატარა მთელი ბავშვობა რესტორანში „არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა და რის გამო ჰქონდა მას ზიზღის გრძნობა გერმანელების მიმართ

***მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული მწვრთნელი, ფეხბურთის „პროფესორი" და ლონდონის „არსენალის" მთავარი მწვრთნელი 1996 წლიდან... – საუბარია არსენ ვენგერზე, ინგლისური პრემიერლიგის „დინოზავრზე" ალექს ფერგიუსონთან ერთად, რომლის გარეშე „მეთოფეების" ნახვა წარმოუდგენელია.***



* არსენ ვენგერი დაიბადა 1949 წლის 22 ოქტომბერს, სტრასბურგში. ბავშვობიდან იყო ფეხბურთით გატაცებული და სამოყვარულო დონეზე კლუბ „მიუტციგში" თამაშობდა. პირველი პროფესიონალური კონტრაქტი არსენმა 24 წლის ასაკში კლუბ „მიულუზთან" გააფორმა, სადაც მცველის ამპლუაში ასპარეზობდა, შემდგომში კი თამაში საფრანგეთის ჩემპიონატის მესამე დივიზიონის კლუბ „პიერო ვობანში" განაგრძო, ხოლო კარიერა 32 წლის ასაკში „სტრასბურგში" დაასრულა, სადაც სულ 12 მატჩი ითამაშა, თუმცა, მოასწრო, „უეფას" თასის ერთ მატჩში ეთამაშა, 1978-1979 წლების სეზონში კი საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

* არსენის მშობლები ალფონს და ლუიზა ვენგერები იყვნენ. არსენის დაბადების შემდეგ ოჯახი სოფელ დატლჰეიმში ცხოვრობდა, სადაც არსენიც უფროს და-ძმასთან ერთად იზრდებოდა. მამა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო და ომის დროს მისი მშობლიური მხარე ანექსირებული ჰქონდათ გერმანელებს, რის გამოც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსენ ვენგერს გერმანელები ეზიზღებოდა. საინტერესოა, რომ შვიდი წლის ასაკამდე არსენ ვენგერმა პრაქტიკულად, არ იცოდა ფრანგული, იგი ალსაკ-ლორეინის მხარისთვის დამახასიათებელ ალსატანიურ დიალექტზე ლაპარაკობდა, რომელიც განსხვავდება ფრანგული ენისგან.

* არსენის მამა სოფლის ფეხბურთის გუნდის მწვრთნელი იყო და სპორტის ამ სახეობისადმი სიყვარული მან ჩაუნერგა შვილს. პირველად პროფესიონალური ფეხბურთის მატჩს არსენიც 6 წლის ასაკში დაესწრო – მან მიუნჰენგლადბახის „ბორუსიის" მატჩს უყურა.

* არსენის მამა სტრასბურგში ავტოდეტალების ბიზნესში იყო ჩართული, ხოლო დედას ჰქონდა საკუთარი რესტორანი – „ოქროს ჯვარი". თავისი წარსულის გახსენებისას არსენ ვენგერი ამბობს, რომ „მთელი ბავშვობა რესტორანში ჰქონდა გატარებული".

* ბავშვობაში არსენ ვენგერის საფეხბურთო კერპები ფრანგი ფეხბურთელი რაიმონ კოპა და ბრაზილიელი პელე იყვნენ.

* განათლებით არსენ ვენგერი ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრია, 1974 წელს მან სტრასბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა. ასევე, იგი ფრანგულის გარდა, სრულყოფილად ფლობს ხუთ ენას: ინგლისურს, გერმანულს, იტალიურს, ესპანურსა და იაპონურს.

* სამწვრთნელო კარიერა არსენ ვენგერმა „სტრასბურგის" ბავშვთა გუნდში დაიწყო, საიდანაც საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონის ბინადარ „კანში" გადავიდა მთავარი მწვრთნელის ასისტენტად, ბოლოს კი – მიშელ პლატინის მამის, ალდოს რეკომენდაციით, „ნანსის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მთავარი მწვრთნელის ამპლუაში გატარებულმა პირველმა ორმა სეზონმა არც-თუ კარგად ჩაიარა – „ნანსი" უმაღლესი დივიზიონიდან გავარდა, თუმცა არსენ ვენგერს უკვე საკმარისი გამოცდილება დაუგროვდა და ის საფრანგეთში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ და იმედის მომცემ მწვრთნელად ითვლებოდა. ვენგერის შემდგომი კლუბი „მონაკო" იყო, სადაც მან თავის პირველ წარმატებას მიაღწია, 1988 წელს ვენგერის გუნდი საფრანგეთის ჩემპიონი გახდა, ხოლო 1991 წელს საფრანგეთის თასი მოიგო. ვენგერის გუნდში იმ დროის ფეხბურთის ვარსკვლავები გლენ ჰოდლი, პატრიკ ბატისტონი და მარკ ჰეიტლი თამაშობდნენ.

* 1994 წლის ბოლოს არსენ ვენგერი „მონაკოდან" დაითხოვეს და მან იაპონიაში, კლუბ „ნაგოია გრამპუს ეითში" განაგრძო კარიერა. ვენგერმა 18 თვე გაატარა იაპონიაში და კლუბთან ერთად „იმპერატორის" თასი და იაპონიის სუპერთასი მოიგო, რის შემდეგაც მას მაცდური შეთავაზება მიუვიდა ლონდონის „არსენალიდან", რაზეც ვენგერი დასთანხმდა.

* „არსენალში" მისულ არსენ ვენგერს დახვდა ინგლისურ კლუბებს შორის საუკეთესო დაცვის ხაზი (ტონი ადამსი, ნაიჯელ ვინტერბერნი, ლი დიქსონი და მარტინ კიოუნი) და ჰოლანდიელი სუპერვარსკვლავი დენის ბერხკამპი, რომლის გარშემოც ვენგერმა თავისი ლეგენდარული და დაუმარცხებელი გუნდის შენება დაიწყო. ვენგერის მწვრთნელობის პერიოდში „არსენალში" ფეხბურთის ვარსკვლავები გახდნენ: პატრიკ ვიეირა, ნიკოლა ანელკა, ტიერი ანრი, მარკ ოვერმარსი, ემანუელ პეტი, რობერ პირესი, სილვიან ვილტორდი, ფრედრიკ ლიუნგბერგი, რობინ ვან პერსი, ტეო უოლკოტი, ჯეკ უილშირი და სხვები.

* არსენ ვენგერი ინგლისურ პრემიერლიგაში პირველი უცხოელი მწვრთნელია, რომელმაც ნაციონალურ ლიგაში ჩემპიონობის მოპოვება შეძლო, ასევე, ის პირველი უცხოელი მწვრთნელია, რომელმაც „ოქროს დუბლი" – ერთ სეზონში ინგლისის ჩემპიონობა და თასი მოიგო და, პირველი უცხოელი მწვრთნელია, რომელიც ინგლისში „წლის მწვრთნელად" დაასახელეს.

* 2001 წელს არსენ ვენგერს საფრანგეთის ნაკრების განვრთნას სთავაზობდნენ, თუმცა, მან კლუბში მუშაობის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო.

* „არსენალის" ქომაგთა შორის არსენ ვენგერი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და გულშემატკივრებში გავრცელებულია ფრაზა: „Arsen Knows" – „არსენმა იცის".

* 2010 წელს ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ ათწლეულის საუკეთესო მწვრთნელების რეიტინგი გამოაქვეყნა და 142 ქულით პირველი ადგილი არსენ ვენგერმა დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მეორე ადგილზე 133 ქულით „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი და ვენგერის მთავარი კონკურენტი ალექს ფერგიუსონი გავიდა.

* იაპონიაში მუშაობის პერიოდში არსენ ვენგერმა საინტერესო წიგნი დაწერა, რომელიც იაპონელ მკითხველზე იყო გათვლილი. წიგნში ვენგერი აღმოსავლურ კულტურაზე, მართვის წესებსა და ტრადიციებზე ფილოსოფიური ენით საუბრობს.

* არსენ ვენგერი სამჯერ იყო გასული „მონაკოსთან" და „არსენალთან" ერთად ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირების ფინალში, მაგრამ, 1992 წელს ის თასების მფლობელთა თასის ფინალში დამარცხდა, 2000 წელს – „უეფას" თასის ფინალში 2006 წელს კი – ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

* 2003 წელს არსენ ვენგერმა „ბრიტანეთის იმპერიის ორდენი" მიიღო; იგი, ასევე, არის ერთ-ერთი იმ უცხოელ მწვრთნელებს შორის, რომლებიც „ინგლისური ფეხბურთის დიდების დარბაზის" წევრი გახდნენ.

* „არსენალის" ისტორიაში არსენ ვენგერი 23-ე მწვრთნელია, თუმცა, ტიტულების რაოდენობით ის პირველია (11 ტიტული).

* არსენ ვენგერის თქმით, მას ვერ წარმოუდგენია ცხოვრება ფეხბურთის გარეშე.

* არსენ ვენგერი დაქორწინებულია ყოფილ კალათბურთელზე, ენი ბროსტერჰაუსზე, რომელთანაც ერთი ქალიშვილი ჰყავს – 1997 წელს დაბადებული ლეა.




* არსენ ვენგერის თქმით, რომ არა ფეხბურთი იგი ალბათ პოლიტიკოსი გამოვიდოდა.

* „შეუძლებელია, გააკონტროლო ყველა ფეხბურთელი ლონდონში. უმჯობესია, იყო ოპტიმისტი და გჯეროდეს, რომ ისინი კარგად იქცევიან" – არსენ ვენგერი.

* არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ, თუკი იგი 65 წლის ასაკში იგრძნობს, რომ ფეხბურთი აღარ აინტერესებს, აუცილებლად გავა პენსიაზე, თუმცა, მისი თქმით, ეს გრძნობა მისგან ძალიან შორს არის.

## შეიხების პასუხი „უეფას“

ყატარის სამეფო ოჯახმა გადაწყვიტა კონკურენცია გაუწიოს ყველაზე ცნობილ და პრესტიჟულ საკლუბო ტურნირს – „ჩემპიონთა ლიგას“ და ახალი ტურნირის ჩატარებას დაუდოს სათავე, რომელსაც „დრიმ ფუტბოლ ლიგ,“ ანუ, „ოცნების ფეხბურთის ლიგა“ დაერქმევა. „ჩემპიონთა ლიგისა“ და „მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ალტერნატივად“ წოდებულ ლიგაში ყატარელი შეიხები მილიონობით დოლარის ინვესტირებას გეგმავენ. უკვე გაგზავნილია მოსაწვევები მსოფლიოს 24 წამყვან კლუბებში და მათი თანხმობის შემთხვევაში, ტურნირი ორ წელიწადში ერთხელ, ყატარსა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ტერიტორიაზე სტარტს 2015 წლიდან აიღებს. შეიხების აზრით, აღნიშნული ტურნირის ორგანიზება ბრწყინვალე რეპეტიცია იქნება 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც, როგორც ცნობილია ყატარში ჩატარდება.

## გატუზო კარიერას ამთავრებს



მაფიოზური იმიჯით ცნობილი ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელი, 35 წლის ჯენარო გატუზო, კარიერის დასრულებას ზაფხულში აპირებს. „მილანისა“ და იტალიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ამჟამად შვეიცარიული „სიონის“ ღირსებას იცავს და გუნდის მოთამაშე-მწვრთნელია. გატუზოს თქმით, ის იმდენად გაიტაცა მწვრთნელობამ, რომ გადაწყვიტა, ბუცები ლურსმანზე დაკიდოს და ახალი პროფესიის შესწავლას უფრო მეტი დრო დაუთმოს. სხვადასხვა დროს გატუზო „პერუჯაში“, „რეინჯერსში“, „სალერნიტანაში“, ხოლო კარიერის დიდი ნაწილი „მილანში“ თამაშობდა, 2006 წელს კი ის, „სკუადრა აძურასთან“ ერთად, მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

## რონალდუს „ფერარი“ – აუქციონზე



პოპულარულ ინტერნეტ-აუქციონ „იბეიზე“ გასაყიდად გაიტანეს კრიშტიანუ რონალდუს დამტვრეულ „ფერარის“, რომელიც ფეხბურთელმა ავტოავარიაში იმდენად დააზიანა, რომ მისი აღდგენა შეუძლებელი გახდა. უახლოეს მომავალში „იბეიზე“ აღნიშნულ ავტომობილზე აუქციონი დაიწყება და, ფრანგული კომპანია „სტარ აუტო“, რომელმაც 33 ათას ევროდ შეიძინა რონალდუსგან ავტომობილის ძარა, 50 ათას ევროდ გაყიდვას ვარაუდობს, მაშინ, როცა სულ ახალი ამ მარკის ავტომობილის ფასი 250 ათასი ევროა. რონალდუ ცნობილია სპორტული ავტომობილების სიყვარულით; მის საკუთრებაშია: „აუდი R8,“ „ფერარი 599“ GTO და „ლამბორჯინი LP700-4.“

## კერჟაკოვის მოპარული მილიონები

რუსეთის ნაკრებისა და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ ფორვარდს, ალექსანდრ კერჟაკოვს, საბანკო ანგარიშიდან 330 მილიონი რუბლი გაუქრა. ფეხბურთელს ანგარიში რამდენიმე დღის წინ დაცარიელებული დახვდა – მას გარკვეული ხარჯები უნდა დაეფარა და, აღმოჩნდა, რომ ანგარიში ცარიელი ჰქონდა. რუსმა სამართალდამცველებმა უკვე დაიწყეს გამოძიება და საქმე თაღლითობის მუხლით არის აღძრული. როგორც ჩანს, თაღლითებმა, ჯერჯერობით უცნობი გზით, კერჟაკოვის ანგარიში „გაზპრომბანკში“ გატეხეს და გაურკვეველი მიმართულებით გააქრეს საკმაოდ სოლიდური თანხა.

## დევიდ ჰეი კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა

სკანდალებით განთქმული ბრიტანელი მოკრივე დევიდ ჰეი ვერ მოელაპარაკა ვიტალი კლიჩკოს ბრძოლის ჩატარებაზე და აქტიური სპორტიდან წასვლაზე ალაპარაკდა. მსოფლიოს ექსჩემპიონი მძიმე წონაში, დევიდ ჰეი, უახლოეს დღეებში გადაწყვეტს, წავა თუ არა სპორტიდან. ცნობილია, რომ დიდი ხანია, ჰეის სურვილი აქვს, შეხვდეს ვიტალი კლიჩკოს, თუმცა, ამ უკანასკნელის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, სხვა მოკრივეებთან შეხვედრის სურვილი კი ჰეის არ აქვს და, ამიტომაც, ის ხელთათმანების ლურსმანზე დაკიდების გადაწყვეტილებაზე ფიქრობს. შეგახსენებთ, რომ სკანდალისტი მოკრივე 2011 წელს ერთხელ უკვე წავიდა სპორტიდან, თუმცა, მალევე დაბრუნდა რინგზე და დერეკ ჩისორასთან ჩაატარა ბრძოლა.




## 3-კილოგრამიანი მონეტები ოლიმპიადისთვის

რუსეთის ფედერაციაში აქტიურად შეუდგნენ მზადებას 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადისთვის და სამახსოვრო მონეტების მოჭრა დაიწყეს. ოლიმპიადისთვის სულ 47 სახის სამახსოვრო და საინვესტიციო მონეტები მოიჭრება ოქროს, ვერცხლისა და ფერადი ლითონისგან. ახლახან გასაყიდად გამოვიდა 200 რუბლის ნომინალის ვერცხლის მონეტა, რომელიც 3 კილოგრამს იწონის. მონეტაზე სპორტული ობიექტები და სოჭის ღირსშესანიშნაობებია გამოსახული. ასევე, ახლახან მოიჭრა 10 ათასი რუბლის ნომინალის 1 კილოგრამი ოქროსგან ჩამოსხმული ორი სახის მონეტა, რომელთა სახელებია „პრომეთე“ და „მაცესტა“. ნუმიზმატიკის მოყვარულთათვის კი კიდევ ერთი სიურპრიზი მზადდება: ახლო მომავალში 3 კილოგრამი ოქროსგან მოიჭრება 25 ათასი რუბლის ნომინალის მონეტა – „ოლიმპიური მოძრაობის ისტორია რუსეთში“.

## ჯოკოვიჩის სახალისო ფეხბურთი

ინდიანა-უელსის ცნობილი კორტები განთქმულია თავისი ბალახით, რომელზეც, ჩოგბურთის გარდა, ფეხბურთის თამაშიც კი არის დაშვებული, რისი მაგალითიც მსოფლიოს ნომერ პირველმა ჩოგანმა, სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა დაგვანახვა. ფეხბურთის დიდი მოყვარული ჯოკოვიჩი ფეხბურთის ბურთით მსოფლიოს ქალთა რეიტინგის პირველი ნომრის – ვიქტორია აზარენკოს ბოიფრენდს, მუსიკოს სტეფან გორდის ეთამაშა. სპორტსმენმა და მუსიკოსმა წელზემოთ შიშვლებმა საკუთარი საფეხბურთო ოსტატობა გამოავლინეს და კორტზე შეკრებილი ქომაგები გაახალისეს.

## სექსუალური ლაისა



ლაისა ანდრიოლი ბრაზილიელი ფეხბურთელი ქალია, თუმცა, მსოფლიოს ყურადღება მან არასპორტული მიღწევებით, არამედ, თავისი სხეულით მიიპყრო. ლაისა პიკანტური ფოტოსესიების დიდი მოყვარულია და თამამად პოზირებს ფოტოკამერების წინაშე შიშველი. ცნობილია, რომ ახლო მომავალში ლაისა აქტიური სპორტული კარიერის დასრულებას აპირებს და, სურს, ძალები მოდელობაში მოსინჯოს. ბრაზილიაში გამოცემულმა ჟურნალმა „გლამურმა“ უკვე გადაიღო ის გულახდილ ფოტოსესიაში, შემდეგ კი, რიგში, რა თქმა უნდა, „ფლეიბოია“, რომელთანაც ლაისამ უკვე გააფორმა წინასწარი შეთანხმება ცეცხლოვან ფოტოსესიაზე.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## რატომ არის აუცილებელი გაზაფხულზე ბოსტნეულის წვენების მიღება

გაზაფხულზე წვენების მიღება ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელია. ხილის წვენი წმენდს ორგანიზმს, გამოაქვს წიდები და შხამები, ავსებს აუცილებელი ნივთიერებებით, კერძოდ, ამინომჟავებით, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით, რომლებიც გაზაფხულის დადგომასთან ერთად აუცილებელია ჩვენი ჯანმრთელობისთვის.

ოღონდ, გაითვალისწინეთ, რომ ხილისა და ბოსტნეულის მხოლოდ ახალგამოწურული წვენია სასარგებლო. წვენი აუცილებლად უზმოზე დალიეთ – ამ დროს ის უფრო სწრაფად და აქტიურად მოქმედებს, რადგან მას უფრო სწრაფად და სრულყოფილად ითვისებს ორგანიზმი.

სტაფილოს წვენი აუმჯობესებს მხედველობას, კბილების სტრუქტურას, შეიცავს დიდი რაოდენობით A, B, C, D, E ვიტამინებს, მისი დალევა კარგია სისხლნაკლებობის დროს.

ვაშლის წვენი მდიდარია რკინით, რომელიც აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას და ააქტიურებს ორგანიზმის სასიცოცხლო ძალებს.

ჭარხლის წვენი ყველაზე სასარგებლოა სისხლის წითელი ბურთულების წარმოსაქმნელად და აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას, წმენდს ღვიძლს, თირკმელებს, ნაღვლის ბუშტს. ჭარხლის წვენი უნდა მიიღოთ დღის განმავლობაში მხოლოდ ნახევარი ჭიქა.

კიტრის წვენი კარგი შარდმდენი საშუალებაა. ის შეიცავს კალიუმის დიდ რაოდენობას, რის გამოც სასარგებლოა ჰიპერტონიის დროს. ასევე, აჩერებს თმის ცვენას და აუმჯობესებს მეხსიერებას.

კარტოფილის წვენი შველის კუჭის დაავადებებს. თუ ჭამის შემდეგ კუჭის არეში სიმძიმესა და ტკივილს გრძნობთ, დალიეთ უმი კარტოფილის წვენი და პრობლემა მოგეხსნებათ.

## ჰიპოვიტამინოზი არასწორი კვების შედეგია

ყველაზე ხშირად ჰიპოვიტამინოზს არასწორი კვება იწვევს. ბევრი სალათებს რაციონის დამატებად მიიჩნევს და არა ძირითად კერძად, ხილს კი მხოლოდ დესერტად მიირთმევს. არადა, სწორედ ეს პროდუქტები შეიცავს დიდი რაოდენობით ფოლის მჟავას, ბეტა-კაროტინსა და P ვიტამინს.

გადამეტებული კვება ზედმეტი კილოგრამების დაგროვებას იწვევს, რაც ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. ჭარბცხიმიანობა ხელს უწყობს გულის იშემიური დაავადების, ჰიპერტონიისა და სხვა სერიოზული ავადმყოფობების განვითარებას, მკაცრი დიეტები კი ორგანიზმის გამოფიტვას უწყობს ხელს.

ორგანიზმის თითოეულ ცოცხალ უჯრედში უამრავი ბიოქიმიური პროცესი მიმდინარეობს. იმისთვის, რომ ეს ბიოლოგიური პროცესი არ შეფერხდეს, გარკვეული დამაჩქარებლებია საჭირო. ასეთი კატალიზატორები კი ფერმენტებია, რომელთა „სამშენებლო მასალა“ ვიტამინებია.

ადამიანისთვის აუცილებელია A, $B_1$, $B_2$, $B_6$, $B_{12}$, C, D, E, K, PP ვიტამინები. ასევე, ფოლის მჟავა, პანტოტენის მჟავა და ბიოტინი. მაგალითად, ვიტამინი A პასუხს აგებს მხედველობაზე, D ვიტამინი ძვლების სიმკვრივისთვის არის აუცილებელი, E ვიტამინი ორსულობის ნორმალურ მიმდინარეობას უზრუნველყოფს, მისი უკმარისობა კი სისუსტესა და ანემიას იწვევს. K ვიტამინის ნაკლებობის დროს ოსტეოპოროზი იჩენს თავს, C ვიტამინი კი ორგანიზმში მოხვედრილ მავნე ბაქტერიებს ანადგურებს, ხელს უშლის ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნას და აუმჯობესებს ორგანიზმის მიერ რკინის შეთვისებას.

საკვები არა მხოლოდ ენერგიის, არამედ, ორგანიზმისთვის აუცილებელი უამრავი ნივთიერების წყაროა. ხილი და ბოსტნეული ნივთიერებათა ცვლისთვის საჭირო ყველა ვიტამინსა და მიკროელემენტს არ შეიცავს. მენიუში სალათების შეტანით ასკორბინსა და P ვიტამინის საჭირო რაოდენობას მიიღებთ. $B_2$ ვიტამინი მხოლოდ რძესა და მის პროდუქტებშია, A ვიტამინი კი – კარაქში. E ვიტამინს მცენარეული ზეთი შეიცავს. თითოეული მათგანი საკმაოდ კალორიული პროდუქტია. ამიტომ, საჭირო რაოდენობით ვიტამინები რომ მიიღოთ და წონაში არ მოიმატოთ, პოლივიტამინები უნდა დალიოთ, რაც, ჯანმრთელობის გაუმჯობესებასთან ერთად უსიამოვნო სიმპტომებისგანაც გაგათავისუფლებთ.

## ყავას ორგანიზმის დიაბეტისგან დაცვის ძლიერი ეფექტი აქვს

ბევრი ჩვენგანი გაუცნობიერებლად, დილას ფინჯანი ცხელი ყავის დალევით იწყებს. თუმცა, არ იციან, რომ ყავა შეიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან საკვებ ნივთიერებას, მაგალითად, კალციუმს, ასევე, პოტენციურად ბიოლოგიურად აქტიურ ასობით შენაერთს, როგორიცაა მაგალითად, პოლიფენოლები, რომლებსაც შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევებმა განსაზღვრა კავშირი ყავის მოხმარებასა და შაქრიანი დიაბეტისაგან დაცვის ეფექტს შორის. კვლევების დროს მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ყავა ამცირებს ქრონიკულ ანთებით პროცესებს უჯრედებსა და ქსოვილებში, ზრდის „კარგი“ ქოლესტერინის დონეს, დადებითად მოქმედებს შინაგანი ანთების მარკერებზე, მეტაბოლიტების კონცენტრაციაზე და ცვლის იმუნურ მედიატორებზე. ამ სასმლის ბიომარკერების პლაზმურმა დონეებმა, მათ შორის – კოფეინის, პარაქსანტინის, თეობრომინის, თეოფილინის, პროპიონისა და კოფეინის მჟავის დონეებმა, მნიშვნელოვნად მოიმატა იმ მოხალისეების სისხლში, რომლებიც ყოველდღიურად მოიხმარდნენ დაახლოებით 6 ფინჯან ყავას.

ასე რომ, ბოლოდროინდელი კვლევები ცხადყოფს, ყავას პოტენციურად აქვს ორგანიზმის დიაბეტისაგან დაცვის ძლიერი ეფექტი და, მთლიანობაში, ადამიანის ჯანმრთელობის გაძლიერების უნარი.

## რომელი პროდუქტის მიღებით შეინარჩუნებთ ასპროცენტიან მხედველობას

თუ მთელ დღეს კომპიუტერთან ზიხართ ან დიდხანს უყურებთ ტელევიზორს, საღამოს კი თვალები გაწუხებთ და გიჭრელდებათ, დაძაბულობის მოსახსნაში მარტივი კომპრესი დაგეხმარებათ: აიღეთ ბამბა, დაასველეთ ცხელ წყალში (შეგიძლიათ, ჩაის ნაყენიც გამოიყენოთ) და დახუჭულ თვალებზე დაიდეთ 20 წუთით. თუ ბამბა გაცივდა პროცედურის დასრულებამდე, ისევ დაასველეთ იმავე ტემპერატურის წყალში. შეგიძლიათ, მოსინჯოთ მეორე ხერხიც, კერძოდ: დაჯექით, მუხლებს დაეყრდენით იდაყვებით, ხელები კარგად დაიზილეთ, დახუჭეთ თვალები და ხელები ქუთუთოებზე დაიფარეთ რამდენიმე წუთით. სითბო და სიბნელე იდეალურია თვალის კუნთების მოსადუნებლად და დასასვენებლად.

მხედველობის შესანარჩუნებლად კარგია A ვიტამინი, რადგან მისი უკმარისობა იწვევს თვალის გადაღლას, აქვეითებს სიბნელეში ხედვას. დილაობით თვალების შეშუპება A ვიტამინის ნაკლებობაზე მეტყველებს.

A ვიტამინს შეიცავს ნარინჯისფერი ხილი და ბოსტნეული, კვერცხი, რძის პროდუქტები, ღვიძლი და თევზი.

B ჯგუფის ვიტამინის ნაკლებობა იწვევს თვალის სიმშრალესა და ადვილად გაღიზიანებას. ამ ვიტამინს შეიცავს სოკო, პარკოსნები, მარცვლეული, ბანანი, სტაფილო და მოცვი.

C ვიტამინით მდიდარია ციტრუსები, ასკილი, მოცხარი, ოხრახუში, კარტოფილი. ეს პროდუქტები თვალის კუნთების მოძრაობისთვის აუცილებელია.

E ვიტამინი კატარაქტისა და თვალის კუნთების დაბერების პროცესს ანელებს, რადგან მასში ბევრია ბეტა-კაროტინის ტიპის

ანტიოქსიდანტები. E ვიტამინით მდიდარია მზესუმზირა, პარკოსნები, ხორბალი და ზღვის პროდუქტები.

რაც შეეხება მხედველობის ეგრეთ წოდებულ მტერს, ესენია: სიგარეტი, ალკოჰოლი, მზის სხივები, უძილობა, ორგანიზმის გაუწყლოება.

კვერცხი ძალიან მცირე რაოდენობით ცხიმს შეიცავს. გარდა ამისა, მასში არის ლუტეინი, რაც აუცილებელია მხედველობისთვის.

## რომელი ბოსტნეულით შეივსებთ ორგანიზმში C ვიტამინის ნაკლებობას

ადამიანის ორგანიზმში C ვიტამინის, ანუ ასკორბინის მჟავას დეფიციტი ძალიან საშიშია. ის მნიშვნელოვანია როგორც ჯანმრთელობისთვის, ასევე, სიცოცხლის გასახანგრძლივებლად. მონაწილეობს შემაერთებელი ქსოვილების შექმნასა და გაჯანსაღებაში. ასკორბინის მჟავა ასრულებს ბევრ საჭირო ფუნქციას. მისი მონაწილეობის გარეშე არ მიმდინარეობს ორგანიზმში ჟანგვითი და აღდგენითი პროცესები.

C ვიტამინის ზეგავლენით იზრდება სისხლძარღვების ელასტიკურობა და სიმტკიცე. ეს ვიტამინი, A ვიტამინთან ერთად, იცავს ორგანიზმს ინფექციებისგან, აბრკოლებს ტოქსიკურ ნივთიერებებს სისხლში. მას ექვემდებარება გაციებით გამოწვეული დაავადებები. თუ ასკორბინის მჟავას გამოიყენებთ ადრეულ სტადიებში, ხველა და სურდო არ გადავა ქრონიკულ ფორმაში. დღეღამური დოზა კი დაახლოებით 40-50 მილიგრამია.

ორგანიზმში ბაქტერიების რაოდენობა აქვეითებს C ვიტამინის რაოდენობას. ერთი ღერი სიგარეტის მოწევისას კი, დაახლოებით 30 მილიგრამი იკარგება. რაც მეტ ცილას მოიხმართ, მით მეტი ასკორბინის მჟავა დაგჭირდებათ.

გაითვალისწინეთ, რომ ორგანიზმი არ აგროვებს C ვიტამინს, ამიტომ საჭიროა მისი რეგულარულად მიღება. ეს ვიტამინი არატოქსიკურია, ამიტომ მისი გადამეტებაც არ არის საშიში. მისი ზედმეტი რაოდენობა ადვილად გამოიდევნება ორგანიზმიდან. C ვიტამინის ძირითადი საკვები წყაროა: ციტრუსები, ასკილი, კომბოსტო, თალგამი, პომიდორი, მოცხარი, წითელი წიწაკა, ნიორი, ხახვი.

## რატომ არის საშიში ქოშინი და რომელი დაავადების მანიშნებელია ის

სუნთქვის გახშირება და ქოშინი მაშინ ვითარდება, როცა ორგანიზმი ცდილობს, სისხლში სასიცოცხლოდ აუცილებელი ჟანგბადის რაოდენობა შეინარჩუნოს. ქოშინის მიზეზი შესაძლოა, იყოს ჭარბი წონა, სისხლში ჰემოგლობინის დონის დაწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და ფილტვების დაავადებები. ქოშინი იშემიური დაავადებების, კერძოდ, სტენოკარდიის ან ინფარქტის თანმდევია და სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლილობის ან ფილტვების შეშუპების მანიშნებელია. თუ ქოშინი ადამიანს უეცრად დაეწყება, ეს ჯანმრთელობის სერიოზულ დარღვევაზე მეტყველებს და დროულად უნდა ჩაიტაროს გამოკვლევა. უცბად აღმოცენებული ქოშინი, შესაძლოა, ფილტვის არტერიის დახშობის ან მისი ქსოვილის დაზიანების შედეგიც იყოს.

ღამით განვითარებული ქოშინი გულის რიტმის დარღვევის, ჰაერის მწვავე უკმარისობის, კარდიალური ან ქრონიკული ასთმის შეტევას უკავშირდება. ასევე, ქოშინი მძაფრ და უეცარ ემოციასაც სდევს თან. თუმცა, ემოციის ჩაცხრომასთან ერთად, გახშირებული სუნთქვა და ქოშინიც ქრება.

ასევე, შესაძლოა, ქოშინი ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის ან შაქრიანი დიაბეტის დროსაც განვითარდეს და უკონტროლოდ მიღებულმა მედიკამენტებმაც გამოიწვიოს.

გადაღლით გამოწვეული ქოშინი კი იმდენად საშიში არ არის, როგორც სუნთქვის უეცარი გახშირება.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ 17 წლის ბიჭი. თვალების ქვეშ კანი მიშრება, ზოგჯერ ნახეთქებიც კი მაქვს. რა შეიძლება იყოს ეს და ვის მივმართო?**

**პასუხი:** კანის სიმშრალე და ნახეთქები შეიძლება იყოს სიცივეზე და ქარზე რეაქცია, ატოპიური დერმატიტის ან დასაბან საშუალებებზე ალერგოდერმატიტის გამოვლინება. დიაგნოზის დასაზუსტებლად და მკურნალობის შესარჩევად მიმართეთ დერმატოლოგს.

**კითხვა: პირის ღრუში მაქვს უსიამოვნო სუნი, ენაზე კი – მოყვითალო ნადები. კბილის ექიმმა და გასტროსკოპიამ დაადგინეს, რომ ყველაფერი წესრიგში მაქვს. კიდევ რა მიზეზი შეიძლება იწვევდეს ამ სიმპტომებს?**

**პასუხი:** გამოსაკვლევია ბაქტერია ჰელიკობაქტერ პილორის (Helikobaqter pylori) არსებობა თქვენს ორგანიზმში. ამ შემთხვევაში, შესაბამისი მკურნალობა უნდა ჩატარდეს. ასევე, არ არის გამორიცხული წვრილ ნაწლავში მიკროორგანიზმების ჭარბი ზრდის სინდრომი.

**კითხვა: რა შეიძლება იყოს ცხვირიდან სისხლდენის მიზეზი?**

**პასუხი:** ცხვირიდან სისხლდენას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მიზეზი: ცხვირის ტრავმა, არტერიული ჰიპერტენზია, ჰემორაგიული დიათეზი, მწვავე ინფექციური დაავადებები, სისხლის დაავადებები, სიმსივნეები.

**კითხვა: რა არის გოგირდის საცობი?**

**პასუხი:** გოგირდის საცობი წარმოიქმნება გარეთა სასმენ მილში არსებული გოგირდის ჯირკვლების გაძლიერებული სეკრეციის შედეგად და შედგება გოგირდისა და ჩამოფცქვნილი ეპითელიუმისგან. სასმენი მილის სრული გადაკეტვისას, ის იწვევს სმენის დაქვეითებას, დაგუბების შეგრძნებას, ყურებში ხმაურს.

**კითხვა: რა არის ფრონტიტი და როგორ ვუმკურნალოთ მას?**

**პასუხი:** ფრონტიტი არის შუბლის წიაღების ანთება. შეიძლება იყოს მწვავე ან ქრონიკული, კატარალური ან ჩირქოვანი. ყველა შემთხვევაში, სასურველია, სამკურნალოდ მიმართოთ ყელ-ყურ-ცხვირის სპეციალისტს. სინუსიტის ეს ფორმა (ჰაიმორიტზე ხშირად) იძლევა გართულებებს თვალებზე (ორბიტალური) და თავის ტვინზე (მენინგიტი, ტვინის აბსცესი). ეს ძალიან სერიოზული გართულებებია.

**კითხვა: მყავს 6 წლის შვილი. აქვს ჭიები. ვიცი, რომ სტაფილო ანტივირუსული და ძალიან სასარგებლო ბოსტნეულია. მინდა, რომ ყოველდღე მიიღოს უზმოზე წვენის სახით. შეიძლება თუ არა ყოველდღიურად და რა დოზით?**

**პასუხი:** სტაფილო ნამდვილად სასარგებლოა, მაგრამ ანტივირუსული თვისებების არ არის და არც პარაზიტული ჭიების დამარცხებაში დაგეხმარებათ. აუცილებელია, პირველ ყოვლისა, ჭიების საწინააღმდეგო მკურნალობა ჩაუტაროთ, რათა მისმა ორგანიზმმა საკვების გზით მიღებული სასარგებლო ნივთიერებების მაქსიმალურად ათვისება შეძლოს.

**კითხვა: თვალის ქუთუთოები ხშირად მისველდება, თითქოს მიცხიმიანდება, არ აქვს მნიშვნელობა მაკიაჟი მაქვს გაკეთებული თუ არა. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**პასუხი:** შესაძლოა, ეს ბლეფარიტის (ქუთუთოების ანთება) ან კონიუნქტივიტის გამო ხდება. გირჩევთ, მიმართოთ ოფთალმოლოგს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**



**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# რა კავშირშია ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ლაშა და გურამ შარაძეების მკვლელობასთან

*„ჩემს ცოლს ანდერძი დავუტოვე, თუ მომკლავენ, მკვლელს მადლობა გადაუხადეთ-მეთქი – ასე ჩემს შვილთან მისასვლელ გზას შემიმოკლებს. პასუხი იმას მოსთხოვეთ, ვინც ჩემი და ჩემი შვილის მოკვლა დაავალა, მაგრამ, სიკვდილით არც ის დასაჯოთ. მკვლელისთვის ყველაზე დიდი სასჯელი ის იქნება, ლაშა და გურამ შარაძეების სისხლით რომ ექნება ხელები შეღებილი!“*



*1998 წლის 17 ივნისი: საკუთარ სახლში მოკლულ იქნა ლაშა შარაძე. 2007 წლის 20 მაისი: თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე, მელიქიშვილის გამზირზე, მოკლულ იქნა გურამ შარაძე. 2009 წლის 30 ივნისი: მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა გიორგი შარაძე – ასეთია ცნობილი ლიტერატორის, აკადემიკოსის, მკვლევრისა და პოლიტიკოსის, გურამ შარაძის ცხოვრების ფურცლები, კაცის, რომელიც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ჩვენი და მომავალი თაობები წიგნიერი ყოფი-*



გურამ შარაძე სკოლის პედაგოგთან და მეგობრებთან ერთად

*ლიყო; გავფრთხილებოდით მას, რაც ჩვენთვის ყველაზე ფასეული იყო. გარდა ამისა, მათ, ვინც ბატონ გურამს ახლოდან არ იცნობდა, ვეტყვით, რომ იგი გახლდათ მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე, თბილი, ყურადღებიანი, კარგი მოსაუბრე, ნამდვილი ჯენტლმენი, კაცთმოყვარე, რბილი და დამყოლი ხასიათის ადამიანი. დღეს მის ტრაგიკულ ცხოვრებაზე გესაუბრებით.*



გურამ შარაძე დაიბადა 1940 წლის 17 ოქტომბერს, ოზურგეთში, სოფელ გურიანთაში. მისი წინაპარი ცნობილი ქართველი მამულიშვილი მაქსიმე შარაძე გახლავთ (მაქსიმე შარაძეს 1880-იან წლებში გამოცხადება ჰქონია – ილია ჭავჭავაძეს მსახურად უნდა დაუდგეო. ღვთის ნებას დაჰყოლია, სოფელ ეწრადან თბილისში ილია ჭავჭავაძესთან ფეხით ჩამოსულა და კარზე მსახურად დასდგომია, მოგვიანებით კი ილია ჭავჭავაძის სტამბის მეპატრონე და გაზეთ „ივერიის“ გამომცემელი გახდა. ილიას დროის „ივერიაზე“ მხოლოდ ორი გვარი აწერია: „რედაქტორი ილია ჭავჭავაძე, სტამბა და გამოცემა მაქსიმე შარაძისა“. მან, აგრეთვე, მიუნჰენიდან მუსიკალური ნოტების ცოდნა და ბეჭდვის კულტურა შემოიტანა). 1958 წელს გურამ შარაძემ ოქროს მედალზე დაამთავრა ოზურგეთის მესამე საშუალო სკოლა და ჟურნალისტიკის დიდი სიყვარულის მიუხედავად, დედის დაჟინებული თხოვნით, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა. მალე ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის ლაურეატიც გახდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა ახლად დაარსებულ რუსთაველის სახელობის კაბინეტში დაიწყო და რუსთველოლოგიის ბიბლიოთეკა შექმნა. შემდეგ სამუშაოდ რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში გადავიდა. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 1964 წელს დაქორწინდა სვეტლანა გახარიაზე. შეეძინათ სამი შვილი: ლაშა, გიორგი და რუსუდანი.

„შიში ყოველთვის ერთადერთის მქონდა – სიკვდილის. ჩვენს სახლთან ისე ვერ გაივლიდი, სასაფლაოები რომ არ გაგევლო და სულ ვფიქრობდი: დედა რომ მომიკვდეს რა მეშველება-მეთქი. მართლაც, დედა ადრე დავკარგე, შემდეგ – მამა, ძმა და, დედაჩემის გარდაცვალებიდან 30 წლისთავზე – ჩემი ლაშა. რომ მცოდნოდა, ლაშას რაც ემუქრებოდა, იმ ტყვიას პირველი მოვძებნიდი და თავად ვიხლიდი გულში. ლაშა რომ მოკლეს, იმ დღეს გავიგე ჩემი რძლის ფეხმძიმობის ამბავი. 1999 წლის 15 იანვარს ქვეყანას ლაშა ლაშას ძე შარაძე მოევლინა.

ჩემი შვილის, ლაშას დაბადებამდე ორი თვით ადრე, ჩემს მეუღლეს გამოეღვიძა და მეუბნება კაბენი არ დაგავიწყდესო. ვერ მივხვდი, რა კაბენზე მელაპარაკებოდა. თურმე, კაბენის ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთქვამს: შვილები რომ შეგეძინებათ, თამარის შვილების სახელები დაარქვითო. ჩვენს შვილებს ლაშა, გიორგი და რუსუდანი დავარქვით.



გურამ შარაძის მეუღლე

ლაშამ ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა. ბრწყინვალედ ფლობდა ფრანგულ ენას. სამედიცინოზე მისაღები გამოცდები სულ ხუთებზე ჩააბარა, შემდეგ გერმანიაში გაგზავნეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად. როდის მოასწრო გერმანული ენის სწავლა, არ ვიცი. ერთხელ ჩავაკითხე კიდეც გერმანიაში, მიუნჰენში იყო. მისით აღფრთოვანებულები იყვნენ პროფესორ-მასწავლებლები – თავისუფლად შეუძლია, დარჩეს, მისგან დიდი ქირურგი დადგებაო; მაგრამ, ლაშამ არ მოისურვა – ჩემისთანა ექიმების მეტი რა ჰყავთ, მე ჩემს ქვეყანას ახლა ვჭირდებიო და წამოვიდა. ერთი პერიოდი პარლამენტშიც მუშაობდა, ჯანდაცვის კომიტეტში, აპარატის დაკომპლექტება რომ დაიწყო. ხათუნა გოგორიშვილს ვუთხარი: ფრანგული და გერმანული იცის, ინგლისურს ვერ ჩააბარებს-მეთქი. საგანგებოდ მოიწვია ფრანგულენოვანი კომისია. მერე დერეფანში შემხვდა და მეუბნება: ბატონო გურამ, ეს რა ხუმრობა იყოო. გავოცდი. ვიფიქრე, გამოცდიდან თუ გაიპარა ჩემი შვილი, რაზე მეუბნება ამას, რა მოხდა-მეთქი. აკი მითხარით, ინგლისური არ იცის, ბრწყინვალედ ჩააბარა ინგლისურში გამოცდაო. გაოგნებული დავრჩი. ყველაფრით მაოცებდა. ლაშას ნათლია გახლავთ დევი ბეჭვაია. ქალიშვილი შეეძინა და წავედით სანახავად. ლაშა მაშინ 4 წლის იყო. მივედით. ბავშვი რაღაც ჭირვეულობს, ტირის, ვერ აჩერებენ. ლაშა მივიდა დევისთან და ეუბნება: დევი ნათლია, იცით,



ცოლ-შვილთან ერთად

რა? ნინოს გაზგამყვანი მილი უნდა გაუკეთოთ და გაჩერდებაო. მართლაც, ბავშვს გაუკეთეს თუ არა გაზგამყვანი მილი, ტირილი შეწყვიტა. 4 წლის ბავშვმა იცოდა, რა უნდა გაეკეთებინათ ბავშვისთვის. ლაშიკო ექიმი გახდა, ნინო ბეჭვაია კი – 4 წლის ლაშიკოს პირველი პაციენტი. ძალიან მორიდებული და მოწესრიგებული ბიჭი იყო. 27 წლის ასაკში დაოჯახდა. ორი ვაჟი დარჩა. პირველს თვითონ დაარქვა სახელი – გურამი, ჩემს პატივსაცემად. მის მეორე შვილს კი მე დავარქვი. ბედნიერი იყო, სიცოცხლე უყვარდა და დამნაშავედ ვგრძნობ თავს, რომ ვერ დავიცავი ჩემი ლაშას სიცოცხლე. საფრთხეს ვგრძნობდი და მზად ვიყავი დარტყმის მისაღებად, მაგრამ, არა შვილების, არა ჩემი ვაჟკაცის სიცოცხლის ხელყოფის ხარჯზე.

... ჩემი რძალი – ადა, შაბათ-კვირას დედამისთან მიდიოდა ხოლმე და მკვლელმა ეს კარგად იცოდა. ლაშა სამი დღის უძინარი იყო. ძალიან მძიმე ავადმყოფი ჩამოეყვანათ ზუგდიდიდან – 10 წლის ბავშვი და, სანამ არ გამოაკეთა, გვერდიდან არ მოშორებია, ფაქტობრივად, სიკვდილს გადაარჩინა. მინდა, ისიც აღვნიშნო, რომ ლაშა ისე მუშაობდა, ერთ თეთრსაც არ ართმევდა პაციენტს. სამი დღის შემდეგ, დაღლილ-დაქანცული წასულა სახლში. მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, ლაშა ვიღაც მაღალ კაცთან ერთად დაუნახავთ – მაღაზიაში ლუდის შესაძენად შემოვიდაო. ღამით ჩვენთან დაურეკავს, დედასთან უსაუბრია. საერთოდ, ყოველ დილა-საღამოს მირეკავდა, იმ დილით კი აღარ დარეკა. რომ დაღამ-



და და აღარ გამოჩნდა, ავფორიაქდით. მივედი მასთან სახლში. მანქანა იქ იდგა. ვაკაკუნე კარზე, მაგრამ, არავინ გამიღო. სასწრაფოდ წავედი რძალთან საბურთალოზე. მერე ჩემს მეუღლეს დავურეკე და წავედით ისევ მცხეთის ქუჩაზე. გასაღები იქვე ეკიდა ხოლმე და არ დაგვხვდა, გამქრალიყო. ჩემი მძღოლი აძვრა აივანზე და კარს მიაწვა.


როსტომ დოლიძესთან ერთად

კარს გარედან რკინის ხარიხები ჰქონდა, ჩვეულებისამებრ, ლაშა შიდა კარს ღიას ტოვებდა, ხარიხები კი ყოველთვის ჩაკეტილი ჰქონდა. აი, როდესაც ეს რკინის ხარიხები ხელის მიწოლისთანავე გაიღო, მივხვდი, რომ ლაშა მოკლული იყო (ამ კართან დაკავშირებით ადრე ასეთი ისტორია მოხდა: ზამთარში ლაშას „დვიჟოკი" მოჰპარეს. კი განვაცხადეთ პოლიციაში, მაგრამ, არავითარი შედეგი ამას არ მოჰყოლია – რა დროს „დვიჟოკიაო“). ჩემმა მძღოლმა დაიყვირა – ვაიმე, ლაშაო... ადგილზევე ჩავიკეცე. მოვიდნენ სამართალდამცველები – ქალაქის პროკურორის პირველი პირი, უშიშროების პირველი პირი, გენპროკურორი... არავინ აკლდა. კახა თარგამაძე რომ დავინახე, შევყვირე: კახა, მომიკლეს შვილი-მეთქი? არა, ბატონო გურამ, თქვენი შვილი ნასვამი ყოფილა და თავისსავე ნარწყევში დამხრჩვალაო. ბინაში არ შემიშვეს – უცხო პირთა შესვლა არ შეიძლებაო. რატომ ვიყავი უცხო პირი, ეს ვერ გავიგე. მერე ზემოთ, მეზობლის ბინაში ამიყვანეს. მოვიდნენ ჩემი მეგობრები და მეუბნებიან: შენი შვილი იქ არ არის, სამართალდამცველებმა წაიყვანეს მორგშიო. გადავირიე – ეს რა ხდება-მეთქი. მე ველოდები, როდის შემიშვებენ და, ამ დროს მიცვალებულს მეორე მხრიდან აპარებენ. მოვიკრიბე ძალები და გავიქეცი მორგში, მაგრამ, რომ მივედი, უკვე ყველაფერი მოემთავრებინათ... ლაშა სასახლეში ჩაწოლილიც არ მინახავს – მინდა, ის ჩემს მეხსიერებას ცოცხალი შემორჩეს. ვაცხადებ, რომ ჩემი შვილის მკვლელობა პოლიტიკური დაკვეთაა. სხვანაირად არ იქნებოდა. ის იმდენად კაცთმოყვარე, ჰუმანური, კეთილსინდისიერი ადამიანი იყო, შეუძლებელია, პირადი ინტერესების გამო მოეკლათ. ეს მკვლელობა თვითონ სამართალდამცველებმა გაასაიდუმლოეს. ლაშას მკვლელობის შემდეგ გავიგე, რომ, რამდენიმე თვით ადრე, 23 აპრილსაც ყოფილა თავდასხმის მცდელობა. თავდამსხმელი ალუმინის გასაშლელი კიბით, იმავე ოთახში, სადაც ჩემი შვილი მოკლეს, ამოცოცდა და ლაშას გვიან ღამით თავზე დაადგა. ლაშას უთქვამს, წაიღეთ რაც გნებავთ, ოღონდ, ცოლ-შვილი არ შემიშინოთო. მაშინ ეს ამბავი ჩემთვის არავის უთქვამს, მოგვიანებით ჩემი რძლისგან გავიგე, ისიც შემთხვევით. ახლა მე ვეკითხები „თვითმკვლელობის" ვერსიის გამომგონებელ-გამომძიებლებს: მკვლელი იმიტომ შეიპარა ლაშას სახლში და იმიტომ დაადგა ლაშას თავზე, რომ ჩემს შვილს თავი არ მოეკლა? ახლა კიდევ ამბობენ, რომ იარაღი ლაშასი იყოო. 23 აპრილს ლაშამ სახლიდან გააქცია ერთი თავდამსხმელი. ამის შემდეგ მან გააღვიძა მეუღლე და ღამის ფარნით დაათვალიერეს მთელი ბინა იმის შიშით, რომ სახლში კიდევ ვინმე ხომ არ არისო. ლაშას რომ იარაღი ჰქონოდა, ცოლს გააღვიძებდა და ფარნით დაუწყებდა მკვლელებსა და ბანდიტებს ძებნას? ტრაგედიამდე რამდენიმე თვით ადრე, თებერვალში, პრესკონფერენცია მოვაწყვე და ვთქვი: ჩემი პოლიტიკური მკვლელობის მოახლოებას ვგრძნობ-მეთქი. ერთ-ერთი ჟურნალისტი წამოდგა და მეკითხება: „რა, ბატონო გურამ, თქვენც გელანდებათ ტერაქტები?“ მე კი არ მელანდება, ამის საშიშროებას ძალიან კარგად ვგრძნობ-მეთქი. ჩემი სიმართლისათვის დამსაჯეს, მაგრამ, ვერ წარმომედგინა ასეთი სასჯელი – შვილს თუ მომიკლავდნენ.


გურამ შარაძე შვილებთან ერთად


ოჯახი

ალექსი ინაურმა 80-იან წლებში „კაგებეს" ერთ-ერთი ძველი თანამშრომელი, რომელიც ახლა მწერლობს და პატრიოტობს, გამომიგზავნა და მითხრა: ბატონო გურამ, დავალებული მაქვს, გადმოგცეთ ინაურის ბრძანება: ჩვენ ვხედავთ, რომ გურამ შარაძე ადგას ილიას მკვლელობის გამოძიების სწორ გზას (მაშინ კომუნისტური რეჟიმი მძვინვარებდა), ილიას მკვლელობა სოციალ-დემოკრატების ბოლშევიკური ფრთის ნამოქმედარია. ამიტომ, ვუბრძანებთ, დადოს კალამიო. ინაურმა ვერ მაიძულა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიებაზე ხელი ამელო და ესენი მაიძულებენ, ჩემი შვილის მკვლელობის ნამდვილ მიზეზებზე უარი ვთქვა?! ჩემი შვილის საფლავს არ შევარცხვენ და ლაშას ვერ დავაბრალებ, თავი მოიკლა-მეთქი."

**ეკა პატარაია**

(23-ე გვერდიდან)

# რომელ ისტორიულ შენობაში იყო განთავსებული სასულიერო სემინარია, სადაც იოსებ სტალინი სწავლობდა და რომელმა ჰოლივუდელმა კინორეჟისორმა დაამთავრა თბილისის ნერსესიანის სემინარია

გრანდიოზულად აღინიშნა. გალა-მიღებაზე სიტყვით გამოვიდა სახალხო კომისარი განათლების საკითხებში ლუნაჩარსკი და სემინარიის ღვაწლზე ისაუბრა. მაგრამ, ბედის ირონიით, რამდენიმე დღეში სემინარია ოფიციალურად დაიკეტა და გაუქმდა. ნერსესიანის სემინარიაში დაედო სათავე თბილისის სომხური თეატრის დაარსებას. სწორედ სემინარიაში შეხვდნენ ერთმანეთს ოვანეს თუმანიანი და პეტროს ადამიანი, რომლის სახელსაც ატარებს თბილისის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრი. სემინარის კიდევ ერთი ცნობილი კურსდამთავრებული იყო სახელოვანი კინორეჟისორი რუბენ მამულიანი, რომელმაც სახელი ჰოლივუდში გაითქვა. რუბენის მამა, ზახარ მამულიანი, თბილისში ცნობილი ბანკირი იყო. რუბენი სემინარის დასრულების შემდეგ ლონდონში და მოსკოვში სწავლობდა, რის შემდეგაც, 1919 წელს, თბილისში დაბრუნდა, თუმცა, მცირე ხნით და, ლონდონის გავლით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირდა. მამულიანის ფილმებში ბრწყინავდნენ მარლენ დიტრიჰი და გრეტა გარბო; მისი გადაღებულია ერთ-ერთი პირველი ფერადი ფილმი ჰოლივუდში – „ბეკი შარპი". საბჭოთა დროს სემინარიის შენობაში თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტი იყო განთავსებული, ხოლო ამჟამად ეს ისტორიული შენობა კავკასიის უნივერსიტეტის საკუთრებაშია.


თბილისის ობსერვატორია (1910-იანი წლები)


თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის თანამედროვე ხედი

## თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია

დავით ალმაშენებლის გამზირის №150-ში მდებარე თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის ძველი შენობა უნიკალურია თავისი დანიშნულებითა და ისტორიით. შენობა 1860-1861 წლებში, არქიტექტორ ლემკულის პროექტით გერმანელმა მეცნიერმა, ასტრონომმა არნოლდ მორიცმა ააშენა. ამ ობსერვატორიაში მსახურობდნენ იმ დროის ცნობილი ასტრონომები: გენერალ-მაიორი დიმიტრი ობლომიევსკი, გუსტავ რადე და ევგენი ბრიუსი. მოგვიანებით ობსერვატორიის შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ცნობილი არქიტექტორის, ლეოპოლდ ბილზელდის ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ 1899-1901 წლებში ობსერვატორიაში იოსებ სტალინი მუშაობდა დამკვირვებელ-გამომთვლელად. იმ პერიოდში სტალინი ობსერვატორიის მახლობლად მდებარე ფიცრულში ცხოვრობდა. პარალელურად, ობსერვატორია თბილისელი სოციალ-დემოკრატების კონსპირაციულ შტაბ-ბინად ითვლებოდა და აქ იკრიბებოდნენ სტალინთან ერთად ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე და ს. ჯიბლაძე. ისტორიული წარსულის მიუხედავად, ობსერვატორიის შენობა ამჟამად გაპარტახებულია და სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს.

**უშანგი რუხაძე**



**მეცნიერები, ეზოთერიკოსები და პარაფსიქოლოგები, ბოლო დროს, განსაკუთრებით დაინტერესდნენ იმ ფაქტების გამოკვლევით, როცა ადამიანი „დროებით“ იმქვეყნიურ სამყაროში ხვდება, შემდეგ ამქვეყნად ბრუნდება და ათასგვარ ისტორიებს ყვება. მოკლედ, ისინი სიკვდილის შემდგომ სიცოცხლის რწმენას სულ უფრო და უფრო ამტკიცებენ. დიდი ხანია, მსჯელობენ, იკვლევენ ფაქტებს, აკეთებენ ანალიზს, ესაუბრებიან „იმქვეყნად მყოფ“ ადამიანებს. მართალია, ჯერჯერობით მეცნიერულად დადასტურებული არ არის, მაგრამ, ახლაც უამრავია ისეთი, ვინც ამტკიცებს: კლინიკური სიკვდილი მქონდა, გვირაბი გავიარე და ბოლოში სინათლე დავინახეო. შეუძლებელია, ისინი ტყუოდნენ, რადგან, ბევრის ნათქვამი ემთხვევა ერთმანეთს. მოკლედ, საიქიოს არსებობაში დღეს ეჭვი აღარავის ეპარება. ფაქტები მოწმობს, კლინიკური სიკვდილი ადამიანებს ძირითადად ექსტრემალურ სიტუაციებში ემართებათ და, მათი თქმით, იმქვეყნად ბევრი რამ ნახეს – გარდაცვლილი ახლობლები, ნათესავები და, ბოლოს, რაღაც ძალამ ისინი ისევ ამქვეყნად მოაბრუნა. თუმცა ვერავინ ხსნის, რა არის სიკვდილისწინა გამოცდილება. ჩვენი რუბრიკის სტუმარი, ბატონი დავითი, სწორედ ის ადამიანია, რომელიც ათეისტურ გარემოცვაში გაიზარდა და მას ყოველთვის სჯეროდა, რომ იმქვეყნიური ცხოვრება არ არსებობდა, თუმცა დღეს ეჭვი აღარ ეპარება, რომ სიკვდილის შემდეგაც გრძელდება სიცოცხლე. ასევე, მისი მტკიცებით, არსებობს მექანიზმი, რომლის წყალობითაც ადამიანები საუკუნეების განმავლობაში ერთსა და იმავე მოვლენას ეჯახებიან.**

# რა არის სიკვდილისწინა გამოცდილება და რატომ ხვდებიან ადამიანები საიქიოში ექსტრემალურ სიტუაციებში

**დავითი**: კომუნისტურ რეჟიმში გავიზარდე და თავის დროზე საკმაოდ მაღალი თანამდებობაც მეჭირა. ვერ გეტყვით და ვერ მოგატყუებთ, საიქიოს არსებობის მჯეროდა-მეთქი, კლინიკურ სიკვდილსა და გვირაბის ბოლოს სინათლის ხილვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მოკლედ, არ მჯეროდა ამ მისტიკური, ამოუცნობი და შეუცნობელი ფენომენების და რა მექნა? მაგრამ, დღეს ზუსტად ვიცი ეს რა არის და რომ, საიქიოს ხილვა ეს ძილის ნაირსახეობაა, უფრო კონკრეტულად კი მისი ერთ-ერთი ფაზა, ეგრეთ წოდებული სწრაფი ძილის დარღვევა, რასაც თან ახლავს მთელი რიგი მოვლენები. ზოგადად, სანამ საკუთარ თავზე არ გამოსცდი, გიჭირს ადამიანს რაიმეს დაჯერება. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ისეთი რამ შემემთხვა, რამაც რადიკალურად შეცვალა ჩემი ცხოვრება და შეხედულებები.

**– ასეთი რა მოხდა, რომ მთლიანად შეიცვალეთ რწმენა და ირწმუნეთ საიქიოს არსებობის?**

– ერთ-ერთ რაიონში ვმუშაობდი, ჩემი ოჯახი კი თბილისში ცხოვრობდა. ამიტომ, ყოველ შაბათ-კვირას გზაზე ვიყავი გაკიდებული. ერთ დღეს ადრიანად გავიღვიძე, რომ რაიონში წავსულიყავი. ცოლმა მთხოვა, დღეს ნუ წახვალ, დარეკე მოადგილესთან და რამე მოიმიზეზეო. გადავირიე, რას ჰქვია, მოვიმიზეზო, სამსახურს ვერ გავაცდენ, თან, საპატიო მიზეზი ხომ უნდა მქონდეს-მეთქი. თურმე ჩემს ცოლს რაღაც ცუდი სიზმარი უნახავს. მომიყვა, სიზმარში ხორცი მომაწოდე, გატრიალდი და წახვედი, ბურუსში დაიკარგე, მე კი ვჭამდი და თან, ცრემლები მომდიოდაო. გამეცინა, როდის იყო სიზმრებს ვუჯერებდი-მეთქი. თუმცა, დილიდან ისეთი განცდა მქონდა, მანამდე რომ არ მიგრძნია. თითქოს ყველაფერს ვემშვიდობებოდი, ბავშვებს ვუთხარი, აბა, თქვენ იცით, არ შემარცხვინოთ, კარგად ისწავლეთ, დედას დაუჯერეთ და არ იცელქოთ-მეთქი. გაეცინათ – როდის იყო, ასე გვაფრთხილებდი, რა გჭირსო. ვისაუზმე, დავემშვიდობე ცოლ-შვილს და კიბე ჩავირბინე. სანამ მანქანასთან მივიდოდი, ვიგრძენი, ვერ ვიყავი კარგად. გული ამიჩქარდა და ცივმა ოფლმა დამასხა. შევჩერდი, დავფიქრდი ცოლის ნათქვამზე, მართლა რამე ხიფათი ხომ არ მელის გზაზე, ნეტავ, რატომ მთხოვდა დარჩენას, ან ეს გულის აჩქროლება რას უნდა ნიშნავდეს-მეთქი. მოკლედ, ჩავჯექი მანქანაში და გზას დავადექი. გზაში ვფორიაქობდი, თითქოს რაღაც არ მასვენებდა, თან საშინელი აზრებიც ამეკვიატა, გარდაცვლილი დედ-მამაც გამახსენდა. თან, ცოლზე ვბრაზობდი, სულ იმის ბრალია ყველაფერი, ასე როგორ ამაფორიაქა ერთი უბრალო სიზმრის გამო-მეთქი. ქარელის რაიონს რომ მივუახლოვდი, ჩემს უკან მომავალმა მანქანამ საშინელი სისწრაფით გამისწრო, საპირისპიროდ მომავალ, წინმხვედრ მანქანას გვერდი ველარ აუარა და დაამუხრუჭა. მეც სწრაფად დავამუხრუჭე, საჭე მარჯვნივ ავიღე, ვიფიქრე, არ დავარტყა-მეთქი და ამოვტრიალდი. ეს კი მახსოვს, მაგრამ ამის მერე, მთელი თვე კომაში ვიყავი. უბრალოდ, რომ ვთქვათ, კლინიკური სიკვდილი გადავიტანე.

**– ადამიანები ამბობენ, ექსტრემალურ სიტუაციაში, ცხოვრებამ კადრებივით ჩაიარა ჩემს თვალწინო. თქვენს შემთხვევაშიც ასე იყო?**

– დიახ, სწორედ ასე იყო. ახლა აღარ მეპარება ეჭვი, რომ კლინიკური სიკვდილი ნამდვილად შესაძლებელია და არც მაშინ ტყუიან ადამიანები, როცა ამბობენ, გვირაბი გავიარე და ბოლოში სინათლე ჩანდაო. როგორც ყველა იმქვეყნად დროებით მოხვედრილი ადამიანი ამბობს, მეც ენით აუწერელი სილამაზე ვნახე და სიმშვიდე, ნეტარება განვიცადე, არ მინდოდა აქეთ დაბრუნება. დედაჩემი შემეგება პირველად და სხვათა შორის, არ გახარებია ჩემი დანახვა. მითხრა, ვიცი, შენი დრო ჯერ არ დამდგარა და ჩემს სანახავად დროებით მოხვედიო. სხვათა შორის, რაც კლინიკური სიკვდილი მქონდა, ტკივილი არ მიგრძნია. გამოფხიზლებისას კი ისეთი ტკივილი ვიგრძენი, ვერ აგიწერთ. მთელი ერთი თვე ვიყავი კომაში. გამოფხიზლებულს კი, მეგონა, სულ რაღაც ხუთი წუთი იყო გასული.

**როცა ადამიანი კომაშია ტვინი გამუდმებით მუშაობს და ყველა იმ ინფორმაციას ინახავს, რაც იმ მდგომარეობაში ესმის. გამოფხიზლების დროს კი, ის ზედმიწევნით ახსენდება**

**– გამიგია, რომ ასეთ დროს ტვინი გამუდმებით მუშაობს და ყველა იმ ინფორმაციას ინახავს, რაც ადამიანს კომის მდგომარეობაში ესმის. გამოფხიზლებულს კი ზედმიწევნით ახსენდება ყველაფერი.**

– ტვინს ასი პროცენტით არასდროს სძინავს და არც ასი პროცენტით იღვიძებს. ყველაზე საინტერესო სწორედ მაშინ იწყება, როცა ძილი და სიფხიზლე ერთმანეთს ეჯახება. ამ თემით თავად დავინტერესდი და წლებია, ინფორმაციებს ვაგროვებ. მოკლედ, მეცნიერებმა გაშიფრეს საიქიოს მყოფ ადამიანთა ხილვები. მათი თქმით, გვირაბი ადამიანის ტვინში კეფის მხარეს ჩნდება. ამ დროს მხედველობის არე მკვეთრად ვიწროვდება და თვალის გუგა ბუდის ცენტრალურ ნაწილში ჩერდება. შედეგად იქმნება ილუზია, რომ ადამიანი გვირაბს ხედავს. მთელი ცხოვრება თვალწინ გაირბენს, გამოჩნდებიან გარდაცვლილი ნათესავებიც. ერთი სიტყვით, დროებით ხვდები იქ, სადაც ჯერ ადრეა მისვლა. ეს კი იმას მიანიშნებს, რომ ტვინში ის ნაწილები ამუშავდა, რომლებიც ხანგრძლივ მეხსიერებაზეა პასუხისმგებელი. ეს ნაწილი პირველი ჩაირთვება, როცა კრიზისი გაივლის. სული სხეულს რომ ტოვებს, ეს ფენომენიც შეიძლება აიხსნას. ასეთი რამ მაშინ ხდება, როცა გათიშვის პირას მყოფი ადამიანის ტვინში ქაოსურად აქტიურია ის ნაწილი, რომელიც მხედველობის, შეხებისა და წონასწორობის ორგანოებთანაა დაკავშირებული. შედეგად სიგნალები ირთვება ერთმანეთში, ანუ, ტვინი უგზავნის მხედველობის ორგანოს ინფორმაციას სივრცეში სხეულის მდგომარეობის შესახებ. ასე ჩნდება ცრუ სურათები, გამოფხიზლებისას კი ადამიანს ახსენდება: თითქოს საკუთარ თავს ზემოდან უყურებდა; თითქოს სიზმარში ნახა ის, რაც რეალურად გადახდა; ახსენდება ცხოვრებისეული, მნიშვნელოვანი მომენტები; თითქოს ტვინში ხან რაღაც ირთვებოდა, ხან ითიშებოდა და მერე ისევ თავიდან იწყებდა მუშაობას. აქედან მოდის ხილვებიც. ადამიანი ცხადსა და სიზმარს კარგად არჩევს ერთმანეთისგან და რომ მეუბნებიან, შენ იმქვეყნად კი არ იმოგზაურე, კლინიკური სიკვდილი კი არ გქონდა, არამედ, სიზმრებს ნახულობდი და ახლა ისინი გახსენდებაო, მწყინს. დამიჯერეთ, მე ის ადამიანი არ ვარ, მოვიტყუო – სიზმარი ხილვის ან რეალობისგან ვერ გავარჩიო. სხვათა შორის, ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა კლინიკური სიკვდილის შემთხვევები. ვერ გეტყვით, რა არის ამის მიზეზი. შესაძლოა, ადრე არ ახმაურებდნენ, დღეს კი თამამად ლაპარაკობენ ამაზე.

**ნონა დათეშიძე**

## ის წავიდა...

ამ შემთხვევაში სქესს მნიშვნელობა არ აქვს. ქალიც და კაციც ერთნაირად შეიძლება, აღმოჩნდეს მიტოვებული და იმედგაცრუებული. მოკლედ, ის წავიდა... ერთი შეხედვით, ეს თითქმის ტრაგედიაა. განშორება არასდროსაა დროული და ორმხრივი გადაწყვეტილების ლოგიკური შედეგი. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. რეალობა სხვაა და ამას მხოლოდ მოგვიანებით ვაცნობიერებთ.

უპირველესად, უნდა შევეგუოთ აზრს: გადაწყვეტილება მიღებულია. საბოლოოა და თქვენზე უკვე აღარაფერია დამოკიდებული. ალბათ, არც პირველი ხართ და არც უკანასკნელი, ვისაც ასე მოექცნენ. მას უკვე სხვა ჰყავს. ჰყავდა შენამდეც და ახლაც ჰყავს. იქნებ ეს კიდევ არ არის მისი საბოლოო არჩევანი, მაგრამ ეს თქვენ უკვე აღარ გეხებათ. შეეცდებით, მეტი გაიგოთ მის ახალ ურთიერთობებზე? – მხოლოდ საკუთარ თავს ავნებთ. არავითარ შემთხვევაში, არ დაიდანაშაულოთ საკუთარი თავი. ნუ „დაიგლეჯთ" ნერვებს და ნუ დაიზიანებთ ჯანმრთელობას. იგრძენით თავისუფლება. დაუბრუნდით საკუთარ „მეს"! თქვენი შინაგანი სამყარო გაცილებით მრავლისმომცველია, ვიდრე ერთი კონკრეტული ადამიანი. უთხარით საკუთარ თავს: ჩემო კარგო, შენ ახლა შეგიძლია, ყველაფერი გააკეთო, ყველაფერი, რაც მოგესურვება!

გაუფრთხილდით თავს მათთვის, ვისაც მართლა უყვარხართ და სჭირდებით. ან დაელოდეთ მომენტს, როცა შეგიყვარებენ. გჯეროდეთ, ეს აუცილებლად მოხდება.

## არჩევნის პრობლემა

არჩევნის პრობლემა ბევრისთვის კარგად ნაცნობი თემაა, თანაც, ყოველთვის არის პატარა ტრაგედია: ირჩევ ერთს და ავტომატურად ამბობ უარს უამრავ დანარჩენზე. კარგად რომ დაფიქრდე, შეიძლება, საერთოდ აღარც გააკეთო ეს არჩევანი და მუდმივად იყო ძიებაში. მაგრამ, როგორ წარმოგიდგენიათ ეს ქალბატონების შემთხვევაში, თანაც, ჩვენს კონკრეტულ საზოგადოებაში?! ვერაფრით გაამართლებ ორმაგ და სამმაგ ურთიერთობას, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო მეტ სავარაუდო პარტნიორზე. ახლა, რაც შეეხება თავად არჩევნის კრიტერიუმებს. ხშირ შემთხვევაში, რამდენი ხანიც არ უნდა აკვირდებოდე კანდიდატებს, დიდი შანსია იმისა, რომ ვერც ერთი მათგანი წესიერად ვერ გაიცნო. რაშია გამოსავალი, – ანუ, როგორ გავაკეთოთ არჩევანი? ღირს კი, საერთოდ, იფიქრო? იქნებ ჯობდეს, გადაწყვეტილება სპონტანურად მიიღო?! პასუხი მარტივად გასაცემი ნამდვილად არ არის. ქალი, რომელიც ერთდროულად ორ მამაკაცთან ურთიერთობაზე მიდის, რათა ყოველთვის ჰქონდეს ალტერნატივა, თუკი რამე გაუთვალისწინებელი მოხდება, რისკავს, ვერც ერთი ვერ გაიცნოს ბოლომდე. რეალურად, ეს აუცილებლად ასე მოხდება. შეუძლებელია, ორ ფრონტზე ერთნაირი, დაბალანსებული ძალით იბრძოლო. ვერც ერთის მიმართ ვერ გამოიჩენ სრულ ძალისხმევას და, ბუნებრივია, ვერც ერთთან ურთიერთობა ვერ მოგგვრის სრულფასოვან კმაყოფილებას. გამორიცხული არ არის, ქალმა მარტოსულად იგრძნოს თავი. რატომ უნდა განვალდე, როცა შეიძლება, ერთთან დახარჯო შენი გრძნობები და ემოციები, გაიხსნა ბოლომდე და იპოვო შენი ბედნიერება?!

## მხოლოდ სიამოვნება

იცით, რომ არსებობს სპეციალურად დაწესებული დღე, როცა უნდა ჭამო ის, რისი ჭამის სურვილიც გაქვთ და უარი თქვა დიეტაზე?! 1992 წელს ამიტომაც დააწესეს დიეტაზე უარის თქმის საერთაშორისო დღე. ინიციატორი იყო ვინმე მერი ევანს იანგი, რომელიც ანარექსიის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციას ჩაუდგა სათავეში. ეს დღე 6 მაისს აღინიშნება მთელ მსოფლიოში. მერი იანგი დარწმუნებული იყო, რომ მუდმივად დიეტაზე მყოფი ადამიანები ვერ იღებენ სიამოვნებას ცხოვრებისგან. რა მნიშვნელობა აქვს, მსუქანი ხარ თუ გამხდარი, მთავარია, ფორტუნამ გაგიღიმოს და შენს ცხოვრებაში ყოველდღე დღესასწაული იქნება. ამიტომ, ძალიან ნუ გაიწვალებთ თავს დიეტებით – ისინი თქვენ აგრესიულ და დეპრესიულ არსებებად გაქცევენ. მთელი ცხოვრება იწვალებთ და ვერასოდეს მიიღებთ ცხოვრებისგან სიამოვნებას. კილოგრამები, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, არეგულიროთ, მაგრამ, თქვენი წონა სერიოზულ კომპლექსად თუ გადაგექცათ, გაწამდებით. სწორად შერჩეული სტილი, მორგებული სამოსი აუცილებლად დაგიფარავთ კონკრეტულ ნაკლოვანებებს. ყურადღებას ნუ მიაქცევთ იმ ადამიანებს, რომლებიც მათზე მიგითითებენ. გაუღიმეთ სამყაროს და ადამიანებს. ფსიქოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ღიმილი, თუნდაც ნაძალადევი და ხელოვნური, გვეხმარება, ფიქრები პოზიტიურ ტალღაზე გადავაწყოთ. ნუ იქნებით ისეთი, როგორიც ყველაა.

ბოლოს და ბოლოს, ეს ვერც ბედნიერებას მოგიტანთ. თუ თქვენთვის ჭამა სიამოვნებაა, მიირთვით, რადგან, სიამოვნებას მოაქვს სიხარული, სიხარულს კი – ბედნიერება.

## როცა გიყვარს...

შეყვარებულები დიდხანს ცოცხლობენ, ანუ სიყვარულის ნიჭი სიცოცხლეს ახანგრძლივებს – ფსიქოლოგებისთვის ეს უკვე ფაქტია, მაგრამ, სჯერათ თუ არა ამის ადამიანებს? მივყვეთ სიღრმისეულად: როცა შეყვარებული ხარ, ბუნებრივია, ხარ ბედნიერიც, რადგან, სიხარულის განცდა ბადებს ბედნიერებას – ამაში უჩვეულო არაფერია. ბედნიერ ადამიანებს გაცილებით ძლიერი იმუნიტეტიც აქვთ, რაც მათ დაავადებებისგან იცავთ და შესაბამისად, დიდხანსაც ცოცხლობენ.

ადამიანს სჭირდება საკვები. ჩვენი ცხოვრების წესსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, ამ ყველაფერზე მნიშვნელოვანი ჩვენი ემოციური მდგომარეობაა. თუ მუდმივად ხართ ცუდ გუნებაზე, თუ სული დამძიმებული გაქვთ და გათენება არ გიხარიათ, ეს ყველაფერი თქვენს ორგანიზმს ნელ-ნელა, ყველა ვირუსზე უკეთ დაანგრევს.

როცა ადამიანი თავისი ბედით კმაყოფილია და ცხოვრება უხარია, მით უმეტეს, თუ არ არის მარტოსული, აქვს იმის განცდა, რომ სახლში შეყვარებული ელოდება, რომელიც მისთვის ცხოვრობს და მასზე ზრუნავს, ვერანაირი ავადმყოფობა ვერ მოერევა. პრობლემები ყოველთვის უარყოფითი ემოციებისგან ჩნდება.

***P. S. მუსიკა ყველაზე უფრო დადებითად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. ცნობილია, რომ სასიამოვნო ჰანგები მცენარეების ზრდასაც კი უწყობს ხელს. ყველაზე სასიამოვნო და სრულყოფილი მელოდია კი, რაც კაცობრიობას შეუქმნია – სიყვარულია!***



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# ვისთან დაწვებოდა „ცისფერობის" შემთხვევაში ბენ აფლეკი და რომელი ოსკაროსანი ფილმის სცენარი გაყიდა მან მეთ დეიმონთან ერთად 600 დოლარად

*ბენ აფლეკი ახლა უკვე „ოსკარის" ორგზის მფლობელია. მისმა ფილმმა – „არგომ," 2013 წლის „ოსკარების დაჯილდოებაზე მთავარი ჯილდო „წლის საუკეთესო ფილმისთვის" დაწესებული ოქროს ქანდაკება მიიღო. პირველი „ოსკარი" კი აფლეკს შორეულ 1997 წელს ფილმისთვის „ინტელექტუალი უილ ჰანტინგი" – გადასცეს „საუკეთესო სცენარის" ნომინაციაში. აფლეკი ამჟამად ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ რეჟისორად ითვლება ჰოლივუდში, რომელსაც კლინტ ისტვუდის მომავალს უწინასწარმეტყველებენ.*



* ბენ აფლეკი დაიბადა 1972 წელს, კალიფორნიაში, ბერკლიში. დედა – კრისტინ აფლეკი, სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა; მამას – ტიმოტი აფლეკს კი უამრავი პროფესია ჰქონდა გამოცვლილი: შვეიცარი, კონსულტანტი აფთიაქში, ავტომექანიკოსი, ბარმენი, მწერალი, რეჟისორი და ბოსტონის ერთ-ერთი თეატრის მსახიობი. 1960-იან წლებში ბენის დედა უფლებადამცველთა ამერიკული ორგანიზაციის – „თავისუფლების მხედრის" წევრი იყო. ბენის უმცროსი ძმა – კეისი აფლეკი, ასევე, მსახიობია. აფლეკს ინგლისური, ირლანდიური, შოტლანდიური და გერმანული ფესვები აქვს, მისი გვარი შოტლანდიაშია გავრცელებული.

* ბენის მშობლები 1984 წელს დაშორდნენ, იმ პერიოდისთვის ოჯახი მასაჩუსეტსის შტატში ცხოვრობდა. 8 წლის ასაკში ბენმა 10 წლის მეთ დეიმონი გაიცნო, რომელიც მისი სახლიდან ორი კორპუსის მოშორებით ცხოვრობდა. ბავშვები დამეგობრდნენ. ბენი და მეთი ერთ სკოლაში სწავლობდნენ, თუმცა, სხვადასხვა კლასებში.

* ბავშვობაში ბენს ძალიან უნდოდა, რომ ჰყოლოდა ძაღლი და დედას ლეკვის ყიდვას სთხოვდა. დედამ მას პირობა მისცა, რომ, თუკი ბენი მოახერხებდა ერთი კვირის განმავლობაში არარსებული ძაღლის გასეირნებას დღეში სამჯერ, ის მიიღებდა ლეკვს, თუმცა ბენმა მხოლოდ ხუთი დღე გაძლო. ყველაზე მეტად მას ძაღლის გასასეირნებლად დილით ადრე გაღვიძება არ მოსწონდა.

* სკოლის დამთავრების შემდეგ ბენი ვერმონტის უნივერსიტეტში მოეწყო, თუმცა, პირველივე სემესტრიდან წამოვიდა იქიდან და ჰოლივუდში გაემგზავრა.

* 7 წლის ასაკში ბენ აფლეკმა ეპიზოდური როლი შეასრულა სერიალში „მიმის თავგადასავალი", ხოლო 14 წლის ასაკში ის ტელეფილმში გადაიღეს.

* დიდ ეკრანზე ბენ აფლეკის დებიუტი 1992 წელს შედგა ფილმით – „სკოლის კავშირი", სადაც მან თავის მეგობარ მეთ დეიმონთან ერთად მიიღო როლი.

* ბენ აფლეკის პირველ სარეჟისორო ნამუშევარს – მოკლემეტრაჟიან ფილმს, უცნაური და გრძელი სახელწოდება აქვს: „მე მოვკალი ლესბოსელი მეუღლე, დავკიდე ხორცის კაუჭზე და ახლა კონტრაქტი მაქვს „დისნეისთან" სამ ფილმზე".

* 1999 წელს ბენ აფლეკი საპატრულო ეკიპაჟმა 135 დოლარით დააჯარიმა ვადაგასული მართვის მოწმობის გამო.

* ბენ აფლეკს ხუთი მოტოციკლი ჰყავს.

* 2001 წელს მსახიობმა აღიარა, რომ პრობლემები ჰქონდა ალკოჰოლთან დაკავშირებით და მცირე ხანი სპეციალიზებულ კლინიკაში გაატარა, სადაც ალკოჰოლიზმს მკურნალობდა. გავრცელებული ვერსიის თანახმად, კლინიკაში სამკურნალოდ ბენ აფლეკი ჩარლი შინმა მიიყვანა.

* 2002 წელს ჟურნალმა „ფიფლმა" ბენ აფლეკი თანამედროვეობის ყველაზე სექსუალურ მამაკაცად დაასახელა.

* ბავშვობაში ბენ აფლეკის საყვარელი კომიქსების გმირი იყო „თავზეხელაღებული". 2003 წელს ამავე სახელწოდების ფილმში მან თავისი ბავშვობის კერპი განასახიერა.



* ბენ აფლეკი კალათბურთის დიდი ქომაგია და მხოლოდ ერთ კლუბს – „ბოსტონ სელტიქსს" გულშემატკივრობს.

* აფლეკი ესპანურ და ფრანგულ ენებს ფლობს, ასევე, ლექსიკონის დახმარებით, ის არაბულად წერს და კითხულობს.

* 2004 წელს ბენ აფლეკმა კალიფორნიის ჩემპიონატში გაიმარჯვა პოკერში – მან 356 ათასი დოლარი მოიგო და ამერიკის საუკეთესო მოთამაშეები დაამარცხა პოკერში.

* ჯენიფერ ლოპესთან რომანის დროს, ბენ აფლეკს არ უყვარდა, როცა მათ წყვილს „ბენიფერს" უწოდებდნენ.

* 2007 წლიდან ბენ აფლეკი პერიოდულად ჩადის კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და საზოგადოებისგან მეტი ყურადღების მიქცევას ითხოვს შავ ჭირთან ბრძოლის საკითხებში.

* ბენ აფლეკმა მეთ დეიმონთან ერთად დაწერა „ინტელექტუალი უილ ჰანტინგის" სცენარი, რომელიც შემდგომში 600 დოლარად გაყიდეს. მოგვიანებით ბენმა და მეთმა ამ სცენარის მიხედვით გას ვან სენტის მიერ გადაღებულ ფილმში მთავარი როლები შეასრულეს და „ოსკარები" მიიღეს საუკეთესო სცენარისთვის დაწესებულ ნომინაციაში.

* თავის საყვარელ მსახიობად ბენ აფლეკი ჰარისონ ფორდს ასახელებს. მისი თქმით, თუკი ოდესმე ჰარისონი რეჟისორობაში სცდის ბედს, ბენი ჰონორარის გარეშე დასთანხმდება მის ფილმში ნებისმიერი როლის შესრულებაზე.

* ბენ აფლეკის თქმით, „ცისფერი" რომ ყოფილიყო, აუცილებლად დაწვებოდა კევინ სპეისისთან და ლეონარდო დიკაპრიოსთან, ოღონდ, თუკი ლეონარდოს იგივე ვარცხნილობა ექნებოდა, რომელიც „ადამიანი რკინის ნიღაბში" ჰქონდა.

* „თუკი ოდესმე გავიღვიძებ იაფფასიან სასტუმროში მკვდარ მეძავთან ერთად ლოგინში, მეთ დეიმონი იქნება პირველი ვისაც დავურეკავ," – აცხადებს ბენ აფლეკი.

* ბენ აფლეკი ცნობილი მექალთანეა. სხვადასხვა დროს ის გვინეტ პელტროუს, ლივ ტაილერს, შარლიზ ტერონს, სანდრა ბალოკსა და ჯენიფერ ლოპესს ხვდებოდა. ლოპესმა მას სიმღერაც კი მიუძღვნა.

* მომავალი მეუღლე – ჯენიფერ გარნერი, ბენ აფლეკმა 2001 წელს, „პერლ ჰარბორის" გადასაღებ მოედანზე გაიცნო. წყვილი 2005 წელს დაქორწინდა და სამი შვილი ჰყავთ: ვიოლეტი, სერაფინ-როუზი და სემუელი.

* პირველი შვილის დაბადების შემდეგ ბენ აფლეკმა სიგარეტის მოწევას დაანება თავი.

* ბენ აფლეკის სიმაღლე 192 სანტიმეტრია.

* ბენ აფლეკი აზარტული თამაშების დიდი მოყვარული და ლას-ვეგასის სამორინეების ხშირი სტუმარია.

* 25 წლის ასაკში ბენ აფლეკი გახდა ყველაზე ახალგაზრდა სცენარისტი ისტორიაში, რომელმაც „ოსკარი" მიიღო ნომინაციაში – „საუკეთესო ორიგინალური სცენარი."

* „ლორეალის" შამპუნის რეკლამირებაში 2003 წელს ბენ აფლეკმა ჰონორარის სახით 1,5 მილიონი დოლარი მიიღო.

* 2004 წელს ბენ აფლეკი დემოკრატი ჯონ კერის საპრეზიდენტო კამპანიის მხარდამჭერი იყო. აფლეკი ჯორჯ ბუშის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე ღია კრიტიკოსი იყო ჰოლივუდის მსახიობებს შორის.

* ბენ აფლეკი მსახიობ რობერტ ენგლუნდისა და მისი გმირის – ფრედი კრიუგერის დიდი თაყვანისმცემელია.

* თავის პირველ ფილმში ბენ აფლეკმა ჰონორარის სახით 30 ათასი დოლარი მიიღო.

* ბენ აფლეკს რამდენჯერმე აქვს მიღებული ყველაზე ცუდი მსახიობისთვის დაწესებული ჯილდო – „ოქროს ჟოლო".

**უშანგი რუხაძე**

**გიორგი ყიფშიძის** სამსახიობო არქივში არაერთი როლი ფიქსირდება. მაყურებელს ნანახი აქვს მისი მონაწილეობით სხვადასხვა სპექტაკლი, ფილმები და სერიალები. ბოლო დროს ჩვენი რესპონდენტი გამოჩნდა სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები.” ვერსკიმ მაყურებლების ყურადღება გამოჩენისთანავე მიიპყრო და ბევრი გულშემატკივარიც გაიჩინა. ჩვენი შეხვედრა პავილიონში, ერთ-ერთი სერიის გადაღებამდე შედგა. რას ფიქრობს თავის გმირზე, როგორ მოირგო მისი იმიჯი და რით არის სერიალს მიღმა დაკავებული, ამას გიორგის ინტერვიუდან შეიტყობთ.

# როგორ გახდა გიორგი ყიფშიძე ვერელი ძველი ბიჭი და რატომ არის მის თავს სულ ცვალებადი მოღრუბლულობა

**– ძალიან ბევრი გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი გყავს. იყო სერიალი „ცხელი ძაღლი,” ასევე, სხვა ფილმები. წლების განმავლობაში გაიზარდე, კარგ არტისტად ჩამოყალიბდი და თითქოს სრულიად სხვანაირი გიორგი ყიფშიძე გამოჩნდი სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები.” ეს ყველაფერი კი მაყურებელს ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია.**

– შემომთავაზეს ვერსკის როლი. ერთ-ერთ სერიაში კატომ თინას უთხრა ჩემს გმირზე, ვერსკი ადრე მორფინისტი იყო, ახლა გამოსწორდა და რაღაცეები ისწავლაო. ვერსკი და მისი მეგობრები იმ თაობის წარმომადგენლები არიან, რომლებმაც ისეთი ცხოვრება გაიარეს, სადაც არავინ იყო დაზღვეული და უცოდველი. გადარჩენის ინსტინქტი ადამიანს აიძულებდა, რაღაცნაირად მოქცეულიყო. ბოროტი ხალხი კი არ არის, უბრალოდ, ის დროგამოვლილი ტიპები არიან, რომლებსაც რაღაც ჩვევები გამოჰყვათ და მათნაირ ტიპებს დღესდღეობით „ნაძველბიჭარს“, „ძველ ბიჭს“ და ასე შემდეგ ეძახიან. 90-იან წლებში ძალიან ბევრი ადამიანი ამ გზით მიდიოდა, ზოგი უცხოეთში გაიქცა, ზოგი დაიხოცა, ზოგი კი სახლში იყო და კანკალებდა, რადგან, იძულებულები იყვნენ, ასე მორგებოდნენ იმ რეალობას, რაც იმ დროს იყო. ვერსკის რაც შეეხება, შედარებით უფრო „პრადვინუტი” ტიპია, ამიტომაც არის ახლა კომფორტში და გარკვეულ ფენასთან სტატუსი უჭირავს, რაც მე, გიორგი ყიფშიძეს, ჯერჯერობით არ გამაჩნია – არც ფული და არც სხვა. რაღა დაგიმალოთ და, ცოტა მსიამოვნებს ამ ტყავში ყოფნა რაღაც პერიოდი.

**– რით ჰგავხართ ერთმანეთს?**

– მგონი, ვერსკი ბოროტი არ არის, ისევე, როგორც მე. მართალია, არც უკან დამხევი ტიპია, ისევე როგორც სანდრექსა, ვეკო, დიტო. თავის დროზე, შეიძლება, ბევრი ცუდი აქვთ გაკეთებული, მაგრამ, ბოროტები ნამდვილად არ არიან.

**– „ჩემი ცოლის დაქალების” პარალელურად, შენი მონაწილეობით სხვა არხზე სერიალი „ცხელი ძაღლი” გადის, რომელსაც მაყურებელი დიდი ინტერესით ელოდა, რადგან, მეოთხე სეზონი წლების განმავლობაში აკრძალული იყო.**

– რატომღაც, აკრძალეს, თუმცა, ინტერნეტში რამდენიმე საიტზე იდო. ვინც ეს აკრძალა, იმან დათვური სამსახური გაუწია საკუთარ თავს, რადგან, რომ არ აკრძალულიყო, ალბათ, ასეთი რეზონანსი არ ექნებოდა. რაღაცას რომ კრძალავ, ესე იგი, ხაზს უსვამ, რომ რეალობასთან ახლოს არის და მერე უკვე ყველას აინტერესებს. შენ გგონია, მახსოვს შინაარსი? შვიდი წლის წინ გადავიღეთ.

**– სერიალის პარალელურად კიდევ რით ხარ დაკავებული?**

– თუმანიშვილის თეატრში ორ პიესაზე ვმუშაობთ. ერთს გოგა პიპინაშვილი აკეთებს შვარცის „დრაკონს,” ხოლო მეორეს – ჩვენი თეატრის მსახიობი, რეჟისორი და დირექტორი ზურა გეწაძე დგამს, სლავომირ მროჟეკის „პოლიციელს.” „დრაკონზე“ დილის 12 საათიდან ვიწყებთ მუშაობას, ხოლო მროჟეკზე – 4 საათიდან, საღამოს კი გადაღებაზე მოვდივარ. 29-ში ანკარაში მივდივართ ფესტივალზე – რუსიკო ბოლქვაძის დადგმული სპექტაკლი – „ზვავი” მიგვაქვს.

**– ძალიან ბევრი ჟურნალისტი გყავს განაწყენებული, რადგან, დათქმული შეხვედრა ხშირ შემთხვევაში არ დგება შენ გამო. უხეშად რომ ვთქვათ, „გადამგდების” სახელი გაქვს. ეს უნებურად ხდება თუ გააზრებულად?**

– ჩემდა უნებურადაც ხდება, თუმცა, ხანდახან, რომ მეუბნებიან, მოდი, რამე დავწეროთო, რატომ უნდა მივცე ინტერვიუ, არ ვიცი. რამე რაზე დავწეროთ? ბავშვობა იგივე მაქვს, არ შემცვლია, მილიონჯერ მაქვს მოყოლილი. რამე ახალი რომ კეთდებოდეს, პიესის ან ფილმის შესახებ რომ იყოს ინტერვიუ, გასაგებია, მაგრამ, ის, რომ უბრალოდ ხალხს თავი შევახსენო, ასეთი ინტერვიუები არ მინდა და ნერვები მეშლება. ხანდახან იმ მომენტში, როცა მირეკავენ, შეიძლება, კარგ ხასიათზე ვიყო და ავტომატურად ვთანხმდები, მაგრამ, მსახიობების თავს ხომ სულ ცვალებადი მოღრუბლულობაა, მეც, ცუდ ხასიათზე ვდგები და მერე აღარ შემიძლია ჟურნალისტებთან ურთიერთობა. ფულს ამაში არ მიხდიან, რატომ უნდა დავიგლიჯო ისედაც დაგლეჯილი ნერვები? ყოველ ინტერვიუში 100 ლარს რომ მაძლევდნენ, დედას გეფიცები, თუ ვინმე გადავაგდო.

**– ისღა დამრჩენია, მადლობა გითხრა, რომ ჩვენი ინტერვიუ შედგა და მეც სხვებივით იმედგაცრუებული არ დამტოვე.**

– თავი დავიზღვიე და გადაღებაზე ამიტომაც დაგიბარე – გადაღებას ხომ ვერ „გადავაგდებდი“?

**– ის ფაქტი, რომ ძალიან ბევრი ადამიანი გცნობს და ბევრს უყვარხარ, ალბათ, სასიამოვნოა შენთვის. როგორი ურთიერთობა გაქვს შენს გულშემატკივართან?**

– რა თქმა უნდა, სასიამოვნოა ხალხის ყურადღება, თუმცა, ზოგჯერ შემაწუხებელიც. საერთო ჯამში, მადლობის მეტი რა მეთქმის ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვისაც ვუყვარვარ და ჩემი გულშემატკივარია. სიტყვაზე, ტაქსის მძღოლი რომ მეუბნება, შენ ფულს როგორ გამოგართმევო, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა. რა დიდ ფულს მე ვაკეთებ, ეს ყველაფერი რომ მეკიდოს. საერთოდ, კაპიკს ვერ ვაკეთებ, ჯიხურში მაქვს ვალი. ნეტა შანსი მქონდეს და შემეძლოს, ვინმეს დავეხმარო. ვიღაცეები მწერენ ხოლმე, მაგალითად, შვილი მყავს ხეიბარი, პრობლემები აქვს და, შეგიძლიათ 35 000 ევრო გადმომირიცხოთო? წარმოგიდგენია? იმ ადამიანს ჰგონია იმდენი ფული მაქვს, რომ, შემიძლია, მას 35 000 ევრო გადავურიცხო. რა 35 000 ევრო, რას ლაპარაკობ, ნეტა ვინმემ მე გადმომირიცხოს.



**თუ არაფერი ხდება და მოვლენები არ ვითარდება, შეიძლება, „ზაპოი” დამეწყოს, ცუდ ხასიათზე ვიყო, სახლში ჩავჯდე, ფილმების ყურება დავიწყო და ერთი კვირა საერთოდ არ გამოვიდე გარეთ**

**– ისე, მხარჯველი ხარ?**

– უაზროდ, ცუდად ხელგაშლილი ადამიანი ვარ. ხელფასს რომ ავიღებ, თითქოს ჯიბიდან თავისით მიხტება ფული და სახლამდე კაპიკი ვერ მიმაქვს.

**– როგორია შენი ცხოვრების სტილი?**

– აქტიური. თუ გაჩერებული ვარ, არაფერი არ ხდება და მოვლენები არ ვითარდება, შეიძლება, „ზაპოი” დამეწყოს; შეიძლება, ცუდ ხასიათზე ვიყო, სახლში ჩავჯდე, ფილმების ყურება დავიწყო და ერთი კვირა საერთოდ არ გამოვიდე გარეთ. როცა საქმე მაქვს, დინამიკაში მოვდივარ.

**– ყოველთვის ხვდები, ადამიანები როდის არიან შენ მიმართ გულწრფელები?**

– მთელი უბედურება ისაა, რომ ვერ ვხვდები, ყოველთვის მაინც პოზიტიურად ვარ განწყობილი. შეიძლება, ძალიან მარტივად მოვტყუვდე და მერე მივხვდე, რა სულელი ვიყავი. მიუხედავად ამისა, ეს ჩემს მინუსად არ მიმაჩნია. ჩემი სლოგანია – „ყველაფერი კარგად იქნება.“

**– როგორი მამა ხარ?**

– დარწმუნებული ვარ, რომ ყურადღებიანი და კარგი მამა ვარ, უბრალოდ, ისევ და ისევ ფინანსურ ამბავთან მივდივარ. მე რომ საშუალება მქონდეს, ბევრად უფრო კარგი მამა ვიქნებოდი ჩემი შვილებისთვის. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მსახიობები არ ფასდებიან, ანუ, ჩემი პროფესიით ჩემს ოჯახს ვერ უზრუნველვყოფ. ბიზნესს ვერ ვიწყებ, რადგან, ისეთი ჭკუა არ მაქვს, როგორიც ამ საქმეს სჭირდება. ვიღაც უეჭველი მომატყუებს და ვალში გადამაგდებს. ისევე ვარ, როგორც მამაჩემი. მართლა გეუბნები, დეპრესიაშია: ფული არ არის, საქმე არ არის. ორი კაპიკით გვეხმარება ღვთისნიერი ხალხი.

**– თუმცა, ზურას უცხოეთში რომ ეცხოვრა, აქეთ დაეხმარებოდა ბევრ ოჯახს.**

– ზურას უცხოეთში რომ ეცხოვრა, წესით, ისეთი შესაძლებლობები ექნებოდა, რომ მე პირადად ფეხიფეხგადადებული, თავხედი შვილი ვიქნებოდი. მეც ასე მგონია, ჩემი ინტენსივობით, სადღაც სხვა ქვეყანაში რომ ვმუშაობდე, ასე არ ვიქნებოდი. ყოველ შემთხვევაში, მართვის მოწმობა მაინც მექნებოდა.

**– მართვის მოწმობა საერთოდ არ გაქვს?**

– ჩამომართვეს და ახლა თავიდან უნდა ჩავაბარო თურმე თეორია – ეს რა უბედურებაა!

**– ოჯახი თუ დაგეხმარა, ან, პირიქით – შეგიშალა იმაში, რომ მსახიობად შემდგარიყავი?**

– თვითონ ის ფაქტი, რომ ლენა ბებიაჩემია და ზურა – მამაჩემი, რა თქმა უნდა, თუ არ დამხმარებია, ხელი ნამდვილად არ შეუშლია. ამის გამო სითბო უფრო იგრძნობოდა თავიდანვე ჩემ მიმართ. ნებისმიერ პროფესიაში ასეა.

**– თუმცა ბევრს ეს აღიზიანებს, რადგან, როგორც ამბობენ საკუთარი თავის დამკვიდრებაში უშლით ხელს.**

– სტუდენტობის დროს მეც მაღიზიანებდა, ვფიქრობდი, რატომ ვერ მხედავენ, რატომ ხედავენ ზურას შვილს ან ლენას შვილიშვილს-მეთქი. მერე მივხვდი, რომ სულელი ვარ. ასეთი მამა და ბებია მყავს და ამაზე რატომ ვღიზიანდებოდი! ღმერთმა მომცა მათი თავი.

**– ბოლო დროს თაყვანისმცემლები ძალიან მოგიმრავლდა. ინტერვიუს დასასრულს მათ რას ეტყვი?**

– ძალიან კრიტიკულად ნუ უყურებენ სერიალს. მოვლენები, შესაძლოა, ისე განვითარდეს, რაც, შეიძლება, ვინმეს არ მოეწონოს. ეს, უბრალოდ, ინტერესისთვის არის, რომ საინტერესოდ განვითარდეს სიუჟეტი. მაგალითად, მთავარი გმირი იმიტომ გახდა ცოტა მოღალატე, რომ იდეალურ ოჯახებშიც კი ხდება ის, რასაც „გვერდზე გახედვა“ ჰქვია. ყველა მამაკაცში და ქალში დევს ეს, უბრალოდ, ზოგ ადამიანს ცდუნების შესაძლებლობა მეტად ეძლევა, ვიდრე სხვას. ის სხვა კი ამბობს, რომ მოღალატე არ არის, მაგრამ, სინამდვილეში, მიეცემა თუ არა შანსი, მისი აზრი მაშინვე შეიცვლება. კაცმა არ იცის, ამა თუ იმ სიტუაციაში, იმ წუთას, და არა დაგეგმილად, ვინ რას მოიმოქმედებს. ამიტომ, ადამიანებს ასეთი რაღაცეებიც ემართებათ. ასე რომ, სერიალს მარტივი თვალით უყურეთ და მის გმირებს ძალიანაც ნუ გააკრიტიკებთ.

**მარიკა ხიდურელი**

# ინტიმური საუბრები

## არ ვიცით, დაქალს როგორ ვუშველოთ

თურმე ასი წელი არ გეყოფა, ადამიანი ბოლომდე რომ გაიცნო.

სამი დაქალი ვართ. ბავშვობიდან ერთად მოვდივართ: ერთ სადარბაზოში ვცხოვრობდით, ერთ ბაღში დავდიოდით, ერთ კლასში ვსწავლობდით და დღემდე ისე ვმეგობრობთ, ჩვენ შორის უბრალო წაკინკლავება და გაბუტვაც კი არ მომხდარა.

ჩვენ სამიდან მე და იაკო შედარებით ადრე გავთხოვდით – 22 წლის ვიყავი მე და 23-ის – იაკო, ანანომ კი 27 წლის ასაკში გადაწყვიტა, ცხოვრება იმ კაცთან ერთად გაეგრძელებინა, ვინც ექვსი წელი უყვარდა. სიყვარული ორმხრივი იყო, მაგრამ, არც ერთი არ ჩქარობდა ოჯახის შექმნას. როგორც თვითონ ამბობდნენ, ცდიდნენ თავიანთ გრძნობასაც და საკუთარ თავსაც. სიმართლე გითხრათ, ვერც მაშინ ვიგებდი, რა საჭირო იყო ასეთი სადომაზოხიზმი და ვერც ახლა ვიგებ, მაგრამ ეს მათი პირადი ცხოვრება იყო და ჩვენ ხომ არ ჩავერეოდით.

ჩემი და იაკოს ქმრები თითქმის ჩვენი ტოლები იყვნენ და, შესაბამისად, ხასიათიც და საქციელიც ასაკის შესაფერისი, ანუ, არასერიოზული ჰქონდათ, რის გამოც ორივეს ხშირად და დიდხანს გვქონდა ურთიერთობის პრობლემები. ჩვენი ქმრების ახალგაზრდული ხუშტურები ორივეს გვაღიზიანებდა და, მეც და იაკოც კინაღამ გავცილდით ქმრებს, მაგრამ, მშობლების აქტიური ჩარევით (დადებითად), საბოლოოდ ორივემ შევინარჩუნეთ ოჯახები, თუმცა, ბევრი რამით ვიყავით ქმრების უკმაყოფილო და შევნატროდით ანანოს, რომლის ქმარიც, თავისი ასაკიდან გამომდინარე (ანანოზე 10 წლით არის უფროსი), ჭკუადამჯდარი, მაგრამ საკმაოდ ხალისიანი იყო, განსაკუთრებით – ჩვენ თუ მივიდოდით. ცოლსაც სულ თვალებში შეჰყურებდა, ეფერებოდა, აქებდა... ერთი სიტყვით, უხასიათო და ღრჯუ ქართველ ქმარს არ ჰგავდა და სწორედ ამით მოგვწონდა.

ანანო ჩვენ სამს შორის ბავშვობიდან ყველაზე აქტიური, პრანჭია და მხიარული იყო, მაგრამ, ისე მოხდა, რომ გათხოვების შემდეგ ვერავისთვის და ვერაფრისთვის ველარ იცლიდა – სულ უარს გვეუბნებოდა ჩვენთან მოსვლაზეც, ჩვენთან ერთად სადმე წასვლაზეც და მიზეზი ყოველთვის ერთი ჰქონდა: ბევრი საქმე მაქვს, თან, დათო სამსახურშია და, რომ მოვიდეს, სახლში მინდა დავხვდეო.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთ დღეს ეჭვი გამიჩნდა, რომ ანანოს არც ისე დალაგებული და ბედნიერი ცხოვრება ჰქონდა, როგორც გარედან ჩანდა; თან, ძალიან მიკვირდა მისი ხასიათის ასეთი ცვლილება. ერთხელაც, სპეციალურად მივედი მასთან სახლში იმ დროს, როცა მარტო იყო და კატეგორიულად მოვთხოვე, ეთქვა, რა ხდებოდა მის თავს. თავიდან უარზე იყო, არაფრის მოყოლა არ უნდოდა, მაგრამ, მერე უცბად გული აუჩუყდა და ტირილით მიამბო, როგორ ჩუმ ტერორში ჰყავდა ქმარს. ისეთი რამეები გავიგე, ჩემი გადარეული ქმარი დათოსთან შედარებით ანგელოზად მომეჩვენა. თურმე, ეს ჩვენი სიძე



კატეგორიულად უკრძალავდა ცოლს მეგობრებთან სიარულს და არც თავისთან სტუმრად მიღების უფლებას არ აძლევდა ჩემი და იაკოს გარდა (ანუ, ჩვენ შეგვეძლო, მივსულიყავით, მაგრამ, ანანოს უფლება არ ჰქონდა, ჩვენთან მოსულიყო), ანუ, ეჭვიანობდა ყველასა და ყველაფერზე. გარდა ამისა, ანანოს უნდა ჩაეცვა მხოლოდ ის ტანსაცმელი, რომელიც მის ქმარს მოსწონდა; ვარცხნილობაც ისეთი უნდა გაეკეთებინა, როგორსაც დათო უკარნახებდა, მაკიაჟი კი საერთოდ აკრძალული ჰქონდა – ანანო დაარწმუნა, რომ საშინლად აუშნოებდა. მოკლედ, ამ ვითომ კარგმა, გამოსულმა, ქალაქელმა, წიგნიერმა და ცოლის მოყვარულმა ქმარმა ეს მხიარული და ხალისიანი ქალი ისე დათრგუნა და დაამონა, რომ ველარ ვცნობდით. ერთხელ კი იმასაც შევესწარით შემთხვევით, რომ მათთან დათოს ძმა მივიდა მთვრალი და სრულიად უმიზეზოდ ანანოს ჯერ გინება დაუწყო, შემდეგ დასარტყმელადაც გაიწია, მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ ქმარს თავისი ძმა გაეჩერებინა (ისე, წესით, კი არ უნდა გაეჩერებინა, ცხვირ-პირი უნდა დაემტვრია) და ცოლი რაიმე ფორმით მაინც დაეცვა, იქვე, ჩვენი თანდასწრებით, მიუბრუნდა ანანოს და ღრიალი დაუწყო – შენ მიეცი საბაბი, ასე რომ მოგქცეოდაო და მერე ამანაც გინება მიაყოლა.

მე ველარ გავუძელი სირცხვილისგან გაწითლებული და აცრემლებული ქალის ყურებას. ჯერ დათოს მივვარდი, არაკაცი ვუწოდე და ერთი გემრიელად ვლეწე სახეში, მერე მის ლოთ ძმას ვკარი ხელი და წავაქციე, რადგან, ჩემს საცემრად გამოიწია, როცა დაინახა, როგორ გავულაწუნე მის იდიოტ ძმას და იქაურობა დავტოვე. იაკო არ გამომყვა, რადგან, შეეშინდა იმ ორ პირუტყვთან ანანოს დატოვება და დედამისს დაურეკა – სასწრაფოდ მოდითო.

გაგიკვირდებათ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ, ანანო ისევ თავის ქმართან ცხოვრობს, მასთან კი მე და იაკოც ველარ მივდივართ და საწყალი გოგო აბსოლუტურად იმ კრეტინის საზოგადოებაშია.

მე და იაკო ძალიან ბევრს ვდარდობთ და ვწუხვართ ამაზე, მაგრამ, ვერ მოგვიფიქრებია, როგორ ვუშველოთ ჩვენს დაქალს, რომელიც აგერ უკვე ამდენი წელია, ამ პირუტყვს აჭმევინებს გულსა და ნერვებს.

**მაცაცო, 32 წლის.**

## ჩემი ცხოვრების დრამა

ისეთი ცხოვრება გამოვიარე, სერიალების სცენარისტებს, ალბათ, არც კი დაესიზმრებათ. ახლა, წლების შემდეგ, როცა უკვე საკმაოდ სოლიდურ ასაკს მივაღწიე და ინვალიდის ეტლს ვარ მიჯაჭვული, გადავწყვიტე, ჩემი ისტორია თქვენთვის მომეწერა. იმედია, დამიბეჭდავთ.

შემიყვარდა გოგო, რომელსაც სხვა უყვარდა. ხვდებოდნენ კიდეც ერთმანეთს. მეც კარგა ხანს ვუტრიალე, დავუახლოვდი და ვუმტკიცე ჩემი სიყვარული, მან კი მითხრა: მართლა კარგი ბიჭი ხარ, ავთო რომ არ მიყვარდეს, შენ შეგიყვარებდი, მაგრამ, რა ვქნა, იმის მეტი ჩემთვის არავინ არსებობსო.

თავი რომ არ შეგაწყინოთ, მაქსიმალურად მოკლედ გიამბობთ, რა მოხდა შემდეგ.

თინიკომ ასე რომ მიპასუხა, სხვა რა გზა დამრჩენოდა, დავანებე თავი და რამდენიმე თვე საერთოდ აღარ შევხმიანებივარ. ერთ დღეს კი თვითონ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. რა თქმა უნდა, მაშინვე შევხვდი. ისეთი შეცვლილი იყო, გული მომიკვდა – სახეზე ტანჯვა და შიში ეწერა. რომ დავინახე, მივხვდი, რომ ისევ უზომოდ მიყვარდა და მის მეტი არავინ მინდოდა. ეტყობა, შემატყო და იმიტომ მკითხა – ისევ გიყვარვარო? ისევ-მეთქი, – დავუდასტურე. მაშინ, მომისმინე და, თუ ყველაფერს მაპატიებ, სიკვდილამდე მეყვარები და კუბოს კარამდე შენი ერთგული ცოლი ვიქნებიო. მერე კი მიამბო, რაც გადახდა: თურმე, ის ავთო შეჰპირებია, ცოლად შეგირთავო და ინტიმურ ურთიერთობაზე დაუთანხმებია, მაგრამ, როცა გაიგო, რომ თინიკო ორსულად დარჩა, მიუტოვებია და დარეკვაც კი აუკრძალავს. თან, დამუქრებია თუ არ შემეშვები, მამაშენს ვეტყვი, რომ ყველასთან წვებოდიო. თინიკოს ძალიან მკაცრი მამა ჰყავდა და ნამდვილად მოკლავდა შვილს, მისი ფეხმძიმობის ამბავი რომ გაეგო. საწყალი გოგო ექიმთან მისვლასაც ვერ ბედავდა, რომ ბავშვი მოეშორებინა და სასოწარკვეთილმა მე დამირეკა.

არც კი დავფიქრებულვარ, ისე ვთხოვე ცოლობა, მიუხედავად იმისა, რომ ორი თვის ორსული იყო. მოკლედ, დავქორწინდით. თინიკო ძალიან კარგად მექცეოდა, მაგრამ, მაინც ვგრძნობდი, რომ ისევ ავთო უყვარდა, თუმცა, არაფერს ვეუბნებოდი – ის ნაძირალა აღარ ეხმიანებოდა და, აღარ მინდოდა, ნაკვერჩხალი გამექექა.

ბავშვი რომ დაიბადა (ოჯახში ვთქვით, ვითომ შვიდთვიანი გაჩნდა), ცხადია, მაშინვე მივეცი გვარი და მართლაც საკუთარ შვილად მივიღე. ღმერთის განგებით, ისე მოხდა, რომ ჩემი ცოლი აღარ დაფეხმძიმებულა და მთელი ჩემი მამობრივი გრძნობები და მზრუნველობა პატარა გიორგიზე გადავიტანე. თინიკოს ძალიან უხაროდა ეს ამბავი და ბედნიერი იყო, სულ სიყვარულს მეფიცებოდა.

ერთ დღეს კი, სამსახურიდან რომ დავბრუნდი, სახლში არავინ დამხვდა. მეზობელს მივუკაკუნე და, აღმოჩნდა, რომ ჩემი შვილი მასთან დაუტოვებია, თვითონ კი დილიდან სადღაც წასულა. ჯერ შემეშინდა, ან მანქანა ხომ არ დაეჯახა ქუჩაში, ან ცუდად ხომ არ გახდა-მეთქი, მაგრამ სამზარეულოში რომ შევედი, თინიკოს წერილი დამხვდა, რომელშიც ეწერა:

„მაპატიე, მაგრამ, თავს ვერ მოვერიე. ავთომ დამირეკა და მივხვდი, რომ ისევ ის მიყვარს. გიორგის შენ გიტოვებ – შენთან უფრო ბედნიერი იქნება. თინიკო“.

ხომ წარმოგიდგენიათ, რა შოკს მივიღებდი, მაგრამ, ბავშვი ისეთი თვალებით მიყურებდა, რომ მას ვერ ვუღალატებდი.

დღეს გიორგი უკვე კაცია, ჰყავს არაჩვეულებრივი ცოლი და ორი ულამაზესი შვილი. ასე რომ, ბედნიერი მამამთილი და ბაბუა ვარ.

ჩემი შვილისთვის არაფერი დამიმალავს – რომ წამოიზარდა, ყველაფერი მოვუყევი, მაგრამ, ამით ჩვენი მამაშვილობა უფრო მეტად გამყარდა და დღემდე ასე გრძელდება.

თინიკო რამდენიმე წლის შემდეგ შეეხმიანა გიორგის და უთხრა, დედაშენი ვარ, მომენატრე და შენი ნახვა მინდაო. გიორგიმ უპასუხა, მე 5 წლის ასაკში მომიკვდა დედა, თქვენ კი ვინ ხართ, არ მაინტერესებს და არც თქვენი ნახვის სურვილი მაქვს. აღარ გაბედოთ და აღარასდროს დამირეკოთო.

**ზურაბი, 69 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78.**
**ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com**
**ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# სექსი კოსმოსში სასიკვდილოდ საშიშია

უკვე ნახევარი საუკუნეა, კაცობრიობა წარმატებით ითვისებს კოსმოსს. მთვარის კოლონიზაცია და ექსპედიციები მარსზე უკვე რეალური პერსპექტივებია. თუმცა, შეიძლება, „გალაქტიკის შვილები“, ანუ, დედამიწის „გარეთ“ გაჩენილი ადამიანები, სამყაროს არასდროს მოევლინონ. სამეცნიერო ფანტასტიკა მრავალფეროვან სიუჟეტს გვთავაზობს, სადაც ადამიანები ქმნიან ოჯახებს, აჩენენ შვილებს, მრავლდებიან სხვადასხვა თანავარსკვლავედზე, ორბიტულ სადგურებსა და პლანეტებზეც კი, მაგრამ, მეცნიერები სასტიკნი არიან და პირდაპირ აცხადებენ: „სინამდვილეში, მიწიერი სიყვარულისთვის კოსმოსი მტრულადაა განწყობილი“.



თანამედროვე მკვლევრების აზრით, კოსმოსში სექსმა, შეიძლება, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ჯანმრთელობას. მართალია, ადამიანებზე მსგავსი ექსპერიმენტები არ ჩატარებულა, ყოველ შემთხვევაში, ყველა ასეთ ჭორს, თითქოს საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტები კოსმოსში ყოფნის დროს ცდილობდნენ ბავშვის ჩასახვას, კატეგორიულად უარყოფენ.

მკვლევრებმა ადამიანების ნაცვლად „ცდის პირებად“ ჯერჯერობით მხოლოდ მცენარეები გამოიყენეს. როგორც აღმოჩნდა, ჰიპერგრავიტაციის დროს, საფრთხე ემუქრება უჯრედის შიდა ცირკულაციას; ხოლო, შედარებით ძლიერი და შედარებით სუსტი გრავიტაციის დროს კი „მოზარდ უჯრედში“ ირღვევა უჯრედის გარსის „მშენებლობის“ პროცესი. ამ კვლევების მაჩვენებლები, რა თქმა უნდა, ყველა ცოცხალ ორგანიზმზე, მათ შორის, ადამიანებზეც ვრცელდება. უწონობა ძლიერ გავლენას ახდენს ადამიანის რეპროდუქციულ პროცესსა და ტვინის მუშაობაზე. გრავიტაციის მნიშვნელოვანმა და ხანგრძლივმა ცვლილებებმა კი, შეიძლება, ისეთი საშიში და სასიკვდილო დაავადებები გამოიწვიოს, როგორებიცაა ალცჰეიმერის დაავადება ან კიბო.

კოსმოსში სექსის პერსპექტივა არსებით მნიშვნელობას იძენს, რადგან, იქ ადამიანთა ხანგრძლივი ან მუდმივი ყოფნა რეალური მომავალია კოსმოსის ათვისების საქმეში. უკვე გაისად დაიწყება ცნობილი ბრიტანელი მილიარდერის, რიჩარდ ბრენსონის კუთვნილი კომპანიის – Virgin Galactic-ის მიერ ორგანიზებული სუბორბიტული ტურისტული ფრენები. ჯერჯერობით კომპანიამ უარი თქვა „კოსმოსური პორნოს“ გადაღების 1 000 000-დოლარიანი პროექტის შეთავაზებაზე.

# შიდსი მოსწავლეებს – მფარველებისგან

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოსწავლეთა, სულ მცირე, 28 პროცენტი, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის მატარებელია, – განაცხადა ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრმა აარონ მოტსოლედიმ. არასრულწლოვან გოგონათა შორის დაავადების ასეთი დიდი პროცენტი გამოწვეულია იმით, რომ მათ სქესობრივი კავშირის დამყარებას მდიდარი ასაკოვანი მეურვეები აიძულებენ. გოგონები ნამდვილად არ ავადდებიან თავიანთი თანატოლებისგან, რადგანაც, ლაპარაკია 10-დან 14 წლამდე მოზარდებზე. ამ ასაკის ვაჟებიდან კი იმუნოდეფიციტის ვირუსით მხოლოდ 4 პროცენტია დაავადებული. ჯანდაცვის მინისტრის თქმით, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის მატარებელ მოსწავლეთა შორის ფეხმძიმეებიც არიან. 2011 წელს ქვეყანაში 94 ათასი ფეხმძიმე გოგონა იყო, მათ შორის 77 ათას სახელმწიფო კლინიკებში გაუკეთდა აბორტი.



ოფიციალური სტატისტიკით, სამხრეთ აფრიკაში 5 მილიონი ადამიანია იმუნოდეფიციტის ვირუსის მატარებელი, ანუ, მოსახლეობის 10 პროცენტი. გასულ წელს შიდსით დაავადებული 260 ათასი ადამიანი გარდაიცვალა, რაც ქვეყანაში ერთი წლის განმავლობაში გარდაცვლილთა ნახევარს შეადგენს.

**გვერდი მოამზადა**
**ლაშა გაგელიძე**

აფთიაქი TITANI

# ტრიგან–დ

## ტკივილგამაყუჩებელი საშუალება




**შეიცავს**: პარაცეტამოლი 500 მგ დიციკლომინის ჰიდროქლორიდი

**გამოიყენება** კუჭ-ნაწლავის, თირკმელების, თავის ტკივილისა და ტკივილით მიმდინარე მენსტრუალური ციკლის სამკურნალოდ.

* გამოყენების წინ გაეცანით გამოყენების ინსტრუქციას
* გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**პრეპარატის მიღებამდე გაეცანით გამოყენების ინსტრუქციას**

**ფარმაცევტული კომპანია ტიტანი**
**თბილისი, ალ. ყაზბეგის №14; ტელ.: 31-11-32; 38-28-40; 38-88-71.**



ორსულმა უნდა იკვებოს ხშირ-ხშირად და ცოტ-ცოტა

**ორსულობა ქალის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი პერიოდია, რადგან უფალი ქალის მეშვეობით ხდის ხილვადს უდიდეს სასწაულს – ქვეყანას მოევლინება ახალი სიცოცხლე. დღეს, საქართველოში შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველი ბავშვის დაბადება ძალზე მნიშვნელოვანია. ამიტომაც, სახელმწიფოს მხრიდან მშობიარობის დაფინანსება, რომელიც ივლისიდან ამოქმედდება, სწორედ რომ, წაადგება ჩვენი ერის გამრავლებას. ამ ახალ პროგრამას სრულიად მიესალმება სამშობიარო „იმედის კლინიკა“. გთავაზობთ ინტერვიუს „იმედის კლინიკის“ მთავარ ექიმთან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ დავით კობეშავიძესთან, რომელიც ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საინტერესოდ გვესაუბრება.**

# რა ფობია შეიძლება დაემართოს ორსულ ქალს და რატომ ეწყებათ დეპრესია მშობიარობის შემდეგ

– ჩვენი კლინიკა მესამე წელია, რაც ახალ შენობაში გადავიდა და სრულიად ახალი მიდგომები დანერგა. მოხდა არსებული ბაზის აბსოლუტური რესტრუქტურიზაცია. ჩვენთან გაკეთდა ინდივიდუალური ბლოკ-პალატები, არის ონლაინ-ტრანსლაციები მელოგინეთა განყოფილებიდან – ბავშვის მამასა და ოჯახის სხვა წევრებს სახლიდან გაუსვლელად შეუძლიათ, იხილონ ახალშობილი და მისი დედიკო. ასევე, შეგიძლიათ შეხვიდეთ „იმედის კლინიკის“ საიტზე და 24 საათის განმავლობაში მიიღოთ ნებისმიერი ინფორმაცია ორსულებთან, მშობიარობასთან და ახალშობილთან დაკავშირებით. სამშობიარო „იმედის კლინიკაში“, ტრადიციულად, შეღავათებით სარგებლობენ მრავალშვილიანი ოჯახები და სასულიერო პირების მეუღლეები. ტარდება აქციები საეკლესიო დღესასწაულებზე. სულ ცოტა ხნის წინ კი, „იმედის კლინიკასთან“ საფუძველი ჩაეყარა მშენებლობას. ის 7 თვეში დასრულდება და აქ იქნება უმნიშვნელოვანესი დედათა და ბავშვთა ცენტრი მთელ ამიერკავკასიაში.

**– ახლა, რაც შეეხებათ უშუალოდ ორსულებს. გაზაფხული ადამიანის ჯანმრთელობაზე განსაკუთრებულად მოქმედებს, რამდენად აისახება ეს პერიოდი ორსულებზე?**

– სეზონურობა ორსულობასაც ახასიათებს, ამიტომ გაზაფხული ორსულებზე, რა თქმა უნდა, აისახება და ხდება ისეთი პათოლოგიების გამწვავება, როგორიცაა: მაღალი არტერიული წნევა, ცილის მომატება შარდში, შეშუპება და სხვა. ამიტომ, როგორც კი ორსული შეამჩნევს ცვლილებებს, აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს. ეს ძირითადად გახლავთ მესამე ტრიმესტრისთვის დამახასიათებელი გვიანი ტოქსიკოზი. ასევე, გაზაფხულზე ორსულებში ხდება ალერგიული რეაქციების გამწვავება. რაც შეეხება გრიპის ვირუსს, მისმა პიკმა, მართალია, გადაიარა, მაგრამ ვირუსული ინფექციები კვლავ ძალზე საშიშია. ამიტომ, ორსული უნდა მოერიდოს ხალხმრავლობას, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს ან იაროს რესპირატორით.

**– როგორ უნდა იკვებოს ორსული გაზაფხულზე?**

– საერთოდ, ორსულობის ნორმალურ მსვლელობაში არსებითი მნიშვნელობა აქვს სწორ კვებას. ორსულის კვება საქართველოს სინამდვილეში ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. რატომღაც ყველა სტერეოტიპი დაიმსხვრა და წარსულს ჩაჰბარდა, გარდა ორსულის კვებისა. დღესაც არის ხალხში შემორჩენილი შეხედულება, რომ ორსულმა უნდა ჭამოს ყველაფერი და იმ რაოდენობით, რისი სურვილიც მას აქვს. ეს, რა თქმა უნდა, არასწორია. ჯერ ერთი, დიდი რაოდენობის საკვები სულაც არ განსაზღვრავს მის ხარისხს. ასევე, ძალიან არასწორი მიდგომაა, როდესაც ორსული შეგნებულად არ იღებს საკვებს, ვითომდა იმ მოტივით, რომ ბავშვმა ძალიან არ მოიმატოს წონაში – ეს აბსურდია. უამრავი მაგალითი არსებობს, როცა 120-კილოგრამიან ქალბატონს 2 500-გრამიანი ბავშვი გაუჩენია და პირიქით, 75-კილოგრამიანს – 4 500-იანი ახალშობილი. ნაყოფის განვითარება ხდება მაშინ, როდესაც სისხლის მიმოქცევა ნორმალურია. მე ორსულებს ვურჩევ, დაიცვან არა დიეტა, არამედ დიეტეთიკა. ეს სხვადასხვა რამაა. ორსულმა ქალბატონმა უნდა იცოდეს, რა, რა რაოდენობით და რამდენჯერ მიიღოს. ალბათ, არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ ორსულმა უნდა იკვებოს, ხშირ-ხშირად და ცოტ-ცოტა. მის მენიუში უნდა დომინირებდეს როგორც ცხოველური, ისე მცენარეული საკვები. მაგალითად, ცხოველური ცილა შეუცვლელია ანემიის დროს. რაციონიდან უნდა ამოიღონ ის საკვები, რაც აძნელებს საჭმლის მონელებას. ეს არის: ბრინჯის ნახარში, კისელი, ნახშირწყლებით მდიდარი საკვები, ცომეული და ასე შემდეგ. მით უმეტეს, გაზაფხულზე შემოდის უამრავი ბოსტნეული, რაც ორსულმა აუცილებლად უნდა ჩართოს კვების რაციონში. ორსულობის პროგრესირებასთან ერთად კი, უარი უნდა თქვან ქალბატონებმა შაქარზე, მარილზე, ცხარე-მწარე-მჟავეზე და დიდი რაოდენობით სითხეზე. განსაკუთრებით ძნელი გადასამუშავებელია ორსულისთვის შემწვარი საკვები. აუცილებელია ხილი, რძის ნაწარმი, შეუცვლელია ხაჭო და აბსოლუტურად გაუმართლებელია ორსულისთვის საკვების მიღება ღამის საათებში.

**– ამბობენ, რომ ორსულობა და მშობიარობა ქალს აახალგაზრდავებს, თუმცა რეალურად, მშობიარობის შემდეგ ჩვენს ქალბატონებს უამრავი პრობლემა უჩნდებათ: თმის ცვენა, კარიესი, უფუჭდებათ ნერვები და სრულად დაცლილები და გამოფიტულები ხდებიან.**

– ცნობილია, რომ ქალის კონსტიტუციური განვითარება მთავრდება პირველი მშობიარობის შემდეგ. უფალმა ქალი იმისთვის შექმნა, რომ მან კაცობრიობა გაამრავლოს. ამიტომაც, ქალი სრულყოფილი მშობიარობის შემდეგ ხდება, რადგან მისი ყველა ჯირკვალი – ენდოკრინული, სარძევე – აქტიურ მონაწილეობას იღებს როგორც ორსულობის დროს, ისე მშობიარობის პროცესში და მის შემდგომაც. თუმცა, რაც თქვენ თქვით, რომ ქალების გარკვეულ ნაწილს ემართება მიკროელემენტების ნაკლებობა, ესეც სინამდვილეა და ამას აქვს თავისი მიზეზები. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ 100-დან 90 დედა თავის ქალიშვილს არ ამზადებს დედობისთვის. მეტსაც გეტყვით, ქალი დედობისთვის უნდა ემზადებოდეს არა მხოლოდ ორსულობის დროს, არამედ მანამდეც. ინფორმაციის სიმწირე თავის დაღს ასვამს მშობიარეს.

> **მართალია, გრიპის ვირუსების პიკმა გადაიარა, მაგრამ ვირუსული ინფექციები კვლავ ძალზე საშიშია. ამიტომ, ორსული მაქსიმალურად უნდა მოერიდოს ხალხმრავლობას და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, ან იაროს რესპირატორით**

**– რა იწვევს მშობიარობის შემდგომ დეპრესიას?**

– აქაც ინფორმაციის სიმწირესთან გვაქვს საქმე. მხოლოდ ტელესერიალებში მშობიარობის ყურებით გოგონა ვერ მოემზადება დედობისთვის. არსებითი მნიშვნელობა აქვს ყველაფერს: გინეკოლოგთან პირველ ვიზიტს, პირველ ვაგინალურ გასინჯვას, მშობიარობის მართვას, მის შემდგომ პერიოდს – თუ ეს ყველაფერი მძიმე სტრესულ პირობებში, ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ მიმდინარეობს, რასაკვირველია, მშობიარობის შემდგომი პერიოდი მძიმე იქნება. მეტსაც გეტყვით, ზოგიერთ ქალს ორსულობის დასაწყის ეტაპზევე ემართება დეპრესია, რაც ხანდახან საოცარ ფობიებში ვლინდება.

**– ოჯახის წევრებს რა ფუნქცია აქვთ ამ დროს?**

– ოჯახის წევრების მხარში დგომა ამ დროს უმნიშვნელოვანესია. მაგალითად, მე, როგორც ექიმს, ძალიან მიადვილებს საქმეს მშობიარის მეუღლის გვერდში დგომა, თუ ის ბოლომდე გაუძლებს მშობიარობის აქტს. ძალიან უარყოფითად მოქმედებს გაუთავებელი მოთქმა-მოთქმა ოჯახში, ვიღაცეები რომ ყვებიან არნახულ ისტორიებს მშობიარეზე. ორსულმა უნდა იცოდეს სინამდვილე და არა ტყუილი, რომ ვითომ მშობიარეს ცალი ფეხი სამარეში აქვს და ასე შემდეგ. დღეს, ინტერნეტის ეპოქაში, ასეთი დამოკიდებულება ყოვლად მიუღებელია.

**– ბოლო პერიოდში ძალიან გახშირდა საკეისრო კვეთა. ორსულები ფიზიოლოგიურ მშობიარობას არჩევენ საკეისროს, რაც წინათ მიუღებელი იყო. რატომ?**

– მე, ზოგადად, საკეისრო კვეთის მოწინააღმდეგე ვარ მაშინ, როცა ის არ არის საჭირო. საკეისრო მიუღებელია, როცა მშობიარეს, უბრალოდ, მშობიარობის ფობია აქვს და ესეც არაინფორმირებულობიდან მოდის. მაგრამ, საკეისრო კვეთა უალტერნატივოა, როდესაც ის აუცილებელია. ქალები ფიზიოლოგიურ მშობიარობაზე უარს ამბობენ, როცა არ აქვთ შესაბამისი ცოდნა, მოსმენილი აქვთ საშინელი ისტორიები, უჩნდებათ ფობიები და არ იციან, რა გართულებები შეიძლება, მოჰყვეს საკეისროს. ამ გაუნათლებლობის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჩვენს სინამდვილეში დიაგნოზებს სვამენ და მკურნალობის ტაქტიკას ხშირად ირჩევენ დედამთილები, მამამთილები, მეზობლები და ასე შემდეგ. ყველა ექიმს მოვუწოდებ, სანამ დანას აიღებს ხელში, გადააფიქრებინოს მშობიარეს საკეისრო. ყველა ორსულს კი ბედნიერ დედობას ვუსურვებ!

**თამუნა ახობაძე**

# რა უნიკალური თვისებებით გამოირჩევა „კამელინი“ და როგორ აგრძელებენ მისი დახმარებით ადამიანები სიცოცხლეს

**თბილისში, კერძოდ კი, ქინძმარაულის ქუჩაზე, ფუნქციონირებს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფარმაცევტული საწარმო, სადაც ნატურალური თაფლისგან მზადდება ქართული პრეპარატი „კამელინი“ ამპულების, კაფსულების, მალამოსა და სანთლების სახით. თუმცა, ამ პრეპარატის შექმნის ისტორია უფრო ადრე, დაახლოებით 60 წლის წინათ დაიწყო, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში. როგორც ცნობილია, ის შექმნა ცნობილმა ქირურგმა და მეცნიერმა, ბენედიქტე (ძაგული) მაღლაკელიძემ, სწორედ იმ დროს, როცა არ არსებობდა ეფექტური საშუალება სხვადასხვა ბაქტერიული და სიმსივნური დაავადების სამკურნალოდ. ამ დროიდან დაიწყო პრეპარატის ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევების ხანგრძლივი გზა. დღეს კი მიმდინარეობს „კამელინის“ თვისებების ახლებური კვლევა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებში.**

**ბატონი კობა გურიელიძე** ***(კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):*** მიუხედავად იმისა, თანამედროვე მედიცინაში გაჩნდა დიაგნოსტიკური მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა კიბოს განვითარების ადრეული ეტაპი იყოს დაფიქსირებული, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, საქართველოში ადამიანებმა ერთხელ და სამუდამოდ ისწავლონ, რომ ყველაზე უტყუარი მეთოდი კიბოს საწინააღმდეგოდ მისი პროფილაქტიკაა – სწორი და ხარისხიანი კვება. ცნობილია მეტად საჭირო ნივთიერების შემცველი მრავალი პროდუქტი (მცენარეული თუ ცხოველური), რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის იმუნიტეტის გაჯანსაღებას. მაგრამ, ეს არ არის საკმარისი. ამიტომ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა შექმნეს პრეპარატები, რომლებიც მკვეთრად ზრდის იმუნური სისტემის ეფექტურ მოქმედებას. შედეგად, კიბოს წარმოქმნის ალბათობაც მინიმალურ დონეზეა დასული. ამ პრეპარატებს იმუნომოდულატორები ეწოდება. სწორედ ასეთი შესანიშნავი იმუნომოდულატორია პრეპარატი „კამელინი“. იმუნური სისტემის გამაძლიერებელი პრეპარატების შესაქმნელად ამერიკასა და მთელ მსოფლიოში მილიარდები იხარჯება და სიამაყით მინდა ვთქვა, რომ „კამელინის“ სითხისა და კაფსულების ფორმამ უმოკლეს დროში წარმატებით გაიარა მეტად პრესტიჟული და რთულად გადასალახავი ბარიერი, რომელსაც ამერიკის კვებისა და წამლის სააგენტო ჰქვია და უპრობლემოდ შევიდა ამ ქვეყნისა და ევროპის ბაზარზე.

დღეს ონკოლოგების გარკვეული ნაწილი უკვე საუბრობს „კამელინ მ1-ისა“ და „კამელინ მ2-ის“ გამოყენებით მიღებულ იმ შედეგებზე, რაც მიღწეულ იქნა სხვადასხვა სიმსივნის, უმძიმესი დიაგნოზის (მე-4 სტადიის) მქონე პაციენტებში. შედეგი ასეთია: ზოგადი მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება, ნარკოტიკული საშუალებების შემცირება, რიგ შემთხვევებში დროებით მოხსნაც, სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება და გახანგრძლივება, მადისა და ენერგიის მატება, დეპრესიული ფონის მოხსნა, მეტასტაზური სიმსივნის რეგრესი. შეიძლება ითქვას, რომ სენსაციური შედეგი მიიღეს საყლაპავის სიმსივნის – საყლაპავის კარცენომის დიაგნოზის მქონე პაციენტის – თ.დ-ს შემთხვევაში. კომპიუტერული ტომოგრაფიითა და სისხლის ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე, მეტასტაზები დაფიქსირდა ლავიწის ზედა არეში და კისრის მიდამოში. სხივური და ქიმიოთერაპიის კომბინაცია არაეფექტური აღმოჩნდა. გადაწყდა, პაციენტისთვის გერმანიაში გაეკეთებინათ ოპერაცია. სწორედ ამ დროს პაციენტმა, ახლობლის რჩევით, გადაწყვიტა კამელინოთერაპიის ჩატარება. ზედიზედ ჩაიტარა „კამელინით“ მკურნალობის 6 კურსი – მეტასტაზები ზომაში მეორე კურსიდანვე შემცირდა, საბოლოოდ კი სრულიად ალაგდა. პაციენტი მეორე წელია, სრულიად ჯანმრთელი, შრომისუნარიანია და მხოლოდ პროფილაქტიკური მიზნით იღებს „კამელინ მ2-ის“ კაფსულებს.

**მარინა** ***(34 წლის):*** წლების განმავლობაში მაწუხებდა ბუასილი. რამდენიმე წლის წინ ოპერაციაც გავიკეთე, მაგრამ ცოტა ხნის წინ ისევ შემაწუხა ტკივილებმა. ყველანაირი საშუალება ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა, გაუსაძლისი ტკივილები მქონდა, სიარული, ჯდომა მიჭირდა. ოპერაციის გაკეთებას ყველაფერი მერჩივნა. დავიწყე „კამელინის“ სანთლების გაკეთება, შედეგი მალევე ვიგრძენი, ტკივილმა გამიარა. ახლა საერთოდ აღარ მაწუხებს არაფერი. თავს მშვენივრად ვგრძნობ, ოპერაციასაც გადავურჩი. ახლო მომავალში პროფილაქტიკისთვის კიდევ ვაპირებ სანთლების გაკეთებას. დედაჩემს, რომელიც უკვე კარგა ხანია, უცხოეთში ცხოვრობს, ვუგზავნი „კამელინს“. რამდენიმე ხნის წინ საშვილოსნოს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს და მაშინვე „კამელინით“ მკურნალობა დაიწყო. სამი კურსის შემდეგ ჩაიტარა გამოკვლევები და აღმოჩნდა, რომ განიკურნა. ამის შემდეგ წელიწადში ერთხელ ყოველთვის იტარებს „კამელინით“ მკურნალობის 2 კურსს და თავს კარგად გრძნობს.

პაციენტ ნ. ქ-ს 4 წლის წინ დაუსვეს მკერდის სიმსივნის დიაგნოზი, ორჯერ ჩაიტარა ქიმიოთერაპია, გასცვივდა თმა, იღებდა უამრავ ტკივილგამაყუჩებელს, დაეცა ლეიკოციტებისა და ჰემოგლობინის დონე. დაიწყო „კამელინ მ-1“ – ინიექციითა და „კამელინ მ2“ – ამპულებით მკურნალობა. ტკივილები პირველი კურსიდანვე მოეხსნა, მოემატა ენერგია, თანდათან გაუუმჯობესდა საერთო მდგომარეობა. ამიტომ, გადაწყდა, გაეგრძელებინა მკურნალობა. მეორე კურსიდან შედეგები უკვე თვალში საცემი გახდა: ტკივილების სრული კუპირება, სიმსივნური პროცესის მოცულობაში შემცირება, მკერდის დვრილების წინ წამოწევა, დარბილება, საერთო მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება. დღეს მხოლოდ პროფილაქტიკური თვალსაზრისით იტარებს კამელინოთერაპიას.



პაციენტი ქ. ა. საბერძნეთიდან – დაახლოებით 4 წლის წინ აღმოაჩნდა მკერდის სიმსივნე, მრავალი პრეპარატით მკურნალობდა. ახლობელმა შეატყობინა საქართველოში წარმოებულ, ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალურ პრეპარატ „კამელინის“ თაობაზე. დაიწყო მკურნალობა და შედეგი იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ელოდა. დღეს პაციენტი სრულიად ჯანმრთელი და შრომისუნარიანია.

6 წლის წინ პაციენტ ლ. ხ-ს ბათუმიდან დაეწყო წონის საგრძნობი კლება, ხშირი ხველა. რენტგენოგრაფიული გამოკვლევით დაუდგინდა მარჯვენა ფილტვის ქვემო წილში მეტასტაზური კერა. ყველას გასაკვირად მან უარი თქვა კონსერვატიულ მკურნალობაზე და გადაწყვიტა, კამელინოთერაპია ჩაეტარებინა. პაციენტი არავის უმხელდა, თუ რით მკურნალობდა. პირველი კურსიდანვე დაიწყო წონაში მომატება, სიმპტომებიც თანდათან ალაგდა. ორი თვის შემდეგ ხელახალი რენტგენოგრაფიით მეტასტაზური კერა აღარ დაფიქსირდა. ის ჩრდილი, რომელიც საკმაოდ დიდ უბანზე იყო, სრულიად გაიწმინდა. პაციენტი ექიმია და პირადი გამოცდილებიდან თამამად ურჩევს პაციენტებს „კამელინის“ გამოყენებას.

**ეთერ მინდიაშვილს** ***(68 წლის)*** 5 წლის წინ ონკოლოგიურში დაუსვეს მარჯვენა ყურში სწრაფი სარკომის დიაგნოზი, ემლემის დაშლა. სხივურმა თერაპიამ შედეგი არ გამოიღო. დაიწყო „კამელინ მ1-ის“ (ინიექციის) გამოყენება, მესამე კურსის დაწყებიდან დაშლა საერთოდ შეწყდა, სამი კურსის ჩატარების შემდეგ კი (ტყემლისოდენა) სიმაგრეც მთლიანად ალაგდა. დღეს პაციენტი არაფერს უჩივის, მხოლოდ პროფილაქტიკის მიზნით, წელიწადში ერთხელ იტარებს კამელინოთერაპიის კურსს, არის შრომისუნარიანი, სრულიად ჯანმრთელი.

**ნათია** ***(32 წლის):*** ჩემს დეიდას, რომელიც უკვე დიდი ხანია, უცხოეთში ცხოვრობს, ცოტა ხნის წინ დაუსვეს კუჭის სიმსივნის დიაგნოზი. მაშინვე დაიწყო მედიკამენტებით მკურნალობა, მაგრამ არცთუ ისე კარგი შედეგი ჰქონდა. დიდი ხანია, თქვენი ჟურნალის მკითხველი ვარ, „კამელინის“ შესახებაც არაერთი სტატია მქონდა წაკითხული. ამიტომ, როგორც კი შევიტყვე დეიდას მდგომარეობა, მაშინვე „კამელინი“ გამახსენდა. მის მწარმოებელთან გავიარე კონსულტაცია, დეიდასაც ვკითხე და მისი თანხმობის შემდეგ, გავუგზავნე პრეპარატი. მაშინვე დაიწყო მკურნალობა, ჯერჯერობით შედეგები არის: აღარ აწუხებს ტკივილები, ენერგიულიც გახდა, ძალაც დაუბრუნდა. „კამელინით“ მკურნალობის შეწყვეტას არ აპირებს. ცოტა ხანს შეისვენა და ახლა უკვე მკურნალობის მესამე კურსს იტარებს. რაც მთავარია, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკეთესია, არანაირი გართულება არ ჰქონია, პირიქით, უფრო და უფრო კარგად ხდება. რაც მთავარია, ჩვეულებრივ მუშაობს, შრომისუნარიანობა აუმაღლდა, ტკივილებიც აღარ აწუხებ. კიბო ისეთი დაავადებაა, ერთი ხელის მოსმით ვერ მოერევი. ამიტომ, ის კიდევ განაგრძობს მკურნალობას და იმედი აქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. იმ შედეგით, რაც „კამელინით“ მკურნალობის შემდეგ მიიღო, უკვე კმაყოფილები ვართ.

***P.S. ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული კითხვები, ან გსურთ, კონსულტაცია, დამატებითი ინფორმაციის მიღება ქართული წარმოების პრეპარატთან დაკავშირებით, რომელმაც უკვე ბევრ ადამიანს დაუბრუნა ცხოვრების ხალისი და იმედი, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89; 599 58-09-07; 599 23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.***

**ნათია უტიაშვილი**

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

27 მარტი, **ოთხშაბათი** 19.45 - **„მტრის ნიღაბი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ბესო ზანგური, გაგი სვანიძე, ზაალ ბარათაშვილი, გელა ლეჟავა, მამუკა ლორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

28 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ქარი მწყურია მე პირდაპირი"**. (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენირების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი – მურმან ჯინორია. მონაწილეობს: ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. მონოსპექტაკლი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

29 მარტი, **პარასკევი** 19.45 - **„კაცია-ადამიანი?!"**. (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორები: რობერტ სტურუა, ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: დავით დარჩია, თათული დოლიძე, მარინა კახიანი, ჟანრი ლოლაშვილი, ტრისტან სარალიძე, დავით უფლისაშვილი, დარეჯან ხარშილაძე, ნანუკა ხუსკივაძე. ტრაგიკომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

30 მარტი, **შაბათი** 19.45 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"**. (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ტრაგიკომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

26 მარტი, **სამშაბათი** 20.00 - **„შერეული ემოციები"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ცხაკაია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 მარტი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"**. (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ერთმოქმედებიანი პიესა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 მარტი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„კინკასის უცნაური გარდაცვალება"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი (თეატრი სხვენში), რეჟისორი გიორგი თავაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

29 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მებურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

29 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„ჩემი ჰამლეტი"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, ელენე ფირცხალავა, ზაალ კაკაბაძე, ვახტანგ ქორიძე, გიორგი მებალიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

30 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„ჰამლეტი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი თემურ კუპრავა. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, მალხაზ აბულაძე, ალეკო მახარობლიშვილი, ეკა ჩხეიძე, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა: 3სთ. 30 წუთი;***

30 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„Private Lives"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ირმა ბერიანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ზაზა იაქაშვილი, ნიკა კუჭავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

31 მარტი, **კვირა** 12.00 - **„თოვლის დედოფალი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 8 - 14 ლარი), რეჟისორი ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ზაზა გოგუაძე, გიორგი კიკნაძე, მარლენ ეგუტია, თამარ სხირტლაძე, ანი გუჯეჯიანი, ნიკა გუჯეჯიანი, ლელა მებურიშვილი, ნინო დუმბაძე, ეკა მჟავანაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

31 მარტი, **კვირა** 20.00 - **„ქოლო"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

31 მარტი, **კვირა** 20.00 - **„ფერხული"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ზურა ბერიკაშვილი, თეონა ქოქრაშვილი, ირაკლი ჩოლოყაშვილი, ნინო წულაძე, ნინო გაჩეჩილაძე, ქეთი ცხაკაია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

26 მარტი, **სამშაბათი** 19.00 - **„ვიზიტი ფსიქოლოგთან"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორები: ეკა შარიქაძე, მაია დობორჯგინიძე, თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: მაია ხორნაული, გიორგი ჯიქია, ნათია კვაშალი, შაკო მირიანაშვილი, სალომე ჭულუხაძე, გიორგი მარშანია, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 მარტი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

28 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებული"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, თიკო კორძაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

29 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

30 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

28 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

29 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„წარღვნა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ნუგზარ გაჩავა. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, ალეკო ალავიძე, ვასილ შიხაშვილი, ანდრო სარიშვილი, ანა მატუაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

30 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: შალვა ბახტაძე, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

31 მარტი, **კვირა** 19.00 - **„მაგიის საოცრებანი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), მონაწილეობენ: გოგა თავაძე. ზურა ავსაჯანიშვილი, აკაკი ხიდაშელი, გვანცა დადიანიძე, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი.***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

25 მარტი, **ორშაბათი** 20.00 - **„(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი"** საქველმოქმედო სპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, კახა კინწურაშვილი, არჩილ სოლოღაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28-29 მარტი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 20.00 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი მაკა ნაცვლიშვილი. მონაწილეობენ: მარი კიტია, რუსკა მაყაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

30 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„წერილები ღმერთს"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი მამუკა ტყემალაძე. მონაწილეობენ: კახა კინწურაშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
**ჭავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

29 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„ოპერა მაფიოზო"**. (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი გაბრიელ გოშაძე. მონაწილეობენ: დავით გიგოლაშვილი, მამუკა ლორია, ზაზა ასანიშვილი, ვასილ ოდიშვილი, მაკა ძაგანია, თამთა ცინცაძე, სოსო მჭედლიშვილი. კომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

30 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„ევრიდიკე"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორები: ოთარ ეგაძე, მილენა ეგიაზაროვა. მონაწილეობენ: ანდრია ვაჭრიძე, მერაბ ჩხეიძე, ლევან მამნიაშვილი, დავით გიგოლაშვილი, თათია გაბედავა, ანი თალაკვაძე, სალომე მიქაძე, ზურა გაბუნია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

31 მარტი, **კვირა** 20.00 - **„ხარმსი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: დავით გოცირიძე, დავით გიგოლაშვილი, დავით ველიჯანაშვილი, თამთა ცინცაძე, თათია ბუაძე, მაია გელოვანი, მაკა ძაგანია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი.***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

29 მარტი, **პარასკევი** 18.00 - **„ქასტინგი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ნიკა კვიჟინაძე. მონაწილეობს: ირინა კვიჟინაძე;

30 მარტი, **შაბათი** 18.00 - **„მოჰკალ მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი. მონაწილეობენ: ირინა მელვინეთუხუცესი, ვალერი ხარიუტჩენკო. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

31 მარტი, **კვირა** 12.00 - **„მოროზკო"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ლინდა უბრონავიჩუტე. მონაწილეობენ: მიხეილ არჯევანიძე, ივანე ქურასბედიანი, ნინა ნინიძე, მიხეილ ამბროსოვი, ვალენტინა ვოინოვა, მედეა მუმლაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.**
**ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 25 მარტი

**06.30** დ/ფ "როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.35** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "უხილავი სამყარო" **17.00** დ/ფ "მეცნიერების ისტორია" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"ხმა წარსულიდან"** **21.00** ტ/სერ **"მიმინო"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "კომენტატორი" **00.00** "საფარი" **00.30** მხ/ფ **"სირიანა"** (ტიტ.) (ჯ. კლუნი).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **13.00** სერ. **"24 – 6"** **14.40** კონცერტი: "ვია **75**" **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** მხ/ფ **"მწერალი მოჩვენება"** (ჯ.ბელუში) **00.40** მხ/ფ **"ბოროტების სავანე: აპოკალიპსი"** (მ. იოვოვიჩი) **02.15** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** "საქართველოს ვარსკვლავი" **00.00** შიშის ფაქტორი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 11.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ+ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მაღვიძარა(დილის პროგრამა) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15, 4.00** თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0.30**თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.00** ამბები მოკლედ **20.05, 1.40** თოქ-შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.20** "ყოველდღიური აბები" **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **5.35, 6.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ).

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მონასტრის ბინადარნი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** დოკ/ფ "ექვთიმე" **13.30** კონცერტი-ანს."შვიდკაცა" **14.30** დოკ/ფ "მებრძოლი ეკლესია" **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმრები **15.30** სპექტაკლი **"საქართველოს უკანასკნელი დედოფალი"** **17.30** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"ივანე კოტორაშვილის ამბავი"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** საქართველოს ისტორია **22.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **22.55** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საღვთისმსახურო წელიწადი **23.40** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" მეუფე ანანია **00.35** განთიადის სტუმრები **01.00** დოკ/ფ "ანთიმოზ ივერიელი" **01.45** ირაო.

## სამშაბათი 26 მარტი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.10** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "თანამედროვე იარაღი" **17.00** "საფარი" **17.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"ხმა წარსულიდან"** **21.00** ტ/სერ **"მიმინო"** **22.00** "აქცენტები" **23.30** მხ/ფ **"ესროლე"** (ქ.ოვენი) **01.30** დ/ფ "ირანი-ნიღაბმოხსნილი ძალა".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **13.00** სერ. **"24 – 6"** **14.40** დოკ/ფ "გასაქირავებელი კუნძულები - კუს კუნძული" **16.00** სერ.**"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** მხ/ფ **"კეი-პაქსი"** (კ.სპეისი) **00.35** მხ/ფ **"უკანასკნელი ლეგიონი"** (ბ. ინგსლი) (ტიტ.) **02.15** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.30** სერ **"გმირი"** **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 5.35, 6.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ+ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მაღვიძარა(დილის პროგრამა) **11.30, 22.00, 0.55** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15, 4.00** თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30, 1.20** თოქ-შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ირაო **06.50** დოკ/ფ "ველური ბუნება" **07.15** დოკ/ფ "ანთიმოზ ივერიელი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული სწავლება **10.50** საქართველოს ისტორია **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ **"ივანე კოტორაშვილის ამბავი"** **13.20** კონცერტი -ანს."შავნაბადა" **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** კონცერტი-ანა-სოფია მუთერი **16.45** საღვთისმსახურო წელიწადი **17.10** დოკ/ფ "იერუსალიმის ქვა" **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ/ფ **"პატარა მეგობრები"** **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ჩვენი ფონდი **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **23.20** დოკ/ფ "უჯარმის პატარა სახლი" **23.50** ფოტოგალერეა **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.40** ირაო.

გაგრძელება 48-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**25 – 31 მარტი**

*დარბაზი 1*

12.15, 14.45, 17.30 - **„ჯეკი გიგანტების გამანადგურებელი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ.;*
20.00 - **„ოზი: დიდებული და ძლევამოსილი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.;*
22.30 - **„მე და შენ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ.;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.15 - **„ცელქი ბავშვები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*
20.00, 22.15 - **„ანუ გაიღიმეთ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.00 - **„დედამიწიდან გაქცევა”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*
16.00, 18.00, 20.15 - **„ანუ გაიღიმეთ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*
22.30 - **„ოზი: დიდებული და ძლევამოსილი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.;*

*დარბაზი 4*

12.15, 14.55, 17.30, 20.22 - **„პის ცხოვრება”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.;*
22.30 - **„არგო”**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.30, 17.10 - **„ოზი: დიდებული და ძლევამოსილი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.;*
19.45, 22.15 - **„ჯეკი გიგანტების გამანადგურებელი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ.;*
(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.00, 14.35, 17.20 - **„ოზი: დიდებული და ძლევამოსილი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.;*
20.00, 22.30 - **„მე და შენ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ.;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.30 - **„პის ცხოვრება”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.;*
17.30 - **„მე და შენ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ.;*
19.45, 22.30 - **„ოზი: დიდებული და ძლევამოსილი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.;*
(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „საქართველო”**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00, 14.00, 16.00 - **„დედამიწიდან გაქცევა”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*
18.00, 20.00 - **„ჯეკი გიგანტების გამანადგურებელი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ.;*
22.00 - **„ანუ გაიღიმეთ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*
(ბილეთის ფასი: 4 - 8 ლარი).

**ნუცა შანშიაშვილის დედობამ მთელი საქართველო შოკში ჩააგდო. უკვე წლებია, ის ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს თავის მეუღლესთან ერთად. მისი ცხოვრების ყველა სიახლეს აქტიურად აშუქებს პრესა. თუმცა, ორსულობა მან საიდუმლოდ შეინახა და პატარა ნიკოლასის სახით სიურპრიზი გაგვიკეთა. ყოველთვის ამბობდა, რომ ბედნიერია, მაგრამ არასდროს უთქვამს და თავს არიდებდა იმაზე ლაპარაკს, რომ მთავარი ბედნიერება, მისთვის დედობა იქნებოდა. ახლა ამას აღიარებს, უბედნიერესი ადამიანია – მის გვერდით მისი შვილია, რომელსაც წლებია, ელოდა და თავადაც, სრულიად შემთხვევით გაიგო მისი ამქვეყნად მოვლენის შესახებ. ჟურნალი „თბილისელები“ ულოცავს ნუცას და თეიმურაზს ვაჟკაცის დაბადებას, ჯანმრთელობასა და ულევ ბედნიერებას უსურვებს!**

# რატომ მალავდა საგულდაგულოდ ორსულობას ნუცა შანშიაშვილი და რის მერე დაიწყო ლოცვა ნიუ-იორკში მცხოვრებმა მამაომ მის დედობაზე

**– ნუცა, გილოცავ ნანატრი ვაჟკაცის დაბადებას! სიმართლე გითხრა, ცოტა გაოცებული ვარ, როგორ მოახერხე, მთელი ცხრა თვე, ასეთი სასიამოვნო ამბის საიდუმლოდ შენახვა. რა დაარქვი პატარას?**

– დიდი მადლობა მოლოცვისთვის. თქვენ წარმოიდგინეთ, თავადაც გაოცებული და შოკირებული ვარ, როცა ნიკოლასს ვუყურებ. ისეთი პაწაწუნა, საყვარელი და ვაჟკაცური ტიპია, ნამდვილად ღმერთის საჩუქარია. ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ჯერ ბოლომდე ვერ ვაცნობიერებ, რა მოხდა ჩემს თავს. ნიკოლასი ძალიან აქტიური და მოძრავი ბავშვია. იმედია, ნიჭიერი იქნება და ხელოვნება ეყვარება. ეს კოჭებში უკვე ეტყობა *(იცინის).* ჯერ ვერ ვხვდები, ვის ჰგავს – მე თუ მამამისს. 3,200 კილოგრამი დაიბადა, სიმაღლეში – 52 სანტიმეტრი. რამდენიმე დღისაა, მაგრამ ძალიან მოძრავი და აქტიურია. ღამეებს გვათენებინებს და მის ჭკუაზე დავყავართ უკვე. ნიკოლასი ამერიკის პატარა მოქალაქეა. ამიტომ, მე და მამამისმა გადავწყვიტეთ და დაბადების მოწმობაში ჩავწერეთ: „ნიკოლას ტაგი“. თემური ტაგიევია გვარად, შევამოკლეთ და ასე გავაფორმეთ.

**– მარტო უვლი ბავშვს თუ ძიძა გეხმარება?**

– სულ რამდენიმე დღეა, რაც კლინიკიდან გამოგვწერეს და მე და თემური, ჩემი მეუღლე ვუვლით ბავშვს. თემური გიჟდება ბავშვებზე, თავის შვილზე კი ჭკუა ეკეტება. ისე უვლის, ხანდახან მგონია, დედა თემურია, მე კი – მამა *(იცინის).* დედაჩემის ჩამოსვლას დაველოდებით და მერე ძიძას ავიყვანთ. გასტროლებზე რომ მომიწევს წასვლა და ნიკოლას დატოვება, უკვე ვნერვიულობ. სხვათა შორის, დედაჩემმაც არ იცოდა ჩემი ფეხმძიმობის ამბავი. რომ დამირეკა და ვუთხარი, მუცელი მტკივა, მგონი, მშობიარობა მეწყებამეთქი, გადაირია ქალი. რაებს ამბობ, რა შვილი, რისი ორსულობაო *(იცინის).* მე და ნიკოლამ ბებო ფაქტის წინაშე დავაყენეთ და ახლაც ვერ გამოდის შოკიდან. თემურიც დედისერთაა და მეც. ნიკოლა პირველი შვილიშვილია და ხომ წარმოგიდგენიათ, სვეტა და მზია რა დღეში იქნებიან. ეს ბავშვი, დამიჯერეთ, ნამდვილი ღვთის საჩუქარია, მისგან ბოძებული. მე და ჩემმა ქმარმა ერთობლივად შევურჩიეთ სახელი. ამერიკაში ნიკოლასი იქნება, საქართველოში – ნიკოლოზი, კიევში კი – კოლია *(იცინის).* ასეთი „გარდამავალი“ სახელი აქვს. ჩემმა დედამთილმა მითხრა, სიურპრიზს გიმზადებ, ასეთი კარგი ბიჭო რომ მაჩუქეო. ჯერ არ ვიცი, რას მაჩუქებს, მაგრამ ვიცი, რაც არ უნდა იყოს, ძალიან გამიხარდება. ახლა რომ გელაპარაკებით, უნდა ნახოთ, რა დღეშია ნიკოლა – იქნევს ხელ-ფეხს და არის ერთ ამბავში. არ უყვარს ბუნებრივად კვება, ხელოვნური ურჩევნია. მე კიდევ ვაძალებ და გვაქვს ხელჩართული ბრძოლა ყოველ ჭამაზე. მამაჩემს ჯემალი ერქვა და ვხუმრობ ხოლმე, ეს ბავშვი ნიკოლასი კი არა, ნამდვილი ჯემალ-ხანია-მეთქი. თან, უნდა ნახოთ, წარბს რომ სწევს მაღლა და ისე „იბღვირება“ *(იცინის).* პაწუკაა, საყვარელი. ზოდიაქოთი „თევზებია“. ოჯახში ჰაერის, მიწისა და ცეცხლის სტიქიის ნიშნები ვართ, მინდოდა, ერთი წყლის ნიშანიც ყოფილიყო. სულ ოცნებად მქონდა, ბავშვი თუ გაჩნდებოდა, წყლის სტიქია ყოფილიყო. ეს ოცნებაც, დედობასთან ერთად, ამიხდა. ძალიან შეიცვალა ჩემი ცხოვრება. წამით რომ ვერ ვხედავ, უკვე მენატრება. ამ პატარასთვის ღირდა ამდენი ხნის ლოდინი. მეუბნებიან, ახლა არ გაჩერდე და გოგონებიც მიაყოლეო. მე მინდა, თუმცა, ესეც ღმერთის ნებაა.



**ბოლომდე ჯერ ვერ ვაცნობიერებ, რა მოხდა ჩემს თავს**

**– ნუცა, რატომ მალავდი საგულდაგულოდ ორსულობას? არ მითხრა ახლა, ცრურწმენების მჯერაო.**

– ცრურწმენა არაფერ შუაშია. არ ვმალავდი, უბრალოდ, თავადაც გვიან გავიგე. უკვე ოთხი თვის ვიყავი, როცა ექიმთან მივედი და გაეცინა: გამარჯობა, თქვენ ოთხი თვის ორსული ხართო. ენა ჩამივარდა, ნამდვილი შოკი იყო. სახლში რომ მოვედი, შიშმა ამიტანა. ვერ მივხვდი, რა უნდა მექნა. ვლოცულობდი და ღმერთს ვეხვეწებოდი, დამანახვე გზა, რა ვქნა, როგორ მოვიქცე-მეთქი. ექიმთან არც მივიდოდი, უბრალოდ, იმიტომ მივედი, რომ შესიება დამეწყო და გული მიხდებოდა ცუდად. უცნაურად კი ვგრძნობდი თავს, გულიც მიჩქარდებოდა, მაგრამ ამას ზაფხულის სიცხეს და ნიუ-იორკის კლიმატს ვაბრალებდი. რას წარმოვიდგენდი, თუ 42 წლის ასაკში, ამდენი წარუმატებელი ცდის შემდეგ, ყოველგვარი სამედიცინო ჩარევის გარეშე, გავხდებოდი დედა. არ დაგიმალავთ, მანამდე ბევრი ვეცადე, ხელოვნური განაყოფიერებაც მინდოდა გამეკეთებინა, მაგრამ ექიმები მარწმუნებდნენ, ყველაფერი მწყობრში გაქვს და აუცილებლად გახდები დედაო. ხან რა ვცადე, ხან რა, არაფერი გამოდიოდა. ამ ლოდინში უამრავი წელი გავიდა. ორსულობის დროს, ექიმად ავიყვანე ნიუ-იორკში ყველაზე ცნობილი ჩინელი ექიმი ალექს ვეი. მისი რეკომენდაციით ვვარჯიშობდი იოგაში, დამილაგა ყველაფერი, დამაწყნარა და ბოლოს მანჰეტენზე, კლინიკაში ისე მამშობიარა, არაფერი გამიგია. რაც შეეხება დამალვას, ემოციების შემოტევებს მოვერიდე. ზუსტად ვიცოდი, რომ გაიგებდნენ, დაიწყებდნენ რეკვებს, ათასგვარ კითხვას დამისვამდნენ. მერჩივნა, არ მეთქვა და მშვიდად ვყოფილიყავი. ვმუშაობდი დისკებზე, გამოვდიოდი კონცერტებზე, დედაჩემი თუ „სკაიპში“ დამირეკავდა, წელს ზევით ვეჩვენებოდი და რას წარმოიდგენდა, თუ ბებიობისთვის ვამზადებდი *(იცინის).* 14 მარტს, საღამოს ცხრა საათზე, წამოვლითი ტკივილები რომ დამეწყო, მზიამ დამირეკა თბილისიდან, როგორ ხარო. ვუთხარი, დედა, არ მცალია, მგონი, მშობიარობა მეწყება და კლინიკაში გავრბივარ, მერე გადმომირეკე-მეთქი. გაოგნებული დავტოვე *(იცინის).*

**– მშობიარობა ბუნებრივი გქონდა თუ საკეისრო კვეთა ჩატარდა?**

– საკეისრო კვეთა ჩამიტარდა. სასაცილო იცით, რა იყო? ექიმი მყავდა ჩინელი, ხოლო ნარკოზს მიკეთებდნენ კორეელი, ესპანელი და მალაიზიელი ქალები. პალატაში რომ გაგვწერეს, გავიხედე შემოვიდა, ვიღაც ქერა, „კურნოსა“ მამაკაცი. ჩემს ქმარს ვუთხარი, ეს „ასიანი“ რუსი იქნება-მეთქი. უცებ ტიპმა ქართულად არ დაიწყო: გამარჯობა ნუცა, როგორ ხარო. ეს მეორე შოკი იყო. თურმე, ეს კაცი ქართველი, მთავარი ექიმია – გრიგოლ ადეიშვილი, რომელიც იმ კლინიკაში მუშაობს. ისიც დაესწრო ჩემს მშობიარობას. ამბობდა, ნამდვილი „იღბალა“ ხარ, 42 წლის ასაკში, პირველი, ასე უპრობლემო ორსულობა და მშობიარობა იშვიათიაო.

**– მეუღლე თუ ესწრებოდა მშობიარობას და რა რეაქცია ჰქონდა ბავშვის დანახვისას?**

– დიახ, დაესწრო. მე კი ნარკოზში ვიყავი, მაგრამ თვალი რომ გავახილე, ბავშვი ეჭირა ხელში და ისე ტიროდა, ექიმები ვერ აჩერებდნენ. ვუყვიროდი: რა არის, მარცხვენ, დამდგარხარ ამხელა მოზვერი კაცი და ტირიხარ-მეთქი *(იცინის).* შავკანიან ბებიაქალებს კი მუსიკა ჰქონდათ ჩართული და ცეკვავდნენ. ნამდვილი ზეიმი მომიწყვეს. ნარკოზში კი ვიყავი, მაგრამ ბავშვის პირველი ყვირილი გავიგე. ეს ხმა არასდროს დამავიწყდება. სასწაული, იცით, რა იყო? ზუსტად ცხრა თვის წინ, ნიუ-იორკში კონცერტი მქონდა, სადაც ჩემი მამაო იყო მოსული. მითხრა, ძალიან მიყვარხარ და თუ რაიმე გაქვს ოცნება, მითხარი და მე ვილოცებ, რომ აგიხდესო. არასდროს, არავისთვის მითქვამს, შვილი მინდა-მეთქი და იმ წუთას ვუთხარი: მამაო, ძალიან მინდა შვილი-მეთქი. ერთ კვირაში მოვიდა ჩემთან და მომიტანა ღვთისმშობლის ხატი. მითხრა, ამ ხატთან დაიწყე ლოცვა. ისრაელშიც დავრეკე მამაოებთან და მათაც ვთხოვე, ელოცათ იმისთვის, რომ შენ დედა გახდე. ეს ლოცვა ზეცაში მიღებულია და აუცილებლად გეყოლება შვილიო. ასეც მოხდა და სასწაული სახეზეა.

**ნონა დათეშიძე**

ტურისტული კომპანია CAUCASUS TOUR, ავიაკომპანია AIR CAUCASUS-თან ერთად

AIR CAUCASUS

გთავაზობთ ფრენებს მსოფლიოს ყველა მიმართულებით.

რეისი თბილისი-სალონიკი – 99 ევროდან.

გისურვებთ მშვიდობიან ფრენას!

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
2-202-202, 2-202-203;
ცხელი ხაზი – 595-33-22-22;
მობილური: 598-18-04-09,
598-306-155, 571-79-77-88.
ვეკუას №3, V სართული.

CAUCASUS TOUR

# რატატუი ფრანგულად












**საჭირო ინგრედიენტები:** 1-2 ცალი ბადრიჯანი, 1-2 ცალი ყაბაყი, 3-4 ცალი პომიდორი (კიდევ 2-3 ცალი – ტომატის სოუსისთვის), 1 ცალი ბულგარული წიწაკა (სოუსისთვის), 1 თავი ხახვი (სოუსში), 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა (სოუსისთვის), 3 სადილის კოვზი ზეთი, კამა, ოხრახუში, 1 კბილი ნიორი, 1 ცალი ცხარე, წითელი წიწაკა, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** სოუსისთვის: ხახვი წვრილად დაჭერით და შუშეთ 2 სადილის კოვზ ზეთში 2-3 წუთის განმავლობაში. ბულგარული წიწაკა დაჭერით წვრილ კუბიკებად. დაუმატეთ ხახვს, შეურიეთ ტომატ-პასტა და ხრაკეთ კიდევ 5 წუთი. 2-3 ცალი პომიდორი გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე. გახეხილ პომიდორს დაუმატეთ ხახვი და წიწაკა და შუშეთ 5 წუთი. უყავით ცოტა მარილი და პილპილი და მიიყვანეთ ადუღებამდე. 3-4 ცალი პომიდორი, ბადრიჯანი და ყაბაყი დაჭერით 2-3 სანტიმეტრი სისქის რგოლებად, მოაყარეთ მარილი. ფორმის ძირში მოასხით პომიდვრის სოუსის ნახევარი. მწვანილი, ნიორი და მწარე წიწაკა დაჭერით ძალიან წვრილად, ყველაფერი აურიეთ სოუსში და დაუმატეთ დარჩენილი 1 სადილის კოვზი ზეთი. სოუსში ლამაზად ჩააწყვეთ ბადრიჯანი, ყაბაყი და პომიდორი, მოასხით დარჩენილი სოუსი და ფორმას გადააფარეთ ფოლგა. გამოაცხვეთ აირღუმელში 1 საათის განმავლობაში.

# არაბული ორცხობილა











**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ჭიქა ფქვილი, 3/4 ჭიქა გამდნარი კარაქი ცომისთვის და 1,5 ჭიქა გამდნარი კარაქი (შიგთავსისთვის), 180 მილილიტრი ფორთოხლის წვენი, 70 გრამი უკურკო, მშრალი ფინიკი, 100 გრამი ნიგოზი, 20 გრამი არაქისი, 2-3 სადილის კოვზი შაქარი, 1/2 ჩაის კოვზი დარიჩინი, შაქრის პუდრი მოსაყრელად.

**მომზადების წესი:** ცომი: ფქვილი ჩაყარეთ თასში გორაკივით. ჩააღრმავეთ და ჩაასხით გამდნარი კარაქი, ფორთოხლის წვენი და ყველაფერი კარგად აურიეთ. უნდა მოზილოთ აბრეშუმივით ნაზი ცომი, ოღონდ, ხელებზე არ უნდა გეკრობოდეთ.

**შიგთავსი:** კარგად დანაყეთ ნიგოზი და არაქისი. დაუმატეთ შაქარი, დაქუცმაცებული ფინიკი, გამდნარი კარაქი და დარიჩინი.

ცომისგან დაამზადეთ მოზრდილი კაკლისოდენა ბურთულები, შუაგული ჩაუღრმავეთ და ღრმულში მოათავსეთ 1 ჩაის კოვზი ნიგვზიანი სატენი და ისევ მიეცით ბურთულის ფორმა. დააწყვეთ გამოსაცხობ ტაფაზე. თუ გნებავთ, დაუფინეთ გამოსაცხობი ქაღალდი და ცოტა კარაქი წაუსვით. გამოაცხვეთ 200 გრადუს ტემპერატურაზე, 30 წუთის განმავლობაში. ოქროსფერი რომ გახდება, მზად არის. თბილსვე მოაყარეთ შაქრის პუდრი.

# რულეტიკები










**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ქათმის ფილე (მოზრდილი ნაჭერი), 3 ცალი კვერცხი, 1 სადილის კოვზი მაიონეზი, ცოტა ბულგარული წიწაკა, სოკო, პომიდორი, მწვანილი, მარილი, პილპილი.

**მომზადების წესი:** ქათმის ფილე ჩაჭერით სიბრტყეზე და გადაშალეთ წიგნივით. დაბეგვეთ და წაუსვით პილპილი და მარილი. ცალკე მოამზადეთ ომლეტი: გათქვიფეთ სამი კვერცხი, დაუმატეთ 1 სადილის კოვზი მაიონეზი და კიდევ გათქვიფეთ. ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი ბულგარული წიწაკა, სოკო, პომიდორი, მწვანილი და ორივე მხრიდან შებრაწეთ ცოტა ზეთში. მოათავსეთ ომლეტი ქათმის ფილეზე ზემოდან. ნაპირები, რაც ზედმეტია, ჩამოაჭერით. გადაახვიეთ რულეტივით, 2-3 ადგილას მჭიდროდ შეკარით თეთრი ძაფებით, ჩადეთ წყლიან ქვაბში და ხარშეთ დაბალ ცეცხლზე 40 წუთის განმავლობაში. ამოიღეთ, გააცივეთ და მოათავსეთ მაცივარში. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მოაცალეთ ძაფები და დაჭერით.



სომელიე თეიმურაზ ბენიძე

# ბანანის ცხელი კოქტეილი შოკოლადით

**საჭირო ინგრედიენტები:** 500 მილილიტრი რძე, 1 ცალი ბანანი, 1 ცალი სუფთა, დანამატების გარეშე, შოკოლადის ფილა, ვანილი და დარიჩინი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ბლენდერით ათქვიფეთ ბანანი, მოამზადეთ პიურე, შეურიეთ შემთბარ რძეს და დადგით ნელ ცეცხლზე. პიურეში ჩაყარეთ დამტვრეული შოკოლადის ნატეხები და ურიეთ, ვიდრე მთლიანად ჩადნება. როცა ერთგვაროვან მასად იქცევა, შეურიეთ ვანილი, გაანაწილეთ ჭიქებში და მოაყარეთ დარიჩინის ფხვნილი.



# ბლინები ქათმის გულების საფენით



**საჭირო ინგრედიენტები:** ბლინებისთვის: 100 გრამი ფქვილი, 1 კვერცხი, 1 სადილის კოვზი შაქარი, 200 მილილიტრი რძე, 80 მილილიტრი წყალი, 1 სუფრის კოვზი ზეთი, მარილი – გემოვნებით; გულსართისთვის: 700 გრამი ქათმის გულები, 1 ცალი დაფნის ფოთოლი, 7 ცალი პილპილის მარცვალი, 1 ჩაის კოვზი მარილი, 2 მოზრდილი თავი ხახვი, ზეთი – შესაწვავად.

**მომზადების წესი:** ჯერ მოამზადეთ ბლინები: ფქვილსა და მარილს შეათქვიფეთ კვერცხი. რძეს შეურიეთ წყალი, შაქარი, დაუმატეთ ფქვილისა და კვერცხის მასას, კარგად გათქვიფეთ და თქვეფისას დაუმატეთ ზეთი. მიიღებთ არაჟნის კონსისტენციის მასას. ბლინები გამოაცხვეთ გახურებულ ტაფაზე. გულსართისთვის ქათმის გულები მოხარშეთ 2 ლიტრ წყალში პილპილთან, დაფნის ფოთოლთან და მარილთან ერთად, შემდეგ დააქუცმაცეთ ბლენდერში. ტაფაზე მოშუშეთ წვრილად დაჭრილი ხახვი გულების ფარშთან ერთად. ეს ყველაფერი ჩააბრუნეთ ბლენდერში, დაუმატეთ ცოტა ბულიონი და ისევ გათქვიფეთ. გულსართი გაანაწილეთ ბლინებზე, გადაახვიეთ და შეწვით ზეთში. სუფრაზე ბლინებთან ერთად ფიალებით მიიტანეთ ქათმის გულების ბულიონი.

# თევზის პიცა



**საჭირო ინგრედიენტები:** ცომისთვის: 2 ჭიქა რძე, 1 კვერცხი, 1 სადილის კოვზი შაქარი, 4 კოვზი ზეთი, 1/4 ჩაის კოვზი მარილი, 2 სადილის კოვზი მშრალი საფუარი, 1 კილოგრამი ფქვილი; გულსართისთვის: 100 გრამი გაყინული ზღვის კოქტეილი (სუპერმარკეტებში იყიდება), 200 გრამი თევზის ფილე, 100 გრამი უკურკო შავი ზეთისხილი, 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 3 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 0,5 ჭიქა გახეხილი ყველი, 2 სადილის კოვზი ხმელი რეჰანი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** 2 ჭიქა ფქვილში აურიეთ საფუარი, მარილი, შაქარი, კვერცხი და თბილი წყალი. გათქვეფილი მასა ჩაასხით ფქვილში, თან ფქვილი უმატეთ და ზეთიანი ხელებით მოზილეთ ნაზი ცომი, შემდეგ გადააფარეთ ტილო და დადგით თბილ ადგილას ასაფუებლად. ზღვის კოქტეილი და თევზის ნაჭრები 2-3 წუთი ხარშეთ მარილწყალში, შემდეგ თევზი დაჭერით პატარა ნაჭრებად. ცომი მოათავსეთ ფორმაში, ზემოდან წაუსვით ჯერ ზეითუნის ზეთი, შემდეგ – ტომატ-პასტა, ზედ დააწყვეთ თევზეული, მოაყარეთ მარილი და წიწაკა, შემდეგ დაამატეთ ზეთისხილი, გახეხილი ყველი და მოაყარეთ გამშრალი რეჰანი. პიცა გამოაცხვეთ 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში.

**„როდესაც ვხედავ ფოტოებს ან რეპორტაჟებს საქართველოზე, სვანეთზე, ჩემთვის ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ლამაზი სურათი. ვფიქრობ, როცა იქ მოვხვდები, შინაგანი „მოზაიკის" ყველა რგოლი თავის ადგილს დაიკავებს," – ეს სიტყვები მრავალი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულს, ოპერისა და მიუზიკლების რეჟისორს, მსახიობსა და მუსიკოსს, ჟორჟ დევდარიანს ეკუთვნის, ქართული ფესვების მქონე ევროპის თეატრალური სამყაროს ვარსკვლავს, რომელთან ექსკლუზიურ ინტერვიუს „თბილისელების" ამ ნომერში გთავაზობთ.**

# ვის როლს ასრულებს ჟორჟ დევდარიანი ახალ პროექტში – „სტალინგრადი" და როგორ იხსენებს ის ფრანგული კინოს ლეგენდასთან – ჟანა მოროსთან მუშაობას

**– ჟორჟ, სად დაიბადეთ, გვიამბეთ თქვენი მშობლების, ბავშვობის წლების შესახებ?**

– დავიბადე სანკტ-პეტერბურგში, სადაც საშუალო სკოლა დავამთავრე გერმანული ენის გაძლიერებული სწავლებით (მოგვიანებით გერმანული ენის ცოდნა დიდად წამადგა). ჩემი მშობლები, ალექსანდრე ზურაბის ძე დევდარიანი და ალა ქარიმის ასული მინბაევა, ერთმანეთს ლენინგრადში შეხვდნენ, როდესაც ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდნენ. ჩემში ჩქეფს ქართული, ყაზახური და რუსული სისხლი, ალბათ, ამიტომ, საკუთარ თავს ცოტათი „მსოფლიო მოქალაქედ" მივიჩნევ და, ალბათ, ამიტომაც ვგრძნობ თავს კომფორტულად ისეთ ინტერნაციონალურ ქალაქში, როგორიცაა როტერდამი. ზედმეტად მშვიდი ბავშვი ვიყავი, თუმცა, ყოველთვის ვოცნებობდი თავგადასავლებზე. საერთოდ, თავი ყოველთვის ასაკზე უფრო დიდად მიმაჩნდა, რაც, ალბათ, იმის ბრალია, რომ ჩემზე ბევრად უფროს ნათესავებთან მქონდა ურთიერთობა. ბავშვობიდან ჩამომიყალიბდა ის აზრი, რომ ოჯახი უმნიშვნელოვანესია, ნათესაობა კი განძია, რომელსაც გაფრთხილება უნდა.

**– თქვენ თავადური გვარი გაქვთ, რა იცით თქვენი წინაპრების შესახებ?**

– ძალიან ვამაყობ, რომ ამ დიდი ქართული გვარის წარმომადგენელი და ამ ოჯახის წევრი ვარ, თუნდაც მხოლოდ მამის მხრიდან. ამავე დროს, ვფიქრობ, რომ ადამიანი საკუთარი მიღწევებითა და ღვაწლით უნდა ამაყობდეს. სხვანაირად არ შემიძლია, რომ გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება ოჯახის მიმართ. ჩემს გვარში უამრავი დიდი ადამიანი იყო: სამეფო ოჯახთან დაახლოებული პირები თუ თანამედროვე ხელოვნების, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები. ჩემი სრული სეხნიაა გიორგი დევდარიანი – ცნობილი ქართველი კინემატოგრაფისტი და საერთაშორისო კინობაზებში ხშირად ვერევით ხოლმე ერთმანეთში. ჩემი კიდევ ერთი შორეული ნათესავია ცნობილი საოპერო მომღერალი გიორგი ონიანი; გარდა ამისა, როგორც ვიცი, ასევე, ნათესავად მეკუთვნის ზურაბ ანჯაფარიძე – სახელოვანი საოპერო მომღერალი და დიდი თეატრის სოლისტი. ბავშვობიდან მამაჩემი სულ მაფრთხილებდა, რომ, იყო დევდარიანი, არა მარტო დიდი პატივია, არამედ, დიდი პასუხისმგებლობაცაა, მიკრძალავდა ჩემი წარმომავლობით ტრაბახს და მეუბნებოდა, „გახსოვდეს, რომ შინაგანად თავადი ხარ".

**ჩემში ჩქეფს ქართული, ყაზახური და რუსული სისხლი და, ალბათ, ამიტომ, საკუთარ თავს ცოტათი „მსოფლიო მოქალაქედ" მივიჩნევ**

**– ხართ თუ არა ნამყოფი საქართველოში, გყავთ თუ არა აქ ნათესავები, ნაცნობები?**

– სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოვახერხე, ჩამოვსულიყავი ჩემი წინაპრების სამშობლოში, თუმცა, მჯერა, რომ ეს მოხდება. საერთოდ, მუდამ ვგრძნობ, თითქოს რაღაც მაკლია, თითქოს დაკარგული რგოლი მაქვს საკუთარი თავის და გარშემო მყოფი სამყაროს აღქმაში. მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს რგოლი ზუსტად ის არის, რასაც ფესვებს ეძახიან, სისხლის ყივილს. როდესაც ვხედავ ფოტოებს ან რეპორტაჟებს საქართველოზე, სვანეთზე, ჩემთვის ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ლამაზი სურათი. ვფიქრობ, როდესაც მოვხვდები საქართველოში, შინაგანი „მოზაიკის" ყველა რგოლი თავის ადგილს დაიკავებს. სამწუხაროდ, პირადად არ ვიცნობდი ბაბუაჩემს, ზურაბ დევდარიანს, თუმცა, მახსოვს, ბავშვობაში როგორ ვხვევდი რომანტიკულ საბურველში მას, ნამდვილ „ზღვის მგელს" (მეორე მსოფლიო ომამდე და შემდგომ პერიოდში ბაბუა მეზღვაური იყო და ბებია ლენინგრადში გაიცნო).



**ბავშვობიდან მამაჩემი სულ მაფრთხილებდა, რომ, იყო დევდარიანი, არა მარტო დიდი პატივია, არამედ დიდი პასუხისმგებლობაცაა და მეუბნებოდა: „გახსოვდეს, რომ შინაგანად თავადი ხარ"**

**– დიდი ხანია, ჰოლანდიაში ცხოვრობთ. რატომ მოგიწიათ რუსეთის დატოვება და ხომ არ გაგიჭირდათ უცხო მიწაზე თავდაპირველად დამკვიდრება?**

– განგებამ ინება ისე, რომ ადრეულ ასაკში გავხდი მსოფლიო ახალგაზრდული ორკესტრის წევრი და უამრავ ქვეყანაში მომიწია მოგზაურობა. ორკესტრში გავიცანი ჰოლანდიელი გოგონა, რომლის დახმარებითაც გადავწყვიტე სწავლის გაგრძელება ამ ქვეყენაში, მიუხედავად იმისა, რომ მოწვევები მქონდა შვეიცარიიდან და შეერთებული შტატებიდან. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, გამიჭირდა, თუმცა, ახალგაზრდული ასაკის გათვალისწინებით და მამაჩემის აღზრდის მეთოდის დახმარებით, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებზე იყო ორიენტირებული, უცებ ავუღე ალღო ყველაფერს.

**– მოგვიყევით თქვენი საცოლის, მარია ლიუდკოს შესახებ, სად და როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

– ჩვენი გაცნობის ისტორია ჩემთვის ყველაზე რომანტიკული და საყვარელი ეპიზოდია. მარია საოპერო მომღერალია და მიწვეული იყო საერთო რუსულ-ჰოლანდიურ პროექტში, რომლის ორგანიზატორები ყაზანის სახელმწიფო ოპერის თეატრი და ჰოლანდიური იმპრესარიატი – VDB იყვნენ. მარია მოცარტის ოპერა „დონ ჟუანში" დონა ანას პარტიის შესასრულებლად მიიწვიეს, მე კი შევიტყვე, რომ ოპერის დამდგმელ რეჟისორს, ცნობილ ჰოლანდიელ საოპერო რეჟისორს, დევიდ პრინსს, რუსულის მცოდნე ასისტენტი ესაჭიროებოდა, რომელსაც თეატრალური და მუსიკალური განათლება უნდა ჰქონოდა. დიდ მაესტროსთან ერთად წავედი ყაზანში, სადაც გავიცანი კიდეც მარია, რომელიც გაოცდა, როდესაც შეიტყო, რომ „ჰოლანდიელი ასისტენტი" მშვენივრად საუბრობდა რუსულად ***(იცინის)***. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. ორივე ვენდეთ ინტუიციას და მან არ გვიმტყუნა. რაღაცაში ძალიან ვგავართ ერთმანეთს, რაღაცაში – არა, რაც, ალბათ, დამახასიათებელია ხელოვანი ადამიანებისთვის. ერთმანეთს ვავსებთ და ერთმანეთის გვესმის ნახევარი სიტყვიდან. გარდა იმისა, რომ გვიყვარს ერთმანეთი და რომანტიკული წყვილი ვართ, სცენაზეც ერთად ვდგავართ. გაცნობის შემდეგ მარიამ არანჟირების კეთება დაიწყო კლარნეტისთვის, ფორტეპიანოსთვის და ამჟამად 50-მდე საავტორო არანჟირება გვაქვს. გამოვეცით დისკი „სიყვარულის ვარსკვლავი", სადაც შესულია ჩვენთვის საყვარელი არანჟირებები.

**– თქვენ კლარნეტისტი ბრძანდებით. კიდევ რომელ ინსტრუმენტებზე უკრავთ და როდიდან გაგიჩნდათ სურვილი, რომ მუსიკოსი გამხდარიყავით?**

– ბავშვობაში უამრავ პროფესიაზე ვოცნებობდი. მაგრამ, როგორც უმრავლესობა, ბოლოს მეც მსახიობობა ავირჩიე, თუმცა, მოხდა ისე, რომ მუსიკამ გამიტაცა და ყველა არსებულ ინსტრუმენტს საქსოფონი ვამჯობინე. მაგრამ, ამ ინსტრუმენტის პროფესიულ დონეზე შესწავლა არ ხდებოდა და იძულებული გავხდი, კლარნეტი ამერჩია. შემდგომ ფორტეპიანოს საერთო კურსის სწავლაც მომიწია, თუმცა, დიდად თავი არ მომიკლავს ფორტეპიანოზე მეცადინეობით და დღეს ძალიან ვნანობ ამას. სიმღერა კი არცთუ დიდი ხანია, დავიწყე. ეს მარიას დამსახურებაა, რომელიც ჩემი პედაგოგი და ყველაზე მკაცრი კრიტიკოსია. ხშირად მიწევს გამოსვლა ამერიკაში, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებული ადამიანების წინაშე, ვასრულებ ცნობილ რუსულ სიმღერებს კინოდან, ვკითხულობ მოთხრობებს და ძალიან დადებით მუხტს ვიღებ ამ ადამიანებისგან, მიჭირს იმის ახსნა, თუ რა სიამოვნებას მანიჭებს თითოეული ღიმილი, რასაც ვხედავ სცენიდან.

**– მოგვიყევით თქვენი დადგმის შესახებ სცენაზე – ოპერა, მიუზიკლები, სპექტაკლები...**

– როგორც მსახიობმა, ორი წელი ვიმსახურე ამსტერდამის შოუ-თეატრში, თუმცა, მივხვდი, რომ წინ წასვლა მინდოდა და დავიწყე თეატრალური წარმოდგენების დადგმა სეზონში რამდენჯერმე. ბოლო პროექტებიდან მინდა აღვნიშნო სპექტაკლი „სანამ შენ გეძინა", რომელიც ჩეხოვის „ალუბლის ბაღის" მიხედვით შეიქმნა. ეს სპექტაკლი ინგლისში ბრაიტონის ფესტივალის ჰიტი გახდა, წარმატება ხვდა წილად, ასევე, „ჰოლანდ ფესტივალზე" ამსტერდამში. ამ სპექტაკლში, რეჟისურის გარდა, ვასახიერებ ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს – გაევს. ჩემი სარეჟისორო დებიუტი კი ყაზანში, უკვე ნახსენებ „დონ ჟუანში" შედგა, რასაც მოჰყვა ოპერა „ტრუბადური". ამის მერე იყო რამდენიმე დამოუკიდებელი პროექტი, მაგალითად, პეტერბურგელი კომპოზიტორის, ანდრეი ტიხომიროვის ოპერა-თრილერი – „დრაკულა", რომელიც

**(გაგრძელება 53-ე გვერდზე)**

41-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 27 მარტი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები/ 17.00 "გურმანია" 18.00 "პეპე და მეგობრები" 105-ე გადაცემა 19.05 ტ/სერ **"ხმა წარსულიდან"** 21.00 ტ/სერ **"მიმინო"** 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 მხ/ფ **"საწვრთნელი დღე"** (დ.ვაშინგტონი) 01.20 დ/ფ "ყურანის ისტორიის სათავეებთან".

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 13.00 სერ. "24 – 6" 14.40 დოკ/ფ "შობის ბრწყინვალე დღესასწაული" 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 მხ/ფ **"ლამაზი მერის ამბავი"** (კ.დიასი) 00.30 მხ/ფ **"ქაღლური ცხოვრება"** (მ.ფრიმენი) (ტიტ.) 02.10 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ძალა"** 22.00 ნანუკას შოუ. 23.30 სერ **"გმირი"** 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ- შოუ "სუბიექტური აზრი" 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ-შოუ - "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 ნიამორი 06.50 დოკ/ფ "ველური ბუნება" 07.15 დოკ/ფ "იერუსალიმის ქვა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 დოკ/ფ "უჯარმის პატარა სახლი" 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დროის ჩანაწერები 13.25 ქრისტიანული სწავლება 13.40 კონცერტი - ანს. "რუსთავი" 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დოკ/ფ "სულიკო" 16.50 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"მე ვხედავ მზეს"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ქართული ალბომი 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პირველშეწირული წირვის განმარტება მამა ბიძინა გუნია 23.30 დოკ/ფ "წმინდა ანტონის სავანე" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"პიანისტი"** I ნაწ.

## ხუთშაბათი 28 მარტი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "ანტიკური მსოფლიო" 17.00 "ჩვენი ფერმა" 17.30 "AGVA - GEORGIA" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"ხმა წარსულიდან"** 21.00 დ/ფ "გრან-პრი" 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" 00.00 მხ/ფ **"ჩვენ ერთი გუნდი ვართ"** (მ.მაკკონახი).

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 13.00 სერ. "24 – 6" 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 15.35 რომ გადახვალ, გაიჩერე 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 მხ/ფ **"მისტერ და მისის სმითები"** (ბ.პიტი) 00.35 მხ/ფ **"ამერიკელი ცოლი"** (ჯ.ბილი) (ტიტ.) 02.10 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ძალა"** 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ- შოუ "სუბიექტური აზრი" 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ– შოუ - "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მხ/ფ **"პიანისტი"** I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ "წმინდა ანტონის სავანე" 11.00 მოკ/ფ **"ბავშვები"** 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ **"მე ვხედავ მზეს"** 13.35 კონცერტი - პაკო დე ლუსია 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 მხ/ფ **"მთვარის მოტაცება"** 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"დიდედები და შვილიშვილები"** 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.20 შაბათის სახარების განმარტება 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ **"ადგილის დედა"** 23.35 დოკ/ფ "მთასაყდარი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"პიანისტი"** II ნაწ.

## პარასკევი 29 მარტი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" 17.00 დ/ფ "ისტორიის შექმნა/ – ნოსტრადამუსი 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"ხმა წარსულიდან"** 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00 "აქცენტები" 23.30 "წითელი ზონა" 00.30 მხ/ფ **"ღირსების სასამართლო"** (ტიტ.).

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 13.00 სერ. "24 – 6" 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 მხ/ფ "ეროტიული" 01.40 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ძალა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10,

**10.15** მაღვიძარა(დილის პროგრამა) **11.30, 22.00, 0.55** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15, 4.00** თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0.30** თოქ- შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30, 1.20** თოქ–შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ **"პიანისტი"** II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.45** მოკ/ფ **"ადგილის დედა"** **11.05** დოკ/ფ "რაინდები" კარტოზია **11.40** ქრისტიანული სწავლება **12.05** ამინდი **12.10** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ **"დიდედები და შვილიშვი-ლები"** **13.30** კონცერტი - ლუჩანო პავაროტი **14.50** მართლმადიდებ-ლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დეკორატიული ფლორა **16.05** დიდი მარხვის სამოცი-ქულო სახარების განმარტება - გ. სარია **16.20** მხ/ფ **"მაია წყნეთელი"** **18.05** დოკ/ფ "წმინდა აღმსარებელი ამბროსი ხელაია" **18.35, 23.15** ფოტოგალერეა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ერთი ცის ქვეშ"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** ჩვენი ფონდი **22.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **22.20** დიდი მარხვა **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.15** ირაო.

## შაბათი 30 მარტი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **09.30** საბავშვო ან/ფ " საოცარი მისტერ ბარნანდერი" **11.00** "ეთნოგრაფიული ნარკვევები" **11.30** საბ. ტ/სერ **"პირველყოფილი"** **12.00, 16.00, 20.00, 01.50** "მოამბე" **12.30** "AGVA-GEORGIA" **13.00** ქართ. ტ/ფ **"გელა 14.00 კალათბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა: **"ოლიმპი"** – **"რუსთავი"** (პ/რ) **16.30** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.00** "აღმოაჩინე საქართველო" **17.30** დ/ფ "რუკების სილამაზე" **18.00** "ეტალონი" **19.00** "გურმანია" **21.00** "ევროვიზიის დღიური" **21.30** დ/ფ "ფოტორ" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ოკუპაცია **23.00** "ახალი ქართული კინო" **23.30** მხ/ფ **"რევერს"** **00.30** მხ/ფ **"ცეცხლოვანი კედელი"** (პ.ფორდი).

**07.35** ან/ფ "სალადინი" **08.35** ან/ფ "ჰოულის მოსიარულე სასახლე" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან.ფ. "ავატარი" **12.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** **13.00** იუმორინა **14.20** მხ/ფ **"მარტოდ შინაური"** **16.00** სერ. **"ყინული"** **3** სერ. **17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტო-სული"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ **"ბობი "ზის" სიკვდილი და ცხოვრება"** (პ.უოქერი) **01.45** მხ/ფ **"უცხოები"** (ლ.ტაილერი) (ტიტ.) **03.10** მუსიკა.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** სერ. **"კლუბი"** (ს2) **10.30** შერეკილები **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **13.30** ქართ. მხ/ფ **"მაისის თოვლი"** **15.30** სერ. **"სიყვარული და საიდუმლო"** **16.30** "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ. **"ერთგულების ძალა"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** რა? სად? როდის? **00.00** პოკერის ტურნირი **00.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.00** "Latin Angels" **02.00, 04.30** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 1.00, 3.00, 5.00, 5.55** ახალი ამბების კოლაჟი **7.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 16.35, 17.25, 18.45, 19.10, 21.40, 0.30, 4.30, 5.25, 6.20** უცხოეთის ამბები **8.30** კვირის არგუმენტები (გამ) **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.30, 13.05, 14.05, 16.05, 17.05** ყოველდღიური აბები (გამ) **12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 6.55** უკომენტაროდ+ამინდი **13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00** ამბები მოკლედ **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **20.10, 1.30** სტუდია მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 2.00** "პრეს-პრესი" **23.00, 3.30** "ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.40** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ **"ერთი ცის ქვეშ"** **13.35** ქრისტიანული სწავლება **13.45** დოკ/ფ "ფარაონის მორჩილნი" **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **14.55** შვიდ გზის ლოცვა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ოპერა-"ჯადოსნური ფლეიტა" **18.10** ფოტოგალერეა **18.15** დოკ/ფ "გარდაცვალება,ახალი სიცოცხლის და-საწყისი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვნების სალონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** "კარაბადინი" **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან **22.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.30** მხ/ფ **"რიგითი რაიანის გადასარჩენად"**.

## კვირა 31 მარტი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.20** საბ/ფ **"ფიქრები თავისუფლებაზე"** **10.00** "ეტალონი" **11.00** "ჩვენი ექსპრესი" **11.30** საბ. ტ/სერ **"პირველყოფილი"** **12.00, 16.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სპექტაკლის დრო" – ს. ახმეტელის თეატრის სპექტაკლი: "მილიონერის ვიზიტი" **16.30** "ჩვენი ეზო" **17.30** "ვაშინგტონი დღეს" **18.00** მხ/ფ **"ოსტინ პაუერსი: ჯაშუში რომელმაც შემაცდინა"** (მ.მაიერსი) **19.30** შოთა მილორავა – 85 **21.00** "საჯარო პოლიტიკა" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ოკუპაცია **23.00** "აღმოაჩინე საქართველო" **23.30** "უცნობი მუსიკა" **00.30** კონცერტი **01.30** მხ/ფ **"აბრეშუმი"** (ტიტ.) (კ.ნაიტლი).

**07.35** ან/ფ "სალადინი" **08.35** მხ/ფ **"ხელმწიფის სახელით"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** **13.00** იუმორინა (გ/ჩ) **14.20** ქ.მხ/ფ **"სიყვარული ყველას უნდა"** **16.00** სერ. **"ყინული"** **2** სერ. **17.15** საქველმოქმედო მარათონი **21.00** გალფის გათამაშება (პ/ე) **21.15** ღამის შოუ **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** რომ გადახვალ, გააჩერე **23.25** MTV-ის ვიდეო კლიპების დაჯილდოების ცერემონია **01.20** მხ/ფ **"მზის ბნელი მხარე"** (ბ.პიტი) (ტიტ.) **03.00** მუსიკა.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** სერ. **"კლუბი"** **10.30** შიშის ფაქტორი **12.00, 15.00, 18.00, 04.00** კურიერი **12.30** დოკ/ფ (ფრაგმენტი) **13.30** ქართ. მხ/ფ **"რეკორდი"** **15.30** სერ. **"სიყვარული და საიდუმლო"** **16.30** პროფილი (გ/ჩ) **19.00** ეკი ვოკი **20.00** იღბლიანი ბორბალი **21.00** P.S. **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** კომედი შოუ **00.00** კარდაშიანების ოჯახი (ს2) **01.00** ტოპ გოგო (გ/ჩ) **02.00, 04.30** მხ/ფ.

**7.00, 23.00, 0.00, 1.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბების კოლაჟი **7.30, 12.30, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 0.25, 2.30, 3.30, 4.30, 5.30, 6.30** უცხოეთის ამბები **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 6.55** უკომენტაროდ+ამინდი **13.00** პრეს-პრესი (გამ.) **14.00, 16.00, 17.00, 20.00** ამბები მოკლედ **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.05** "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ.) **17.05** მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00, 1.30** დისკუსია - სტუდია "რე" **20.10, 23.25** ღია კარის დღე **21.00** ახალი ამბები **9** საათზე.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 22.55, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.45, 21.35** ლექსით ქებათა ქება **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ **"ლომა"** **13.30** ქართული მულტფილმები **13.55** დიდი მარხვა **14.30** კარაბადინი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.25** მგზავრები წუთისოფლისა **15.50** ერთსულოვნების სალონი **16.35** ეპოქის სახელები **17.00** დოკ/ფ "რაინდები" ვ.ბალავაძე **17.20** სღვთისმეტყველო საუბრები **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.30** დროის ჩანაწერები **19.40** მხ/ფ **"მოცურავე"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **21.40** "კვირიაკე" **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **23.40** დრო და ადამიანები **00.10** პატრიარქის ქადაგება **00.35** მხ/ფ **"რას ოთარი წავიდა"**.

**დიზაინერი მარინა ხორავა ყოველთვის გამოირჩევა სხვადასხვა საკითხისადმი განსხვავებული მიდგომით, აზრით და, რაც მთავარია, ნებისმიერ საქმეში, თუნდაც ოჯახის წევრებთან ურთიერთობაში, საკუთარი, საინტერესო ხელწერა აქვს. ცოტა ხნის წინ მან ბალანჩივაძის ქუჩა №12-ში საკუთარი, სალონური ტიპის სახელოსნო გახსნა, სადაც მოდელიერის პროფესიის შესწავლის მსურველები სრულფასოვან ცოდნას იღებენ. მოდელიერის პროფესიის დაუფლებასთან ერთად, სალონში ბევრი სხვა რამის სწავლა და გაგებაც არის შესაძლებელი, თანაც, კომფორტულად, ფინჯან ჩაიზე საინტერესო საუბრებით.**

# რატომ არის მარინა ხორავა „დედა ტერეზა“ და როგორ კეთდება ზვიად ციკოლიას საათები შვეიცარიაში უმაღლეს დონეზე

**მარინა ხორავა**: წლების წინ მქონდა ნაფიქრი, ანუ, 15 წლის წინაც მქონდა სურვილი, რომ გამეკეთებინა ჩემი სახელოსნო, რომლის კარი დღეს უკვე გავაღე იმათთვის, ვისაც აქვთ სურვილი, იცოდნენ, როგორ კეთდება ტანსაცმლის დიზაინი. მე ამის კვალიფიკაცია მაქვს და ჩემი შემოქმედებითი ბიოგრაფიაც მაძლევს ამის უფლებას. დრო, რომელიც სწავლისთვის დავაწესე, არის: კვირაში სამი დღე, საათ-ნახევარი-ორი საათი, მაგრამ, ჩვენ ვსხედვართ 4 საათის განმავლობაში. სწავლის პარალელურად, ყველანაირ თემაზე ვსაუბრობთ, განვიხილავთ ცხოვრებისეულ თემებს, თუმცა, აქცენტს მაინც უფრო გემოვნებაზე ვაკეთებ. არ მაქვს იმის პრეტენზია, რომ განსაკუთრებული გემოვნებით გამოვირჩევი, უბრალოდ, ვცდილობ, ისინი სწორი მიმართულებით წავიყვანო. ჩემთან ნებისმიერი ასაკისა და პროფესიის ადამიანი ზის, ერთმანეთის აზრს ვუსმენთ და ვსაუბრობთ, პარალელურად კი სწავლობენ სამ საგანს: კომპოზიციების ხატვას, ჭრა-კერვასა და კონსტრუირებას. რაც მთავარია, ისინი პოტენციური მოდელიერები არიან, რადგან, ნამდვილი ცოდნა ექნებათ იმ საქმის, რა საქმესაც ხელს მოჰკიდებენ – ისინი საკუთარი სალონების გახსნას გეგმავენ. რაც მთავარია, სამივე საგანს ნაჩუქარ ფასში ვასწავლი – ეს იყო ჩემი სურვილი, თუმცა, დამცინიან მეგობრები და ახლობლები, მეუბნებიან, რომ ეს ენთუზიაზმის დონეზეა და მე არ უნდა ვიყო „დედა ტერეზა“. მაგრამ, ჩემს მიზანს ვემსახურები და ასე მიმაჩნია საჭიროდ.



**როგორც ამიხსნეს, კაცური ხელი მაქვს, დღეს ამას მეც ვხედავ, ანუ, აბსოლუტურად თავისუფალი ხელი მაქვს, სხვა ხელწერა, არაქალური. უცხოეთშიც რომ ვმუშაობდი, იტალიელები გაკვირვებულები იყვნენ – ეს ქალის ხელიაო?!**

**– ზოგადად, სხვა საკითხებშიც ხარ დედა ტერეზა?**

– ოჯახში ყველა ქალი უნდა იყოს დედა ტერეზა. ქალმა ქალის საქმე უნდა აკეთოს, კაცმა – კაცის, მოვალეობები უნდა ჰქონდეთ განაწილებული. თუმცა, „დედა ტერეზობა“ გარკვეულ დრომდე უნდა იყოს, რადგან, შვილები არ უნდა მიეჩვიონ, რომ შენ მუდმივად მათი დედა ტერეზა ხარ, თორემ, 40 წლის ასაკშიც ასე იფიქრებენ. ზოგადად, როდესაც შემიძლია რამის გაკეთება, არასდროს ვიხევ უკან და არც ვაპირებ. ოღონდ, ამას სიამოვნებით ვაკეთებ, ეს არავის მოუთხოვია და არც უთხოვია. შეიძლება, რაღაც საკუთარ თავს არ გაუკეთო, მაგრამ, სხვას თუ არ გაუკეთებ – ეს მერე მთელი ცხოვრება ცოდვასავით დაგაწვება მხრებზე – მე ასეთი შეგნებით ვუდგები ყველაფერს და ასე მოვდივარ. თუ სადმე ვიქნები საჭირო როგორც დედა ტერეზა და, მეც ჩავთვლი საჭიროდ, რომ იქ უნდა ვიყო, უკან არ დავიხევ. ჩემი საქმე იმდენად მიყვარს, ისე ვარ შეჩვეული, რომ ეს პროფესიად არ მიმაჩნია. ამიტომაც, მინდა, რომ ეს სხვებმაც გაითავისონ, მიიღონ ცოდნა. თან, ახლა საგაზაფხულო მიღებას ვაცხადებ. რაც მთავარია, ჩემთან სწავლების სალონური სტილია და ყველა ერთად ვისვენებთ. სხვათა შორის, ახლა ხომ იწყება საბანკეტო სეზონები და მე აუცილებლად მივიღებ საპატარძლო და საბანკეტო კაბებზე შეკვეთებს – ეს ერთგვარი პრაქტიკაც იქნება ჩემი სტუდენტებისთვის.

**– ზვიკო თქვენი ხშირი სტუმარია? თუ გიბამს მხარს ამ საქმეში?**

– ჩემთვის ყველაზე დიდი მხარის აბმა ის არის, რომ ხელი არ შემიშალოს არაფერში. ჩემი საქმიანობით არავის ვაწუხებ, ოჯახს ყურადღება არ აკლდება. პირიქით, ოჯახის გამო უფრო დაზარალებულა ჩემი საქმე, რადგან შვილები და ოჯახი მთავარია ნებისმიერი ადამიანისთვის. თან, აქ კვირაში სამი დღე ვარ, ფაქტობრივად, ვხმარდები ოჯახს. ზვიკო ხშირად მოდის, გვესწრება. გადაწყვეტილი მაქვს სახელოსნოში სტუმრების, კომპეტენტური ადამიანების მოწვევა და სია უკვე შევადგინე. რა თქმა უნდა, სათავეში ზვიკოა. ისინი შეხვდებიან ჩემს მოსწავლეებს და თავიანთ განვლილ გზაზე ესაუბრებიან, გამოცდილებას გაუზიარებენ. გარდა ამისა, ვაპირებთ გამოფენის გაკეთებას, კრეატიულ იდეებს დავდებთ, ეს იქნება პერფორმანსი – ცოტა ფილოსოფიური.

**– საინტერესოა იმ პერიოდის გახსენება, როდესაც შენ სწავლობდი ამ ყველაფერს.**

– მე არ მივლია მასწავლებლებთან, პედაგოგების ნასწავლი მხატვრობით არ ჩამიბარებია აკადემიაში, ჩემით მოვემზადე. არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ, პრინციპების ადამიანი ვარ და ჩემით ვაკეთებ გასაკეთებელს. არ მინდოდა, ჩემი მშობლები დამეხარჯა და, მინდოდა, ჩემს მიზნებთან თავად მქონოდა შეხება. გამოფენებზე დავდიოდი, აკადემიაში და ასე ჩავაბარე აკადემიაში. მაშინ გამოცდებამდე გასაუბრება უნდა გაგევლო და ნამუშევრებით უნდა მისულიყავი. სულ მეკითხებოდნენ – ვისთან ემზადებიო, რადგან, როგორც ამიხსნეს, კაცური ხელი მაქვს და დღეს ამას მეც ვხედავ. ანუ, აბსოლუტურად თავისუფალი ხელი მაქვს, სხვა ხელწერა, არაქალური. უცხოეთშიც რომ ვმუშაობდი, იტალიელები გაკვირვებულები იყვნენ – ეს ქალის ხელიაო?

**– როდის მუშაობდი მათთან?**

**არ ვიცი, ეს რამდენად კარგია, მაგრამ, პრინციპების ადამიანი ვარ და ჩემით ვაკეთებ გასაკეთებელს. არ მინდოდა, ჩემი მშობლები დამეხარჯა და მინდოდა, ჩემს მიზნებთან თავად მქონოდა შეხება**

– ბუდაპეშტში ვიყავი სტაჟირებაზე – ეს სტაჟირებაც გათვლილი მქონდა და, საერთოდ, 16 წლიდან გავთვალე ჩემი გზა და მივაღწიე იმას, რაც მინდოდა. უბრალოდ, ის ვერ გავთვალე, რომ აირეოდა ცხოვრება, ქვეყანა ამოყირავდებოდა, თორემ, ბევრად კარგად იქნებოდა ყველაფერი. ბუდაპეშტში საკმაოდ სერიოზულ საწარმოში ვმუშაობდი. იტალიელებს სურდათ, რომ მათთან წავსულიყავი სამუშაოდ, ამერიკელებსაც უნდოდათ ჩემთან მუშაობა. მაგრამ, მაშინ რუსეთის საელჩოს ვეკუთვნოდით და ისე დამბლოკეს რუსებმა – ჩვენი მოდელიერი ჩვენთან უნდა დარჩესო, რომ, არც გამიგია. მოგვიანებით შევიტყვე ამის შესახებ. თურმე, ასეთი მოთხოვნა ყოფილა მაშინ ჩემზე და არ ვიცოდი. ბედის ამბავიც იყო... ზვიკო ამბობს ხოლმე: კიდევ კარგი არ დარჩი, თორემ, ხომ ვერ შევხვდებოდით ერთმანეთსო. თუ ბედი იყო, ჩვენ უცხოეთშიც შევხვდებოდით ერთმანეთს.

საერთოდ, ძალიან რეალისტი ვარ, იმავდროულად – მეოცნებეც და, ვიცი, რომ ოცნებები სრულდება, რადგან, შევხებივარ ჩემს ასრულებულ ოცნებებს. ისიც ვიცი, რომ, როცა რაღაცას შენი ფანტაზიით წარმოიდგენ, მატერიალიზდება პიროვნების, სიტუაციის სახით. მეოცნებეც ვარ, ფანტაზიორიც და ეს მეხმარება, რადგან, რეალობა ყოველთვის არ არის ლამაზი, ამიტომ, ჩემი ფანტაზიებით ვშველი, ვალამაზებ და ვარწმუნებ საკუთარ თავს, რომ დავიჯერო არარსებული რაღაცეები. მე და ზვიკო ერთმანეთისგან ძალიან განვსხვავდებით ემოციებით, სხვადასხვა ადამიანები ვართ. უბრალოდ, მორალთან დაკავშირებით გვაქვს ერთნაირი შეხედულებები, ისევე, როგორც ბავშვების აღზრდასთან – ამ საკითხში ერთ პლატფორმაზე ვდგავართ. ჩვენს ურთიერთობაში მთავარია მორალური, აღზრდის მხარე, ოჯახის პატივისცემის მომენტი, თორემ, შეხედულებები ყველაფერზე სხვადასხვანაირი გვაქვს, საერთო ხშირად არაფერი გვქონია ხოლმე. ის უფრო ფეთქებადი და ემოციურია, მე კი შემიძლია, ფეთქებადი სიტუაცია მშვიდად დავალაგო.

**– რას აკეთებს ამჟამად ზვიკო? მისი გაკეთებული საათები ძალიან ლამაზია, ისევე, როგორც სხვა ნამუშევრები.**

– ამჟამად დაუსაქმებელია, აკეთებდა დიზაინის საერთაშორისო ინსტიტუტს, რისთვისაც ნომერ პირველი დიზაინერები ჩამოიყვანა. მაგრამ, ამჟამად ეს საქმე შეჩერებულია. თუმცა, იმედია, გაგრძელდება, რადგან, ეს ინსტიტუტი ქვეყნისა და მომავალი თაობის საკეთილდღეოდ კეთდებოდა. სხვათა შორის, აპირებს ბრენდის გააკეთებას, რომელსაც ერქმევა „მარინა“. ეს იქნება აქსესუარების ბრენდი – საათები, ბეჭდები. სანამ საათებს გააკეთებდა, სულ ვეუბნებოდი, შენ საათებში ნამდვილად გაგიმართლებს-მეთქი და ასეც მოხდა – პრიზი საათებში აქვს აღებული. ქვეყანას ამდენი საათი გაუკეთა, უცხოეთსაც და, საერთოდ, ამ საქმეში უმართლებს. თანხობრივად ისე არა, მაგრამ, წარმატებულად შედის ბაზარზე. ისიც ნათქვამი მაქვს, როდესაც „მარინას“ გააკეთებ, აუცილებლად გაამართლებს-მეთქი. საათები შვეიცარიაში კეთდება, ეს სახელმწიფო საათები იყო, თავდაცვას, პრეზიდენტს, ქვეყანას ეკუთვნოდა. უმაღლეს დონეზეა გაკეთებული, კეთდება ცოტა რაოდენობით და მთლიანად იყიდება. მაღაზიაში რაც იდო, ორ კვირაში გაიყიდა. როცა ქართველები ყიდულობენ და უკეთიათ, ეს უკვე დიდი წარმატებაა.

**– შენ არ გაქვს მისი გაკეთებული საათი?**

– პირველი საათი შვეიცარიაში შეუკვეთა და ზედ აწერია ჩემი დაბადების წელი, თვე, რიცხვი და წარწერა, რომ მე მეკუთვნის. თვითონ გამიკეთა ხელზე. მოკლედ, მისი პირველი მომხმარებელი მე ვიყავი. უბრალოდ, ამჟამად საქართველოში მისი ყველა პროექტი გაჩერებულია და, შესაბამისად, ზვიკოც გაჩერდა. იმედია, ამუშავდება, რადგან, გვინდა, აქ ვაკეთებდეთ ყველაფერს, ჩვენს სახლში, თორემ, სხვაგან გასაკეთებელი ადგილი ყოველთვის გამოჩნდება...

**ნათია უტიაშვილი**

**„მაესტროს“ მომხიბვლელი წამყვანი ნინო თოლორდავა პროფესიით უცხო ენების სპეციალისტია. ის, შეიძლება ითქვას, შემთხვევით მოხვდა ტელევიზიაში წამყვანად, რის შემდეგაც მიხვდა, რომ ეს მისი საყვარელი საქმეა და თავისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა ტელესამყაროს.**

# საიდან ვერ გამოდის ნინო თოლორდავა, რა იყო ყველაზე ცუდი აზრი მის ცხოვრებაში და როდის არის ის ზედმეტად თვითკრიტიკული



ის, რაც დღეს ჩემს ცხოვრებაში ხდება, ძალიან მომწონს და კმაყოფილი ვარ. იმ ადამიანების კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომლებიც მცირედითაც კმაყოფილდებიან, ყოველთვის ათასი აზრი მომდის თავში და მინდება მათი განხორციელება

**– როგორ მოხვდით ტელეკომპანია „მაესტროში?“**

– როდესაც წამოვედი „საზოგადოებრივი მაუწყებლიდან“, შემოთავაზება მივიღე ტელეკომპანია „მზიდან“, რომელიც მაშინ იწყებდა არხად ჩამოყალიბებას, მაუწყებლობას ანახლებდა – შეიძლება ასეც ითქვას. როდესაც მივიღე შემოთავაზება, რა თქმა უნდა, დავთანხმდი, რადგან, იქ ისეთი გუნდი გეგმავდა ამ ყველაფრის გაკეთებას, რომ ამაზე უარის თქმა, უბრალოდ, არ შეიძლებოდა. მოლაპარაკებები დავასრულეთ, თავი უკვე წარმოვიდგინე ამ კომპანიაში. ამის შემდეგ მოხდა ისე, რომ შეფერხდა ტელეკომპანიის გაკეთება და, შესაბამისად, ჩვენი მოლაპარაკებაც ჩაიშალა. ეს ჩემი მიზეზით ნამდვილად არ მომხდარა. გარკვეული პერიოდის შემდეგ „მაესტროდან“ მივიღე წინადადება, რომელსაც, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ყოველთვის ძალიან დიდ პატივს ვცემდი ამ არხს, ჩვენს ოჯახში ტელევიზორში მუდამ ეს არხი იყო ჩართული. არა მხოლოდ ახლა, მანამდეც ყოველთვის „მაესტროს“ ვუყურებდით.

**– საინფორმაციო გადაცემის წამყვანობა საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლოა. როგორ უმკლავდებით იმ სირთულეებს, რომლებიც აქ მუშაობას ახლავს?**

– ტელევიზიაში მუშაობა ადვილი ნამდვილად არ არის, თუმცა, როცა, შედიხარ ამ სფეროში, სოციუმში რომ შეხვალ, იქიდან ველარ გამოდიხარ და არც გინდა გამოსვლა. როგორც კი წარმოვიდგინე, რომ ჩემი სატელევიზიო კარიერა შეიძლება იმ დღეს დასრულებულიყო, როცა მე საზოგადოებრივი მაუწყებლიდან წამოვედი, ეს იყო ყველაზე ცუდი აზრი ჩემს ცხოვრებაში. ამ პერიოდში მქონდა ორთვიანი წყვეტა. სატელევიზიო ეთერს რომ არ დავბრუნებოდი, ჩემთვის სერიოზული ტრაგედია იქნებოდა. ჩათრევა იცის ამ სფერომ. იმდენად მიყვარს ტელევიზია, რომ ვერ წარმომიდგენია თავი მის გარეშე. სირთულეები, რა თქმა უნდა, ახლავს აქ მუშაობას – გამუდმებით დატვირთულ რეჟიმში ხარ, მაგრამ, როცა ეს საქმე გიყვარს, დრო თავისით მიფრინავს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გეზარებოდეს შრომა, რადგან, ტელევიზიაში მუშაობა უაღრესად შრომატევადია. ძალიან დიდი ადრენალინი გამოიყოფა ეთერში ჯდომის დროს. კვლევებიც არსებობს ამის შესახებ: პილოტს რა დოზითაც გამოეყოფა ადრენალინი, დაახლოებით თანაფარდია ტელეწამყვანის მუშაობასთან. ძალიან ბევრს შრომობ, ფაქტობრივად, ერთი წამისთვის: გამოხვალ ეთერში, იტყვი და – დამთავრდა, ამის შემდეგ კი იწყებ შრომას მეორე გადაცემისთვის. მუშაობ უწყვეტ რეჟიმში, მაგრამ, თუ ამას გაითავისებ, ყველაზე მაგარი საქმეა მთელ მსოფლიოში.

**– კრიტიკული ხართ საკუთარი თავის მიმართ?**

– საკუთარი თავის მიმართ ძალიან კრიტიკული ვარ, ზოგიერთ მომენტში ზედმეტად კრიტიკულიც კი და მერე ეს თვისება სულ მტანჯავს. როდესაც ჩემს თავს ვუყურებ ეკრანზე, ძალიან ბევრი რაღაც არ მომწონს, ეს ძალიან მაწუხებს ხოლმე და მერე ბევრს ვმუშაობ საკუთარ თავზე, რაც ძალიან მთრგუნავს, მძაბავს და დიდ დისკომფორტს განვიცდი. სხვებისგანაც ვიღებ კრიტიკას ძალიან ჯანსაღად, თუმცა, დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ მეტყვის კრიტიკულ აზრს, რამდენად კომპეტენტური და ჩემთვის ავტორიტეტულია ის პირი, რომელიც შენიშვნას მაძლევს. ზოგჯერ, შეიძლება, ის ადამიანი სულაც არ იყოს ავტორიტეტული, მაგრამ, მისი აზრი ძალაუნებურად მაინც ილექება ჩემს თავში. ჩემი შვილი არის ჩემი პირველი კრიტიკოსი – ყოველთვის მაძლევს შენიშვნებს: ხან პიჯაკის ფერი არ მოსწონს, ხან – ტუჩსაცხი. ძალიან კარგი გემოვნება აქვს, ამიტომ, ხშირად ვუჯერებ ხოლმე *(იცინის).*

**– დამოუკიდებელი ადამიანი ხართ? გადაწყვეტილებებს ყოველთვის თავად იღებთ, თუ, ამ შემთხვევაშიც ითვალისწინებთ სხვის აზრს?**

– არიან ადამიანები, რომელთა აზრი ძალიან მაინტერესებს. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ადამიანი, ვის აზრსაც ყოველთვის ვიზიარებ და დიდ პატივს ვცემ, არის ჩემი მეუღლე. არასდროს მიმიღია გადაწყვეტილება ისე, რომ მისი აზრი არ გამეგო, მაგრამ, საბოლოო გადაწყვეტილებას ყოველთვის თვითონ ვიღებ. ტელევიზიაში მუშაობა, მოგეხსენებათ, არის ძალიან სპეციფიკური სამუშაო. აქ არ არის – „დაგავალეს და შეასრულე“. შენ ხარ პასუხისმგებელი შენს ტექსტებზე და, შესაბამისად, შენს გადაწყვეტილებებზე პასუხს თვითონ აგებ.

**– პირადი ცხოვრებისა და სამსახურის ერთმანეთთან შეთავსება ადვილად გამოგდით?**

– მე პარალელურად ვსწავლობ კიდეც – სადოქტოროს ვწერ. საერთოდ, დაკვირვებული ვარ, როცა მეტი დრო მაქვს, ვერაფერს ვერ ვასწრებ ხოლმე. საზოგადოებრივი „მაუწყებლიდან“ წამოსვლის შემდეგ ორი თვე არსად ვმუშაობდი და

> **ზოგიერთ რაღაცაში ცოტათიც ვკმაყოფილდები. მაგალითად, დასვენებას რაც შეეხება, ვკმაყოფილდები მინიმალური დასვენებით, რათა მაქსიმალური მივიღო ცხოვრებისგან. ზედმეტად მაქსიმალისტი ვარ**

საერთოდ ვერაფერს ვერ ვასწრებდი. ახლა, როცა დაკავებული ვარ, ვმუშაობ, უფრო ვახერხებ დროის სწორად განაწილებას: დღისით სამსახურში ვარ, ღამით, ბავშვი რომ დაიძინებს, შემდეგ მე და ჩემი მეუღლე ვსაუბრობთ, ვჭორაობთ და, ბოლოს, გვიან, მშვიდად ვჯდები და ვმუშაობ ჩემს სადოქტოროზე. ამ ყველაფერს ვერ ვაკეთებდი, როცა არ ვმუშაობდი – ვერ ვხვდებოდი, როგორ მიდიოდა დრო, ვერასდროს ვერ ვასწრებდი ვერაფერს. დრო გადიოდა უაზროდ და წამებში. რაც უფრო მძიმე გრაფიკი მაქვს, მით უფრო გამომდის ყველაფერი. ვცდილობ, დავახარისხო, რომ დრო ტყუილად არაფერში დაიხარჯოს.

**– დატვირთული დღის რეჟიმის მიუხედავად, დასვენებას ახერხებთ?**

– ძალიან დიდი სიამოვნებით ვახერხებ და სიხარულით ველოდები ხოლმე შაბათ-კვირას. მე და ჩემი მეუღლე მეგობრებთან ერთად მივდივართ ხოლმე სადმე გასართობად ან ბავშვი მიგვყავს კინოში. კარგ ამინდში კუს ტბაზე დავდივართ სასეირნოდ. დასვენებას ნამდვილად ვუთმობ დროს – ეს რომ არ იყოს, მაშინ, რისთვის ვცხოვრობთ საერთოდ?! ჩემთვის ყველაზე კარგი განტვირთვის საშუალებაა ზაფხულში აუზი, მეგობრებთან ერთად გარუჯვა. ზამთარში ვცდილობთ ხოლმე, თხილამურებით ვისრიალოთ შაბათ-კვირას. კიდევ ერთი განტვირთვის საშუალება არის შოპინგი – ვგიჟდები, ისე მიყვარს. პატარა თმის სამაგრის ყიდვაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და განწყობას მიმაღლებს.

**– დიასახლისობისთვის თუ გრჩებათ დრო?**

– კი, მრჩება ხოლმე დრო. მყავს დამხმარე, რომელიც ყველაფერში მეხმარება, მაგრამ, ვცდილობ, მე თვითონ გავაკეთო ბევრი რამ ოჯახში. ყველაფერს ვაწკრიალებ ხოლმე *(იცინის).* ჩემი შვილი უკვე დიდია, გაკვეთილების ჩაბარება ყოველ ჯერზე არ არის საჭირო, თუმცა, ყურადღება სჭირდება. ბიჭია და, ვფიქრობ, რომ სულ კონტროლის ქვეშ უნდა იყოს.

**– ოჯახი, სამსახური, სწავლა, დასვენება... როგორც მომიყევით, ყველაფერს ახერხებთ. მგონი, ყველაფერი იდეალურად არის თქვენს ცხოვრებაში.**

– მთლად ასეც, ალბათ, არ არის, მეპარება ხოლმე რაღაცეები *(იცინის).* იდეალურისგან ყოველთვის შორს არის ყველაფერი. გვინდა ხოლმე, მივიდეთ იდეალურამდე, მაგრამ, ადვილი ნამდვილად არ არის. ზოგიერთ რაღაცაში ცოტათიც ვკმაყოფილდები. მაგალითად, დასვენებას რაც შეეხება, ვკმაყოფილდები მინიმალური დასვენებით, რათა მაქსიმალური მივიღო ცხოვრებისგან. ზედმეტად მაქსიმალისტი ვარ.

**– ძალიან აქტიური ქალის შთაბეჭდილებას ტოვებთ. ყოველთვის ასეთი ხართ?**

– არასდროს არ მაქვს პასიური მომენტები. სახლში ხალათით სიარული და ასეთი რამ არ მახასიათებს *(იცინის).* ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ უნდა გეძინოს საღამოს 7 საათამდე. შაბათ-კვირას თავისუფლად შემიძლია გვიანობამდე მეძინოს, მაგრამ, ცხრის ნახევარზე ფეხზე ვარ ხოლმე *(იცინის).* ძილი ნამდვილად არ მანიჭებს სიამოვნებას, განტვირთვის საშუალებაა გარეთ გასვლა და სეირნობა.

**– სამომავლოდ თუ გეგმავთ რამე სიახლეს?**

– ჯერჯერობით ჩემი გეგმაა, დავიცვა დისერტაცია და მივიღო დოქტორის ხარისხი. ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ ჩემი საქმიანობით, თუმცა, ამ მიმართულებითაც მაქვს გეგმები და აზრები, რომელთა განხორციელებასაც მცირე დროის შემდეგ დავიწყებ. თუმცა, ის, რაც დღეს ჩემს ცხოვრებაში ხდება, ძალიან მომწონს და კმაყოფილი ვარ. იმ ადამიანების კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომლებიც მცირედითაც კმაყოფილდებიან, ყოველთვის ათასი აზრი მომდის თავში და მათი განხორციელება მინდება.

**ხატია კარანაძე**

# რატომ შეიცვალა იოსებ სტალინმა დაბადების თარიღი და სინამდვილეში როდის იყო ის დაბადებული



**სტალინი შესანიშნავად ისროდა. მას შეეძლო, სარკის გამოყენებით, მის უკან დადებული სამიზნისთვის მოერტყა ტყვია, თუნდაც ეს სამიზნე ასანთის ღერი ყოფილიყო**

***იოსებ ჯუღაშვილის ბიოგრაფიის არაერთი დეტალია ბურუსით მოცული. ჩვენს სტატიაში ბელადის დაბადების თარიღზე ვიმსჯელებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.***

ისტორიკოსები თავის გამოკვლევებში მიანიშნებდნენ, რომ იოსებ ჯუღაშვილი დაბადებული იყო 1879 წლის 21 დეკემბერს, თუმცა, როგორც სარწმუნო წყაროები იუწყებიან, იოსებ სტალინი დაბადებულა 1878 წლის 6 დეკემბერს. დაბადების შესახებ ჩანაწერი გააკეთა გორის მიძინების ტაძრის მღვდელმა, სოლომონ ხახანაშვილმა. მეტრიკული ჩანაწერების წიგნში ასეთი შინაარსის ტექსტს ვკითხულობთ: „დაიბადა 1878 წლის 6 დეკემბერს, მონათლეს 17 დეკემბერს, იოსები. მისი მშობლები არიან: ქალაქ გორის მცხოვრები, გლეხი ბესარიონ ივანეს ძე ჯუღაშვილი და მისი სჯულიერი მეუღლე, ეკატერინე გაბრიელის ასული, ორივენი მართლმადიდებლები. ნათლობისას მიმრქმელი იყო ქალაქ გორის მცხოვრები, გლეხი მიხეილ შიოს ძე ციხითათრიშვილი. ნათლისღების საიდუმლო აღასრულა გორის მიძინების ტაძრის დეკანოზმა სოლომონ ხახანაშვილმა, მნათე ალექსი კვინიკაძის მონაწილეობით". იმას, რომ იოსებ ჯუღაშვილმა დაბადების თარიღი შეცვალა, თავისი მიზეზი ჰქონდა. საქმე ისაა, რომ სტალინი 1902 წლის მარტში დააპატიმრეს ბათუმში. მას ბრალად ედებოდა ბათუმის მუშების დემონსტრაციის ორგანიზება და პოლიციის ყაზარმებზე თავდასხმა დაპატიმრებულთა გათავისუფლების მიზნით. ძიებამ ჯუღაშვილს დანაშაული ვერ დაუმტკიცა, ვერ მოხერხდა ისეთი მოწმის პოვნა, რომელიც დაადასტურებდა, რომ თავდასხმას ჯუღაშვილი ხელმძღვანელობდა. ამ ფაქტზე მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელები მიუთითებდნენ. იმ პერიოდისთვის კი, კანონმდებლობის თანახმად, პოლიციელის ჩვენება საკმარისი არ იყო ბრალეულობის დასამტკიცებლად. მანამდე, უფრო ადრე, ჯუღაშვილს ბრალად ედებოდა თბილისში სოციალ-დემოკრატიული წრის ორგანიზება, მაგრამ, სამხილის უქონლობის გამო ძიება ვერც ამას უდასტურებდა.

იოსებ ჯუღაშვილის ციხეში ჩასმა ან გადასახლება პრობლემად ექცა ხელისუფლებას. არადა, ასეთი ადამიანის დაუსჯელობა დიდ საფრთხეს უქმნიდა მას. გამომძიებელმა, ჟანდარმთა ცალკეული კორპუსის პოდპოლკოვნიკმა შაბილსკიმ, საიდანღაც შეიტყო, რომ სტალინი თავს არიდებდა სამხედრო სამსახურს, ანუ თავის დროზე არ გამოცხადდა მიწერის ადგილზე სამხედრო სამსახურის გასავლელად. ჯუღაშვილმაც იცოდა, რომ, თუ მას არმიაში სამსახურისთვის თავის არიდებას დაუმტკიცებდნენ, გაასამართლებდნენ, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეს, ამით კი მას პოლიტიკური კარიერა უფუჭდებოდა. ჯუღაშვილისთვის პოლიტიკური მსჯავრდებულის სტატუსით ციხეში მოხვედრა სავსებით მისაღები იყო, მაგრამ, არანაირად არ აძლევდა ხელს ციხეში უბრალო სისხლის სამართლის დამნაშავის სტატუსით შესვლა. ამიტომ იყო, რომ შაბილსკი სტალინმა მოატყუა და თავი 1879 წელს დაბადებულად გაასაღა – ერთი წელი მოიკლო. შაბილსკი მიხვდა, რომ ჯუღაშვილი ცრუობდა და ჟანდარმი გაგზავნა გორში, ეკლესიიდან დაბადების შესახებ ცნობის ასაღებად. ჟანდარმმა არ იცოდა, ზუსტად რომელ ეკლესიაში მოინათლა სტალინი, ყველა ტაძარს ხომ არ დაივლიდა. ამიტომ, მიაკითხა, დედამისს – ეკატერინეს (კეკეს), რომელიც სტალინს უკვე გაფრთხილებული ჰყავდა. კეკემ, თუ შეიძლება ითქვას, თავი მოისულელა და ჟანდარმს განუცხადა: არც შვილის დაბადების წელი მახსოვს და არც ის ეკლესია, სადაც მოვნათლეო. მომავალში, როდესაც სტალინი, უზარმაზარი იმპერიის ერთპიროვნული მმართველი გახდა, ოფიციალურ დოკუმენტებში ყოველთვის იმ თარიღს უთითებდა, რომელიც 1902 წელს ბათუმში დაკითხვაზე აჩვენა.

სტალინი გორში, დედასთან იზრდებოდა. მამას, ბესარიონს, ისინი პრაქტიკულად მიტოვებული ჰყავდა. ის თბილისში მუშაობდა და გორში იშვიათად ჩადიოდა. მამა-შვილს შორის ურთიერთობა თავიდანვე ცივი იყო. ზოგიერთი ცნობით, მამა ხშირად სცემდა ბავშვს. იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო, შვილისათვის განათლება მიეცა. სამაგიეროდ, დიდ სითბოს გრძნობდა იოსები დედისაგან. კეკე ბესარიონის სურვილის წინააღმდეგ წავიდა, როდესაც შვილი გორის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა. ეს მოხდა 1888 წელს. დედა-შვილი ხშირად შიმშილობდა. მიუხედავად დუხჭირი ცხოვრებისა, იოსები კარგად სწავლობდა და 1894 წელს სასწავლებელი „პირველი მოწაფის" თანრიგით დაამთავრა, რაც მოგვიანებით ჩვენს სკოლებში არსებულ ოქროს მედალს უდრიდა.

ბესარიონ ჯუღაშვილი კიდევ უფრო დიდი კატეგორიულობით აღუდგა წინ შვილის თბილისში სასწავლებლად გაგზავნას. მიუხედავად ამისა, კეკემ 1894 წელს იოსები თბილისის სასულიერო სემინარიაში შეიყვანა. ამ სასწავლებელში სწავლის საფასური იმდენად დიდი იყო, რომ მის გადახდას კეკე ვერაფრით შეძლებდა. მართალია, მან მოახერხა და იოსებს სწავლის გადასახადი გაუნახევრეს, მაგრამ, დარჩენილი ნახევრის (40 მანეთი) გადახდაც დიდ პრობლემას წარმოადგენდა მისთვის. იოსებს კი რაც ეცვა, იმის გარდა არაფერი ებადა. 1894 წლის 29 სექტემბერს ჯუღაშვილმა თხოვნით მიმართა სემინარიის რექტორს, არქიმანდრიტ სერაფიმს, რათა მისთვის თბილი ტანისამოსი მიეცათ. მომდევნო წელს იოსებს კიდევ უფრო გაუჭირდა. მას სწავლის გაგრძელების უფლებას არ აძლევდნენ პირველი წლის სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო. 1895 წლის 28 აგვისტოს ჯუღაშვილმა კვლავ თხოვნით მიმართა არქიმანდრიტ სერაფიმს, რათა სწავლის საფასური ეპატიებინათ. სერაფიმმა ნიჭიერ მოწაფეს ანგარიში გაუწია და კანონდარღვევით იოსებ ჯუღაშვილმა სწავლა განაგრძო საეკლესიო ხაზინის ხარჯზე. იმდროინდელი წესის თანახმად, საეკლესიო ხაზინის ხარჯზე მხოლოდ სასულიერო პირების შვილები სწავლობდნენ. მიუხედავად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, სტალინი გულმოდგინედ სწავლობდა. პირველ კლასში არასაპატიო მიზეზით არც ერთი საათი არ გაუცდენია.

იოსებ სტალინი, შეიძლება პირდაპირ ითქვას, მძიმე, ზოგჯერ აუტანელი ხასიათის ბავშვი იყო. ეკონომიკურმა სიდუხჭირემ და სოციალურმა გარემომ მის ხასიათს თავისი დაღი დაასვა. პრაქტიკულად უმამოდ დარჩენილ ბავშვს თანატოლები ჩაგრავდნენ, მაგრამ, იოსები დანებებას არ აპირებდა. იგი ძალიან კარგად ჩხუბობდა და ყოველი შემთხვევისთვის თან ატარებდა დანას (ბებუთს), რომელიც ყოველთვის ჩექმის ყელში ედო. გორში ცხოვრების პერიოდში იყო შემთხვევა, როდესაც მას თავს რამდენიმე თანატოლი დაესხა. მიწაზე დაცემული იოსები ხელებითა და ფეხებით ქანცგაწყვეტამდე იგერიებდა მათ. თბილისში მოღვაწეობის პერიოდშიც, ცნობილია, რომ ჯუღაშვილს რამდენჯერმე დაუპირეს ცემა, მაგრამ უშედეგოდ. სტალინს ბავშვობიდანვე გამოუმუშავდა რამდენიმე ისეთი თვისება, რომელიც შემდეგში ძალიან გამოადგა. მაგალითად, მას შესანიშნავი მხედველობითი მეხსიერება ჰქონდა. თბილისის ჟანდარმერიისა და „ოხრანკის" ყველა აგენტს პირველი შეხედვისთანავე ამოიცნობდა. ქუჩაში უკან ადევნებულ აგენტს მუდამ ოსტატურად უსხლტებოდა. გარდა ამისა, ის შესანიშნავად ისროდა. მას შეეძლო, სარკის გამოყენებით, მის უკან დადებული სამიზნისთვის მოერტყა ტყვია, თუნდაც ეს სამიზნე ასანთის ღერი ყოფილიყო.

ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებმა, ისევე, როგორც შემდგომმა პერიოდმა, იოსებ ჯუღაშვილს ჩამოუყალიბა არაადამიანურ სიმკაცრემდე მისული ხასიათი. ის ყველას მიმართ ასეთი იყო. ერთხელ, მისმა უფროსმა ვაჟმა, იაკობმა, თავის მოკვლა სცადა, მაგრამ ტყვია შემთხვევით ასცდა გულს. საავადმყოფოში მისულმა სტალინმა შვილს ასეთი რამ უთხრა: „მე შენს ასაკში უკეთესად ვისროდი." თუ შვილის მიმართ ასეთი მკაცრი და დაუნდობელი იყო, ცხადია, უფრო მეტ დაუნდობლობას გამოავლენდა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ. სტალინს ჰქონდა ადამიანებზე ზემოქმედების (ჰიპნოზის) უნარი. ერთხელ, უცხოეთში მყოფ ცნობილ ოპოზიციონერს ნიკოლაი ბუხარინს ჰკითხეს პოლიტბიუროს სხდომებზე რომ სხედხართ და ყველაფერზე თავს უქნევთ სტალინს, ხმას რატომ არ იღებთო... ბუხარინმა უპასუხა: როგორც გიურზა მონუსხავს ხოლმე ცხოველებს, ისე გვნუსხავს სტალინი სხდომებზე და ამიტომაც ვდუმვართო.

სტალინი ცხოვრობდა პრინციპით: „არავის იმედი არ გქონდეს, არავის ენდო და არაფრის შეგეშინდეს." ამიტომ იყო, რომ იგი არავის ენდობოდა საკუთარი თავის გარდა. მუდამ გრძნობდა მასზე დამიზნებულ ტყვიას, მის სასმისში ჩასაყრელად გამზადებულ საწამლავს. გარშემო მყოფებს ბელადი ჭადრაკის ფიგურებად თვლიდა, რომელთა დახმარებითაც პარტია უნდა მოეგო – მისთვის ადამიანებს სხვა დანიშნულება არ ჰქონდათ.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### გალუაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გალა**. ეს გალაქტიონის კნინობითი ფორმაა, რომელიც ცალკე სახელადაც დამკვიდრდა.

1823 წელს სოფელ ღოუბანში მოიხსენიება მიქაელ **გალუაშვილი** ოჯახთან ერთად.

საქართველოში 206 **გალუაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 155, გარდაბანში – 35, რუსთავში – 6. არიან სხვაგანაც.

### გოხაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გოხა.**

მურად და ლუარსაბ **გოხაძეები** 1873 წლის აღწერაში პატარა თონეთში მოიხსენიებიან.

1882 წელს პატარა თონეთში ესტატე ხელაძის თავდებად მოიხსენიება ისაკ **გოხაზე**.

საქართველოში 217 **გოხაძე** ცხოვრობს: თბილისში – 84, რუსთავში – 28, გარდაბანში – 27. არიან სხვაგანაც.

### სტეფანაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **სტეფანე. სტეფანე** ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს გვირგვინს. ეს სახელი ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში. ძველ ქართულში გავრცელებული ფორმა იყო **სტეფანოზ**, რომელიც გვხვდება ჯერ კიდევ მცხეთის ჯვრის წარწერებში, მეექვსე საუკუნეში. ამ სახელიდან წარმოქმნილია გვარები: **სტეფანაშვილი, სტეფანიშვილი, სტეფანია, სტეფნაძე** და **ტეფნაძე**.

1873 წლის აღწერით, სოფელ ბორბალოს იასე და ალექსანდრე სოლოღოვების, იგივე სოლოღაშვილების მამულში მოიხსენიებიან ივანე და მისი ვაჟი – იოსებ **სტეფანაშვილები.**

საქართველოში 137 **სტეფანაშვილი** ცხოვრობს.

585 – **სტეფანიშვილი.**
365 – **სტეფნაძე.**
35 – **სტეფანიძე.**

### ჯალალაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯალალა**, რომელიც არაბული წარმოშობისაა და ქართულად სახელს, დიდებას, ძლიერებას ნიშნავს.

1843 წლიდან **ჯალალაშვილები** კოდაში ცხოვრობენ.

ამავე ძირისაა გვარები: **ჯალადიშვილი, ჯალალი, ჯამარიშვილი.**

საქართველოში 110 **ჯალალაშვილი** ცხოვრობს.

100 – **ჯალადიშვილი.**
89 – **ჯალალი.**
26 – **ჯამარიშვილი.**

### ღარიბაშვილი

ქანისხეობელი **ღარიბაშვილები** მთიულეთიდან ყოფილან. მათი დედა-გვარია ნარიმანიძე. ასევე, ნარიმანიძეები სახლობდნენ ცხრაძმის ხეობის სოფელ ჩიტიანებში.




სოფელ ანატაში ცხოვრობდა **ღარიბაშვილების** 30 კომლი.

„ახატნელი **ღარიბაშვილები** ვართ გადმოხვეწილი ქისტის სამხამის შთამომავალნი. 150 წელი იქნება, რაც ჩვენი წინაპარი ახატანში მოსახლეობდა. აქ გვაქვს სალოცავი „სამება ოქროსკარაი".

საქართველოში 1 844 **ღარიბაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 595, გურჯაანში – 416, დუშეთში – 239. არიან სხვაგანაც.

### გოგინაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გოგი**. მისი კნინობითი ფორმაა **გოგინა**.

1704 წელს პაპუა **გოგინაშვილი** მოიხსენიება პაპუნა გოსტაბაშვილის ყმის ნასყიდობის წიგნში.

1781 წელს კოდაში მოიხსენიება დავით ბარათაშვილის ყმა – ივანე **გოგინაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარი **გოგიშვილი.**

საქართველოში 2 608 **გოგინაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 744, გურჯაანში – 444, გორში – 399. არიან სხვაგანაც.

2 317 – **გოგიშვილი**.

### წითელაური-წითელაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **წითელა.** **წითელაური** სათემო გვარი იყო ფშავში.

1882 წელს დიდ ენაგეთში მცხოვრები არსენ ხუციშვილის შვილის, ევას მიმრქმელად მოიხსენიება გოლოეთელი გაბრიელ **წითელაური.**

1884 წელს გოლოეთში მოიხსენიება ზაქარია **წითელაური.** მან შვილი მოუნათლა თანასოფლელ გიორგი ბასალაშვილს.

ამავე ძირისაა გვარები: **წითელაძე, წითელაშვილი.**

საქართველოში 275 **წითელაური** ცხოვრობს.

628 – **წითელაძე**.

### მაძღარაშვილი

ამ გვართან დაკავშირებით ილია მაისურაძე, წიგნში – „ქართული გვარ-სახელები" – წერს: „**მაძღარა** – მეტსახელი გვარებში: **მაძღარაძე, მაძღარაშვილი**". სამწუხაროდ, ამ გვართან დაკავშირებით სხვა ინფორმაცია არ არსებობს, თუმცა, კვლევა-ძიება გრძელდება.

საქართველოში 455 მაძღარაშვილი ცხოვრობს: დედოფლისწყაროში – 212, თბილისში – 99, რუსთავში – 42. არიან სხვაგანაც.

### ზედელაშვილი

გვარის ფუძეა მეტსახელი **ზედელა.**

1721 წელს ენაგეთში მოიხსენიება ოთარა გერმანოზიშვილის ყმა – გიორგი **ზედელაშვილი.**

საქართველოში 876 **ზედელაშვილი** ცხოვრობს: სიღნაღში – 378, თბილისში – 190, რუსთავში – 106. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---

(47-ე გვერდიდან)

ბრემ სტოკერის ცნობილი რომანის მიხედვით შეიქმნა. მიუზიკლების მხრივ კი მინდა აღვნიშნო „მევიოლინე სახურავზე", რომელიც გერმანიისა და ჰოლანდიის სცენებზე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

**– რითი ხართ დაკავებული თავისუფალ დროს და რა არის თქვენი გატაცება, ჰობი?**

– ადრე, უფრო ახალგაზრდა რომ ვიყავი, უცხო ენების შესწავლით ვიყავი გატაცებული და ამჟამად ხუთ ენას ვფლობ: ფრანგულს, იტალიურს, გერმანულს, ჰოლანდიურსა და რუსულს, ასევე სამუშაოდან გამომდინარე, მომიწია ესპანურისა და პოლონურის შესწავლა. სამწუხაროდ, ქართული ენა არ ვიცი, თუმცა, სურვილი მაქვს, ვისწავლო. მარიასთან ერთად მიყვარს მოგზაურობა და სხვადასხვა ქვეყნის კულტურების გაცნობა. ბოლო დროს ცხენოსნობამ გამიტაცა, პროფესიიდან გამომდინარე, დამჭირდა ცხენზე ჯირითის შესწავლა და ახლა ცხენები ჩემი უსაყვარლესი გატაცებაა. მგონია, რომ ჩემი წინაპრები კარგი ცხენოსნები იქნებოდნენ ***(იცინის).***

**– როგორ მუსიკას უსმენთ, თუ გაქვთ საყვარელი კინოფილმი, რეჟისორი?**

– ვერ ვიტყოდი, რომ კონკრეტული ჟანრის ან მიმართულების მსმენელი ვარ. მომწონს ლეონარდ ბერნსტაინი. კინოსთან დაკავშირებით კიდევ უფრო „რთულადაა" საქმე ***(იცინის).*** ბავშვობიდან ვეზიარე ქართულ კინოს, მახსოვს, როგორ იმოქმედა ჩემზე თენგიზ აბულაძის „მონანიებამ" – ეს ერთ-ერთი უსაყვარლესი ფილმია ჩემთვის.

## ვის როლს ასრულებს ჟორჟ დევდარიანი ახალ პროექტში – „სტალინგრადი" და როგორ იხსენებს ის ფრანგული კინოს ლეგენდასთან – ჟანა მოროსთან მუშაობას

**– მოგვიყევით თქვენს როლზე ფიოდორ ბონდარჩუკის ახალ ფილმში – „სტალინგრადი", რომელიც ეკრანებზე სულ მალე უნდა გამოვიდეს.**

– ფილმში „სტალინგრადი" ვასრულებ უნტერ-ოფიცერ კლოზეს როლს. ამ როლზე დამტკიცებაში გერმანული ენის ცოდნა დამეხმარა. ველოდები ამ ფილმის გამოსვლას ეკრანებზე, რადგან, ის ჩემთვის განსაკუთრებულია. ძალიან საინტერესო ადამიანები გავიცანი გადასაღებ მოედანზე. ჩემმა კოლეგამ, ნატალია კადოჩნიკოვამ, რომელიც ფილმში სტალინგრადის მცხოვრების როლს ასრულებს, თავის სპექტაკლში – „სიცოცხლე, როგორც წამი," ბაბუამისის როლი მათამაშა. აუცილებლად მინდა ვახსენო დიდი ფრანგი მსახიობი ჟანა მორო, რომელთან ერთად მუშაობის ბედნიერება მხვდა წილად.

**– ქართულ სამზარეულოს თუ იცნობთ და თავად თუ იცით კერძების მომზადება?**

– ქართული სამზარეულო მამამ გამაცნო, როდესაც ლენინგრადში ნევის პროსპექტზე მდებარე რესტორან „კავკაზში" წამიყვანა. მას შემდეგ ქართული კერძების დაგემოვნება ჩემთვის დღესასწაულია. იმავეს თქმა შემიძლია ქართულ ღვინოზეც. მე და მარია ხორცეულის დიდი მოყვარულები ვართ და თავადაც არცთუ ცუდად ვამზადებთ კერძებს. თუკი მომიხერხდება საქართველოში ჩამოსვლა, დიდი სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას ქართული კერძების მომზადების მასტერ-კლასში.

**– რამდენიმე სიტყვით თქვენს მომავალ გეგმებსაც შევეხოთ.**

– ამჟამად დაკავებული ვარ ჰოლანდიის პირველ რადიოს რადიოსპექტაკლში „ობობა". უახლოეს მომავალში მონაწილეობას მივიღებ რამდენიმე თეატრალურ ფესტივალში მოსკოვში, ხორვატიაში, ბოსტონში, სადაც მასტერკლასების მოწყობა მომიწევს სტუდენტებისთვის და, რა თქმა უნდა, კინოგადაღებები იქნება მოსკოვში, გერმანიაში, ჰოლანდიაში. მინდა გაგიმხილოთ ჩემი ოცნება – დიდი სურვილი მაქვს, ქართულ კინოში ვითამაშო.

**უშანგი რუხაძე**

**პრეზიდენტის საუკეთესო პაროდისტი ქართლოს ნატროშვილი ინტერვიუზე ბიძინა ივანიშვილის პაროდისტზე – ნიკა კაკაბაძეზე რამდენიმე წუთით ადრე მოვიდა, თან – „დაცვით“. ქართლოსი მიშა სააკაშვილის ხმით ხუმრობდა – ჩემთან შეხვედრაზე მაინც დაიგვიანა პრემიერმაო. მოკლედ, ორივე საკმაოდ ხალისიანი და ნიჭიერია, რაც მთავარია, ჩვენს სტუდიაში მათი კოჰაბიტაციაც დაიწყო.**

# როგორ გამოჰყავს მიშა სააკაშვილის ხმას უხერხული სიტუაციებიდან ქართლოს ნატროშვილი და რა საერთო თვისებები აქვთ ნიკა კაკაბაძესა და პრემიერ-მინისტრს

**ქართლოს ნატროშვილი**: დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი და ახლა ვსწავლობ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მაგისტრატურაში, პირველ კურსზე. მოკლედ, „კომედი შოუში“ მოულოდნელად მოვხვდი – ინტერნეტში ნახეს ჩემი ვიდეო, მოეწონათ და ამიყვანეს. 2005 წლიდან ვფლობ ამ ხმას და, როცა მეგობრების ქორწილში ვაკეთებდი პაროდიებს, ყოველთვის ვითხოვდი, ვიდეოს დამონტაჟებისას ჩემი მონაკვეთი ამოეღოთ, რადგან, მაშინ არ ვიყავი მომხრე იმის, რომ ინტერნეტში განთავსებულიყო. ბოლოს, რომ გადამიღეს, მთხოვეს – დავდებთ ინტერნეტშიო და მეც აღარ მითქვამს უარი.

**– თქვენი მონაცემები კეთილად ან ბოროტად თუ გამოგიყენებიათ?**

**ნიკა კაკაბაძე**: ძირითადად, საქმეში ვიყენებ, მაგრამ, ამას წინათ დამჭირდა ქორწილში გამოყენება და მაინცდამაინც კმაყოფილი არ დავრჩენილვარ. უბრალოდ, უარი ვერ ვუთხარი და მივულოცე.

**ქართლოსი**: ორჯერ-სამჯერ გავაკეთე ზარი პრეზიდენტის ხმით, მაგრამ, საქმე არ გამიფუჭებია. ისე, პრეზიდენტი როგორ ხასიათზეც არის, ისე იქცევა ხოლმე. როდესაც მას ვბაძავ, მთვრალი ვარ თუ ფხიზელი, სიტყვები თავისით მოდის, თან – ულევად. მიშას ხმა უფრო მეტ გამბედაობას მძენს. ახლა, ელჩებთან რომ დამსვათ, შეიძლება, გამარჯობაც ვერ ვუთხრა, მაგრამ, მიშას ხმაზე ორსაათიან მიმართვას ჩავუტარებ. ასეთ დროს უფრო მეტად გაბედული ვარ, ყველანაირი კომპლექსი მეხსნება. სადღაც თუ გავიჭედები, მაშინ „ის“ მოდის ხოლმე და ეგრევე გამოვდივარ სიტუაციიდან.

**ნიკა**: მე და პრემიერი ვგავართ ერთმანეთს ხასიათით – რაღაცეებს ვიჭერ ხოლმე: მის მსგავსად, გულღიად მიყვარს საუბარი, არაფერს არ ვმალავ, შემიძლია, ბუნებრივად ვისაუბრო.

გუშინ მეტროში ჩავედი და ხურდა არ ჰქონდათ – ვერ დავახურდავე ფული. გვერდზე ვიღაც მედგა და იმან თქვა: ეს არის, ბიძინას პაროდიას რომ აკეთებსო და მერე აღმოაჩნდათ ხურდა.

**ქართლოსი**: საზოგადოებას რომ ჰქონდა ჩახვეული: რატომ დაიგვიანა მიშამ ბიძინასთან შეხვედრაზეო, ხომ დაინახე, დღეს როგორ დაიგვიანა პრემიერმა შეხვედრაზე?! ასე რომ, დაგვიანება მოსულა ***(ამას პრეზიდენტის ხმით ამბობს, – ავტორი).*** ჩვენს საზოგადოებაში უნდა ჩამოვაყალიბოთ აზრი იმის შესახებ, რომ პრეზიდენტსა და პრემიერს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ. ოქტომბრის შემდეგ სამჯერ შეხვდნენ, ჩვენ კი კვირაში სამჯერ ვხვდებით ერთმანეთს.

**– ქართლოს, ნიკა ამბობს, პრემიერ-მინისტრს ვგავარ ხასიათითო.**

– კი, ჰგავს. მარტო ხმა არ არის მთავარი, რადგან, როდესაც მის პაროდიას აკეთებს, მისი ხასიათიც ზის სადღაც, უფრო ახლოს არის მასთან. თუმცა, შეიძლება, მისთვის მიშა იყოს შორს, ისევე, როგორც ჩემთვის – ბიძინა.

**ნიკა**: ქართლოსი პრეზიდენტს ყველაფრით ჰგავს, მართლაც პროფესიონალურ დონეზე აქვს პაროდია გაკეთებული. საქართველოში ნომერ პირველი პაროდისტია, რომელიც პრეზიდენტის პაროდიას აკეთებს. მიხარია, რომ ასეთი პარტნიორი მყავს.

**ქართლოსი**: მინდა, ხაზგასმით ვთქვა: მე მჯერა იმის, რომ ნიკა ქართლოსს უსურვებს წარმატებას, მაგრამ, პრემიერი რომ პრეზიდენტს დღეს უსურვებდეს წარმატებას, ეს უკვე არის... არ ვიცი ***(პრეზიდენტის ხმით ამბობს, – ავტორი)...*** დღეს საქართველოში ყველაზე აქტუალური ეს ორი პიროვნებაა და დაობლებულად ჩავთვლიდი თავს, მხოლოდ მე რომ ვიყო და ნიკა – არა. წარმოიდგინე, კომედისივრცეში მარტო მე რომ ვიყო და არ მყავდეს ბიძინა... შეიძლება, ფონს გავსულიყავი, მაგრამ, ჩემი თითოეული სიტყვა, როდესაც წინ „პრემიერი“ მიდგას, საზოგადოებისთვის უფრო მეტად საყურადღებო და მოსაწონია. მოკლედ, ორივე ერთად რომ ვართ, კარგია. მაგრამ, სკეტჩებს რომ ვუყურებ, სულ ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ რაღაც დავაკელი ბიძინას. მაგრამ, ესეც რომ მპასუხობს, ძალიან კარგად ვიღებ და მომწონს. ძნელია, მიშას ხმაზე ილაპარაკო და თქვა, მე იქ წასვლა მეზარებაო, – არ გამოგივა. 2007 წლის 25 სექტემბერი იყო, სამეგრელოში ვიყავი და ბებიამ მითხრა, ყურძენი და ჩურჩხელა მინდაო. ბებიას ნელი ჰქვია, მაგრამ, მიშას ხმით, მოფერებით, „ნელი ფურტადოს“ ვეძახი და ძალიან უხარია. მამა ხომ მყავს კახეთიდან, ჰოდა, ისე შევყევი მიშას პაროდიას, იმ დღესვე



**ქართლოსი: „ახლა, ელჩებთან რომ დამსვათ, შეიძლება გამარჯობაც ვერ ვუთხრა, მაგრამ, მიშას ხმით ორსაათიან მიმართვას ჩავუტარებ. ასეთ დროს უფრო მეტად გაბედული ვარ, ყველანაირი კომპლექსი მეხსნება“**

წავედი კახეთში და მალევე დავბრუნდი სამეგრელოში. თან, ზუსტად იმ დროს მიშას ვენახში ჰქონდა ბრიფინგი და ეზოში არ შევსულვარ, ისე დავუძახე მიშას ხმაზე: გამოდი გარეთ, შენთან არის კახური ყურძენი-მეთქი. ჩემი ხმით რომ წავსულიყავი კახეთში, დამეზარებოდა, მიშას ხმით კი იმ დღესვე წავედი და დავბრუნდი. როცა ბანკში რიგია, შეიძლება, შემრცხვეს და ხმა არ ამოვიღო. თუ გახსოვთ, 2012 წლის 16 ივლისს მიშა ბათუმში „ლიბერთი ბანკში“ შევარდა – რატომ არის რიგებიო. ანალოგიურად, ზაფხულში მეც იგივე გავაკეთე და ბანკის მმართველი შეშინებული გამოვარდა. მიშას ხმით რომ ვლაპარაკობ, არ აქვს მნიშვნელობა, ერთი მისმენს თუ ათასი. ჩემს ხმაზე შეიძლება, ჩუმად ჩავილაპარაკო, მიშას ხმით ჩურჩული არ შემიძლია.

**ნიკა**: თუ იქნება ბანკში რიგები, მეც იმავეს გავაკეთებ და, წარმომიდგენია, როგორი სახე ექნებათ. ძირითადად აქცენტს მაინც „ქართუ ბანკზე“ გავაკეთებ. მე არ ვარ ქართლოსივით და მაინცდამაინც არ მიყვარს ბიძინას ხმით ლაპარაკი.

**ქართლოსი**: აპოლიტიკური ვარ მთლიანად. ცესკოში რომ გადაამოწმოთ, ქართლოს ნატროშვილი არც ერთ არჩევნებზე არ გამოცხადებულა. რომ ვნახე, 2 ოქტომბერს მიშამ როგორ მიულოცა „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება, სურვილი გამიჩნდა, მეც ანალოგიური გამეკეთებინა. 4 ოქტომბერს ჩემი ძმაკაცის ქორწილი იყო და იქ „ქართული ოცნების“ წევრები გამარჯვებას ზეიმობდნენ. მე მიკროფონთან დავდექი და ხმამაღლა მივულოცე გამარჯვება. ვინც ზურგით იჯდა, ჭამა შეწყვიტა – ეგონათ, მიშა დაადგათ თავზე... მივულოცე და მერე მისი ნაბიჯებით ჩამოვიარე და ყველას ჩამოვართვი ხელი. დიდი სურვილი მაქვს, პრეზიდენტი გავიცნო. სიტყვაც მაქვს მომზადებული – ვეტყვი, რატომ აკეთებ ჩემს პაროდიას-მეთქი, თან – მის ხმაზე. ბიძინას რომ შევხვდები, რასაც ნიკას ვეუბნები, იმას ვეტყვი მასაც. მე და ნიკას ერთი საერთო გვაქვს – „პრეზიდენტიც“ და „პრემიერიც“ ფანრიანი „ნოკიათი“ დავდივართ.

**ნიკა**: ეს არის ჩვენი კოჰაბიტაცია.

**ქართლოსი**: ნიკას ნომერი ტელეფონში ასე მიწერია: „1 ოქტომბერი“, რომ ეს დღე სულ მახსოვდეს.

**– ნიკა, მახსოვს, ირაკლი ღარიბაშვილის პაროდიაზე მუშაობდი.**

**ნიკა:** ჯერჯერობით გადავდე. მე უფრო სანდრო ცნობილაძის ხმაზე მიყვარს ლაპარაკი, თან, ფეხბურთის მოყვარული ვარ და, როცა მეგობრები ვთამაშობთ, მაშინ ვახმოვანებ ხოლმე. პრეზიდენტის გამოსვლას რომ ვუყურებ, ძირითადად, ექსპრომტად მოდის რაღაცეები, მაგალითად, როგორ მოიქცეოდა პრემიერი.

**ქართლოსი**: ზოგჯერ ბიძინას გამოსვლისთვის ბოლომდე მიყურებია, თან, მიშას ხმით ჩართვები გამიკეთებია. ზოგჯერ კი, დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტიც ასე მოიქცეოდა: არ მცალია ახლა ამას რომ ვუსმინო ***(პრეზიდენტის ხმით, – ავტორი)*** – და გამითიშავს პულტით ტელევიზორი. ნიკა თუ გააკეთებს სხვების პაროდიას, მე დიდი სიამოვნებით შევხვდები ბიძინას, ღარიბაშვილსაც, კბილაშვილსაც; მთლიანი „ოცნების“ სპექტრით თუ დამიპირისპირდება, მეც მზად ვარ. ისე მყავს პრეზიდენტი შესწავლილი, რომ ვუყურებ, უკვე ვიცი, როგორ ხასიათზეა.

**ნიკა**: მე ბიძინა ასეთ დონეზე არ მყავს შესწავლილი, მაგრამ, დაახლოებით ვხვდები ხოლმე, როგორ ხასიათზეა. უბრალოდ, ისეთი ადამიანია, რომ ძალიან რთულია, ზუსტად მიხვდე მის ემოციებს. თუმცა, როცა ემოციებში ვარდება, ეს მომენტი კარგად მაქვს დაჭერილი.

**ქართლოსი** ***(პრეზიდენტის ხმით – ავტორი):*** აირჩიოს კაფე, ამის შემდეგ ფინჯან ყავაზე ეპატიჟება პრეზიდენტი ბიძინას.

**ნიკა** ***(პრემიერ-მინისტრის ხმით):*** როგორი ჭიქაა ფინჯანი? სიცრუის ჭიქაა თუ როგორია? – ჩაგეკითხები აქვე.

**„პრეზიდენტი“:** ერთი რამე მინდა იცოდეთ – წამოსვლაშივე ეძებს პრობლემას. მაგრამ, მე ვთავაზობ... რომ არ შევთავაზო, რატომ არ შემომთავაზეო.

**„პრემიერი“:** ფული გაქვს, რომ გადაიხადო? ფული თუ გაქვს?

**„პრეზიდენტი“:** როგორმე გამოყოფს პრეზიდენტი ბიუჯეტს...

**„პრემიერი“:** თავიდანვე უნდა გადაიხადო, მერე მე რომ არ მომიწიოს გადახდა.

**„პრეზიდენტი“:** შუქზე ხომ დამეზოგა ფული, გადავიხდი... მე კიდევ მჭირდება ფანრიანი „ნოკია“ – სიბნელეში დავდივარ, შენ რაში გჭირდება?..

**ნათია უტიაშვილი**

# ალოე ვერა – სილამაზის გარანტი

ალოე რომ სასარგებლო მცენარეა ჯანმრთელობისთვის, ეს ყველასთვის ცნობილია, მაგრამ, შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ მისი ახალგამოწურული წვენი ძალიან უხდება სახის კანსა და თმას. ამიტომ, შეგიძლიათ, სახელდახელოდ გახეხოთ ალოე ვერას



აგრეთ წოდებული ფოთლები (ოღონდ, ჯერ კარგად გარეცხეთ), შემდეგ დოლბანდში გაწუროთ და ეს წვენი უშუალოდ გამოყენების წინ შეურიოთ კრემს, შამპანურს ან ნიღაბს, როგორც სახისთვის, ისე თმისთვის:

გთავაზობთ ყველაზე მარტივ და უნივერსალურ რეცეპტს: მოწყვიტეთ ალოე ვერას 3-4 ფოთოლი, გარეცხეთ, გაჭერით თითოეული მათგანი სიბრტყეზე და ჯერ კარგად გაიწმინდეთ სახე, ყელი და დეკოლტე, შემდეგ კი ეს გაჭრილი ფოთლები დაიფინეთ კანზე 15-20 წუთის განმავლობაში. შემდეგ ჩამოიბანეთ გრილი წყლით და წაისვით მკვებავი. ეს პროცედურა განსაკუთრებით სასარგებლოა გაღიზიანებული კანისთვის.

ასევე, შეგიძლიათ, თვითონ დაამზადოთ გამაახალგაზრდავებელი ლოსიონი ხელებისა და სხეულისთვის: ალოეს 5-6 ფოთოლი ჩააწყვეთ მომინანქრებულ (ემალის) საშუალო ზომის ქვაბში, დაასხით იმდენი ცივი წყალი, რომ ფოთლები კარგად დაიფაროს და გააჩერეთ თავდახურული ოთახის ტემპერატურაზე 12 საათის განმავლობაში. შემდეგ დადგით საშუალო ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე. ამის მერე დაუკელით ცეცხლს და ადუღეთ 5 წუთის განმავლობაში. როდესაც გაცივდება, ნახარში გადაწურეთ, ჩაასხით მინის ჭურჭელში და შეინახეთ მაცივარში. პირველად წასასმელად გამოიყენეთ მოხარშული ფოთლები (მერე გადაყარეთ), გადაწურული ნახარში კი გამოიყენეთ, სანამ გამოილევა. კანის გაწმენდის შემდეგ წაისვით დამატენიანებელი კრემი.

თმის ძირების გასამაგრებლად და ზრდის დასაჩქარებლად ნახარში მოამზადეთ შემდეგნაირად: 2 სადილის კოვზი დაქუცმაცებული ფოთლები მოათავსეთ მინის ქილაში, დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური და აცადეთ, გაცივდეს. შემდეგ გადაწურეთ, მიღებული ნახარში მთელი თვის განმავლობაში, ყოველ საღამოს შეიზილეთ თმის ძირებში და დილამდე არ ჩამოიბანოთ.

ნახარში შეინახეთ მაცივარში.

# კეფირის დიეტა

ამ დიეტით თქვენ არა მარტო გაიმაგრებთ ჯანმრთელობას, არამედ, საგრძნობლად გახდებით და, შესაბამისად, გალამაზდებით კიდეც.

გთავაზობთ ერთკვირიან მონოდიეტას, რომლის წყალობითაც 7 დღეში 5 კილოგრამამდე დაიკლებთ, ოღონდ, ერთი პირობით, ზუსტად, ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე უნდა დაიცვათ როგორც საკვების შემადგენლობა და რაოდენობა, ისე, მიღების საათები და შუალედები ყოველ ჯერს შორის, კერძოდ თითოეული მითითებული პროდუქტი გაყავით 6 თანაბარ ულუფად და ყოველი ნაწილი მიიღეთ მკაცრად განსაზღვრულ საათებში (8-10-12-14-16-19).



ყოველი კვების წინ აუცილებლად დალიეთ 50 მილილიტრი ბალახეულის ჩაი, კვების შუალედებში კი – ჩვეულებრივი სასმელი წყალი ნებისმიერი რაოდენობით.

***პირველი დღე***: 400 გრამი კანიანად გამომცხვარი კარტოფილი (უმარილოდ). ნახევარი ლიტრი 1-პროცენტიანი კეფირი.

***მეორე დღე***: 400 გრამი უცხიმო ხაჭო, ნახევარი ლიტრი 1-პროცენტიანი კეფირი.

***მესამე დღე***: 400 გრამი ხილი (ხურმის, კარალიოკის, ყურძნის, ლეღვისა და ბანანის გარდა), ნახევარი ლიტრი 1-პროცენტიანი კეფირი.

***მეოთხე დღე***: 400 გრამი მოხარშული ქათმის ფილე (კანისა და მარილის გარეშე), ნახევარი ლიტრი 1-პროცენტიანი კეფირი.

***მეხუთე დღე***: 400 გრამი ხილი (ხურმის, კარალიოკის, ყურძნის, ლეღვისა და ბანანის გარდა), ნახევარი ლიტრი 1-პროცენტიანი კეფირი.

***მეექვსე დღე***: 1,5-2 ლიტრი გაზგასული მინერალური წყალი.

***მეშვიდე დღე***: ისევ 400 გრამი ხილი (ხურმის, კარალიოკის, ყურძნის, ლეღვისა და ბანანის გარდა), ნახევარი ლიტრი 1-პროცენტიანი კეფირი.

რძემჟავა პროდუქტები (კეფირი, მაწონი და ასე შემდეგ) გამოყოფს ფერმენტებს, რომლებიც აუმჯობესებს ნაწლავების მოტორიკას და აჩქარებს საკვების დამუშავებას.

გარდა იმისა, რომ კეფირი ხელს უწყობს გახდომას, ის ამაგრებს ძვლოვან და ნერვულ სისტემებს. კალციუმის დეფიციტი ხელს უწყობს წონაში მატებას, კეფირი კი კალციუმის საბადოა, რომელიც ამ პროცესს აქტიურად ალუდგება წინ და ჭარბი წონის ლიკვიდაციას ახდენს.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, გამოიყენება თუ არა კოსმეტიკაში კოჭა და, თუ ასეა, რა მიზნით?**

**პასუხი**: კოჭას ხშირად უმატებენ სახის კრემებს. მას აქვს ლიფტინგის ეფექტი, აქრობს კანის ანთებით პროცესს, აშორებს ცხიმიან კანს სიპრიალეს. კრემებს კოჭას შემცველობით ძალიან კარგი შედეგები აქვს გამონაყარის დროს: 1 კოვზ გახეხილ კოჭასა და 1 კოვზ გახეხილ კურკუმას შეაზილეთ იმდენი მდუღარე წყალი, რომ მიიღოთ არაჟნის კონსისტენციის მასა. დაიდეთ ნიღაბი პრობლემურ ადგილებზე და დაელოდეთ მის სრულ გაშრობას, შემდეგ კი ჩამოიბანეთ თბილი წყლით და წაისვით მკვებავი.

**კითხვა: რა არის პლაზმოლიფტინგი?**

**პასუხი**: ჩვენს კანს აქვს გაახალგაზრდავების ფარული პოტენციალი, რომლის გამოვლენასაც ხელს უწყობს პლაზმოლიფტინგის პროცედურა. პროფესიონალური კოსმეტიკის ფუნქციას ასრულებს ჩვენივე საკუთარი სისხლი, რომლისგანაც, სულ რაღაც 15 წუთის განმავლობაში, პაციენტის თანდასწრებით მზადდება პლაზმა, რომლის ინიექციასაც აკეთებენ კანში. ჩხვლეტა აბსოლუტურად უმტკივნეულოა, რადგან, სახეზე წინასწარ უსვამენ საანესთეზიო კრემს. სისხლის პლაზმა ხელს უწყობს კოლაგენისა და ელასტინის გამომუშავებას და, ერთი კურსის პროცედურების დასრულების შემდეგ მთლიანად ქრება წვრილი ნაოჭების ქსელი და კანი საგრძნობლად სწორდება და იჭიმება.

**კითხვა: რა დადებითი თვისებები აქვს ზეითუნის ზეთს კანისთვის?**



**პასუხი**: ზეითუნის ზეთს აქვს კანის დამატენიანებელი, დამარბილებელი და რეგენერაციის უნარი, ამიტომ, უხსოვარი დროიდან გამოიყენება კანის მოსავლელად. მას იყენებენ კანის სიმშრალის დროს, უჯრედების აღდგენისა და ტენიანობის შენარჩუნების მიზნით. მის შემადგენლობაში E ვიტამინისა და ანტიოქსიდანტების დიდი რაოდენობით შემცველობის წყალობით, მას აქვს გამაახალგაზრდავებელი ეფექტი, რადგან იცავს კანს ნაოჭების გაჩენისგან.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# მტკვარში აღმოჩენილი ქალის გვამის საქმის გამოძიებამ მაღალჩინოსანთა დანაშაულებრივი ჯგუფი გაშიფრა

*პუბლიკაციაში მოთხრობილი ისტორია გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში მოხდა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული საქმე იყო. ამ ისტორიის ზოგიერთი მონაწილის ვინაობა შეცვლილია. მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.*

## მოკლული ქალის გვამი

– შეხედე, ვასო, წყალს ადამიანი მოაქვს, მიდი, ქვებთან დახვდი და დაიჭირე, მეც მოვალ და ამოვათრიოთ, იქნებ ცოცხალი იყოს! – დაუყვირა დიდუბელმა მეთევზემ, ხოსრო ფაფიაშვილმა თავის კოლეგას, რომელიც ბადის სასროლად ემზადებოდა.

ვასილ იშხნელი და ხოსრო ფაფიაშვილი დილომში, დიდუბის ხიდთან თევზაობდნენ და სწორედ მათ ამოათრიეს ადიდებული მტკვრიდან უცნობი ახალგაზრდა ქალის გვამი. შემდეგ მათვე გამოიძახეს მილიცია და შემთხვევის ადგილზე მისულ გამომძიებლებს პირველი ჩვენებებიც მისცეს...

21 აპრილს თბილისის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით, რომელსაც გამომძიებელი ოთარ გურული იძიებდა. მან პირველადი მოკვლევა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დიდუბის ხიდთან ჩაატარა და მხოლოდ ის დაადგინა, რომ წყლიდან ამოღებული ქალის გვამს ორი ჭრილობა ჰქონდა – მარცხენა ძუძუს თავთან და მუცელში. მოკლულს არც პირადობის დამადასტურებელი საბუთი აღმოაჩნდა და არც რაიმე ნივთი. თუმცა, იმავე საღამოს დადგინდა, რომ მტკვარში ნაპოვნი ქალი 26 წლის შორენა იურის ასული ასამბაძე იყო, ცნობილი თბილისელი ეგრეთ წოდებული „ცეხავიკის“, 43 წლის აკაკი გუდაძის ცოლი.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ასამბაძისთვის მიყენებული ორივე ჭრილობა, სასიკვდილო იყო. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით კი, მკვლელმა „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტი გამოიყენა.

– მკვლელობა დაახლოებით 46-48 საათის წინაა ჩადენილი – უთხრა გამომძიებელ ოთარ გურულს პათანატომმა, ექსპერტმა გენო კოტრიკაძემ, რომელმაც მოკლული ქალის გვამი გაკვეთა.

22 აპრილს, ანუ მოკლული ქალის გვამის აღმოჩენის მეორე დღეს, ოთარ გურულმა და თბილისის მილიციის მთავარი სამმართველოს ოპერატიულმა ჯგუფმა, მცხეთაში, საკუთარ აგარაკზე დააკავა შორენა ასამბაძის მეუღლე, 43 წლის აკაკი გუდაძე. ჩხრეკისას მისი აგარაკის კომოდის უჯრაში „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტი აღმოაჩინეს. სწორედ ამ იარაღით იყო მოკლული შორენა.

– ეს პისტოლეტი თქვენია? – ჰკითხა გუდაძეს გურულმა.

– ჩემია, – დაუდასტურა გუდაძემ, – იარაღის შენახვისთვის მიჭერთ?

– თქვენ ეჭვმიტანილი ხართ თქვენი მეუღლის, შორენა ასამბაძის მკვლელობაში და, თუ ეს დადასტურდა, საკმაოდ მძიმე სასჯელი გელით, – მიუგო გუდაძეს გურულმა, – შორენას დის, იას ჩვენებით გავიგეთ, რომ თქვენ „ტეტეს“ პისტოლეტს ინახავდით მართლსაწინააღმდეგოდ. მანვე გვითხრა, რომ თქვენ და თქვენი ცოლი ამ ბოლო დროს ხშირად ჩხუბობდით და 18 აპრილს მას მოკვლით დაემუქრეთ. შორენა „ტეტეს“ პისტოლეტითაა მოკლული და ჩხრეკაც ამიტომ ჩაგიტარეთ.

– სისულელეა. შორენა მე არ მომიკლავს, – მიუგო გურულს გუდაძემ, – თუმცა, სიკვდილს ნამდვილად იმსახურებდა...



## მოპარული მილიონი

აკაკი გუდაძე თბილისის მილიციის სამმართველოში გადაიყვანეს და დაკითხეს, მაგრამ, ის ერთთავად იმეორებდა, რომ ცოლი მას არ მოუკლავს.

– კეთილი, ბალისტიკურ და დაქტილოსკოპიურ ექსპერტიზას დაველოდოთ და შემდეგ ვილაპარაკოთ. ახლა კი საკანში ჩაგიყვანენ და დაისვენეთ, – უთხრა გუდაძეს გურულმა და მკვლელობაში ეჭვმიტანილი საკანში ჩაიყვანეს.

**დაკავებულმა ცნობილმა „ცეხავიკმა“ გამომძიებელს უთხრა, რომ მისმა აწ გარდაცვლილმა ცოლმა მილიონი მანეთი მოჰპარა**

იმ პერიოდში თბილისის მილიციის სამმართველოში პატიმრებს სასტიკად აწამებდნენ და აღიარებით ჩვენებებს მათგან ამგვარად მოიპოვებდნენ. მაგრამ, აკაკი გუდაძისთვის ხელი არ უხლიათ. პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ გამომძიებელი ოთარ გურული იყო ამ მეთოდის წინააღმდეგი. გარდა ამისა, გუდაძე ძალიან მდიდარი, ცნობილი პიროვნება იყო საქართველოში. მას ბევრი გავლენიანი მფარველი ჰყავდა თვით უმაღლეს პარტიულ ელიტაშიც და ეს კარგად იცოდნენ მილიციელებმა.

როდესაც ყველა ექსპერტიზის პასუხი მზად იყო, ოთარ გურულმა აკაკი გუდაძე დაკითხვაზე დაიბარა და უთხრა:

– თქვენდა სამწუხაროდ, შორენა ასამბაძე თქვენი „ტეტეთია“ მოკლული და ბრალი უნდა წაგიყენოთ განზრახ მკვლელობის მუხლით. შეკითხვები გაქვთ?

– მაქვს.

– ბრძანეთ.

– ამხანაგო გამომძიებელო, თუკი მე მოვკალი ჩემი მეუღლე, მკვლელობის იარაღს, ანუ ფაქტს, სახლში რატომ შევინახავდი? ამაზე არ გიფიქრიათ?

– გარკვეული ლოგიკა თქვენს სიტყვებში ნამდვილად არსებობს, მაგრამ ფაქტია, რომ შორენა თქვენი იარაღითაა მოკლული და თავად როგორ ახსნით ამ ფაქტს?

– ძალიან უბრალოდ. მკვლელმა ჩემი იარაღით ისარგებლა და შემდეგ უკანვე დააბრუნა.

– კეთილი. მაგრამ, მკვლელმა რა იცოდა, რომ თქვენ იარაღი გქონდათ, მით უმეტეს, მისი შენახვის ადგილი?

– შორენასგან – მშვიდად თქვა გუდაძემ.

– ანუ, მკვლელი თქვენი ოჯახის ახლობელი თუ არა, ნაცნობია?

– არა, მას, სამწუხაროდ, არ ვიცნობ და არც ვინმეზე მაქვს ეჭვი. მე ვფიქრობ, რომ შორენა მისმა საყვარელმა მოკლა და ისე მოაწყო, რომ ეს ყველაფერი მე დამბრალებოდა.

– თქვენს ცოლს საყვარელი ჰყავდა?

– ამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ვიღაც ანონიმი მირეკავდა და „რქიანს“ მიწოდებდა, თან ყველანაირად დამცინოდა. მე ამისთვის არანაირი ყურადღება არ მიმიქცევია და ყველაფერი ბოროტი ადამიანების შურიან გამოხდომად ჩავთვალე. გეცოდინებათ, რომ საკმაოდ შეძლებული ადამიანი ვარ და მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ვეხმარები, მოშურნეები მაინც მყავს. შორენაში კი წამითაც არ შემპარვია ეჭვი და მისთვის სიტყვაც არ მითქვამს. 18 აპრილს, ანუ, შორენას გაუჩინარებამდე და მკვლელობამდე ერთი დღით ადრე, სოჭიდან დავბრუნდი და, ჩემს საიდუმლო სეიფში რომ შევიხედე, ცარიელი დამხვდა. საქმისთვის გადანახული თანხა, რომელიც მეორე დღესვე კვლავ სოჭში უნდა ჩამეტანა, გამქრალიყო.

– რა თანხა გაქრა თქვენი სეიფიდან?

– ერთი მილიონი მანეთი.

– ერთი მილიონი?!

– დიახ, ერთი მილიონი. ამ სეიფისა და მისი შიგთავსის ამბავი მხოლოდ შორენამ იცოდა. ამიტომ მე მას განმარტებები მოვთხოვე. შემდეგ წავკამათდით, ბოლოს კი ვიჩხუბეთ და ვუთხარი, რომ მოვკლავდი. სწორედ ამ დროს მოვიდა შორენას და – ია და ჩვენებაშიც ეს მომენტი ახსენა. თუმცა, მან არ იცოდა, რისთვის ვჩხუბობდით და მალევე წავიდა. მე იმავე დღეს ერთ ჩემს მეგობართან გავემგზავრე ფულის სასესხებლად, რომ მეორე დღეს სოჭში ჩამეტანა. ფული ვიშოვე. სახლში დაუბრუნებლად გავემგზავრე სოჭში და ფული ჩავიტანე. 20-ში უკან დავბრუნდი და შორენა რომ არ დამხვდა, მისი ძებნა დავიწყე. მეორე დღეს კი თქვენ მოხვედით, აგარაკი გამიჩხრიკეთ და მკვლელობის ბრალდებით დამაკავეთ. გარწმუნებთ, შორენა ნამდვილად არ მომიკლავს და ეს ყველაფერი დადგმული სპექტაკლია. გარდა ამისა, ფიზიკურად ვერ შევძლებდი ამის გაკეთებას, რადგან მკვლელობის დროს სოჭში ვიყავი.

– თქვენს ალიბის ვინ დაადასტურებს?

– არავინ. მე ვერ დავასახელებ იმ ხალხს, ვისაც მილიონი მივუტანე. ამას კონფიდენციალურად გეუბნებით და, რომც დამხვრიტონ, ოფიციალურად მაინც არ ვაღიარებ.

## პროკურორის პატაკი

მიუხედავად იმისა, რომ გუდაძე არ ასახელებდა თავის სოჭელ პარტნიორებს, ვისაც მისი ალიბის დადასტურება შეეძლო, ოთარ გურულმა მას დაუჯერა და უთხრა:

– კარგი, ნუ დაასახელებთ. მე მჯერა თქვენი და ჯერჯერობით ბრალს არ წაგიყენებთ. თუმცა, არც პატიმრობიდან გაგათავისუფლებთ. ჯობია, აქ იჯდეთ. მე კი ნამდვილი მკვლელის პოვნას შევეცდები და, თუ გამიმართლებს, მაშინ თქვენც გამართლდებით.

ოთარ გურულს ნამდვილად გაუმართლა: 3 მაისს მას სახლში დაურეკეს და ქალის ხმამ ჰკითხა:

– ბატონი ოთარი ბრძანდებით?

– დიახ.

– ოთარ გურული?

– დიახ, დიახ. თქვენ ვინ ბრძანდებით?

– მე შორენა ასამბაძის საქმესთან დაკავშირებით მინდა დაგელაპარაკოთ და თქვენთან დაუყოვნებლივ შეხვედრა მსურს, ერთი-ერთზე.

– კი ბატონო, ჩემთან მობრძანდით ახლავე. გაწყობთ?

– დიახ.

– კეთილი, გელოდებით, – ოთარ გურულმა ქალს თავისი ბინის მისამართი უთხრა და ყურმილი დაკიდა.

ერთი საათიც არ იყო გასული, როდესაც საშუალო სიმაღლის, ოცდაათიოდე წლის, შავთმიანი ქალი გურულის სასტუმრო ოთახში, სავარძელში ჩაეშვა და მასპინძელს უთხრა:

– მე ანა კახიანი ვარ, თემურ ქვათაძის მეუღლე.

## პოლკოვნიკი ჩირაძე და მისი ორი თანამზრახველი ორთაჭალის ციხეში დახვრიტეს

– ქვათაძე, ქვათაძე... თემურ ქვათაძე... – გაიმეორა გურულმა, – ნაცნობი სახელია.

– დიახ, ძალიან ნაცნობი, – თქვა ქალმა, – ჩემი მეუღლე მილიციის კაპიტანი იყო. ის ამ შვიდი წლის წინ არაგანზრახ მკვლელობისთვის დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს.

– აა, მახსოვს, როგორ არა. ერთ-ერთი აყვანის ოპერაციის დროს უდანაშაულო ადამიანს ესროლა და ადგილზე მოკლა. დიახ, გისმენთ, – უთხრა გურულმა ანა კახიანს.

– თემურს ათი წელი მისცეს, მაგრამ, ექვს წელიწადში, ესე იგი, შარშან გამოვიდა ციხიდან. მილიციაში მას, აბა, ვინ დააბრუნებდა და დადიოდა უმუშევარი სამიოდე თვე. შემდეგ, ერთბაშად საკმაოდ დიდი თანხა გაუჩნდა და რომ ვეკითხებოდი, საიდან ჰქონდა მას ფული, მპასუხობდა: „ღმერთის კრიშიდანო...“ ერთი კვირის წინ კი, თემური მოულოდნელად გაუჩინარდა. სახლიდან ღამის 10 საათზე გავიდა. წასვლამდე ნახევარი საათით ადრე კი ვიღაცამ დაურეკა და ყური მოვკარი მის სიტყვებს: „კარგი, კარგი, ჩირო, გავიგე, მოვალ.“ სახლიდან გასვლის წინ რომ ვკითხე, სად მიდიოდა, მან მაკოცა და მითხრა: „მალე მოვალ, პროგრამა „ვრემია“ ჯერ დამთავრებული არ იქნება, რომ დავბრუნდებიო“.

ქალმა პაუზა გააკეთა. გურულმა კი თქვა:

– ჰმ, ჩირო... ჩიროო, ნამდვილად მასე თქვა?

– დიახ.

– სულ ესაა, რისი თქმაც გინდოდათ?

– არა, – მიუგო ქალმა გურულს და შავი ფერის პატარა ბლოკნოტი გაუწოდა, – მთავარი ესაა. ყველაფერი აქ წერია. თემურის ჩანაწერებია. გუშინწინ შემთხვევით ვიპოვე კომოდის საიდუმლო უჯრაში და, რომ წავიკითხე, გადავწყვიტე, თქვენთვის გადმომეცა. თქვენ პატიოსანი ადამიანის სახელი გაქვთ და, მჯერა, რომ დამნაშავეები ღირსეულ სასჯელს მიიღებენ. შორენა ასამბაძის მკვლელობის საიდუმლოც აქ წერია.

ანა კახიანი რომ წავიდა, გურულმა შავი ბლოკნოტის კითხვა დაიწყო და თავზე ისე დაათენდა, არც კი გაუგია. ბოლო წინადადება რომ ჩაიკითხა, ბლოკნოტი დახურა და იქვე დადო. შემდეგ ფარდა გადასწია და ჩაილაპარაკა:

– მდაა, მძიმე ტვირთის აღება მომიწევს, მაგრამ უნდა დავძლიო.

დილის 7 საათი იყო. გურული საწერ მაგიდას მიუჯდა და რესპუბლიკის გენერალური პროკურორის სახელზე პატაკი დაწერა. შემდეგ შხაპი მიიღო, ჩაიცვა, სახლიდან გავიდა, გენერალურ პროკურატურას მიაშურა და სპეციალურად დალუქულ პაკეტში ჩადებული პატაკი გენპროკურორის მდივანს დაუტოვა, რომელსაც წითელი მელნით ეწერა: „სასწრაფო“.

ოთარ გურული დილის ათის ნახევარზე მივიდა სამსახურში და მუშაობას შეუდგა. ზუსტად დღის 2-ის ნახევარზე მის კაბინეტში ტელეფონმა დარეკა და გენერალური პროკურორის პირადმა მდივანმა მას უთხრა:

– ამხანაგი გენერალური პროკურორი გიბარებთ. ზუსტად ორ საათზე გელოდებათ და არ დააგვიანოთ...

### პაემნების ოთახი

საქართველოს გენპროკურორმა ოთარ გურული საკმაოდ ცივად მიიღო, ხელიც კი არ ჩამოურთმევია, მხოლოდ სკამზე დაჯდომა შესთავაზა და უთხრა:

– ამხანაგო გურულო, თქვენს პატაკს გულდასმით გავეცანი და ძალიან აღვშფოთდი იქ მოყვანილი ფაქტებით. პატაკში წერთ, რომ ეს ინფორმაცია ვინმე თემურ ქვათაძის ბლოკნოტში ამოიკითხეთ. ბლოკნოტი თქვენთანაა?

– ინებეთ, – გურულმა შავი ბლოკნოტი პიჯაკის ჯიბიდან ამოაცურა და გენპროკურორს მაგიდაზე დაუდო.

გენპროკურორს ბლოკნოტისთვის ხელი არ უხლია, მხოლოდ დახედა მას და გურულს უთხრა:

– თქვენ მთხოვთ პოლკოვნიკ ზურაბ ჩირაძის დაპატიმრების ორდერს, ის კი შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანია, დაფასებული, პატივცემული თანამშრომელი. რა რეალური მოტივი გაგაჩნიათ ორდერის მოსათხოვნად?

– ქვათაძის ბლოკნოტი. დარწმუნებული ვარ, რომ იქ მოყვანილი ამბები აბსოლუტური სიმართლეა და, რომ გაუჩინარებული ქვათაძე ან ჩირაძის მითითებით მოკლეს, ან სულაც თავად ჩირაძემ.

– ეს მხოლოდ ვარაუდებია. მე ამის შესახებ პირველ მდივანს უნდა მოვახსენო და გადაწყვეტილებას შემდეგ მივიღებ. ხუმრობა ხომ არაა – თქვენ ბრალს სდებთ მილიციის მაღალჩინოსნებს საშინელ დანაშაულებში და, ეს რომ ტყუილი აღმოჩნდეს, ჩვენი, პროკურატურის ღირსება შეიბღალება. ამიტომ, ეს ბლოკნოტი დამიტოვეთ. მე პირველ მდივანს დაველაპარაკები და შეგატყობინებთ, თქვენ კი სიტყვაც არავისთან დაგცდეთ ამ ამბებზე.

ოთარ გურული გულგატეხილი გამოვიდა გენერალური პროკურორის კაბინეტიდან. იმედი აღარ ჰქონდა, რომ ამ საქმეს მსვლელობა მიეცემოდა. საქართველოს „ცეკას“ პირველი მდივანი, ედუარდ შევარდნაძე ხომ მანამდე შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და თავის ყოფილ უწყებაში მის მიერვე დატოვებული კადრების კომპრომეტაციას არ დაუშვებდა.

თემურ ქვათაძის ჩანაწერებში კი ეწერა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ სამმართველოს უფროსი, რომელსაც თვალთვალისა და დაფიქსირების ფუნქცია ეკისრებოდა, ანუ ზურაბ ჩირაძე, ბოროტმოქმედ მილიციელთა იმ ჯგუფს ედგა სათავეში, რომელიც უკანონო კომპრომატების გამოყენებისა და მათ შესახებ მოპოვების გზით ფულს სძალავდა მოქალაქეებს. იქვე ეწერა, რომ ქვათაძემ, პირადად ჩირაძის მითითებით, სქესობრივი ურთიერთობები დაამყარა შორენა ასამბაძესთან, რაც ვიდეოფირზე იქნა ჩაწერილი მილიციის ეგრეთ წოდებულ „ოპერატიულ“ ბინაზე, საბურთალოზე, სადაც ქვათაძეს მიჰყავდა ხოლმე ასამბაძე. ქვათაძე წერს: „შორენას ჩირაძის ბიჭებმა (სავარაუდოდ) მილიონი მანეთი გამოსძალეს. შემდეგ კი ის თავიდან მოიშორეს. ხიფათის ქვეშ ვარ მეც, რადგან, შესაძლოა, მეც მომკლან, როგორც არასასურველი მოწმე...“

ოთარ გურული თითქმის ასი პროცენტით იყო დარწმუნებული, რომ წაგებულ თამაშს თამაშობდა. ის საკუთარ კაბინეტში იჯდა და მუშაობდა, როდესაც პირადად გენპროკურორმა დაურეკა, თავისთან დაიბარა და უთხრა:

– გილოცავ, ჩემო კარგო! ედუარდ ამბროსოვიჩმა ამ საქმეს მსვლელობა მისცა და გამოძიება უშიშროებას დაავალა, შენ კი მათთან ერთად იმუშავებ.

ედუარდ შევარდნაძის მითითებითა და გენპროკურორის სანქციით, საქართველოს უშიშროების კომიტეტის საგანგებო საგამოძიებო-ოპერატიულმა ჯგუფმა 26 ივნისს, თბილისის სხვადასხვა რაიონში შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვსი და ოთხი ყოფილი მილიციელი დააკავეს, მათ შორის – მილიციის პოლკოვნიკი, 44 წლის ზურაბ ჩირაძე. მათ ბრალი ედებოდათ ფულის გამოძალვასა და 6 ადამიანის მკვლელობაში...

დახურულმა სასამართლომ ზურაბ ჩირაძეს და მის ორ თანამზრახველს დახვრეტა მიუსაჯა. დანარჩენ შვიდ ბოროტმოქმედს კი სხვადასხვა ხანგრძლივობის პატიმრობები.

ცნობილი საქმოსანი აკაკი გუდაძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. გუდაძემ მოგვიანებით ცოლი მოიყვანა. ის დღესაც ცოცხალია, ღრმად მოხუცებულია, ცხოვრობს თბილისში და მის ოჯახს საკმაოდ შემოსავლიანი ბიზნესი აქვს...

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

### 25 მარტი

1821 – საბერძნეთის აჯანყების დასაწყისი თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ.

1990 – დიდი ხანძარი ნიუ-იორკის დისკოთეკა Heppy Land-ში. დაიწვა 187 ადამიანი.

1995 – ციხიდან სანიმუშო ყოფაქცევისთვის ვადაზე ადრე გაათავისუფლეს მსოფლიოს ჩემპიონი კრივში მაიკ ტაისონი. ის გაუპატიურებისთვის იხდიდა სასჯელს.

### 26 მარტი

1885 – ინგლისში პირველად მოხდა გარდაცვლილის კრემაცია.

1941 – დაარსდა საბჭოთა კავშირის სტალინური პრემია (შემდეგში – სახელმწიფო პრემია).

1953 – ამერიკელმა ექიმმა ჯონას ედვარდ სოლკმა მოახდინა პირველი წარმატებული ვაქცინაცია პოლიომიელიტის წინააღმდეგ.

1960 – დაარსდა საფეხბურთო ტურნირი „თასის მფლობელთა თასი“.

1985 – ეკრანებზე გამოვიდა მილოშ ფორმანის ფილმი „ამადეუსი“.

### 27 მარტი

1977 – ტენერიფეს (კანარის კუნძულები) აეროპორტში აფრენისას აფეთქდა „ბოინგ 747“. დაიღუპა 582 ადამიანი.

1978 – ეკრანებზე გამოვიდა გიორგი დანელიას ფილმი „მიმინო“.

1990 – ლონდონში ბეიკერ-სტრიტ 221-ში გაიხსნა შერლოკ ჰოლმსის მუზეუმი.

### 28 მარტი

1910 – მარსელში ცაში აიჭრა პირველი ჰიდროპლანი.

1930 – თურქეთის ქალაქ ანგორას სახელი გადაარქვეს და უწოდეს ანკარა.

1939 – გენერალ ფრანკოს ჯარებმა აიღეს მადრიდი. დამთავრდა ესპანეთის სამოქალაქო ომი.

### 29 მარტი

1886 – ატლანტაში (ამერიკის შეერთებული შტატები) ჯონ პემბერტონმა შექმნა ყველასთვის ცნობილი სასმელი „კოკა-კოლა“.

1967 – ექსპლუატაციაში შევიდა პირველი ფრანგული ატომური წყალქვეშა ნავი.

1973 – უკანასკნელმა ამერიკელმა ჯარისკაცმა დატოვა ვიეტნამი.

### 30 მარტი

1814 – მოკავშირეთა ჯარებმა აიღეს პარიზი. დაემხო ნაპოლეონის ხელისუფლება.

1842 – ამერიკელმა ექიმმა უილიამსონ ლონგმა პირველად გამოიყენა ეთერი, როგორც საანესთეზიო საშუალება.

1858 – ფილადელფიელმა ჰემფრი ლიპმენმა დააპატენტა ფანქარი, რომელსაც მეორე მხარეს საშლელი ჰქონდა დამაგრებული.

1867 – ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც რუსეთმა 7,2 მილიონ დოლარად ამერიკის შეერთებულ შტატებს მიჰყიდა ალასკა.

1954 – ტორონტოში გაიხსნა კანადის პირველი მეტროპოლიტენი.

### 31 მარტი

1889 – პარიზში ოფიციალურად გაიხსნა ეიფელის კოშკი.

1904 – გაზეთში პირველად გამოჩნდა ავტომობილის რეკლამა.

1923 – ნიუ-იორკში გაიმართა პირველი საცეკვაო მარათონი.

1967 – ჯიმი ჰენდრიქსმა პირველად დაწვა თავისი გიტარა კონცერტზე. ამის შემდეგ ეს მისი კონცერტების ტრადიციად იქცა.

1991 – ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას.

# როგორ გაძარცვა თაღლითმა ქალმა საყვარელი და ვინ გააბა ის მახეში

*წარსულში ორჯერ ნასამართლევი 37 წლის ეკა კ-ძე დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნის გამო გისოსებს მიღმა მესამედ მოხვდა. მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა რამდენიმე ეპიზოდი სამართალდამცველებმა ახალგაზრდა ქალის მიერ შერჩეული ახალი მსხვერპლის მეშვეობით გახსნეს, რომელიც ეკა კ-ძემ ჯერ თაღლითობის მახეში გააბა, შემდეგ კი მისი ქონების მესაკუთრე გახდა. სამართალდამცველებმა თაღლითი ქალი ორთვიანი ძებნის შემდეგ დააკავეს, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით აღიძრა.*

## დანაშაულებრივი წარსული

ეკა კ-ძე პირველად 25 წლის ასაკში გაასამართლეს ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების მუხლით. მან ციხეში სამი წელი დაჰყო და პირობითი სასჯელით გათავისუფლდა. ამის შემდეგ ეკა კ-ძე ცოლად გაჰყვა მამაკაცს, რომელიც ქორწინებიდან სამი წლის შემდეგ ეჭვიანობის ნიადაგზე დანით დაჭრა. ეკა კ-ძე, სხეულის მძიმე დაზიანების ბრალდებით, მეორედ აღმოჩნდა ციხეში, სადაც ექვსი წელი გაატარა. სასჯელის მოხდის შემდეგ ის რუსეთში წავიდა სამუშაოდ, თუმცა, მალე დეპორტით დააბრუნეს უკან და სწორედ მაშინ დაიწყო მისი დანაშაულებრივი ცხოვრების ახალი ეტაპი. ეკა კ-ძემ დეიდაშვილთან ერთად დააარსა შპს „ნდობა", რომლის „საქმიანობის" სპექტრი მრავალფეროვანი იყო – ძირითადად, სხვადასხვა ორგანიზაციის და კერძო პირების მეშვეობით, თაღლითურად ფულის გამოძალვას ეწეოდა საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარების მოტივით. ამის გამო ეკა კ-ძეს ისევ შეექმნა დაპატიმრების საფრთხე, თუმცა, ამჯერად ის ციხეს გადაურჩა, რის შემდეგაც, უკვე გამოცდილმა თაღლითმა, მორიგი მსხვერპლის შერჩევა პირადი ურთიერთობებისა და კონტაქტების გამოყენებით დაიწყო, ყველა ობიექტს კი წინასწარ, დიდი დაკვირვებით არჩევდა.

## დაზარალებულთა მრავალრიცხოვანი სია

ეკა კ-ძის მიერ დაზარალებულთა სია მრავალრიცხოვანია: ქალბატონები, რომლებიც გამოცდილი თაღლითის კრიმინალურ მახეში დასაქმების, დამატებითი შემოსავლის გამომუშავების სურვილით, შვილის სამსახურში მოწყობისა და სხვა მოტივების წყალობით მოხვდნენ; მამაკაცები, რომლებიც ეკა კ-ძემ თავისი მომხიბლავი გარეგნობის წყალობით, ჯერ ფარულ ინტიმურ ურთიერთობებში გააბა, შემდეგ კი, შანტაჟის გზით, აიძულა, სხვადასხვა სახის ქონება დაეთმოთ. ეკა კ-ძეს მათი ნდობის მოპოვება არ უჭირდა, რის შემდეგაც ის საკუთარი გეგმების განხორციელებას იწყებდა. 54 წლის ჟანა ბ-შვილმა 3 000 ამერიკული დოლარი შვილის იტალიაში გამგზავრებისა და იქ დასაქმების მიზნით გადაუხადა, თუმცა, როცა მიხვდა, რომ ფული დაკარგა და არავინ აპირებდა იტალიაში მისი შვილის გაგზავნას, მან ეკა კ-ძის ძებნა დაიწყო, რომლის კვალიც ველარ იპოვა. გამოძიების მასალების მიხედვით, ეკა კ-ძე დაოსტატებული იყო მსხვერპლის შერჩევასა და გაუჩინარებაში – ის ისე იცვლიდა ტელეფონის ნომრებს, საცხოვრებელ სახლებსა და „ოფისებს", რომ მისი პოვნა დაზარალებულთათვის ძალიან რთული იყო. ეკა კ-ძე ბინებს ხანმოკლე დროით ქირაობდა და ყველა ასეთ საცხოვრებელ ადგილს ერთი დაზარალებული მაინც აკითხავდა ხოლმე. მაგალითად, გამოძიებისთვის ცნობილია დაზარალებული ქალბატონი, რომელიც ეკა კ-ძის მეზობლად ცხოვრობდა; მან 2 500 ლარი გადაუხადა ეკას ერთ-ერთ კოსმეტოლოგიურ ფირმაში ბუღალტრად „დანიშვნაში". ასევე მოატყუა მან ქალბატონი, რომელსაც ერთ-ერთი ქარხნის კანცელარიის უფროსობას შეჰპირდა მაღალანაზღაურებადი ხელფასით და ეს შეპირება ქალს 5 000 ლარი დაუჯდა. როდესაც დაზარალებულმა ქალმა ეკა კ-ძის კვალს ველარ მიაგნო, ქარხნის ძებნა დაიწყო, თუმცა, ქარხნის ნაცვლად იმ მისამართზე ნასახლარი დახვდა.

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ეკა კ-ძეს თაღლითურ საქმიანობაში საკუთარი დეიდაშვილი და მეგობარი გოგონა ჰყავდა ჩართული. დადგინდა, რომ მისი დეიდაშვილის, 30 წლის ლალი კ-იას მეშვეობით, მან თაღლითურად მიითვისა ვინმე კოტე კ-შვილის კუთვნილი ავტომობილი, რომელიც მოგვიანებით დეიდაშვილებმა ერთად გაყიდეს. მცირე მეწარმე კოტე კ-შვილს ეკა კ-ძე ყაზახეთში მოღვაწე ბიზნესმენად – ევა გრეგორად გაეცნო და 10 000 დოლარის სანაცვლოდ პროდუქციის ყაზახეთში გატანას დაჰპირდა. საქმის საბოლოო გარიგებამდე კი ლოგინშიც შეიტყუა. 10 000 დოლარის გადახდამდე ქალებმა მამაკაცი ავტომობილის გადაფორმებაზე დაითანხმეს და კოტე კ-შვილმა ძვირად ღირებული „ჯიპი" ლალი კ-იას სახელზე გადააფორმა, ქალებმა რამდენიმე დღით

> **როცა გავიღვიძე, სახლი გაძარცული დამხვდა, ქალს კი მუქარის წერილი ჰქონდა დატოვებული**

ნათხოვი ავტომობილიც გაყიდეს, დაპირებული ათი ათასი დოლარიდან ხუთი ათასი დოლარიც მიიღეს და, ამის შემდეგ, მუქარით, რომ, თუ ის ამ ამბავს გაახმაურებდა, ოჯახს აუწიოკებდნენ და პოლიციაში უჩივლებდნენ უკანონო გარიგებისთვის, აიძულეს, რომ გაჩუმებულიყო. გარდა ამისა, მათ გაკეთებული ჰქონდათ ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, სადაც ევად ქცეული თაღლითისა და კოტეს რომანი და, ასევე, უკანონო გარიგების კადრები იყო ჩაწერილი და გადაღებული. დაშანტაჟებული მამაკაცი თაღლითების მსხვერპლი რომ გახდა, გვიან მიხვდა. ამის შემდეგ მან დასახმარებლად სამართალდამცველებს მიმართა.

## გამოცდილი ქალის ბოლო მსხვერპლი

გამოცდილი ქალის ბოლო მსხვერპლი 33 წლის დათო დ-ძე გახდა. „წარმატებულმა ბიზნესმენმა" ეკა კ-ძე შემთხვევით გაიცნო ქუჩაში. ქალმა მას კომერციული ფირმის მეპატრონედ წარუდგინა თავი. მათი ურთიერთობა ჩვეულებრივი ფლირტით დაიწყო და ორ კვირაში მგზნებარე რომანით გაგრძელდა. ეკა კ-ძე ფიქრობდა, რომ ხელში სასურველი მსხვერპლი ჩაიგდო – ახალგაზრდა, სიმპათიური მამაკაცი სოლიდური ავტომობილითა და კეთილმოწყობილი ბინით. მაგრამ, გამოცდილმა ქალმა სწორედ აქ დაუშვა საბედისწერო შეცდომა – მან მხოლოდ დაკავების შემდეგ გაიგო, რომ მამაკაცი, რომელთანაც სასიყვარულო ურთიერთ-



ობა და შორსმიმავალი თაღლითური გეგმები ჰქონდა, დაცვის პოლიციის თანამშრომელი ყოფილა.

ამონაწერი დათო დ-ძის ჩვენებიდან: „როდესაც ეკა კ-ძე გავიცანი, თავი წარმატებულ ბიზნესმენად წარვუდგინე და თვითონაც ასე გამეცნო. თავიდან მის ნათქვამში ეჭვი არ შემიტანია. ეკამ იცოდა, რომ სამშენებლო კომპანია მქონდა და ასფალტის ბიზნესში ვიყავი ჩართული. ურთიერთობის დაწყებიდან ერთ თვეში შემომთავაზა, რომ გამაცნობდა თავის პარტნიორ ქალბატონს, რომელიც საჭირო კონტაქტების დამყარებასა და გარკვეული პროდუქციის იაფად შესყიდვაში დამეხმარებოდა. ჩემი თანხმობის შემდეგ მან გამაცნო ვინმე ლალი, რომელიც როგორც მოგვიანებით გავიგე, მისი დეიდაშვილი იყო და მას საკუთარი ოფისის ხან ბუღალტრად, ხან კი იურისტად ასაღებდა. როგორც ვიცოდი, მათ კიდევ ჰყავდათ ერთი კომპანიონი – ახალგაზრდა გოგონა, რომელიც საჭირო კლიენტურის მოზიდვით იყო დაკავებული." ქალებს ეგონათ, რომ დათო დ-ძის სახით კარგი კლიენტი იშოვეს და მასზე „მუშაობდნენ," ის კი ვერ წარმოიდგინეს, რომ დათო დ-ძე მათ საკუთარ ქსელში უპირებდა გაბმას. შესაძლოა, ეს ურთიერთობა, ეკა კ-ძეს სხვა ფინალით დაესრულებინა, მაგრამ, ან მოთმინებამ უმტყუნა, ან, ჩათვალა, რომ მამაკაცს საკუთარ ბიზნესსაქმიანობაში ვერაფერს დასტყუებდა და გეგმა შეცვალა.

ამონაწერი დათო დ-ძის ჩვენებიდან: „ერთ დღეს რესტორნიდან ნასვამი დავბრუნდი სახლში, ეკას დავურეკე და ჩემთან ამოსვლა ვთხოვე. ორი თვის განმავლობაში ჩემს ბინაში რამდენჯერმე იყო ნამყოფი და იმ ღამესაც ამოვიდა. ერთად დავლიეთ. არ ვიცი, რა მოხდა, ალბათ, რამე ჩამიყარა სასმელში, რადგან, ისე დამეძინა, არაფერი გამიგია. როცა გავიღვიძე, ეკა ბინაში აღარ იყო. მივხვდი, რომ სახლი გაძარცვული იყო – ეკას ჩემი ოქროს სამკაულები, ფული, აიპადი და რამდენიმე ნივთი გაეყოლებინა თან. სასტუმრო ოთახში აღმოვაჩინე ჩემთვის დატოვებული წერილი: ჩემს მოძებნას ნუ შეეცდები, თორემ, ამ ერთ თვეში შენს შავბნელ საქმეებზე იმდენი რამ გავიგე, ცუდად დაგიბრუნდებაო. ამ მუქარას, რა თქმა უნდა, არ შევუშინებივარ, რადგან, სინამდვილეში, არანაირი ბიზნესი არ მქონდა. პირიქით, იმავე დღეს დავიწყე ეკას ძებნა, რომელსაც მობილური ტელეფონიც გამორთული ჰქონდა და, როგორც აღმოჩნდა, საცხოვრებელი სახლიც, რომელიც მან მაჩვენა, სულაც არ ყოფილა მისი. სამართალდამცველებმა ეკა კ-ძეს ორთვიანი ძებნის შემდეგ მიაგნეს. თავიდან ის არ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, თუმცა მის მიერ დაზარალებულ მოქალაქეებთან დაპირისპირებისა და რამდენიმე გახსნილი დანაშაულებრივი ეპიზოდის გამოცხადების შემდეგ, იძულებული გახდა ჩადენილი დანაშაულები ეღიარებინა. სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; მასთან ერთად პასუხისგებაში მოხვდა მისი დეიდაშვილი, ლალი კ-ია, რომელიც კოტე კ-შვილთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ ეპიზოდში ცნეს დამნაშავედ და თავისუფლების 3 წლით აღკვეთა მიუსაჯეს.

**ეკა ბარაბაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ოპელ ასტრა", 1993 წლის. აღჭურვილია გადაცემათა მექანიკური მართვის კოლოფით. დილით, სანამ ავტომობილი გახურდება, ნეიტრალურ სიჩქარეშიც კი, დაქოქვისთანავე ნელი ტემპით წინსვლას იწყებს. სიჩქარეში ჩაგდებაც უჭირს. გახურების შემდეგ პრობლემა იმდენად არ ემჩნევა. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** სავარაუდოდ, ამ ავტომობილის სიჩქარეთა კოლოფი ერთხელ უკვე დაშლილი და აწყობილია. შეცდომაც სწორედ ამ პროცესშია დაშვებული. დეტალები ერთმანეთთან მჭიდროდაა განთავსებული. თუმცა, „ოპელების" საერთო პრობლემაა ის, რომ სიჩქარეებში გადართვა და მით უმეტეს, პირველ სიჩქარეში ჩაგდება უჭირთ და ეს უფრო ცივი ავტომობილის შემთხვევაში იჩენს თავს. შეიძლება სიჩქარეთა კოლოფში ზეთი არასდროს შეცვლილა, რამაც მისი გასქელება გამოიწვია, რაც დეტალების შემჭიდროებასა და ავტომობილის წინსვლას იწვევს. პრობლემა მანამდეა, სანამ ის არ გათბება და შესაბამისად, სათანადო დონემდე არ გათხელდება. მესამე სავარაუდო მიზეზია სიჩქარეთა კოლოფში ზეთის დონის დაწევა, ისე, რომ შეზეთვისთვის საკმარისი აღარ აღმოჩნდა, რის გამოც დეტალები მჭიდროდ ბრუნავს. ბოლო ორ შემთხვევაში ზეთის შეცვლა პრობლემას გადაჭრის და უმჯობესია, შეცვლის დროს სინთეტიკური, სპეციალურად გადაცემათა კოლოფისთვის განკუთვნილი ზეთი გამოიყენოთ. ის ცივზეც და ცხელზეც ერთნაირად თხელია და შეზეთვის თანაბარ უნარს ინარჩუნებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრობლემის მიზეზი მისი არასწორი აწყობაა, შესაძლებელია, ასეთი ზეთის გამოყენებამ ამ პრობლემასაც უშველოს.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მყავს ავტომობილი „გოლფ 3". რამდენიმე დღის წინ მომიწია ტრასაზე საკმაოდ მაღალი სიჩქარით გასვლა. მანქანამ თავისთავად შეანელა სვლა, თითქოს მუხრუჭს დავაჭირე ფეხი. მეორე დღეს ეს არ გამეორებულა, მაგრამ ორ-სამ დღეში პრობლემამ სხვა მხრივ იჩინა თავი. მანქანას ძალიან უჭირს დაქოქვა, ან თუ დაიქოქა, მალევე ქრება. რა შეიძლება იყოს ამ ყველაფრის მიზეზი?**

**პასუხი:** უპირველესად გირჩევთ, ბენზინის წნევა შეამოწმოთ. სავარაუდოდ, მას რაღაც ზღუდავს. შესაძლოა, დასვრილი იყოს ბენზინის სისტემის რომელიმე განყოფილება, თვითონ ბენზინის პომპაც კი. „ფოლკსვაგენის" ამ მოდელებს საწვავის სისტემაში ორი პომპა აქვთ. ერთი, რომელიც უშუალოდ საწვავის ავზშია განთავსებული და მეორე, რომელიც მის გარეთაა. თუკი საწვავის დონე ჩვენს ავზში ნახევარს გადაცილდა და პრობლემა მოიხსნა, ესე იგი, საწვავის ავზში განთავსებული პომპის შეცვლა მოგვიწევს. ის, უბრალოდ, დამხმარე ფუნქციას ასრულებს, როცა ავზში საწვავის დონე ცოტაა, რომ საწვავის ავზის გარეთ მდგარ მაღალი წნევის პომპას საწვავი მიაწოდოს.

**კითხვა: სურვილი მაქვს, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოვიყვანო მანქანა 7 000 დოლარის ფარგლებში. შევარჩიე ორი მოდელი: „მერსედესი 210ე320", „ბეემვე 530". ორივე 1998 წლის გამოშვებაა. რა პლუს-მინუსები აქვთ მათ და რომლის შეძენას მირჩევთ? პირადად, მაინც ვფიქრობ, რომ „მერსედესი" შევიძინო.**

**პასუხი:** ეს ავტომობილები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, ორივეს უამრავი პლუსი და მინუსი აქვს, რომელზეც უკვე ძალიან ბევრი გვისაუბრია ჩვენი რუბრიკის საშუალებით. თუმცა, კითხვიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, თქვენი სტილის გაგება იოლია და ალბათ, თქვენც კარგად იცით, რომ თქვენს სტილსა და ხასიათს ყველაზე მეტად „მერსედესი" მოერგება. ერთმნიშვნელოვანია, რომ „მერსედესი" უნდა შეიძინოთ.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მიცუბიში პაჯერო". როცა ხიდებს ვრთავ, ხან თავისუფლად ვარდება, ხანდახან კი ამისთვის დიდი ძალისხმევა მჭირდება. ერთხელ ხიდების გამორთვაც ძალიან გამიჭირდა, ბევრი ვიწვალე და როგორც იქნა გამოვრთე. რამე გავაფუჭე, არასწორად ვრთავ თუ ყველა „ჯიპს" ასე უჭირს ხიდების ჩართვა?**

**პასუხი:** ხიდების მექანიკურ ჩართვას თავისი სპეციფიკა აქვს. თუ ხიდების ჩართვა გინდათ, ხოლო „რიჩაგი" გეწინააღმდეგებათ, ეს ნიშნავს, რომ მისი ჩასართავი კბილანა ვერ პოულობს თავის ბუდეს. ანუ, კბილი კბილზეა დამიზნებული. ამისთვის ძალიან მარტივი მოქმედებაა საჭირო. ავტომობილი წინ ან უკან სულ ოდნავ დაწიეთ, რათა კბილი კბილს აცდეს და თავის გზით წავიდეს, შემდეგ კი ხელმეორედ ეცადეთ ხიდის ჩართვა. ყველაზე კარგი მომენტია, თუ აღმართზე ან დაღმართზე დგახართ. შესაბამისად, ავტომობილს დაგორების საშუალება აქვს. ამ დროს შეგიძლიათ ხიდების ჩამრთველ „რიჩაგს" მიაწვეთ, მუხრუჭს ოდნავ შეუშვათ ფეხი, რომ ავტომობილს ოდნავ დაგორების საშუალება მისცეთ. ამ დროს ის თავისუფლად იპოვის ბუდეს და იოლად ჩახტება თავის ადგილას. რაც უნდა დარწმუნებულები იყოთ, რომ ხიდები ჩაირთო, მაინც გააკეთეთ საკონტროლო მოძრაობა. იგივე გააკეთეთ ხიდების გამორთვისასაც. ანუ, სულ ოდნავ დაძარით ავტომობილი და მოდება გათიშეთ, რათა ხიდების ჩასართავ კბილანას საშუალება მისცეთ, თავის ბუდეს კარგად მოერგოს. ამ წესების დაცვით, თქვენ არასდროს გააფუჭებთ ხიდების ჩასართავ მოწყობილობას და ზოგადად, არ გაგიჭირდებათ მათი ჩართვა.

**კითხვა: მყავს „ტოიოტა" და როგორც მითხრეს, ის დიდი ბრუნვისთვის არ ვარგა. რატომ? რა არის ამის მიზეზი?**

**პასუხი:** საერთოდ, ძრავაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა დეტალების ბალანსს და წონას. მაგალითად, რომ ავიღოთ ქაღალდის და ტყვიისგან ჩამოსხმული რგოლები, ორივეს გავუყაროთ ღერძი და დავატრიალოთ, რა თქმა უნდა, ქაღალდის უფრო სწრაფად დატრიალდება. ის შეიძლება მალე დაგვეხეს, მაგრამ თუ იდეალურად დაატრიალებთ და რგოლსაც იდეალური ფორმა ექნება, ძალიან დიდხანს იტრიალებს და არ დაზიანდება. მაგრამ, არასწორი დატრიალების შემთხვევაში, თან, თუ ამ ქაღალდის რგოლს ცალ მხარეს სიმძიმეს დავკიდებთ, ეს ნიშნავს, რომ ის ძალიან მალე გაფუჭდება. მძიმე ბურთს ეგრევე სწრაფად ვერ დაატრიალებთ, მაგრამ შესაძლებელია, ნელ-ნელა მოემატოს სიჩქარე და თან, დიდხანს იტრიალოს ისე, რომ არ დაზიანდეს. სწრაფბრუნვადი ძრავების მთელი პრინციპიც ესაა. ნელა მბრუნავი ძრავა, ისევე როგორც „ტოიოტა," მძიმე დეტალებისგან შედგება და საკმაოდ კომფორტული სატარებელია. ანუ, ნაკლებად მკვეთრ მანევრებს აკეთებს, შენელებისთვის თავის მასას იყენებს, რბილად ჩერდება და იძვრება. მკვეთრ გადასვლებს არ აკეთებს, გათვლა კომფორტულობაზეა და ასეც არის. მაგრამ, შესაბამისად, მაღალ ბრუნს ვერ აღწევს, რადგან მძიმე ლითონითაა შექმნილი. აბსოლუტურად პირიქით ხდება მაღალბრუნვიანი ძრავას შემთხვევაში. მაგალითად, „ჰონდას", გაზს ფეხს რომ მიაჭერთ ის მკვეთრად ჩქარდება და ეს, რა თქმა უნდა, დისკომფორტს ქმნის, თუ სპორტული რეჟიმით სიარული არ გინდათ. იგივეს იგრძნობთ გაზიდან ფეხის აშვებისას, ის ძალიან მკვეთრად ჩერდება. ეს სალონში ნჯღრევასაც კი იწვევს, მაგრამ, სამაგიეროდ, მაღალბრუნიანია.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



სრული მარცხი

ნახატიანი ქვა

ბულგარეთის მთები / კანტორა

ლიტვის ფული

უმცირესი ნაწილაკი

ბესინჯერი / ფანჯრის ნაწილი / ბრბო

სხეულის ნაწილი

აზიის ქვეყანა

იგივე მინანქარი

ჩრდილი / პური ბავშვისთვის

არის ასეთი სახელწოდების მაღაზია თბილისში

ჩაის უხდება

ინგლისური საზომი / აქცენტი

უჯრედის შიდა ნაწილაკი

ქართული გაზეთი

იგივეა რაც ზამში

მუსიკალური სპექტაკლი

თევზი / ჩვენი მგოსანი

პატარა არჩილი

ლატვიის დედაქალაქი

ბიზნესის ამა თუ იმ სფეროს გავლენიანი წარმომადგენელი

(.....) კალანდაძე

ქვეყნის ნაწილი

ჟამის სურვილი

(.....) და მოკასანი

ალექსანდრეს რუსული ვარიაცია

ცეკვის სახეობა

ფრინველის საპყრობილე

საფეიქრო ბანანი / რბილი ლითონი

სულ ტრიალებს

ჩვენი კინოქალი

წრეწირის ნაწილი

ფართობის ერთეული / ნიჭიერის ანტონიმი

სიმინდის ყვავილედი

(......) ისაკაძე

იაპონური არაყი

ტბა კანადაში

სიმონი მოკლედ / სააკაძის ვაჟი

ჩინური სამაგიდო თამაში

არის ასეთი სახელი ქალისა

ილიასეული ყაჩაღი

სითხის სამგზავრო ჭურჭელი

(.......) გრძელი წინდა

პირველი კოსმონავტი

ხორცის მჭრელი / ლადიკე ჩხეიძე

პიკასოს ქალიშვილს ჰქვია

ლურჯი წითელი ყვითელი

ერთი გერმანულად

ცხენის ტრამვაი

ქალაქი იტალიაში

ნაზი, სათუთი

ვენესუელას მდინარე

ძალიან გამხდარი ბავშვი

არის ასეთი თოფი

ებრაელი მღვდელმსახური

მაუგლის დიდი გველი

ფრანგი მსახიობი ჟირარდო

ცხელი სასმელი

აღზრდის ღვაწლი / .....ლიტმანენი

სასკოლო საგანი

ბუხარი / მიზანდარი

ევროპელი თავადი / კრანი

უარის სიტყვა

აღმოსავლური ვიოლინო

ვირმა არ იცის რა ხილია

რუმინეთის სამხრეთი რეგიონი

რესტორანი თბილისში

ევროპული დედაქალაქი

შენობის საძირკველი

კინორეჟისორი ლოლობერიძე

აფრიკის ქვეყანა (........) დ ივუარი

ლურსმნის მსგავსი ყვავილი

ვარჯიში / ჩვენი ანსამბლი

არის ასეთი ხე

„ჩიორას" რეჟისორი ნელი....

.....ფოცხიშვილი / ჩვენი კურორტი

ქსოვილი / არისტოტელეს ნაშრომი

პატარა ხალიჩა / ორსული პირუტყვი

ცეტი, გადარეული

Column clues (top to bottom):

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | 1 | 2 | 1 | 3 | 2 | 1 | 2 | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | |
| 5 | 5 | 6 | 6 | 6 | 6 | 5 | 2 | 3 | 2 | 2 | 1 | 3 | 3 | 3 | 4 | 6 | | | | 5 | 4 | 4 | 4 | 5 | 6 | | 5 | 5 | 6 | 5 | 5 | | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 | 1 | 5 | 12 | 20 | 27 | 19 | 26 | 20 | 12 | 6 | 3 | 1 | 1 | 7 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |

Row clues (left to right):

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 4 |
| | | | 6 |
| | | | 6 |
| | 2 | 4 | 6 |
| 2 | 2 | 7 | 7 |
| | 11 | 2 | 3 |
| | | 5 | 3 |
| | 6 | 5 | 2 |
| | 9 | 5 | 3 |
| | 13 | 3 | 4 |
| | | 7 | 17 |
| | | 7 | 13 |
| | | 5 | 10 |
| | | | 7 |
| | | | 5 |
| | | | 5 |
| | | | 5 |
| | | | 5 |
| | | | 7 |
| | | | 7 |
| | | | 7 |
| | | | 7 |
| | | 3 | 3 |
| | | 3 | 3 |
| | | 3 | 4 |
| | | 4 | 4 |
| | | 4 | 4 |
| | | 4 | 5 |
| | | 4 | 5 |
| 11 | 6 | 6 | 8 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | 8 | 5 | 3 | | 7 | | 2 |
| 1 | | 7 | | 2 | 9 | | 8 | 4 |
| 6 | 2 | | 8 | | 7 | 3 | 1 | |
| | 5 | 4 | | 1 | | 6 | 9 | 7 |
| 7 | 6 | | 9 | | 8 | | 3 | 1 |
| | | 1 | 7 | 6 | 4 | | 5 | 8 |
| 4 | | 6 | 1 | | 5 | | 2 | |
| | 1 | | 4 | | 6 | 8 | | 5 |
| 5 | 7 | | 3 | 8 | | | 4 | |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | 7 | 8 | | | 5 | |
| | 3 | 2 | | | 4 | | 6 | |
| | | | 2 | | | | | 4 |
| | 2 | | | 4 | | | 1 | 8 |
| 1 | | | | | | 4 | | |
| | | 7 | 8 | | 5 | | 3 | |
| | | | 9 | | | | 4 | |
| | 5 | | 1 | | 8 | | 7 | |
| | 9 | | 4 | | 7 | | | 3 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად






ზალიკო სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება





# იპოვე ორი ერთნაირი ხე



# როგორ ჩააგდებს მეგოლფე ბურთს მიზანში



# მერცხალი და ყვავი

## (იგავ-არაკი)

მერცხალი და ყვავი ერთმანეთს წაეკიდნენ: არა მე ვარ ლამაზი და არა მეო.

– შენ მხოლოდ გაზაფხულზე ხარ კარგი და ლამაზი, – უთხრა ყვავმა მერცხალს, – მე კი ზამთარშიაც ჯანიანი და კეკლუცი გახლავარო.

სილამაზეს ჯანმრთელობა გვერჩიოსო.

# რიცხვრებუსი

,,3, 10,, 8,, ,,,,13



# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: წელიწადის რომელი დროა ძაღლისთვის ყველაზე პრობლემური?**

**პასუხი:** გააჩნია ძაღლის ჯიშს: ზოგისთვის ზაფხულია პრობლემური, ზოგისთვის – ზამთარი და ასე შემდეგ. მაგალითად, გაზაფხული ისეთი პრობლემური არ არის ძაღლებისთვის. ამ დროს ისინი გასამრავლებლად ემზადებიან, ანუ, როგორც ბუნება ილვიძებს, ისე ილვიძებს ცხოველებშიც ყველაფერი. გაზაფხულზე, ასევე, ყურადღება უნდა მიაქციოთ ბეწვის ცვენას. ამ პერიოდში ძაღლი ბალანს იცვლის და ზაფხულისთვის ემზადება. თუ ბეწვის გამოცვლა დაუგვიანდა, მაშინ სპეციალური ვიტამინები უნდა მიაშველოთ, რაც ხელს შეუწყობს ამ პროცესს.

**კითხვა: რატომ არ შეიძლება, ძაღლს ღორის ხორცი ვაჭამოთ?**

**პასუხი:** საერთოდ, ღორის ხორცი დიდად არც ადამიანს უხდება და, მით უმეტეს – არც ძაღლს, რადგან, ის ცხიმიანი და მაწყინარია. ცხოველისთვის უცებ, დიდი რაოდენობით ღორის ხორცის მიცემამ, შეიძლება, მისი სიკვდილიც კი გამოიწვიოს. ამიტომ, უმჯობესია, ღორის ხორცი და მისი პროდუქტები საერთოდ არ მისცეთ ძაღლებს – არც ძეხვი, არც სოსისი და ასე შემდეგ.

**კითხვა: რა რაოდენობით არის ძაღლისთვის დაშვებული ქათმის ხორცის ჭამა?**

**პასუხი:** ქათმის ხორცი, ოღონდ, კანისა და ძვლების გარეშე, შეგიძლიათ, ძაღლს აჭამოთ. კანი და ძვალი, როგორც ადამიანისთვის, ასევე ცხოველებისთვის, მავნებელია. ბარკლებსაც თუ არ მისცემთ, კარგი იქნება, მისი ჯანმრთელობისთვის. რაც შეეხება რაოდენობას, თუ ძაღლისთვის კვების ძირითადი რაციონი ქათმის ხორცია, მაშინ ეს პროდუქტი ულუფის დაახლოებით 70 პროცენტს უნდა შეადგენდეს, ხოლო თუ დესერტის სახით აძლევთ, მაშინ, რაოდენობა თავად განსაზღვრეთ.

**კითხვა: აუცილებელია თუ არა კატის ცოფზე აცრა?**

**პასუხი:** აუცილებელია, კატას ჩაუტარდეს იმუნიზაცია ცოფის საწინააღმდეგოდ, ისევე, როგორც ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგოდ. ასე რომ, ყოველ მეთერთმეტე თვეს არ დაგავიწყდეთ ამის გაკეთება.

**კითხვა: მაინტერესებს, უნდა მოვარიდო თუ არა ოთახის ძაღლი ქუჩის ძაღლებს?**

**პასუხი:** ოთახის ძაღლი აუცილებლად უნდა მოარიდოთ უპატრონო, ქუჩის ძაღლებს, რადგან, მათ ბევრი დაავადების გადატანა შეუძლიათ სხვა ძაღლზე. შეეცადეთ, თქვენი ძაღლი ახლოს არ მიუშვათ უცნობ ძაღლთან, რომელიც ქუჩაში ცხოვრობს.

**კითხვა: მინდა ამერიკული კოკერ-სპანიელის შეძენა. მითხრეს, რომ ლეკვს 100 ლარად ვიყიდი. რამდენად რეალურია ეს თანხა ამ ჯიშის ძაღლისთვის?**

**პასუხი:** ფასიდან გამომდინარე, ხარისხიც დაბალი იქნება, რადგან, ამ ფასად თითქმის შეუძლებელია კარგი ხარისხის ამერიკული კოკერ-სპანიელის შეძენა. ამ ჯიშის ძაღლის ფასი დაახლოებით 200 დოლარიდან იწყება, თუმცა, შეიძლება, ვინმეს სასწრაფოდ სჭირდებოდეს ფული და 200 ლარადაც გაყიდოს.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ძაღლისთვის კვერცხისა და რძის პროდუქტების მიცემა?**

**პასუხი:** რძის პროდუქტებიდან რამდენიც გნებავთ, მიეცით ხაჭო, ყველი და მაწონი. ხოლო რაც შეეხება რძეს, არაჟანსა და კარაქს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.



რუბრიკას უძღვება ლექსო ამირანაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

მოამზადა
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუარო ფინიკის პალმას?**

**პასუხი:** ფინიკის პალმა ტროპიკული მცენარეა, ამიტომ მას სჭირდება დიდი სიფრთხილით მოვლა და, ასევე, დიდი ყურადღება. აუცილებლად გაითვალისწინეთ წყლის დასხმის ინტენსივობა და არეგულირეთ სითბო ზამთარში. ფინიკის პალმას ესაჭიროება 15 გრადუსი სითბო, ხოლო ზაფხულში მაღალ ტემპერატურასაც იტანს. მცენარეს არ უყვარს ხშირი გადარგვა და ფესვების შეჭრა. ეცადეთ, რომ პალმის ნიადაგი მუდმივად იყოს გაჯერებული საკვები მინერალებით. დამატებითი კვება, ანუ მინერალები ამ მცენარეს დასჭირდება ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

**კითხვა: ჩემმა კაქტუსმა ხმობა დაიწყო. როგორ გადავარჩინოთ?**

**პასუხი:** კაქტუსს არ უყვარს ზამთრის დროს ძალიან მაღალი ტემპერატურა და ხშირი გადარგვა. ეცადეთ ის გაიტანოთ გრილ და მშრალ ადგილას, სადაც თავს კარგად იგრძნობს; ზაფხულში კი დადგით ისეთ ადგილას, სადაც სიცხეა და მზე თითქმის მთელი დღის განმავლობაში მიანათებს. მას არ მოსწონს შეჭრა და ფესვების შემოკლება. კაქტუსს არ მისცეთ აზოტიანი სასუქები, თორემ, დაიღუპება. გახსოვდეთ, რომ მას მხოლოდ ისეთი სახის სასუქები უნდა მიაწოდოთ, რომელთა შემადგენლობაშიც აზოტი ნაკლებად იქნება.

**კითხვა: ტიტები მთელი ზამთარი გარეთ დავტოვე და აღარ ამოდის. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ტიტა ზამთრის მთელ სეზონს გარეთ ატარებს, მაგრამ, შესაძლებელია, ის უკვე გადაბერდა და ამიტომ აღარ ამოდის. საერთოდ, ტიტა ყოველ წელს უნდა ამოიღოთ ნიადაგიდან (ეს ხდება გვიან შემოდგომით) და შემდეგ უნდა ჩააბრუნოთ მიწაში. თუ ტიტების ასეთი მოვლა არ ხდება, შესაძლებელია, ის საერთოდ გაქრეს, თუ ის მიწიდან არ ამოიღეთ, ყოველ წელს უფრო და უფრო ღრმად მიდის ნიადაგში და ამიტომ ხდება მისი გაქრობა.

**კითხვა: მალაზიაში შევიძინე დელონიქის თესლი. როგორ გავახარო?**

**პასუხი:** ეს მცენარე ტროპიკული ქვეყნიდან არის და დიდი ყურადღება სჭირდება მის აღმოცენებას. დელონიქს აქვს ძალიან უხეში გარეთა კანი, ამიტომ, ეცადეთ, რომ მისი თესლი კარგად დაალბოთ. დალბობა უნდა მოხდეს 48 საათის განმავლობაში და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაითესოს. მცენარე ამოდის 2-4 კვირაში. ეცადეთ, რომ პირველივე წელს არ გადარგოთ, თორემ, მოკვდება, რადგან, სანამ მთავარი ფესვი არ ჩამოუყალიბდება, მანამდე ვერ იტანს გადარგვას. ახალი აღმოცენებული დელონიკი 2-3 წელი იყოლიეთ სახლის პირობებში, შემდეგ კი შეგიძლიათ, გარეთ გაიტანოთ.

**კითხვა: სახლში მაქვს ბანანის ხე, რომელიც საერთოდ გამოშრა და წაიქცა, როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ამ მცენარეს არ უყვარს ტემპერატურის თამაში, ცვალებადობა. უკვე შეგიძლიათ, რომ ბანანის ხე გარეთ გაიტანოთ და დადგათ სუფთა ჰაერზე. შესაძლოა, მცენარემ ახალი ამონაყარი მოგცეთ. ეცადეთ, რომ ზამთარში ის ამყოფოთ 15-18 გრადუსზე. საერთოდ, ბანანის ხის მრავალი ჯიში არსებობს. რომელთაგანაც ზოგიერთ სახეობას არ უყვარს სიცივე, ზოგიერთ მათგანს კი – პირიქით; ამიტომ, ნებისმიერი ჯიშისთვის მისაღები პირობები ასეთია: ჰქონდეს თანაბარი ტემპერატურა; გადარგეთ სამ წელიწადში ერთხელ და თითო მცენარეს მიეცით 100-დან 150 გრამამდე სასუქი, რათა ყოველ წელს კარგად იგრძნოს თავი.

მოამზადა
**თეონა გოზალიშვილმა**

**1921 წლიდან საბჭოთა საქართველოში დაიწყო საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის დევნა და შევიწროება. ეს პროცესი დიდი ინტენსივობით მიმდინარეობდა ორი ათეული წლის განმავლობაში. განსაკუთრებით მძიმე იყო 20-იანი წლების პირველი ნახევარი. გვესაუბრება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი ვახტანგ გურული.**

# როგორ შეავსო საბჭოთა ხელისუფლებამ ოქროს მარაგი ეკლესიიდან გატანილი წმიდა ხატებითა და ბარძიმებით

**– ბატონო ვახტანგ, კონკრეტულად როდის დაიწყო საქართველოს ეკლესიის დარბევა?**

– საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის დარბევა დაიწყო საქართველოში საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის დამყარების პირველსავე კვირეებში – 1921 წლის მარტ-აპრილიდან. ამ შემთხვევაშიც, საქართველოს ბოლშევიკურ ხელისუფლებას ორიგინალობა არ გამოუჩენია. ეკლესიის დარბევისთვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა, დარბევის ფორმები და მეთოდები გადმოიღეს საბჭოთა რუსეთიდან.

**– რა მიზანს ისახავდა ეკლესიის დარბევა?**

– ისევე როგორც საბჭოთა რუსეთში, საბჭოთა საქართველოშიც ეკლესიის დარბევას ჰქონდა ერთი უმთავრესი მიზანი – საქართველოს ეკლესია და ქართველი სამღვდელოება ვერ შეეგუებოდა საბჭოთა რეჟიმს, იმ პოლიტიკური ეკონომიკური და სოციალური სისტემის მშენებლობას, რომელსაც მიზნად ისახავდნენ ბოლშევიკები. ეკლესიური ადამიანი, ვერ იქნებოდა იმ ქვეყნის მოქალაქე, რომლის ხელისუფლება ემყარებოდა ძალმომრეობას, ხოცვა-ჟლეტას და სისხლისღვრას. ასე რომ, ბოლშევიკები ეკლესიას მოიაზრებდნენ როგორც ოპოზიციურ ძალას. ცხადია, ბოლშევიკები იმასაც გრძნობდნენ, რომ საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებში ეკლესიურ აზროვნებას ვერ მოსპობდნენ, სამაგიეროდ – ისინი აპირებდნენ ეკლესიიდან ახალგაზრდობის იზოლირებას და ამ ახალგაზრდობაზე დაყრდნობით, ეგრეთ წოდებული, სოციალისტური საზოგადოების აშენებას.

**– კონკრეტულად, რა მეთოდები გამოიყენა საქართველოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ეკლესიის დარბევის მიზნით?**

– უპირველესად, საბჭოთა ხელისუფლება შეეცადა, რაღაც ფორმით საკანონმდებლო ბაზის შექმნას ეკლესიის დარბევის მიზნით. 1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მიიღო დეკრეტი „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ“. ამ დეკრეტის ძალით, საქართველოს ეკლესიას ჩამოერთვა იურიდიული პირის უფლება. ასევე, ჩამოერთვა მთელი უძრავი და მოძრავი ქონება და საერთოდ ქონების ფლობის უფლება. ჩამორთმევამდე ეკლესიის მფლობელობაში არსებულ უძრავ და მოძრავ ქონებას ეკლესია გამოიყენებდა მხოლოდ ადგილობრივი, ან ცენტრალური ხელისუფლების ნებართვით.

**– პრაქტიკულად, როგორ განხორციელდა ეს დეკრეტი?**

– დავიწყოთ იმით, რომ იურიდიული სტატუსის გარეშე, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საქართველოს საპატრიარქო ვერ გამოსცემდა ჟურნალსა და გაზეთს, ვერ ამუშავებდა სანთლის ქარხანას, ვერ დაბეჭდავდა ღვთისმსახურებისთვის აუცილებელ წიგნებს, ბანკში ვერ გახსნიდა ანგარიშს და ასე შემდეგ. ხსენებული დეკრეტის გამოცემის შემდეგ, ყველა ტაძრის წინამძღვარს განუმარტეს, რომ ტაძრის შენობა და ის მიწა, რომელზეც ტაძარი იდგა, იყო არა ეკლესიის, არამედ სახელმწიფოს საკუთრება. ტაძარში არსებული წმიდა ხატები, წმიდა წიგნები და ღვთისმსახურებისათვის აუცილებელი სხვა ნივთები, ასევე აღარ ეკუთვნოდა ეკლესიას და გადადიოდა სახელმწიფოს მფლობელობაში. ყოველივე ეს ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების ნებართვით, ღვთისმსახურების დროს შეეძლო გამოეყენებინა ეკლესიას, ოღონდ არა ფლობის, არამედ დროებითი სარგებლობის უფლებით. შეიქმნა კურიოზული ვითარება: ბარძიმი, რომლიდანაც მღვდელი მრევლს აზიარებდა, ტაძრის საკუთრება კი აღარ იყო, არამედ – სახელმწიფოსი.

**– დაემორჩილა საქართველოს ეკლესია ამ დეკრეტს?**

– ძალა აღმართს ხნავდა... საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლებამ თავიდანვე ისეთი უბედურება დაატრიალა ქვეყანაში, რომ ცხადი გახდა: მოსკოვის სატელიტები უკან არაფერზე დაიხევდნენ. თუმცა, როგორც ცოტა მოგვიანებით გაირკვა, ეს მხოლოდ უბედურების დასაწყისი იყო.



**თუ სოფლის ან ქალაქის დაშინებულ მოსახლეობას მღვდლის წინააღმდეგ ვერ ააჯანყებდნენ, მაშინ ურჩ მღვდელს სხვადასხვა მოგონილი ბრალდებით, სამრევლოდან გააძევებდნენ. ეპარქიის მმართველ ეპისკოპოსს ახალი მღვდლის დანიშვნის უფლებას არ აძლევდნენ. მოძღვრის გარეშე დარჩენილ ეკლესიაში, ცხადია, ღვთისმსახურებაც შეწყდებოდა**

**– რას გულისხმობთ?**

– საბჭოთა ხელისუფლება ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების მარაგის შევსების წყაროს ეძებდა. 1922 წლის 23 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი „საეკლესიო ფასეულობათა ამოღების შესახებ”. ამ დეკრეტის საფუძველზე, ეკლესიებიდან გაიტანეს: ოქროსა და ვერცხლის ნივთები, პატიოსანი თვლები. საეკლესიო ფასეულობათა ამოღება საქართველოში 1923 წლის თებერვლიდან დაიწყო. სპეციალური კომისია შედიოდა ტაძარში და დიდი სკურპულოზურობით აღწერდა მთელ საეკლესიო ქონებას. აღწერილი ქონება ტაძრებიდან ერთბაშად არ გაუტანიათ. ოქროსა და ვერცხლის ნივთები პერიოდულად გაჰქონდათ, რომელთა დიდი ნაწილიც შემდეგ უკვალოდ დაიკარგა.

**– ქართველი სამღვდელოება როგორ შეხვდა ეკლესიების გაძარცვის პროცესს?**

– პროტესტი სხვადასხვა ფორმით გამოვლინდა. მაგალითად: ქაშუეთის წმიდა გიორგის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ ამაოდ. ქართველი სამღვდელოება ცდილობდა, საეკლესიო ქონების რაღაც ნაწილი მაინც გადაემალა. ქუთაისში არქიელის გორაზე მდებარე ქუთათელი მიტროპოლიტის რეზიდენციაში მიტროპოლიტმა ნაზარ ლეჟავამ, თანამოაზრეებთან ერთად, ეკლესიის ქონება მიწაში ჩაფლა, თუმცა, ხელისუფლებამ განძს მიაგნო და მიტროპოლიტი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში იქნა მიცემული.

**– როდის დაიწყო საბჭოთა საქართველოში ღვთისმსახურების აკრძალვა?**

– ღვთისმსახურების აკრძალვა კანონით არასდროს მომხდარა, ყოველთვის ნებადართული იყო. თუმცა, ეს კანონი უფრო მეტად ირღვეოდა, ვიდრე სრულდებოდა.

**– რას გულისხმობთ?**

– საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნით, ყველა ეპარქიაში უნდა მომხდარიყო მღვდლების რეგისტრაცია. ღვთისმსახურების უფლება მხოლოდ რეგისტრირებულ მღვდელს ჰქონდა და ცხადია, საბჭოთა ხელისუფლება მასთან დაპირისპირებულ მღვდელს, რეგისტრაციაში არ გაატარებდა.

**– რეგისტრირებულ მღვდელს რისი უფლება ჰქონდა?**

– კანონით, ფორმალურად რეგისტრირებულ მღვდელს შეეძლო აღსარების მიღება, ზიარება, ახალშობილის მონათვლა, მიცვალებულისთვის წესის აგება, ჯვრისწერა და ყველაფერი, რასაც, საერთოდ, მღვდელი ასრულებს ეკლესიაში. თუმცა, რეალურად, საბჭოთა ხელისუფლება ყოველივე ამას ხელს უშლიდა. მიმდინარეობდა მოსახლეობის დაშინება, რომ არ მოენათლათ ბავშვი, არ მისულიყვნენ ეკლესიაში აღსარებისა და ზიარებისთვის. ბევრი მღვდელი არ უშინდებოდა იმას, რომ რეგისტრაციაში არ იყო გატარებული და ფარულად ასრულებდა თავის მოვალეობას. რაც, ძირითადად, ბავშვების მონათვლით გამოიხატებოდა. ამ მღვდლების უმრავლესობა საბოლოოდ რეპრესირებულ იქნა. როგორც ვთქვით, კანონი რეგისტრირებულ მღვდელს ღვთისმსახურებას არ უკრძალავდა, მათ წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლება სხვა მეთოდებით მოქმედებდა, კერძოდ, მღვდლებს ბრალს სდებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციასა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდებაში. ეს კი იმდროინდელი კანონმდებლობით, თუ სიკვდილით დასჯით არა, ხანგრძლივი პატიმრობითა და გადასახლებით მაინც ისჯებოდა.

**– ცნობილია, რომ ბევრ ეკლესიაში 1921 წლიდან შეწყდა ღვთისმსახურება. როგორ მიაღწია ამას საბჭოთა ხელისუფლებამ?**

– ძალიან მარტივად. თუ სოფლის ან ქალაქის დაშინებულ მოსახლეობას მღვდლის წინააღმდეგ ვერ ააჯანყებდნენ, მაშინ ურჩ მღვდელს, სხვადასხვა მოგონილი ბრალდებით, სამრევლოდან გააძევებდნენ. ეპარქიის მმართველ ეპისკოპოსს კი ახალი მღვდლის დანიშვნის უფლებას არ აძლევდნენ. მოძღვრის გარეშე დარჩენილ ეკლესიაში, ცხადია, ღვთისმსახურებაც შეწყდებოდა. იყო შემთხვევები, როცა მღვდლები შანტაჟსა და დაშინებას არ შეეგუვნენ, მრევლი შემოიკრიბეს და ღვთისმსახურება გააგრძელეს. ამ მღვდლების წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს მიმართავდნენ ხოლმე. შეიძლება, გავიხსენოთ ერთი ასეთი შემთხვევა: ზესტაფონში, წმიდა დავით და კონსტანტინე არგვეთის ერისთავების სახელობის ეკლესიაში წირავდა მღვდელი ფერაძე. კომკავშირლებისა და კომუნისტების ჯგუფმა მღვდელს წირვა შეაწყვეტინა და კატეგორიული ფორმით მოსთხოვა: ტაძრიდან გამოხვალ და ტაძრის წინ შეკრებილ მრევლს ეტყვი, რომ ღმერთი არ არსებობს და რასაც ქადაგების დროს ეუბნებოდი, ყველაფერი ტყუილი იყოო. მღვდელი დაეთანხმა. ეკლესიიდან გამოვიდა და მრევლს ხმამაღლა მიმართა: ღმერთი არსებობს, ქადაგებებში რასაც გეუბნებოდით, ყველაფერი სიმართლეა და ამ სატანის მოციქულებს არასდროს დაუჯეროთო. ამის შემდეგ კომკავშირლებმა მღვდელი ცემით გაიგდეს წინ და მდინარე ყვირილაში გადააგდეს. წყლის სიმცირის გამო ის არ დაიხრჩო, რის შემდეგაც მღვდელი მდინარეშივე ჩაცხრილეს.

**– რა ბედი ეწია იმ ტაძრებს, სადაც ღვთისმსახურება შეწყდა?**

– ამ ტაძრებში მასობრივად გაიხსნა სამკითხველოები, კინოდარბაზები, საწყობები, სახელოსნოები, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ თბილისში ერთ-ერთ ტაძარში გახსნეს აბანო, ხოლო მეორეში – საქონლის სასაკლაო. დაკლულ საქონელს იქვე ატყავებდნენ, ხოლო ხორცს საკურთხევლის კედელზე ჰკიდებდნენ. ტაძრებისადმი ასეთი დამოკიდებულება შეიცვალა 1941 წლიდან. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების შემდეგ.

**ეკა სალაღაია**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №28(550)-12(638)

პარიზში გამთენიისას ჩავფრინდი და აეროპორტიდან კონსპირაციულ ბინაში გავემართე. იქიდან რომ გამოვედი, უკვე ამერიკელი საზღვაო ოფიცერი – ჯეიმს ნოლი ვიყავი. საღამოს საელჩოში მივედი წვეულებაზე და „უჩინარი კაცი" სპეციალური შხამიანი ისრით მოვკალი, რომელიც კალმისტარში მქონდა ჩამონტაჟებული. ხოლო, სანამ მკვლელის ძებნას დაიწყებდნენ, საელჩო დავტოვე და პირველივე რეისით დავბრუნდი მოსკოვში.

„უჩინარი კაცის" ლიკვიდაციამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია „ცეერუში", რადგან, მას თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ. მომხდარის გამო, რამდენიმე მაღალჩინოსანმა თანამდებობა დაკარგა. რა თქმა უნდა, ხელი მოსკოვისკენ გამოიშვირეს, ყველაფერში „კაგებეს" დასდეს ბრალი და ამერიკულმა და პროამერიკულმა პრესამ მორიგი ანტისაბჭოური ისტერია გააჩაღა. თუმცა, ჩვენები ამას ჩვეული სიმშვიდით შეხვდნენ და ფარულად ზეიმობდნენ, რადგან, ერთ-ერთი ყველაზე მოუხელთებელი მოღალატე მოიშორეს თავიდან.

– ერთი ნაძირალითა და მოღალატით ნაკლები გახდა. ყოჩაღ, კოკი, ამერიკელებს მორიგი სეირი ვუჩვენეთ, – მითხრა შჩუკინმა, როდესაც მოსკოვში ჩავედი და გენერალს ლუბიანკაზე ვეწვიე.

მოღალატეების თემა ყველგან და ყოველთვის აქტუალური იყო და რომ არა ამ კატეგორიის ნაძირლები, ცხოვრება ბევრად უკეთესი იქნებოდა. ღალატი, ჩემი აზრით, ყველაზე მომაკვდინებელი ცოდვაა, შენდობას არ იმსახურებს და სიკვდილით უნდა დაისაჯოს. მოღალატის გამოსწორება წარმოუდგენლად მიმაჩნია – ერთხელ თუ გაყო ადამიანმა თავი ამ მარყუჟში, აუცილებლად დაიღუპება. პირადად მე, ღალატს ვერაფრით გავამართლებ და იოტისოდენადაც არ მჯერა იმ კოლეგების, რომლებიც აცხადებენ, იდეური მოსაზრებებით ვმოქმედებდითო, როცა მოწინააღმდეგეზე ვმუშაობდითო. ასეთი რამ გამორიცხულია. მოღალატემ, როდესაც ის ამ გზაზე დგება, მშვენივრად უწყის, რას სჩადის და ყველაფერს შეგნებულად აკეთებს, ესე იგი, შეგნებულად ღალატობს...

მართალია, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს სამოცდაათწლიანი კომუნისტური პერიოდი ჩვენი ქვეყნის აღორძინების ხანად მიმაჩნია, დიდ პატივს ვცემ ყველა იმ მებრძოლ პატრიოტს, ვინც 1921 წლის რუსულ ოკუპაციას აღუდგა წინ და საქართველოს დამოუკიდებლობას შესწირა თავი. ისინი ნამდვილი გმირები არიან და მიუხედავად იმისა, თუ როგორი ორიენტაციის მთავრობა იქნება საქართველოში, მათი სახელები უკვდავყოფილი უნდა იყოს. მეორე მხრივ კი, იმ კაცს, ვინც ეს ოკუპაცია მოაწყო, ანუ სტალინს, მე მოღალატედ არ მივიჩნევ და, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის იმ თავდადებულ ქართველებზე არანაკლები პატრიოტი იყო, ვინც რუსულ წითელ არმიებს შეაკლა თავი. ჩემი სიტყვები ბევრს, ალბათ, პარადოქსად მოეჩვენება, მაგრამ, საქმე ისაა, რომ, როდესაც სტალინი საქართველოს ოკუპაციას ახორციელებდა, წინ იყურებოდა და მშვენივრად იცოდა, რომ საბჭოეთის შემადგენლობაში მყოფი საქართველო აღორძინდებოდა და ეს ასეც მოხდა...

ამას წინათ, ლონდონში ერთ ქართველ პოლიტიკოსს შევხვდი, რომელიც იქ ცხოვრობდა და ფრანგული გამოცემისთვის ინტერვიუ ვთხოვე (მე იქ ფრანგი ჟურნალისტის სტატუსით ვიყავი ჩასული). როდესაც ფეშენებელურ ბინაში ვეწვიე, მან მეფესავით მედიდურად გადმომხედა, თუმცა, გაკოტრებულ თავადს უფრო ჰგავდა და მითხრა:

– როგორც იქნა, პრესასაც გავახსენდი. აბა, გისმენთ...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმ სუბიექტმა ყველა და ყველაფერი გალანძღა, რაც ქართველებთან და საქართველოსთან იყო დაკავშირებული და ისე მომაბეზრა თავი, რომ ერთი ტყვია შუბლში დავაჭედე, მეორე კი – პირში და ჩუმად წამოვედი მისი სახლიდან... ამ ობიექტს 30 მილიონი დოლარი ჰქონდა საქართველოდან გატაცებული, რომელიც მან გაფლანგა, ადამიანთა გარკვეულმა ჯგუფმა კი 300 ათასი დოლარი გადამიხადა მის ლიკვიდაციაში. ამ შემთხვევაში, მუშნი ზარანდიასი არ იყოს, ჩემი პირადი ინტერესი ჩემს პროფესიულ ინტერესს დავამთხვიე. არადა, კოჯრის სპეცსკოლაში მტკიცედ მასწავლეს, რომ „კაგებეს" ლიკვიდატორს ფოლადის სიმტკიცე უნდა ჰქონოდა და დავალების შესრულებისას ნებისმიერ რამეზე უნდა წასულიყო.



– კურსანტო, – ცივი თვალებით და დაბალი ხმით მითხრა ინსტრუქტორმა, რომელიც ფსიქოლოგიურად მამუშავებდა, – ლიკვიდაცია ისეთი აქტია, რომლის დროსაც საკუთარი პიროვნების მამხილებელი არანაირი ფაქტი არ უნდა დატოვო. შენს შემდეგ რჩება მხოლოდ გვამი. გასაგებია?

– დიახ, გასაგებია, – მივუგე პეტროვიჩს.

პეტროვიჩზე ამბობდნენ, რომ ის ძველი ქილერი იყო. არც ერთხელ არ ჩაუგდია დავალება და ყოველთვის სუფთად, „უკუდოდ" მუშაობდა და ჩვილ ბავშვსაც არ დაინდობდაო. ის 60 წლის იყო, მაგრამ, თავისზე ორჯერ ახალგაზრდაზე ყოჩაღად გამოიყურებოდა და ისეთი ცივი თვალები ჰქონდა, რომ მათი დანახვისას ტანში გაგაჟრჟოლებდა. თუმცა, მე მისი არ მეშინოდა და ყოველთვის თამამად ვუყურებდი თვალებში. ის, რა თქმა უნდა, მშვენივრად ამჩნევდა ამას და, მართალია, არ გამოხატავდა, მაგრამ, ვგრძნობდი, რომ ვერ მიტანდა და, ნება რომ მიეცათ, სიამოვნებით გამიხვრეტდა შუბლს... მან ჩვეული მზერა მომაპყრო და მკითხა:

– აბა, რა არის გასაგები, მითხარით, კურსანტო!

– ის, რომ ლიკვიდაცია ისე უნდა განვახორციელო, რომ ჩემი აღმოსაჩენი კვალი არ დავტოვო.

პეტროვიჩს ჩაეცინა და მითხრა:

– მერე, შეძლებ ამის შესრულებას?

– დიახ.

– კარგი. მაშინ, მაგალითს მოგიყვან და ვნახოთ, სწორ პასუხს თუ გამცემ.

– ბრძანეთ.

– დავუშვათ, ობიექტი თავის ბინაში გაანადგურე და უნდა წამოხვიდე, ამ დროს კი ოთახში მისი 5 წლის შვილიშვილი შემოვიდა, რომელმაც დაგინახა. რას იზამ?

– სწრაფად გავეცლები იქაურობას, – მტკიცედ მივუგე პეტროვიჩს.

– გასაგებია, – მითხრა პეტროვიჩმა და განაგრძო, – დავუშვათ, ოთახში ობიექტის ფეხმძიმე ქალიშვილი ან მეუღლე შემოვიდა, რას იზამ?

– იმავეს – სწრაფად გავეცლები იქაურობას, – ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, კვლავ მტკიცედ ვუპასუხე პეტროვიჩს. მან კი თავი გააქნია და მითხრა:

– ორივე შემთხვევაში არასწორი საქციელია. ბავშვიც და ფეხმძიმე ქალიც უნდა მოკლა.

– არ გეთანხმებით.

– რატომ?

– იმიტომ, რომ საქმეზე შენიღბული წავალ და ვერც ერთი ვერ დამიმახსოვრებს.

– შეუნიღბავად წასვლა რომ მოგიწიოს?

– არა, შენიღბულად წავალ, – ჯიუტად მივუგე პეტროვიჩს და ეს იყო ერთადერთი შემთხვევა ჩემი სწავლების პერიოდში, როდესაც ინსტრუქტორის მიმართ ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება გამოვხატე. თუმცა, პეტროვიჩმა ეს არ შეიმჩნია და მითხრა:

– დავუშვათ, ფეხმძიმე ქალმა იარაღი მოგიშვირათ. რას იზამთ ასეთ შემთხვევაში?

– თუ იარაღის წართმევას ვერ შევძლებ, მაშინ მას მსუბუქად დავჭრი ხელში, იარაღს გავაგდებინებ და სასწრაფოდ გავეცლები იქაურობას.

– ყველაფერი ნათელია. თავისუფალი ხართ, – მითხრა პეტროვიჩმა და მასთან ურთიერთობა კოჯორში ამით დასრულდა.

წლების მერე, უკვე პოსტსაბჭოურ პერიოდში 200 000-დოლარიანი შეკვეთა მივიღე და ობიექტს, რომელიც სოხუმში, უზარმაზარ სახლში მარტოდმარტო ცხოვრობდა, შუაღამეზე თავზე წამოვადექი:

– გაიღვიძე, მოხუცო, შენი აღსასრულის ჟამი დადგა!

ხანდაზმული ასაკის მიუხედავად, ობიექტი საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა და, ნება რომ მიმეცა, თავად გამომასალმებდა სიცოცხლეს. მაგრამ, მე მას ბალიშის ქვეშ შეყოფილი ხელი დავუჭირე და პისტოლეტი ავართვი. შემდეგ, მეორე პისტოლეტიც ავართვი და, როცა დავრწმუნდი, რომ განიარაღებული იყო, ვუთხარი:

– დაბერდი, პეტროვიჩ, ველარ ქაჩავ.

– შენი ხმა მეცნობა.

– კარგი მეხსიერება გქონია. კი... წესით, უნდა მიცნობდე.

პეტროვიჩი საწოლზე წამოჯდა, კარგად შემათვალიერა, თავი გააქნია და მითხრა:

– ხმა ნამდვილად მეცნობა, მაგრამ, სახეზე ვერ გცნობ.

– იმიტომ, რომ კარგად ვარ შენიღბული.

– კოკი, კოკი, ჩვენო ყველაზე ნიჭიერო კურსანტო! – მითხრა პეტროვიჩმა და ვითომ არაფერიო, დაამატა – რისთვის გარჯილხარ, ჩემთან რამ მოგიყვანა?

– ხომ გითხარით, თქვენს სალიკვიდაციოდ.

– კი მაგრამ, რა დაგიშავე?

– შეკვეთა მაქვს.

– კოკი, ჩემო მეგობარო, ყოველთვის მოხიბლული ვიყავი შენი მორალით. არ გახსოვს, ტესტირებისას რა მიპასუხე?

– მახსოვს.

– მერე? განა უმწეო მოხუცის მოკვლა ისეთივე ამორალური საქციელი არ არის, როგორც ბავშვის ან ფეხმძიმე ქალის მკვლელობა?

– თქვენნაირის ლიკვიდაცია, ჩემი აზრით, კეთილი საქმეა.

– რა სიკეთეა, ჩემო კარგო, ოთხმოცს გადაცილებული მოხუცის მოკვლა?

– ძველმა ცოდვამ მოგაკითხათ. კიევში, თქვენ ერთი გამომძიებლის ოჯახი გაწყვიტეთ. თუმცა, მისი 10 წლის შვილი დამალული იყო და გადარჩა. მან დაგიმახსოვრათ და, რომ გაიზარდა, თქვენი მოკვლა შემიკვეთა. ვინ იცის, რამდენი ასეთი საშინელება გაქვთ ჩადენილი?

– რას იზამ, ჩემო კარგო! ასეთი დავალება მქონდა და ურჩობას ვერ გავბედავდი.

– მეც ასეთი დავალება მაქვს. აბა, შე ბილწო, ჯოჯოხეთში გასამგზავრებლად მოემზადე! – ვუთხარი პეტროვიჩს. ის საწოლზე იყო წამომჯდარი. უცებ, ალესილი ხანჯალი ამოაცურა სახელოდან და მომიქნია, მაგრამ, მე მას მაჯა დავუჭირე, მისივე მოქნეული იარაღი მარცხენა თვალში ჩავუყარე და სული გავაფრთხობინე....



მოხუცებულობის მიუხედავად, პეტროვიჩი მოსაკლავი იყო. მას მრავალი საშინელება ჰქონდა ჩადენილი და ასეთ დანაშაულს ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნია. ის ბილწი მართლაც ყველაფერზე წამსვლელი იყო და „კაგებეში“ მას ყველაზე ბინძურ დავალებებს აძლევდნენ. კარგად იცოდნენ, ვინც იყო და მასთან ახლო ურთიერთობებს ერიდებოდნენ... ახლო ურთიერთობები „კაგებეში“, ისევე, როგორც სხვა ანალოგიურ სამსახურებში, პრინციპში, არ იკრძალება, მაგრამ, მაინცდამაინც სასურველი არ არის.

„რაც ნაკლები ადამიანი გიცნობს, მით ნაკლები შანსია, რომ გაიშიფრო“, – დაახლოებით ასე ჟღერს ერთ-ერთი „კაგებეშნიკური“ ლოზუნგი და მართალიცაა. ჩვენი პროფესიის ადამიანებს ყველაზე მეტად სჭირდებათ კონსპირაცია, რადგან, უამრავი შინაური და გარეული მტერი გვყავს, რომლებიც მზად არიან, გაგვანადგურონ და, რაც არ უნდა კარგად ფლობდე შენიღბვის ხელოვნებას, თუკი პიროვნულად გაიშიფრე, მეტი შანსია, რომ მოგაგნონ და ბოლო მოგიღონ. ამის მსურველი კი, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ ბევრი გვყავს, თანაც, არცთუ ისე იშვიათად გწირავს თვითონ ის, ვინც უშუალოდ გგზავნის საქმეზე და შენ შესახებ ყველა ინფორმაციას ფლობს. ჩემს ცხოვრებაში ასეთი ადამიანი ორია – ვიქტორ იაკოვლევიჩ შჩუკინი და ანდრეი ლუკიჩ მუხინი. ეს ორი გენერალი, ჩემი „კაგებეშნიკური“ კარიერის დროს, ჩემზე თითქმის ყველა ინფორმაციას ფლობდა. მათ ყოველთვის იცოდნენ, თუ სად ვიმყოფებოდი და, სურვილის შემთხვევაში, თავისუფლად შეეძლოთ ჩემი თავიდან მოშორება. მაგრამ მათ ეს არასდროს მონდომებიათ და ამ გარემოებამაც ითამაშა დიდი როლი ჩემს „კარიერულ დღეგრძელობაში“.

ერთხელ, პირადად შჩუკინის მითითებით, ერთი მაღალჩინოსანი პარტიული ბოსის ლიკვიდაცია მოვახდინე. ის თავისი მოქმედებებით, ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ინტერესებს და ეს „კაგებეში“ კარგად იცოდნენ. თუმცა, მისი არა მხოლოდ დაპატიმრება, ჩამოქვეითებაც ვერ ხერხდებოდა და თავიდან სწორედ იმიტომ მოიშორეს. მაგრამ, მას ძმა სამხედრო გენერალი ჰყავდა, რომელიც ბრეჟნევთან იყო დაახლოებული. ამიტომ, თვით ანდროპოვიც არაფრად ჩააგდო და მკვლელის, ანუ, ჩემი დასჯა კატეგორიულად მოითხოვა. ამის შესახებ, რა თქმა უნდა, შჩუკინს უთხრეს, რომელსაც ყოველგვარი გართულების გარეშე შეეძლო ჩემი გაწირვა, თუნდაც იმის გამო, რომ საკუთარი თავი გადაერჩინა. მან კი კონსპირაციული შეხვედრა დამინიშნა მოსკოვს გარეთ, მდინარის პირას, ბუნების წიაღში. რომ მივედი, ყველ-



ერდო ჯგუფი
-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...
-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...
მაკლერი:
-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ...
გადაგვიხადეთ 6%.
3 გამყიდველის და
3 მყიდველის მხრიდან.
მარიკა 599 24 28 31

აფერი დაწერილებით მომიყვა და მითხრა:

– როგორია? გესმის, რა საფრთხეში ხარ?

რა თქმა უნდა, არ გამჭირვებია იმის მიხვედრა, თუ რამხელა რისკზე წავიდა ჩემ გამო „კაგებეს“ ერთ-ერთი ცენტრალური მაღალჩინოსანი ფიგურა და ვუთხარი:

– საფრთხეში მაშინ ვიქნებოდი, თქვენ რომ გაგეწირეთ. ახლა კი, რა მიჭირს.

– არა, კოკი, ძალიან დიდ საფრთხეში იმყოფები და დაუყოვნებელი მოქმედებაა საჭირო.

– რას მირჩევთ?

– ერთადერთს – გენერლის ლიკვიდაციას, – მითხრა შჩუკინმა, შემდეგ ადგა და წავიდა.

გენერლის ლიკვიდაცია არც ისე რთული საქმე იყო და მე ის ჩვეულ, მაღალ დონეზე შევასრულე. უბრალოდ, ისეთი დრო შევარჩიეთ, როდესაც ბრეჟნევი დასასვენებლად იყო წასული. მოსკოვში რომ დაბრუნდა, გენერლის მკვლელობის საქმის ძიებით თავი არ შეუწუხებია. ეს ისტორია იმის ნათელი დასტურია, რომ „კაგებეში“ საიმედოდ იცავდნენ თავიანთ თანამშრომლებს თვით ქვეყნის პირველი პირებისგანაც კი. მთავარი იყო, მოღალატე არ ყოფილიყავი, სამშობლოსთვის პირნათლად გემსახურა და მისგან ყველა იმ სიკეთეს მიიღებდი, რაც საჭირო იყო ნორმალური ადამიანისთვის. „კაგებე“ არასდროს ტოვებდა უყურადღებოდ გასაჭირში ჩავარდნილ თავის თანამშრომელსა და მის ოჯახს.

ერთხელ, ლუბიანკაზე შევიმუშავეთ სპეცოპერაცია, რომელიც საბჭოთა არალეგალი მზვერავის – იური ტიხონოვის ტყვეობიდან დასახსნელად იყო გამიზნული. ტიხონოვი, რა თქმა უნდა, ჩემ მიერ მოგონილი გვარია და მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ის ეროვნებით ქართველია, დღესაც ცოცხალია და მოსკოვში ცხოვრობს. ეს ტიხონოვი გერმანიასა და ამერიკაში მუშაობდა და საბჭოეთს უძვირფასეს ცნობებს აწვდიდა. ტყვედ თავისი მოღვაწეობის გამო კი არ ჩავარდა, არამედ იმიტომ, რომ ამერიკიდან ევროპაში მოფრინავდა და არაბმა ტერორისტებმა თვითმფრინავის ეკიპაჟი და მგზავრები ტყვედ აიყვანეს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისგან თავიანთი ტერორისტი კოლეგების ციხიდან გათავისუფლებას ითხოვდნენ. ჩვენ ვიცოდით, რომ ამერიკა ასეთ ნაბიჯზე არ წავიდოდა და მძევლები განწირულები იყვნენ. ორას ორმოცდაათ მძევალს არაბი ტერორისტები აფრიკაში, სუდანში, ქალაქ პორტ-სუდანის ერთ-ერთ ციხესიმაგრეში ამყოფებდნენ, რომელიც წითელი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა და საიმედოდ იყო გამაგრებული და დაცული. ჩვენ ციხესიმაგრეში ღამით შევედით ორი რვა-რვაკაციანი ქვედანაყოფით და ტიხონოვი ისე მალულად, ყოველგვარი გასროლის გარეშე წამოვიყვანეთ იქიდან, რომ ტერორისტებს არაფერი გაუგიათ. თუმცა, იქ ერთი ისეთი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, რასაც ვერ წარმოვიდგენდით და რამაც კინაღამ მთელი ოპერაცია ჩაგვიშალა: ტიხონოვი თითქმის სამშვიდობოზე გვყავდა გამოყვანილი და კატერში უნდა ჩავმსხდარიყავით, როდესაც ციხიდან ცეცხლი გაგვიხსნეს. ისლა დაგვრჩენოდა, რომ საპასუხო ცეცხლით მოგვეგერიებინა ისინი და გავქცეულიყავით. საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა და სამშვიდობოზე გავაღწიეთ. მოგვიანებით კი შევიტყვეთ, რომ, თურმე, ამერიკელ მძევლებს შორის „ცეერუს“ თანამშრომელი იყო, რომელიც ტიხონოვს „კუდზე აჯდა“ და ევროპაში მიჰყვებოდა, რათა ის გაეშიფრა, ანუ, „ცეერუს“ ტიხონოვზე ეჭვი მიუტანია და მას უთვალთვალებდნენ. სწორედ იმ „ცეერუელ“ მოთვალთვალეს შეუნიშნავს ტიხონოვის გაუჩინარება და ხმაურიც მას აუტეხავს...

– სწორედ რომ, დროზე ამიყვანეს მძევლად არაბმა ტერორისტებმა და თქვენც დროზე მომისწარით, – ამბობდა შემდეგ ტიხონოვი და მართალიც იყო. ჩვენ რომ ის არ გამოგვეხსნა, ამერიკელები ერთ-ერთ ჩვენს ყველაზე ძვირფას მზვერავს ჩაიგდებდნენ ხელში და, ღმერთმა უწყის, რა დღეში ჩააგდებდნენ. ამერიკული ჯურღმულიდან კი ადამიანის გამოხსნა ბევრად უფრო რთული იქნებოდა, ვიდრე არაბი ტერორისტების ციხესიმაგრიდან.



ტიხონოვის ტყვეობიდან გამოხსნისთვის, უმაღლესი საბჭოს სპეციალური ბრძანებით, საბრძოლო წითელი დროშის ორდენი მომანიჭეს, რომელიც ანდროპოვმა პირადად გადმომცა საკუთარ კაბინეტში და წარმატებები მისურვა. ამ ცერემონიას შჩუკინიც ესწრებოდა და, თავმჯდომარის კაბინეტიდან რომ გამოვედით, მითხრა:

– წავედით, ერთი სიურპრიზი უნდა მოგიწყო.

– რა სიურპრიზი?

– ამას მაშინ შეიტყობ, პოდმოსკოვიეში რომ ჩავალთ.

პოდმოსკოვიეში „კაგებეს“ ერთ-ერთ კონსპირაციულ აგარაკზე შჩუკინის მანქანით ჩავედით. მწვანეში ჩაფლული აგარაკის ეზოში რომ შევედით, სახლიდან ჩემ მიერ სამი დღის წინ ტყვეობიდან გამოხსნილი იური ტიხონოვი შემომეგება და ქართულად მითხრა:

– კეთილი იყოს შენი აქ მობრძანება!

ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ იური ტიხონოვი ქართველი იყო და, ისე გამიხარდა, რომ გადავეხვიე და ვუთხარი:

– ყოველთვის სასიამოვნოა თქვენნაირი დიდი ადამიანის გაცნობა, მით უმეტეს, თუ ის შენი თანამემამულეა.

პოდმოსკოვიეს აგარაკზე სულ ათიოდე ადამიანი ვიყავით შეკრებილი და გაშლილ სუფრასთან გვიან საღამომდე ძალიან კარგი, დასამახსოვრებელი დრო გავატარეთ. მოსკოვში მე და შჩუკინი ერთად დავბრუნდით. გზაში ვიქტორ იაკოვლევიჩმა მითხრა:

– ტიხონოვი რუდოლფ აბელის დონის ფიგურაა. მინდა იცოდე, რომ შენ უდიდესი პიროვნება გადაარჩინე და გამოჰგლიჯე „ცეერუს“ კლანჭებს, ამიტომ, შეგიძლია, იამაყო ამით.

იური ტიხონოვისა და რუდოლფ აბელის მსგავსი არალეგალი მზვერავები მთელი ცხოვრების განმავლობაში ღრმად კონსპირირებულ ადამიანებად რჩებიან და, ხშირ შემთხვევაში, მათი ოჯახის წევრებმაც არაფერი იციან მათი საქმიანობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ტიხონოვი და აბელი გაიშიფრნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ, მათი ადგილსამყოფლის შესახებ სულ რამდენიმე ადამიანმა იცოდა. ისინი საჯაროდ არასოდეს ჩნდებოდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი უზარმაზარი რაოდენობის საიდუმლო ინფორმაციის ფლობდნენ და მტრებისთვის სასურველ სამიზნეს წარმოადგენდნენ.

ტიხონოვს რომ პოდმოსკოვიეს აგარაკზე დავშორდი, არ მეგონა, თუ კიდევ მომიწევდა მასთან შეხვედრა. თუმცა, ასეთი შეხვედრა კვლავ მოხდა და თითქმის იგივე ისტორია განმეორდა, რაც რამდენიმე წლით ადრე.

ერთი ცხელი ზაფხულის დღეს, მეკავშირემ სოჭში მომძებნა, სადაც ოჯახთან ერთად ვისვენებდი, თვითმფრინავის ბილეთი გადმომცა და მითხრა, რომ სასწრაფოდ მოსკოვში უნდა გადავფრენილიყავი. მეკავშირესთან შეხვედრიდან სამი საათიც არ იყო გასული, როდესაც შჩუკინის კაბინეტში შევდგი ფეხი და მასთან მყოფ იური ტიხონოვს მოვკარი თვალი, რომელსაც ეტყობოდა, რომ ძალიან აღელვებული იყო. თუმცა, არალეგალური მუშაობის წლებში გამომუშავებული სიმტკიცის წყალობით, არ იმჩნევდა. ტიხონოვი წამოდგა, ხელი ჩამომართვა, გადამეხვია და მითხრა:

– როგორ ხარ, ჩემო კარგო?

– თქვენ როგორ ბრძანდებით?

– ცუდად, ძალიან ცუდად. შვილიშვილი მომტაცეს, 15 წლის მერი.

მე სიტყვის თქმა დავაპირე, მაგრამ, შჩუკინმა დამასწრო:

– საქმე ძალიან სერიოზულადაა. ამერიკელებმა მერი საერთაშორისო პიონერთა ბანაკ „არტეკიდან“ მოიტაცეს და ულტიმატუმს გვიყენებენ – ბაბუის სანაცვლოდ შვილიშვილს დავაბრუნებთო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვის გაუპატიურებითა და თავის მოკვეთით იმუქრებიან.

– ვიქტორ იაკოვლევიჩ, რა იცით, რომ ეს ამერიკელებმა ჩაიდინეს?

– ეს დაზუსტებული ფაქტია. ერთ-ერთ გამტაცებელს მილიციელმა ტყვია თავში მოარტყა და მოკლა. მისი პიროვნება დავადგინეთ და მასში „ცეერუს“ ოპერატიული თანამშრომელი ამოვიცანით.

– რა პირობებით გვთავაზობენ გაცვლას?

– შეტყობინებაში წერია, რომ იური ტიხონოვი დასავლეთ ბერლინში უნდა ჩავიყვანოთ და ხელში რომ ჩაიგდებენ, მაშინ გვეტყვიან, თუ სად დატოვებენ გოგონას.

– ალბათ, ის ვერ მოუნელებიათ, თითქმის გაშიფრული აგენტი ცხვირწინ რომ ავაცალეთ, – ვთქვი მე. ტიხონოვმა კი თავი გააქნია და მითხრა:

– არა მგონია. როგორც ჩანს, „ცეერუში“ აინტერესებთ, ვფლობ თუ არა ინფორმაციას მათი ჯაშუშური ქსელის შესახებ ლათინურ ამერიკაში. „ცეერუ“ იქ ფართომასშტაბიან არეულობებს გეგმავს და ჯაშუშური ქსელის გარეშე ამას ვერ შეძლებენ, გაშიფრული ქსელი კი ქმედუუნაროა. მე მთელი ინფორმაცია ჩვენებს მოვახსენე და, დარწმუნებული ვარ, რომ ამის გაგება სურთ ჩემგან.

– ძალიან ცუდი, – ვთქვი მე და შჩუკინს ვკითხე – რით ვპასუხობთ, ვიქტორ იაკოვლევიჩ?

– საპასუხო ქმედებით, რომელიც ბევრად უფრო მასშტაბური და თავზარდამცემი იქნება მათთვის.

– კონკრეტულად?

– კონკრეტულად, საქმე შემდეგშია, – მითხრა შჩუკინმა და დაამატა, – ზეგ ამერიკის ქალაქ მაიამიდან „ბოინგი“ ნიუ-იორკისკენ უნდა გაფრინდეს, რომელშიც 250 მგზავრი იჯდება, ძირითადად, ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტები. მათ შორის იქნებიან კონგრესმენების შვილები და სახელმწიფო მდივნის 23 წლის ვაჟი. შენ და შენი ჯგუფის ოთხი წევრიც იმ თვითმფრინავში იქნებით და, აიწევა თუ არა ლაინერი ჰაერში, მას კურსს შეაცვლევინებთ და ჰავანაში, კუბაში დასვამთ. ჩვენ კი ამერიკელებს შევუთვლით, რომ მერი ერთ თვითმფრინავ ხალხში გაგვიცვალონ. რას იტყვი, როგორი აქციაა?

– იძულებითად ცუდი.

– აბსოლუტურად გეთანხმები, ჩემო კოკი, მაგრამ, სხვა გზა არ გვაქვს და ოპერაცია სუფთად უნდა ჩატარდეს.

– ყველაფერი რიგზე იქნება, ამერიკელები ვერ გაბედავენ ურჩობას.

– მეც მასე ვფიქრობ. ახლა კი ბაზაზე გაემგზავრე და სპეცინსტრუქტაჟი გაიარე. აბა, შენ იცი, ყველაფერი შენებურად სუფთად მოაგვარე, – მითხრა შჩუკინმა.

მე და ჩემი ჯგუფის ოთხი წევრი მაიამიში ოპერაციის დაწყებამდე სამი საათით ადრე ჩავედით. იქვე გავიარეთ დამატებითი ინსტრუქტაჟი, საჭირო აღჭურვილობა მივიღეთ და თვითმფრინავში ავედით. მაშინ მგზავრებს თითქმის არ ამოწმებდნენ, განსაკუთრებით – შიდა რეისებზე და იარაღი და ასაფეთქებელი მასალები ყოველგვარი პრობლემების გარეშე შევიტანეთ ლაინერში. აფრინდა თუ არა თვითმფრინავი, სულ რაღაც წუთ-ნახევრის მერე, უკვე პილოტის კაბინეტში ვიმყოფებოდი, წელზე ასაფეთქებელი ნივთიერება მქონდა შემოკრული, ხელში ებრაული „უზი“ მეჭირა და პილოტს ვუთხარი:



ას ოთხმოცი გრადუსით შეცვალეთ კურსი და კარიბის ზღვისკენ აიღეთ გეზი, კუბაში მივფრინავთ. ჩემი მეგობრები სალონში იმყოფებიან და, საჭიროების შემთხვევაში, თვითმფრინავს ააფეთქებენ.

– კარგი, სერ, არ აღელდე. ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც მიბრძანებთ, – მითხრა ეკიპაჟის მეთაურმა, კურსი შეცვალა და ჩვენ კუბისკენ დავიძარით.

– ეგ თქვენ არ ინერვიულოთ, სერ და მიკროფონი მომაწოდეთ, რომ ხმელეთს დავუკავშირდე, – ვუთხარი პილოტს.

– აი, ინებეთ, – ეკიპაჟის მეთაურმა მიკროფონიანი შლემი მომაწოდა, რომელიც თავზე მოვირგე და ხმელეთს გადავეცი:

– მე და ჩემი მეგობრები ბავშვთა გადარჩენის საერთაშორისო ორგანიზაციიდან გახლავართ და მოგიწოდებთ, ხელი არ შეგვიშალოთ ფრენაში, რომ დაუბრკოლებლად დავეშვათ თავისუფალი კუბის დედაქალაქში! ჩვენი შემდგომი მოთხოვნების შესახებ კი მოგვიანებით გაცნობებთ.

ხმელეთზე უკვე იცოდნენ ჩვენი მისიის შესახებ და მიპასუხეს:

– არანაირი დაბრკოლება არ შეგხვდებათ. მშვიდად იფრინეთ და, გთხოვთ, მგზავრებს არანაირი ზიანი არ მიაყენოთ!

როგორც მოგვიანებით, უკვე მოსკოვში ჩასვლის შემდეგ, შევიტყვე, მერი, თურმე, დასავლეთ ბერლინში ჰყავდათ ამერიკელებს. ჩვენი თვითმფრინავი ჯერ კიდევ ჰაერში იმყოფებოდა, როდესაც გატაცებული გოგონა აღმოსავლეთ ბერლინში გადმოიყვანეს და ჩვენი საელჩოს წარმომადგენელს პირადად ჩააბარეს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ს | | ხ | ი | | ა | კ | ი | ნ | | ე | ს | მ | ა | |
| დ | ა | ვ | ა | ლ | ე | ბ | ა | | ო | | | ტ | ა | რ | ა |
| | თ | | ს | ე | მ | ი | რ | ა | მ | ი | დ | ა | | ა | ს |
| წ | ა | რ | ა | მ | ა | რ | ა | | ე | შ | უ | რ | გ | | პ |
| | მ | | | ო | | | ტ | ა | რ | ა | ნ | ტ | ი | ნ | ი |
| მ | ა | ხ | ა | რ | ა | ძ | ე | | ი | რ | ე | ი | ტ | | ტ |
| | შ | | ბ |  | | | | | | | | | ი | რ | ი |
| ი | ო | ტ | ა | | | | | | | | | მ | | ო | |
| ნ | | ა | | | | | | | | | გ | ა | ღ | მ | ა |
| ა | ტ | ი | კ | | | | | | | | | რ | | ა | ლ |
| რ | | ფ | | | | | | | | | | კ | ო | ნ | ა |
| ი | ნ | უ | კ | უ | | | დ | უ | რ | ე | მ | ა | რ | ი | |
| მ | ა | ნ | უ | ჩ | ა | რ | ი | | ჩ | | ყ | | ე | | ა |
| ა | | ი | | ა | ნ | | ა | ნ | ო | ლ | ე | ს | რ | ა | ბ |
| | ა | | შ | | ა | ნ | დ | ა | ლ | უ | ს | ი | ა | | ო |
| | ს | ი | ო | ნ | ი | | ი | ნ | ა | ს | ი | მ | | | რ |
| მ | ა | რ | თ | ა | ლ | ი | | კ | | | | ი | მ | ო | ტ |
| ა | რ | ტ | ა | ტ | | ს | წ | ა | ვ | ლ | ა | | ო | | მ |
| დ | | ე | | ა | შ | ქ | ა | | ლ | ე | გ | ე | ნ | დ | ა |
| რ | ი | მ | ა | | | ა | რ | ღ | ა | ნ | ი | | ა | | ხ |
| ი | ლ | ო | ბ | მ | ა | ტ | ს | | ხ | ა | რ | ი | | ხ | ე |
| დ | ო | რ | ი | ა | ნ | | უ | ვ | ე | | | ო | ზ | ე | რ |
| ი | გ | ა | დ | ნ | ა | ი | ლ | | თ | ი | ა | ნ | ე | თ | ი |
| | | ბ | | ა | დ | ა | ი | ლ | ი | | წ | ი | დ | ა | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 4 | 5 | 7 | 6 | 2 | 3 | 1 | 9 |
| 9 | 3 | 1 | 8 | 5 | 4 | 2 | 7 | 6 |
| 2 | 7 | 6 | 1 | 3 | 9 | 5 | 4 | 8 |
| 7 | 8 | 4 | 6 | 2 | 5 | 1 | 9 | 3 |
| 1 | 6 | 3 | 9 | 8 | 7 | 4 | 2 | 5 |
| 5 | 2 | 9 | 4 | 1 | 3 | 6 | 8 | 7 |
| 6 | 1 | 2 | 3 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 |
| 4 | 5 | 8 | 2 | 7 | 6 | 9 | 3 | 1 |
| 3 | 9 | 7 | 5 | 4 | 1 | 8 | 6 | 2 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 1 | 5 | 4 | 6 | 7 | 9 | 3 |
| 9 | 7 | 3 | 2 | 1 | 8 | 6 | 5 | 4 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 9 | 7 | 8 | 2 | 1 |
| 1 | 6 | 5 | 4 | 8 | 2 | 3 | 7 | 9 |
| 8 | 9 | 7 | 1 | 3 | 5 | 4 | 6 | 2 |
| 4 | 3 | 2 | 6 | 7 | 9 | 5 | 1 | 8 |
| 7 | 2 | 9 | 8 | 6 | 4 | 1 | 3 | 5 |
| 5 | 1 | 8 | 7 | 2 | 3 | 9 | 4 | 6 |
| 3 | 4 | 6 | 9 | 5 | 1 | 2 | 8 | 7 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:** 1. ლეიტენანტი. 2. „როვერი” 3. როლი. 4. ჩიკაგო. 5. ღვთისმშობელ მარიამს გამოეცხადა მთავარანგელოზი და აუწყა იესოს შესახებ – ხარება. 6. ჰარემი – ნებისმიერი ადგილია, სადაც აკრძალულია თავისუფალი შესვლა. 7. მდინარე რეინზე – საზღვარზე ამ ქვეყნებს შორის. 8. წინ მიმავალ დინოზავრებს უკან მიმავლები კუდზე აბიჯებდნენ. 9. ეს არის ბრმებისთვის ხმოვანი სიგნალი. 10. ხიროსიმაში ატომური ბომბის ჩამოგდების შემდეგ.

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები" №12(638)

### მოგვარებული პრობლემა

ზუკამ ყურსასმენები გამოიღო და ხმადაბლა ნაუსტვინა. ოთახში ყველა საქმით იყო გართული. ძნელი სათქმელია, ვინ მუშაობდა რეალურად და ვინ პირადი ინტერესებისთვის „დაბოდიალობდა" ინტერნეტში, მაგრამ, ფაქტია, რომ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ზუკამ მიიხედ-მოიხედა და ვერაფერი ნახა ისეთი, გოგის რომ ესროდა და „მსუბუქად დაჭრიდა", ამიტომ, ზლაზვნით წამოდგა და მის მაგიდასთან მივიდა. გოგიმ ქვემოდან ახედა:

– რამე გინდა? რას წამომადექი თავზე?

– სალაპარაკო მაქვს, – სერიოზული ადამიანის ტონით ჩაილაპარაკა ზუკამ.

– ახლა, არ მითხრა, რომ იმ შეკვეთას თავს ვერ ართმევ და ჩემი დახმარება გინდა. ისედაც უამრავი საქმე მაქვს.

– ნუ დაპანიკდი. მოვრჩი უკვე და გადავუგზავნე კიდეც შემკვეთს. სხვა რამე მინდა.

– ვერც კაფეში ჩაგყვები, არ მშია და ხათრის გამო ნუ შემაჭმევ იმ უგემურ ხაჭაპურს, – გადაუწურა ყველა იმედი გოგიმ.

– უგემური შენ თვითონ ხარ. მათქმევინებ თუ არა?! – გაბრაზდა ზუკა, – რჩევა მჭირდება და ნუ დამამადლი.

– ო, აი, ეგ უკვე სხვა საქმეა, თავიდანვე ვერ თქვი?

– მერე, მაცადე?! გავიდეთ, რა, თან მოვწიოთ და დაგელაპარაკები.

– კარგი, – ამოიხვნეშა გოგიმ, – დაგითმობ ჩემი ძვირფასი დროის რაღაც ნაწილს. ოღონდ, სიგარეტი არ მაქვს და უნდა მომაწევინო.

– ბოლომდე სარგებლობ სიტუაციით, მაგრამ, არა უშავს, – ამოიოხრა ზუკამ, – სხვათა შორის, ამ ბოლო დროს სულ ჩემს სიგარეტს ეწევი. ვეღარ აგნებ, სად იყიდება თუ ჩემს ხარჯზე აკეთებ ეკონომიას?

– თავს ვანებებ და...

თიკომ ჰოლში მიმავალ ბიჭებს გახედა და მიაძახა:

– თუ მოსაწევად მიდიხართ, მეც დამელოდეთ, რა... ახლავე ამას ჩავხურავ და მოვალ...

– სირბილით ნუ მოიკლავ თავს. ჯერ მოწევა ისწავლე და მერე შემოგვიერთდი, – უკანმოუხედავად მიუგო ზუკამ, – ყელის კიბოს გაიჩენ პირში ბოლის ჩაგუბებით.

– შენი ჭკუის სწავლება არ მჭირდება. პირდაპირ მითხარი, რომ ჩემთან ერთად მოწევა არ გინდათ. ალბათ, ნაშებზე უნდა ილაპარაკოთ. ვიცოდე მაინც, ვინ თქვა პირველად, კაცები ჭორიკნები არ არიანო.

ზუკამ პასუხად მხოლოდ ხელი აუქნია და შემინული კარი მჭიდროდ მიხურა ზურგსუკან. გოგიმ სიგარეტი გამოართვა.

– მიდი, ყურადღებით გისმენ.

ზუკამ თვალები მოჭუტა:

– მოკლედ, ასეა საქმე... ერთი ნაშა „შევაბი". მაგარი რამეა... წკიპზეა საქმე მისული, მაგრამ...

– ფულს ვერ გასესხებ და ვერც ბინის გასაღებს მოგცემ. ჩემსაში რემონტი ჯერ არ დამთავრებულა და დედაჩემს ვერსად გავუშვებ, – სხაპასხუპით მიაყარა გოგიმ და მაშინვე დაამატა – სასტუმროში წაიყვანე, ნუ გეშინია, ძვირი არ დაგიჯდება. ვახოს უთხარი და ხელფასს წინასწარ მოგცემს.

– ვა, ბიჭო, რა იცი ეს, სათქმელს რომ არ დააცდი ადამიანს? ტექნიკური საკითხები მოგვარებული მაქვს. პრობლემა არც ფულია და არც ბინა. ის კი არა, მგონი, ფული იქით მომცეს და ნომერიც თვითონ დაიქირავოს.

– ამისთანა ვინ „შეაბი"... თან, ამბობ, მაგარ ვიდზეაო. ერთი, კარგად გამაგებინე, რაშია საქმე?

– ქმარი ჰყავს, – თქვა ზუკამ და თანამშრომელს ქვემოდან დამნაშავესავით ახედა.

– ოო, ხოო... ეგ კი არის პატარა პრობლემა.

– პატარა და არა დიდი? პატარას მოევლება – მაშინ დღეს შევხვდები, – გულზე მოეშვა ზუკას.

– მოიცა, მოიცა... ტყუილად გაგიხარდა. მე ჯერ არ მითქვამს, რას ვფიქრობ ასეთ რომანებზე.

– რა რომანი, კი არ მიყვარს, ტო... – გაიცინა ზუკამ, – პროსტო, ურთიერთობისთვის მინდა. ქალს ყველაფერი აქვს და, რაც აკლია, იმას მე მივცემ. სიყვარულის დეფიციტი მაქვსო, არ დაუჩივლია.



– თავიდან ყველა ასე ფიქრობს. სწორედ იქ რთულდება ხოლმე ყველაფერი, სადაც მარტივად გგონია საქმე და, საერთოდაც, ვერ ვიტან მაგ ტიპის ქალებს, რა... – გოგი უკმაყოფილოდ დაიჭყანა.

– ვერც მე ვიტან, მაგრამ, ქმარმა იდარდოს. ჩემი არც ცოლია, არც და არც ნათესავი. ეტყობა, იჩალიჩებს ის კაცი და ესეც ღალატობს.

– პირველი რომ არ იქნები, ვისთანაც ქმარს უღალატებს, დარწმუნებული ვარ.

– გულახდილად გითხრა, არც ეგ მანაღვლებს.

– აბა, რა განაღვლებს? რჩევა მჭირდებაო, დიდი ამბით არ გამოიხმე?

– შევხვდე დღეს?

– რა ვიცი, შეხვდი, თუ გინდა, – მხრები აიჩეჩა გოგიმ, – თან, გააჩნია, რისთვის ხვდები.

– კოჰაბიტაციის დეტალები უნდა განვიხილოთ. რისთვის შევხვდები – სექსისთვის.

– ვა, უკვე გაიასნებულია? პირდაპირ ეგრე გითხრა, მაგ საქმისთვის შემხვდიო? – გულწრფელად თუ ირონიულად გაიცინა გოგიმ.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს? შევხვდე თუ არა?

– სად გაიცანი?

– გავიცანი. არც მაგას უნდა ჰქონდეს შენთვის მნიშვნელობა.

– მე ის მაინტერესებს, ვიზუალურად გინახავს თუ არა. სასაცილო მდგომარეობაში არ აღმოჩნდე.

– ეგ როგორ?

გოგიმ უცერემონიოდ ამოაცალა კოლოფიდან კიდევ ერთი ღერი სიგარეტი, მოუკიდა და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა:

– ჩემზე ყოველთვის ახდენდა შთაბეჭდილებას ის ფაქტი, რომ არსებობენ ადამიანები (და, მათი რიცხვი ცოტა არ არის), რომლებიც არასდროს იყენებენ საკუთარ ტვინს კონკრეტული საქმისთვის, ანუ, საქმისთვის, რომელიც მათ სარგებლობას ან, თუნდაც, ბედნიერებას მოუტანს.

– ვერ გავიგე, ამით რისი თქმა გინდა? – დაიძაბა ზუკა.

– რა ვერ გაიგე? რამდენი წლის ხარ?

– ოცდაცხრის. გოგი, ნუ მაბნევ, რა! რჩევა გკითხე, ანკეტა შემივსე-მეთქი, არ მითხოვია.

– ჰოდა, თუ ანკეტაც შევსებული გაქვს და სრულწლოვანიც ბრძანდები, რაღა ქმრიან ქალს გადაეკიდე, ნაშების მეტი რა არის?

– ეგრე მარტივადაც არ არის საქმე. ნაშები ბევრია, მაგრამ, იმდენი ჩალიჩი უნდა... ვინც იძლევა – დიდ ფულზე იძლევა, დანარჩენები კი პაკაზუხურად ნაშობენ... მერე ისინიც გათხოვებაზე მიწყებენ ლაპარაკს. აღარ შემიძლია, რა!..

– ანუ, დაკერვა გეზარება და პირველი ვინც წამოეგო, ისიც – პირველივე სიტყვაზე, იმისკენ გაგიწია გულმა?

– შენ ადვილად ლაპარაკობ – ნინი გყავს და თავი ქუდში გაქვს. ახლა მე მკითხე. შეუყვარებული მყავდა, მაგრამ, რა – კოცნის იქით ვერ წავედი... ამ ქართველ გოგოებს რომ ჰკითხო, ევროპელობაზე დებენ თავს, სინამდვილეში მეცხრამეტე საუკუნეში არიან ჩარჩენილები.

– სამაგიეროდ, გათხოვილებმა აიწყვიტეს, – ნიშნისმოგებით გაიცინა გოგიმ, – პრინციპში, შენ მართალი ხარ – იმისმა ქმარმა იდარდოს, ბოზი რომ ჰყავს ცოლი, თორემ, შენთან თუ არა, სხვასთან მაინც დაწვება. ყველაზე დიდი და რთული პრობლემები თავისთავად გადაიჭრება ხოლმე.

– ისე, ცოტათი მაინც ტეხავს, ხომ იცი...

– ჰო, ეგ მეც ვიფიქრე. მოკლედ, შენ თვითონ გადაწყვიტე.

– ჯერ ვერ გადავწყვიტე.

– მდაა... ქალისა და კაცის შეხვედრა ყოველთვის ჰგავს ორი ქიმიური ნივთიერების ურთიერთკონტაქტს. არავინ იცის წინასწარ, როგორი იქნება რეაქცია – გამორიცხული არაფერია, აფეთქება ყოველ წუთს არის მოსალოდნელი.

– არ გინდა, ნუ ფილოსოფოსობ. სხვანაირად რატომ არ შეგიძლია?

– მე კი არა, შენ არ შეგიძლია სხვანაირად, – აგერ, მშვენიერი გოგო გყავს ცხვირწინ. რად გინდა ვირტუალური ნაცნობობა და მერე იმაზე ნერვიულობა, რა იქნება რეალობაში? მიდი, გაუღიმე, ერთი-ორჯერ შეხვდი და... ერთხელ მაინც რომ ჩაგეხედა თიკოსთვის თვალებში, მიხვდებოდი, რომ ის არის, ვისაც ელი.

– იდიოტი ხარ, რა უნდა გელაპარაკო! იცინე,

ჰო, რა გენაღვლება. მალე ნინი ოჯახზე და შვილებზე რომ დაგიწყებს ლაპარაკს, მერე ვნახავ, როგორ გაიცინებ.

– არ დამიწყებს, შეთანხმებულია ეგ საკითხი.

– ჰმ, ეგ საკითხი არ თანხმდება. არ არსებობს ქალი, რომელიც გათხოვებაზე არ ოცნებობდეს, – გამაფრთხილებლად დაუქნია თითი ზუკამ.

– მერე, რა არის ამაში ცუდი? – მხრები აიჩეჩა გიგიმ.

– არაფერი. ვახოს ჰკითხე და გეტყვის.

– ვახო, საერთოდ, რა შუაშია?

– ქორწინებაში ყოფნის გამოცდილება აქვს შენზე მეტი და, ჩემზეც, რა თქმა უნდა. როგორც იტყვიან, ყველა დაკვირვებულმა ადამიანმა იცის თავისი ჯოჯოხეთი, მაგრამ, ერთეულები ცნობენ სახეზე საკუთარ ეშმაკსო.

– ვა?! – გაიოცა გიგიმ.

– აბა, როგორ, ჩვენც ვკითხულობთ რაღაცრაღაცეებს ინტერნეტში... და, კიდევ, არსებობს ჭეშმარიტება, რომელიც ჭეშმარიტებად იქცევა მხოლოდ ზეგ, – დაასკვნა ზუკამ და მეტი ველარაფრის თქმა ვერ მოასწრო, რადგან, კარი ხმაურით გაიღო და ოფისიდან აჭარხლებული, თმააწეწილი ლაშა გამოვარდა... ისეთი სახე ჰქონდა, გიგის და ზუკას მაშინვე გადაავიწყდათ, რაზე ლაპარაკობდნენ.

– რა იყო, ბიჭო, შიგნით რამეს ცეცხლი ხომ არ უკიდია?

ლაშამ ახლაღა შეამჩნია ორივე:

– აუჰ, თქვენ ხართ? ცოლმა დამირეკა, მუცელი ასტკივნია, მე კი მანქანა სამრეცხაოში დავტოვე. სულელი ვარ, რა! ვიფიქრე, სამშობიაროში წასაყვანად სუფთად იქნება-მეთქი. ახლა ტაქსი მჭირდება სასწრაფოდ.

– რატომ ტაქსი, აქ არ ვარ? – ზუკამ ჯიბეზე გაიკრა ხელი, – გასაღები ქურთუკის ჯიბეში მაქვს, ახლავე მოვიტან.

– წამიყვან?

– ჰო, აბა, რას ვიზამ, მაგას კითხვა უნდა?!

ლაშამ სველი შუბლი მოიწმინდა.

– მალე მაინც მოიტანდეს გასაღებს. ძალიან ვნერვიულობ. ვერ წარმოიდგენ, ეს რა გრძნობაა.

გიგიმ თანაგრძნობით დაუქნია თავი:

– ჰო, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენ და თანაგიგრძნობ.

– მშობიარობას, ალბათ, დავესწრები – ამის დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ, რამდენად გავქაჩავ, არ ვიცი.

გიგიმ მოგვიანებით გაიაზრა, რაზე ელაპარაკებოდა ლაშა და შეაჟრჟოლა. არა, აშკარად არ იყო მზად ოჯახისა და შვილებისთვის, თუმცა, ხმამაღლა ეს არ უთქვამს. მომავალ მამას მხარზე გამამხნევებლად მოუთათუნა ხელი და გაუღიმა. ამასობაში ზუკაც მოვარდა, ხელში გასაღებს ათამაშებდა.

– წავედით? ლაშა, შენ გეკითხები. რა მოგივიდა, გადაიფიქრე?

ლაშა შეკრთა:

– არა, რა გადავიფიქრე, წავიდეთ. გიგი, მე, ალბათ, დღეს ველარ მოვბრუნდები და ვახოს უთხარი, რა!

გიგიმ თავი დაუქნია და ოფისში შევიდა. თიკო თავის მაგიდასთან არ იჯდა – გიგიმ მას ზუკას კომპიუტერში თავშერგულს მიუსწრო. გოგო შეკრთა და გაწითლდა.

– თიკო, აქ რას აკეთებ? – წაუმღერა გიგიმ.

– მე?.. ზუკას „ფეისბუქი“ დარჩა ჩართული და...

– და... შენც შემთხვევით ისარგებლე და მის მიმოწერას კითხულობ? იცი, ამას რა ჰქვია?

– რა სისულელეა! – გაცხარდა თიკო, – გამორთვა მინდოდა და შენც შემოხვედი. ეგ როგორ იფიქრე?

– ნუ ყვირი. ყველა ქალი ერთნაირია – ცნობისმოყვარე, ჭორიკანა. ვერ დავიჯერებ, რომ „ინბოქსში“ არ იყავი შემძვრალი.

თიკომ ტუჩები აიბზუა:

– რა მენაღვლება, თუ გინდა, ნუ დაიჯერებ. არც ჭორიკანა ვარ და, საერთოდ, თავი დამანებე, რა... – თიკო შეურაცხყოფილი სახით მოშორდა ზუკას კომპიუტერს და ოთახიდან დააპირა გასვლა, მაგრამ, გიგიმ მოულოდნელად გზა გადაუღობა:

– თიკო, ზუკა მოგწონს?

გოგო ყველაფერს ელოდა ამ შეკითხვის გარდა.

– საიდან მოიტანე?

– ო, მიგიხვდი, პატარავ? ზუკა, შეიძლება, დააბოლო, მაგრამ, მე ვერ მომატყუებ, ვერ გამომაპარებ... ისე უყურებ ხოლმე, როგორც...

– როგორც რა? თქვი ერთი, გელოდები!

გიგიმ გაიცინა და ხელები გაშალა:

– იცი, თქვენი, ქალების მთავარი პრობლემა, მე ვიტყოდი, მოუგვარებელი პრობლემა, რაშია? საკუთარ სურვილებზე გულახდილად ლაპარაკი არ შეგიძლიათ.

– რა?! სისულელეა, რასაც ახლა ამბობ.

– ჰო, სისულელეა, აბა, სხვას რას იტყვი. მაგრამ, მე შენთვის ვზრუნავ.

– ჩემთვის? გამაოგნებელი ახალი ამბავია. ახლა კი გაიწიე, უნდა გავიდე, საქმე მაქვს.

– რა საქმე? უნდა დაჯდე და გააანალიზო ის, რაც წაიკითხე? არ გირჩევნია, პირდაპირ უთხრა გიგის, რომ მასთან სექსი გინდა?

თიკოს თვალები დაუმრგვალდა აღშფოთებისგან:

– შენ წეღან გარეთ რა მოწიე?

– მაგას ჩემს შეკითხვასთან რა კავშირი აქვს?

– პირდაპირი – დაბოლილს ჰგავხარ.

– ჩემთანაც არ გინდა?

– გიგი, შენ დღეს რაღაც გჭირს. ამიტომ, ვითომ არაფერი გითქვამს და მეც არაფერი გამიგონია.

– ეე, გეუბნები, შენთვის კარგი მინდა-მეთქი. იცი, როგორ მოგეშვება? თქვი, რა, ის, რაც თავში გაქვს. რად გინდა თამაში, მთელი ცხოვრება ხომ ვერ ითამაშებ? თან, ამასობაში, შეიძლება, ზუკამაც ვინმე იპოვოს და მერე გულიც დაგწყდება. ცხოვრებაში ერთხელ მაინც იყავი გულახდილი. საკუთარ თავს იტყუებ და ვერც იტყუებ.

– გიგი! – იყვირა თიკომ, – იცოდე, ვახოსთან შევალ და ყველაფერს ვეტყვი!

– ჰო, კარგი, დამშვიდდი, გეხუმრე. თუ, ხუმრობაც არ გესმის?

– შენი შავი იუმორი ნამდვილად არ მესმის და, არც მინდა, მესმოდეს. შენ უფრო სერიოზული მეგონე, ვიდრე ზუკა, მაგრამ, თურმე, ვცდებოდი. ამის მერე, იცოდე, შენი ხუმრობით ნათქვამი ყოველი სიტყვა მაღიზიანებს და შენც მაღიზიანებ.

– ყველაფერ იმას, რაც სხვებში გვაღიზიანებს, საკუთარი თავის შეცნობისკენ მივყავართ.

თიკო ოთახიდან გავარდა. ზუკამ შუბლზე მოისვა ხელი

– მდააა... მგონი, ეწყინა. იქნებ, არ უნდა მეთქვა? მაგრამ, მე ხომ მართლა მის მხარეს ვარ, ამან კი ყველაფერი უკულმა გაიგო... აი, ქალების გადაუჭრელი პრობლემა – ვერასოდეს იგებენ იმას, რასაც ეუბნები. მათებური ინტერპრეტაცია კი ურთიერთობის ნორმალურად წარმართვის



ყველა საშუალებას სპობს.

ვახო შემთხვევით გამოვიდა ოთახიდან და აცრემლებული თიკოს დანახვაზე განცვიფრებული შედგა:

– რა მოხდა? ხომ მშვიდობაა? გაწყენინა ვინმემ? – პასუხი რომ ვერ მიიღო, გოგოსთან ახლოს მივიდა, მხარზე ფრთხილად მოჰკიდა ხელი და თავისკენ მიაბრუნა, – რა გატირებს-მეთქი?

– არაფერი. არ ვტირი.

– არ ტირი? აბა, ეს რა არის? – ვახომ ცრემლებით სველი ლოყა ხელისგულით შეუმშრალა და სველი ხელი აჩვენა, – აი, ესეც ნივთმტკიცება. მითხარი, რა დაგემართა.

– არაფერი, ბატონო ვახო, მართლა... ეს ისე, მე თვითონაც არ ვიცი, რა მოხდა. ცრემლები უცებ თავისით წამომივიდა.

ვახომ დაეჭვებულმა შეხედა:

– თავისით რა, ხშირად ხარ ხოლმე ასე?

– ჰო, რა ვიცი. გაზაფხულია და... ეტყობა, სევდა მომეძალა.

– თიკო, გეხვეწები, მაგ სისულელეებზე ნუ ფიქრობ და საქმეს მიხედე. აქ თუ გაბრაზებს ვინმე, ეგეც მითხარი.

– არა, ვინ უნდა მაბრაზებდეს?

– ვიცი მე ამათი მაიმუნობის ამბავი. მოვკლავ ორივეს.

– არა, არ მაბრაზებენ, – თიკოს გული აუჩუყდა და ასლუკუნდა, – ყურადღებას ნუ მომაქცევთ, ბატონო ვახო.

– ეე, შენ აღარ ხუმრობ, ხომ იცი! ახლავე გაჩუმდი. წადი, თუ გინდა, ყავა დალიე, გაისეირნე – დღეს ადრე გიშვებ.

თიკომ ცრემლები მოიწმინდა და ნაძალადევად გაიღიმა:

– გმადლობ, ვიქნები. ყავას კი აქ დავლევ და თქვენც მოგიდუღებთ.

– კარგი გოგო იქნები. ოღონდ, ბატონ ვახოს ნუღარ დამიძახებ, შევთანხმდით?

თიკომ მორჩილად დაუქნია თავი. ვახომ გაუცინა და დიზაინერებისთვის განკუთვნილ ოთახში შევიდა. გიგი ფანჯარასთან იდგა და მოპირდაპირე კორპუსის აივანზე რაღაცას ათვალიერებდა.

– ზუკა სად არის? ან შენ რას მიშტერებიხარ მანდ?

– ზუკამ ლაშა წაიყვანა სამშობიაროში. ბიჭო, ეს ტიპი მაგრად ჭედავს, ხომ იცი? სულ მეშინია, ერთხელაც თავისი ცოლი აივნიდან არ გადმოაგდოს.

ვახომ ამოიოხრა.

– ზოგი ცოლი იმისთანაა, ძალად გადმოგაგდებინებს თავს.

– ჰოდა, მაგიტომაც არ მომყავს ცოლი, – გაიცინა გიგიმ...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# შეიცანი საკუთარი თავი

*სრულიად სხვადასხვანაირი ხართ მეგობრებთან, ახლობლებთან და ოჯახში. როგორი ხართ რეალურად?*

**1. ნაცნობებთან სტუმრად შეიარეთ:**

ა) ყველაფერს ვილონებ, რომ ყურადღების ცენტრში ვიყო;
ბ) მოვყვები სასაცილო ანეკდოტებს;
გ) მოვისმენ სხვის ამბებს ცხოვრებაზე.



**2. როგორი იყავით სკოლაში, კლასში?**

ა) გამორჩეული;
ბ) მთავარი აქტივისტი;
გ) ძალიან წყნარი და შეუმჩნეველი.

**3. ცხოვრებაში თქვენი მონაცემებით იქნებოდით:**

ა) შესანიშნავი მსახიობი, მთავარი როლების შემსრულებელი;
ბ) რეჟისორი;
გ) კრიტიკოსი (თანაც, ენამწარე).

**4. როგორ გგონიათ, ხართ ახალი ამბების ეპიცენტრში?**

ა) არანაირად. ყველაფერს ბოლოს ვიგებ;
ბ) არა, თუ ვინმემ ასეთი ამბავი პირველს მე არ მითხრა;
გ) რა თქმა უნდა.

**5. როგორი ეპითეტებით დაგახასიათებდნენ თქვენი მეგობრები?**

ა) ძალიან მიმზიდველი, კაშკაშა პიროვნება;
ბ) ქარიზმატული, საინტერესო;
გ) მშვიდი და საიმედო.

**6. მეგობრები ხშირად მოგმართავენ თხოვნით:**

ა) შეუდარებელი შესაფერისი ტანსაცმელი;
ბ) ვუპოვო გამოსავალი რთული სიტუაციიდან;
გ) ვასწავლო ადამიანებთან ურთიერთობა.

**7. შემთხვევით შეხვდით ადამიანს, რომელიც მაშინვე მოგეწონათ, შეეცდებით მის გაცნობას?**

ა) დაველოდები, იქნებ თავად გამოიჩინოს ინიციატივა;
ბ) აუცილებლად რაღაცას მოვიგონებ და გავიცნობ;
გ) მის ახლოს ვიტრიალებ. ცდას არ დავაკლებ, შემამჩნიოს.

**8. ძალიან გინდათ, რომ თქვენი მეგობრები:**

ა) აფასებდნენ ჩემს ჭკუას;
ბ) სერიოზულად აღმიქვამდნენ;
გ) უფრო ტაქტიანები იყვნენ.

**9. როცა საიდუმლოს განდობენ:**

ა) ჩუმად ვარ – ეს სხვისი საიდუმლოა;
ბ) ვცდილობ, არ გამანდონ. არ მინდა შარი;
გ) იშვიათად მანდობენ – არ მაინტერესებს.

**10. შეგიძლიათ სიურპრიზების მოწყობა?**

ა) დიახ, ადვილად და კარგად გამომდის;
ბ) არა. სხვას კი დავეხმარები;
გ) არ მიყვარს სიურპრიზები.

**ნახეთ შედეგები:**

*პასუხების უმრავლესობაა „ა“ – ძალიან კაშკაშა, საინტერესო და კომუნიკაბელური ხართ. ნაცნობები და ახლობლები ყველაფერში გენდობიან, მაგრამ, გირჩევთ, მეტი მოგცენ, ინტელექტუალური თვალსაზრისით.*

*პასუხების უმრავლესობაა „ბ“ – პიროვნება შედგა. ნებისმიერ საზოგადოებაში ჩანხართ და ყველა პატივს გცემთ. ყველანაირი ურთიერთობა კარგად გამოგდით. თქვენი ერთადერთი ნაკლი მეტისმეტი გახსნილობაა.*

*პასუხების უმრავლესობაა „გ“: ძალიან ხშირად ჩუმად ხართ. ლაპარაკს მოსმენა გირჩევნიათ. ადამიანებზე საკუთარი შეხედულება გაქვთ, რომელსაც თქვენთვის ინახავთ. შეიძლება, ამიტომაც, ნაკლებად გენდობიან და ვერც „თავისიანად“ აღგიქვამენ.*

## გათხარე, რათა დაიჯერო

* არქეოლოგია არის მეცნიერება, რომელიც მითს რეალობად აქცევს. მედინაში, ალაკიკის ველზე, არქეოლოგებმა გათხარეს უძველესი ციხე-კოშკის ნანგრევები, რომელიც ჰიჯრის კალენდრის პირველი საუკუნით თარიღდება. ცნობილია, რომ წინასწარმეტყველი მუჰამედი 622 წელს მექადან მედინაში გადასახლდა. სწორედ ეს წელი ითვლება ისლამური სახელმწიფოს დაარსების თარიღად. ციხე-კოშკი ომეიანების მმართველობის ეპოქას მიეკუთვნება. ეს დინასტია მმართველობის სათავეში 661 წელს მოვიდა და მექას ასი წლის განმავლობაში მართავდა. ჩვენს რეალობამდე თითქმის დაუზიანებლად მოაღწია შენობის საძირკველმა, გადარჩენილია რვა აპარტამენტიც. ამით დასტურდება არაბთა ხალიფატის უძველესი ისტორია, ანუ, მუსლიმანური აღმოსავლეთის ისტორია კიდევ უფრო საინტერესო გახდა.

* ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ჩუნდუს დასახლებაში, იპოვეს ქვის უზარმაზარი სტატუეტი. ეს არის ცხოველი, რომლის ასაკიც ორი ათასი წელია. უძველესმა მოქანდაკემ ქვაში გამოკვეთა პანდა სიჩუანის პროვინციიდან. ეს აღმოჩენა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ჩინელებისთვის საამაყო ცხოველი საკმაოდ ხანდაზმულია. საინტერესოა ისიც, რომ ქანდაკება შთამბეჭდავი ზომებით გამოირჩევა – ის წონით 8,5 ტონაა, სიგრძე 3 მეტრია, სიმაღლეც 3 მეტრი, ხოლო სიგანე – 1 მეტრი. სხვათა შორის, გიგანტური პანდები მართლაც არსებობდნენ. ისინი მეტრ-ნახევარს აღწევდნენ და 30-დან 160 კილოგრამამდე იწონიდნენ. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ამ სტატუეტის აღმოჩენა შეიძლება იმის დასტური იყოს, რომ ძველ ჩინეთში პანდა წმინდა ცხოველად ითვლებოდა. რაც შეეხება ქალაქ ჩუნდუს, მისი ასაკი ოთხი ათასზე მეტ წელს ითვლის. სიჩუანის პროვინციას კი „დედამიწაზე არსებულ სამოთხეს“ უწოდებენ.

## დრაკულას სამშობლოში

რუმინეთის მცხოვრებლებმა ლითონმაძიებლის საშუალებით ნამდვილი განძეული აღმოაჩინეს – 1 471 ვერცხლის მონეტისგან შემდგარი განძი ორ კილოგრამს იწონის. მონეტები მეთექვსმეტე საუკუნეს მიეკუთვნება, რომელთაგან 1 415 მონეტა თურქეთშია გამოჭედილი, 8 – უნგრული ზარაფხანის ნიმუშია, დანარჩენი კი – პოლონეთის ზარაფხანის. ამ უნიკალური აღმოჩენის საერთო ღირებულება 10 მილიონი დოლარია და ამ თანხის 30 პროცენტი თანაბრად გაუნაწილდებათ მპოვნელებს. რაც შეეხება თავად განძის საუკუნოვან ადგილსამყოფელს, ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნემდე რუმინეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი ოსმალეთის იმპერიას ჰქონდა მიტაცებული. რუმინელი თავადები გააფთრებით ებრძოდნენ ოსმალებს. ვალახიის პრინცმა, ვლად ცეპეშმა (ისტორიაში ცნობილია „სარზე გამსმელის“ სახელით) ოსმალების დაუფარავი სიძულვილით გაითქვა სახელი. სადილობისას მის წინ ყოველთვის იდგა სარი, რომელზეც ოსმალო ტყვე იყო წამოცმული და მისი ტანჯვით ტკბებოდა. დღეს ვლად ცეპეში „გრაფი დრაკულას“ სახელით არის ცნობილი და მსოფლიო ისტორიის მთავარ ვამპირად არის მიჩნეული.



**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# მკვლელი ამბიცია

## უილიამ მილერი

სებასტიან სემპსონი ამაყობდა თავისი პერსონით და ფანატიკურად იყო საკუთარ სახელზე შეყვარებული. ენით გამოუთქმელ სიამოვნებას ანიჭებდა დოკუმენტებზე ხელის მოწერა. განსაკუთრებული რუდუნებით გამოჰყავდა პირველი ასოები – ორი დიდი „S“. რამდენი რამე იმალებოდა ამ თითქოსდა უბრალო აბრევიატურის უკან! ძალიან ბევრი ივარჯიშა, რომ „სებასტიან სემპსონი“ ლამაზად და ეფექტურად ყოფილიყო გამოყვანილი. დიახ, სებასტიან სემპსონს უყვარდა საკუთარი სახელი, ისევე, როგორც საკუთარი თავი. ან, რატომ არ უნდა ჰყვარებოდა?! 55 წლის ასაკში მიაღწია ყველაფერს, რისი მიღწევაც კი შეიძლებოდა მისი სოციალური სტატუსის ადამიანისთვის. ამიტომაც იყო დარწმუნებული, რომ მისთვის უნდა მიებაძათ, მით უფრო, რომ ყველაფერს თავისით მიაღწია. ბევრი დაიკვეხნიდა ასეთი წარმატებით?! ბევრს შეეძლო ბანკის უბრალო მოლარის თანამდებობიდან, მთელი კომერციული ბანკის პრეზიდენტობისთვის მიეღწია?! ეს ნახტომი მის სფეროში მწვერვალის დაპყრობას უდრიდა. მართალია, ამ გზაზე ვიღაც-ვიღაცეებს წინ გადაურბინა, მაგრამ, ეს ხომ არ იყო მთავარი? ბოლოს და ბოლოს, მიზანი და შედეგი ყოველთვის ამართლებს საშუალებას. სებასტიან სემპსონს მიაჩნდა, რომ, შესაძლოა, ვიღაცეებს არც ჰყვარებოდათ – ბანკის თანამშრომლებს შორის, რა თქმა უნდა, მაგრამ, ამაზე ნაკლებად დარდობდა. მიღწეული თანამდებობით მისი პატივმოყვარეობა სრულად იყო დაკმაყოფილებული, ამბიციაც – რეალიზებული. ო, როგორი ნეტარება იყო საკუთარი ხელმოწერის მზერა... იმ საღამოს კი განსაკუთრებით კმაყოფილი იყო საკუთარი თავით. ბანკისთვის მეტად მომგებიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ამიტომ, გადაწყვიტა, ეს მოვლენა თეატრში წასვლით აღენიშნა, თან, ცოტა გაესეირნა. გადაწყვეტილების შესახებ თავის მოადგილეს, ვიცე-პრეზიდენტს ამცნო – აქაოდა, უნდა იცოდე, შენი პრეზიდენტი კულტურული ღონისძიებებითაც არის დაკავებული და თავის ინტელექტუალურ დონეს იმაღლებსო.

– მანქანა გამოვიძახო? – ჰკითხა ვიცე-პრეზიდენტმა.

– არა, დღეს ფეხით გავივლი. მეტროში ჩავალ, თან აფიშებს დავათვალიერებ, – სებასტიან სემპსონმა თავისი ძვირფასი კალამი პიჯაკის შიდა ჯიბეში ჩაიდო და კაბინეტის კარი მოხურა. ოქროსფერი ფირფიტაც პომპეზურად იუწყებოდა კაბინეტის მფლობელის ვინაობას.

– არა, მიზანი ყოველთვის გაამართლებს საშუალებას, – ჩაილაპარაკა სიამაყით.

– რა ბრძანეთ? – ჰკითხა ვიცე-პრეზიდენტმა.

– არაფერი, ეს ისე... ხვალ შევხვდებით. არავინ დააგვიანოს...

სემპსონი აფიშის წინ იდგა და ათვალიერებდა. უცებ ძალიან მოუნდა, კიდევ ერთხელ დაეწერა თავისი სახელი. ბევრი არ უფიქრია, კალამი ამოიღო და აფიშის კუთხეს მსხვილად მიაწერა: „სებასტიან სემპსონი.“ მერე გარშემო მიმოიხედა. სხვა მგზავრები მშვიდად იდგნენ და მატარებელს ელოდნენ. მალე კი ელექტრომატარებელიც მოვიდა და სემპსონი მგზავრებთან ერთად ვაგონში შევიდა. იმავე საღამოს, გვიან, როცა სპექტაკლით ნასიამოვნები უკან ბრუნდებოდა, აფიშასთან შეჩერდა, რათა კიდევ ერთხელ დამტკბარიყო თავისი ხელმოწერით. მაგრამ... სემპსონი ლამის წაიქცა მოულოდნელობისგან – ვიღაცას მისი სახელისა და გვარის გასწვრივ მწვანე მელნით მიეწერა: „იდიოტი“. სემპსონი გაწითლდა. იგრძნო, როგორ გამალებით დაუწყო გულმა ცემა და სისხლი გაუხურდა. ვის უნდა გაეკეთებინა ეს? იქნებ, შემთხვევით...

საცოდავ პრეზიდენტს მთელი ღამე არ სძინებია... მეორე დილით აქოშინებული გაიქცა მეტროს სადგურზე და აფიშას მიაშტერდა. შემთხვევა უკვე გამორიცხული იყო. ამჯერად აქ უკვე ახალი ფრაზა გაჩენილიყო. ისევ მწვანე მელნით ეწერა: „სებასტიან სემპსონი – იდიოტი და გაბერილი კრეტინი. ინდაური ფხორია“. პრეზიდენტისთვის ასეთი შეურაცხყოფა არავის მიუყენებია – ეს უკვე მეტისმეტი იყო. ვიღაცა მის დამცირებას, განადგურებას ცდილობდა. სიბრაზისგან გალურჯებულმა სემპსონმა მიაწერა: „შენ კი ქუჩის მწერლუკა ხარ – არარაობა და ნაგავი“. ის დღე გაფუჭდა. გონება ველარაფერს დაატანა. მდივანს უთხრა, ყველა შეხვედრა გადაედო. საღამოს უკვე აფიშასთან იდგა და კითხულობდა ახალ წარწერას, რომელიც აშკარად მისთვის იყო განკუთვნილი: „მხოლოდ განდიდების მანიით დაავადებულ ადამიანს შეუძლია, ქალაქში ირბინოს და თავისი სახელი აფიშებზე წეროს“. ეს უკვე გამოწვევა იყო და სემპსონმაც არ დააყოვნა: „მშიშარავ და არარაობავ, მითხარი, ვინ ხარ, რომ ფიზიონომია გაგილამაზო“. დილამდე ძლივს მიატანა. ბრაზით ერთიანად ცახცახებდა. აფიშაზე დილით წაკითხულმა ინფორმაციამ კი მისი ბედი გადაწყვიტა: „მისამართი: 110-ე ქუჩა, 1873-ე სახლი, კორპუსი „ე“, მეხუთე სართული. მეორე კარია მარცხნივ. გელი მოუთმენლად, საღამოს 9 საათიდან. ვეჭვობ, არ მოხვალ. შენ მარტო ჯღაბნა შეგიძლია“... სემპსონმა სიმწრით დაიღმუვლა...

მეორე დღეს გაზეთები წერდნენ:

„წუხელ, 110-ე ქუჩაზე, 1873-ე სახლში, უცნაური უბედური შემთხვევა მოხდა: დაღუპულია ქალაქის კომერციული ბანკის პრეზიდენტი სებასტიან სემპსონი. თვითმხილველები ყვებიან, რომ დაახლოებით საღამოს ათის ათ წუთზე პრეზიდენტი თავქუდმოგლეჯილი მივარდა სახლთან, აირბინა მეხუთე სართულზე და, ისე, რომ არავისთვის არაფერი უკითხავს, პირდაპირ შევარდა მარცხნივ მდებარე ბინის კარში... საქმე ისაა, რომ ეს სახლი უკვე ოთხი თვეა, ასაღებად არის გამზადებული და ბინაში იატაკი აყრილი იყო. სავარაუდოდ, სემპსონმა ეს არ იცოდა და სასიკვდილოდ დაიმტვრა. გამოძიება თავს იმტვრევს იმაზე ფიქრით, რა საქმე შეიძლებოდა ჰქონოდა მისტერ სემპსონს ამ ბინაში, ან, რა მიზეზით უნდა მისულიყო იქ“...

სამი დღის შემდეგ, ზუსტად იმ დღეს, როცა გარდაცვლილი პრეზიდენტი დაკრძალეს, მისმა მოადგილემ კაბინეტის კარს სიამაყით მიამაგრა ახალი წარწერა, თავისი სახელი და გვარი, ამჯერად უკვე პრეზიდენტის რანგში. საკუთარი თავით კმაყოფილმა, გარდაცვლილის ოჯახს მწუხარების წერილიც გაუგზავნა და ქუჩაში გამოვიდა. სანამ მანქანაში ჩაჯდებოდა, ჯიბიდან მწვანემელნიანი კალამი ამოიღო და იქვე, ურნაში ჩააგდო – ის მას აღარ სჭირდებოდა.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მკვდარი ვერსია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №7-12(638)

ცენტრალურ ოფისში სტუმრობამდე ნიკამ საგულდაგულოდ შეისწავლა „ინტელგრუპჯორჯიასთან" დაკავშირებული მონაცემები. ოფიციალურად ის იყო პანამაში დაფუძნებული „ინტელგრუპპანამის" შვილობილი კომპანია. მის მფლობელად ითვლებოდა პანამის მოქალაქე ლუის მიგელ სუარესი. პანამურ კომპანიას „ინტელგრუპჯორჯიის" ანალოგიური შვილობილი კომპანიები ასევე დაფუძნებული ჰქონდა უკრაინასა და ყაზახეთში. კომპანია ძირითადად მსხვილი ობიექტების მშენებლობით იყო დაკავებული. საქართველოში. ის აშენებდა ორ საცხოვრებელ კორპუსსა და გასართობ ცენტრს, მაგრამ, ამ მონაცემებით სუარესის ქართველი პარტნიორების დადგენა შეუძლებელი იყო. ოფიციალურად ქართულ „ინტელგრუპჯორჯიას" აღმასრულებელი დირექტორი, ვინმე მერაბ ინწკირველი ხელმძღვანელობდა. ზურაბმა ნიკას მის შესახებაც მიაწოდა გარკვეული მონაცემები. ინწკირველი ასაკით 53 წლის იყო, ცხოვრობდა თბილისში. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი. „ინტელგრუპჯორჯიის" აღმასრულებელ დირექტორად დანიშვნამდე ის სამშენებლო კომპანიაში მუშაობდა. ნასამართლევი არ იყო და არც კრიმინალურ სამყაროსთან მის კავშირებზე არსებობდა რაიმე მონაცემები.

კომპანიის მთავარი ოფისი უცნაურად ეჩვენა. კარგად მოწყობილ შენობაში არაფერი მიანიშნებდა იმაზე, რომ აქ მუშაობდნენ. არ ისმოდა ოფისებისთვის დამახასიათებელი ხმაური. დერეფნებში არ მიდი-მოდიოდნენ თანამშრომლები. ნიკამ მხოლოდ სამი ქალბატონი შენიშნა, რომლებსაც ყავის ფინჯანთან გაჰყავდათ დრო. ვიდრე ის ქალებს ათვალიერებდა, დერეფანში ტანდაბალი, საფეთქლებშეჭაღარავებული მამაკაცი გამოჩნდა. ის სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა, მის პირისპირ შედგა და ჰკითხა:

– ნიკოლოზ გურული ბრძანდებით?

– დიახ, – უპასუხა ნიკამ.

– მე მერაბ ინწკირველი ვარ, აღმასრულებელი დირექტორი. წამობრძანდით, – თქვა მან და კაბინეტის კარს მიუბრუნდა.

სამუშაო კაბინეტი კომფორტულად იყო მოწყობილი. იქ იდგა სათათბირო მაგიდა, კუთხეს კი დივანი, სავარძლები და ჟურნალის მაგიდა იკავებდა. ერთ-ერთი კედლის გასწვრივ საცხოვრებელი კომპლექსის მოზრდილი მაკეტი იდგა. კედლებზე სხვადასხვა დანიშნულების შენობების პროექტების გრაფიკული გამოსახულებები ეკიდა.

მერაბმა სტუმარს დაჯდომა შესთავაზა, თავად მის პირისპირ მოეწყო და ლაპარაკი განაგრძო:

– რა საკითხზე გსურდათ ჩემთან საუბარი?

– რამდენიმე კითხვა მინდა დაგისვათ, – უპასუხა ნიკამ.

– გისმენთ, – ინწკირველი მოხერხებულად მოეწყო სავარძელში.

– რა ურთიერთობა გქონდათ ანდრო სირაძესთან? – ჰკითხა ნიკამ.

– ვისთან?

– ანდრო სირაძესთან, – გაიმეორა ნიკამ.

– ასეთ პიროვნებას არ ვიცნობ, – მშვიდად უპასუხა ინწკირველმა.

– უცნაურია. ჩანს, ძალიან ბევრი აქციონერი გყავთ, იმდენად ბევრი, რომ არც კი იცნობთ პიროვნებას, რომელმაც თქვენს კომპანიაში რვაასი ათასი ლარი ჩადო! – ირონიით შენიშნა ნიკამ.

– უკაცრავად, მაგრამ კიდევ ერთხელ ამიხსენით ვინ ბრძანდებით? – ჰკითხა ინწკირველმა.

– მე კერძო დეტექტივი ვარ. ეს ჩემი პირადობის მოწმობაა, ეს კი ხელშეკრულება, რომელიც მე სირაძის მეუღლესთან მაქვს დადებული, – თქვა ნიკამ და საბუთები გაუწოდა.

ინწკირველმა ყურადღებით დაათვალიერა პირადობის მოწმობა და ხელშეკრულება, შემდეგ კი უთხრა:

– გასაგებია... კონკრეტულად რა გაინტერესებთ?

– დაახლოებით ექვსი თვის წინ ანდრო სირაძემ თქვენს კომპანიაში რვაასი ათასი ლარი ჩადო. მე მაინტერესებს ხელშეკრულების დადების თარიღი და პირობები, – თქვა ნიკამ.



– თვითონ რატომ არ მობრძანდა? – ჰკითხა ინწკირველმა.

– ანდრო სირაძე გარდაიცვალა, მისი მეუღლე კი ახლა მის კაპიტალდაბანდებებში გარკვევას ცდილობს.

– სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარებით. მე ძალიან ბევრ ადამიანთან მიწევს ურთიერთობა, ყველა არც კი მახსოვს. ხელშეკრულებას კი ვერ გიჩვენებთ, ეს კომპანიის კომერციული საიდუმლოებაა, – უპასუხა ინწკირველმა.

– ხელშეკრულების ჩვენება მაინც მოგიწევთ! – ცივად თქვა ნიკამ.

– მართლა?! – ირონიით უპასუხა ინწკირველმა, – მაინც როგორ მაიძულებთ?

– ძალიან მარტივად – სასამართლოს მივმართავ.

– სასამართლო ვერ დამავალდებულებს, გაგაცნოთ ხელშეკრულება, მით უმეტეს – კერძო დეტექტივს მოთხოვნით. ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა.

– ახლა ჩემს ნაცვლად ანდრო სირაძის მეუღლეს რომ ესაუბრებოდეთ, როგორ მოიქცეოდით?

– თუ ის გარდაცვლილის მემკვიდრედაა აღიარებული, პრობლემა არ შეექმნებოდა.

– ის მემკვიდრედაა აღიარებული, მე კი მის ინტერესებს ვიცავ. ასე რომ... – აღარ დაასრულა ნიკამ.

– ერთი რამ ამიხსენით: კომპანიისგან რატომ ითხოვთ ხელშეკრულებას? პირს, რომლის ინტერესებსაც იცავთ, მემკვიდრედ აღიარებისთანავე უნდა გადასცემოდა გარდაცვლილის დოკუმენტაცია.

– მართალი ბრძანდებით, მაგრამ, საქმე ისაა, რომ ოჯახის წევრებმა დოკუმენტების ნაწილს ვერ მიაგნეს, – უპასუხა ნიკამ, – მეუღლე თითქმის არ ერეოდა გარდაცვლილის ბიზნესსაქმიანობაში და ზუსტად ისიც კი არ იცოდა, რა პირობებით დააბანდა ანდრო სირაძემ ფული.

– მე მართლაც არ მახსოვს ეს პიროვნება, მაგრამ, ჩვენს იურიდიულ სამსახურში ყველა აქციონერია აღრიცხული, – ამ სიტყვებთან ერთად ინწკირველი ტელეფონს გადაწვდა, დარეკა და თანამოსაუბრეს უთხრა: შენთან საქმე მაქვს, ახლავე შემოდი ჩემთან.

რამდენიმე წუთში კარი გაიღო. ნიკამ უკან გაიხედა და გაოცებული გაშეშდა – შემოსასვლელში მისი ძველი ნაცნობი, დოდო კასრაძე იდგა.

დოდო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული იყო, ოღონდ, ის ნიკაზე ერთი წლით ადრე ჩაირიცხა უნივერსიტეტში. ტანმაღალი, ქერა, ლურჯთვალება და უნაკლო სახის მქონე გოგონა, დოდო ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. ფაკულტეტის ბიჭების უმრავლესობა თავდავიწყებით იყო მასზე შეყვარებული, მაგრამ, მიმზიდველი გარეგნობა დოდოს ერთადერთი დადებითი მხარე იყო – ამ სილამაზის უკან ამპარტავანი, თავნება და ავადმყოფურად პრაგმატული ქალი იმალებოდა. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, ის თბილ, გულუბრყვილო და სუსტ გოგონად მოგაჩვენებდათ თავს, ან, სწავლას მოწყურებულ, მორცხვ სტუდენტად გარდაიქმნებოდა, რომელიც კონსპექტებით ხელში მიიჩქაროდა აუდიტორიისკენ. წუთის შემდეგ კი აწჩხლ დედაკაცად შეეძლო ქცევა, რომელიც არნახული კივილითა და თვალების ბრიალით მოითხოვდა მისი ყველა სურვილის შესრულებას. ერთი ხანობა ნიკაც მისი თაყვანისმცემელი იყო, მაგრამ, დოდოს უკეთ გაცნობის შემდეგ მიხვდა, რომ მასთან ახლო ურთიერთობა უსიამოვნების მეტს არაფერს მოუტან-

და.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დოდო რამდენიმე წელი გამომძიებლად მუშაობდა, შემდეგ პროკურატურის ცენტრალურ აპარატში გადაინაცვლა; გარკვეული პერიოდის მერე კი ხელმძღვანელობას წაეჩხუბა და სამსახური დატოვა. რას საქმიანობდა ამჟამად, ნიკასთვის უცნობი იყო. ბოლო ორი წლის განმავლობაში ისინი ერთმანეთს აღარ შეხვედრიან.

– ნიკა?! – გაკვირვებულმა შემოხედა დოდომ, – რას აკეთებ აქ?

– შენ? – ჰკითხა ნიკამ.

– მე აქ ვმუშაობ, კომპანიის იურიდიული სამსახურის უფროსი ვარ.

– ჰოდა, მეც სამუშაომ მომიყვანა აქ, – გაიცინა ნიკამ.

– გამოდის, რომ ერთმანეთს იცნობთ, – ჩაურთო ინწკირველმა, – დოდო, ბატონ ნიკოლოზს ჩვენს კომპანიონთან, ანდრო სირაძესთან დადებული ხელშეკრულება აინტერესებს, დაეხმარე, თუ შეიძლება.

* * *

დოდომ ნიკას მოსმენაც არ ისურვა. შუბლშეკრულმა გააფრთხილა: ვიდრე ყავას არ დაგალევინებ, საქმეზე სიტყვის თქმა არ გაბედო, თორემ, ალარასოდეს გაგცემ ხმასო!.. შემდეგ კი ლამის ძალით დასვა დივანზე, მაგიდაზე ხილი, ტკბილეული და შამპანური დააწყო და ყავის მომზადებას შეუდგა.

– აკი ყავასო? – შამპანურის ბოთლს გახედა ნიკამ.

– რა მოხდა, მანქანით ხარ? – სერიოზული სახით ჰკითხა დოდომ.

– ჰო.

– ოფისში წინ ფაეტონი ნახე?

– რაა?! – დაიბნა ნიკა.

– მეც მანქანით ვარ. ერთი დაჯარიმებით არ დავიქცევით. ვილაცამ ხომ უნდა შეავსოს ქვეყნის ბიუჯეტი, – დოდო ყავის ფინჯნებით დაბრუნდა მაგიდასთან, ჩამოჯდა და ნიკას სახეში მიაშტერდა, – საერთოდ არ შეცვლილხარ, ბიჭო!

– სამაგიეროდ, შენ შეიცვალე!

– ძალიან?

– უფრო ლამაზი გახდი, – უპასუხა ნიკამ.

– გმადლობთ, – დოდომ ყავა მოსვა და ლაპარაკი განაგრძო, – ასე როგორ შეიძლება, ბიჭო. ერთხელ არ უნდა მომიკითხო? ბოლოს და ბოლოს ზარმაცებისთვის ტელეფონი და ინტერნეტი არსებობს. ორი წელია, არ გაგხსენებივარ!.. ნაწყენი ხომ არ ხარ ჩემზე?!

– სამუშაო, დოდო! ხომ იცი, ერთხელ თუ ჩაგითრია, თავს ველარ გაანებებ.

– ჰო... შენ ხომ ფანატიკოსი მანიაკი ხარ. უნივერსიტეტში სწავლას აკლავდი თავს, ახლა – სამუშაოს. მაგრამ, დროდადრო მაინც უნდა გაიხედო გვერდზე – იქნებ, რამე საინტერესო შეამჩნიო.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა ნიკამ.

– ჩანს, ტყუილი მითხრეს შენზე – კარგი გამომძიებელიაო, – გაიცინა დოდომ.

ნიკამ ყურადღებით შეათვალიერა და შემდეგ მარცხენა ხელზე მიანიშნა.

– ქორწინების ბეჭედი?

– რომელიც შენც არ გიკეთია... არ დაქორწინებულხარ თუ ბეჭედს „ვარიანტის" ჩაშლა შეუძლია? – თვალი ჩაუკრა დოდომ.

– არ დავქორწინებულვარ, – უპასუხა ნიკამ.

– რატომ?.. ამ ქალაქში არავინ გამოჩნდა შენი მოსაწონი? – გაიცინა დოდომ, – რა გემართება, მე გავხსნა შამპანური?

ნიკამ ბოთლი გახსნა და შამპანური ჭიქებში ჩამოასხა.

– მოდი, ჩვენს მოულოდნელ შეხვედრას გაუმარჯოს, – დოდომ ხელის მოხდენილი მოძრაობით ასწია ჭიქა და შამპანური მოსვა.



შამპანური დალია ნიკამაც და ლაპარაკი განაგრძო:

– შენზე მითხარი რამე. რატომ წამოხვედი პროკურატურიდან?

– თავი მომაბეზრა ფობიებით შეპყრობილი, მუდამ დაღვრემილი და ყველაფრით უკმაყოფილო ადამიანების საზოგადოებამ. ბიზნესსტრუქტურაში უკეთ ვგრძნობ თავს: სამუშაო ბევრი არ მაქვს, ხელფასი და თავისუფალი დრო კი მეტია.

– ოფისით თუ ვიმსჯელებთ მართლაც ბევრი თავისუფალი დრო გექნება, – შენიშნა ნიკამ.

– ჰო... კომპანიას გარკვეული სირთულეები შეექმნა. მცირე კრიზისია, მაგრამ, არა უშავს, მალე ალვიდგენთ ჩვეულ ფორმას, – უპასუხა დოდომ.

– აქ მოსვლამდე თქვენი დიღმის ობიექტი დავათვალიერე. მშენებლობა შეჩერებულია... რატომ?

– ისევ საქმეზე გადაუხვიე? – დოდო ჭიქას წაეტანა.

– არა, საქმემდე ჯერ არ მივსულვარ... – ნიკამ ჭიქა ასწია და დაამატა – ამით, შენი თამადობით ყველა ლამაზ ქალს გაუმარჯოს!

– ტყუილი და პირფერობა არასდროს გახასიათებდა, მაგრამ, მაინც უნდა გკითხო: მართლა ასე ფიქრობ?

– სიმართლე გითხრა?

– თავისთავად.

– გასაგიჟებელი ქალი ხარ. მიკვირს აქამდე რომ არ მოგიტაცეს! – გულწრფელად უპასუხა ნიკამ.

– ეგ არც ისე იოლია! – გაუღიმა დოდომ.

– ვერც სხვანაირად დაიმსახურეს შენი ყურადღება? – განაგრძო ნიკამ.

– ყველაფერი ძალიან მარტივადაა: ვისაც მოვწონვარ, მე არ მომწონს და, ვინც მომწონს, ის საერთოდ ვერ მამჩნევს. რამდენჯერმე მომეჩვენა, რომ ძალიან ახლოს ვიყავი ოჯახის შექმნასთან, მაგრამ... ბოლოს გამბედაობა არ მყოფნიდა, უფრო სწორად, შეცდომის დაშვება არ მინდოდა და უკან ვიხევდი. თუმცა, არ ვნანობ, რადგან, მოგვიანებით ვხვდებოდი, რომ სწორად მოვიქეცი... კარგი, რა, ნიკა. საერთოდ გამიფუჭე ხასიათი. ამას ჯობდა, საქმეზე გველაპარაკა!

– ვილაპარაკოთ.

– კარგი... მაინც, რით დავიმსახურეთ შენი ყურადღება? – ჰკითხა დოდომ.

ნიკამ ორიოდ სიტყვით აუხსნა, რისთვისაც იყო მოსული „ინტელგრუპჯორჯიას" ოფისში.

– ესე იგი, ანდრო სირაძე მოკლეს?! – გულისტკივილით ჩაილაპარაკა დოდომ, – მახსოვს... საკმაოდ სიმპათიური ადამიანი იყო. ახლავე მოგინახავ ხელშეკრულებას.

ორიოდ წუთში დოდო სქელი საქაღალდით დაბრუნდა მაგიდასთან და ნიკას ხელშეკრულება გაუწოდა.

ხელშეკრულების თანახმად, ანდრო სირაძე რვაასი ათას ლარს აბანდებდა კომპანიაში. თავის მხრივ კი „ინტელგრუპჯორჯია" ვალდებულებას იღებდა, რომ საცხოვრებელი და სპორტულ გასართობი კომპლექსის აშენების შემდეგ მას კერძო საკუთრებაში გადასცემდა ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის პირველი სართულის სრული ფართის ოცდაათ პროცენტს, რომელიც საოფისე სათავსოების მოსაწყობად იყო გამიზნული. გარდა, ამისა მასვე გადაეცემოდა კორპუსის ორი სართული, საერთო ფართობით ხუთასი კვადრატული მეტრი.

– აქ მითითებული არაა მშენებლობის დასრულების თარიღი, – დოდოს მიუბრუნდა ნიკა.

– ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. საუბარი ერთ შენობაზე რომ იყოს, თარიღი აუცილებლად იქნებოდა მითითებული, მთელი კომპლექსის მშენებლობის ვადის განსაზღვრა კი ძალიან ძნელია.

– მაგრამ კომპანიას რამემ თუ შეუშალა ხელი და საერთოდ ვერ ააშენა კომპლექსი, აქციონერს იურიდიულად პრეტენზიის წაყენების საშუალება არ ექნება, – შენიშნა ნიკამ.

– რა უცებ წყვეტ! – გაეცინა დოდოს, – ეს უბნის ბირჟაზე ძველი ბიჭების ბაზარი კი არ არის, კომპანია განსაკუთრებით უფრთხილდება თავის ავტორიტეტს – სხვანაირად ბაზარზე დამკვიდრება შეუძლებელია. ნებისმიერი კაპიტალდაბანდება გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. შეფერხება ყოველთვის შეიძლება მოხდეს, მაგრამ, კომპანია ნებისმიერ შემთხვევაში შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს, – უპასუხა დოდომ.

– მე მოვინახულე კომპლექსის სამშენებლო მოედანი. იქ სამირკველიც კი არ არის გაჭრილი, არადა, გარკვეულ პიროვნებებს კო-

მპლექსის მშენებლობაში მსხვილი თანხები აქვთ ჩადებული.

– ესეც ჩვეულებრივი მოვლენაა.

– შეგიძლია, ამიხსნა? – სთხოვა ნიკამ.

– რა თქმა უნდა. კომპანია კორპორაციის პრინციპზეა აგებული. ჩვენ არ განვიხილავთ ერთ მშენებლობას ცალკე აღებულს. ჩვენთან დაბანდებული ფული ერთ კონკრეტულ მშენებლობას არ ხმარდება – ყველა თანხა ერთად იყრის თავს და შემდეგ ყველა ობიექტზე ნაწილდება. ამჟამად ჩვენ ერთად ვაშენებთ რამდენიმე ობიექტს – ორ საცხოვრებელ კორპუსსა და გასართობ ცენტრს. კომპანიას მცირე ფინანსური კრიზისი შეექმნა – ბაზრისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მოიმატა სამშენებლო მასალების ფასებმა და, ამავდროულად, ფართებზე იკლო მოთხოვნილებამ. ვითარებიდან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელობამ ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღო. რა უფრო უკეთესი იქნებოდა: ბალანსზე ორი დაუმთავრებელი ობიექტის ქონა თუ ერთის დამთავრება და რეალიზაციის დაწყება?! ამიტომაც, მთელი სახსრები მშენებარე კორპუსების დასამთავრებლად მიმართეს. მალე იმ ობიექტების მშენებლობა დასრულდება და ფართების რეალიზაციიდან ამოღებულ თანხებს კომპლექსის მშენებლობაზე გადაისვრიან. გასაგებად გიხსნი? – ჰკითხა დოდომ.

– სავსებით... რა მექანიზმით შეიძლება ხელშეკრულების გაწყვეტა და დაბანდებული ფულის უკან დაბრუნება? – განაგრძო ნიკამ, – ხელშეკრულებაში ამაზე საერთოდ არაფერია ნათქვამი.

– ოო... ეს შეუძლებელია. საქმეში ჩადებული თანხის გატანა შესაძლებელი რომ იყოს, შესაბამისი მექანიზმი ხელშეკრულებაში იქნებოდა აღწერილი, – უპასუხა დოდომ, – სირაძის მეუღლეს აქვს ასეთი სურვილი?

– ჰო.

– სამწუხაროდ, არაფერი გამოუვა. რა თქმა უნდა, შეუძლია, სასამართლოს მიმართოს, მაგრამ, წინასწარ გეტყვი, რომ ვერაფერს მიაღწევს. თანხის უკან მიღება თუ უნდა, ურჩიე, წილი გაყიდოს. მართალია, იმდენს არ გადაუხდიან, მაგრამ, ფულის უდიდეს ნაწილს მაინც ამოიღებს.

– ვინ იყიდის აქტივს, რომლის მშენებლობა არც კი დაწყებულა?

– ჩვენი აქციები საკმაოდ პოპულარულია. შეიძლება, დრო დასჭირდეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ გაიყიდება.

– შეგიძლია, მითხრა, კონკრეტულად ვინ განაგებს კომპანიას?

– ვინ განაგებს?! – გაიკვირვა დოდომ – შენ ხომ ცოტა ხნის წინ მის კაბინეტში იჯექი!

– კარგი, რა, დოდო!.. ორივემ კარგად ვიცით, რომ ინწკირველი დაქირავებული მმართველია! – თქვა ნიკამ, – მე რეალური მფლობელი მაინტერესებს.

– სათავო კომპანიის პრეზიდენტი პანამის მოქალაქე ლუის მიგელ სუარესია. მას თავისი წარმომადგენელი ჰყავს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. ის კიევში იმყოფება და პერიოდულად ჩამოდის საქართველოში, რაც ერთ ან ორ თვეში რამდენჯერმე ხდება. ისე კი, კომპანიის მთელ საქმიანობას ინწკირველი განაგებს, – უპასუხა დოდომ.

– მე კიდევ ერთი პიროვნების შესახებ მჭირდება ინფორმაცია.

– ვის შესახებ?

– თქვენ კიდევ ერთი აქციონერი გყავდათ – ალექსანდრე ნინუა.

– მახსოვს... საშინელი ტრაგედია იყო – საკუთარი სახლის წინ მოკლეს.

– შეგიძლია მასთან დადებული ხელშეკრულება მაჩვენო? – ჰკითხა ნიკამ.

– შენ რა, მისმა ოჯახმაც დაგიქირავა?! – გაუკვირდა დოდოს.

– არა, მაგრამ, ის გარკვეულწილად უკავშირდება ჩემი დამქირავებლის საქმეს – ორივე მკვლელობაში ერთი და იგივე პიროვნება იყო ეჭვმიტანილი.

– იყო თუ არის?

– იყო... – უპასუხა ნიკამ, – იმ პიროვნებამ თავი მოიკლა. მაჩვენებ მის ხელშეკრულებას?

– საერთოდ, ეს კომპანიის შიდა წესდების დარღვევაა, მაგრამ, შეგიძლია, მომისყიდო, – გაუღიმა დოდომ.

– რა გავაკეთო ამისთვის? – ჰკითხა ნიკამ.

– დღეს ხუთშაბათია... შაბათს საღამოს სადმე დამპატიჟე, სად – შენ თვითონ გადაწყვიტე.

– მოსულა.

– ვიდრე ხელშეკრულებას მოვძებნი, შამპანური დაასხი, – უპასუხა დოდომ და თაროს მიაშურა, რომელზეც საქაღალდეები ელაგა.

* * *

ნიკა და ზურაბი ერთად მივიდნენ ნინუების ბინაში. ოფიციალურად ზურაბს ამის უფლება არ ჰქონდა – სისხლის სამართლის საქმე უკვე დახურული იყო და მას აღარ შეეძლო ნინუას ოჯახის წევრების დაკითხვა.

კარი შუახნის სანდომიანმა ქალმა გააღო. მან ყურადღებით შეათვალიერა სტუმრები და შემდეგ ჰკითხა:

– რა გნებავთ?



– შეწუხებისთვის ბოდიშს გიხდით, ქალბატონო. მე კერძო დეტექტივი ვარ, – თქვა ნიკამ და პირადობის მოწმობა გაუწოდა ქალს, – სოსო ნინუასთან მსურს გასაუბრება.

– რისთვის? – დაიძაბა ქალი.

– ჩვენ ცოტა ხნის წინ მომხდარი მკვლელობის საქმეზე ვმუშაობთ და სოსოს დახმარებით რამდენიმე საკითხის გარკვევა გვსურს.

– ჩვენ ყველაფერი ვუთხარით გამომძიებელს და ვეღარაფერს დავამატებთ!.. წაბრძანდით აქედან! – ცივად თქვა ქალმა და კარის დაკეტვა დააპირა. ნიკამ ხელით შეაკავა კარი:

– გთხოვთ, მომისმინოთ...

– თავი გაგვანებეთ! – ქალი მთელი ძალით მიაწვა კარს.

– დედა!.. – მოულოდნელად გაისმა დერეფანში.

ქალმა კარს ხელი გაუშვა და ერთ-ერთ ოთახში მიიმალა. ზურას და ნიკას კი 25-27 წლის მამაკაცი მიუახლოვდა.

– ნუ გეწყინებათ. ჩვენ ძალიან დაგვღალა ამ ამბავმა. დედა განსაკუთრებით ღიზიანდება, როდესაც სახლშიც არ გვაძლევენ მოსვენებას. შემობრძანდით, – თქვა მან.

ორიოდ წუთში საუბარი სასტუმრო ოთახში გაგრძელდა.

– როგორც ჩემთვის ცნობილია, პროკურატურამ უკვე დახურა ეს საქმე, – თქვა სოსომ.

– მართალია, საქმე დაიხურა, – დაუდასტურა ნიკამ.

– მაშ, რაღას იძიებთ?

– ჩვენ სხვა მკვლელობაზე ვმუშაობთ.

– თქვენ გაცნობეს, რომ თქვენი მამის მკვლელობა ვაჟა ვერულიძემ ჩაიდინა? – ჩაურთო ზურაბმა.

– დიახ. გამომძიებელმა ისიც მითხრა, რომ ვერულიძე ვინმე სირაძის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. თქვენ ამ საქმეს იძიებთ? – იკითხა სოსომ.

– გამომძიებელმა გითხრათ?! – გაოცებით უთხრა ზურაბმა. მისთვის არაფერი იყო ცნობილი ამის შესახებ. რუხაძემ ისე დახურა საქმე, რომ მან ნინუების ოჯახში მისვლა ვერ მოასწრო, – რომელმა გამომძიებელმა?

– თუ არ ვცდები, პროკურატურის გამომძიებელი იყო... რეზო ფიფია.

– როდის იყო მოსული?

– წინა სამშაბათს.

– ნაბიჭვარი! – უნებურად წამოსცდა ზურაბს. ეს სწორედ ის დღე იყო, როდესაც ის რუხაძეს შეხვდა. ფიფია იმ შეხვედრას არ ესწრებოდა. გამოდიოდა რომ, ვიდრე ზურაბი ზედამხედველ პროკურორთან იმყოფებოდა, ის სოსო ნინუას კითხავდა, მისი ჩვენება კი საქმეში დახურვის შემდეგ ჩაიდო და ზურაბმა არაფერი იცოდა ამის შესახებ.

– ჩვენ გვაქვს ნანახი თქვენი ძველი ჩვენებები. ფიფიას რამე ახალი უთხარით? – განაგრძო ნიკამ.

– არა, – თავი გააქნია სოსომ, – პრინციპში, ეს დაკითხვაც არ იყო. გამომძიებელმა მკითხა, ძველი ჩვენებებისთვის, რამის დამატება ხომ არ გსურთო. როდესაც უარი ვუთხარი, მან ძველი ჩვენება თავიდან გადაწერა, შემდეგ ხელი მომაწერინა და წავიდა.

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა ნიკამ, – მოდი, თავი დავანებოთ ფიფიას და მამათქვენზე ვისაუბროთ. როგორც ვიცი, თქვენ აქტიურად იყავით ჩართული მამის ბიზნესსაქმიანობაში.

– თავისთავად. მამას სურდა, რომ გარკვეული გამოცდილება შემეძინა. ამიტომაც ყველა საქმეს ჩემი მონაწილეობით აწარმოებდა.

– თქვენ „ინტელგრუპჯორჯიასთან" გამართულ მოლაპარაკებებშიც მონაწილეობდით? – ჰკითხა ზურაბმა.

– არა... მამისთვის ეს ახალი საქმე არ იყო. ჩვენ ორი წლის განმავლობაში ვთანამშრომლობდით „ინტელგრუპჯორჯიასთან", – უპასუხა სოსომ.

– თანამშრომლობაში რას გულისხმობთ? – ჰკითხა ნიკამ.

– ჩვენ მათი ერთ-ერთი ობიექტის მშენებლობაში ჩავდეთ ფული. მამა კმაყოფილი დარჩა მოგებით და გადაწყვიტა, მომავალშიც გაეგრძელებინა კომპანიასთან თანამშრომლობა.

– ვინ დააკავშირა მამათქვენი ამ კომპანიასთან? – განაგრძო ნიკამ.

– არავინ. ჩვენ ორი წლის წინ „ინტელგრუპჯორჯიას" პრეზენტაციას დავესწარით და ყურადღებით გავეცანით მათ პროექტებს. პირობები სავსებით მისაღები იყო და მამამ კომპანიაში ფულის ჩადება გადაწყვიტა, – უპასუხა სოსომ.

– მოდი, „ინტელგრუპჯორჯიასთან" დადებულ ბოლო ხელშეკრულებას დავუბრუნდეთ. თქვენ, რა თქმა უნდა, იცნობთ მის პირობებს.

– თავისთავად.

– მე გავეცანი იმ ხელშეკრულებას და, სიმართლე გითხრათ, გაოცებული დავრჩი. მამათქვენს ხომ არავითარი გარანტია არ ჰქონდა, რომ, თუ კომპანია მშენებლობას ვერ დაასრულებდა, ის უკან მიიღებდა თავის ფულს?!

– ჩვენ წინა ხელშეკრულებები იმავე სახით დავდეთ – ეს „ინტელგრუპჯორჯიისათვის" ხელშეკრულების სტანდარტული ფორმაა.

– მაგრამ, წინა შემთხვევებში კომპანიამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები შეასრულა, ამ შემთხვევაში კი მშენებლობა არც დაწყებულა, უფრო მეტიც, კომპანიაში მშენებლობის დაწყების თარიღს საერთოდ ვერ ასახელებენ, – თქვა ნიკამ, – როგორ მოიქცევით იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ აღებული ვალდებულება ვერ შეასრულა?

– ამაზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, ჯერ ჩემს იურისტთან უნდა გავიარო კონსულტაცია, – უხალისოდ უპასუხა სოსომ.

– იურისტთან ამ საკითხზე ჯერ არ გქონიათ საუბარი?! – გაუკვირდა ზურაბს.

– არა... სამწუხაროდ, სხვა საქმეებით ვიყავი დაკავებული! – სოსომ ცივად მიანიშნა თავის ოჯახში მომხდარ ტრაგედიაზე.

– მამათქვენს როგორი დამოკიდებულება ჰქონდა კომპანიის შეფერხებასთან? – ჰკითხა ნიკამ.

– ის გაგებით ეკიდებოდა ამას. დარწმუნებული იყო, რომ „ინტელგრუპჯორჯია" უეჭველად შეასრულებდა პირობას.

– ესე იგი, ამ საკითხზე მამათქვენი არავის დაპირისპირებია?

– არა!

– ისეთი გულუხვი იყო, რომ ნახევარ მილიონ ლარზე მეტის დავიწყება შეეძლო?!

– მე ხომ გითხარით, რომ მამას ეჭვი არ ეპარებოდა კომპანიაში!

– ჭუმბურიძეში ეპარებოდა ეჭვი?! – ცივად თქვა ზურაბმა.

– რა ბრძანეთ?! – გაოცებით გახედა სოსომ.

– არ გახსოვთ ეს პიროვნება? – განაგრძო ზურაბმა.

სოსო ნინუამ დუმილით უპასუხა.



– მაშინ, მე შეგახსენებთ: რომან ჭუმბურიძე მამათქვენის თანაშემწე იყო. მან უშუალოდ დაგეგმა ერთ-ერთი ბიზნესგარიგება, მაგრამ მამათქვენს პირობები არ მოეწონა და ჭუმბურიძეს მოლაპარაკებების შეწყვეტა უბრძანა. მიუხედავად ამისა, ჭუმბურიძემ, როგორც ნდობით აღჭურვილმა პირმა, მაინც დადო ხელშეკრულება და, საბოლოო ჯამში, მამათქვენი დაახლოებით ათი ათასი დოლარით აზარალა. ბუნებრივია, რომ მამათქვენმა ჭუმბურიძეს დააკისრა ამ თანხის ანაზღაურება, მაგრამ, მან უარი თქვა. ამას, თავისთავად, მოჰყვა საქმის გარჩევა, რომელსაც თქვენც ესწრებოდით!.. გახსოვთ, რა მოხდა თქვენს ოფისში?

სოსომ მზერა აარიდა.

– მამათქვენი ყველა გარიგებას გასწრებდათ და გასწრებდათ საქმის გარჩევებსაც, რადგან, ბიზნესმენს არა მხოლოდ მომგებიანი ხელშეკრულების დადება უნდა შეეძლოს, არამედ, თავისი პრინციპების დაცვასაც უნდა ახერხებდეს!.. იმ საღამოს ჭუმბურიძე საავადმყოფოში ფეხში დაჭრილი მიიყვანეს. ოფიციალურად მან განაცხადა, რომ ოფისში შემთხვევით გაუვარდა პისტოლეტი, საქმეს ცეცხლსასროლ იარაღთან გაუფრთხილებელი მოპყრობის კლასიფიკაცია მიენიჭა და ჭუმბურიძე დააჯარიმეს. მაგრამ, რატომღაც, მამათქვენს მისი „შემთხვევითი" გასროლა ათი ათასი დოლარი დაუჯდა, მარტივად რომ ვთქვა, ვალზე საუბარი შეწყდა!.. გითხრა, ვინ დაუშვა მაშინ სასხლეტი?! – მკაცრი ტონით დაასრულა ზურაბმა.

– რა გინდათ ჩემგან? – ყრუდ ჩაილაპარაკა სოსომ.

– უბრალოდ, ვცდილობ, გავერკვე ამ უცნაურობაში. მამათქვენმა ათიათასდოლარიანი ზარალი არ აპატია ადამიანს, რომელიც მრავალი წელი მუშაობდა მასთან და ძალიან მშვიდად მოეკიდა ექვსასიათასლარიან ზარალს?!.

– რა გინდათ?! ეს ჩვენი ფულია და რაშიც გვინდა იმაში დავხარჯავთ, რატომ ერევით ჩვენს საქმეში?! – ნერვიულად წამოიძახა სოსომ.

– ხმას დაუწიე და ყურადღებით მისმინე, – ცივად განაგრძო ზურაბმა, – ფული შენია და როგორც გინდა, ისე მოექეცი, ეგ ჩემი საქმე არ არის. მაგრამ, იმ ნაბიჭვრის სული, რომელმაც მამაშენი მოკლა, მე მეკუთვნის, შენ კი ჩვენ შორის დგახარ და მასთან მიახლოების საშუალებას არ მაძლევ! შენ რომ გეთქვა: მამა ნერვიულობდა... ცხარე საუბარი ჰქონდა „ინტელგრუპჯორჯიასთან," საქმის გარჩევას უპირებდაო, დაგიჯერებდი. მაგრამ, შენ მიმტკიცებ, რომ ყველაფერი რიგზე იყო და მამაშენი ჯილა გოიმივით ელოდა, როდის ინებებდა კომპანია მშენებლობის დაწყებას და თქვენთვის საქმეში ჩადებული თანხის დივიდენდებით დაბრუნებას!.. ასე არ იქცევა ის ადამიანი, რომელიც თავის შვილს ათი ათასი დოლარისთვის თანაშემწის დაჭრის შესაძლებლობას აძლევს!

– მამა ხომ ვერულიძემ მოკლა, რას დააკლებთ მკვდარს?! საფლავიდან ამოთხრით და საკანში გამოამწყვდევთ?!

– ვერულიძე ვერ ქაჩავს ქილერის როლზე. მაგრამ, ასეც რომ იყოს, უნდა არსებობდეს დამკვეთიც! ერთი რამ გაითვალისწინე: ის პიროვნება თავისუფალია და, ვინ იცის, იქნებ, იმ დროს, როცა შენ ლაი-ლაით გვართობ, ის ვილაცას მომდევნო მსხვერპლზე აძლევს შეკვეთას! იმას, რასაც შენ აკეთებ, ჩვენს ენაზე დანაშაულის განუცხადებლობა და ძიებისთვის ცრუ ჩვენების მიცემა ეწოდება. ასეთი დანაშაული დიდ სასჯელს არ ითვალისწინებს, მაგრამ, პირობას გაძლევ, რომ, როდესაც ამ საქმეს გავხსნი და შენს როლს ბოლომდე გავარკვევ, უმოკლესი გზით აღმოჩნდები საბრალდებო სკამზე, შემდეგ კი იქ უმტკიცე მოსამართლეს, რომ არაფერი იცოდი! – თქვა ზურაბმა. მერე ფეხზე ადგა და ნიკას ანიშნა წავედითო.

– მოიცადეთ!.. – წამოიძახა სოსომ, როგორც კი ზურაბი წამოდგა, – თქვენ რა გგონიათ, მე არ მინდა მკვლელის დასჯა?

– ჯერჯერობით სხვა ვერაფერი შევნიშნე შენში! – ცივად თქვა ზურაბმა.

– მინდა... ძალიან მინდა, მაგრამ, მე არ მაქვს ამის საშუალება და არც იმის იმედი, რომ თქვენ შეძლებთ ჩემი ოჯახის დაცვას! – ყრუდ ჩაილაპარაკა სოსომ.

– თქვენ ვინმე გემუქრებათ? – ჰკითხა ნიკამ.

სოსომ უხმოდ დაუქნია თავი.

– თქვენი ოჯახი მხოლოდ მაშინ იქნება უსაფრთხოდ, როდესაც იმ ნაბიჭვარს საკანში გამოვკეტავთ! – თქვა ზურაბმა, – გაქვთ რამე ჩვენთვის სათქმელი?

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# როგორ შეეწირა მობილურ ტელეფონს ტაქსის მძღოლი და რატომ არ გამოდიოდა სავალუტო ჯიხურიდან მკვლელი მეგობრის მოკვლის შემდეგ

20 მარტს, გვიან ღამით, ყაზბეგის გამზირზე საზარელი მკვლელობა მოხდა. ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში ახალგაზრდა, 30 წლამდე ასაკის მამაკაცი, რომან გაბეხაძე, მეგობარმა მოკლა. მკვლელის ვინაობა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ სახელდება. მკვლელიცა და მოკლულიც ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ერთ ეზოში ცხოვრობდნენ ქირით. მკვლელს სწორედ იმ ვალუტის გადამცვლელი ჯიხურის თავზე, სადაც მკვლელობა მოხდა, სამოთახიანი ბინა ჰქონდა ნაქირავები. როგორც მეზობლები ყვებიან, ერთ ოთახში თვითონ ცხოვრობდა, ორ




ოთახში კი სტამბა ჰქონდა გაკეთებული და სარეკლამო საქმიანობით იყო დაკავებული – ამზადებდა საოფისე ბეჭდებს, სავიზიტო ბარათებს და სხვა. ერთი ვერსიით, ის მარტო ცხოვრობდა, თუმცა, ამბობენ, რომ მასთან ცოლ-შვილსაც ხშირად ხედავდნენ. შესაძლოა, ერთად არ ცხოვრობდნენ, მაგრამ, ისინი ყაზბეგის გამზირზე ხშირად რჩებოდნენ. მკვლელი დაახლოებით 42-45 წლის იყო და ეზოში აბსოლუტურად არავის ეკონტაქტებოდა. იმ კორპუსში ექვსწლიანი ცხოვრების განმავლობაში, მინიმალური ურთიერთობა ჰქონდა მეზობლებთან, მაგრამ როგორც ისინი ყვებიან, საკმაოდ უცნაური და ნერვიული ტიპი იყო – თურმე, ერთხელ, იმის გამო, რომ კოდით დაკეტილი სადარბაზოს გაღებამ ნერვები მოუშალა, კარები მთლიანად დაამტვრია. ასევე, მას უცნაური დამოკიდებულება ჰქონია ბავშვებთან: ხან განსაკუთრებით თბილად ექცეოდა, ეხუტებოდა და ეფერებოდა, ხან სრულ იგნორირებას უკეთებდა მათ. კიდევ უფრო ნაკლები ინფორმაცია მოკლულზე, როგორც ამბობენ, ის მარტო ცხოვრობდა ვაჟა-ფშაველაზე, ნაქირავებ ბინაში.

რომან გაბეხაძესა და სერგო კ-ს ერთმანეთთან ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ. ერთი ვერსიით, მოკლულმა სერგო კ-ს ბიზნესპროექტი დააწერინა, მეორე ვერსიით კი მისი სტამბის მომსახურება გამოიყენა და დაახლოებით 1 500 დოლარამდე ვალი ჰქონდა. მკვლელი რომან გაბეხაძეს დაახლოებით სამი თვის განმავლობაში სთხოვდა ვალს. ისინი ხშირად ურთიერთობდნენ, მაგრამ, მანამდე მათ შორის კონფლიქტს არავინ შესწრებია.

20 მარტს, ღამით, სერგო კ. რომან გაბეხაძის სამუშაო ადგილას მივიდა. როგორც ჩანს, მათ შორის სერიოზული შელაპარაკება მოხდა და მკვლელმა ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში გაბეხაძეს მრავლობითი დაზიანება და ჭრილობა მიაყენა. მეზობლები ყვებიან, რომან გაბეხაძეს მოუსწრია განგაშის სიგნალისთვის ხელის დაჭერა და საპატრულო პოლიციის გამოძახება. როგორც ჩანს, პოლიციის გამოძახებამ კიდევ უფრო მეტად გაამწარა ისედაც ნერვიული სერგო კ. და მან ყელში დანა გამოუსვა მეგობარს. საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის ადგილზე მისვლის შემდეგ მკვლელი მსხვერპლთან ერთად ჯიხურში იყო ჩაკეტილი, მის სიკვდილს დაელოდა და მხოლოდ ამის შემდეგ გაუღო კარი პოლიციას. სერგო კ. პოლიციელებმა მკვლელობის ადგილზე აიყვანეს. ამჟამად შემთხვევის ადგილას სიმშვიდეა, ნაქირავები ბინები – დაცლილი.

ასევე, საზარელი მკლელობა მოხდა ახალგაზრდა ქალის მონაწილეობით, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე: სამმა თანამზრახველმა სიცოცხლეს გამოასალმა ტაქსის მძღოლი. 18 მარტს, გამთენიისას, 21 წლის კონსტანტინე რ-მ და 31 წლის მეგი მ-მ, მესამე თანამზრახველთან ერთად, ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ტაქსი გააჩერეს და მას პეტრე-პავლეს სასაფლაოზე წაყვანა სთხოვეს. ტაქსის მძღოლი 50 წლის თამაზ მურაჩაშვილი გახლდათ. მივიდა თუ არა მისი ავტომობილი სასაფლაოს ტერიტორიაზე, სამმა მგზავრმა ცივი იარაღის მუქარით მისთვის ფულისა და მობილური ტელეფონის წართმევა მოინდომა. ამან მძღოლსა და მგზავრებს შორის შელაპარაკება გამოიწვია და კონსტანტინე რ-მ მას დანით მიაყენა მრავლობითი ჭრილობა. დამნაშავეებმა მძღოლის მობილური ტელეფონი და ფული მიითვისეს და გაიქცნენ. თამაზ მურაჩაშვილი ადგილზე გარდაიცვალა. როგორც გამოძიებამ მოგვიანებით დაადგინა 21 წლის კონსტანტინე წარსულში უკვე ნასამართლევი იყო ქურდობის, ნარკ-




ოტიკული ნივთიერების მოხმარებისა და ცივი იარაღის უკანონოდ ტარებისთვის. ასევე ნასამართლევი იყო ქალიც – მეგი მ. ქურდობისთვის იჯდა ციხეში. ორი დღის შემდეგ კი დააკავეს მესამე ეჭვმიტანილი – 34 წლის ლევანი, რომელიც მანამდე ყაჩაღობის ბრალდებით იყო ნასამართლევი.

**სალომე გველესიანი**

# რაში „გამოიჭირეს“ „თბილისის მოდის კვირეულზე“ ექსმინისტრი ვერა ქობალია

**(მე-14 გვერდიდან)**

მეტ კითხვას მე ვსვამდი და თანაც საკმაოდ კრიტიკულს. მაინტერესებდა, რატომ არ შეიძლებოდა ქართული პროდუქტი გასულიყო ექსპორტზე, მიგველო შესაბამისი სერტიფიკატი და ჩვენი პროდუქცია გაგვეყიდა ევროპაში და იცით რა მოხდა? როცა შევუდექი აღნიშნულ თემაზე მუშაობას მე თვითონ შემრცხვა მაშინდელი ჩემი ულტიმატუმის ტონით დასმული შეკითხვების და მივხვდი, რომ ეს მთლად ასეთი ადვილიც არ ყოფილა, რადგან ამას სჭირდება წლები, უნდა მოიწვიო სპეციალისტები, რომლებიც წლების განმავლობაში აკვირდებიან შენს პროდუქტს და კიდევ უამრავი საკითხები, რომლებიც ასე მარტივად ვერ მოგვარდება.

**– რა მაგის პასუხია და მართალია ბათუმი ულამაზესი კი გახდა, მაგრამ საქართველოს კურორტებზე დასვენება ხუთჯერ ძვირი ჯდება, ვიდრე მეზობელ ქვეყანაში გადასვლა, სადაც მომსახურებაც მაღალ დონეზეა და ადამიანს უკულმა მარილის გადაყრაც აღარ გიწევს წვიმის გადასაღებად.**



ამ გადმოსახედიდან, მინდა, ყველა ახალბედა პოლიტიკოსს ვურჩიო, რომ უფრო გახსნილები იყვნენ ჟურნალისტებთან

– შარშან ჩემი მშობლები ჩამოვიდნენ საქართველოში ერთი თვით და არ ვიცი რა ხელფასი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომელიც შეძლებს და ბათუმში 1 თვით სასტუმროს აიღებს, ამიტომ სამეგრელოში გაჩერდნენ და იქიდან დადიოდნენ ბათუმში. ეს მართლაც დიდი პრობლემაა, რომელიც იგივე საქართველოს ეკონომიკას აზარალებს, როცა უამრავი ტურისტი გაედინება საქართველოდან და სხვა ქვეყანაში ხარჯავს ფულს მაშინ, როცა შეიძლება აქაც დაისვენო, მაგრამ ეს იმხელა ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომ ხალხი უცხოეთში გარბის. ეს არის ალბათ იმის ბრალი, რომ ჩვენი ქვეყანა სულ ახლახან დაადგა ტურიზმის განვითარების გზას. არც სასტუმროების რაოდენობაა საკმარისი, რომ ერთმანეთს კონკურენცია გაუწიონ და ამის ხარჯზე შეამცირონ ფასები, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ადრე თუ გვიან დარეგულირდება ეს საკითხიც.

**– მას შემდეგ, რაც უმუშევრად დარჩი, რითი ხარ დაკავებული?**

– ვეუფლები ახალ პროფესიას ჰობის დონეზე და ვსწავლობ ფოტოგრაფიას, გარდა ამისა ვწერ სტატიებს რუსული და ქართული გამოცემებისთვის ეკონომიკის საკითხებში. ამჟამად მოლაპარაკება მიდის უკრაინულ გამოცემასთან, სადაც ასევე ეკონომიკის საკითხებზე მოვამზადებ სტატიებს.

**– როგორ განებივრებს მეუღლე?**

– წელან ვთქვი ყავას ვერ შეველიე-მეთქი. უკვე წლებია ერთი და იგივე ადგილას ვყიდულობ და დათო დილით რომ დგება ჯერ ყავა ამოაქვს ჩემთვის და მერე იწყებს მზადებას. მისი ყურადღებით უდავოდ განებივრებული ვარ და ერთმანეთის კარგად გვესმის.

**ბესო მახარაშვილი**

# რატომ გახდა დათო კალანდაძე რუსული შოუ-ბიზნესში ჯგუფ „მოჯოს" რჩეული და რა კავშირი აქვთ მათ ერთმანეთთან

*რუსულ შოუ-ბიზნესში მოღვაწე ქართველი მომღერალი, **დათო კალანდაძე**, დროთა განმავლობაში კიდევ უფრო პოპულარული ხდება და თავს იმკვიდრებს სხვა ქვეყანაში. სამწლიანმა შრომამ ნაყოფი ნამდვილად გამოიღო და კარიერაში ბევრი სიახლე აქვს.*

**– ვიცი, რომ შემოქმედებითი სიახლეები გაქვს, ცოტა ხნის წინ „მოჯოსთან" ერთადაც გქონდა კონცერტი, რაზეც ბევრი ოცნებობს.**

– კონცერტის ამბების მოყოლამდე პატარა შესავალს გავუკეთებ: დიდი ხანია, მინდოდა ჯგუფ „მოჯოს" ერთ-ერთი ცნობილი სიმღერის – „ლეიდის" ჩაწერა რუსულ ენაზე და, როგორც იქნა, მოვახერხე. ამ სიმღერას „ლეტო" დავარქვი, რომელიც გაჟღერებისთანავე გაჰიტდა რუსეთსა და უკრაინაში, ასე ვთქვათ, ზუსტად „გაისროლა." რუსეთში ამ სიმღერის „ქავერის" ჩაწერა ძალიან ბევრ ცნობილ მომღერალს უნდოდა, მაგრამ, „მოჯომ" უარი უთხრა ყველას. იმედი არ დავკარგე, ბედი მაინც ვცადე – გავუგზავნე, მათი სიმღერის ჩემებური ვარიანტი და, საბედნიეროდ, თანხმობა მომცეს. ასე რომ, ერთადერთი შემსრულებელი ვარ რუსეთში, რომელსაც ჯგუფმა „მოჯომ" „ქავერის" ჩაწერაზე თანხმობა მისცა. მოსკოვში რომ ჩამოვიდნენ კონცერტის ჩასატარებლად, მეც მიმიწვიეს მონაწილეობის მისაღებად.

**– ალბათ, ეს ძალიან კარგი შეგრძნება იყო, რადგან, შენს ადგილას ყოფნას ძალიან ბევრი მომღერალი ინატრებდა.**

– კი, ნამდვილად ასეა, ბევრს შეშურდა იმ დღეს ჩემი.

**– „მოჯოსთან" შენი ურთიერთობა ერთი კონცერტით დასრულდა. გაქვთ კიდევ საერთო გეგმები?**

– კონცერტის წინ პრესკონფერენცია მოვაწყვეთ; ასევე, ისაუბრეს იმ სიმღერაზეც, რომელიც მე შევასრულე. რაც შეეხება გეგმებს, ჯერ არ ვიცი, ეს სამომავლო საქმეა და, როგორც კი სერიოზულ სახეს მიიღებს აუცილებლად გეტყვით.

**– კიდევ რა სიახლეა შენს კარიერაში?**

– ორი კვირის წინ ალბომის პრეზენტაცია მქონდა. ძალიან მაგარი გამოვიდა, რომელსაც ბევრი ვარსკვლავი ესწრებოდა. იყვნენ ჟურნალისტებიც, რომლებმაც პრეზენტაცია პრესისა და ტელევიზიების საშუალებით გააშუქეს. თან, ზუსტად იმ დღეს რამდენიმე ჯგუფის ალბომების პრეზენტაციაც იყო დაგეგმილი. ამიტომ, ცოტა მეშინოდა – მეგონა, არც ერთი კამერა არ მოვიდოდა ჩემთან. თუმცა, შევცდი, რადგან, ყველა ტელევიზიის წარმომადგენელი იყო მოსული. შეიძლება, ხალხს მართლა მოჰბეზრდა ერთი და იმავე „ზვიოზდების" მოსმენა. უკრაინაშიც, ალბომი რომ გამოვუშვი, ყველა დისკი გაიყიდა, რაც, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო, რადგან, იმ პერიოდში თითქმის არავის ალბომი აღარ იყიდებოდა. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ხალხს მართლა მოჰბეზრდა სულ ერთი და იმავეს მოსმენა და რაღაც ახალი უნდა. ტელევიზორშიც ყველა არხზე ერთი და იგივე ხალხია.

ერთი ამბავი მინდა მოგიყვეთ: ახალი ალბომის პრეზენტაციამდე რამდენიმე დღით ადრე მაღაზიაში შევიარე დისკის საყიდლად – ღამით რამე ფილმის ყურება მინდოდა. შევედი და რას ვხედავ – ჩემი ალბომი 400 მანეთად იყიდებოდა. მერე სხვა მაღაზიებშიც გავიარე და უკვე სხვა დიზაინით ვნახე ჩემი ალბომი. გამოვშტერდი – თურმე, ვიღაცეები ჩემს ალბომებს ბეჭდავენ. ჩემმა ფანებმა მკითხეს, პრეზენტაცია როდის გაქვსო. რომ ვუთხარი, ერთ კვირაში-მეთქი, გაგიჟდნენ – ეგ როგორ, ჩვენ უკვე შევიძინეთ შენი ალბომიო. კინაღამ გავგიჟდი. მოკლედ, კაპიკს ვერ გააკეთებ საკუთარი შრომით. ინტერნეტში შეხვალ და – ერთ დოლარად ნებისმიერს შეუძლია ჩემი სიმღერების გადმოქაჩვა. ფაქტობრივად, ჩემით სხვები აკეთებენ ფულს. რისთვის ვმუშაობ, ველარ გავიგე. რუსეთის ყველაზე დიდმა კომპანიამაც კი გამოუშვა ჩემი ალბომი თანხმობის გარეშე. ახლა მე და ჩემმა პროდიუსერმა ადვოკატი ავიყვანეთ, რადგან ასეთი რამ უკვე შეუძლებელია. ამდენი ნერვი, ამდენი ძალა, ამდენი ფული, ამდენი კლიპი იმისთვის, რომ მერე სხვებმა გააკეთონ ამით ფული?! გაგიჟება შეიძლება! ამდენი წელი ალბომის გამოშვებისთვის ემზადები, შედიხარ მაღაზიაში და – იქ შენი ალბომი იყიდება.



**სამი წელი ვმუშაობდი და თითქოს არაფერი არ იყო, ახლა კი ერთბაშად დამეცა ყველაფერი**

**– შენი ლიცენზირებული ალბომი რა ღირს?**

– 400 მანეთი.

**– ანუ, ფასის გამო არალიცენზირებულ ალბომზე არ გააკეთებენ არჩევანს, რადგან, ფასი ერთია. რაც შეეხება კლიპს. ხომ არ გეგმავ ახალი ვიდეოს გადაღებას?**

– საქართველოში მინდოდა კლიპის გადაღება, მაგრამ, ველარ ვასწრებ და ამჯერად უკრაინაშია დაგეგმილი გადაღებები.

**– რა სიმღერაზე იღებ კლიპს?**

– ახალი სიმღერაა, რომელიც ჩემს სტილში საერთოდ არ ზის, საერთოდ განსხვავებულია, ლექსის სტილშია. ვფიქრობ, კარგი გამოვა.

**– როდის ეწვევი საქართველოს?**

– აუცილებლად ჩამოვალ. მანამდე, სიმღერა „მეჟდუ ნამი ნებო," რომელიც ნასტია პრიხოტკოსთან ერთად ვიმღერე, ქართულად უნდა ჩავწერო და აუცილებლად გამოგიგზავნით.

**– მოსკოვში მცხოვრები ქართველებისგან ხშირად ისიც გამიგია, რომ ერთმანეთის მხარდაჭერას ვერ გრძნობენ. შენს შემთხვევაში როგორ არის საქმე?**

– სიმართლე გითხრა, აქ ქართველებთან ისე ვერ ვარ, როგორც უნდა ვიყო. თვითონ ქართველები არ უჭერენ მხარს ერთმანეთს, რასაც ვერ ვიტყვი სომხებზე. აბა, ერთი მათი წარმომადგენელი „გაიქაჩოს" შოუ-ბიზნესში – მერე მთელი სომხეთი მხარში უდგას. რამე პროექტში თუ არის ან ესემესები სჭირდებათ, არ იშურებენ. არც ბიზნესმენები აკლებენ ყურადღებას. ქართველებს ეს ამბავი, ბოდიში და, სულ ფეხებზე ჰკიდიათ. ასეთ რამეს არ მოველოდი – პოპულარული გავხდი თუ არა, მტრები გამიჩნდა, არადა, მეგონა, პირიქით იქნებოდა. ჩემი ძმაკაცები რომ მეგონა, ზუსტად მათგან მივიღე ეს დარტყმა. ჭირში ყველა დაგიდგება მხარში, ყველა დაგამშვიდებს და მოგეფერება, თავი მეფედ რომ იგრძნოს. აი, ვისაც შენი წარმატება გულით გაუხარდება, სწორედ ის არის შენი მეგობარი. გეფიცები, ჩემი წარმატება რუსებს უფრო უხარიათ, ვიდრე ქართველებს. ძმობას გეფიცებიან და მერე ისეთი რაღაცეები გესმის, გაგიჟდები. თუ ვინმეს რაღაცის შურს, უნდა მიხვდეს, რომ ეს შური ამად არ ღირს, რადგან, ეს ძალიან დიდი შრომაა, მართლა საშინელი ცხოვრებაა შოუ-ბიზნესში. თუ ვიღაცამ რამეს მიაღწია, თუ უყურებ ლამაზ კლიპს, უნდა იცოდე, რომ ამის უკან ძალიან დიდი სამუშაოა. აბა, შეეცადოს და რომელიმემ ეს თვითონ გააკეთოს! თან, მარტო რომ ხარ ამხელა რუსეთში ჩასული, არც ფული, არც ნაცნობები, უზარმაზარი შრომა გჭირდება, რამეს რომ მიაღწიო. ამის რომ შეგშურდეს, სულელი უნდა იყო. მინდა, ყველა ახალგაზრდა მომღერალს ვუთხრა, რომ არასდროს არ დანებდნენ, ყოველთვის რაღაც გააკეთონ. სამი წელი ვმუშაობდი და თითქოს არაფერი არ იყო. ახლა კი ერთბაშად დამეცა ყველაფერი: პოპულარობა, ახალი ალბომი, „მოჯოს" გამოჩენა, კონცერტები. თან, ამ წელს ნომინაციაც მივიღე – კლიპი, რომელიც დინო ემსისთან ერთად მქონდა სიმღერაზე „ტი ბოლშე ნე მაია," წლის საუკეთესო კლიპად დაასახელეს. მართალია, მქონდა ისეთი პერიოდები, როცა არაფერი აღარ მინდოდა, მაგრამ, კარგია, რომ არ დავნებდი.

**– რაც შეეხება შენს პირად ცხოვრებას რა ხდება, რამე ცვლილება ხომ არ არის?**

– სად მცალია პირადი ცხოვრებისთვის! საერთოდ არაფრისთვის აღარ მცალია. ბოლოს როდის ვიყავი კლუბში ან რესტორანში, აღარ მახსოვს. საცობში ვარ, ან – სტუდიაში. რომ მცოდნოდა „ზვიოზდებს" ასეთი ცხოვრება აქვთ, საერთოდ არ წავიდოდი ამ შოუ-ბიზნესში. მეგონა, ვარსკვლავები ძალიან კარგად ცხოვრობენ, ფულს აკეთებენ და არაფერზე არ ფიქრობენ-მეთქი, მაგრამ, ასე სულაც არ აღმოჩნდა. საქმის გამო პირადიც კი გვერდზე გადავდე.

# ვაჟა კიკნაძის წიგნის პრეზენტაცია ეროვნულ ბიბლიოთეკაში




2013 წლის 21 მარტს ილია ჭავჭავაძის სახელობის პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვაჟა კიკნაძის წიგნის: „ევრაზიული ქვეყანა საქართველო XIV საუკუნეში (მონღოლური ერა და მისი დასასრული)" – პრეზენტაცია. წინასიტყვაობის ავტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ქავთარაძე.

წიგნი 2013 წელს, ქვინსტონში, ინგლისურ ენაზე გამოსცა პრესტიჟულმა გამომცემლობა „ედვინ მელენ პრესმა" (Edwin Mellen Press). ის განკუთვნილია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების ბიბლიოთეკებისათვის. ცნობისათვის, წიგნის საცალო ფასი 150 ამერიკული დოლარია.

წიგნში განხილულია საქართველოს ისტორია მეცამეტე საუკუნის მიწურულიდან მეთოთხმეტე საუკუნის ბოლომდე. ნაშრომი წარმოადგენს ყველაზე უფრო სრულ მეცნიერულ გამოკვლევას ამ ეპოქის შესახებ. მონოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა გიორგი მეხუთის (ბრწყინვალის) მეფობის წლებს (1318-1346), კერძოდ, მონღოლთა უღლის დასასრულისა და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პერიპეტიებს. ასევე, წიგნში მაქსიმალურად სრულადაა წარმოდგენილი მეთოთხმეტე საუკუნის საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ნუმიზმატიკური და კულტურული ვითარება. მონოგრაფიაში ცალკე თავი ეძღვნება მეთოთხმეტე საუკუნის ანონიმი ავტორის, ეგრეთ წოდებული ჟამთააღმწერლის ვინაობის საკითხს.

აღსანიშნავია, რომ წიგნმა უკვე დაიმსახურა გამომცემლობის მიერ დაწესებული – ადელ მელენის სახელობის პრიზი მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

პრეზენტაციას დაესწრნენ სამეცნიერო საზოგადოება და რამდენიმე ქვეყნის (იაპონია, პოლონეთი) საელჩოს წარმომადგენლები.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

# მთვარის რომელ ფაზაში იზრდება იღბლიანობა



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

მთვარის ფაზებზეა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაც და გუნება-განწყობაც. სანამ ახალი მთვარე გამოანათებს ცის კაბადონზე, ის რამდენიმე დღით ქრება, შემდეგ კი რკალის სახით ჩნდება. ამ დროს მთვარეს უდიდესი გავლენა აქვს ჩვენზე. ამ პერიოდში ხდება ადამიანის ორგანიზმის ტოქსინებისა და წიდებისგან გაწმენდა. ამ პერიოდში კარგია სამკურნალო შიმშილობა, აუცილებელია არასასურველი კავშირებისგან გათავისუფლება, არასაიმედო ადამიანებისგან თავის დაღწევა. როცა ცაზე მთვარის ახალი რკალი გამოჩნდება, ადამიანის ორგანიზმის აქტიურობა ნელდება, ქვეითდება და იკლებს შრომისუნარიანობა. ამ დროს იმუნიტეტიც ქვეითდება და დიდია დეპრესიისა და აგრესიის ალბათობა.

მზარდი მთვარის ფაზაში კარგია მკურნალობის დაწყება. ამ დროს ძლიერდება პრეპარატების მოქმედება ორგანიზმზე – ადვილად ხდება ვიტამინებისა და მინერალების ათვისება.

მთვარის ფაზის პირველ მეოთხედში კარგია გამწმენდი პროცედურების ჩატარება, მასაჟი; მაგრამ, იწყება ორგანიზმში ცხიმების დაგროვება, ამიტომ, უნდა აკონტროლოთ წონა.

მზარდი მთვარის პერიოდში კარგია რომანტიკული შეხვედრები; ასევე, ეს პერიოდი იღბლიანი და წარმატებების მომტანია საქმიან სფეროში. ამ დღეებში უნდა გამოიჩინოთ მეტი ყურადღება გარემოებების მიმართ. დაუშვებელია კონფლიქტები, მოუთმენლობა და სულსწრაფობა. ამ დროს იზრდება ემოციურობა და, ამიტომ, მეტად უნდა აკონტროლოთ საკუთარი ქცევა.

მთვარის მეორე ფაზაა, როცა მნათი მთვარე დისკოს ნახევარს იკავებს. ამ დროს ხდება ენერგიის მომატება. ადვილად არის შესაძლებელი ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტა, ამიტომ, უნდა იმოქმედოთ თამამად.

სავსემთვარეობის პერიოდში ხდება ენერგიის მაქსიმალური ხარჯვა; მოჭარბებული და დაგროვილი ენერგია უკონტროლო ხდება. ადამიანი აფორიაქებულია, ნერვული სისტემა დაძაბული აქვს და აწუხებს უძილობა. ამ პერიოდში დიდია ავარიების, ჩხუბის, კამათის, ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობა. ეს დრო მშვიდად და წინდახედულად უნდა განვლოთ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ სავსემთვარეობის დღეებში რომანტიკული შეხვედრები მეტ ვნებასა და ემოციურ ელფერს იძენს.

მთვარის მესამე ფაზა უკავშირდება აქტიურ მოქმედებას, სასიხარულო მოვლენებს და ადამიანი მეტად შრომისუნარიანი ხდება. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ და ყველაფერი გამოგივათ.

კლებადი მთვარის დროს კარგია ოპერაციების გაკეთება, რადგან, ამ პერიოდში ორგანიზმი ადვილად იტანს ქირურგიულ ჩარევას და, ასევე, სწრაფად იწყებს გამოჯანმრთელებას. კარგია მეგობრებთან და ნაცნობებთან კონტაქტი. ორგანიზმი ნაკლებად ითხოვს საკვებს, რაც წონის პრობლემებსაც აგარიდებთ თავიდან.

მთვარის კლება კი მეოთხე ფაზაა. ამ პერიოდში ჩვენი ორგანიზმი იწყებს დასუსტებას – ადვილად ვიღლებით და შრომის უნარიც დაქვეითებულია. ამიტომ, ნუ დაატანთ თავს ძალას, ჯობია, ცოტა ხნით მოითმინოთ და რამდენიმე დღეში მთვარის ახალი რკალის გამოჩენას დაელოდოთ.

სამწუხაროდ, ბევრი არ აქცევს ყურადღებას მთვარის ფაზებს, არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. უამრავი ადამიანი უჩივის თვის გარკვეულ დღეებში სისუსტეს, გაღიზიანებას, მგრძნობელობის მომატებას და ვერ ხსნის ამის გამომწვევ მიზეზებს. ჩვენს განწყობაზე დიდ ზეგავლენას ახდენს მთვარის ფაზები. თავი რომ დააღწიოთ ნერვიულობას, გაღიზიანებასა და მშფოთვარე ძილს, უნდა შეასრულოთ ასტროლოგიაში კარგად აპრობირებული მარტივი და აუცილებლად გასათვალისწინებელი რჩევები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ. მაგალითად, თუ სავსე მთვარეა, საძინებელი ოთახი კარგად დააბნელეთ ფარდებით, რადგან, შესაძლოა, მთვარის ნათებიდან წამოსული ენერგია ძილთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზად იქცეს. ასევე, უძილობას თავს ადვილად დააღწევთ, თუ სავსე მთვარის პერიოდში, მწარე კერძების ნაცვლად, ვახშამზე მსუბუქად დანაყრდებით. ამ დროს კარგია კატაბალახას მიღება – ის ორგანიზმს ადუნებს, აწყნარებს და ღამის მშვიდი ძილისთვის ამზადებს.

მთვარის შევსებამდე ერთი დღით ადრე და შევსების მეორე დღეს, ადამიანის ორგანიზმში აქტიურად მიმდინარეობს ცხიმების დაგროვება. ამას თავიდან აიცილებთ, თუ მთვარის შევსების წინ წვენებით ან ხილით მოიწყობთ განტვირთვის დღეს. სასურველია, ამ დღეებში ტკბილეულს მოერიდოთ. არსებობს ადამიანების ტიპი, რომლებსაც სავსე მთვარის დროს ტკბილეულისადმი მოთხოვნა უძლიერდებათ. ამისგან თავის დასაღწევად, გირჩევთ, ამ დღეებში ხშირად ყნოსოთ ვანილი, რადგან, მისი ინტენსიური და სპეციფიკური სურნელი ტვინს დანაყრებისა და კმაყოფილების სიგნალს მიაწვდის. სავსე მთვარის დროს იმატებს თავის ტკივილი, უძილობა, დისკომფორტი, საერთო სისუსტე და გაღიზიანება. ამიტომ, გირჩევთ, დაძინებამდე რამდენიმე საათით ადრე, მიირთვათ ცაცხვის ყვავილების ჩაი, საფეთქლები კი ლავანდის ზეთით დაიზილოთ.

სავსე მთვარის დღეებში ადამიანის ჯანმრთელობა შესუსტებულია, ამიტომ, უმჯობესია, ეს პერიოდი, შეძლებისდაგვარად, სახლში გაატაროთ და დაისვენოთ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2007 წლის 18 მაისს, ღამის საათებში. რომელ სფეროში გაუმართლებს მას სამომავლოდ, რა არის მისი კარმული მისია და ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან ელის სასურველი საქორწინო თანაცხოვრება?**

**პასუხი:** თქვენი შვილისთვის სამომავლოდ საქორწინო პარტნიორებიდან კარგია ურთიერთობა მორიელის, ვერძის, ქალწულის, თხის რქის ან კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანთან. არ არის სასურველი ურთიერთობა ლომთან და მერწყულთან. პროფესიებიდან წარმატებების მომტანია: ფსიქიატრია, სასწრაფო დახმარება, რეანიმატოლოგია, ქირურგია, სტომატოლოგია, გინეკოლოგია, არატრადიციული მედიცინა, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო სფერო, სამართალდამცავი ორგანოები, საგამომძიებლო სფერო, სამხედრო სტრუქტურები, საგადასახადო, საბაჟო საქმიანობა, სადაზღვევო კომპანიები და დეპარტამენტები, პედაგოგიური სფერო, სპორტი, მანქანათმშენებლობა, საინჟინრო სფერო, სამეცნიერო-კვლევითი საქმე, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, ფსიქოთერაპია. რაც შეეხება კარმულ მისიას, აუცილებელია, გამოავლინოს დადებითი თვისებები ხასიათში, გამოირჩეოდეს ლიდერულ-ორგანიზატორული ნიჭით. უნდა იყოს კეთილშობილი და სამართლიანი, დაეყრდნოს ცოდნის ბაზას, ოპტიმიზმს. იყოს ორგანიზებული, შეუპოვარი, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, ნებისყოფიანი, პრაქტიკული, ფულის ყაირათიანი მხარჯველი. დაეყრდნოს ინტუიციას, შეძლოს საიდუმლოს დაცვა.

**კითხვა: დავიბადე 1982 წლის 25 სექტემბერს. რომელ სფეროში გამიმართლებს და რომელ ზოდიაქოს ნიშანთან მელის სასურველი ქორწინება?**

**პასუხი:** საქორწინო ურთიერთობების თვალსაზრისით თქვენთვის მისაღებია: მორიელის, თევზების, ლომის, ტყუპების ან მერწყულის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან კავშირი. რაც შეეხება წარმატების მომტან პროფესიებს, ასეთებია: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, საქველმოქმედო საქმიანობა, დასვენების ინდუსტრია, სასტუმროების ბიზნესი, რელიგია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სახელმწიფო ზემაღალ ეშელონებში ადმინისტრაციული საქმე, მანქანათმშენებლობის სფერო ან ბიზნესი, დიზაინი, ფსიქოთერაპიის ფართო სპექტრი, სამეცნიერო-კვლევითი საქმე.

**კითხვა: დავიბადე 1986 წლის 3 ნოემბერს, დილის 7 საათზე. უცხოეთი თუ არის ჩემთვის წარმატების მომტანი და, კერძოდ, რომელი ქვეყანა?**

**პასუხი:** თქვენთვის სავსებით მისაღებია უცხოეთთან დაკავშირებული საქმიანი კონტაქტები. ქვეყნებიდან კი კარგია: ჩეხეთი, საფრანგეთი, რუმინეთი, შვეიცარიის აღმოსავლეთი მხარე, ჩრდილოეთ იტალია, ამერიკის შეერთებული შტატებიდან – კალიფორნიის შტატი, ავსტრია, ესპანეთი, ავსტრალია, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, სერბეთი, სლოვენია, პორტუგალია, კუნძული კორსიკა და სიცილია. თუ ბარიერებსა და წინაღობებს გადალახავთ, წარმატებები გელით შემდეგ ქვეყნებშიც: გერმანია, იაპონია, ხორვატია, ინდოეთის დასავლეთი მხარე, ლიტვა, საბერძნეთი, ჩრდილოეთ შვეიცარია, თურქეთის დასავლეთი მხარე, ბელორუსი.

**კითხვა: დავიბადე 1983 წლის 27 მაისს, დილის 7 საათზე; ჩემი რჩეული კი – 1983 წლის 5 თებერვალს. გაგვიმართლებს თუ არა სამომავლოდ ურთიერთობაში სასიყვარულო-საოჯახო თვალსაზრისით?**

**პასუხი:** ურთიერთობა თქვენ შორის, საერთო ჯამში, მისაღებია როგორც წლების, ასევე, თვეების მიხედვით. ხასიათში ბევრი მსგავსებაა, რაც სამომავლოდ ჰარმონიულ ურთიერთობას გპირდებათ საოჯახო და სასიყვარულო თვალსაზრისით.

## ვერძი



თავს სანაქებოდ იგრძნობთ და შეძლებთ, გაუმკლავდეთ ნებისმიერ სირთულეს. გაგიადვილდებათ ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა. ენერგიული და დინამიკური პერიოდია შეხვედრებისა და გადაადგილებებისთვის. სერიოზული ფინანსური გარიგებები და ახალი ნივთების შეძენა, ჯობია, სხვა დროისთვის გადადოთ. არ არის გამორიცხული სამსახურში აღმოაჩინოთ ის პიროვნება, რომლის მიმართაც შემდგომში დიდ სიყვარულს იგრძნობთ.

## კურო



ბევრჯერ შეგეცვლებათ მიზნები და შეხედულებები. საქმეშიც და ფინანსებშიც, წარმატების მისაღწევად, ყურადღება მიაქციეთ პარტნიორებს. ნუ გარისკავთ. უეცარი სირთულეებია მოსალოდნელი მეგობრულ ურთიერთობებში, ამიტომ, იყავით ფრთხილად. არ გირჩევთ მოგზაურობას.

## ტყუპები



ამ პერიოდში ჩამოყალიბებული კავშირები კარგ შემოსავალს გპირდებათ. შესაძლოა, გაგიჭირდეთ ემოციების გამოხატვა, რაც გაუგებრობებს გამოიწვევს საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში. გართობა და მოგზაურობა სასიკეთოდ აისახება თქვენს გუნება-განწყობაზე.

## კირჩხიბი



ერიდეთ იურიდიულ და საზოგადოებრივ საქმეებს. შესაძლოა, ახლობლებმა კონფლიქტურ სიტუაციაში ჩაგითრიონ, რაც, ასევე, ცუდად აისახება საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაზე. ნუ აყვებით ცდუნებებს და ნუ დაანგრევთ არსებულ სასიყვარულო კავშირს წუთიერი გატაცების გამო. სახარბიელო არ იქნება ფინანსური მდგომარეობა, რაც ცუდად აისახება თქვენს განწყობაზე.

## ლომი



შემოსავალს მოგიტანთ არაოფიციალური, საიდუმლო და ფარული სამუშაო. უცხოელებთან კავშირი და საქმიანი პარტნიორობა მომავალში დამატებით შემოსავალს გპირდებათ. მეტი დრო გაატარეთ ოჯახის წევრებთან. შესაძლოა, ამ კვირაში ძველმა სასიყვარულო კავშირმა შეგახსენოთ თავი. ეს კი გააცოცხლებს თქვენს ვნებებსა და გრძნობებს. კარგია მოგზაურობა.

## ქალწული



არ გირჩევთ გადაადგილებებს, ბევრ ხალხთან ურთიერთობას. მოერიდეთ, ასევე, უცხო ადამიანებთან კონტაქტს. მოთოკეთ ნერვები და ნუ აჰყვებით ემოციებს სასიყვარულო სფეროში, რადგან, დიდია შეცდომების დაშვების ალბათობა. გაუფრთხილდით თქვენთვის ძვირფას ადამიანებს.

## სასწორი



მიგიზიდავთ ახალი პერსპექტივები, თუმცა, დიდი იქნება წინააღმდეგობებიც. არსებობს ტრავმის ალბათობა, ამიტომ, იყავით ფრთხილად. დაიცავით ტრადიციები და მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს. ნუ დახარჯავთ ფულს უმიზნოდ და მოერიდეთ საყვარელ ადამიანთან კამათს.

## მო- რიელი



დაივიწყეთ ამპარტავნება და ამბიცია – ასე უფრო ადვილად გადაიტანთ რთულ პერიოდს და მოგებასაც გაზრდით. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებები, ჯობია, სხვა დროისთვის გადადოთ. არ არის რეკომენდებული ფიზიკური დატვირთვა, მოგზაურობა და ბევრ ხალხთან კონტაქტი, რადგან ორგანიზმი დასუსტებულია. არ ვარგა გამოცდების ჩაბარება.

## მშვილდოსანი



გონებამახვილი და მხიარული გახდებით, რაც თქვენდამი დაინტერესებას გაზრდის. თავს ენერგიულად იგრძნობთ, თუმცა, ნუ მოადუნებთ ყურადღებას და იყავით ფრთხილი. ახალი იდეების განხორციელებაში ბევრი ახლობელი დაგიჭერთ მხარს და დაგეხმარებათ. საყვარელ ადამიანთან კი თავშეკავებაა საჭირო, რათა შემთხვევით გული არ ატკინოთ, არ იეჭვიანოს და ამით არ დაიძაბოს თქვენი ურთიერთობა.

## თხის რქა



ბევრი საქმე გექნებათ და, შესაძლოა, მოგიწიოთ გარისკვაც. მოერიდეთ უკანონო მოქმედებებს. დრო გამონახეთ დასვენებისთვისაც, რათა დახარჯული ენერგია აღიდგინოთ. დროის უქონლობის გამო, შესაძლოა, გაგინაწყენდეთ საყვარელი ადამიანი. შეამცირეთ გადაადგილებები, რადგან მაღალია ტრავმების ალბათობა.

## მერწყული



თამამად იმოქმედეთ პროფესიონალურ საქმეში და ეს წარმატებას მოგიტანთ. ოჯახში ნუ იქნებით გულგრილი – ამით თავიდან აირიდებთ კონფლიქტებს. დიდი დრო დაყავით მეგობრებისა და ახლობლების წრეში. ახალ ნაცნობებთან ურთიერთობა კი საინტერესო ინფორმაციის წყარო აღმოჩნდება. სასიყვარულო ურთიერთობაში მოსალოდნელია სასიკეთო ძვრები.

## თევზები



ხანგრძლივი პროექტები და საქმიანი აქტიურობა მომავალში კარგ შემოსავალს გპირდებათ. არ გარისკოთ და იყავით გულლია. მოერიდეთ ფარულ საქმიანობას, განსაკუთრებით – უცნობ ადამიანებთან. სასიყვარულო კავშირი მეგობრულ ელფერს შეიძენს. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ გადაადგილებების დროს. ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

**ახალმთვარეობა – 10 აპრილი, 9 სთ: 36 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

## ორშაბათი

ნუ დაუპირისპირდებით სხვებს. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ოპალი, ქრიზოპრაზი ან ზურმუხტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ახალი ნაცნობობა, სასიყვარულო შეხვედრები, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია დიეტის დაწყება, საფინანსო-საბანკო ოპერაციები, ვაჭრობა, სწავლა, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

## სამშაბათი
## გეომაგნიტური დღეა

გამახვილდება ინტუიცია. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ოქროსფერი, მწვანე ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – იასპი, აქატი, ონიქსი, ოპალი, ჯესპილიტი ან ჰელიოტროპი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია საფინანსო-საბანკო ოპერაციები, სწავლა, კაპიტალდაბანდება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის.***

## ოთხშაბათი
## გეომაგნიტური დღეა

ამ დღეს სავსემთვარეობაა, ამიტომ, მოჭარბებულია ნეგატიური კოსმიური ენერგიები, რაც მეტად განაპირობებს კონფლიქტებს, აგრესიას, დეპრესიას, ტრავმებს, ავარიებს, შეცდომებს, ცდუნებებს, ჯანმრთელობის გაუარესებასა და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. იყავით ფრთხილი და წინდახედული. დაიცავით სიმშვიდე. მოერიდეთ სესხის აღებას. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ბეჟი, მწვანე, ყვითელი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, ლაზურიტი, ნეფრიტი, ჯადეიტი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია გართობა, შემოქმედებითი მუშაობა, მეგობრული ურთიერთობები, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმელები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის.***

## ხუთშაბათი

გამახვილდება ინტუიცია. იყავით მეტად თავდაჭერილი და მოერიდეთ კრიტიკას. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი, მწვანე ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ნეფრიტი, ჟადეიტი, საფირონი ან ციტრონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია აპარატურის შეძენა, სასიყვარულო კავშირები, დიპლომატიური გადაწყვეტილებების მიღება, გართობა, შემოქმედებითი მუშაობა, ექიმებთან კონსულტაცია და მკურნალობის დაწყება. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

## პარასკევი
## გეომაგნიტური დღეა

მოიმატებს თავისუფლებისადმი ლტოლვა. სანამ რაიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ, იმოქმედეთ პრინციპით – „შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი", მოერიდეთ ზედმეტ კონტაქტებს და ნუ იკამათებთ. ატარეთ წითელი, ვარდისფერი, ყვითელი, შინდისფერი, მწვანე ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ონიქსი, ამეთვისტო ან იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სოცუზრუნველყოფისა და დაზღვევის ორგანიზაციებთან კონტაქტს, სესხის აღებას. კარგია თმის შეჭრა. სუსტდება ცხვირი, თავი, შარდ-სასქესო სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

## შაბათი

იყავით ყურადღებით. შესაძლოა სასიყვარულო და საქმიან პარტნიორულ ურთიერთობებში მკვეთრი ცვლილებები. ატარეთ წითელი, შავი, შინდისფერი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ქრიზოპრაზი, ლაბრადორი, ამაზონიტი ან იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ახალი საქმის დაწყება, მოგზაურობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. მოიმატებს სქესობრივი ლტოლვა. კარგია მანქანის ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდ-სასქესო სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის.***

## კვირა
## გეომაგნიტური დღეა

ნუ დაიწყებთ მოლაპარაკებებს. ატარეთ წითელი, ლურჯი, ცისფერი, იისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, ცირკონი, იაგუნდი, ლაზურიტი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოიმატებს ინტუიცია. არ ვარგა მშენებლობა. კარგია მოგზაურობა, უცხოელებთან კონტაქტი, სპორტული ვარჯიშები. შესაძლებელია ოჯახური საკითხების გადაწყვეტა. მოერიდეთ ჭორაობას და გადაამოწმეთ ყველა ინფორმაცია. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

**იმერეთის 1819 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვახტანგ ბატონიშვილი, აჯანყებულთა ნაწილმა იმერეთის მეფედ გამოაცხადა. მაგრამ, აჯანყების დამარცხების შემდეგ, ის ოსმალეთში გადაიხვეწა, სადაც სულთანმა დაამტკიცა იმერეთის მეფედ. ვახტანგი გარდაიცვალა 1850 წელს, ტრაპიზონის ახლოს მდებარე პატარა ქალაქ პლატანაში. ასე რომ, მთელი 30 წლის განმავლობაში იყო იმერეთის დე იურე მეფე. მის შესახებ და ასევე, სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება ისტორიკოსი მანანა ხომერიკი:**

# ვის არ ჰქონდა ბაგრატიონთა სამეფო ტახტზე ასვლის უფლება და როგორ იბრძოდა 30 წლის განმავლობაში რუსეთის წინააღმდეგ ვახტანგ ბაგრატიონი – იმერეთის დე-იურე მეფე

– იმერეთში 1819 წელს „საეკლესიო ბუნტის“ სახელით დაწყებულმა აჯანყებამ თანდათან ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სახე მიიღო. დღის წესრიგში დადგა მეფის არჩევა, რაც საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენას ნიშნავდა. იმერეთის ტახტზე სამი ძირითადი პრეტენდენტი გამოიკვეთა: 1. ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელმაც სათანადო აქტიურობა ვერ გამოიჩინა; 2. ივანე აბაშიძე, რომელიც, დოკუმენტების მიხედვით, საკმაოდ გაორებული პიროვნება იყო. ამასთან, ის მხოლოდ დედის მხრიდან იყო ბაგრატიონთა შთამომავალი, რაც ქართული სამეფო ლეგიტიმიზმის თანახმად, ტახტზე ასვლის უფლებას არ აძლევდა. დავით ბატონიშვილი თავის რჯულდებაში ნათლად განმარტავს, რომ მეფის ასულთა ძენი მოკლებულნი იყვნენ სამეფო ღირსებას. თამარ მეფისა და რუსუდან დედოფლის შვილების მაგალითი არ გამოგვადგება, რადგან მათი მამები დაბადებით უფლისწულები იყვნენ. სამეფო ღირსება შვილზე მამიდან გადადის. გარდა ამისა, მას შემდეგ ქალის გამეფების წესი შეიცვალა. დავით ბატონიშვილიც დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ სამეფო ოჯახის მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, ქვრივი დედოფალი ან ბატონიშვილი ქალები ტახტის მემკვიდრეები არ იყვნენ. აქედან გამომდინარე, სოლომონ პირველის ქალიშვილი ვერც თვითონ იქნებოდა იმერეთის ტახტის მემკვიდრე და ვერც თავის შვილს, ივანე აბაშიძეს გადასცემდა მემკვიდრეობას. 3. ვახტანგ ბაგრატიონს გვარი უპირატესობას ანიჭებდა, მაგრამ მისი სუსტი წერტილი მისი მამის, როსტომ ბატონიშვილის უკანონოდ შობის ფაქტი გახლდათ. ქართველ მეფეებს ერთი ცოლი ჰყავდათ. ხარჭისგან ნაშობი შვილი კანონიერ უფლისწულს ვერ უტოლდებოდა და იყო „რეცა სახელდებულ შვილად მეფისა“. ქართული ლეგატიზმი უკანონოდ ნაშობი ბატონიშვილების უფლებებს არ აღიარებდა, მაგრამ რეალური სურათი სულ სხვა იყო. იმერეთის სამეფოს არსებობის განმავლობაში ოთხჯერ იყო შემთხვევა, როდესაც უკანონოდ შობილი უფლისწულები გაამეფეს: გიორგი მესამე, ალექსანდრე მეოთხე, სვიმონ პირველი და გიორგი მეექვსე.

## აჯანყების ჩახშობა

რუსეთმა დიდი სამხედრო ძალის გამოყენებით შეძლო აჯანყების დამარცხება და სისხლში ჩახშობა. დავით ბატონიშვილი (ბაგრატ ბატონიშვილის ვაჟი. ბაგრატი იყო მეფე ალექსანდრე მეხუთის შვილი, მეფე სოლომონ პირველის ძმა და მეფე სოლომონ მეორის ბიძა) მოკლეს. რეპრესიების მთელი სისასტიკე მის ცოლ-შვილსაც შეეხო. დავითის ძმისშვილი, აჯანყების მონაწილე როსტომ სვიმონის ძე რუსეთში გადაასახლეს და სუმის ჰუსართა პოლკში რიგითად ჩარიცხეს. ასევე, გადაასახლეს როსტომის 8 წლის ვაჟი სიმონი. 1820 წლის 6 მაისს ერმოლოვი დროებით მთავრობას წერდა, რომ ვახატანგი, რომელიც იმერეთის მშვიდ მოსახლეობას აჯანყებდა, გამოცხადებულიყო სახელმწიფო მოღალატედ. მისი მამული ხაზინისთვის უნდა გადაეცათ, ცოლ-შვილიც უნდა დაეპატიმრებინათ. იმერეთის მმართველმა გამოაქვეყნა პროკლამაცია იმერეთის მოსახლეობისადმი, რომელსაც თან ჰქონდა დართული სია „მუხანათთა, რომელნი სამარადისოდ განიდევნებიან სამზღვართაგან რუსიის იმპერიისათა“. სიაში სულ 27 კაცი იყო, მათ შორის: მამუკა ბაგრატიონი, ვახტანგ ბაგრატიონი და მისი მცირეწლოვანი ძმა ტარიელი. 1820 წლის 7 სექტემბერს შედგენილი სიიდან ჩანს, რომ ბატონიშვილი ვახტანგი და მისი მცირეწლოვანი ძმა, ტარიელი გაქცეულები იყვნენ. მათ მამულებიც ჩამოერთვათ. რუსეთის მთავრობა ხაზს უსვამდა, რომ ძმები უკანონოდ შობილი მამის შვილები იყვნენ. ვახტანგს „უკანონოდ შობილ ურჩხულს“ უწოდებდნენ, რადგან ის რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა. სოლომონ პირველის უკანონოდ შობილი შვილიშვილის, „გიორგი ბუშის“ შვილები კი, რომლებიც იმპერატორისადმი ერთგულებით გამოირჩეოდნენ, იმ დროს რუსეთში იმყოფებოდნენ და პატივით სარგებლობდნენ. მათ უკანონო წარმომავლობა არაფერში უშლიდათ ხელს. ერმოლოვი 1820 წლის სექტემბერში ბარონ სტროგანოვს აცნობებდა, რომ იმერეთში რუსულმა ჯარმა მოახერხა მეამბოხეთა ბრბოების გაფანტვა, მათგან უმეტესობა შეიპყრეს. ზოგი მაშინვე დაისაჯა, ზოგი კი ახალციხეში გადავიდა, სადაც ისინი ფაშამ მეგობრულად მიიღო. ერმოლოვის აზრით, ესენი: „დეპუტატად წოდებული მეამბოხეები არიან, მათგან უმთავრესია ვახტანგი, სულელი ახალგაზრდა კაცი, რომელიც მეფე დავითის უკანონო შვილის, როსტომის ვაჟია“. ვახტანგ ბატონიშვილი მხოლოდ ოსმალეთის იმედად როდი იყო, ის ცდილობდა, რუსეთის წინააღმდეგ ჩაება სპარსეთიც. სხვათა შორის, თურქეთში, პრემიერ-მინისტრის ოსმალურ არქივში მივაკვლიეთ დოკუმენტებს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ 1815 წელს მეფე სოლომონ მეორის გარდაცვალების შემდეგ, ოსმალეთის სულთანმა და ვეზირებმა იმერეთის ახალი მეფის დანიშვნაზე დაიწყეს ზრუნვა. მეფის ვინაობა მაშინ დადგენილი არ იყო და ფირმანში სახელის ადგილიც თავისუფალი დატოვეს. არ არის ცნობილი, საბოლოოდ ვისი სახელი ჩაიწერა საგანგებოდ დამზადებულ ფირმანში. როგორც ჩანს, ეს პატივი წილად ვახტანგს ერგო, რადგან ერთ ოსმალურ დოკუმენტში ის იმერეთის მეფედ არის მოხსენიებული. სხვა დოკუმენტებიდანაც ჩანს, რომ ტახტის პრეტენდენტებს შორის, ვახტანგ ბატონიშვილის უპირატესობა ყველასთვის ნათელი იყო. ივანე აბაშიძე მის მეტოქედ არ მოიაზრებოდა. ის ვახტანგის დესპანის როლს ასრულებდა. როგორც ჩანს, თავად ვახტანგს ლევან დადიანის იმედიც ჰქონდა. ეროვნულ არქივში დაცულია წერილის ასლი: „ლიხთ იმერთ მეფის ძის ძეს და მემკვიდრეს, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პაკრატოვანს და აქ დიდებულის და ცათა სწორიდ ხელმწიფისგან მეფედ წოდებულს ვახტანგს (ესე იგი სულთნის მიერ მეფედ დანიშნულ ვახტანგს) სამინგრელოს მფლობელი დადიანი ლევანი კალთის მთხვევას გიბედავ და თქვენს ბედნიერად ყოფას და გაძლიერებას ღმერთსა ვსთხოვთ ყოვლად ძლიერსა“... თავად ეს დოკუმენტი ნდობას არ იმსახურებს, ის იასე ფალავანდიშვილის მიერ შედგენილი უნდა იყოს. მაგრამ იმით არის საინტერესო, რომ მასში ვახტანგი იხსენიება, როგორც სულთნისგან „მეფედ წოდებული“, რაც სინამდვილეს უნდა ასახავდეს. ვახტანგი, რომელსაც რუსები ახასიათებდნენ, როგორც სულელ ახალგაზრდა კაცს, სინამდვილეში დიპლომატიურ ნიჭს იჩენდა. როდესაც ოსმალეთიდან რეალური დახმარება ვერ მიიღო, მზერა სპარსეთს მიაპყრო. წინ წამოწია ის ფაქტი, რომ ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფენი ერთი წარმომავლობის იყვნენ, რის გამოც მან, როგორც ამ საერთო ოჯახის წევრმა, განაცხადა: ჩვენი ოჯახი მხოლოდ დიდებულ შაჰს სცნობდა და მე როგორც იმერეთის ტახტის მემკვიდრემ, მთელი დასავლეთ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ გავაერთიანე და სპარსეთის ერთგულება ვირჩიეო. სინამდვლეში, დასავლეთ საქართველო ოსმალეთისკენ უფრო იხრებოდა, მაგრამ მთავარი მიზანი ნებისმიერი გზით რუსეთიგან თავის დახსნა იყო. რაც შეეხება ვახტანგის ძმას, ტარიელს, მის შესახებ ვიგებთ მისი სიდედრის, ელისაბედ გურიელის 1841 წელს დაწერილი თხოვნიდან. ელისაბედი პოლკოვნიკ ქაიხოსრო გურიელის ქვრივი იყო. ის წერილში განმარტავს, რომ მისმა ქალიშვილმა დესპანემ, თურქეთში ყოფნისას მართლმადიდებლურ ეკლესიაში, წესისამებრ, ჯვარი დაიწერა ოტომანური სამსახურის გენერალ, იმერელ ბატონიშვილ ტარიელზე. ქაიხოსროს ოჯახის თურქეთიდან დაბრუნებისას წამოიყვანეს დესპანეც, რომელიც 10 წლის განმავლობაში ქმრის მოლოდინში იყო. ბატონიშვილი ტარიელი 1840 წელს თურქეთში გარდაიცვალა. ძმებს ანასტასიას (ვახტანგის ქალიშვილი) მეტი შთამომავალი არ დარჩენიათ. თუმცა, მიიჩნევა, რომ თურქეთში ბატონიშვილები ჰაიდარ-ბეგთა გვარის მამამთავრები გახდნენ. მაგრამ, თურქეთში ამ ცნობის დამადასტურებელ მასალას ვერ მივაკვლიეთ.



**იმერეთის სამეფოს არსებობის განმავლობაში ოთხჯერ იყო შემთხვევა, როდესაც უკანონოდ შობილი უფლისწულები გაამეფეს: გიორგი მესამე, ალექსანდრე მეოთხე, სვიმონ პირველი და გიორგი მეექვსე. აქედან გამომდინარე, ვახტანგ ბატონიშვილი სავსებით რეალური კანდიდატი იყო**

## ვახტანგ ბატონიშვილის სიცოცხლის ბოლო წლები

1846 წლისთვის საკმაოდ ხანშიშესულ ვახტანგ ბაგრატიონს, როგორც ჩანს, ჯანმრთელობა შეერყა. მისმა ნათესავმა, თავადმა მიქელაძემ მეფის ნაცვლის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ბატონიშვილის სამშობლოში დაბრუნების ნებართვის თაობაზე. რუსულმა მხარემ დაიწყო ვახტანგის შესახებ ცნობების შეგროვება, რის შემდეგაც შესაძლებლად მიიჩნიეს მისი იმერეთში დაბრუნება, ოღონდ ხაზინაზე გადაცემული მამულის დაბრუნების გარეშე. აუცილებელი პირობა იყო მასზე მკაცრი თვალთვალის დაწესება. ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით, ვახტანგ ბაგრატიონის წლიური ანაზღაურება 350 ვერცხლით განისაზღვრა, რაც 1846 წლის

მეორე ნახევრიდან უნდა მიეღო. ეს ეცნობა ვახტანგს, მან კი განაცხადა, რომ ოსმალეთში სავსებით უზრუნველყოფილად ცხოვრობდა, როგორც მას შეეფერებოდა, რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნული ანაზღაურება კი ძალზე მცირედ მიაჩნდა. ამგვარმა განცხადებამ რუსი მოხელეები საგონებელში ჩააგდო, მათ ვერ გაეგოთ: ვახტანგს თანხის სიმცირე აფერხებდა თუ არ სურდა „დიდსულოვნად“ ბოძებული ნებართვით სარგებლობა. როგორც ირკვევა, სულთანი მართლაც შესაფერის პირობებს უქმნიდა ვახტანგს. მოხელე მეფისნაცვალს საიდუმლოდ აცნობებდა, რომ მისი აზრით, თურქეთის მთავრობა არცთუ პოლიტიკური მიზნების გარეშე ხარჯავდა ყოველწლიურად ამ „ემიგრანტზე“ 40 ათას პიასტრზე მეტს, ანუ რვა ათას მანეთს ასიგნაციებით. თურქული მხარე იმედოვნებდა, რომ იმერეთის ყოფილი სამეფო ოჯახის წევრი, რომელსაც ახლო კავშირები ჰქონდა იმერეთისა და გურიის მოსახლეობასთან, თუ რუსების წინააღმდეგ „მნიშვნელოვანი გავლენის“ მოხდენას ვერ შეძლებდა, მაინც სასარგებლო იქნებოდა რაიმე მტრული მოქმედებების შემთხვევაში. საქმე გაჭიანურდა, ბოლოს, 1849 წელს, საბოლოოდ გადაწყდა ვახტანგის დაბრუნება, 350 მანეთის დანიშვნა და ამიერკავკასიაში ჩამოსვლისთანავე მისთვის იმ თანხის გადაცემა, რაც 1846 წლიდან დაგროვდა. მაგრამ ვახტანგ ბაგრატიონმა ამდენს ველარ გაუძლო და 1850 წელს ტრაპიზონის ახლოს მდებარე ქალაქ პლატანაში გარდაიცვალა. ის 30 წლის განმავლობაში ოსმალეთში ცხოვრობდა და თავის სამშობლოს გათავისუფლებაზე ფიქრს არ წყვეტდა. თავდაპირველად, ის აჯანყებულთა მიერ იყო მეფედ არჩეული და „დასმული“. მართალია, ჩვენში მეფობა მემკვიდრეობითი იყო და არა არჩევითი, მაგრამ ის მემკვიდრეობითაც არ იდგა შორს მეფობისგან. მამამისი, როსტომ ბატონიშვილი მეფე დავით მეორის უკანონო შვილი იყო, ხოლო კანონიერი შვილი (ვახტანგის ბიძა) კონსტანტინე ბატონიშვილი, მეფე სოლომონ მეორემ, 1804 წელს რუსეთთან დადებული ელაზნაურის ხელშეკრულების მეორე პუნქტით, თავის მემკვიდრედ გამოაცხადა (იმ შემთხვევაში, თუ სოლომონს ვაჟი არ ეყოლებოდა). 1810 წელს რუსეთის მიერ იმერეთის ოკუპაციის შედეგად, როდესაც მეფე სოლომონ მეორე იძულებული გახდა ოსმალეთში გადახვეწილიყო, კონსტანტინე ბატონიშვილი რუსეთში გადაასახლეს. მას შემდეგ არც ის და არც მისი შთამომავლები სამშობლოს ბედით არ დაინტერესებულან. ცხადია, კონსტანტინეს არც 1819-1820 წლების აჯანყებაში მიუღია რამე მონაწილეობა. მისი ძმა როსტომი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. სავსებით ბუნებრივია და კანონიერია, რომ კონსტანტინე თავის უფროს ძმისშვილს, ვახტანგ ბაგრატიონს ჩაენაცვლებინა. ვახტანგის წარმომავლობა გაითვალისწინა ოსმალეთის სულთანმა, რომელმაც ის იმერეთის მეფედ აღიარა. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ვახტანგ ბაგრატიონი მთელი 30 წლის განმავლობაში იყო დე იურე მეფე იმერეთისა... კარგი იქნება თუ მის საფლავს მოვიძიებთ.

## იმერეთის ბაგრატიონთა შტოს გამგრძელებელი

დღეს იმერეთის ბაგრატიონების შტოს მამრობითი ხაზით მხოლოდ სოფელ ღვანკითში მცხოვრები ირაკლი დავითის ძე ბაგრატიონი აგრძელებს, რომელიც სოლომონ პირველის მამის და სოლომონ მეორის პაპის, იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთის შთამომავალია. ალექსანდრეს დედა, როდამ დედოფალი, ქართლის მეფის, გიორგი მეთერთმეტის ასული იყო. აქედან გამომდინარე, ირაკლი ბაგრატიონთა ქართლის შტოსაც ენათესავება. რაც შეეხება ბაგრატიონთა დინასტიას, მისი გამთლიანების პრინციპები ჯერ არ არის დადგენილი. ამ საკითხით დაინტერესებული ზოგიერთი პიროვნება სრულიად საქართველოს ტახტის მემკვიდრის დასახელების დროს იმერეთის შტოს სრულ იგნორირებას ახდენს. მათი ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ 1790 წელს გაფორმდა „ტრაქტატი – ივერიელ მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშის და გურიისა“, რომლის მონაწილენი ერთმანეთს აძლევენ მეგობრობის, თანადგომის, გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების პირობას. მსგავსი ხელშეკრულება 1773 წელსაც დაიდო მეფე ერეკლესა და სოლომონ პირველს შორის, მაგრამ ეს ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაერთიანებას არ ნიშნავდა და არც საკუთარ სამეფოზე ხელის აღებას.1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატით“ მხოლოდ ქართლ-კახეთი იქნა შეყვანილი რუსეთის მფარველობის ქვეშ. 1790 წელს იმერეთის მეფე და გურიის, სამეგრელოს მთავრები იმედოვნებდნენ, რომ ერთობლივი ტრაქტატით გეორგიევსკის ტრაქტატს შეუერთდებოდნენ. აღიარებული იყო ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე მეორეს ჰეგემონია. იმერეთის მეფე და დასავლეთ საქართველოს მთავრები მას ანდობდნენ რუსეთთან მოლაპარაკებასა და შუამდგომლობას მათი მფარველობაში შეყვანის შესახებ. ამრიგად, მეფე ერეკლეს უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ ეს მას იმერეთის სამეფო ტახტის მიტაცების უფლებას არ აძლევდა და ეს საკითხი არც დამდგარა. სამეგობრო ხელშეკრულება, რომელშიც ერთი მხარის უპირატესობაა აღიარებული, მეორე მხარეზე ძალადობას არ ნიშნავს. ამრიგად, 1790 წლის სამეგობრო ხელშეკრულება იმერეთის სამეფო შტოს ლეგიტიმურ უფლებებს ვერ დააკნინებს. ხშირად იშველიებენ მეორე არგუმენტს, რაც



**ირაკლი გრიგოლის ძე ბაგრატიონმა, თავისი სურვილით, იმერეთის სამეფო სახლის მეთაურად შვილიშვილი, ირაკლი ბატონიშვილი გამოაცხადა**

იმაში მდგომარეობს, რომ ერთიანი საქართველოს ბოლო მეფე გიორგი მერვე, შემდეგ კახეთის მეფე გახდა. ამიტომ მიიჩნევენ, რომ ერთიანი საქართველოს ტახტის მემკვიდრე მისი უშუალო შთამომავალი უნდა იყოს. გიორგი მერვე იყო ალექსანდრე პირველი დიდის შვილი მეორე ქორწინებიდან. ალექსანდრე პირველ დიდს პირველ ცოლთან ორი ვაჟი ჰყავდა. მისი სიკვდილის შემდეგ მისი ძე, ვახტანგ მეოთხე გამეფდა, მაგრამ 4 წლის შემდეგ გარდაიცვალა. ტახტი ეკუთვნოდა მის ძმას, პროვინციის მეფეს, დემეტრეს ვაჟს კონსტანტინეს, რომელიც ვერ იმეფებდა მცირეწლოვნობის გამო. ამიტომ, გამეფდა ალექსანდრე პირველის უმცროსი ვაჟი, გიორგი მერვე. თუმცა, ლეგიტიმურად საქართველოს ტახტი კონსტანტინეს ეკუთვნოდა. გიორგი მერვე კახეთის ტახტზე ადის, როგორც გიორგი პირველი. ერთიანი საქართველოს მეფეთა ნუმერაცია კი ქართლის მეფეებში გრძელდება. ქართლის პირველი მეფე ხდება კონსტანტინე მეორე. მის შვილს, დავითს მინიჭებული აქვს არა პირველი ნომერი, არამედ – მეათე, ვინაიდან ქართლის მეფე დავითმა თავის მამასავით, ერთიანი საქართველოს მეფეთა ნუმერაცია გააგრძელა. მეფე სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ, იმერეთის თავადაზნაურობა და მღვდელმთავრები მეფე ერეკლე მეორეს სთხოვდნენ: „ინებოს და შეიერთოს თავისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა“. მეფე ერეკლემ სხვადასხვა მიზეზის გამო, უარი განაცხადა და ახლა ნუ მივაწერთ მას იმას, რაც არ მომხდარა. გეორგიევსკის ტრაქტატით და ასევე ელაზნაურის ტრაქტატით, გარანტირებული იყო ბაგრატიონთა მეფობა, მაგრამ ამ სამეფოების მიტაცების შემდეგ, რუსეთმა ბაგრატიონები არა მხოლოდ ტახტიდან ჩამოაგდო, არამედ მათი სამეფო ღირსებაც დაამცირა. ბატონიშვილების მეორე თაობას ამ წოდების ტარების უფლება აუკრძალეს, ანუ დინასტიური სტატუსი წაართვეს. (1946 წლის 5 დეკემბრის, აქტით დიდმა მთავარმა, ვლადიმირ კირილის ძე რომანოვმა სცნო ბაგრატიონთა სამეფო ღირსება, რაც შესაძლოა, პარაქტიკულად, არაფერს ცვლიდა, მაგრამ ამ აქტს საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა ჰქონდა). საქართველოს გაერთიანება ყოველთვის ნიშნავდა დინასტიის გაერთიანებას და ამაზე მუდმივად ფიქრობდნენ ერეკლე მეორის შთამომავლები. მაგრამ, დავით ბატონიშვილი მოგვიწოდებდა იმისკენ, რომ იგნორირება მოგვეხდინა იმერეთის სამეფო დინასტიისა, იმის საფუძველზე, რომ იქ იყვნენ უკანონოდ შობილები. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ სოლომონ დიდის წინ იმერეთის ტახტზე ოთხჯერ იყო უკანონოდ შობილი მეფე. იოანე ბატონიშვილი კი ორივე შტოს ერთნაირ უფლებებს აღიარებდა და ამბობდა: როდესაც ერთიანი საქართველოს მეფე გარდაიცვლება, ხან ერთი შტოს ბატონიშვილი გავამეფოთ, ხან – მეორესიო. ეს რეალობას მოკლებული იყო, მაგრამ თანაბარ პატივს მიაგებდა ორივე შტოს. მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებში შედგა რიგი დოკუმენტებისა, სადაც ბაგრატიონთა იმერული შტო წარმოდგენილია ბაგრატიონ-იმერეტინსკებით, ეს შტო კი მეოცე საუკუნეში აღარ არსებობდა. შესაბამისად, ეს დოკუმენტები ექვემდებარება გაუქმებას. ეს იგივეა, რომ ჩვენ შევადგინოთ საბუთი სოლომონ პირველის სახელით. რაც მთავარია, ამ განცხადებით უგულებელყოფილია ერთადერთი მამრობითი ხაზით შემორჩენილი იმერული შტო, რომელიც ღვანკითში ცხოვრობს. 26 თებერვალს დავკრძალეთ 87 წლის ირაკლი ბატონიშვილი, რომელიც იმსახურებდა გელათში დაკრძალვის პატივს. მაგრამ, ეს მხოლოდ იმიტომ არ მოხდა, რომ წლების განმავლობაში ხდებოდა ამ შტოს შეგნებული დაკნინება, რაც იმას ემყარებოდა, რომ ამ შოტს ჰყავდა ერთი უკანონო წინაპარი. ამას იტყვის მხოლოდ იმერეთის ისტორიაში ჩაუხედავი პიროვნება. სოლომონ დიდისთვის არავის წამუძახებია, რომ მის წინ ოთხჯერ იყო უკანონოდ შობილი მეფე. ირაკლი გრიგოლის ძე ბაგრატიონმა თავისი სურვილით იმერეთის სამეფო სახლის მეთაურად შვილიშვილი, ირაკლი ბატონიშვილი გამოაცხადა, რა თქმა უნდა, თუ ოჯახი ამაზე განაცხადებდა თანხმობას. თუ ოჯახი დაეთანხმა მის სურვილს და დღეს იმერეთის სამეფო სახლის მეთაური კანონიერად არის ირაკლი ბაგრატიონი. იმისთვის, რომ ირაკლი ბაგრატიონმა რომელიმე ბაგრატიონი აღიაროს მთელი საქართველოს ტახტის მემკვიდრედ, ჯერ მან უნდა დაიმკვიდროს ის სტატუსი, რაც მას აქვს დაბადებით და როგორც პატრიოტი ადამიანი, მზად არის, შეუერთდეს ბაგრატიონების მემორანდუმს. საქართველოში ორი სამეფო სახლია: ქართლ-კახეთისა და იმერეთის. აუცილებელია გამთლიანება, რაც კანონიერ საფუძველზე უნდა მოხდეს. ვინაიდან ქართლ-კახეთს ისტორიულად მეტი პრიორიტეტი აქვს, ირაკლი მზად არის, აღიაროს ქართლ-კახეთის სამეფო სახლის მეთაური ერთიანი საქართველოს ტახტის მემკვიდრედ, მაგრამ ეს არ მოხდება მანამდე, სანამ არ იქნება აღიარებული თვითონ ირაკლის, როგორც იმერეთის სამეფო სახლის მეთაურის სტატუსი, რომელიც მას დაბადებიდან ლეგიტიმურად აქვს. ამას მოითხოვს არა კუთხური სეპარატიზმი, არამედ კანონიერ საფუძველზე გაერთიანების პრინციპი და ისტორიული სამართლიანობა.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**ფრანკლინი**: ვინც არასაჭირო ნივთებს ყიდულობს, მალე მოუწევს საჭირო ნივთის გაყიდვა.
**შოუ**: წვრილმანები უფრო მეტად გვაშფოთებენ. სპილოს უფრო გაერიდები, ვიდრე ბუზს.
**ლევინსონი**: ადამიანის უებარი დამამშვიდებელი საშუალება არის ფული.
**ლევინგერი**: ცუდი ახალი ამბები აძევებენ ბრუნვიდან კარგ ახალ ამბებს.
**ბუასტი**: თუ დაპირება არ შეგიძლია, მაშინ გააკეთე.
**ცეხი**: ტყუიან ქურუმები, შუქმა მოიტანაო შვება. შუქმა მოიტანა არა შვება, არამედ შიში დაღამებისა.
**შლეგელი**: მხოლოდ მისწრაფებაში ვპოულობთ სიმშვიდეს.
**ფრაიდანკი**: ყველას რომ სამართლიანად მოექცე, ესაა ხელოვნება, რომელსაც სრულყოფილად ვერავინ ფლობს.
**ჰობსი**: საკუთარი ძალების რწმენა მშვენიერი რამ არის. ესაა ნიშანი ადამიანისა, რომელიც გრძნობს თავის ნიჭსა და უნარს.
**როდენი**: ერთადერთი სფერო, რომელშიაც ღვთაებრივს ვარჩევთ – ეს არის ხელოვნება.
**ლომონოსოვი**: შეცდომის შემჩნევა იოლია, შეუმცდარად უკეთესის შექმნა – ძალზე ძნელი.
**ციცერონი**: ძლიერი მოკლედ გამოთქმული აზრები დიდად უწყობენ ხელს ცხოვრების გაუმჯობესებას.
**დრაიზერი**: უმძიმესი დაძაბულობის დროს უფრო იცნობა და მაღლდება ადამიანი.
***კომენსკი***: იოლია სწორად მიყოლა იმისა, ვინც სწორად მიდის.
**სპინოზა**: წამდაუწუმ უნდა შევახსენოთ ახალგაზრდებს ოქროს წესი: არაფერი ზედმეტი! მოერიდონ ყველგან ყველაფერში ზედმეტობას.
**ერაზმ როტერდამელი**: შეუძლებელი არაფერია მისთვის, ვისაც ნებისყოფა აქვს.
**საავედრა**: მოუფიქრებლად ლაპარაკი იგივეა, რომ დაუმიზნებლად ისროლო.
***როლანი***: დიდი სულის ადამიანი მარტო არასოდეს იქნება.
**ჰიუგო**: არ არსებობენ პატარა ხალხები.
**ჟორესი**: კაპიტალს დააქვს ომი, როგორც ღრუბელს – ქარიშხალი.
**ბონაპარტე**: ვისაც მლიქვნელობა შეუძლია, მას არც ცილისწამება გაუჭირდება.
***რუსო***: კარგად გამოყენება დროის კიდევ უფრო ძვირფასად აქცევს.
**მონტესკიე**: მხოლოდ ბედნიერად ყოფნა რომ ვისურვოთ ამას იოლად მივაღწევთ. მაგრამ ადამიანებს სურთ სხვაზე ბედნიერი იყონ, ამის მიღწევა კი შეუძლებელია, რადგან ჩვენ სხვები ყოველთვის უფრო ბედნიერი გვგონია, ვიდრე არიან.
**ლაბრიუიერი**: ბავშვს არა აქვს არც წარსული, არც მომავალი. ჩვენგან განსხვავებით, ყმაწვილი მხოლოდ აწმყოთი ხარობს.
**ლაფონტენი**: ვინც მკვდარს ჰგავს ცხოვრებაში, მას სიკვდილიც უფრო უმძიმს.
**მონტენი**: შიში ადამიანს ხან ფეხებზე ფრთებს გამოასხამს, ხან მიწაზე დააკრავს.
**ლესინგი**: ერთი ქალი არასოდეს ალიარებს მეორის მშვენიერებას.
**ამინადო**: სულელი ცოლი ქმარს სახელს ვერ გაუტეხს, ქმრის სახელის შერცხვენა მხოლოდ ჭკვიან ქალს შეუძლია.

# თუ გაგვიგიათ

1. ამ სამხედრო წოდების სახელი ფრანგულიდან ითარგმნება, როგორც „მოადგილე“ და წინათ საფრანგეთში ენიჭებოდათ მხოლოდ მეთაურის მოადგილეებს. **რომელია ეს სამხედრო წოდება?**

2. დიდი ხნის განმავლობაში აკრძალული იყო ამ ფირმის ავტომობილების გატანა დიდი ბრიტანეთიდან, რადგან ის ნაციონალურ საკუთრებად ითვლებოდა. **დაასახელეთ ფირმა.**

3. **რა ერქვა** შუა საუკუნეებში თეატრში გრაგნილს, რომელზეც ეწერა ის ფრაზები, რაც მსახიობს სცენაზე უნდა წარმოეთქვა?

4. **დაასახელეთ ქალაქი,** რომელიც ევროპელებმა მიჩიგანის ტბის ნაპირზე დააარსეს და ახლა ამ ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული ქალაქია.

5. ისლამისტმა თეოლოგებმა ზუსტად გამოთვალეს, რომ ის 20-ჯერ გამოეცხადა ადამს, 4-ჯერ – ენუქს, 42-ჯერ – აბრაამს, 400-ჯერ – მოსეს, 10-ჯერ – იესოს, 24-ჯერ – მუჰამედს. **ვის გამოეცხადა მხოლოდ ერთხელ და თავისი ყოფნით ღვთის მატერიალური კვალი დატოვა?**

6. ყველაზე ცნობილი მუსლიმანური ჰარემი მექაში, ქააბის ტაძრის შიდა ეზოშია. **რატომ – სალოცავში?**

7. ინჟინრები დიდი ხნის განმავლობაში იტეხდნენ თავს ახალი, პოპულარული ამოცანის გადასაჭრელად – ნახევარგამტარის დამზადებას ფრანციუმისა და გერმანიუმისგან. ეს მხოლოდ მაშინ მოხერხდა, როდესაც ნიდერლანდელმა ფიზიკოსმა კაზიმირმა წამოაყენა წინადადება – შუალედურ ფენად მათ შორის გამოეყენებინათ ლითონი რენიუმი, მსგავსად ბუნებრივი დამაკავშირებლისა საფრანგეთსა და გერმანიას შორის. **რაზე მიუთითა კაზიმირმა?**

8. დიდი მცენარეჭამია დინოზავრების სასაფლაოზე ხშირად პოულობენ მათ ჩონჩხებს ხერხემლის ქვედა ნაწილის მრავალრიცხოვანი შეხორცებული მოტეხილობებით. სწორედ აქედან დაასკვნეს მეცნიერებმა, რომ დინოზავრებს ჯოგობრივი ცხოვრების წესი ჰქონდათ. **როგორ?**

9. იაპონიაში შუქნიშნებზე მწვანე შუქის ანთების დროს ხმოვანი სიგნალიც ირთვება – ისმის ჩიტების გალობა. **რატომ?**

10. **რა მოვლენის** შემდეგ განაცხადა ბერნარდ შოუმ: „ახლა ჩვენ არანაირი უფლება არ გვაქვს, გავასამართლოთ ვინმე ნიურნბერგში“?

***პასუხები იხილეთ 69-ე გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* ნიუტონის სიბრძნის კბილი 1816 წელს აუქციონზე 730 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. მისმა ახალმა მფლობელმა კბილი ბეჭედში ძვირფასი თვლის ნაცვლად ჩასვა.

* FIAT – ეს კორპორაცია დაფუძნდა იტალიაში 1906 წელს, სახელწოდებით – Fabrica Italiana Autonobil Torino.

* ლონდონის თეატრ „გლობუსისთვის“ პიესებს შექსპირი წერდა. ამ წარმოდგენებისთვის დეკორაციები არ კეთდებოდა და, შესაბამისად, თეატრს მხატვარიც არ ჰყავდა.

* მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ვენაში მოსახლეობის აღწერა ჩატარდა. ანკეტის გრაფაში – „საქმიანობა,“ იმპერატორმა ფრანც-იოსებმა ჩაწერა: „დამოუკიდებელი ჩინოვნიკი“.

* „აცეტონი“ ლათინურად „ძმარს“ ნიშნავს.

* „ბითლზის“ სინგლი – Hey Jud – 17 წლის განმავლობაში იყო ჰიტი.

* „აზიზელი“ ერქვა ძველი ებრაელების რიტუალს, რომლის დროსაც ყველა ცოდვა, ყველა თავისი გავლენითა და შედეგით, თხაზე გადადიოდა.

* „ტყუპების თანავარსკვლავედმა“ სახელი ორი ძმის – კასტორისა და პოლიდევკის პატივსაცემად მიიღო.

* ჩეხეთის ქალაქ ბრუკში არის ნალების მუზეუმი.

* დედამიწის ღერძი ახლა მიმართულია პოლარული ვარსკვლავისკენ; 20 000 წლის წინათ მიმართული იყო ალფა-დრაკონისკენ, ხოლო 20 000 წლის შემდეგ კი, ვეგასკენ მიბრუნდება.

* 1751 წელს ქიმიკოსმა კრონშტენდტმა მიიღო ნიკელი. ამ ლითონს ადრე „ცრუ სპილენძს“ ეძახდნენ.

* ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ენაზე სიტყვა „პირანია“ „თევზსა და კბილს“ ნიშნავს.

* მადამ ტიუსოს მუზეუმის „საშინელებათა ოთახში“ იმ ადამიანების ფიგურებია განლაგებული, რომლებიც სიკვდილით დასაჯეს.

* მეცნიერებმა უარყვეს მცდარი წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს ლაპარაკის დროს ჟესტიკულაციას ყველაზე ხშირად იტალიელები იყენებენ. აღმოჩნდა, რომ, ერთსაათიანი საუბრის დროს, მექსიკელები 180-ჯერ იყენებენ მას, ფრანგები – 120-ჯერ, იტალიელები – მხოლოდ 80-ჯერ, ფინელები კი – სულ ერთხელ.

* ფრანგულ თეატრებში წარმოდგენა იატაკზე სამი ყრუ დარტყმის შემდეგ იწყებოდა.

* „კარდინალი“ ლათინური სიტყვაა და „მთავარს“ ნიშნავს.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლa8-F3!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




ვიპოვე საბავშვო ბაღიდან გაცემული ჩემი ქმრის დახასიათება: „კარგად ჭამს, სძინავს, სეირნობს...“ 30 წელი გავიდა და არაფერი შეცვლილა...

***

ცოტა ხანში, ალბათ, მობილურ ტელეფონებში ფუნქცია „დარეკვას“ დამატებით ფუნქციებში შეიტანენ.

***

მამაკაცი ეჭვიანობს ცოლზე და საყვარელზე, რომლებიც იმ მომენტში გვერდით ჰყავს.

ქალი კი ეჭვიანობს მამაკაცებზე, რომელიც იმ დროს გვერდით ჰყავს, რომელიც ოდესმე ჰყოლია, რომელთან ურთიერთობაც გეგმაში აქვს, რომელიც თვითონ გაუგდია, რომელსაც არ იცნობს, მაგრამ, ფიქრობს, რომ მომავალში ეყოლება...

***

„ახალგაზრდა, ენერგიული ქალი საფინანსო განათლებით, ოჯახის შექმნის მიზნით, ეძებს შეძლებულ მამაკაცს, რომელსაც ეზარება ფულის დათვლა“.

***

გინდათ დაქორწინება? საცოლეც შერჩეული გყავთ? არ გსურთ, რომ შეცდეთ?




ერთად შეარჩიეთ და გააკარით შპალერი თუნდაც ერთ ოთახში... თუ ორივე კმაყოფილი დარჩით – თქვენ ერთმანეთისთვის ხართ შექმნილნი.

***

– გავიგე, ძალიან ლამაზი და ჭკვიანი ცოლი მოგიყვანია, კარგი ოჯახიშვილი...
– ეგ ვინ გითხრა?
– შენმა სიდედრმა.

***

ქალი პოლიციაში მივიდა:
– იცით, ჩემი მეუღლე გავიდა და შინ არ დაბრუნებულა, უკვე ვნერვიულობ... იქნებ, დამეხმაროთ?
– რამდენი ხანია?
– მეოთხე კვირაა...
– კი მაგრამ, ამდენ ხანს რატომ არ განაცხადეთ?
– თვე მთავრდება, 1-ში ხელფასი უნდა აეღო...

***

რა თქმა უნდა, ვიცი, რომ სულაც არ ვარ სიმპათიური, მაგრამ დღეს რომ მეძავებს მივუახლოვდი და ყველამ, როგორც ერთმა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს ავტობუსს ელოდებოდა....

***

ახალგაზრდა წყვილმა ბაკურიანში მოხუცი ქალისგან ოთახი იქირავა. დაბინავდნენ.
– რამეს ხომ არ შეჭამთ? – ჰკითხა მოხუცმა.
– არა, დეიდა, არ გვშია, ჩვენ სიყვარულის ნაყოფით ვნაყრდებით...
– კარგი, ოღონდ, ქერქებს ფანჯრიდან ნუ გადაყრით, ინდაურები იხრჩობიან...

***

– რას იზამ, შენი კბილის ჯაგრისი რომ უნიტაზში ჩამივარდეს?
– ახალს ვიყიდი... რა, ჩაგივარდა?
– არა, ისე გკითხე.
– აუ, ესე იგი, ახალი უნდა ვიყიდო....

***

ქმარი ეუბნება ცოლს:
– რა თქმა უნდა, ძვირფასო, რა თქმა უნდა, შენ უნდა გქონდეს საკუთარი აზრი, რომელსაც ახლავე აგიხსნი...

***

კორპუსის წინ დგას კაცი, ხელში კატა უჭირავს და, რაც ძალი და ღონე აქვს, უყვირის ყურში:
– ლიკა მინდა მესამე სართულიდან! ლიკა მინდა მესამე სართულიდან!...
მეზობლებმა ფანჯრებიდან გადმოიხედეს. ერთი ეუბნება:
– კი მაგრამ, კატას რატომ უყვირი?
– ამას შეუძლია, მთელი ღამე ჩემს ფანჯარასთან იკნავლოს და არ დამაძინოს, მე – არა?!




***

ტიპმა სამსახურში დააგვიანა და მაინცდამაინც შეფს შეეჩეხა.
– იცით, მობილური გამიფუჭდა და დილით დროზე ვერ გავიღვიძე...
– გამოტყდი: გუშინ ბევრი დალიე, დაადგე და...
– უფრო სწორად, მოვწიე და დავშალე...

***

ქმარი სახლში გვიან მივიდა, ნასვამი.
– სად დაეთრეოდი ამდენ ხანს, ვისთან ერთად გამოთყვერი?
– სასაფლაოზე ვიყავი.
– რა, მოკვდა ვინმე?
– არ დამიჯერებ და, იქ ყველა მკვდარი იყო...

***

ბიჭმა შეყვარებული მოიტაცა – ფანჯრიდან გადმოსვა, ტაქსში ჩასხდნენ და წავიდნენ. ადგილზე რომ მივიდნენ ვაჟი მძღოლს ეკითხება:
– რამდენი უნდა გადაგიხადოთ?
– არაფერი. საპატარძლოს მამამ უკვე გადამიხადა... ბედნიერებას გისურვებთ!

***

– საით გაგიწევიათ, ივან ცარევიჩ?
– ისარი უნდა ვისროლო და, ვის სასახლესთან




ანაც ჩავარდება, ცოლად უნდა შევირთო...
– კი მაგრამ, ისარზე ხელყუმბარა რატომ გაქვს დამაგრებული...
– არ მინდა ცოლის შერთვა, ეს დედააფეთქებული... არ მინდა!

***

დაწესებულების ტუალეტში გამოკრულია განცხადება: კარგად დაუმიზნეთ, თორემ, წყლის აპარატს და უნიტაზს ერთი გუბკით გავწმენდ! მერი დეიდა.

***

ეს ფრაზა ეძღვნება ყველა გოგონას, რომელიც ხშირად იმეორებს: ყველა ბიჭი ერთნაირია: „თუ თქვენ პატიოსანი ხართ, ყველა ბიჭი არ გეცოდინებოდათ“.

***

– როგორ გაიცანით ერთმანეთი?
– კომპიუტერის წყალობით.
– ინტერნეტით?
– არა, კომპიუტერი გამიფუჭდა და თეატრში წავედი...

***

შეჰპირდა მიხო შვილიშვილებს, როცა სოფლის ცენტრში წავალ, შოკოლადს გიყიდითო.
– პაპი, გვიყიდე შოკოლადი?
– არა, შვილებო, დღეს არ მეცალა...
მეორე დღე:
– გვიყიდე, პაპა, შოკოლადი?
– არა, მაღაზია დაკეტილი იყო...
მესამე დღე:
– მოგვიტანე შოკოლადი?
– არ იყო შოკოლადი, მარტო ჩუპა-ჩუპსები იყო...
– ჩუპა-ჩუპსი მოგვიტანე?
– დაიმახსოვრეთ, შვილებო: არავითარი ჩუპა-ჩუპსი... სანამ თქვენი პაპა ცოცხალია, თქვენ მხოლოდ შოკოლადს შეჭამთ...

***

ინტერნეტის პარადოქსი:
აახლოებს ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთისგან შორ მანძილზე არიან და აშორებს ახლობელ ადამიანებს.

# როგორ მოიგო მთელმა სოფელმა 20 000

ლარისამ ტელეფონების ბლოკნოტი დახურა და კმაყოფილი მიუჯდა ქმარს გვერდით. ქმარს რვეული გადაეშალა და მოსაწვევი სტუმრების სიას ადგენდა:

– ბესო არ დავპატიჟოთ, ქალო? – მაგის შვილი ბანკში მუშაობს.

– ბესიკია დაფეხვილი არ გამაგონო! სანამ პირში სული მიდგას, ეგ ჩემს ოჯახში ფეხს ვერ დაადგამს.

– კი მარა, რა დაგიშავა?

– რავა რა დამიშავა! არ გახსოვს, რავარ გოგოს ვურიგებდი გვერდით სოფლიდან, მაგის ბიჭმა რომ დეიწუნა – ყანაში ნამუშევარ ქალს რავა მევიყვანო?! თითქოს დედამისს ყანა არ ჰქონდეს ნანახი.

– აპა, რა გეგონა შენ, შოფერ კაცს რომ სოფლელი გოგო აკადრე?

– ვინაა სოფლელი, შე კაცო! ახლა გახდა მაგი შოფერი და ქალაქელი, თორემ, ჯონჯოლის ბარდებზე რომ ქონდა გადახეული ჭიპი და მგელივით ტყეში რომ ათევდა ღამეს სოკოს გულისთვის, აღარ გახსოვს?

– არა, უნდა დავპატიჟოთ, მეზობელია მაინც.

ამის თქმა იყო და, მეზობელ სახლში შემზარავი ღრიალი გაისმა, რასაც ქალის კივილი და კარის ჯახუნის ხმა მოჰყვა. ლარისა პირველი გავარდა გარეთ და მეზობლის ეზოში შევარდა.

– რა ამბავია, რა მოხდა, ბესო?

– ოცი ათასი მოვიგე, ოცი ათასი!

– ვაი, შენ გენაცვალე, ჩემო კარის იმედო! მოდი, ჩაგეხუტო, – გადაეხვია ბესოს თვალზე ცრემლმომდგარი ლარისა.

– გადი, ქალო, იქით! ახლა გავხდი შენი კარის იმედი?

– შენს სახელოვან ბიჭს თუ გააგებინეთ უკვე, მაგას ენაცვალოს ლარისა დეიდა მთლად ჩემს ხელშია გაზრდილი!

– ახლა გახდა სახელოვანი? ის აღარ გახსოვს, ორღულელ ცალთვალა და უკბილო გოგოს რომ ურიგებდი?

– რანაირად ლაპარაკობ შენ, ბესიკია დაფეხვილო, მეც ქე მოვიგე ოცი ათასი, ხვალ უთენია მივდივარ თბილისში ფულის ასაღებად.

– ბებიაშენი ქსენია მოატყუე შენ და შენი ლოთი ქმარი. ვის ატყუებ?

– ვისი ქმარია ლოთი, თქვე მშიერგუდებო! შენს მორფინისტ შვილს მიხედო, ის გირჩევნია!

– ვისი შვილია მორფინისტი, შე პირდაუბანელო! – ჟანგიან თოხს სტაცა ხელი ბესომ.




ეზოში ბებერი დურგალი როსტომი შემოვარდა ღრიალით:

– ავშენდი, ხალხო, ავშენდი!

– რა იყო, როსტომ?

– ოცი ათასი მოვიგე, ოცი ათასი!

– ღმერთო ნუ გადამრევ... შენ რანაირად მოიგე, როსტომ? – გაფითრდა ლარისა.

– ჩემმა შვილიშვილმა მახარა.

– გაგეზარდოს დიდი კაცი. აქედანვე ეტყობა, რა ალღოიანი ბიჭია.

– ახლა გახდა ალღოიანი? არ გახსოვს შენი მატლიანი ბლის ხიდან რომ ჩამოათრიე და გამილახე ოქროსავით ბავშვი?

– რა ქურდებიც ხართ მთელი ოჯახი, იმნაირი გეზრდებათ ეგეც.

– ვინაა ქალო ქურდი! – იღრიალა როსტომმა და ღობიდან სარი ამოაძრო.

უცებ ორღობეში თმაგაშლილი ქალი გამოჩნდა კივილით:

– ვის ეგონა ჩემი ზურია ლოთი და უსაქმური? ნამდვილი ვაჟკაცი მყოლია სახლში!

– შენ რაღა დაგემართა, ხათუნა?

– ჩემმა ზურიამ ოცი ათასი მოიგო!

ბესოს თოხი გაუვარდა ხელიდან, როსტომს – სარი, ლარისა პირდაპირ მიწაზე დაჯდა, რომ არ წაქცეულიყო.

– ღმერთო დიდებულო, – გამოეგება ხათუნას მეზობელი ზინა, – ისახელა თავი შენმა დევგმირმა?

– ახლა გახდა დევგმირი? გუშინწინ ლოთი და უსაქმური რომ ეძახე, აღარ გახსოვს?

– რა მოხდა, შე ქალო, ჩემს ხელშია გაზრდილი, ვეხუმრე.

მთელი ღამე გრძელდებოდა აყალმაყალი, გინება და წყევლა. სოფელში ერთი ოჯახი არ დარჩა, რომ ამ საყოველთაო ყაყანში არ ჩართულიყო. დილას კი, გათენებული არ იყო, რაიონის სადგურიდან ერთი სოფლის ხალხით დატვირთული პირველი ავტობუსი რომ დაიძრა თბილისის მიმართულებით.

ბანკთან ხალხმრავლობა იყო, მაგრამ, ხმას არავინ იღებდა. ყველას თვალი ბანკის შესასვლელი კარისკენ იყო მიმართული, საიდანაც წუთიწუთზე ლარისა და მისი ქმარი უნდა გამოსულიყვნენ ხელში ოცი ათასით და გაბადრული ღიმილით. ყველა რიგს ელოდებოდა, ნერვიულობდნენ და ერთმანეთს უბღვერდნენ.

– ჩვენი ფულის წასაღებად მოვედით გენაცვალე, – პომადიანი კბილებით გაუღიმა ლარისამ ბანკის ოპერატორს.

– ანაბრიდან გნებავთ თანხის გატანა? – თავაზიანად გაუღიმა გოგონამ.

– ჩვენ ოცი ათასი მოვიგეთ, შვილო, აგერ, წერილი გამოგვიგზავნა თქვენმა ბანკმა, მიაწოდა გოგონას ტელეფონი ლარისას ქმარმა. ოპერატორმა ტელეფონი გამოართვა და ტელეფონში მოსული შეტყობინება წაიკითხა: „მოიგეთ ოცი ათასი! გახსენით ანაბარი ჩვენს ბანკში მინიმუმ ათასი დოლარის ოდენობით, ჩაერთეთ საინტერესო თამაშში, გახდით გამარჯვებული და მოიგეთ ოცი ათასი!“

**მოამზადა**
**აკაკი სინჯიკაშვილმა**

# „ჩამშვები“ ჩინელი ბიჭი და ზოოპარკში წამოწოლილი სპილოები

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? ძალიან მომენატრეთ ყველა. მე არა მიშავს, ცოტა მოწყენილი ვარ და თავს ვერაფრით ვირთობ.

საქართველოში გართობის საშუალება ძალიან ცოტაა. აქ, ძირითადად, გასართობად ძალიან ბევრ არაყსა და ღვინოს სვამენ. იშვიათად დადიან სასეირნოდ, ისიც, უფრო მეტად, შეყვარებული წყვილები.

მე და ხაი შანგი კინოში წავედით, მაგრამ, ნეტავ არ წავსულიყავით, სულ ტყუილად დავხარჯეთ ფული – თურმე, აქ ფილმებს ძირითადად რუსულ ენაზე გახმოვანებულს აჩვენებენ და ვერაფერი გავიგეთ. მერე გადავწყვიტეთ ზოოპარკში წასვლა, მაგრამ, ესეც ძალიან ვინანეთ. თბილისის ზოოპარკი ცენტრალურ მაგისტრალებს შორის არის მოქცეული და გამწარებული ცხოველები შიშისაგან სად შეძვრნენ აღარ იციან. თანაც, შიმშილისაგან გულის წასვლამდე მისულ ლომებსა და ვეფხვებს ღრიალის კი არა, კნავილის თავიც აღარ აქვთ; ჭუჭყიანი და შეშინებული სირაქლემები კი ერთმანეთს ეკვრიან გასათბობად. აქ ცხოვრებაში პირველად ვნახე წამოწოლილი სპილო. მომვლელს ვკითხე, სპილოები ხომ დაწოლილები არ იძინებენ და ეს რატომ წევს-მეთქი. მითხრა – ბევრი ჭამა და წამოწვაო. მე ვკითხე, რას აჭმევთ-მეთქი. მომვლელმა რკინის წვეტიან ჯოხს გადახედა და მეც გავეცალე.

ზუსტად ლომების გალიის წინ არის დიდი ატრაქციონი, რომელსაც „გემი“ ჰქვია და შიგ მჯდომი, ძირითადად მთვრალი ახალგაზრდები, ლომებივით ღრიალებენ ხოლმე, როცა „გემი“ მოძრაობას იწყებს.




ზოოპარკში, უფრო ხშირად, სკოლიდან გამოპარული ბავშვები დადიან.

თბილისში არის, ასევე, ცირკი, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ, ერთი კვირით იხსნება. აი, თეატრში კი ბევრი ხალხი დადის. მართალია, თითქმის ერთი და იგივე სპექტაკლები გადის, მაგრამ, ხალხს არ ჰბეზრდება.

ქართველების უმეტესობას გართობა მთვრალ მდგომარეობაში უნდება, ძირითადი გასართობი კი რესტორანში წასვლაა. ხშირ შემთხვევაში, კაცებს ცოლები არც რესტორანში მიჰყავთ და არც კლუბში. სამაგიეროდ, ვინმე უცნობმა ქალმა რომ სთხოვოს, დიდი სიამოვნებით წაიყვანენ. დედა, როგორც გითხარი, აქ ხალხს ძალიან უჭირს, მაგრამ, საღამოობით ყველა ქეიფობს. ქართველს საქეიფო ფული რომ არ ჰქონდეს, ისესხებს და დროს ისე გაატარებს. საერთოდაც, აქ თითქმის ყველა ნასესხები ფულით ქეიფობს.

ჩემს სამსახურში, ანუ ვაგზლის ბაზრობაზე, ყველაზე მაგარი გასართობია, როცა ვიღაც ჩხუბს იწყებს. სიამოვნებით უყურებენ ხოლმე, როგორ ჩეჩავენ ლოთი მაწანწალები ერთმანეთს. რა თქმა უნდა, პოლიციას არავინ იძახებს. ქართველებს სირცხვილად მიაჩნიათ პოლიციის გამოძახება. ერთხელ ფულს გვართმევდნენ, პატრული გამოვიძახე და ერთი თვე „ჩამშვებს“ მეძახდნენ.

მე და ხაი შანგმა პარკშიც გავისეირნეთ ცოტა და უხერხულად ვიგრძენით თავი. სკამებზე, ძირითადად, პატარა ასაკის წყვილები სხედან და ერთმანეთს ჰკოცნიან. პატარა ბიჭები დადიან და იმხელა ძაღლებს ასეირნებენ, ნერწყვი მოგადგება. დედა, საქართველოში რაც უფრო დიდი ძაღლი გყავს, მით უფრო მაგარ ტიპად ითვლები. მეტი გართობის საშუალება ჯერ ვერ ვნახეთ და, თუ რამე გამოჩნდა, აუცილებლად მოგწერ. მომიკითხე ყველა.

გკოცნით.

**თქვენი ტოზი ვონგი**